

ბ. აბრამიშვილი, ვ. ზაქარაია, ი. ციციშვილი



ქართული
სუპროტიმოდოვრების
ისტორია



85.11 (2Г)

(479. 22)

ა 186

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ქართული ხერობმოდღერება საწყისი ეტაპიდან შუა საუკუნეების ბოლომდე. ფაქტობრივად, წიგნი პირველი ცდაა, სადაც განხილულია არქიტექტურის თითქმის ყველა სახეობა. რადგან ყველა ხანა ერთნაირად არ არის შესწავლილი, ამიტომ წიგნშიც ეპოქები არათანაბრადაა წარმოდგენილი.

სახელმძღვანელო უხედადა ილუსტრირებული ნახაზებით, ნახატებით და ფრესკოსურათებით.

ნაშრომი ძირითადად განკუთვნილია არქიტექტურისა და ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებისათვის, მაგრამ იგი გამოადგება ყველას, ვინც ქართული კულტურითაა დაინტერესებული.

რედაქტორი პროფ. პ. ზაქარაია

რეცენზენტი დოც. ი. ჭიჭინაძე

© თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, 2000

4902010000
ა 608(06)-00

ISBN 99928-56-52-1

აერცვლებდა, როცა ყველაფერს გაითავისებდა. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი თვისთონაც ყოველთვის შემოქმედი ქვეყანა იყო. იგი ქმნიდა ეროვნულს, რომელიც იდგა მოწინავე ქვეყნების მხატვრულ ამოცანათა სიმალლეზე.

ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგებიდან ხუროთმოძღვრებას განსაკუთრებული ადგილი უკავია თავისი მრავალსახეობით; კერძოდ, მოგვეპოვება ეკლესიები, საცხოვრებელი სახლები, სასაედაცვო ნაგებობები, სამეურნეო შენობები, ხიდები და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ. მარსალია, საქართველოში ჯერ ძეგლების აღრიცხვაც კი არ არის დასრულებული, მაგრამ განა ცოტაა ის 20 თუ 25 ათასი ძეგლი, რომელზეც ზოგადი წარმოდგენა მაინც გვაქვს? სამწუხაროდ, ამ მცირე ფართობის ტერიტორიაზე ქართველი აშენებდა და მტერი ანგრევდა, მაგრამ ის, რაც გადარჩა, საკმარისია იმისათვის, რომ ქართულ ხუროთმოძღვრებას მაღალი შეფასება მიეცეს. სხვადასხვა პერიოდში ქართული ხელოვნება ქმნიდა ისეთ მაღალმხატვრულ ქმნილებებს, რომლებიც აშკარად ამშვენებენ მსოფლიო ხელოვნებას.

სახელმძღვანელო კოლექტიურ ნაშრომს წარმოადგენს. მისი პირველი მონაკვეთი, ანტიკური ხუროთმოძღვრების ჩათვლით (გვ. 7-54), ეკუთვნის პროფ. ი. ციციშვილს, მეორე მონაკვეთი (გვ. 55-107) – IV საუკუნიდან X საუკუნის შუა ხანებამდე – პროფ. გ. აბრამიშვილს, ხოლო მესამე მონაკვეთი (გვ. 107-246) – X საუკუნიდან XVIII საუკუნის ბოლომდე – პროფ. პ. ზაქარაიას.

რადგან ამგვარი ხასიათის სახელმძღვანელო პირველად გამოდის, იგი, ცხადია, არ იქნება სრულყოფილი. ავტორები მადლიერებით მიიღებენ ყოველ შენიშვნას და სურვილს, რომელსაც მკითხველი გამოთქვამს.

ქართული ხუროთმოძღვრების საფუძისები

პირველყოფილი საზოგადოების ხუროთმოძღვრება.

ისტორიული მიმოხილვა

ქვის ხანა

საქართველოს ტერიტორია გამოირჩევა კულტურის ძეგლების სიმრავლით. აქ წარმოდგენილია კაცობრიობის განვითარების უკლებლივ ყველა ეტაპი, დაწყებული პალეოლითის ადრინდელი საფეხურებიდან. ბოლო დრომდე ცნობილი იყო, რომ საქართველოს მიწა-წყალზე ადამიანის ცხოვრება იწყება აშელის პერიოდში (ძვ. წ. 800 ათასი წელი), მაგრამ უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა (დმანისის გათხრები) გვიჩვენა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრება ერთი მილიონ 800 ათასი წლის წინათ დაწყებულია.

შემდეგი ეტაპის – მუსტიეს ეპოქაში უკვე ჩანს პირველყოფილი ადამიანის ფარსო განსახლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (საკაფია, ჯრუჭულის ხეობა, ცუცხვათის მღვიმეები და სხვ.). არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დადგენილია ქვის ხანის სტადიების – 'ხედა პალეოლითისა და მეზოლითის კულტურის ადგილობრივი საფუძველი და განვითარების უწყვეტი პროცესი. ამასთანავე, კავკასიის პალეოლითის ძეგლები გარკვეულ სიახლოვეს იჩენენ მახლობელი აღმოსავლეთის (სირია, ერაყი, პალესტინა) გვიანპალეოლითურ ძეგლებთან. საქართველოს მეზოლითური ძეგლები ძირითადად განლაგებულია ხეობებსა და მაღალმთიან ადგილებში მდინარეების სიახლოვეს. მეურნეობაში უკვე გამოიყოფა მონადირეთა და მესევეხეთა ჯგუფები. ამავე პერიოდში იწყება ეგზოგამური გვაროვნული თემების ფორმირება. საგულისხმოა, რომ ამავე დროს ეყრება საფუძველი პირველყოფილი ადამიანის მაგიურ აზროვნებასთან დაკავშირებული ხელოვნების ჩასახვასაც. ასე მაგალითად, დაბა წალკის მახლობლად, მდინარე პატარა ხრამის ხეობაში მდებარე მღვიმეში აღმოჩენილია პეტროგლიფები – ცხოველთა და მონადირეთა გამოსახულებების ასამდე ნახატი.

ცხადია, რომ არქიტექტურის აღმოცენებას ეერ დაეუკავშირებთ პირველყოფილი ადამიანის მიერ მღვიმეთა თუ სხვა ბუნებრივ თავშესაფართა გამოყენებას. იგი დაკავშირებულია ადამიანის შეგნებულ მოღვაწეობასა და შრომის იარაღების შემწობით შექმნილ პირველ ნაგებობებთან. მხოლოდ ხელოვნურ ნაგებობებში ხდება ადამიანის მიერ მასალების თვისებების და ნაგებობების ცალკეული ნაწილების კონსტრუქციული არსის გააზრება.

განვითარების შემდეგი სტადია – ნეოლითის ეპოქა (ძვ. წ. X-VI ათასწლეულები) საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია მრავალი სადგომით (ანასეული, კისტრიკი, საკაო, ოდიში, მაცისციხე, მამათი, სამელეკლდე და სხვა.) ამ დროს იწყება მწარმოებლურ მეურნეობაზე – მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე

გადასვლა. ადამიანი ტოვებს გამოქვაბულს და იშენებს საცხოვრებელს მუდმივი სამუშაო ადგილის მახლობლად. ნეოლითური ძეგლები, ღია ნამოსახლარების სახით, მთისწინა ბორცვებსა და ტერასებზე გვხვდება. როგორც ირკვევა, ნეოლითური დასახლება ხასიათდება თავისუფალი, სტიქიურად აღმოცენებული განაშენიანებით. თვით საცხოვრებელი წარმოადგენდა თხილი შელესილ წნულ ნაგებობას, რომლის შიგნით ცხოვრობდა საერთო კერის მქონე გეაროინული ჯგუფი. სენაკის რაიონის სოფელ ხორშის ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარზე გამოვლენილია 20-25 სმ დიამეტრის ბოძების საყრდენი ორმოები, შიგნით ვერტიკალურად ჩადგმული ქვებით. ორმოების განლაგების მიხედვით, სახლები სწორკუთხა გეგმისაა, სადაც ერთი მხარე მოპრეგადებული ჩანს. სამივე მიკვლეული ნაგებობა დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. მათი ფართობი დაახლოებით ტოლია - 4 X 3 მ, 5 X 4 მ. იატაკის ღონესე აღმოჩნდა ხელსაფქვეის ქვები, კერის ოვალური ორმოები და სხვა. ქალაქ გალის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ჩხორსაოლის ნამოსახლარზე გამოვლენილი იყო მრავალსენაკიანი საცხოვრებლის იატაკი, კერები, რიყის ქვით შემოწყობილი ბოძების საყრდენი ორმოები და სამეურნეო დანიშნულების ორმოები. ამავე რაიონში მდებარე ლუმურაში მიკვლეულია ოვალურად განლაგებული შვიდი ნასახლარის ნაშთი, რომელთა შორის მანძილი აღწევს 200-300 მეტრს.

როგორც ვხედავთ, ნეოლითის ეპოქაში, ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლასთან ერთად, ხდება გეარების თავმოყრა დასახლებულ ადგილებში. ამ ეპოქაში ყალიბდება ძირითადი არქიტექტურული სქემები ნაგებობის ნაწილების ფუნქციასა მკვეთრი გრადაციით. იქმნება დამოუკიდებელი ნაგებობა გადახურვით, რომელიც განსახლავს საცხოვრებლის ფორმასა და ზომებს.

ამასთან. ელინდება ურთიერთკავშირი წინა აზიის უძველეს სამიწათმოქმედო კულტურებთან, ე. ი. საქართველოს ტერიტორია აქტიურად მონაწილეობს უძველესი სამყაროს განვითარების პროცესში.

ბრინჯაოს ხანა

საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ტომების კულტურა განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება ბრინჯაოს ხანაში. რომელიც, თავის მხრივ, ყალიბდება ენეოლითურ კულტურაზე. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ველებზე, მდ. ხრამის ნაპირებზე გამოვლენილია ძვ. წ. V-IV ათასწლეულების ათეული ნასოფლარი - საცხოვრებელი ბორცვები: არუხლო, შულავერის გორა, იმირის გორა; ნასოფლარი ტერასებზე - სადახლო; კონცხზე მდინარეთა შესართავთან - წოფი; მთის კალთებზე - ამირანის გორა. ნასოფლარი არუხლო წარმოადგენს ხელოვნურ ბორცვს, რომლის დიამეტრია 150 მეტრი, სიმაღლე კი 6 მეტრი. გათხრების შედეგად გამოვლინდა აღიზის წრიული ფორმის შენობების ნაშთები. შენობათა დიამეტრია 3-3,2 მეტრ კედლების სისქე - 30-35 სანტიმეტრი. სოფელს შემოვლებული ჰქონია ორი

საედაცვიითი თხრილი. ადრეული თხრილი 2 მ სიღრმისა და 9,5 მ სიგანისა ყოფილა და მოგვიანო თხრილსე უფრო დიდ ფართობს საზღერავდა. ამ თხრილებში წყალი მიედინებოდა.

ნასოფლარები შულავერის გორა და იმირის გორა წარმოადგენენ ხელოვნურ ბორცვებს მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირას (სურ. 1, 2, 3). ისინი შექმნილია ხანგრძლივი ბინადარი ცხოვრების შედეგად. შულავერის გორის დიამეტრი 100 მეტრს აღემატებოდა, ხოლო კულტურული ნაშთების სიმაღლე 7 მეტრს აღწევდა. 252 კმ. ფართობსე, რომელიც აქ გაითხარა, აღმოჩნდა 32 ნაგებობის ნაშთი – საცხოვრებელი სახლების და სამეურნეო ნაგებობების კედლები, ეზოსა შემომფარგვლელი კედლები და თიხატკეპნილი სათავსი, განკუთვნილი საკვებისა და წყლის მარაგის შესანახად. შულავერის გორის ნაგებობანი წარმოადგენენ გეგმაში წრულ ან ოვალურ გუმბათურ შენობებს. შენობათა ხომები იცვლება მათი დანიშნულების შესაბამისად. მოზრდილი შენობები, ფართობით 12,5-16,5 კმ., საცხოვრებელია, ხოლო მცირე შენობები, დიამეტრით 2-3 მეტრი, სამეურნეო დანიშნულებისაა, საკედლე მასალად ნახმარია ლეკალური მკერაიე ალიხი, რომელიც დაწყობილია თიხის ხსნარზე. საცხოვრებელ სადგომს ჰქონდა პატარა კარი და გუმბათში სარკმელი. კედლის ძირში, თიხატკეპნილ და მოლესილ იატაკში ჩასმული იყო კერცხისებური თიხის კერა ჩაუქრობელი ცეცხლის შესანახად.

მეორე ნასოფლარში გათხრილ 40 ნაგებობათა შორის 20 საცხოვრებელია და ამდენივე -- დამხმარე, სამეურნეო დანიშნულებისა. ამგვარად, საცხოვრებელი კომპლექსი შეიცავდა საცხოვრებელ ოთახს, ასეთივე წრული ფორმის სამეურნეო ნაგებობას საკვების მარაგის შესანახად და თიხატკეპნილ ორშობს, უმათავრესად, წყლის მარაგისათვის. სახლს აქაც ჰქონია პატარა კარი. ალიხის აგურის ჰორიზონტალური რიგები ქმნიან კედელს, რომლის დახრილობა თითქმის საფუძელიდან იწყება და ქმნის გუმბათის მრუდეს. ალიხის ყოველი შემდგომი რიგი გადმოშვერილია 2-3 სანტიმეტრზე. ასე იქმნება ცრუ თალი, რომლის საფეხურები გასწორებულია თიხის ბათქაშით.

იმირის გორაზე საცხოვრებელი კომპლექსების დაგეგმარება უფრო ორგანიზებულია. სხვა ნასოფლარებში კი შენობები შექუჩულია უსისტემოდ. აქ სოფელს ჰქონია 12 მეტრის დიამეტრის მოედანი, რომლის ირგვლიე, გარკვეული სისტემით, გაშენებულია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. საფიქრებელია, რომ აქ ასახულია გეაროვნული წყობილების განვითარების სხვა საფეხური. კერძოდ, ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლასთან დაკავშირებით იქმნება თემები, სადაც მიწის დამუშავება ხდება ერთობლივად, ანდა მიწით სარგებლობა ინდივიდუალურია, ხოლო სარწყაიე წყალი საერთო და სხე. მოედანი სოფლის ცენტრში, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ბაკს საქონლისათვის, როგორც სოფლის ყველაზე ძვირფასი ქონებისათვის. ასეთ ნასოფლარებში, ანგარიშით, უნდა ეცხოვრა 300-500 ადამიანს.

სამხრეთ საქართველოს ენეოლითური ხანის ნასოფლარებში დამოწმებულ საცხოვრებელ სახლებს ბერეი საერთო ნიშანი აქეთ ამავე პერიოდის ახერბაიჯანის ტერიტორიის (შომუ-თეფე, კიულ-თეფე), სომხეთის (შენგაეთი, გარნისი),

აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის, წინა ასიის, ჩრდილო მესოპოტამიის ნასოფლარებთან, სადაც აგრეთვე გეხვედება წრული და ოვალური ფორმის გუმბათური შენობები. ამგვარად, სამხრეთ საქართველოს ტერიტორია ენეოლითისა და მომდევნო პერიოდში კვლავ შედიოდა წინა ასიის კულტურის არეალში.

აღრეული ბრინჯაოს ხანის ძვ. წ. III ათასწლეულის ნასოფლარები მრავლადაა შემონახული შიდა ქართლში (ხიზნანათ გორა, ქვაკახელები, გუდაბერტყია)(სურ. 4, 5, 6, 7). ეს ნასოფლარები განლაგებულია მდინარეების გასწვრივ და ხეობებში. როგორც ჩანს, ეს მცირე გეგაროვნული დასახლებანია კომპაქტური განაშენიანებით, სადაც სახლები ემხრობა ერთმანეთს მცირე გასასვლელებით მათ შორის. სახლები აგებულია თიხითა და ალითი ან სარიითა და ლასტით არმირებული თიხით. გეგმაში შენობები თითქმის კვადრატულია, მომრგვალებული კუთხეებით. ხორბლისა და სხვა სურსათის შესანახად გამოიყენებოდა მინაწინები და ორმოები, თუმცა სოფელში ყოფილა საცავებიც - მთელი მოსახლეობისათვის. გალავნები ზოგიერთ სოფელში, ალბათ, გათვალისწინებულია საქონლის დასაცავად (ბაკი). ყურადღებას იპყრობს გეგმის მიდრეკილება წრულობისაკენ. კუთხეების მომრგვალება, რაც კონსტრუქციიდან არ გამომდინარეობს და უფრო ტრადიციულ მიგვიყვითებს. მართლაც, ხიზნანათ გორაზე, მომრგვალებულ კუთხეებიანი კვადრატული შენობების ქვეშ, აღმოჩნდა წრული გეგმის მქონე გუმბათური შენობების ნაშთები.

ქვაკახელებში გამოიღენილა 25 საცხოვრებელი სახლი. მათი ერთი ნაწილი აგებულია ალითი, მეორე კი სარიითა და ლასტით არმირებული თიხით, შენობა ღვას კერტებით მოკირწყლოლ ბაქანზე და გეგმით კვადრატულია (4,5 X 4,85 მ). კუთხეები აქაც მომრგვალებულია. კედლები აგებულია ალისათ (43 X 17 X 10 სმ). შენობას ფასადის მხრიდან მთელ სიგრძესე ახლავს დერეფანი (4,2 X 1,8-მ). შენობის გრძივ დერეფზე მოთავსებულია შესასვლელი კარი. ოთახის იატაკი წარმოადგენს მოპირალებულ ნაღესობას. მის ცენტრში მოთავსებულია ხუთშეერილიანი დიდი კერა, რომლის უკან ღრმა, წრული ორმოა, რომელშიც ჩამაგრებული იყო ხის საყრდენი ბოძი. ოთახის უკანა კედლის გაყოლებაზე გამართულია ერთი მეტრი სიგანის დაბალი ბაქანი, როგორც შენობის გადახურვის ნაშთებიდან დგინდება, შენობა გადახურული ყოფილა ბანურად - დედაბოძსა და თავებზე დამყარებული კოჭებისა და ლასტის სისტემით, რომელიც ცენტრში ქმნიდა სარკმელს - ერდოს. ამგვარად, ქვაკახელებსა და სხვა ამ ტიპის ნასოფლარებში გაერცვლებულია საესებით ბანიან-ერდოიანი, დედაბოძზე დაყრდნობილი გადახურვის შემცველი სახლები. სწორედ ასეთი შენობები წარმოადგენენ საქართველოში შემდგომში ფართოდ გაერცვლებული „ღარბაზული“ ტიპის სახლების პროტოტიპს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი სურათი გეხვედება აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, სადაც ამავე დროისათვის ჩნდება მეგარონები (მიკენი, ტროა), რომელთაც ბერი რამ აქეთ საერთო საქართველოს ბანიან-ერდოიან სახლებთან.

ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს და II ათასწლეულის დასაწყისში, შუა ბრინჯაოს ხანაში, იქმნება ე. წ. „თრიალეთის კულტურა“. ეს პერიოდი წარმოადგენილა დიდი სამარხი ყორღანებით - რთული დამარხვის რიტუალითა და მდიდარი ინვენტარით.

ბელენისა და სამგორის ყორღანებში, ქვის ყრილის ქვეშ, აღმოჩნდა ხის ძეგური შენობები, რომლებსაც ჯარგვალის კუთხეებში ჰქონდათ ჭედები და ისინი ერთმანეთთან ნახევარი ხით იყვნენ გადაბმულნი. სამარხ-საკანში ჩადიოდა დახრილი ღერუფანი – ღრომოსი. სამარხსა მრავალფეროვანი ინვენტარი (ოქროსა და ვერცხლის სამკაულები და ჭურჭელი, ბრინჯაოს იარაღი, მშენებრივი კერამიკა და სხვა, მიგვითითებს კულტურის საერთო დონის აღზევებაზე. ამასთან, ვლინდება საზოგადოების დანაწევრების პროცესი. სოფლის მეურნეობაში ადვილად დასამუშაებელი იარაღის (ბრინჯაო) გაჩენამ გამოიწვია მოსაელის გადიდება. და საკვების ისეთი რაოდენობით წარმოება, რაც საშუალებას იძლეოდა შეენახათ ადამიანები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საკვების წარმოებაში, მაგრამ საჭირო იყვნენ სამეურნეო ცხოვრების მართვისა და თავდაცვისათვის (ჯარისკაცები, დარაჯები, მჭედლები და სხვა). ასე ხდება თემობრივი არისტოკრატის გაჩენა. სწორედ ამის მაჩვენებელია ტომების ბელადების მდიდრული ყორღანული სამარხები.

შუა ბრინჯაოს ბოლო პერიოდს მიეკუთვნება კოლხეთის დაბლობის ნასოფლარები – ნაოხეაძე, დიხა-გუძუბა, დიხა-სურგა და სხვა. ისინი წარმოადგენენ ადამიანის ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად შექმნილ ხელოვნურ ბორცვებს. ბორცვები შემოელეწებულია ფართო არხებითა და მიწაყრილებით. ნასოფლარის ქვეშ შექმნილია ხის (წაბლი, კაკალი, წიფელი) მორებისაგან შედგენილი საფუძველი, რომელსაც შემდეგ აგებულია ხის ჯარგვალის ტიპის ან წნულის წრფული ანდა მრავალწახნაგა ყორმის შენობები.

გვიანი ბრინჯაოს და რკინის ხანას მიეკუთვნება ნასახლარები თბილისის ჩრდილო-დასავლეთის განაპირას – დიღმის ნასოფლარებში. აქ, ქედის ფერდობზე გაშლილი სახლები ერთოთახიანია და ნაწილობრივ შეჭრილია მიწაში. სახლები აგებულია რიყისა და ფლეთილი ქვით, აქეთ ბრტყელი გადახურვა, თიხატკეპნილი იატაკები. კედლები შებათქაშებულია თიხით. ზოგიერთ შენობაში კედლის პირას შემორჩენილია ხის საყრდენები. სახლებს ახლავს პურის საცხობი ქურა და ბაქანი სამსხვერპლოთი და საკურთხეველებით.

საგულთსხმოა სოფელ ხოვლესთან გორაზე აღმოჩენილი ნასახლარები დათარიღებული ძე. წ. XIII-VI საუკუნეებით. საცხოვრებელი სახლები აქ სწორკუთხოვანი გეგმისაა (10 X 4,5 მ). შენობის წინ სვეტებიანი დერეფანია. მის უკან მოთავსებულია ძირითადი ოთახი, რომელიც სიგრძეზე ორ ნაწილად იყოფა. მარცხნივ აღმანათნა სამყოფელია და აქვს თიხატკეპნილი იატაკი, ხოლო მარჯვნივ მოთავსებულია ბოსელია, კედლის პირას გამართული ბაგათი და მეორე მხარეს სანერწყულით. ოთახის ზურგის მხარე ეთიშება ღუმელს, სანაცრესა და სალოცავს მუდმივი ცეცხლით. წინა მხარეს გამართულია კარი, რომლის ქუსლი ფოსოიან ქვაში მოძრაობდა. ღუმელის ზომაა 1 კვმ. იგი შედგება საცეცხლურისა და საცხობისაგან. საცეცხლურის ალი საცხობში გადიოდა და მისი კარიდან სითბო ოთახშიც შედიოდა. ბოლი კი ადიოდა ღუმელის თავზე გამართული ერდოლან. დაბალ ბაქანზე გამართულია სალოცავი, მას კედლიდან დაცილებულ თიხის შეეულ სიბრტყეზე დაძვრწილი აქვს ტალღისებური 'ხილი, რომლის ქვეშ საძი მოკვეთილი

კონუსისა გამოქანდაკებული. ეს კონუსები ვერძის თავებს გვაგონებს. აღსანიშნავია, რომ ასეთი მკაფიო გეგმის სახლები ხოლმეგორაში ძე. წ. VI საუკუნემდე უცვლელი რჩება. სახლები აგებულია ჰორიზონტალურად დაწყობილი ხის ღეროებითა და თიხით. ოთახის გადახურვა ეყრდნობა კედლის სვეტებსა და თავისუფლად მდგომ საყრდენებს.

მეგალითური ნაბუნობანი

ნასოფლარებთან ერთად, საქართველოში აღრიცხულია მეგალითურ ნაგებობათა თითქმის ყველა სახე. წალკის, თეთრი წყაროს და სამხრეთის სხვა რაიონებში შემორჩენილია მენძირები – შეეულად დაყენებული მონოლითები, რომლებიც თითქმის სახეშეუცვლელია ადამიანის მიერ. დოლმენები გვხვდება ძირითადად აფხაზეთში (სოფლები: ახანთა, ეშერი, აჭანდარა, ოთხარა). დოლმენი (სურ. 8) შედგება ხუთი დიდი ფილისაგან, რომლებიც კარგადაა მორგებული ერთმანეთთან. მათთვის დამახასიათებელია ტრაპეციული სახის გეგმა უფრო განიერი წინა და ვიწრო უკანა კედლით. ფილების ნაპირებისა და შიგა სიბრტყის გულდასმით დამუშავება, ნარიანდები წინა და უკანა კედლების დასამარგებლად და მრგვალი ხერელი წინა კედელში, რომელიც იხურებოდა საგანგებო ცობოლათი. ფილების 'ხომები (ეშერის დოლმენის 'ხედა ფილის სიგანა 5,2 – 4,85 მეტრი, სიგრძე – 3,7 მეტრი, სისქე – 0,5 მეტრი, რაც შეადგენს 9, 342 კმ-ს და იწონის 22,5 ტონას) გეაფიქრებინებს, რომ მათ გადაადგილებასა და დაყენებაზე ბერკეტები, მიწაყრილები და საფეხურიანი ფერდები გამოიყენებოდა. ამასთანავე, ასეთი სამარხი საკნის ასაგებად აუცილებელი იქნებოდა მძლავრი გეაროვნული კოლექტივის უსარმაზარო შრომა. დოლმენების სამარხი ინვენტარი და დამუშავების ტექნიკა გვიჩვენებს, რომ მათი მშენებლობა ხორციელდებოდა ბრინჯაოს ეპოქაში ძე. წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დასაწყისში.

საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მის სამხრეთ რაიონებში შემორჩენილია მრავალი, ე. წ. ციკლოპური ციხე. უნდა ვიფიქროთ, სწორედ ამ ციხეებსა საუბარი უნარტუელი მეფეების – არგმტი I-ისა და სარდურ II-ის დიოხის ტერიტორიაზე ლაშქრობებთან დაკავშირებულ წარწერებში. ამ მონაცემების, ყოველ 5-6 სოფელზე მოდიოდა თითო გამაგრებული ციხე (წარწერებში მოიხსენიება ქალაქები) მოსახლეობისა და მათი ქონების დასაცავად. თუმცა, ეს ციხეები სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა ძლიერი ქვეყნების (ასურეთი, უნარტუ) ჯარებს და განკუთვნილი იყო გეაროვნულ-თექნურ გაერთიანებებთან საბრძოლველად. აღსანიშნავია, რომ ციკლოპური ციხეების სამშენებლო მასალები და მშენებლობის ტექნიკაც (სურ. 9, 10, 11, 12) განსაკუთრებით კონსერვატულია და ერცელდება ენეოლითიდან ვიდრე ფეოდალურ ეპოქამდე. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ციკლოპური ციხეები გვიჩვენებენ მისი ცხოვრების მხოლოდ ბოლო

პერიოდს და მათი სტატიკაში განხილვა, ისტორიული პროცესების გათვალისწინების გარეშე, არ შეიძლება. ასეთი ძეგლების განხილვისას უნდა გაეთვალისწინოთ ისეთი საკითხები, როგორიცაა: ციხისათვის ადგილის შერჩევა, ციხის და სოფლის (დასახლების) ურთიერთობა და მდებარეობა, სამაროვნები და მათი ინვენტარი, ციხის კედლების სისტემა, სამშენებლო ტექნიკა, არქეოლოგიური მონაცემები, საცხოვრებელი სახლების ტიპები და სხვა. ციკლოპური ციხეები უნდა შექმნილიყო სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებაში მომხდარი გარკვეული ცვლილებების შემდეგ – ბრინჯაოს ეპოქაში მეცხოველეობა ღებულობს უპირატეს მნიშვნელობას ეკონომიკაში, ამასთან. ხდება ქონებრივი დანაწევრება. ცალკეულ ტომებს შორის იწყება მუდმივი შეტაკებები და თავდასხმები სამოურებისა და საქონლის გამო. ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო ძე. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში. ამის გათვალისწინებით შეიძლება დავაჯგუფოთ ციკლოპური ციხეები და მათთან დაკავშირებული ნასოფლარები. უძველეს ფორმად უნდა ვივარაუდოთ მრგვალი ან ოვალური ფორმის გემის სახლების ჯგუფებისაგან შედგენილი ნასოფლარები. აქ საცხოვრებლად ხშირად გამოყენებულია კლდის ბუნებრივი ნაპრალები. გაგანიერებული და საცხოვრებლად გამოყენებული კამერები დაკავშირებულია ეიწრო დერეფნებით და ზემოდან გადახურულია ქვის დიდი ლოდებით. ასეთი ნასოფლარების მაგალითებია: ბედენის ლოდოვანი, გონხარის ლოდოვანი, ბემოაშენი. მათ ჯერ არ იცავეს გალაენი, რაც აიხსნება არა მარტო ტექნიკური მიზეზებით, არამედ, პირველ ყოვლისა, იმით, რომ ჯერ არ დამდგარა ამის აუცილებლობა.

ნასოფლარების მეორე ჯგუფი განლაგებულია გაბატონებულ ბორცვებზე, რომელიც ციცაბო, ძნელად მისადგომი ფერდობები აქვს. ბორცვის ზედაპირზე იქმნება ეულკანური წარმოშობის მკერდივი ქანების ბუნებრივი განფენა. ეს ფენები (ძირითადად აღნეიბები, ბასალტები, ტრაქიტები) ხასიათდება გახლჩივით ატმოსფერული პროცესების შედეგად. ქვის ახლჩილი ბრტყელი ზედაპირი საშუალებას იძლეოდა ეს ქეები, ყოველგვარი დამუშავების გარეშე, გამოყენებინათ მტკიცე კედლების ასაგებად. ასეთი საკმაოდ ვრცელი ნასოფლარები უკვე დაცულია გალაენით. გამაგრებული სოფლებია (ციხეები): ოსნი, აურანლუ, გონხარი II. ეს ის სოფლებია, რომლებიც დაგროვილი საქონლისა და ხორბლის მარაგის დასაცავად იზღუდებიან მძლავრი გალაენებით და ღებულობენ ციხის სახეს.

მესამე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ისეთი ციხეები, სადაც გალაენის შიგნით ცალკე კედლით გამოყოფილია შიდა ციხე, დაცული არა მარტო გარედან, არამედ შიგნიდანაც. შიდა ციხის გამოყოფა ტომის გაბატონებული ჯგუფისათვის (ტომის ბელადი და მისი გვარი) მოწიბობს გვაროენული წყობის დამშლის პროცესის დაწყებას, რაც დამახასიათებელია ძე. წ. I ათასწლეულის დასაწყისისათვის.

მეოთხე ჯგუფს შეადგენენ მრგვალი კოშკისა და კონტრფორსების წყალობით გოფრირებული, ტალღისებურ კედლებიანი ციხეები. ასეთ ციხეებს მიეკუთვნება – გუმბათი, ნორდეენი, პანტიანი, სანსა. ეს ციხეები აგებულია ძე. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში.

ციხეების უკანასკნელ ჯგუფში შედიან შაორი, ქოროლო, ჩხიკვსა, სადაც

კედლები აკებულია მომცრო ან ოდნავ დამუშავებული ქვებით. ციხეების კონფიგურაცია, საცხოვრებელი სახლები და მათი კაემარი ქრისტიანულ ძეგლებთან, მიუხედავად გალაგანთა კონსერვატიული წყობისა, ადრინდელ შუა საუკუნეებზე მიგვანიშნებს.

ციკლოპური ციხეები დღესაც დიდ შიახტვადილებას ტოვებენ. მათი მაღალი კედლების ქვედა ნაწილი (3-4 მ სიმაღლეზე) აკებულია ბაზალტის ან სხვა ქანების დაუმუშავებელი ღირდონი ლოდებით. კედლების აგებისას იწყობოდა გარე და შიგაროგების მიმართულილები, ხოლო სიერცე მათ შორის იესებოდა ამავე ქვის უფრო მცირე ნატეხებით. ქვის ასეთ საფუძველზე შემოთ კედელი ამოყვანილია აღისით. კედლის სისქე აღწევს 2,5 - 3 მეტრს (სანთა, აერანლო), ხშირად კი 4,5 - 6 მეტრსაც (ნორდევანი). აღსანიშნავია, რომ ასეთი ციხეები გვხვება სომხეთში, დასავლეთ ასერბაიჯანსა და, საერთოდ, ქვიან ქვეყნებში.

გარე კახეთში, გარეჯის უდაბნოს სონაში, აეროფოტოგრაფიების საშულებით, გამოვლინდა ძველი ნამოსახლარების ნაშთები. ისინი ჯგუფებადაა განლაგებული. მოხრდილი დასახლებების ირგვლივ შეიმჩნევა შედარებით მცირე დასახლებები. ჩანს, რომ ნაგებობათა უმეტესობა ერთდროულად, წინასწარ შედგენილი გეგმითაა ნაშენი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩანს კომპლექსი „ნომარ გორახე“. აქ თითქოს ელინდება გრანდიოზული სასახლეების, ტაძრებისა და საცხოვრებელი უბნების კონტურები. ისინი გვაგონებენ ძველი ხეთების დედაქალაქის - ხატუშაშის ხუროთმოძღვრების ანსამბლებს და მიეკუთვნებიან ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის შუა პერიოდს. სამწუხაროდ, ეინაიდან არქეოლოგიური გათხრები აქ მხოლოდ დაწყებით სტადიაშია, საუბარი ამ ძეგლებზე ნადრევედ გვეჩვენება.

კომპოზიციური ხმარები

ცხადია, რომ პირველყოფილი საზოგადოების პერიოდში საუბარი საკუთრივ ქართულ ხუროთმოძღვრებაზე არ იქნებოდა სწორი. მაგრამ საქმე გვაქვს უშუალო წინაპრების, ქართველი ტომების ხუროთმოძღვრებასთან, მათ კულტურასთან, სადაც ძირითადი არქიტექტურული ტიპები, კონსტრუქციული ხერხები და მხატვრული ფორმები გამოიმუშავდა და შემდგომი განვითარება პოვა ხუროთმოძღვრებაში.

უცილობლად პირველყოფილი საზოგადოების ეპოქაში ჩაისახა წრიული და ოთხკუთხა გეგმის სიერცითი კონცეფციები. უკვე მენპირში ელინდება ადამიანის მისწრაფება შექმნას მხატვრული სახე. ვერტიკალურად დაყენებული მონოლითი ბოძი ან სვეტი თავისი მარტივი და მეტყველი ფორმით, შეადგენს არქიტექტურის ერთ-ერთ საფუძველს. დოლმენებში, პირველად მონუმენტურ არქიტექტურაში, იფარგლება შიგა სიერცე და გამოიყოფა ნაგებობის გარე მოცულობა. მაღის გადიდების მიზნით ნახმარი ცრუ სადისა და კამარის კონსტრუქცია ბრინჯაოს

ხანის ნასახლარებში ქმნის საფუძველს მომავალი კამარებისა და გუმბაუბის შესაქმნელად.

როგორც აღინიშნა, ენეოლითის ეპოქის ძეგლები, გარკვეულ თავისებურებათა მოუხედავად, ავლენენ მსგავსებას მთელი ამიერკავკასიისა და ირანის, ანატოლიის, წინა აზიის ქვეყნების მიმდებარე ოლქების კულტურასთან. ბრინჯაოს ხანაში ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა ასევე ავლენს ურთიერთობას წინა აზიის (ირანი, მესოპოტამია), მცირე აზიის და ეგეოსიის ზღვის (მეგარონის ტიპის შენობები, შეერილიანი და რქოსანი კერები მიკენში და ტროაში) ცივილიზაციებთან. საქართველოს ტერიტორიაზე საზოგადოების განვითარების ადრინდელ სტადიებზე ნაგებობათა ტიპების და კონსტრუქციული ხერხების სახეებზე უახლოესი ქვეყნების ნაგებობებთან ბუნებრივია, რადგან ისინი ეყრდნობიან მსგავს სამეურნეო საფუძველს და საზოგადოების განვითარების დონეს.

აღრეკლასობრივი საზოგადოების პერიოდის ხსროთმომკვრება

ისტორიული მიმოხილვა

ისტორიული წყაროების მიხედვით, ძვ. წ. II ათასწლეულში ქართველ ტომებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონიათ წინა აზიის კულტურულ სახელმწიფოებთან. ამ პერიოდში მათ მუხობლად სამხრეთით ბინადრობდნენ ხესები, მთაანელები, ასურელები, მოგვიანებით – ურარტუელები. ძვ. წ. XII საუკუნეში ქართველი ტომების ნაწილი საკმაოდ ღრმად შეიჭრა. წინა აზიაში და ისტორიული საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით დაწინაურდა ქართველი ტომების გაერთიანება – დიაოხი. როგორც ჩანს, ეს იყო ძლევამოსილი ქვეყანა, რომელსაც მეფე განაგებდა. დიაოხი მუდგრად ებრძოდა ასურეთის აგრესიას და შემდგომ ურარტუს ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც აღმოცენდა მის სამხრეთით ძვ. წ. IX საუკუნეში. ამ ბრძოლებში დასუსტებულ დიაოხის ტომების გაერთიანებას საბოლოოდ ბოლო მოუღო ქართული ტომების მეორე ძლიერმა გაერთიანებამ – კოლხამ, რომელიც შავიზღვისპირეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბდა. XI-VIII საუკუნეებში ამ გაერთიანებას სათავეში ედგა მეფე, რომელიც სამეფოს მოხელეების შემწევით განაგებდა. ამ გაერთიანების შესახებ მოგვითხრობს ცნობილი მთავარგონავეტების შესახებ, სადაც, ლეგენდარულ ამბებთან ერთად, ასახულია კოლხეთის მაღალი მეტალურგიული და სამიწათმოქმედო კულტურა.

ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლოს წინა აზიაში შემოიჭრნენ სკითო-კიმერიელების მომთაბარე ტომები. ჯერ რუსეთის სამხრეთისა და ჩრდილო კავკასიიდან შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროს გასწვრივ კოლხეთს გადაუარეს კიმერიელებმა, ხოლო შემდეგ, ამჯერად კასპიის ზღვის სანაპიროს გასწვრივ და დარიალის

ხეობიდან შემოიჭრნენ სკვითები. ამ შემოსევებმა გაანადგურა მოსახლეობა და ბოლო მოუღო კოლხას სამეფოს.

ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოს ამიერკავკასიის სამხრეთით დაწინაურდა მიდიელთა სახელმწიფო, რომელმაც დაამხო ასურეთი, ხოლო ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში ურარტუ (კ. როგორც ჩანს, მიდიელებმა ბოლო მოუღეს ქართული ტომების გაერთიანებასაც (დიაოხი), რის შედეგად დაიწყო მცირე აზიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ამ ტომების მოძრაობა. ასე, მცირეაზიურ-ხეთური ტრადიციების მატარებელი მესხური ტომების ნაკადმა გადმოინაცვლა ჩრდილოეთით, მათი სახელი შემოინახა ათვისებულმა ტერიტორიებმა (სამცხე, მესხეთი) და, ეგებ, თვით იბერიის სახელმწიფოს ცენტრმა — მცხეთამ.

მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს ტომების გაძლიერების პროცესი დააყოვნა მიდიელთა ნაკლებად მტკიცე სახელმწიფოს ნაცვლად ძვ. წ. VI საუკუნეში აღზევებულმა ირანის აქემენიდების ძლიერმა სახელმწიფომ. მან დაიმორჩილა საქართველოს სამხრეთის ტომები, თუმცა ჩრდილოეთის ოლქები, სადაც ძირითადად გადაინაცვლეს ქართული ტომების გაერთიანებებმა, არ ცნობდნენ აქემენიდების ხელისუფლებას და არ ემორჩილებოდნენ მას.

საწარმოო ძალების განვითარების შედეგად, ქართველი ტომების მიერ რკინის ათვისების ეპოქაში, შეიქმნა გვაროვნული თემის დაშლისა და მონათმფლობელური საზოგადოების ჩასახვის წანამძღვრები. ენობრივი და კულტურის მსგავსების საფუძველზე, ქართული ტომების ჯერ კონსოლიდაციისა და შემდეგ გაერთიანების შედეგად, ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე იქმნება ორი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი: აღმოსავლეთ საქართველოში — იბერია და დასავლეთ საქართველოში — კოლხეთი.

ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპირო იონიელი ბერძნების ყურადღებას იქცევს. ყველაზე მარჯვე ადგილებში მათ დააარსეს ბერძნული ახალშენები — ფასისი (ფოთის მახლობლად), დიოსკურია (სოხუმის მახლობლად), გიენოსი (ოჩამჩირის უბანში). მოგვიანებით პიტაუნტა (ბოჭვისთა). ასეთივე ახალშენები დააარსდა ჩრდილეთ შავისღვისპირეთშიც (პანტიკაპეონი, ოლეია, ხერსონესი და სხვა). ბერძნებს, ბუნებრივია, ამოძრავებდა სავაჭრო ინტერესები. მათ გაჰქონდათ კოლხეთიდან ადგილობრივი მასალები — სელი, ბეწვეული, ტყავი, საშენი ხე-ტყე, ოქრო, რკინა. გაჰყავდათ მონებიც. სამაგიეროდ, შემოჰქონდათ თავისი ხელოსნობისა და ხელოვნების ნაწარმოებები, ძვირფასი კერამიკული ჭურჭელი, ქსოვილები, ქანდაკებები, აგრეთვე ზეთი და ღვინო. ამგვარად, ბერძნულმა ახალშენებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. ძველი კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ისინი ხელს უწყობდნენ ვაჭრობისა და წარმოების განვითარებას. ამის მაჩვენებელია თუნდაც ძვ. წ. VI საუკუნეში ადგილობრივ მოჭრილი ვერცხლის ფული — „კოლხური თეთრა“.

ქართლის, ანუ იბერიის სამეფოს შექმნა რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ეს პერიოდი ასახულია ქართულ საისტორიო წყაროებში. მათი გადმოცემით, როდესაც აღექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო ირანი და წინა აზია, დამპყრობლები შემოვიდნენ

საქართველოშიც. მათ მოჰკლეს მცხეთის მამასახლისი და ქვეყნის მმართველად დააყენეს თავისი სარდალი – აზო, რომელიც ემორჩილებოდა საბერძნეთის მეფეს. იგი დამკვიდრდა მცხეთაში და, თითქოს, დაიმორჩილა არა მარტო ქართლი, არამედ დასავლეთ საქართველოც (ეგრისი) და ხარკი დაადო კავკასიის მთიანეთს (ოსები, ლეკები, ხაზარები). აზო საშინლად ავიწროებდა ადგილობრივ მოსახლეობას. მისი ბრძანებით დაანგრევს ქართლის ციხეები და ხოცავდნენ ყველას, ვისაც კი იარაღს აღმოუჩინდნენ. ასომ ჩამოიყვანა არიან-ქართლიდან ათასი სახლი მდებრივი და ათი სახლი მთავართაგან.

ქარგა ხნის შემდეგ გამოჩნდა ჭაბუკი ფარნაეაზი (მცხეთის მამასახლისის ძმის-შვილი), რომელიც დაუკავშირდა დასავლეთ საქართველოს ერისთავს ქუჯის და მასთან ერთად მოაწყო აჯანყება აზოს წინააღმდეგ. აზოს ჯარის ნაწილი ქართველების მხარეზე გადმოვიდა, დამპყრობლები დაამარცხეს, ხოლო თავის აზო დაიღუპა. ამგვარად, ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე წარმოიქმნა ქართლის სამეფო ფარნაეაზიანთა დინასტიით სათავეში. ფარნაეაზმა ქუჯი ეგრისის მმართველად დააყენა, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში მმართველებად განაწესა ერისთავები, რვა საერისთავოს გარდა, შიდა ქართლში საგანგებო ერთეულის სათავეში მთავარსარდალი (სპასპეტა) განაწესა. ფარნაეაზი მფარველობდა მის მხარეზე გადმოსულ აზოს მებრძოლებს და განაწესა ისინი თავისი ქვეყნის სხვადასხვა მხარეს (მათ აზნაურები ეწოდა). მეკვმ კვლავ ააშენა მცხეთის 'სღურდეები და სხვა ციხეები, მთავარ ღვთაებად გამოაცხადა არმაზი, რომლის კერძი მცხეთაში, მალალ მთაზე (ბაგინეთში) აღმართა. საქართველოში გამოცხადდა ერთიანი რელიგია. ლეგენდები ფარნაეაზს მიაწერენ აგრეთვე ქართული ენის გავრცელებასა და დამწერლობის შექმნას.

ამ პერიოდში წარმოქმნილი ქართლის სამეფო, ისევე როგორც კოლხეთის სამეფო, წარმოადგენდა ადრეკლასობრივ სახელმწიფოს პირველყოფილ-აემური საზოგადოების გადმონაშთებით. ქვეყნის სათავეში იდგა მეფე, საზოგადოების პრივილეგირებულ ფენას შეადგენდა მეფის საგვარეულო სამხედრო პირნი და ქურუმები. უშუალო მწარმოებლები იყვნენ თავისუფალი მესამეები და მონები, რომელთა რიცხვი შედარებით მცირე ყოფილა.

ძვ. წ. III საუკუნეში იბერიამ დიდ სიძლიერეს მიაღწია. მისი საზღვრები გაფართოვდა სამხრეთით, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთითაც.

ძვ. წ. II საუკუნიდან იწყება რომის იმპერიის ექსპანსია აღმოსავლეთით. ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ რომაელებმა დაამარცხეს პონტოს მეფე მთრიადატე. შემდეგ შეიჭრნენ სომხეთსა და აღბანეთში. ძვ. წ. 65 წელს რომაელთა სარდალი პომპეუსი საქართველოსკენ დაიძრა. იგი აღმოსავლეთიდან მოადგა არმაზციხეს. ქართველთა მეფემ არტაგმა რომაელებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია, ქართველები დამარცხდნენ და ბოლოს დასაყვამდე დასახნმდნენ. რომაელებმა დალაშქრეს კოლხეთიც და იქ მმართველად თავისი მოხელე არისტარქე დააყენეს. ცხადია, რომაელებისათვის რთული იყო შორეულ იბერიაში გამაგრება, ამასთანავე პართიასთან ბრძოლაში მათ ესაჭიროებოდათ მოკავშირე. ამიტომ, ახ. წ. I-II საუკუნეებში ქართლის მეფეს რომაელთა მოკავშირეობა და მეგობრობა დაეკისრა.

ამას მოწმობს ახ. წ. 75 წლის ქვაზე ამოკვეთილი წარწერა იმპერატორ ვესპასიანეს მიერ იბერიის დედაქალაქის ზღუდეების გამაგრების შესახებ, საჩუქრები, რომლებსაც უგზავნიდნენ იბერიის მეფეებს, და ბოლოს, მეყვე ფარსმან II-ის მიწვევა რომში და მარსის მოედანზე მისი ცხენზე ამხედრებული ქანდაკების დადგმა.

მთელი ეს პერიოდი ასახულია წერილობით წყაროებში. ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების (ჰეროდოტე, ქსენოფონტე, პლინიუსი, სტრაბონი, დიონ კასიუსი) ლაკონურ ცნობებში იბერია ხასიათდება როგორც ქვეყანა განვითარებული მეტალურგიითა და მაღალი სამშენებლო ხელოვნებით. ეს ცნობები შეივსო არქეოლოგიური გათხრების უტყუარი მასალით, რომლის მიხედვით საქართველოში უკვე ელინისტურ პერიოდში არსებობდა მნიშვნელოვანი ქალაქები: მცხეთა-არმაზციხე, ვანი, შორაპანი, გორი, კასპი, სარკინე, უფლისციხე და სხვა. საქართველოს საქალაქო ცხოვრების მაღალ დონეს ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლოსა და ახ. წ. პირველ საუკუნეებში გვიხატავენ ბაგინეთის, არმაზისხევის, ვანის, კლდეეთის, ბორის, სამთავროს გათხრების შედეგად გამოკლენილი ყოფის საგნები და სამკაულები სამარხი ინვენტარის მიხედვით, მოსახლეობის მაღალი და საშუალო ფენებიც ფლობდნენ ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელს, ოქროს სამკაულებს, შესრულებულს შესანიშნავი ხელოვნებით. ოქროს ბეჭდები პორტრეტული გემებით, მარგალიტებით შემკული საჭურეები, აწურული ყელსაბამები და დიადემები, გულსაკადები და აბზინდები, სამაჯურები და ქამრის ბალთები მორჩეული პატროსანი ქებით, დაშუშავებული გაეარსით, გრებილითა და წნულით, ბრინჯაოს და რკინის იარაღი, მოხდენილი მინისა და ვერცხლის ჭურჭელი გვისურათებენ მეტალურგიის, როგორც ხელოვნების (ტორეტიკა, ტედურობა) და მინის წარმოების განსაკუთრებულ აყვავებას. იბერიის ქალაქების კულტურული დონის მაჩვენებელია აგრეთვე მრავალრიცხოვანი ეპიგრაფიკული ძეგლები. ეს წარწერები გვაოცებენ თავისი სტილით და გრძნობების ფაქტით გადმოცემით (სერაფიტას საფლავის ეპიტაფია, ზევახისა და კარპაკის გემა და სხვა). ეს გარემოებაც უცილობლად მოწმობს იმ დროის სასოგადოების მაღალ დონეს, საზოგადოებისა, რომელსაც უნდა ჰქონოდა სათანადო სასახლეები, ტაძრები „აგებული არქიტექტურული ხელოვნების წესების შესაბამისად“.

ქალაქთმშენებლობა

„ქართლის ცხოვრების“ მემატიანის დიონის მროველის აზრით, ქალაქები ჩნდება ქართველთა ეთნარქის ქართლოსის დროიდან. ქართლოსის ცილმა ააშენა ქალაქი რუსთაფი, მცხეთოსმა – ქალაქი მცხეთა, ოძრხოსმა – ოძრხე და თუხარისი, ჯავახოსმა – წუნდა და არტაანი, უფლოსმა – უფლისციხე, ურბნისი და კასპი. მაგრამ ქალაქების წარმოშობისათვის საჭიროა სათანადო ეკონომიკური და სოციალური პირობები – ხელოსნური წარმოება და ვაჭრობის განვითარება. ეს კი ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება გეაროენული წყობილების რღვევა და კლასობრივ საზოგადოებაზე

გადასვლა. ასეთი რამ საქართველოში შეიმჩნევა ძვ. წ. VI-V საუკუნეებში. მარსა-
ლია, ასეთი ქალაქები, როგორცაა უფლისციხე, მცხეთა, რუსთავი, როგორც დასა-
ხლებული პუნქტები, არსებობდნენ გაცილებით ადრე (ძვ. წ. II ათასწლეულიდან),
მაგრამ, როგორც არქეოლოგიურმა და ისტორიულმა კვლევებმა გვიჩვენეს, ისინი
ქალაქებად იქცნენ მხოლოდ ძვ. წ. IV-III საუკუნეებში.

როგორც აღინიშნა, დასავლეთ საქართველოში სავაჭრო ურთიერთობის
განვითარებას ხელი შეუწყო შავიზღვისპირეთზე ბერძნული ფაქტორიების გაჩენამ.
ზღვისპირა ქალაქებთან ერთად, ქალაქური ტიპის დასახლებანი შეიქმნა ქვეყნის
შიგნითაც (ვანი, დაბლაგომი, ქუთაისი). განსაკუთრებით ვითარდება ვაჭრობა
ელინისტურ პერიოდში, როდესაც საქართველოზე გადიოდა საერთაშორისო ვაჭ-
რობის სატრანზიტო გზები. სავაჭრო გზების არსებობა ხელს უწყობდა ქალაქების
განვითარებას ძირითადი მდინარეების გასწვრივ. ამ პერიოდის მნიშვნელოვან
ქალაქებად ისტორიული წყაროები ასახელებენ: მცხეთა-არმაზს, ურბნისს, კასპს,
უფლისციხეს, სარკინეს, გაჩიანს, ოძრხეს, კოლხეთში – ქუთაისს, შორაპანს, ღიმნას,
არქეოპოლისს-ნოქალაქევს. ქალაქის მშენებლობისათვის უპირატესობა ენიჭებოდა
პლატოს ბორცვებზე ან მთის კალთებს. ასეთი მდებარეობა, თავდაცვის საკითხებთან
ერთად, უზრუნველყოფდა წვიმის წყლის ბუნებრივ ჩადენას და ხსნიდა ქალაქიდან
საინტერესო ხედებს. ქალაქისათვის ადგილის შერჩევისას მნიშვნელობა ენიჭებოდა
წყლის მომარაგებას. ამიტომ ქალაქები შენდებოდა მდინარის პირას ან მთებზე იმ
შემთხვევაში, თუ არსებობდა მთის წყაროები. ყველა ქალაქი მდებარეობდა
გაბატონებულ მადლობებზე, რომელთაც ჰქონდათ ბუნებრივი ზღუდეები მდინარეებისა
ან ღრმა ხეობების სახით. ხშირად ქალაქს გარშემორტყმული ჰქონდა ხელოვნური
მშრალი ოხრილებიც (უფლისციხე, ურბნისი).

ქალაქს სოფლიდან განასხვავებდა მისი თავდაცვითი კედლებით შემოხდილვა.
გარდა ამისა, ქალაქში უნდა ყოფილიყო სასოგადოებრივი და ადმინისტრაციული
შენობები. ქალაქური საცხოვრებელი სახლები და სავაჭრო ადგილები – ქულები.
თავდაცვითი კედლებს, ბუნებრივია, ჰქონდა ჭიშკრები. ქუჩების სიგანე ყველგან
უმნიშვნელოა და საშუალოდ 3-4 მეტრს აღწევს. ძვ. წ. ბოლო საუკუნეში ქუჩები
ხშირად მოკირწყლულია (ვანი, ძალისა). ქალაქებს ჰქონდა განვითარებული
წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი. კერამიკული, მიწისაგან შედგენილი
წყალსადენის ქსელი დამოწმებულია მცხეთა-არმაზში, ძალისაში, ბიჭვინთაში და
სხვა. მთის ფერდობებზე განლაგებულ ქალაქებს ჰქონდათ ტერასული სტრუქტურა.
შენობები ნაწილობრივ შეჭრილია ფერდობში და იქმნება სხვადასხვა დონეზე მდებარე
გრძივი ქუჩები. რომელთაც აკავშირებდა ქუჩების კედლებზე განლაგებული მოკლე
ქუჩები. ტერიტორიის რელიეფი მაქსიმალურად იყო გამოყენებული. საერთოდ,
რელიეფის მარჯვე გამოყენება და მასთან შენობების შერწყმა ქართული
ხუროთმოძღვრების დამახასიათებელ თვისებად წარმოგიდგება. მშენებლებისათვის,
აღბათ, არ იყო უცნობი ელინისტური სამყაროსა და წინა აზიის ქალაქმშენებლობის
ხერხები. ამას მოწმობს სტრაბონის ცნობა იბერიის ქალაქების მშენებლობაზე
„არქიტექტურული ხელოვნების წესების შესაბამისად“.

ყოფილებას იმსახურებს აგრეთვე მცხეთაში სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ახ.წ. IV საუკუნის საფლავის ქვის ეპიტაფია – „აერელი აქოლისი, არქიტექტონი და არქისოგრაფი“. ამ წარწერის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტიკურ მცხეთაში, ყოველ შემთხვევაში ახ. წ. პირველ საუკუნეებში, არსებობდა სპეციალური თანამდებობრივი პირი, რომელიც ხელმძღვანელობდა ქალაქის მშენებლობასა და არქიტექტურას, მის კეთილმოწყობასა და მხატვრულ სრულყოფას.

ქალაქის ტერიტორია, უმეტეს შემთხვევაში, არ უნდა ყოფილიყო დიდი. თუმცა საუბარი გვაქვს კედლებით შემოზღუდულ მის ტერიტორიაზე გარეუბნების გარეშე. მსხვილი ქალაქების ტერიტორია, როგორც, მაგალითად, მცხეთა, აღწევდა 30 ჰექტარს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მათი ფართობი განისაზღვრებოდა 5-30 ჰექტარით. სტრაბონის თქმით, შორაპნის ციხე დაიტევდა მთელი ქალაქის ტერიტორიას (10 ათასი კაცი).

ქალაქის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა შიდა ციხე (აკროპოლისი). შიდა ციხის ერთი ან ორი მხარე ემხრობოდა კლდოვან ფლატეს, ხოლო დანარჩენი მხარეები მიმართული იყო ქალაქისაკენ. ასეთი მდებარეობა დამოწმებულია არმაზციხეში, ნოქალაქეში, შორაპანში, დმანისში.

მცხეთა შედგებოდა ორი ძირითადი ნაწილისაგან – „არმაზით კერძი ქალაქისა (მტკერის მარჯვენა ნაპირას) და მუხნართი კერძი ქალაქისაგან“ (მტკერის მარცხენა ნაპირი). დიდი მცხეთა, როგორც ირკვევა, გარდა საკუთრივ მცხეთისა და შიდა ციხისა (არმაზციხე), შეიცავდა საპიტაქსოს (ერისთავთა რეზიდენცია) – წიწამურს, სარკინეს, ნაქულბაქევეს. ეს უბნები სასოფლო რაიონებსაც შეიცავდა, რომლებიც ინახავდნენ დედაქალაქის მოსახლეობას. ეს გამაგრებული უბნები ქმნიდნენ დიდი მცხეთის ერთიან სათავდაცვო სისტემას. ჩრდილოეთიდან მცხეთას იცავდა ღარათის კარ-ბებრისციხე-წიწამურის სიმაგრეები, დასავლეთიდან სარკინე – სავანე, ხოლო აღმოსავლეთიდან ნაქულბაქევის ზღუდე. არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინეს საკუთრივ მცხეთის არგულივ არსებული გალავნის ფრაგმენტები. ქალაქის ჩრდილო ნაწილში, მცხეთის გორაზე აღმოჩნდა თლილი ქვისა და კირის ღულაბით ნაგები გვიანდელი ანტიკური ხანის ზღუდის ნაწილი. ქალაქის ცენტრში მშრალი ხევის მარჯვენა მხარეს გალავნის ჩრდილო უბანზე აღმოჩნდა კარიბჭე – არაგვის კარი. კარიბჭის კედლები ნაგებია ნატეხი ქვით და მოპირკეთებულია თლილი ქვებით. გარედან იგი გამაგრებული ყოფილა სექტორის მოყვანილობის კოშკებით. გალავანი და კოშკები ამოყვანილია ალბისით. გარდა ამისა, დედაქალაქს ჰქონდა შიდა ციხე, რომელიც სამეფო რეზიდენციას წარმოადგენდა.

არმაზციხე – მცხეთის შიდა ციხე მდებარეობს მცხეთის მოპირდაპირე მხარეს, მდ. მტკერის გადაღმა, ბაგინეთის მთაზე. აქ გამოვლენილია საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელი სისტემა (სურ. 14, 15, 16, 17, 18, 19). ბორცვის უმაღლეს წერტილზე აღმოჩნდა დიდი ხომის ქვათილები, რომლებიც საფუძემდებლ იძლევიან ვივარაუდოთ, რომ აქ მდებარეობდა არმაზის საკერპე ადგილი (მეფე ფარნავაზის მიერ დადგმული ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის დასაწყისში). აქედან ქვემოთ მთის კალსას მიჰყვება უძველესი ზღუდე, რომელიც ძვ. წ. IV-III

საუკუნეებით თარიღდება. ეს კედელი აღიზიან იყო ამოყვანილი, აღიზიან მსხვილი აგურები დაწყობილია თლილი ქვის საფუძველზე. დამრეც ფერდობზე კედლის ასაგებად საფუძელის ქვები ჩასმულია კლდეში ამოკვეთილ ფოსოებში. ყოველ ხუთ მეტრზე კედელი გამაგრებული ყოფილა კონსტრუქციებით, ხოლო დაახლოებით 50 მეტრის მანძილზე კედელს ახლავს ოთხკუთხა კოშკები. აღიზიან წყობაში სიმეტრიისათვის გარდიგარდმო დატანებული ყოფილა ხის ძეგლები. აღიზიან კედელი შელესილია თიხის ბათქაშით ატმოსფერულ ნალექებისაგან დასაცავად.

შემდეგი პერიოდის გალაგებით შემოხლულულია არმაზის ქედის „დასასრული“ – აღმოსავლეთის ბოლო მხლდა. აქ ქედი ციცაბოა და შემდეგ თანდათანობით ვაკდება. ამ შემადგენელს აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მდ. მტკვარი ჩაუდის, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი პატარა ქედი გასდევს. ამ უკანასკნელს მწვერვალოდან უერთდება ამჟამად ქედი და ამ ორ მომცრო ქედს აუყვება გალაგანი. ასე იკვრებოდა ციხის ტერიტორია, რომელიც დიდ სწორფერდა სამკუთხედის მოყვანილობისაა და მისი ტერიტორია 30 ჰექტარს აღწევს. განსაკუთრებულ გამაგრებას მოსახოვდა სწორედ სამკუთხედის სამხრეთი მხარე – აქ აღმოჩნდა „სლუდეა ორი რიგი. კედლები მაღალი ყოფილა და განიერიც (2,8-3,0 მ). კედლის საფუძველი და კოშკები შექმნილია თლილი-ქვების კარგად დამუშავებული კვადრებით. ყველა ქვა ერთმეორესთან გადაბმულია ორმაგი „მერცხლის კედის“ ტიპის სამაგრებით. აქაც, როგორც უძველეს კედელზე, საფუძვლის კვადრები ჩასმულია კლდეში ამოკვეთილ ბუდეებში. ამ მტკიცე, გულდასმით შესრულებულ საფუძველზე ამოყვანილია აღიზიან კედელი. კედელს აქაც ახლავს ოთხკუთხა კოშკები. გალაგანი თარიღდება ძვ. წ. I საუკუნით.

შემდეგი პერიოდის კედლები ციხის ქვედა ტერასას გასდევს, ამასთან ერთად შეიმჩნევა ამ პერიოდში ადრე აშენებულ „სლუდეა გამაგრება, ან დანგრეული კედლების აღდგენა. ეს კედლები მიეკუთვნება ახ. წ. I-II საუკუნეებს. კვადრები უხეშად არის დამუშავებული და წყობაში უხეშად არის გამოყენებული კირის დუღაბი. უკანასკნელი ზედა ფენა წარმოდგენილია ფლეთილი რიყის ქვის კედლებით, კირის დუღაბზე და მიეკუთვნება ადრინდელ შუა საუკუნეებს – ახ. წ. V-VI საუკუნეებს.

როგორც ვხედავთ, არმაზციხეზე უკვე ადრინდელ პერიოდში (ძვ. წ. III ს.) თაღდაცვით ნაგებობათა მშენებლობაში გავრცელებული ყოფილა ქვათილების საფუძველზე აგებული აღიზიან გალაგნები. აღიზიან კედლების კოშკები და ბურჯები დახურული იყო დიდი ზომის კრამიტით. კრამიტით შეიძლება გადახურული იყო მთელი გალაგანიც. ეს ხერხი შესაძლოა ტრადიციულად ჩაითვალოს, თუ გავითვალისწინებთ ციკლოპური ციხეების „სლუდეა წყობას. ამასთან, ასეთივე ტექნიკით აგებულია სხვა ციხეების გალაგნებიც: გორი, სარკინე-საგანე, წიწაშური და სხვა. ეს კი ადასტურებს, რომ აღიზიან კედლები ქვის საფუძველზე მთელი ქართლის სამეფოს დამახასიათებელი ხერხია.

გორი უძველესი ქალაქი და გზაჯვარედინის კვანძი იყო. აქ თავს იყრიდა არა მარტო დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, არამედ ჩრდილოეთიდან ლიხაზე და სამხრეთიდან მდ. ტანას ხეობით მომავალი გზები. საფიქრებელია, რომ ციხესა და ქალაქს საფუძველი ჩაეყარა სწორედ იმ კლდედან გორაზე, რომელიც ტაფობის

შუაშია აღმართული. 1966 წელს, გორის ციხის ჩრდილოეთ ფერდობის ჩამოხეაგების შედეგად, გამოიწვიდა ანტიკური ხანის დამახასიათებელი გალავანი - ქვათლილების რამდენიმე რიგი, რომლის ზემოთ ამოყვანილია ალიზის კედელი. იგი დახურულია არმაზციხის ანალოგიური კრამიტით. ეს კი საფუძველს იძლევა გორის გალავანს ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით დაეკავშირდოს.

სარკინე მღებარეობს მცხეთის დასავლეთით 8 კმ-ის მანძილზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. სარკინეს ორ უბანზე -- სავანეთის ქედსა და გრძელ მინდორზე -- გამოვლენილია ძვ. წ. III-II საუკუნეების გალავანი ალიზის კედლებით და ალიზის კოშკი. გრძელ მინდორზე დიდი რაოდენობით გამოვლენილია კირქვის არქიტექტურული ფრაგმენტები: იონური სვეტის თავი, ელინისტური ხანის რაშული ჩუქურთმებით შემკული სვეტის, ნახევარსვეტისა და ლავგარდნის ნაწილები. აღმოჩნდა ტრასულად განლაგებული, ქვათლილებითა და ალიზით ნაგები, მცხეთური კრამიტით გადახურული საკულტო და საცხოვრებელი ნაგებობანი და ლითონის გამოსადნობი სახელოსნოს ნაშთები.

მცხეთის ჩრდილოეთით, სოფელ წიწამურთან (სტრაბონის სექსამორა), ე. წ. წიწამურის სერზე, გათხრების შედეგად აღმოჩენილია ციხესიმაგრე, რომელიც არაგვის კარს ეკუთვნის. აქ აღმოჩენილია არმაზციხის მსგავსი დიდი, კარგად გამოყვანილი ქვათლილების საფუძველი ალიზის წყობისათვის. საფუძველის კვადრები ერთიმეორეზე სამაგრებით - პირონებით არიან გაღებულნი, თანაც როგორც თარახულად, ასევე შეეულადაც. აქვე გალავნის შიგნით აღმოჩნდა წრიული მოყვანილობის შენობის კარგად გათლილი და ორმაგი სამაგრებით გადაბმული კვადრების წყობა. ამჟამად ძნელი დასადგენია აქ წრიული ფორმის კოშკი იყო თუ საკულტო ნაგებობა.

უფლისციხე კლდეში ნაკვეთი ქალაქია. სწორედ ამიტომ, საქარსველოს სხვა ქალაქთა შორის, მან ყველაზე მკაფიოდ და სისრულით შემოგინახა გეგმარების სისტემა, თავდაკეთი ნაგებობების, საცხოვრებელი და სახოგადოებრივი შენობების სახეები (სურ. 20, 21, 22, 23, 24, 25). უფლისციხის ათვისება ძვ. წ. III ათასწლეულში დაწყებულია. შემდეგ, უკვე ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნაზე, აქ ერთ-ერთი ძლიერი ათეში დასახლებულა, არსებული ბუნებრივი ქვაბები საცხოვრებლად გამოუყენებია და სამოსახლოც გაუმაგრებია. ამ დროის საცხოვრებელი სახლი მარტივი გეგმისაა, ნაგებია ფლეთილი ქვითა და ძელებით, რომელიც თიხის ხსნარითაა შელესილი. ამგვარად, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში უფლისციხე შიდა ქარსლის გაბატონებული ათემის საცხოვრისი და სატომო გაერთიანების ბელადის (უფლის) ციხეა. როგორც ჩანს, გარშემო მღებარე თემები მასზე დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ როგორც უფლებრივად, ისე ეკონომიკურადაც.

„მოუკალი გამოქვაბულის“ აღმოჩენის შემდეგ დადგინდა, რომ რაშული აღნაგობის, ორსართავსანი, არქიტექტურულად გაფორმებული, კლდეში ნაკვეთი დარბაზები, რომელთა ბრტყელი ჭერი კოჭოვანი გადახურვის მიბაძვისაა გაკეთებული, მიეკუთვნება ძვ. წ. VI-V საუკუნეებს.

ძვ. წ. III-I საუკუნეებში უფლისციხე ტიპური ელინისტური ქალაქია

აკროზოლისით, გარეუბნებისა და ხელოსნური წარმოებით (მხატვრული ხელოსნობა, მეიარაღეობა, ქსოვილებისა და ტყავის დამუშავება). როგორც ჩანს, იგი უკვე უპარყოდა ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში. ეს პერიოდი წარმოადგენილია კედლების ფრაგმენტებით, სადაც კარგად გათლილი კვადრები მშრალი წყობით დაკავშირებულია „მერცხლის კუდის“ ფორმის სამაგრებით. ეს „ხლუდე, რომელიც ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან იცავდა ქალაქს, მოგვიანებით (ძვ. წ. I საუკუნეში) დანგრეულა. მასზე ახალი კედელი დაუშენებიათ, ისიც კვადრებით, მაგრამ გადაბმის სამაგრების გარეშე და კირის დუღაბის გამოყენებით. ამ ხანაში ამოიკვეთა გვირაბი და კლდეკარი, დამცველი თხრილი და მცირე კლდეკარი, საწინახელები და საფორტიფიკაციო კედლები.

ახ. წ. I-III საუკუნეებში უფლისციხე კელაფაც მნიშვნელოვანი ქალაქია, თუმცა არსებობს ჯიხი, რომ იგი უკვე წარმართულ საკულტო ადგილსაც წარმოადგენდა (ტაძრების მომრავლება).

ახ. წ. IV საუკუნეში იწყება ადრეკლასობრივი ქალაქების დაქვეითება და ფეოდალური ციხე-ქალაქების შექმნა. უფლისციხე თანდათანობით კარგავენ თავის მნიშვნელობას.

VIII-IX საუკუნეებში, როდესაც იწყება ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, უფლისციხემ გამოჩნეული როლი შეასრულა ამ პროცესში.

„აშურთანს ზეით არის უფლისციხე, კვერნაქის გამოკიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკერის კიდეა, რომელი აღაშენა პირველად უფლოს. ძემან ქართლოსისამან. და იყო ქალაქი ჩინგისამდე, აწ არს შემუსერილი. არამედ შენობა უცხო, კლდისაგან გამოკეცილი, პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებულნი კლდისაგანვე, გვირაბი ჩახერტით ჩაკაფული მტკერამდე, დიდი, დასავლით აქეს ქარაფი მალალი. და მას შინა გამოკეცილი კვანძი, მრავალ დიდნი, არამედ აწ შეუვალ არს“. ასე ახასიათებს უფლისციხეს XVIII საუკუნეში ვახუშტი ბაგრატიონი.

ქალაქი, რომლის ფართობი ათ ჰექტარს აღწევს, სამხრეთიდან და დასავლეთიდან კარგად იყო დაცული. აქ კლდე თითქმის ევრტიკალურია, გარდა ამისა, სამხრეთიდან მას იცავდა მდ. მტკერი. ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ქალაქის დასაცავად გამოყენებულია ბუნებრივი ნაპრალების გაფართოების შედეგად კლდეში ამოკაფული თხრილები. თხრილის ზედა ხაზზე მას მოჰყვება მალალი და მილაური „ხლუდეები. ქალაქს სამი შესასვლელი ჰქონია. ერთია აღმოსავლეთის, რომელიც ზემოთ მიემართება და იქ ორად არის განშტოებული, სამხრეთიდან კი კლდეზე ამოდის კლდეკარი – კლდეში ჩაკეცილი საცალფეხო ბილიკი სიგრძით 60 მეტრი და სიგანით 1,5 მეტრი. გარდა ამისა, ქალაქის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს გვირაბი (დიამეტრით 3 მ), რომელიც მდ. მტკერის ნაპირზე გადის და რომელსაც ქალაქის წყლით მომარაგება ეკისრებოდა.

როგორც ეტყობა, ქალაქი სამ ხონად იყო გაყოფილი: სამხრეთის – ვაჭრობისა და ხელოსნობის, რომელიც გამოყოფილია ბუნებრივი ხეივით; ცენტრალური, სადაც განლაგებულია სასოფადოებრივი და საცხოვრებელი-მეწიხეები, და ჩრდილოეთის – სამხედრო-სამეურნეო დანიშნულების. სასოფადოებრივი და საცხოვრებელი დარბაზები

კლდეზე ტერასისებურადაა განლაგებული. ტერასები ქალაქში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ვშეგება, რის შედეგად ქვაბულები, ძირითადად, ორიენტირებულია სამხრეთისაკენ, იშვიათად – აღმოსავლეთისაკენ. ყველა დარბაზი ერთსართულიანია, რადგან მშენებლებმა გაითვალისწინეს ქვიშაქვის დაბალი სიმტკიცე. შუა საუკუნეებში, ამ პრინციპის დარღვევის შედეგად, სარსულებად გამოიკვეთილი დარბაზები (ქვაბულები) ჩაქცეულია. ქვაბულები უმეტეს შემთხვევაში კომპლექსებს წარმოადგენენ და აქვთ მკაფიო დაგეგმარება. დარბაზების წინ შექმნილია მცირე ზომის მოედანი – ღია ეზო, დარბაზები კი განლაგებულია მის ერთ ან სამ მხარეს. ეზოში გამოიდის კამაროვანი (უფრო იშვიათად ბრტყელი) გადახურვის მქონე კარიბჭე, რომელიც აერთიანებს მასზე დაქვემდებარებულ ქვაბულებს. თითქმის ყველა კომპლექსში, საცხოვრებელ სადგომთა გარდა, არის დამხმარე სამეურნეო საკუჭნაოები.

ქალაქის სამხრეთ ნაწილში (მეორე კლდეკარიდან) იწყება ქალაქის მთავარი ქუჩა. იგი ჩრდილოეთისაკენ მიემართება ქალაქის ცენტრში მდებარე მოედნისაკენ. მისგან ორივე მხარეს უფრო ვიწრო ქუჩებია. რომელია გაყოლებით განლაგებულია ხუროთმოძღვრული კომპლექსები. მთავარი ქუჩის ზედა მონაკვეთი მიჰყვება ღრმა ხეეს, რომელშიც აღმოჩნდა საცხოვრებლები და სახელოსნო. ხევის კიდეზე ქუჩას გასდევს კლდეში ამოღარული წყალსაწრეტი არხი.

მდებარეობით, ნაგებობათა სიდიდით და არქიტექტურის სახეობით ხასიათით გამოირჩევა ქალაქის შუა უბანი. პირველ მარცხენა ქუჩასზე სადა ოთახების მწყობრია. მათ მისდევს შეწყვილებულ კოჭებიანი დარბაზი, ხოლო ქუჩის ბოლოს კესონებიანი დარბაზის კომპლექსია. პირველ ქუჩასა და მთავარ ქუჩას შორის ორი მცირე სადა ოთახი და დიდი საცხოვრებელი სახლია, რომლის ეზოს სიღრმეში კამარით გახსნილი დარბაზია. შუა უბნის მთელ სიგანეზე მოსწორებულია დიდი ბაქანი, რომელზეც აღმართულია ორსვეტიანი და ოთხსვეტიანი დარბაზების კომპლექსები. დარბაზებს შორის, მთავარი ქუჩისაკენ, გაშლილია სამკუთხა მოხაზულობის ეზო. ოთხსვეტიანი დარბაზის ღონესე, ხელოვნურად მოსწორებულ ბაქანზე, ერთსვეტიანი დარბაზი და აღმოს მონახტულოთახიანი სახლია, ქარაფის პირას კი XIII-XIV საუკუნეების ეკლესიები. ბაქნის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში მთავარი ქუნიდან ამოსასვლელი კაბეა, კუთხეში კი ციტადელის უმაღლეს ადგილას ასასვლელი კაბეა. აქ დგას კოხტა სახლი, ხოლო მის გვერდით ოთხკუთხა ბაქანია, სადაც ამოკვეთილია ხის სვეტების ჩასადგმელი ფოსოები. მთავარი ქუჩის ბოლოში მდებარეობს მაღალტახტიანი ოთახის კომპლექსი. ქუჩა კი მიდის დიდი ნაგებობის წინა, ღია დარბაზამდე. მის მესობლადა, აღმოსავლეთით, მდებარეობს წითელი ოთახის კომპლექსი. დიდი ეზოს ჩრდილოეთით ორი ოთახია, მათ წინ – ღია დარბაზები, სამხრეთით კი ეკლესია. ზემოთ, მეორე ტერასასზე გრძელი ნაგებობაა, რომელსაც ფასადის ცენტრში ბურჯი ახლავს. აქედან იწყება ღრმად ჩაჭრილი დილე (სიღრმე 10,2 მ). დილეს ჩრდილო ნაწილში აღმოჩნდა ძველი, დიდი დარბაზის იატაკი და კედლები. როგორც ჩანს, დარბაზი არ ყოფილა მოღიანად კლდეში ამოკვეთილი. იატაკში ამოჭრილი ბუდეების მიხედვით, დარბაზს ხის გადახურვა ჰქონდა და კრამიტითაც იყო დახურული. აქ

ვარაუდობენ სასახლის რთულ კომპლექსს, რომელშიც შედიოდა აგრეთვე მომიჯნავე კლდეში ნაკვეთი ნაგებობები და საკულტო ტაძარი „მაყვლიანი“.

ქალაქის ტერიტორიაზე კლდეში ამოკვეთილია არხების ქსელი, ნაპოვნია წყალსადენის კერამიკული მილებიც, ხოლო სათავე 4 კმ-ის დაშორებით, კვერნაქის ქედის ფერდობზე, „აგაზნების“ წყაროსთან ყოფილა. ეზოებში ამოკვეთილი მცირე ღრმულები ქანობისაკენ გაჭრილი არხით და მთავარ კარიბჭესთან ამოჭრილი ღრმა არხები მიწმოხენ წყალსაწრეთი სისტემის არსებობასაც.

ქვემო უბანში, რომელიც ქალაქის ყველაზე დაბალ ადგილას მდებარეობს, ხელოვნურად მოსწორებულა მოედანი, სადაც ამოდის ეიწრო კლდეკარი. უბნის ჩრდილოეთ მხარეს, მოედნის პირას, გაჭრილია ქუჩა, რომლის ორივე მხარეს ჩამწყვრილებულია მცირე, დაბალი სათავეები, რომლებიც სავაჭრო რიგების შესაბუნებლად ტოვებენ. სამხრეთის მონაკვეთზე მდებარეობს დიდი დარბაზი, რომელსაც კარგად დამუშავებული კიბე აქვს. აქედან იწყება ჩასასვლელი გვირაბი.

ზემო უბანი ყველაზე განიერია და საცხოვრებლად იყო განკუთვნილი. აღსანიშნავია, რომ საუკუნეზე მეტი ხანია უფლისციხე იზიდავს სიძველის მოყვარულთა ყურადღებას, ამასთან, ქვაბულითა შესწავლა-დათარიღებაში სუფევდა ახრთა წარმოუდგენელი სხვადასხვაობა. გამოქვაბულთა ერთი და იმავე ჯგუფის მკვლევართა ერთი ნაწილი მას შუა საუკუნეებითა ათარიღებდა, მეორე – გვიანანტიკურით, ხოლო მესამე – უფრო ადრეულთა, მაგრამ მანც გაურკვეველი პერიოდით. უფლისციხის შესწავლის მიცნირულ საფუძველზე დაყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ ფართო არქეოლოგიური გათხრების გზით. მართლაც, 1957 წელს დაწყებულმა გათხრებმა შუქი მოჰფინეს ამ უნიკალური ქალაქის წარმოქმნას. განეყარება და სხვა გაურკვეველ საკითხებსაც.

ცენტრალური ქუჩის დასაწყისთან მდებარე მოედნის სამხრეთით მტკერისპირა ფლატეა და თითქოს აქ დამცველი კედელი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ გათხრების შედეგად გამოვლინდა უფლისციხის უძველესი სლუდე-გალავანი, ნაგები კარგად დამუშავებული ქვასილიებით, რომელთა წყობის თითოეული ქვედა მწყრივი კლდეში ნაკვეთი სპეციალურ თაროზე დევს. კვადრებში სიმტკიცისათვის ამოკვეთილია მერცხლის კუდის ფორმის ფოსოები სამაგრებისათვის. ამ საფუძველზე კი ამოყვანილია აღიხის კედელი. ეს სლუდეები ძვ. წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება. ამ კედლების ზემოთ (დანიგრების შემდეგ) ახალი სასიმაგრო კედელი დაუმუშავებიათ – ისიც თლილი კვადრებით, მაგრამ გადაბმის ფოსოების გარეშე.

ამას გარდა, სასახლის კომპლექსის ზედა ტერასაზე მდებარე მოედნის დასავლეთ კედელზე, შეიქმნა ფლატესთან იყო გამოქვაბული, რომელშიც ჩასვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. როგორც იქნა ამ „მოუვალ გამოქვაბულშიც“ შეადგინეს და აღმოჩნდა ორგანოლოგიური კომპლექსი, რომელიც ძვ. წ. VI-V საუკუნეებში ამოუკვეთიათ. იატაკზე ძვ. წ. V-IV საუკუნეების კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები იყო დაცული. ამ დროის შემდეგ ამ დარბაზში აღამიანს აღარ უცხოვრია და კომპლექსი მოუვალად გამხდარა ფლატეს ნაქვევის გამო. „მოუვალ გამოქვაბულის“ დარბაზის ჭერი ზუსტად იხედავია, როგორც სასახლის დარბაზის ჭერი. ამგვარად, გამოირკვა, რომ

კოჭური გადახურვის მქონე დარბაზები ადრეანტიკურ ხანას - ძვ. წ. VI-IV საუკუნეებს მიეკუთვნება.

როგორც დაეინახეთ, უფლისციხის ქალაქის ანსამბლის დირსებას ძირითადად ძვ. წ. IV-III საუკუნეთა დარბაზები განსახლვრავენ. სწორედ მათ უკავიათ ქალაქის ცენტრალური, გამორჩეული უბანი. მათთვის დამახასიათებელია კლდის გონიერი, რაციონალური გამოყენება, მრავალფეროვნება, ეხიოანი სახლების გეგმის დახვეწილი ორგანიზაცია. ყველა ნაგებობა გამოკვეთილია განსაკუთრებული მონდომებით. დარბაზებში გააზრებულია არა მარტო მათი ინტერიერი, არამედ ფასადებიც. დარბაზების გაფორმებაში ვხვდებით როგორც ქვის არქიტექტურისათვის დამახასიათებელ დეკორს, ასევე ხის ნაგებობათა კონსტრუქციული ელემენტების იმიტაციებსაც. უფლისციხე ძველი ქარსული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი და ბრწყინვალე ნიმუშია.

ვანი. (სურ. 26, 27, 28). დასავლეთ საქართველოს - კოლხეთის ანტიკურ ქალაქთა შორის, ძველების მრავალფეროვნებისა და რაოდენობის მხრივ, გამოირჩევა ვანის ნაქალაქარი: იგი მდებარეობს მდ. სულორის ხეობაში, დაბა ვანის დასავლეთ განაპირას. დაბალ ბორცვზე. ძირითადი ნაგებობები განლაგებული ყოფილა სამკუთხედის მოყვანილობის ბორცვის სამ ტერასაზე, რომლებიც შემოსლულულია ყოფილა მძლავრი, კოშკებით გამტკიცებული გალავნით.

ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებულია შესასვლელი - კარიბჭე, რომლის მხოლოდ დასავლეთის ნახევარია შემორჩენილი. ძირითადი კედელი (სიგრძით 3 მ და სიგანით 2,8 მ) აქვამად 1,5 მ სიმაღლისაა. კედლის ქვედა ნაწილის კედლები ჩასმულია კლდოვანი გრუნტის ბუდეებში. კედლის გარე მხარე აგებულია მჭიდროდ მორგებული რუსტებიანი კვადრებით. ქვის წყობის ზემოთ კედელი ამოყვანილია ალიზით (აგურის ზომებია 52 X 52 X 10 სმ). შესასვლელთან, ქვის პოსტამენტზე აღმართულია ოსიკუთხა სვეტი, რომელსაც მდგარა ქალღმერთის მარმარილოს ქანდაკება. შემორჩენილი ნარიმანდების მიხედვით, კარებში მაგრდებოდა რკინის გისოსი ე. წ. კატარაქტა, რომელიც კეტავდა კარებს საშიშროების შემთხვევაში. კედლის ძირში მდებარე ფილაში გამოკვეთილია კარების ღერძის ბუდე. თვით კარები ხისა ყოფილა, რკინით მოჭედდით. შესასვლელის შიგნით შექმნილია სწორკუთხა ფორმის ეზო. მისი კედლები მოპირანგებულია რუსტებიანი კვადრებით. დასავლეთის კედელზე მიდგმულია ქვის საკურთხეველი. შიდა ეზოს სამხრეთიდან ადგება ორ მეტრამდე სიგანის მოკირწყლული ქვაფენილი. აღმოსავლეთიდან კარიბჭეს იცავდა ნახევარწრიული ფორმის კოშკი. გალავანს შიგნით, 2,8 მ მანძილზე, მას გასდევს პარალელურად აგებული კედელი. კედელი მათ შორის გაყოფილია ტიხრებით ცალკეულ სექციებად. რომლებშიც აღმოჩნდა ამფორები და ქვის სატყორცნი ბირთვები. ცხადია, ეს სექციები განკუთვნილი იყო სურსათის მარაგისა და საბრძოლო მასალისათვის. როგორც ჩანს, თვით სატყორცნი იარაღი ეწყობოდა კედლის თავზე - მეორე სართულზე. წრიული ფორმის კოშკს 15 მ სიგრძის კედელი აკავშირებდა მეორე ექვსწახნაგოვან კოშკთან. ძვ. წ. III საუკუნის ეს ფრაგმენტი წარმოაჩენს ამ პერიოდის საფორტიფიკაციო კონცეფციას.

ქალაქის ტერიტორიის შიგნით მოსალოდნელი იყო ანტიკური ქალაქმშენებლობისათვის ჩვეული რეგულარული დაგეგმარება ქუჩებისა და მოედნებით. მაგრამ, როგორც ელინდება, ვანის დაგეგმარება არ ემორჩილება ამ კანონებს, ნაგებობები გაფანტულია სამივე ბორცვის ტერასაზე. ქალაქის კარიბჭის სამხრეთ-დასავლეთით აღმოჩნდა შენობათა ნაშთები, რომლებიც ძვ. წ. V-I საუკუნეებს განეკუთვნებიან, მაგ., ქვის კედლების ფრაგმენტები ფერადი ბათქაშით (ძვ. წ. III ს). ძვ. წ. II ს-ის ნანგრევებში აღმოჩნდა ტარანის ლითონის ნაწილები, კერძოდ, რკინის ურნალი, რომელიც ელინისტურ ხანაში იხმარებოდა თავდაცვით ნაგებობათა დასანგრევად. გაწმენდისას გაიკვია, რომ საქმე გვაქვს საკმაოდ დიდი ზომის ტაძართან. ტაძრის შიგნით აღმართულია სწორკუთხა პოსტამენტზე მდგარი სვეტი – საკუროთხეველი. ტაძარს აქვინია მოსაიკური იატაკი, შედგენილი თეთრი და ვარდისფერი ქვებით. აქვეა აღმოჩენილი მდიდარი შეწირულობა: კოლხური ქვევრი და 40-ზე მეტი ამფორა, 120 სპილენძის მონეტა, რკინის სასაკმეველი, რომლის ჯამის კალსები შემკულია ნატეფური ორნამენტებით. აქვეა ნაპოვნი ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელი. იგი იდგა არწივის ბრჭყალებიან კლანჭებზე და შემკული იყო სამი არწივის გამოსახულებით. ჭურჭლის მოსარიავად გამოყენებულია აგრეთვე ექვსი გორელიეფური გამოსახულება დიონისეს წრის პერსონაჟებისა (პანი, სატირი, არიადნე, მენადები). ჭურჭელს აგვირგვინებდა 18 სმ სიმაღლის ფრთოსანი ქალღმერთის – ნიკეს ბრინჯაოს ქანდაკება. ეს ჭურჭელი ბერძნული წარმოშობისა ჩანს და ძვ. წ. II საუკუნის მხატვრულ წრეს მიეკუთვნება.

ბორცვის წვერზე აღმოჩნდა გაღაცენით შეიმოსებული საკულტო ნაგებობათა კომპლექსი. მის ცენტრალურ ნაგებობას წარმოადგენდა საფეხურებიანი საკუროთხეველი. ამჟამად შემორჩენილია სწორკუთხა, რუსტებიანი ქვათლილებით ნაგები რეასაფეხურიანი კიბე, რომელიც მიემართება სწორკუთხა მოედნისაკენ. ასეთი საკუროთხევლები აღმართული იყო ტაძრის წინ და აქ სრულდებოდა მსხვერპლის შეწირვის სახეობით რიტუალი. აქვეა აღმოჩენილი თლილი ქვით ნაგები მცირე შენობა ცეცხლისაგან გაწითლებული კედლებით. საფიქრებელია, რომ ეს იყო მსხვერპლის დასაწვავი შენობა (ძველ ქართულ ყოფაში დადასტურებულია ასეთი შენობა – სახორეელი).

როგორც ჩანს, ქალაქის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენდა მისი ცენტრალური ტერასა კარიბჭის ზემოთ. ამ ადგილას (ძვ. წ. IV ს) იდგა სწორკუთხა შენობა, რომლისგანაც შემორჩენილია კარგად გათლილი ქვათლილებით ამოყვანილი კედლების საძირკელები. ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევარში ამ შენობის საძირკეებზე აუცილათ მრგვალი შენობა (გარე დიამეტრია 10 მ. ხოლო შიდა 5,4 მ). აქვე ნაპოვნია ტრაპეციის ფორმის ქვის ფილები, ალბათ, შენობის პლაფონის კესონების უჯრედებისა. ამავე ტერასაზე უნდა მდგარიყო კიდევ ერთი მონუმენტური შენობა. ამის მანიერებელია არქიტექტურული დეტალები, პირველ რიგში, თეთრი კირქვისაგან გამოკეცილი ღომის თავეები, რომელთაგან ერთი შენობის მოსართავაა, ხოლო დანარჩენი ორი წარმოადგენს სახურავიდან წვიმის წყლის სადინრად განკუთვნილი სიმის ნაწილს (მათი ზომებია: სიგრძე – 70 სმ, სიმაღლე – 45 სმ, სიგანე – 36 სმ).

როგორც ჩანს, ძე. წ. I საუკუნეში დიდი და ბრწყინვალე შენობები განადგურებულა.

ბორცვის წვერსა და მის კალთებზე აღმოჩნდა აგრეთვე მძლავრი თავდაცვისი კედლების ნანგრევები, რომლებიც იცავდნენ ქალაქს ძე. წ. II-I საუკუნეებში. ბორცვსე გამოვლენილია ძე. წ. V საუკუნის ხის სამლოცველოს ნაშთები. ქალაქის კარიბჭის ჩრდილოეთით. ასოდე მეტრის დაშორებით, აღმოჩნდა კიდევ ერთი ტაძარი, რომელიც ორი სწორკუთხა ფორმის დარბაზისაგან შედგებოდა. ეს დარბაზები უკავშირდებოდა კოშკისებურ შენობას (სამსხვერპლოს). დარბაზში აღმოჩნდა ჩაკეული კრამიტის სახურავის ნაშთები, მათ ქვეშ კი ორი კარგად დამუშავებული სვეტის ბაზისები, რომლებსეც ხის სვეტები მდგარა.

ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში ყოფილა სხვადასხვა დროის საკულტო ნაგებობა. პირველი მათგანი (ძე. წ. III ს-ის ბოლო - II ს-ის დასაწყისი), ორი სამსხვერპლოთი, გეგმაში ნახევრადწრიული ყოფილა. ძე. წ. II ს-ის ბოლოს აქ აუგათ ახალი შენობა. იგი წარმოადგენს საკურთხეველს, რომელიც შედგება სწორკუთხა ფორმის ბაქანისა და მასზე მოშენებული 12-საფეხურიანი კიბისაგან, სადაც ექვსი საფეხური სწორკუთხაა და ამდენივე ნახევარწრიული. საკურთხეველში აღმოჩნდა ბრინჯაოს ქანდაკებათა მრავალი ფრაგმენტი. განსაკუთრებით საყურადღებოა ბრწყინვალედ მოდელირებული ადამიანის ხელის მტევნები. საკურთხეველის სამხრეთ-დასავლეთით აღმოჩნდა ხის ძელებისაგან აგებული შენობა, რომელშიც მრავალი საგანი იყო თავმოყრილი, რაც მიგვითხარებს შემოწირულობებისათვის საგანძურის არსებობასე.

როგორც ირკვევა, დასახლება ვანში დაიწყო ძე. წ. VIII-VII საუკუნეებში. ძე. წ. VI-IV საუკუნის პირველ ნახევარში იგი უკვე ქალაქად წარმოგიდგება. ეს არის კოლხეთის სამეფოს აუვაგების ხანა, ვანი კი ამ სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ცენტრია. რომლის სათავეში ადგილობრივი გვაროვნული არისტოკრატია უნდა ყოფილიყო. სწორედ მათ უნდა ეკუთვნოდეს ვანის მდიდრული სამარხები, ოქროსა და ევროცხლის ინკნტარით. როგორც ირკვევა, დიდებულითა საცხოვრებლებსაც და სამარხებსაც ეკავა მხოლოდ ბორცვის ქვედა და ცენტრალური ტერასები, ხოლო ბორცვის წვერზე მხოლოდ საკურთხეველებია. რაც შეეხება რიგით მოსახლეობას, იგი, ალბათ, ცხოვრობდა ქვეშეთ, მიმდებარე ტერიტორიაზე.

ძე. წ. III საუკუნიდან ვანი ახალ ფუნქციას იძენს. ქალაქი შემოიხლუდა მძლავრი თავდაცვითი კედლებით. შენდება ქანდაკებებით მორთული და კრამიტის სახურავებით დახურული ქვის ტაძრები და საკურთხეველები. მაგრამ ქრება საცხოვრებელი სახლები. რომლებმაც გადაინაცვლეს ვანის დაბალ ნაწილში, მდ. სულორის რიონთან შეერთების ადგილას. ვანი, როგორც ჩანს, გადაიქცა სატაძრო ქალაქად. ეგებ ეს იყო ქალაქი სურეი, რომელიც იხსენიება უკანასკნელ დროს აღმოჩენილ წარწერაში.

ძე. წ. I საუკუნეში ქალაქი ბარბაროსულად დაინგრა კოლხეთში ბოსფორის მეფის ფარნაკის (ძე. წ. 49 წელს), შემდეგ კი მითრიდატე VII-ის შემოსევის დროს (ძე. წ. 47 წელს).

გონიო. ქალაქ ბათუმის სამხრეთით. 8 კილომეტრის დაშორებით, მდ. ჭოროხის შესართავთან მდებარეობს სოფ. გონიო. აქ გ'ის პირას აღმართულია დიდებულ

გონიოს ციხე (სურ. 30). მას ძველად აფსარს უწოდებდნენ. პლინიუსის (ახ. წ. I ს) ცნობით, მდ. აფსარუსის შესართავთან მდებარეობს ამავე სახელწოდების სიმაგრე (კასტელუმი). ფლავიუს არიანე, რომელიმაც ახ. წ. 134 წელს, ინსპექციის მიზნით, მოიარა „მაკი ხელის სამხრეთ აღმოსავლეთი სანაპირო, აღნიშნავს: „აფსაროსში დგას 5 კოპორტა“ - ე. ი. 3000 ჯარისკაცი. აფსარი იხსენიება ბიზანტიურ წყაროებშიც. აგათიას ცნობით, სენატორმა ათანასემ გუბაჰ მეფის მკვლელები იოანე და რუსტიკე ქ. აფსარუნტში გაგზავნა და იქაურ სატუსაღოში დაამწყვდედნენ. პროკოპი კესარიელის გაღმოსავლეთით, „ეს ქალაქი ძველად მრავალმცხოვრებნი ყოფილა, მას გარშემო უკლებდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით და მას მრავალი სხვაც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ, ქალაქის სიდიდის მომასწავებელია. ამჟამად, ამასთან არაფერია დარჩენილი, გარდა ნაშენობათა საძირკვლებისა“. ეს ცნობა 554 წელს ეკუსენის, მაგრამ აფსარს იხსენიებენ უფრო გვიანაც - VII საუკუნის „პასქალური ქრონიკა“ და VIII საუკუნის მწერალი ეპიფანე კონსტანტინეპოლელი. ასევე იხსენიებს აფსარეს VIII საუკუნის ქართველი მწერალი იოანე საბანისძე, VIII საუკუნის შემდეგ წერილობით წყაროებში აფსარი აღარ იხსენიება. მის აღგიღს იკაეებს სახელწოდება - გონიო.

გონიოს ციხის ფართობი 4,5 ჰექტარს აღწევს. გეგმაში იგი თითქმის წესიერ სწორკუთხედს წარმოადგენს ზომით 245 X 195 მ. გალავანი გამაგრებულია 18 კოშკით, რომლებიც მთლიანად გამოტანილია გალავნის გარეთ, აქედან 14 კოშკი სწორკუთხა ფორმისაა, ბოლო ოთხი კუთხის კოშკი კვადრატული ან მომრგვალებული ფორმისაა. ციხის გალავანი არაა ერთდროულად გაშენებული, მასში ამკარად ჩანს სამი სამშენებლო ფენა. უძველესი ფენა აღწევს სიმაღლეში ორ მეტრამდე და ზოგან დაყარულია მიწით. კედლის სისქე აქ არის 2,3-3,1 მ. უძველესი წყობა წარმოადგენს მსხვილი ბლოკებით შედგენილ ორმხრივ პერანგს. ბლოკების სიმაღლე ერთ მეტრამდეა. შუალედის ორმხრივ პერანგს შორის შეესებულია ფლეთილი ქვით კირის ტულაბზე. კვადრები გარედან კარგადაა დამუშავებული, შიდა მხარე კი უფორმოა, რის გამოც მიღწეულია უკეთესი გადაბმა პერანგსა და შეესებას შორის. მეორე პერიოდის კედლის წყობა ოდნავ განსხვავდება ძველი წყობისაგან. ეს აიხსნება იმით, რომ საქმე გვაქვს ძველი კედლების დანგრევის შემდეგ ქვების მეორედ გამოყენებასთან. ზოგან მინც თავს იჩენს კვადრების წყობის უსწორმასწორობა. მეორე ფენის კედლის სისქეა 1,6 მ, ამასთან, კედლის დავაწროება ხდება მხოლოდ შიგნიდან, ხოლო გარედან პირველი და მეორე ფენების წყობა შეთავსებულია და ერთ სიბრტყეს ქმნის. მესამე ფენა წარმოადგენილია კედლებით ძველი ხელუდის თავისე, იგი წერილი ქვებისაგან არის ნაწყობი და ამკარად გამოიყოფა ორივე წინა ფენისაგან. ციხის გალავანში ოთხი ჭიმკარი უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში სამი უკვე მიკვლეულია. დღეს ციხეს მხოლოდ ერთი აღაყაფის კარი აქვს - დასავლეთის მხრიდან, ხოლო ჩრდილოეთისა და სამხრეთისა ამოჭრილია.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ახ. წ. II საუკუნის ათიანი წლებიდან აფსარი, რომელიც ბატონობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პლაცდარმი იყო (თუმცა თავით სახელი აფსარი მიგეითაიებს ძველ ტრადიციებზე. არიანეს თქმით, სწორედ აქ

დაიღუპა მედვას ხელით აიეტის შვილი აფსირტე. ამგვარად, რომაელთა მოსელამდე აქ ქალაქის არსებობა სავსებით დამაჯერებელია). აღსანიშნავია, რომ არც რომაული და არც ბისანტიური წყაროები არ მოგვითხრობენ, თუ ეს მიერ და როდისაა აგებული ციხე.

აღსანიშნავია, რომ არქეოლოგებმა გონიოს ციხესა და მის შემოგარენში რომაული ხანის მრავალ მასალას მიაკვლიეს: წყალსადენის სისტემას, აბანოს, ქვით მოკარწყლოვლ ქუჩას ციტადელის სამხრეთ კარიბჭიდან ჩრდილოეთის კარიბჭემდე, ამფორებს, ბალნამარიებს და სხვა. 1974 წ. ციხის სამხრეთით მდებარე ქედზე აღმოჩნდა ე. წ. „გონიოს განძი“. გონიოს ოქროს ნივთები, არმაზისხევისა და კლდეეთის მდიდრული სამარხების ინვენტარი სრულიად ერთგვაროვანია. ისიც თარიღდება ახ. წ. I საუკუნით.

ციხის პირველი ნგრევა დაკავშირებული უნდა იყოს აქ რომის სამხედრო ბაზის გაუქმებასთან. VI საუკუნიდან აფხარი დაიკავეს ბიზანტიელებმა, მათ აღადგინეს დანგრეული ციხე (აღდგენილი ნაწილები შეადგენენ მეორე სამშენებლო ფენას). რაც შეეხება ბოლო ფენას, იგი XVI საუკუნის შუა ხანას ეკუთვნის, როდესაც „ოსმალელებმა აღაშენეს (უფრო სწორედ აღაშენეს) მიტაცებული გონიო“.

უცილობლად განხილვის ღირსია ციხის 18 კოშკი. კოშკების წყობა გადაბმულია კედლების წყობასთან, რაც მათ ერთდროულ მშენებლობაზე მიგვითითებს. კოშკების უმრავლესობა ორსართულიანია, სარსულშუა გადახურვა ხისა ყოფილა. ზედა სართულის გადახურვა, ამავე დროს, წარმოადგენდა ქონგურებიანი პარაპეტი დაცულ საბრძოლო ბაქანს. ბაქნის დონეზე ყოველ მხარეს დატანებულია წვიმის წყლის გადასაყვანი ხერხები. ყურადღებას იპყრობს ციხის კუთხის კოშკები. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხის კოშკი გეგმაში კვადრატული ფორმისაა. იგი შიგნით გადაკეთებული ჩანს. მაგრამ დიაგონალურად მიმართული შესასვლელი პირველ პერიოდს ეკუთვნის. იგი ორნაწილიანია. გარეთა – მაღალი და განიერი ნაწილი გადახურულია თალით, შიდა სოლისებური კვადრის, შიგა – ვიწრო და დაბალი შესასვლელის ნაწილი გადახურულია მცირე თალით და შედგენილია ხუთი სოლისაგან. ჩრდილო-დასავლეთის კვადრატული კოშკი მთლიანად პირველი პერიოდისაა. ყველა კედელში შიგნიდან მოწყობილია თითო ნიშა – სარკმლით. შესასვლელი აქაც ორნაწილიანი და დიაგონალური მიმართულებისაა. იგი ერთადერთი კოშკია, რომლის შესასვლელის თალი ბრტყელი აგურითაა აგებული.

როგორც აღინიშნა, ციხეს ოთხი შესასვლელი უნდა ჰქონოდა: მათი განლაგება გალავნის ყველა მხარეს. ცენტრში, დამახასიათებელია რომაული კასტელებისათვის – გეგმაში ოთხკუთხა ციხეებისათვის. ასეთი შესასვლელები განსაზღვრავდნენ ორი, გაღმარებული ქუჩის არსებობას, ერთი მათგანი – განივი, მთავარი ქუჩა ტერიტორიას ორ ნაწილად ჰყოფდა, ხოლო მეორე, გრძივი – უკვე ოთხ ნაწილად. ერთადერთი ამოუქალაქი დასავლეთის ჭიმკარი ფლანკირებულია გარედან სწორკუთხა კოშკებით.

ბიჭვინთა. შავიხლვისპირეთის ქალაქებიდან მეტ-ნაკლებად შესწავლილია ბიჭვინთა, რომელიც მდებარეობს მდ. ბზიფის შესართავის აღმოსავლეთით. აქ

მიკვლეული ციხე-ქალაქის ნანგრევები გაიგივებულია რომაულ-ბიზანტიური ეპოქის მნიშვნელოვან ცენტრთან. ქარსული წყაროების ბიჭვინთას, რომელი გეოგრაფი სტრაბონი „დიდ პიტიუნტს“ უწოდებს, ხოლო პლინიუსი უმდიდრეს ქალაქად თვლის.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია რომაული ციხე-სიმაგრე-კასტელუმი და მასთან დაკავშირებული, ასევე გალაენისა და კომკებით გამაგრებული დასახლება. ციხე, რომელშიც რომაელთა გარნიზონი უნდა მდგარიყო, გეგმაში ოსბკუსხედის მოყვანილობისაა, ზომით 155 X 130 მ, ფართობით – 2 ჰექტარი. გალაენის. რომლის სისქეა 3-3,2 მ, ყოველი მხრიდან აღჭურვილია ოთხ-ოთხი სწორკუთხა კოშკით, ხოლო დასავლეთის კედელი – ხუთი კოშკით. კედლის კუთხეებში მოთავსებულია უფრო მძლავრი, სექტორული ტიპის, ხუთწახნაგოვანი მოხაზულობის კოშკები. კედლები ქვითაა აგებული, კირქვის პერანგით. ციხის შიგნით გათხრილია სხვადასხვა დანიშნულების მრავალი ნაგებობა (მთელი განაშენიანების მცირე ნაწილი), რომელთა შორის ელინდება პრეტორიუმი პრინციპიათი ცენტრში. აქ უნდა ყოფილიყო მოთავსებული მეციხოვნეთა ჯარის შტაბი – მხედართმთავრობა. ისტორიულმა წყაროებმა შემოგინახა ბიჭვინთის III საუკუნის მეციხოვნეთა სარდლის სუკცესიანეს სახელი. მან შეუტია და გარეკა ბიჭვინთიდან აქ შემოსეული სკეითები. ქუჩის ორივე მხარეს განლაგებული ყოფილა საცხოვრებელი სადგომები, სამეურნეო სათავსები (მარანი, ყურძნის საწური აბაზანები, კერამიკული ქურა-სახელოსნო, აბანოები, საკანალიზაციო არხები და კოლექტორი). ამ ნაგებობათა ქვედა ფენები თარიღდება II-III საუკუნეებით, ხოლო ზედა ფენები – IV-VI საუკუნეებით.

შიდა ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გალაენის გარეთ, იქ, სადაც მთავარ ჭრმკარს ამაგრებდნენ ნახევარწრიული კოშკები, გაითხარა რომაული ტიპის აბანო, ანფილადურად გაწყობილი საბანაო განყოფილებებით. აბანო თარიღდება III საუკუნით.

სწორკუთხა ციხეს (კასტელუმი) აღმოსავლეთის მხრიდან ეკვრის ოვალური ფორმის გალაენისა და კომკებით შემოსილული საქალაქო ტერიტორია, რომელიც 4 ჰექტარს მოიცავს. ციხის აღმოსავლეთით გამოვლინდა IV-VI საუკუნეების ქრისტიანული ტაძრების კომპლექსი შესანიშნავი მოხაზვური იატაკით. ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი მარცვლეულის საწყობები და, რაც მთავარია, 1500-ზე მეტი ოქროს, ვლექტრუმის და ვერცხლის მონეტა ბიჭვინთის ეკონომიკის მაჩვენებელია.

სამადლო. ქალაქ მცხეთის დასავლეთით, 15 კილომეტრის დაშორებით, მალად ბორცვებზე მიკვლეულია საქალაქარი სამადლო. ძვ. წ. IV-III საუკუნეებში სამადლო წარმოადგენდა გამაგრებულ ციხეს. ძვ. წ. III საუკუნეში საქალაქო ცხოვრება ეთარღება ნასტაგისის ევლხე, რომელიც სამადლოს პირდაპირ, მტკერის მარცხენა ნაპირას მდებარეობს. აღრეანტიკურ პერიოდში სამადლო ბორცვზე, ძველი სამლოცველოს ნანგრევებზე, აგებული იყო კოშკის მოყვანილობის ტაძარი.

სამადლოსათვის დამახასიათებელია ტერასული დაგეგმარება – ელინისტური ხანის მშენებლობა ხორციელდება წინასწარ შექმნილ ხელოვნურ ტერასებზე.

სამადლოს ძირითადი ნაგებობები შენდებოდა ადგილობრივი მასალით (ქვიშაქვა, რიყის ქვა, თიხა). ამასთანავე, ნაპოვნია მოხილული კირქვის კვადრებიც. თუმცა,

ძირითად სამშენებლო მასალას მაინც აღიზი (ბსენარევი აგური) წარმოადგენდა. სამადლო დანგრეულა მტრის შემოსევების შედეგად ძე. წ. II საუკუნეში, ხოლო ნასტაგისმა იარსება VII საუკუნის დასასრულამდე.

ძალისი. მუხრანის ევლზე, მდ. ნარეკეაის მარცხენა ნაპირას, სოფ ძალისის ტერიტორიასე, აღმოჩნდა ნაქალაქარი ძალისი. აქ ნაპოვნია მრავალი საერო თუ საკულტო ნაგებობის ნაშთები, პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, დიდი ზომის რომაული ტიპის აბანოს ნანგრევები, დათარიღებული II-IV საუკუნეებით. აღსანიშნავია, რომ აბანოს კომპლექსი და სხვა შენობები (ატრიუმი, ტაძარი) აშენებულია უფრო ადრეული ხანის ნაგებობათა ნაშთებზე, რომლებიც ახალ მშენებლებს მოუსწორებიათ. აქ აღმოჩნდა ქვისგან გამოთლილი ბაზისები და კაპიტელები, რიყის ქვის საძირკვლები აღიზის წყობისათვის, კანალიზაციის კოლექტორები და წყალგაყვანილობის კერამიკული მილები, ბრტყელი აგური თუ ფენილი ქუჩები და სხვა. ძალისის აბანოები აშენებულია რიყის ქვითა და დუღაბით, ყველა სხვა ნაგებობა კი აღიზის აგურით. ყველა ნაგებობა გადახურული ყოფილა კრამიტით. დიდი აბანოს მახლობლად აღმოჩნდა მეორე, უფრო მცირე ზომის, ასევე რომაული ტიპის აბანო გასახდელით, ცივი, თბილი და ცხელი წყლის განყოფილებითა და აბანოსთან დაკავშირებული „დიონისიუს სახლით“. ამ დარბაზს, როგორც აბანოს გასახდელს, აგრეთვე ცივ და თბილ განყოფილებებს აქვთ მეტად საყურადღებო მოხაიკური იატაკები, ძალისის ყველაზე დიდ ნაგებობას სასახლე წარმოადგენს, რომლის ფართობი 2500 კმ-ს აღწევს და შედგება ოცდაათამდე სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის ოთახისაგან, რომელთა ცენტრში გამოიყოფა ღია ეზო – ატრიუმი. სასახლის სამხრეთით მდგარა კიდევ ერთი დიდი შენობა, რომელიც შეიცავდა შივდ დარბაზს. როგორც ჩანს, ეს რომაული კურიების მსგავსი ადმინისტრაციული შენობაა სხდომებისა და საქმეთა წარმოებისათვის.

აბანოს კომპლექსის სამხრეთით, მისგან 5 მ მანძილზე გამოვლინდა სრულიად უნიკალური ნაგებობა – დიდი საცურაო აუზი. ეს ნაგებობები, გამთხრელთა აზრით, აგებული უნდა ყოფილიყო II-III საუკუნეებში.

გათხრელი მასალის მიხედვით, ძალისმა ძე. წ. II საუკუნიდან ახ. წ. VIII საუკუნის 30-იან წლებამდე იარსება. მისი განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი დროა ახ. წ. II-III საუკუნეები. გამთხრელების აზრით, ნაქალაქარი ძალისი ქარსლის სამეფოს სპასპეტის (მხედართმთავრის) რეზიდენციას წარმოადგენდა. არ არის გამორიცხული, რომ იგი რომის მაღალი მოხელის რეზიდენცია ყოფილიყო.

სატაძრო ხშირ(თ)მრძვრება

ძველ საქართველოში წარმართულ ტაძარ-სამლოცველოებს შორის მრავალფეროვნება აღინიშნება. როგორც უკვე ითქვა, ძე. წ. III-I საუკუნეებში ეანი სატაძრო ქალაქად ითვლება. კოლხეთის აღწერისას სტრაბონი იხსენებს ლეკოთას.

სამლოცველოს. საფუძვლებელია, იგულისხმება ნაყოფიერების ადგილობრივი ქალღესობა. ლექსითაა ამასთანავე ითვლება მევენახეობა-მეღვინეობის და მეტალურგიის მფარველადაც. ვანის ძე. წ. II საუკუნის ტაძრის გათხრების დროს აღმოჩენილი რიტუალური თასი აშკარად მიგვანიშნებს, რომ იგი დაკავშირებულია მეღვინეობა-მევენახეობის კულტურასთან.

ქართლში აქემენიდების ირანის გავლენით ვრცელდება ცეცხლის ტაძრები (სამადლო. ციხიაგორა, დედოფლის მინდორი). ფარნავაზიანთა დინასტიის გამეფების შემდეგ რელიგია თითქოს წარმოადგენს მახდესმის შერწყმას ჭეშმარიტად ადგილობრივ ნაყოფიერების ასტრალურ კულტურასთან, რამაც ქრისტიანობის გავრცელებამდე მიადწია.

საგულისხმოა, რომ ელიზინძის გაერცვლების მიუხედავად, წინაქრისტიანულ საქართველოში არსად ჩანს ბერძნული ტაძრის ტაძარი. საქმე გვაქვს მხოლოდ ცალკეულ ანტიკურ ფორმასა დასესხებასა და მათ გააძრებულ გამოყენებასთან. ეს კი არსებითად ასხეავენს ქართული არქიტექტურის განვითარებას სხვა რეგიონების არქიტექტურისაგან.

თუ კოლხეთში აშკარად შეიმჩნევა ელიზინძური მხატვრული მოტივების და ელემენტების გამოყენება, იბერიაში ყურადღებას იპყრობს კრამიტის ფართო გამოყენება და, აქედან, ორქანობიანი სახურავის გავრცელებაც. მეტად მნიშვნელოვანია ამ ორქანობიანი სახურავის გუმბათთან შეთანხმების საკითხი. გუმბათი, ან მისი საწყისი ცრუგუმბათი ერლოთი, როგორც ვნახეთ, საქართველოში უძველეს დროიდანვე წარმოიქმნა და უწყვეტი განვითარების გზა განელო (გვირგვინიანი დარბაზი).

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე საქართველოში წარმართულ ტაძართა თითქმის ყოველთვის სამხრეთ-ჩრდილოეთის ორიენტაცია. ამით ხომ არ აიხსნება სამხრეთის კარის უპირატესობა ქართულ ქრისტიანულ ტაძრებში, რაც განპირობებული იყო, ალბათ, ქართული წარმართული პანთეონის მოთხოვნით.

სამადლოს ძლიერ დანგრეულ ნაქალაქარზე, ბორცვზე, ძველი სამლოცველოს ნანგრევებზე აგებულია კოშკის მოყვანილობის ტაძარი. იგი კვადრატული ფორმის (14 X 14 მ) შენობაა, რომლის შიგა კვადრატი არ აღემატება 5,5 X 5,5 მეტრს. შესასვლელი მასში დასაეღვთის მხრიდან უნდა ყოფილიყო. კოშკურა შენობის ფასადური ნაწილი, კუთხის სწორკუთხა შეერილებითა და ასეთივე ფორმის კონტრფორსებით მათ შორის, მსხვილი დაუშუშავებელი ქვის წესიერი რიგებით არის აგებული. კედლის ოთხმეტრიანი სისქე შეესაბამება მცირე ფორმის ფლეთილი და რიყის ქვით. ქვის ამ საფუძვლის ზემოთ კედლები აღიზის აგურისაა. სამადლოს კოშკი წარმოადგენს ცეცხლითაყვანისმცემელია ტაძარს და ირანის აქემენიდური ხანის კოშკურა ტიპის ტაძრების – ფასარგადესა და ნაქმეროსთამის მსგავსია. ტაძარი თარიღდება ძე. წ. IV-III საუკუნეებით.

ციხიაგორა. სოფელ კაეთისხევის ჩრდილოეთით, მდ. კაეთურას ნაპირას აღმოჩნდა ნაგებობათა კომპლექსი, რომელშიც შედის ტაძარი, მარანი, ბეღელი, წისქვილი, სათონე და საცხოვრებელი შენობები (სურ. 32). კომპლექსი თარიღდება ძე. წ. IV-III საუკუნეებით. იგი შემოსულებულია კოშკებიანი, აღიზის ნაგები გალავნით.

ცენტრში დგას საკუთარი კედლით შემოზღუდული ტაძარი. ტაძარი და მისი გალავნის კედლები აგებულია ნატეხი ქვით და აღიზის მშრალი წყობით. კედლებში დატანებულია განივი ძელები. ტაძრის ეზოში დგას ქვით ნაგები, გეგმაში კვადრატული, ორი მეტრი სიმაღლის საკურთხეველი. აქვე, ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში, მოწყობილია 25 სმ. სიმაღლის სამსხვერპლო. ტაძრის გალავანში შესასვლელები გაჭრილია დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებში, ხოლო თვით ტაძარს შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. ნანგრევებში აღმოჩნდა თიხის დისკოები ჯვრების რელიეფური გამოსახულებით და დამღიანი თიხის ბათქაშის ნატეხები ანაბეჭდებით (ცხენი, ცხენოსანი შუბით, თხა, ჯიხვი). ტაძრის ჩრდილოეთით მას აკრავს ორსართულიანი შენობა (18 X 4,5 მეტრი), კართი დასავლეთის მხრიდან. შენობის პირველი სართული ქვისაა, მეორე სართული კი აღიზის. სართულშუა გადახურვის კოჭების ნაშთები ქვის კედელზე დევს. ამ შენობაში აღმოჩნდა თეთრი კირქვისაგან გამოყოფილი სვეტისთავი ურთიერთსურგმუქცეული ხარების გამოსახულებით. ასეთი ორმაგპროთომიანი კაპიტლები დამახასიათებელია აქემენიდური ირანის ტაძრებისათვის. ტაძრის გალავნის აღმოსავლეთ კედელზე მიდგმულია შენობა, რომელიც რვა სათაქისაგან შედგება. მათგან ოთხი ერთი ზომის კოლია. იატაკზე დამწვარი მარცვლეულის მიხედვით, ეს შენობა ბეკელს წარმოადგენდა. მთავარი ტაძრის დასავლეთით მდებარეობს მცირე ტაძარი, რომლის სქემა წარმოადგენს კვადრატს კვადრატის კუთხეში. მის დასავლეთით გალავანზე მიშენებულია აღიზის ნაგები დიდი მარანი (22 X 7,5 მ). შენობის გრძივ ღერძზე, ქვის ბალიშზე, ხის თახხ სვეტი მდგარა, ოთხ-ოთხი სვეტი გრძივი კედლების გასწვრივაც მდგარა. ამგვარად, გადახურვა აქ ბანური ყოფილა. მარანში ჩადგმულია 48 სხვადასხვა ზომის ქვეერი. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში საწნახელია. ჩრდილო კედელზე მიდგმულია თიხის ორი საკურთხეველი. დასავლეთიდან მარანს აკრავს წისქვილი. მისი სამი კედლის გასწვრივ აღიზის ნაგები მერხია, რომელსაც დალაგებული იყო ოცდაათამდე ხელსაფქვაკი. წინა მხარეს იატაკზე აღიზისავე საფქვილია. წისქვილს დასავლეთით აკრავს ერთი საცხოვრებელი ოთახი პურის საცხობი ღუმელით და ხელსაფქვაკებით. ეს ოთახი წისქვილის მცველი მოგვის საცხოვრებელი უნდა იყოს. წისქვილის მახლობლად აღმოჩნდა კრამიტით დახურული შენობა, სადაც მდგარა ოთხი თონე. შენობების უმეტესობას თიხატკეპნილი იატაკი ჰქონია, ხოლო ტაძრის ეზოს, თვით ტაძარს და მის მიმდებარე შენობას – ხის იატაკი. გამთხრელების აზრით, კომპლექსი მზის ღვთაების, ცეცხლის ტაძრისაა.

დედოფლის მინდორი. ქარელის რაიონის მდ. ფრონეს აუზში აღმოჩნდა გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი (სურ. 33, 34). კომპლექსის ტერიტორია (255 X 135 მ) ორიენტირებულია სამხრეთ-ჩრდილოეთის ღერძზე. კომპლექსის (ტემენოსის) ძირითადი ბირთვი მისი კვადრატული შიდა ეზოა (105 X 105 მ), რომელსაც სამხრეთიდან ესაზღვრება მთავარი ტაძრის ჩრდილო კარიბჭე, ჩრდილოეთიდან – მცირე ტაძარი, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან – კარიბჭეები. ტაძარს სწორკუთხა გეგმისაა (46 X 30 მ). მისი კედლები ნაგებია აღიზით რიყის ქვის საფუძველსზე. კედლები ორი მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. შელესილია თიხის

ხსნარით და თითქოს შეღებილიც ყოფილა. ტაძრის ბირთვს შეადგენს ცელა – ოთხსვეტიანი კედრატული დარბაზი აღჭურვილი ასევე ოთხსვეტიანი ფარსო კარიბჭით. მას სამი მხრიდან გარს უკლის გარშემოსაველი, რომელიც ტიხრებითაა დანაწევრებული. ჩრდილოეთის მხრიდან ტაძარს ეკერის ორსვეტიანი ლოჯია. მისი სვეტები აატაკში ამოღებულ კედრატულ ფოსოებში იდგა. სვეტები ხისა ყოფილა – ლოჯიაში მრგვალი, ხოლო მთავარ ტაძარში და კარიბჭეში ორმაგი. შეწყვილებული მრგვალი სვეტები. ცელას ცენტრში, საკურთხეველის თავზე აღმართული ყოფილა თავისუფლად მდგომ სვეტზე დაყრდნობილი ორსაფეხურიანი გვირგვინი ღიობით ცენტრში (ერღო). გარშემოსაველელს ცალფერია კრამიტის სახურავი ჰქონია. კარიბჭის სვეტები დასრულებული იყო მოყვითალო ფერის ქვიშაქვის ხარისებრი კაპიტელებით, რომლებსაც ლოტოსის გამლილი ყვავილის რელიეფური ფურცლებია ამოკვეთილი. მისი აბაკი კი შეიკულია წნულში მოქცეული ვარდულებით. ცელა, კარიბჭე და ლოჯია ბანური გადახურვისაა, სვეტებზე დაყრდნობილი და ლურსმნებით გადაბმული ხის კოჭებით. შიდა ეხოს ჩრდილოეთის მხარეს, ცენტრში დგას მცირე ტაძარი. ტაძარში შესასვლელი სამხრეთიდან, ორსვეტიანი კარიბჭიდანაა. ცელას ცენტრში იდგა ქვის კაპიტელით დაგვირგვინებული ერთი სვეტი. ცელას აღმოსაველეთიდან და ჩრდილოეთიდან ეკერის გარშემოსაველი. ტაძარი გადახურული იყო ორფერდა კრამიტის სახურავით. მცირე ტაძრის აღმოსაველეთით და დასაველეთით მოთავსებულია კედლებით შემოსილული და ერთმანეთისაგან გამოყოფილი სამ-სამი ეხო. ტემენოსის ჩრდილო-აღმოსაველეთის ნაწილში სიმეტრიულად სამ-სამი კედლით გამოყოფილი შენობაა მოთავსებული. თითოეული მათგანი შედგება კედრატული ოთახის, მცირე დერეფნის და კარიბჭისაგან სამხრეთის მხარეს. ამ პატარა ტაძრებს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან აკრავს ეხოები. ტემენოსის ღია ეხოს აღმოსაველეთისა და დასაველეთის მხარეს, ცენტრში მოთავსებულია ერთნაირი კარიბჭეები. გარე მხრიდან სახესუა ოთხსვეტიანი კარიბჭეები. განივად მდებარე ცელა ფლანკირებულია ვიწრო დერეფნებით. ეხოს მხრიდან ცელას კარიბჭეები ორსვეტიანია. კარიბჭეები კრამიტით იყო დახურული. შიდა კარიბჭეების სვეტისთავეები მთავარი ტაძრის სვეტისთავეების ანალოგიურია, ხოლო გარეთა კარიბჭეების კაპიტელები განსხვავდება აბაკის ორნამენტით. აქ ამოკვეთილია ლოტოსის სამფურცლიანი პალმეტები და მათ შორის ექვსფურცლიანი ვარდულები.

დედოფლის მინდერის კომპლექსი თარიღდება ძვ. წ. I საუკუნით. იგი უცილობლად ძველ-აღმოსაველური საკულტო არქიტექტურის ტრადიციების ამსახველია. შენობათა გეგმებს, სამშენებლო ხერხებს და სვეტისთავეებს ანალოგები მოეძებნება წინა ასიის ელინისტური ხანის ძეგლებში (პერსეპოლისი, სირია, პართიული ნისა და სხვა).

უფლისციხის „მაყელიანი“. ნაქალაქარის შუა უბანში მდებარეობს რთული გეგმის, წარმართული ტაძრის კომპლექსი. მას პირიბით „მაყელიანი“ შეარქვეს (სურ. 35). წინა ეხოდან შეედითარა კლდეში გამოკვეთილ დიდ დარბაზში, რომელსაც ამჟამად ტერი აღარა აქვს. მის უკან სამნაწილიანი, ცენტრში მაღალი კამარით გახსნილი სათავეებია, რომლებსაც დარბაზი რეასაფეხურიანი სახეიმო კებით

უკავშირდება. ამ კარიბჭეს სამი მხრიდან უერთდება ორ-ორი ოთახი. ჩრდილოეთის ოთახის ჭერი კვადრატული კესონებისაა დამუშავებული. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ოთახების ჩრდილოეთ კედლების სიღრმეში ორი სამალავი საღაროა. ტაძრის გეგმარებაში ჩანს კლდოვან ნაგებობათაათვის გაერცვლებული უძველესი სქემა - ჯვრული განტოტებისა. შედარებით მარტივია მიმდებარე მცირე ტაძარი. თვით ტაძრების შეწყველება, დიდი დარბაზის კედლებთან ორსაფეხურიანი ჩამოსაჯდომი კულტის მსახურთათვის, სარიტუალო ღრმულები, საკურთხეველის ბუდეები და სხვა დეტალები განსასლურავენ კომპლექსის სატაძრო ფუნქციას. ტაძარი გამოკვეთილი უნდა იყოს გეიანელინისტურ ხანაში.

უფლისციხის ოთხსვეტიანი ტაძარი. იგი (სურ. 36) უფლისციხის ცენტრალურ ტერასაზე მდებარეობს და ქრისტიანული ბაზილიკის მსგავსია, მაგრამ, როგორც ირკვევა, კლდეში ნაკვეთი წარმართული კულტისათვის იყო განკუთვნილი. დარბაზში კლდეშივე ნაკვეთი ოთხი სვეტი მდგარა (შემორჩენილია მათი ოთხკუთხა ბაზისები). დარბაზის კედლები, ბაზისების შესატყვისად, დანაწევრებული ყოფილა არათანაბარი ზომის სამი დეკორატიული თალია. ადრე შუა საუკუნეებში, კლდის მასივში პასტოფორუმების გამოკვეთის შედეგად, ნაგებობა ეკლესიად იქცა. იგულისხმება, რომ აქ ყოფილა ცეცხლის ტაძარი, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებამდე ფუნქციონირებდა.

ვანის „დიდი ტაძარი“. ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, კარიბჭიდან ასობდე მეტრის დამორებით აღმოჩნდა ტაძრის ნანგრევები (სურ. 39-41). აქ გამოიკვეთა სამი სივრცობრივი ერთეულისაგან შემდგარი კომპლექსი - ძირითადი, კვადრატს მიახლოებული დარბაზი, მისი მოსასღერე ბეღელი და განცალკევებით, მაგრამ ტაძართან დაკავშირებული კონკისებური ნაგებობა. დარბაზს სამი შესასვლელი ჰქონია: ჩრდილოეთიდან (სიგანე 2 მ), ჩრდილო-აღმოსავლეთიდან (სიგანე 3 მ), სადაც ქვის კბებს მიეკავართ და დასავლეთიდან (სიგანე 3,8 მ). დარბაზის ზღურბლიდან აღმოჩნდა ხის კოჭების დამწვარი ნაშთები და კრამიტის სახურავის ნაწილები. გამოიკვეთა სარიტუალო ცერემონიალური მოედნები - საფეხურებიანი საკურთხეველი, შეწირულობათა მოედანი. ჩამოქცეული სახურავის ქვეშ, იატაკზე, მშვენიერად დამუშავებული სვეტის ორი ანტიკური ტიპის ბაზისი აღმოჩნდა. ბაზისთა განლაგება დიაგონალურია, ამის გამო ფიქრობენ, რომ დარბაზი სვეტებზე დაყრდნობილ გვირგვინს შეიცავდა. იგი შეთავსებული უნდა ყოფილიყო კრამიტის ორქანობიან სახურავთან. მეორე დარბაზი შეწირულობისათვის იყო განკუთვნილი. მასში აღმოჩნდა ოცდაათამდე სახელობის ჭურჭელი, მათ შორის დიდი ხომის კოლხური პითოსები და მოხდენილი ამფორები. მათგან უმეტესობაში აღმოჩნდა ხორბლის და ღომის მარცვლები. ტაძარი უკავშირდებოდა კომკურა ნაგებობას, რომლის წინ მოწყობილი ყოფილა სამსხვერპლო მოედანი. ყველა შენობის კედლები აგებულია კარგად დამუშავებული, რუსტებიანი კვადრებით, რომელთა ზემოთ დაწყობილია აღმის აგური (52 X 52 სმ, 52 X 26 სმ). ტაძარი თარიღდება ძვ. წ. II, საუკუნით.

ვანის მრგვალი ტაძარი. ტაძარი მდებარეობდა ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, კარიბჭის ზემოთ. ამ ადგილას (ძვ. წ. IV ან III საუკუნის პირველ ნახევარში)

მდგარა სწორკუთხა ფორმის შენობა, რომლისგანაც შემორჩენილია კარგად გათლილი კვადრებით ამოყვანილი საძირკვლები (სურ 42). ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევარში ამ საძირკვლებზე აუგიათ მრგვალი გეგმის შენობა. მისი გარე დიამეტრია - 10 მ, ხოლო შიდა დიამეტრი 5,4 მ-ია. აქვე ნაპოვნია ტრაპეციის მსგავსი ქვის ფილები, ალბათ, კესონების უჯრედებისა მრგვალი შენობის პლაფონიდან.

საერო ნაბეზობანი

მიუხედავად იმისა, რომ საერო ნაგებობათა უმრავლესობა მთლიანად დანგრეულია, მაინც, არქეოლოგიური გათხრების წყალობით, აღმოჩენილია მრავალი საცხოვრებელი სახლის, სასახლის, სახელოსნოს. აღმინისტრაციული შენობის ნანგრევები, აგრეთვე აბანოები, წყალსადენები, საცურაო აუზები და სხვა. აღსანიშნავია, რომ საერო ნაგებობებიც აგებულია ძირითადად იმავე სამშენებლო ხერხებით, რომლებიც თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობის დროსაა გამოყენებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია აბანოების სიმრავლე, რაც კომფორტის ხარისხის ამაღლების მაჩვენებელია. საქართველოში გაერცვლებული აბანოები რომაული ტიპისაა, ე. წ. ჰიპოკაუსტების სისტემის, რომელიც შექმნილია რომში სერგი ორათას მიერ ძვ. წ. I საუკუნეში. ამავე დროს ჩამოყალიბდა აბანოს სათავსოთა შემადგენლობა. თერმები იწყებოდა გასახდელიდან (აპოდიტერიუმი). შემდეგ განლაგებული იყო ფრიგიდარიუმი, ტეპიდარიუმი და კალდარიუმი - ცივი, თბილი და ცხელი აბანოები.

თუმცა, საერო ნაგებობანი ძირითადად ნანგრევების სახითაა წარმოდგენილი და მათი სრული წარმოდგენა (განსაკუთრებით ფასადების) შეუძლებელია, შემორჩენილი ფრაგმენტებისა და სინქრონული სამარხების მიხედვითა შესაძლებელი ხდება წარმოხედვანოთ ამა თუ იმ პერიოდის საზოგადოების შესატყვისი შენობების მხატვრული სახეც.

არმაზციხის „სვეტებიანი დარბაზი“ (სურ. 44, 45). იგი დგას შიდაციხის ქვედა ტერასაზე. წაგრძელებული წესიერი სწორკუთხედის მოყვანილობის დარბაზის ფართობია 185 კმ. (20,82 X 8,8 მ). კედლები აგებულია კარგად დამუშავებული კვადრებით, მშრალი წყობით, ხოლო სედა ნაწილი - ალიზით. აღსანიშნავია, რომ ქვის წყობა სიმაღლეში 1.75 მ-ს აღწევდა, ხოლო შენობის დასაყდელის ქვის კედლის სიმაღლე - 3,3 მეტრია, ენიდან ამ მხარეს შენობა ფერდობს ებჯინებოდა. დარბაზის გრძივ ღერძზე განლაგებული იყო 6 სვეტი. ადგილზე აღმოჩნდა ხის სვეტების ექვსივე ქვის ბაზისი და ქვის სვეტისათავეების ნაწილი. დარბაზს ეარდისფერი მოტეკანული იატაკი ჰქონია. კედლები შეღესილი და შეკებილიც კი ყოფილა. იატაკზე აღმოჩნდა ხის სვეტების დანახშირებული ნაწილები, პარაულა ხელობის ძვლის მოცეკვავე ქალის ქანდაკება-გამოსახულებიანი ფირფიტა, ბრინჯაოს ბრტყელათაყვანი ღურსმნები, ღურჯი, მწვანე და მოწითალო ეგვიპტური პასტის მძივები და ჩუქურთმების გამოსაყვანი ბრინჯაოს ფარგალი. შენობა სამი

მხრიდან იყო გახსნილი და ამიტომ გულდასამთავრებელი დამუშავებული. კედელს შემოყვება ფართო, მკვეთარი ცოკოლი. შენობის ცენტრში აღმოსავლეთის მხრიდან გაჭრილია კარი, საიდანაც დარბაზში ჩადიოდნენ კიბის ოთხი საფეხური. მთავარი ფასადის მხრიდან შენობას აქვს ორი ანტისები. შეკერილი. ჩრდილო ანტისი მახლობლად აღმოჩნდა მოგრძო მოყვანილობის წყობა, რომელსაც ციცხლის კვალი ეტყობა. დარბაზის კედლებში მეორე და მეოთხე კვადრების ხეშე ნაწილში ამოჭრილია ოთხკუთხა ფოსოები (ხარაჩოების მოსაწყობად, უფრო კი თაროების კონსოლებისათვის).

„სვეტებიანი დარბაზი“ დახურული იყო კრამიტის ორფერდა სახურავით. იგი ძვ. წ. III საუკუნეს მიეკუთვნება და მიხნეულია სასახლის კომპლექსის ერთ-ერთ ნაგებობად.

დარბაზის ჩრდილოეთით ემხრობა ანალოგიური მასალითა და ტექნიკით აგებული კედლების ნანგრევები, რომლებზეც დაშენებულია ახ. წ. I საუკუნის შენობები, მათ შორის „ორსენაკიანი ნაგებობა“, რომლის კედელზე დაცულია ბადისებრი წყობა, ე.წ. „რეტიკულატური“. საუკუნის დასაწყისში ამ შენობათა გათხრა, ეთაყვანებულის დავალებით, დ. ქუთათელაძეს უცდია. მან სხვა ფრაგმენტებთან ერთად აღმოაჩინა „კირის ნაღესობის ნატეხი, შეფერადებული წითელ-თეთრ-მწვანედ და მათ შორის ქალის პატარა ნატეხი გულის „სეიეთ გეაროან ლამასად დახატული“. მართლაც, ნაღესობის ამ ნატეხზე შემორჩენილია ფრესკის ფრაგმენტი ქალღმერთის გამოსახულებით.

როგორც აღინიშნეთ, სახურავი მასალა ამ ნაგებობებში საესებით გარკვეულია. იატაკები მოფენილია კრამიტის უამრავი ნატეხით, კრამიტი დიდი ზომისაა და წითლადაა შეღებილი. გამოიყენება ბრტყელი გვერდებაკცილი და ღარიანი კრამიტები.

უფლისციხის ორსვეტიანი დარბაზი. უფლისციხის ეს ყველაზე ღირსშესანიშნავი დარბაზი (სურ. 37, 43) მდებარეობს შუა უბნის ცენტრში. ხელოვნურად მოსწორებულ ტერასაზე. როგორც სახელწოდებდან ჩანს, დარბაზში აღმართულია კლდეშივე ნაკვეთი ორი ოთხკუთხა სვეტი. მას ეყრდნობოდა ჭერი, რომელიც კოჭოვანი გადახურვის იმიტაციას წარმოადგენს. ჭერი ჩრდილო-დასავლეთ არეში ეგრესკალური დიობით (ერდით) იყო აღჭურვილი. დარბაზის ოთხივე კედელს დანაწევრებულია თაღოვანი დიობებითა და სარკმლებით. დარბაზი კვადრატულია (9.15 X 9, 1 მ) და გვერდით ემსგავსება კიდევაც ციცხლის ტაძარს წინა ენითი. მაგრამ, როგორც ირკვევა, ესო თავდაპირველად კლდეში ნაკვეთ დახურულ სივრცეს წარმოადგენდა. ამას მოწმობს შემორჩენილი ცოკოლი, რომლის შიდა მხრიდან შეიშენეა პილასტრების კვალი. ისინი ისეთივე იმიტაციის სურათს ქმნიდნენ. როგორც კოჭოვანი გადახურვა ჭერზე. როგორი იყო სვეტების პირენდელი სახე, ვერ დგინდება. იატაკზე შემორჩენილია ბაზისთა მხოლოდ კვალი, ხოლო ჭერზე – კაპიტელების კვადრატული აბაკები. არის მოსაზრება, რომ თავდაპირველად დარბაზი შეიკავდა ნიშებს თაროებით. ამგვარად, აქ შეიძლება ყოფილიყო კარის ბიბლიოთეკა ან საბუთების საცავი. დღემდე გაუგებარია, რას წარმოადგენს წინა

ქსოში (ყოფილი დარბაზის იატაკის დონეზე) ამოკვეთილი 1, 40 მ დიამეტრისა და 10 სმ სიღრმის ცილინდრული ღრმული. კომპლექსი თარიღდება ძვ. წ. IV-III საუკუნეებით.

უფლისციხის კესონებიანი დარბაზი. მდებარეობს ნაქალაქარის ცენტრალურ, სამხრეთ-დასავლეთის კიდეზე (სურ. 24, 25). იგი სამი კომპლექსისაგან შედგება. განაპირა, დასავლეთის დარბაზი ფასადით ორქანობიანი სახურავის შთაბეჭდილებას ტოვებს. შუა, სახეობო ხასიათის დარბაზი ფასადის მხარეს მთლიანად გახსნილია. გაღაბურულია ნახევარწრიული კამარით, რომელიც დასრულებულია ზუსტად გამოყვანილი ორფერდა ფრონტონით. კამარის შიდა პირი დამუშავებულია რეაწახნაკა რელიეფური კესონებით. კესონებს შორის კვადრატებია ჩასმული. ეს ხერხი გააგონებს რომაული არქიტექტურის ხერხებს ახ. წ. I საუკუნეში (თუმცა კესონები შეიძლება მოგვიანებითაც შესრულებულიყო). დარბაზი სამი მხრიდან გასასვლელებით უკავშირდებოდა მცირე სომის დამხმარე სათავეებს. კომპლექსის წინ ერთი საფეხურით დაწეული პატარა ეზოა და შემდეგ უფრო დიდი, კიდევ უფრო დაბალი დონის ეზო. ეზოს კიდეზე, ხრამის გაყოლებასზე, კლდეში ამოკვეთილია პარაპეტი ღრმა და დაბალი ჩამოსაღდომით (აქან წარმოშვა აზრი უფლისციხის თეატრალური ნაგებობის შესახებ. მაგრამ ამისათვის მონაცემები არაა საკმარისი). დანარჩენი დარბაზები და კარიბჭეები დეკორირებულია სადად, უმეტეს შემთხვევაში დამუშავებულია მხოლოდ ჭერი კოჭებით ან ორმაგი მორებით, რაც მიგვიბრუნებს ხის ხუროთმოძღვრების ფორმების დასესხებას.

სარკინეს ტერაკოტებიანი შენობა. სარკინეს ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე გათხარა ხის ნაგებობის ნაშთები, რომლის კრამიტის ჩალეწილი სახურავის ქვეშ, იატაკის დონეზე აღმოჩნდა ძვ. წ. II საუკუნით დათარიღებული ტერაკოტის საყურადღებო გამოსახულებანი: ორი მათგანი გორელიეფურია, მრგვალ ქანდაკებასთან მიახლოებული, გამოსახავს დიონისესა და არიადნეს ბოუსტებს. აღმოჩენილი ოსიხი ტერაკოტის ნიღაბი (ერთი მამაკაცისა და სამი ქალისა) შექმნილია ქანდაკებებთან ერთად, იმავე პერიოდში. ნიღაბზე აღბეჭდილი ცოცხალი მიმიკა, თავზე ჩამოკიდებული ყურძნის პტეენები და წაწვეტებული ყურები მოწმობენ, რომ საქმე გვაქვს დიონისეს წრის პერსონაჟებთან (მენადები, სატირი). არქეოლოგიური მონაცემებით შეუძლებელია განესაზღვროთ ამ გამოსახულებათა დანიშნულება, საფიქრებელია, რომ ისინი გათვალისწინებული იყვნენ რომელიმე საკულტო ან სანახაობათა შენობის ინტერიერის შესამკობად. ნიღაბების უკანა მხარეზე არსებული პატარა ნახვრეტები გეინივებენ, რომ ისინი კედელზე მაგრდებოდა. სარკინეს ტერაკოტები შესრულებულია ბერძნული ნიმუშების მიხედვით. ისინი უცდილობლად კოროპლასტიკის გამორჩეულ ნაწარმოებებს წარმოადგენენ და, ვინაიდან დადგინდა მათი ადგილობრივი თიხისაგან შესრულება, უკვე საუბარი შეიძლება ელინისტურ იბერიაში ტერაკოტული წარმოების არსებობაზე.

არმახისხევის კომპლექსი. მდებარეობს მცხეთის რკინიგზის სადგურის დასავლეთით ორი კილომეტრის დაშორებით, მდ. მტკერის მარჯვენა ნაპირას. აქ ყოფილა ქართლის ერისთავთა (პიტიახშია) რეზიდენცია.

არმახისხევაში მიკვლეულ შენობათა სწორკუთხა ფორმის გვემა, შენობათა ხარისხი.

სვეტისთავე და ძირი, მარმარილოს ქანდაკებათა ფრაგმენტები მოწმობენ, რომ საქმე გეაქვს წარსინებულია წრის სასახლის ნანგრევებთან. აქ გამოვლინდა კაპიტალური კედლებით გამოყოფილი სენაკები. დასავლეთის სენაკის (7 X 6,75 მ) ჩრდილო კედლის ცენტრში გაჭრილია კარი, რომლის ზღურბლი მასიური ქვიშაქვის დიდი ფილაქეა. ზღურბლში ამოკვეთილია საფეხური, რომლის კუთხეებში ამოჭრილია კარის ღერძის ჩასამაგრებელი ფოსოები. შემორჩენილია აგრეთვე კარის ორივე ამყოლი, არქიტრაქის დიდი ფრაგმენტი, ქვიშაქვის სვეტის ბაზისი და კორინთული სტილის სვეტისთავე აკანთის ფურცლების მოტივისა. აღმოსავლეთის სენაკი ძლიერ დაზიანებულია, მას კიდევ ებმის სამი კედელი. მაგრამ სასახლის დანგრევის შემდეგ მისი კედლები გამოუყენებიათ სამარხების ასაგებად. სასახლის ესო ფილაქნებით ყოფილა მოფენილი, კრამიტის ნატეხების რაოდენობა კი მიგვითითებს კრამიტის სახურაებით შენობათა გადახურვაზე. სასახლის შენობის ჩრდილოეთით აღმოჩნდა გვიანანტიკური დროის აბანო. ერისთავთა რეზიდენციასთან გათხრილია ნეკროპოლი ერისთავთა და მათი ოჯახების წევრების საფლავებით. სამარხთა მდიდარი და მოხდენილი ნივთები. ჭურჭელი და ეპიტაფიები გვიჩვენებენ იბერიის დაწინაურებული ნაწილის ცხოვრების მაღალ დონეს და საერთო კულტურას. ცხადია, რომ ეს სასოგადოება ცხოვრობდა სათანადო, ასევე შეიკულ სასახლეებში.

ძალისის სასახლე. ძალისის ყველაზე დიდ ნაგებობას წარმოადგენს სასახლე (სურ. 46). მისი ფართობი 2500 მეტრს აღწევს და შედგება ოცდაათამდე სხედასხვა სიდიდის ოთახისა და დარბაზისაგან, რომელთა ცენტრში გამოიყოფა ღია ეზო – ატრიუმი. ატრიუმის ცენტრში მოსაესებული იყო ბორდიურით შემოვლებული შადრევნის ოთხკუთხა აუზი, რომლის კუთხეებში მდგარა სვეტები. ატრიუმის დასავლეთით, თითქოს, ელანდება ასევე გათლილი ქვებით ნაგები ტაძარი, სადაც აღმართული უნდა ყოფილიყო ღვთაება. ოთხივე მხრიდან კედლებით შემოხლული ატრიუმის ფართობია 8,35 X 8,35 მ. სასახლის ჩრდილო-დასავლეთის მხარეს განლაგებული ყოფილა საძილე ოთახები, ორგანყოფილებიანი საკუთარი საპირფარეშოთი, საკუთარი წყალსადენითა და კანალიზაციით. ღია ეზოს ჩრდილოეთის ნაწილში დარბაზებია განლაგებული, სამხრეთის მხარეს კი სხედასხვა სიდიდის ოთახები და წინკარია. სასახლის საძირკველი რიყის ქვისაა, მასზე ერთ წყებად დაწყობილია ქვის თლილი ფილები, შემდეგ კი კედლები ამოყვანილია ალიზის აგურით. ინტერიერში კედლები შელესილი ყოფილა და მოხატულიც. იატაკი სასახლეში ქვის ფილებითაა შედგენილი, ხოლო სახურავი კრამიტისაა. უცდილობდა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სასახლის ცენტრალური გათბობის სისტემა. იგი ღია ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, თითქმის ცენტრშია განლაგებული. ცენტრალური გათბობა ჰიპოკაუსტის სისტემისაა. იგი წარმოადგენს კედლებით შემოხლულ ოთახს (11,8 X 11,8 მ). ოთახის სიგრძეზე განლაგებული იყო 13 რიგი, სიგანეზე 6 რიგი (გამონახარდით – 9 რიგი საყრდენებისა) კალორიფერები. საყურადღებოა, რომ აბანოებში, ჩვეული აგურის ბოძების ნაცვლად, საყრდენად გამოყენებულია 0.6-0,7 მ სიმაღლის კერამიკული მილები. ჰიპოკაუსტის კედლები ამოყვანილია აგურით. შეველი სამხრეთ კედლის გარდა, ყველა კედელი

საფეხურისებურად არის დაწყობილი. აქედან ცხელი ჰაერი მოედინებოდა კედლებზე დატოვებულ სივარდილებში – არხებში. კალორიფერებს თავზე დახურული ჰქონდათ დიდი ხომის კერამიკული ფილები. საცეცხლე ჰიპოკაუსტი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ყოფილა მოწყობილი. ცენტრალური გათბობის ასეთი სისტემა სწორუპოვარი შემთხვევაა საქართველოში.

ძალის სის აფსიდებიანი ნაგებობა. იგი მოთაესებულია სასახლის სამხრეთით და, როგორც ჩანს, უფრო მოგვიანებითაა აშენებული (სურ. 47). შენობის ფართობია 703 კვმ. მისი კედლების სისქე სხვადასხვაა. შენობაში ანფილადურადაა განლაგებული სამი დარბაზი და ოთახები მათ შორის. სამივე დარბაზი სამხრეთის მხარეს აფსიდებითაა ბოლოედება, მათგან ორი ნახევარწრიულია, ხოლო ცენტრალური მთავარი დარბაზის აფსიდი სამწახნაგოვანია. აფსიდთან დარბაზების კედლებში შექმნილია ვიწრო გამჭოლი თაღები, საფიქრებელია, ცენტრალური გათბობის არხებისათვის. ყველა მონაცემით, აქ გვაქვს ადმინისტრაციული შენობა, სადაც დარბაზები წარმოადგენდნენ კურიებს – სხდომათა დარბაზებს, ხოლო მცირე ოთახები აღრიცხვისა და საქმის წარმოებისათვის იყო განკუთვნილი. სამშენებლო მასალად აქაც გამოყენებულია რიყის ქვა, ალმხის აგური, კირის დუღაბი, სახურავ მასალად – კრამიტი.

სატხომრებელი სახლები

სამთავროს ეკლის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზე გათხარა ნამოსახლარი, რომელიც ძვ. წ. პირველ საუკუნეებს ეკუთვნის. პირველი სახლი ნახევრად მიწურია და საფასადო ნაწილით აღმოსავლეთისკენ მიმართული. გრძივი კედლები ნაგებია ქვიშაქვით, ქვატეხილითა და რიყის ქვით კირის ხსნარზე. ზურგის კედელი კი კონგლომერატშია გამოკეცილი. სახლის სიგრძეა 4,8 მ, სიგანე – 5,0 მ, საერთო ფართობი – 24 კვმ. სახლის სახურავი ბანური უნდა ყოფილიყო. იგი რვა ბოძს ეყრდნობოდა. აქედან სამი ზურგის კედელთანაა განლაგებული, ერთი მათგანი მარჯვენა. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდგარა, ორიც – მარცხენა კუთხეში. სვეტის დიამეტრია 0,28 მ. ერთი სვეტი იდგა შუა სახლში. საფასადო კედელი არაა შემორჩენილი. სწორედ აქ უნდა ყოფილიყო შესასვლელი. გადახურვისათვის გამოყენებულია თიხა, ხის ძეგლები და ნამღა. იატაკი მოწყობილია მოსწორებულ კონგლომერატზე და ოდნავ დაქანებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. სახლის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში აღმოჩნდა პურის საცხობი. ზურგის კედელზე გამოჭრილია თახჩა. სახლის მარჯვენა კუთხეში იდგა „ზურგანი საკურთხეველი.“ შუა სახლში კი ყოფილა კერა. მეორე სახლის ფართობია 14,3 კვმ. მესამე სახლისა – 6,8 კვმ. სამივე სახლი ერთნაირი ორიენტაციისაა, ერთნაირი გეგმისა და გადახურვის. აღსანიშნავია, რომ ეს არის ადრეკინის ხანის გლეხის სახლების ტიპი. სახლის წინა მარჯვენა კუთხეში ყოფილა ხეღე – პირუტყვის

სადგომი სანერწყულითურთ. სახლების განლაგება ახლო-ახლოს, დამრეც კალთაზე, მოწიობს უკარმიდამო სახლების მაშინდელ მდგომარეობას. ანალოგიური სახლების ნაშთები, რომლებიც თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით, აღმოჩენილია ნარეკეავეში.

სამთავროს ველზე, სამარონის კიდეზე გამოვლინდა ძვ. წ. უკანასკნელი საუკუნეების საცხოვრებელი სახლებიც. სახლის საძირკველი ნაგებია ნატეხი ქვით, კედლები აღისისაა. ბაჟაქვით შეღესილ კედლებზე ოთხკუთხა პილასტრებია, რომელსაც ეყრდნობოდა ხის გადახურვა კრამიტის სახურავით.

კარსნისხევის მარჯვენა ნაპირას გაიხარა ძვ. წ. I და ახ. წ. I-III საუკუნეთა სახლები. ნამოსახლარი ტერასულადაა განლაგებული ბორცვის ძირსა და თხემზე. შენობები ოთხკუთხა ფორმისაა. კედლები ნაგებია ქვიშაქვის ქვატეხილით თიხაზე. საცხოვრებელი სახლი შედგებოდა ოთახისა და მსუბუქი კონსტრუქციის დამხმარე ნაგებობისაგან. იატაკი თიხატეხილია. შუა სახლში გამართულია კერა. შენობა გადახურულია ბრტყელი და ღარიანი კრამიტით. ერთ-ერთ სახლში კარგად გამოიკვეთა სვეტების დასამაგრებლად დატოვებული ფოსოები. როგორც ირკვევა, სვეტებზე გადადიოდა სახურავის მზიდი კოჭები.

აღბათ, ყურადღებას იმსახურებს ბერძენ-რომაელი ისტორიკოსების ცნობებიც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ხის საცხოვრებელი კომპლექსების შესახებ. ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე ბერძნულ ჯართან ერთად ბრუნდებოდა სამშობლოში ძვ. წ. 401 წელს. თავის „ანაბაზისში“ იგი აგვიწერს ქართული ტომების კომპურა სოფლებს. მნიშვნელოვანია ქსენოფონტეს ცნობები რელიეფის გამოყენებაზე გამაგრებული სოფლების მშენებლობისას, მრავალრიცხოვან კომპლექსზე, რომელსაგან ზოგი თავდაცვითი დანიშნულებისაა, უმრავლესობა კი საცხოვრებელი. კომპურა სახლების გარდა, ქსენოფონტე აგვიწერს ამავე რეგიონში ნანახ მიწისქვეშა დარბაზს ზედა სინაილით. ამ დარბაზის გადახურვა პირამიდული ყოფილა, რაც მიგვანიშნებს ქართული დარბაზის გადახურვაზე უკვე ძვ. წ. V-IV საუკუნეთა მიჯნაზე. რომელი არქიტექტორი ვიტრუვიუსი აგვიწერს კოლხეთის ხის ძეღურა, კომპურ სახლებს და დასძენს. რომ კოლხური კომპები, ფრიგიულიან ერთად, საცხოვრებლის უძველეს ტიპებს მიეკუთვნებიან. კოლხურ კომპებს პირამიდული გადახურვა ჰქონიათ.

აქვე გაიხსენოთ სვანურ სოფელ ხაიშში აღმოჩენილი ხის კომპურა სახლის ოქროს პატარა მოდელი, რომელიც ძვ. წ. III-II საუკუნეებით არის დათარიღებული. მოდელზე მკაფიოდაა გადმოცემული კედლების მორთული კონსტრუქცია, მას აქვს ღია ფრონტონებიანი ორივეკრდა სახურავი. ყოველივე ეს მოგვაგონებს სვანეთის კომპურ საცხოვრებლებს და გამორიცხული არ უნდა იყოს მათ შორის გენეტიკური კავშირიც.

აბანოები

არმაზისხევის აბანო. არმაზისხევის ერისთავთა სასახლიდან ათიოდე მეტრის დაშორებით აღმოჩნდა კომპლექსში შემავალი, ანტიკური დროის აბანო (სურ.

49, 50). აბანო (სიგრძე 26,12 მ, სიგანე – 6,84 მ) ხუთი განყოფილებისაგან შედგება: გასახდელი ოთახის, საცეცხლისა და სამი საბანო (ცივი, თბილი და ცხელი) სათაესისაგან. შენობის განაპირას, დასაელეეთ არის გასახდელი (იატაკი, ხისა უნდა ყოფილიყო). სამხრეთის კედელში შესასვლელია. აღმოსავლეთის კედელში გაჭრილი კარი (საცეცხლის თავზე) შედიოდნენ ცხელ აბანოში. აქ შემორჩენილია კვადრატული ფილაქეთ ნაგები აუზი. ცხელი აბანო კარი უკავშირდება თბილ აბანოს, სადაც ჩრდილოეთით ნახევარწრიული ნიშაა, სამხრეთის კედელში კი – სწორკუთხა. თბილი აბანოდან გადიოდნენ ცივ აბანოში, რომელშიც სამხრეთის ნაწილში აუზი იყო მოწყობილი და იქ სამსაფეხურიანი ქვის კიბეებით ჩადიოდნენ. აუზის იატაკი დაქანებულია და კუთხეებში დატანებულია წყლის გასასვლელი კერამიკული მილები, რომლებიც უერთდება მდ. მტკერიისაკენ მიმავალ არხს. აბანო მარაგდება ორი წყალსადენით. ერთი ტრასა სამხრეთიდან, არმაზისხევიდან, მოემართებოდა და საცეცხლე განყოფილებასთან ერთად სადინარის მუხლს. აბანოს ეს სარაული ძალიან არის დახიანებული. გაცილებით უკეთ არის შემორჩენილი ქვედა. იატაკქვეშა სარაული. აქ გამართულია ჰიპოკაუსტის სისტემის გასბობა ცხელი ჰაერით, რომელიც მოედინება იატაკის ქვეშ და კედლებში მოწყობილი არხებით (გათბობის ეს სისტემა შექმნილია რომში სერგი ორათას მიერ ძვ. წ. I ს.). ქვედა სარაულში რიგობად დაწყობილია მრგვალი ან ოთხკუთხა აგურის 45 სვეტი. სვეტები იყო გადახურული სწორკუთხა ფილებით, რომლებიც ქმნიან ზედა სარაულის იატაკს. ამას გარდა. აბანო აბებოდა კედლებში დატანებული კერამიკული მილებით. თბილი აბანოს იატაკი, სარაულში გადახურვა და ცხელი ჰაერის მიწოდებული მილები აქაც ისეთივეა, როგორც ცხელ აბანოში.

არმაზისხევის აბანო რომაული აბანოების ტიპისაა. სწორედ ასეთი აბანოები იყო გავრცელებული მცირე აზიაში, სირიაში, სომხეთსა და საქართველოშიც. ეს აბანოები, ცხადია, განსხვავდება რომის დიდებულ თერმებისაგან და უპასუხებენ თავის პირდაპირ ღანიშნულებას. აბანო მიეკუთვნება ახ. წ. II საუკუნეს.

ძალისიხის სახოგადებრივი აბანო. ეს ზომით ყველაზე დიდი აბანო (სურ. 53). კომპლექსის ცენტრში მოთავსებულია ღია ეზო – ატრიუმი (7,75 X 6,95 მ). აქ შემორჩენილია ერთმანეთთან დაკავშირებული, ტუფის დიდი ფილებით დაგებული იატაკი, რომლის ცენტრში მოთავსებულია აუზი შადრევნით. ატრიუმს დასაელეეთიდან ეკერის მცირე აფსიდიანი სენაკი. მისი იატაკიც შესანიშნავად გათლილი და მორგებული ტუფის დიდი ფილებისგანაა. ამ სენაკს ატრიუმთან დაკავშირებს ორ სვეტს შორის მოთავსებული კარი. დასაელეეთით იწყება აბანოს ცხელი, თბილი და ცივი განყოფილებები. მათ სამხრეთის მხრიდან ახლავს კარგად გამოხასილული აფსიდები. თბილი და ცხელი აბანოს ქვეშ მოწყობილია ჰიპოკაუსტების სისტემა. სიგრძეზე – 11, ხოლო სიგანეზე სვეტების 7 რიგია. სვეტები ამოყვანილია ოთხკუთხა და მრგვალი აგურით. სვეტების ზემოდან დაგებულია დიდი ზომის ფილები და სხედ დასხმულია ჰიდრავლიკური კირხსნარის ფენა. ატრიუმის აღმოსავლეთით მოთავსებული იყო გასახდელი, რომლის ქვეშ მოდიანად არის შემონახული ჰიპოკაუსტის სვეტები. აბანოს კედლებში

ვერტიკალურად წაყოფილებულია კერამიკული მილები. ეს მილები დაფარულია კერამიკული ფილებით. ამ ფილებსა და კედელს შორის რჩება 3-4 სმ მანძილი – სიერცე, რომელშიც მოედინებოდა ცხელი ჰაერი ოთახების გასათბობად.

აღსანიშნავია, რომ, კერამიკულ მილსადენთან ერთად, ძალისში დამოწმებულია ტყეის მილებისაგან შედგენილი წყალსადენიც. აბანო თარიღდება II-IV სს.

ძალისის სასახლის აბანო. ეს აბანო უფრო მცირე ზომისაა და სასახლის გვერდით მდებარეობს (სურ. 76). ისიც რომაული ტიპისაა და სამი – ცივი, თბილი და ცხელი განყოფილებებისაგან შედგება. სამივე განყოფილება ერთნაირი სიდიდისაა და ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეს აქვთ ნახევარწრიული აფსიდები. თითოეული აბანოს სიგრძეა 5 მ, ხოლო სიგანე – 2,5 მ. აბანოს ქვის კედლები შიგნიდან და გარედან შელესილია. ცხელი და თბილი აბანოების ქვეშ მოწყობილია ჰიპოკაუსტების სისტემის გათბობა, რომლის სვეტებისათვის გამოყენებულია ბრტყელი, კვადრატული და მრგვალი აგური. ცივ აბანოში დაგებულია ყოფილა მოსაიკური იატაკი. მოსაიკას შემოვლებული აქვს არშია მცენარეული ორნამენტით, ხოლო არშიის შიგნით გამოსახულია 'ხღვის ფაუნა' (ჩანს 'ხღვის ნიჟარა და დელფინის თაეი). მოსაიკა თბილ აბანოშიც ყოფილა (რაც იშვიათია). აქ ჩანს გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტები, ფარშევიანგის გამოსახულება და ბერძნული წარწერის ფრაგმენტი. აბანოებს ემიჯნება გასახდელი – აპოლიტერიუმი. იგი გეგმაში სწორკუთხაა (4,9 X 4,7 მ). აქ უკვე მთელი იატაკი დაფარულია სიმეტრიული გეომეტრიული ნაკეთებით.

გასახდელის გვერდით, სასახლის მხარეს, მდებარეობს კომპლექსის ყველაზე სველსაინო დარბაზი, რომლის ფართობი 48,6 კვმ. უდრის (8,1 X 6 მ). დარბაზის გეომეტრიული და მცენარეული მოტივების ორნამენტებით მოჩარჩობულ ცენტრალურ არეში მოთავსებულია თემატური კომპოზიცია. კომპოზიციის ცენტრში, ვახის ტალავერის ქვეშ, მოთავსებულია დიონისეს და არიადნეს გამოსახულებები, მათ ირგვლივ კი მენადები, პანი, მუხები და წლის ოთხი დროის პერსონიფიკაციები. შემორჩენილი წარწერის მიხედვით (აგლაია, ქარიტი) უნდა ვიფიქროს, რომ ქვემო განადგურებულ ნაწილში გამოსახული იყენენ გრაციები. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მთელი ძირითადი კომპოზიცია ორნამენტირებულია ჩრდილოეთით, ხოლო დარბაზის შესასვლელში მოთავსებული მოხდენილი მოტივი – ვახის ყლორტბათა და ულკაშებით შემკული მამაკაცის ნიღაბი შებრუნებულია სამხრეთით – შემომსვლელისაკენ. როგორც ჩანს, მოსაიკის პანოს აღქმა ხდებოდა ჩრდილოეთის კედლის მიხრიდან. სადაც უნდა მდგარიყო საბანკეტო დარბაზის, ტრიკლინიუმის მაგიდები და სავარძლები.

უჭვს გარეშეა, რომ საქმე გვაქვს ანტიკურ სამყაროში გავრცელებულ ე. წ. „დიონისეს სახლთან“. მოსაიკის ნაკეთების იკონოგრაფია, ორნამენტაციის რეპერტუარი და სტილი ათარიღებენ მას ახ. წ. III საუკუნის პირველი ნახევრით და აკავშირებენ მოსაიკური ხელოვნების ანტიოქიის სკოლასთან.

ბიჭყინთის აბანო. ბიჭყინთის შიდაციხის აღმოსავლეთით, გაღავნის გარეშე, იქ, სადაც ციხის ჭიშკარს ამაგრებს ნახევარწრიული კოშკები, აღმოჩნდა აბანოს

ნანგრევი. აბანოში იყო ხუთი ანფილადურად გაწყობილი განყოფილება: გასახდელი (აპოდიტერიუმი), ცივი აბანო (ფრიგიდარიუმი), თბილი აბანო (ტეპიდარიუმი), ცხელი აბანო (კალდარიუმი) და საცეცხლური. გასახდელისა და აბანოების იატაკი აწყობილია კერამიკული ფილებით. აბანოს განყოფილებების ქვეშ მოწყობილია ჰიპოკაუსტების სისტემა დაბალი სვეტებით. ბიჭვინთის აბანო თარიღდება ახ. წ. III საუკუნით. იგი ახლო ღვას რომაული ტიპის მცირე აბანოებთან და, როგორც ჩანს, განკუთვნილი ყოფილა ფართო საზოგადოებისათვის (სურ. 51, 52, 56).

არმაზციხის აბანო. ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთის მხარეს გამოვლინდა ძლიერ დაზიანებული აბანოს ნანგრევი. იგი მცირე ზომისაა (7 X 4,7 მეტრი). შექორჩენილია იატაკქვეშა გათბობის ჰიპოკაუსტების სისტემა, ორ რიგად განლაგებული მრგვალი და ოსხკუთხა აგურებით ამოყვანილი სვეტები, რომლებზეც ეწყობო კერამიკული ფილები. შემორჩენილია წყალსაცავი აუზის და კარგად შეღესილი აბაზანის ნაშთები. კედლებში ჩანს კერამიკული წყალსადენის მილები. აბანო თარიღდება ახ. წ. II საუკუნით.

ძალისის საცურაო აუზი. ძალისის აბანოს (სურ. 57) კომპლექსიდან ხუთი მეტრის დაშორებით აღმოჩნდა საქარიელოსათვის სრულად უნიკალური ნაგებობა – საცურაო აუზი. იგი გეგმაში სწორკუთხაა და ოსხივე მხარეს, კედლების ცენტრში აქვს ნახევარწრიული აფსიდები. აუზის სიგრძეა 33,4 მ, აფსიდებითურთ კი 39,6 მ. სიგანე – 11,5 მ. ამგვარად, აუზის ფართობია 396 კვმ. აუზის კედლები (სისქით 0,7-1,0 მ) ამოშენებულია მიწაში რიყის ქვით კირხსნარზე და მოპირკეთებულია მშენებრივად გათლილი ქვის ფილებით. მოპირკეთებასა და რიყის ქვით აგებულ კედლებს შორის 10 სმ სისქის ჰიდრაულიკური ხსნარის იზოლაციაა გაკეთებული. აუზის ჩრდილოეთ აფსიდში, რომლითაც იგი უკავშირდება აბანოს, მოწყობილია ცხრა საფეხურიანი კიბე. სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში აუზში აგებულია ქვის მერხები – დასასვენებლად. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, იატაკის დონეზე მოწყობილია 0,2 მ დიამეტრის ტრაპი, ხოლო კედლის მეორე მხრიდან – კარგად გაკეთებული ჩამკეტი მოწყობილობა, რომელიც შეერათებულია გათლილი ქვით ნაგებ კანალიზაციის კოლექტორთან. ტრაპისკენ დამრეც იატაკს ჰქონდა ჰიდრაულიკური ხსნარის საფენი. საცურაო აუზი წყლით ივსებოდა დასავლეთის მხრიდან ორი მილსადენის საშუალებით. საცურაო აუზი დაკავშირებულია აბანოსთან და აგებული უნდა იყოს ახ. წ. II საუკუნეში ან III საუკუნის დასაწყისში.

აკლამაქები

ქალაქებს ჩვეულებრივად აკრავს სამაროვნები. დედაქალაქობის პერიოდის მცხეთაზე ქვესი ტიპის სამარხი გვხვდება: ორმოსამარხი, ქვისსამარხი, ქვევრსამარხი, კრამიტსამარხი, აგურისა და თიხის ფილებით ნაგები სამარხი. ყველაზე მეტი რაოდენობით აღმოჩენილია ქვის სამარხი. ეს ბუნებრივია, ვინაიდან ასეთი სამარხები

უმთავრესად ახ. წ. I საუკუნიდან ვრცელდება. იმ დროს, როდესაც მცხეთის და მისი გარეუბნების მოსახლეობა მრავალრიცხოვანია და მჭიდროდ დასახლებულიც. ქალაქის მოსახლეობის ძირითადი ფენების (ხელოსნები, ვაჭრები, მხედრები და სხვა) სამარხებიან ერთად გვხვდება მთლიანად კეთილი სამარხები - სამეფო კარის მოხელეთა სარკოფაგები. ერისთავთა და მათი ოჯახის წევრთა, აგრეთვე სხვა წარმჩინებულთა სამარხები, ბოლოს, მაცხოვრებლის ტიპის აკლდამები - ალბათ, მეფისა თუ მისი ოჯახის წევრთა სამარხები.

არმაზციხის-ბაგინეთის აკლდამა. არმაზციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. კლდეშენილის თავზე აღმოჩნდა პირველი ასეთი აკლდამა. მისი საფუძველი კლდეშია ჩადგმული. ამ მისნით კლდისთავი მოსწორებულა და შემდეგ იქ აკლდამა აუშენებიათ. იგი სრულიად დანგრეულია. აღვლზე აღმოჩნდა მხოლოდ წყობის მცირე ნაწილი, რომელიც საფუძველს გვაძლევს მისი გვერდის აღსადგენად. აკლდამა შედგებოდა ორი ნაწილისაგან: წინა ნაწილია წინკარი ფართობით 5,4 კმ. და დასაქრისალაღი სენაკი ფართობით 7,4 კმ. ძირითადი სენაკი კვადრატულია, ხოლო წინა ნაწილი მოგრძო. მას კლდეში ნაკვეთი სამსაფეხურიანი შესასვლელი ჰქონდა. ადგილზე შემორჩენილი იყო კედლების საფუძველის პირველი ქვედა და ნაწილობრივ, მეორე რაგი. კვადრები კარგად არის გათლილი და საგანგებოდ მჭიდროდ მორგებული იმდენად. რომ კუთხეებში ჩასმულია საგანგებოდ გამოყოფილი კუთხური ქვები. გარდა ამისა, კვადრები ერთმეორეზე ლითონის სამაგრებით ყოფილა გადაბმული და მათი ბოლოები ტყეით ჩადუღებული. ეს კვადრები წარმოადგენდა მოპირკეთებას, მის უკან კი იყო კირით ნაშენი ფლეთილი ქვის წყობა. მასზე, პერანგის შემორჩენილი ანაბეჭდების მიხედვით, შეიძლება განესაზღვროთ აკლდამის პირვანდელი სიმაღლე - დაახლოებით 1,5 მ. აკლდამაში გადარჩენილი ინვენტარის მიხედვით იგი შეიძლება დათარიღდეს ახ. წ. I-II საუკუნეებით.

აკლდამა სადგურ მცხეთასთან. ეს აკლდამა აღმოჩნდა სადგურის მიდამოებში. ბაგინეთის ქედის კალთის ძირში. იგი აგებულია საგანგებოდ ამოჭრილ ქვებულში. რომლის კედლები გამაგრებულია ნატეხი ქვით. თვით აკლდამა ოთხკუთხა ფორმისაა. მიუხედავად თავისი მცირე ზომებისა (175-180 X 2,35 მ. ე. ი. მისი ფართობი სულ 4,2 კმ. შეადგენს), იგი მონუმენტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. აღმოსავლეთის კედლის ცენტრში გაჭრილია დაბალი, მკაფიო, პროფილიანი კარი. კედლები აგებულია კარგად გათლილი ქვის კვადრებით. ამავე ქვითაა გამოყვანილი აკლდამის ნახევარწრიული კამარა. იატაკი შედგენილია ქვის ფილებით. შიგნით აკლდამის კედლები და კამარაც გულდასმით იყო შელესილი პიდრავლიკური კირხსნარით. აღსანიშნავია, რომ აკლდამა აგებულია მშრალი წყობით, მაგრამ ჩამოტეხილი კუთხეები და ფართო ნაწიბურები კირითაა ამოლესილი. ერთადერთი გახსნილი აღმოსავლეთის ფასადი დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე და დასრულებულია მარტივლაგვარდნიანი ფრონტონით. საყურადღებოა, რომ ლაგვარდნის ქვედა კუთხეები, ტიმპანი და კედლის ზედა ნაწილი გამოკვეთილია ერთ ქვაში. რაც სიმტკიცეს მატებს ფრონტონს და ამასთანავე მიზეზითობს სიახლოვეს ხის ხუროთმოძღვრების ხერხებთან. აკლდამის ორკალთიანი სახურავი

დახურულია მცხეთის მიდამოებისათვის დამახასიათებელი, დიდი ზომის ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით. ამ მხრივაც აკლდამა წარმოადგენს იშვიათობას - აქ თავდაპირველი სახით, ადგილზე შემორჩენილია უძველესი კრამიტის სახურავი. სამარხში შემორჩენილი ფიჯრები, რკინის საღებავები და სარეცლის ვერცხლის ღვარები გეიჩვენებენ, რომ მიცვალებული (ქალი) ესვენა სარეცელზე. მიუხედავად გაძარცვისა, შემორჩენილი სამარხი ინტენტიანი აშკარად გეიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ქართლის მმართველი წრის წარმომადგენელთან. აკლდამა აგებულია ახ. წ. I საუკუნის ბოლოს და შედის ანტიკური ხუროთმოძღვრების წრეში. მაგრამ მას იმთავითვე ახასიათებს მრავალი თავისთავადი ნიშანი: ფასადის გადაწყვეტა აქ ორიგინალურია, ფრონტონის არა აქვს პორიზონტული კარნისი, რაც იშვიათობაა ბერძნულ და რომაულ არქიტექტურისათვის და, პირიქით, დამახასიათებელია შემდგომი პერიოდის ყველა ქართული ტაძრისათვის. წყობაში არ შეიმჩნევა კლასიკური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი მკაცრი სისტემა. სწორკუთხა ფორმის შენობის კედლები დახურულია ნახევარწრიული კამარით, ორფერდა სახურავით და სხვა მრავალი.

სამშენებლო ტექნიკა

ძვ. წ. I ათასწლეულში სამშენებლო ტექნიკა ეყარება ძველ ტრადიციებს, მაგრამ, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების შესაბამისად, ავითარებს საკუთარ ტექნიკურ ბაზას. სამშენებლო მასალების შერჩევას განსაზღვრავდა მისი არსებობა მშენებლობის ადგილას. უინაიდან მასალის ტრანსპორტირება წარმოადგენდა მშენებლობის ყველაზე შრომატევად ოპერაციას. მთიან საქართველოში ძირითადი სამშენებლო მასალა ქვით იყო. ქვეყნის სამხრეთის რაიონებში იხმარებოდა ვულკანური ქანები (ანდეზიტობაზალტები). ფართოდ გამოიყენებოდა დასამუშავებლად ადვილი ქვიშაქვები და ტუფები. მაგრამ ფასობდა უფრო მტკიცე კირქვებიც. ძვ. წ. VI-V საუკუნეებში ჯერ კიდევ გამოიყენება ციკლოპური წყობა, მაგრამ ძვ. წ. IV საუკუნის შემდეგ ვრცელდება კვადრული წყობა, როგორც საფუძველი აღიზის კედლებისათვის, ასევე დამოუკიდებლად (სურ. 61, 62) კარგად გათლილი კვადრები ეწყობოდა მშრალად, უხსნაროდ და ერთმანეთთან გადაბმული იყო ხის ან ლითონის ორმაგი მერცხლის კუდის სახის პირობებით ან რკინის გამირებით, ბუდეების ტყვითა ჩაღულებით (არმაცციხე. გორი, უფლისციხე, წიწმბური). ამავე პერიოდშია კვადრების რუსტებიანი წყობა დაუქუშაქვებილი ზედაპირით და გათლილი ნაწიბურებით (ენანი). ქვის წყობა პორიზონტალურია. ყოველ რიგში ეწყობა ერთნაირი სიმაღლის ქვები, მაგრამ თვის წყობის რიგები სიმაღლეში განსხვავებულია. წყობა ყოველთვის გულდასმითაა შესრულებული. კვადრები განსაკუთრებული მონღომებითაა გადაბმული შენობის კუთხეებში. სადაც იხმარებოდა საგანგებოდ გამოთლილი კუთხური ქვები - საკიდურები (არმაცციხის აკლდამა). ქვის დასამუშავებლად სხვადასხვა იარაღი გამოიყენებოდა. კვადრების სხვადასხვაგვარად დამუშავებული ზედაპირები

მიგვანიშნებს, რომ გამოიყენებოდა ნაირნაირი იარაღი: წერაქვი, წალკატი, ძალაყინი, ბაღისპირი და სხვა (სურ. 63). წიწამურის სერზე, ქვის წყობაში აღმოჩნდა ქვის საკვეთი რკინის იარაღი, ხოლო არმახციხის სეგეტებთან დარბაზში – ბრინჯაოს ფარგალიც.

როგორც აღინიშნა, წყობის სიმტკიცისათვის კვადრები ერთმანეთთან სამაგრებით იყო დაკავშირებული. უმეტეს შემთხვევაში, ეს სამაგრები „ორმაგი მერცხლის კულის“ ფორმისაა და ფოსონში ჩადგმულია მუხის პირონები. წიწამურის ქედზე გამოვლენილ წყობაში კვადრები გადაბმულია თარაზულად და შეეულადაც. თარაზული გადაბმისათვის გამოყენებულია ისრისპირისებრი პირონები, ხოლო შეეული სამაგრები ბრტყელია. პრიზმატული მოყვანილობის.

სარკინეს გრძელი მინდერის გათხრების დროს აღმოჩნდა საკმაოდ დიდი სახელოსნო, სადაც სრულდებოდა ლითონის დაწურვასა და შემდგომ დამუშავებასთან დაკავშირებული რთული სამუშაოები. აღმოჩენილია რკინის საწური ბრძმედების ნანგრევები. ლითონის გამოსადნობ სახელოსნოში რამდენიმე განყოფილებაა, ამასგან, ერთში რკინის გამოწურვა წარმოებდა (იატაქე დაღვენთილი რკინის წიდაა), მეორეში – ტყვიის გამოღობა ხდებოდა, მესამეში – სპილენძის. აქ მსადღებოდა რკინის ცულები. ქვის სათლელი იარაღის ნაშაღები და სხვა.

კვადრული წყობა გამოიყენებოდა ძირითადად საზოგადოებრივ შენობებში და მდიდრულ ნაგებობებში. რიგითი სახლების კედლები შენდებოდა ალინით ქვის ცოკოლზე, ასეთივე ხერხია გამოყენებული საედაციის კედლებში, რადგან ალინის წყობა კარგად უძლიანდებოდა კედელთმგრეველი მანქანების დარტყმებს. ამავე მიზნით, კედლებში დატანებულია ხის მორები როგორც განივად, ისე გრძივად ფასადის სიბრტყის მიმართ: ალინი ფართოდაა გამოყენებული ხელებებისა და ციხე-კოშკების მშენებლობაში (არმახციხე, სარკინე, წიწამურა, გორი). იხმარებოდა გამომწვარი და გამოუწვავი ალინი, როგორც კვადრატული, ისე მოგრძო სწორკუთხოვანი – მთელი ალინის ნახევარი. ეს საჭირო იყო წყობაში კუთხეების გადაბმისათვის.

ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრულის კედლების აგებისას უკვე გამოიყენება კირის დუღაბი. ქართული წყაროების თანახმად, ქეითკირი იბერიაში შემოღებულია ძვ. წ. III საუკუნეში – „და ამა არდამმან შემოიღო ქეითკირისა შენობა“, მაგრამ თეიმურაზ ბატონიშვილის განმარტებით, „არდამმან ყოველთა და უმრავლესთა ადგილთა ივერიისათა ამცნო ციხეთა შენებულებათა სინაგრეთასა ქეით კირითა ქმნაი. ამისათვის მიაწერეს მას შემომღებლობა ქეითკირითა ძველთა მემატინათაგან ქართულითა“. თეიმურაზის მიხედვით, არდამის დამსახურებაა ქეითკირის გავრცელება იბერიაში. ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. I ათასწლეულის უკანასკნელ საუკუნეებში თითქოს ჩნდება კირის დუღაბიანი კედლები, ახ. წ. I ს. მრავალ ნაგებობაში კი უკვე აშკარად გამოყენებულია დუღაბი. ამის შედეგად წყდება ან იკვეცება ციხესიმაგრეების ალინით მშენებლობა. დუღაბი, ბუნებრივია, ალინის წყობას გამოირიცხავს და გაბედულად იკაფავს გზას.

ტრადიციული, საყრდენ-კოჭოვანი სისტემა თანდათან ვითარდება. ამ სისტემას კარგად ასახავს ქვის კოჭოვანი პლაფონები უფლისციხეში. ბანურ სახურავებთან

ერთად ჩნდება ორთქერდა, კრამიტით დახურული სახურავები. კრამიტი ფართოდ ვრცელდება ძვ. წ. IV-III საუკუნეებში. როგორც ვხედავთ, კრამიტით იხურება არა მარტო სამოქალაქო ნაგებობანი, არამედ თავდაცვითი კედლები, აგრეთვე მათი კოშკები და ბურჯები. კრამიტი სამშენებლო საქმის განვითარების მაჩვენებელია და საქალაქო ცხოვრების მაღალ დონესაც მოწმობს. ამ მხრივ საგულისხმოა იბერიის სტრატონისეული შეფასება: „მართლაც, იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითა და დაბებით, ისე რომ, იქ არის კრამიტის სახურავები...“

იბერიის ქალაქებში ხმარებული კრამიტი ორი სახისაა – ბრტყელი და ღარიანობრივი. ბრტყელი კრამიტი (სოლენი) ფართო ტრაპეციისებრი მოყვანილობისაა. მას ზედა ნაწილი უფრო განიერი აქვს, ვიდრე ქვედა, გრძივი გვერდები კი აკეცილი. კრამიტის სიგრძეა – 52,5 სმ, 50 სმ, 46,5 სმ. სიგანე თავში – 44,6 სმ, 41,5 სმ, 37,5 სმ, სიგანე ბოლოში – 36 სმ, 30,5 სმ, 29,5 სმ. კედლების სიმაღლე გარედან – 5-6 სმ.

ღარიანობრივ კრამიტი (კალიპტერი) წარმოადგენს თიხის ღარს, რომლის ქვემო ნაწილი უფრო ფართოა და ზეეთიკენ თანდათან ვიწროვდება. კრამიტის სიგრძეა – 48,3 სმ, 50 სმ. ფართო ნაწილის სიგანე – 19,5 სმ, 21,3 სმ, ვიწრო ნაწილის სიგანე – 14,6 სმ, 13,8 სმ. კრამიტს ზურგზე გაკეთებული აქვს ქიმი, რომლის დანიშნულებაა ზედა მწკრივის ღარიანი კრამიტის ჩამოცურებისაგან შეკავება. გაშრობამდე კრამიტს ჩარხზე უკეთებოდა ქიმი. ქიმის ჩასამაგრებლად ოსტატი ცერით აკეთებდა ფოსოს და მასში სვამდა ცალკე დამზადებულ ქიმს. კრამიტის ზედაპირი წილიად იღებებოდა (სურინჯი), რაც იცავდა მას ატმოსფერული ნალექებისაგან, ამასთანავე სილამაისათვის. მცხეთური კრამიტის ზედაპირზე ჩანს სხვადასხვა ნიშნები. ეს ნიშნები შესრულებულია წვეტიანი იარაღით (ხის) ან იშვიათად, თითოთ. ამ ნიშნების მნიშვნელობაზე ახრია სხვადასხვაობაა. ფიქრობენ, რომ ეს არის ან მ'ხა პროდუქციის აღმნიშვნელი რიცხვითი მნიშვნელობა, ან ოსტატის ნიშანი, ან სახელოსნოს ნიშანი – გამომუშავებული პროდუქციის აღრიცხვისათვის. სახურავის მთელი ზედაპირი მთლიანად იფარებოდა ბრტყელი კრამიტით, ხოლო ვიწროღარიანი კრამიტით იხურებოდა ბრტყელ კრამიტებს შორის შექმნილი ნაკერები. ბედნიერი შემთხვევით, დღემდე შემორჩენილია პირვანდელი კრამიტის სახურავი მცხეთის აკლდამაში

მხატვრული ხერხები

ამ მრავალრიცხოვან მასალაში, რომელიც აღმოჩენილია ბოლოდროინდელი არქეოლოგიური გათხრების წყალობით (სვეტების ბაზისები და კაპიტელები, ლავგარდნების ფრაგმენტები, კესონები და პროფილირებული ნაწილები), ყველაზე საყურადღებო მაინც სვეტისათაგანია, ვინაიდან ყველაზე უკეთ ახაზავენ ეპოქისათვის დამახასიათებელ თვისებებს, განსასაღვრავენ სტილს ხელოვნებაში.

არმა-ს-ციხის „სვეტებიანი დარბაზის“ სვეტები (სურ. 65). ამ დარბაზში გრძივ ღერძზე მდგარა ექვსი ხის სვეტი ქვის ბაზისით და კაპიტელებით. ყველა ბაზისი

ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო სვეტისთაყების მხოლოდ ნაწილი გადაჩნა. ბაზისებიცა და სვეტისთაყებიც გამოირჩევა სისადავითა და მარტივი პროფილირებით. კაპიტელი შედგება აბაკისა (ჩაღალი, გეგმაში კვადრატული ფილა) და ყელისაგან. ასევე მარტივია ბაზისი – ოთხკუთხა პლინტზე მოთავსებულია ღიღვი და ყელი, რომელიც გადადის სვეტში. დარბაზი თარიღდება ძვ. წ. III საუკუნით, მაგრამ აქ არა ჩანს არავითარი მსგავსება ბერძნულ-ელისნისტურ სამყაროსთან და ხასიათით უფრო წინა აზიის არქიტექტურულ ტრადიციების არეალშია. დარბაზის ბაზის-კაპიტელები თავიანთი ფორმით მოკვავონებენ კლდეში ნაკევა აკლდამების პორტიკოს სვეტებს შაფლაგონაში. არმაზციხის სვეტებს არ ჰქონიათ დეკორატიული ფუნქცია, იგი ძირითადად კონსტრუქციული ელემენტია და ამ მხრივ პირდაპირ პასუხობს თავის დაბნეულებას.

აქვე არმაზციხესე, ნაპოვნია კორინთული სვეტისთაყის ქვედა ნაწილი. აკანთის ფურცლების მოყვანილობის მიხედვით, იგი შეიძლება ძვ. წ. I საუკუნეს მიეკუთვნოს.

არმაზციხის ხევის სასახლის კაპიტელი (სურ. 69). აღმოჩნდა სასახლის კედელთან. კაპიტელის სიმაღლეა 47 სმ, აბაკის გვერდის ზომებია – 61 და 57 სმ. სვეტისთაყი სრულიად გამოფიტულია და მხოლოდ ქვედა ნაწილში იკითხება აკანთის ფურცლების კვალი. სვეტისთაყი უნდა ეკუთვნოდეს ნაგებობას, რომელიც ახ. წ. I საუკუნეში მდგარა.

სარკინის იონური კაპიტელი. კაპიტელი აღმოჩნდა რკინის სახელოსნოს ნაშთებში. იგი აქ სხვა ადგილიდან არის მოხვედრილი. კაპიტელს (სურ. 74) აგვირგვინებს კვადრატული აბაკი, რომლის საფასადო მხარეები მორთულია იონიკებით, გვერდითი მხარეები კი სადაა. პორიზონტალური საეოლუტე ბაფთა რელიეფურად არის ამოზიდული. მის ქვეშ კაპიტელის ბაღში მთლიანად დაფარულია ლიტოსის ყვავილის ორი გაშლილი ფურცლით და შუაგულში ჩასმული რვაფურცლიანი ვარდულით. ბაღში სქვეშა ოვები დაფარულია პალმეტებით. ყელს სახლურაეს ასტრაგალი. სადაც მოგრძო ფორმის მარგალიტებია მოთავსებული. ეოლუტები გამოზიდული, რელიეფური ბაფთებით ხასიათდება და არქაიზებულია. სვეტისთაყი თარიღდება გეიანელინისტური დროით – ძვ. წ. II ს. მისი ზომებია – აბაკის სიგანე – 329 მმ, კაპიტელის სიგანე – 406 მმ, სიმაღლე აბაკამდე – 136 მმ.

ვანის კორინთული კაპიტელი. კაპიტელი აღმოჩნდა ვანის საფეხურებიანი საკურთხეველის გათხრის დროს (სურ. 66, 67, 75). იგი მაგარი ჯიშის კირქვისაგან არის დამზადებული და ორი იარუსისაგან შედგება: ქვედა იარუსი აკანთის ეიწრო და ფართო ფოსლებით შედგენილი კალასაა. ხეშო იარუსის ოთხივე გვერდზე ქაღალმერითის პორელიეფური ბიუსტია. ქაღალმერითის გამოხატულება ხასიათდება მოგრძო, ოდნავ შებრუნებული თავით. კარგად შეიმჩნევა ორი ნაწნავი. სამოსელი ოდნავ შეიმჩნევა. უკეთ შემორჩენილია სამხაროილივე სარტყელი. ბიუსტის გარშემო თავისუფალი არეები წვრილი მცენარეული ხეებით არის შევსებული. კუთხის ეოლუტების ბაზისები დაფარულია აკანთის ფოსლებიანი სამღეროვანი სარტყლებით. კაპიტელის ფუძე არაა დანაწევრებული კანელურებით, რაც გვიჩვენებს, რომ კაპიტელი გლეუვ სვეტს აგვირგვინებდა. ვანის კაპიტელი ტიპოლოგიურად ახლოა

მცირე პიხის გეიანელინისტურ ხანის ძეგლებთან. იგი თარიღდება ძვ. წ. II ს-ით. კაპიტელის სიმაღლე 450 მმ, სიგანე – 750 მმ.

ვანში, იმავე საკუროხეველის გათხრის დროს, აღმოჩნდა კიდევ რამდენიმე კაპიტელი. ორი კაპიტელი არაფრით განიხილება ერთმანეთისაგან. ამ კაპიტელებში, ფიგურული კაპიტელებისაგან განსხვავებით, ქალღმერთის ნაკეთის ნაცვლად, ვარდულაა მოთავსებული. აქვე ვანში აღმოჩენილია პილასტრის კორინთული კაპიტელი. აგრეთვე ერთი განსხვავებული სწორკუთხა სვეტის კაპიტელი. იგი ქვიშაქვისგანაა დამზადებული და მარტივი ფორმისაა. ექინის პროფილი ნაოხბალი ღიაღვია. გამოყოფილია ყელიც დახრილსბრტყეებიანი სარტყლით. ეს კაპიტელი თავისუფლად მდგომ სვეტს ეკუთვნოდა და თარიღდება ელინისტური ეპოქით.

საირხის დორიული კაპიტელი. იგი თეთრი კარქვისგანაა გამოთლილი. მასში, აბაკოსა და ექინის გარდა, ფორმირებულია ყელიც, რომელიც ექინისგან ორი ღრმა ღარით გამოყოფა. აბაკა მსაღლი, გვერდში კვადრატული ფორმის სადა ფილაა. ექინის მოვლი ზედაპირი დაფარულია ლოტოსის ყვავილის ფურცლების ხუთი რიგით, რაც გამოსატყვევს ლოტოსის ყვავილის გამწვანებულ გვირგვინს. ყვავილის ფურცლების მხატვრული დამუშავება უახლოვდება ეგვიპტური ორნამენტაციის ფორმებს. ექინის ყურადღებას იქცევს თავისი ფორმით, მისი პროფილი ქვემოთაა ჩამოხიდილი და აბაკსე დაკიდებულის შესაბამისად ტოვებს. საირხის კაპიტელში დორიული ფორმები შეუსავესდა ეგვიპტური არქიტექტურის პტოლემეაიოსურ სტილს. კაპიტელი ძვ. წ. II – I სს. თარიღდება. მისი აბაკოს სიმაღლე ერთმეტრიანი კვადრატი, კაპიტელის მთელი სიმაღლე 50 სმ. იმავე საირხის მიდამოებში აღმოჩნდა პილასტრის კაპიტელიც, რომელიც მორიულობით პირველი კაპიტელის იდენტურია.

ციხიაგორას ხარის ორმაგპროთომიანი კაპიტელი. ციხიაგორას სატაორო კომპლექსის (სურ. 71) გათხრების დროს აღმოჩნდა კარქვისაგან გამოკვეთილი კაპიტელი. ეს არის ორი ხარის ან მოსერის ორმაგი პროტომის ქანდაკება. იგი თავისი კომპოზიციით იდენტურია აქემენიდური პერიოდის ორმაგპროთომიანი კაპიტელებსა. აქემენიდურ არქიტექტურაში ყველაფერი და მათ შორის კაპიტელები ემორჩილებიან ერთიან პროგრამას – სამეფო ხელისუფლების განდიდებას. ამას ემსახურებოდა პერსეპოლისის კაპიტელების მძლავრი და მკაცრი ხარების სტატიკური იერი. ციხიაგორას კაპიტელზე გამოსახულია ჩველი მოსერები მოწყენილი გამომეტყველებით. მორიულობის მხრიავეც ეს კაპიტელი დამორებულია აქემენიდური პლასტიკის სტილს. აქ უარყოფილია ფაფარი, კისრის ვარდულებიანი სარტყელი და სხვა მრავალი. ირანისაგან დამორებულ რეგიონებში აქემენიდური არქიტექტურული ფორმები იმპერიის დამხობის შემდეგაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში აგრძელებენ არსებობას. ელინისტური არქიტექტურის ფორმებისა და ორნამენტული სახეების უპირატეს პერიოდში ციხიაგორას კაპიტელში ელინისტური პლასტიკის კვალი არ შეინიშნება. ამგვარად, ეს კაპიტელი გარდამავალ საფეხურსეა ძვ. წ. IV საუკუნეში, როდესაც აქემენიდური არქიტექტურული სტილი გასას უთმობს ელინისტური მხატვრული ტრადიციების ჯერ კიდევ უადრესად სუსტად გამოხატულ ნიშნებს.

დედოფლის მინდვრის ლოტოსისებური კაპიტელები. დედოფლის

მინდერის სატაძრო კომპლექსის გათხრების დროს აღმოჩენილია 12 კაპიტელი (სურ. 72). ტიპოლოგიურად ეს კაპიტელები ერთმანეთისაგან არ განირჩევიან და განსხვავდებიან მხოლოდ დეკორატიული არწიის მორთულობით. ეს კაპიტელები ფორმით მოგვაგონებენ აქემენიდურ სარისებრ ბაზისებს. კაპიტელის ტანზე ამოკვეთილია ღოტოსის ყვავილის ვიწრო ფურცლები, ზედა არშიასეა წნულში ჩართული ვარდულები. ეს გვიანხეაური ორნამენტია, რომელიც მისწეულია დაუსრულებელი მოძრაობის, უსრულობის სიმბოლოდ. დედოფლის მინდერის კომპლექსი დათარიღებულია ძვ. წ. I საუკუნით.

ანტიკური პერიოდის ქართული არქიტექტურა ხასიათდება სისადაეთა და ორგანულობით. მასების განაწილებისა და საერთო ორგანოსაციის საფუძველს წარმოადგენს სწორკუთხედი, რომელიც ხშირად უახლოვდება კვადრატს: შენობებს ახასიათებთ მარტივი პროპორციები (1:1, 1:2). შენობათა კომპოზიცია ექვემდებარება სიმეტრიის ძირითად ღერძს, რომელიც ავლენს მათ ფორმალობას ხაზგასმული ფასადით. შესასკვლელს (ხშირად სამხრეთის მხრიდან) წარმოადგენს ფასადის კომპოზიციურ ცენტრს. სვეტები რიტმულადაა განაწილებული ერთნაირი მანძილით.

შენობათა დეტალურმა გაზომვამ გამოავლინა ის სიგრძის საზომთა ერთეულები, რომლითაც სარგებლობდნენ ხუროთმოძღვრები და მშენებლები. როგორც გაირკვა, სიგრძის ძირითად საზომს ძვ. წ. I ს. მეორე ნახევარში წარმოადგენდა წყრთა, რომელიც უდრის 52 სანტიმეტრს. ამ წყრთის ჯერადაა არმასციხის სვეტებიანი დარბაზის და მცხეთის, გორის, სარკინეს შენობათა კედლები და ძირითადი ნაწილები. არმასციხის აღიზის აგურის 'სომებია' - 52 X 52 X 12 სმ, 26 X 52 X 12 სმ, სამადლოში - 50 X 50 X 10 სმ, 50 X 22 X 11 სმ. ასეთივე 'სომები' ახასიათებს კრამიტსაც. შემდგომ, უფრო გვიანდელ ნაგებობებში შეიმჩნევა ამ 'სომების' შემცირების ტენდენცია 46-48 სმ, 44, 46, 47 სმ. დავაღვინეთ, რომ ახ. წ. I საუკუნეში უკვე ქრება აღნიშნული განზომილების ჯერადი 'სომები' და სამაგვიეროდ ნაგებობათა ნაწილების უმრავლესობის 'სომები' 16 სმ-ის ჯერადია. სვეტებიანი დარბაზის მომიჯნავე შენობის კედლები ამოყვანილია თლილი ქვით, რომელთა შორის ეხედებით მხოლოდ შემდეგ განზომილებას: 16, 32, 48 სმ. ამავე ნაგებობაში მოთავსებულია ბადისებრი წყობა, სადაც ქვების 'სომია' 16 X 16 სმ, ამავე პერიოდის აბანოში მცირე შევრილების სიგრძეა 16 სმ, ღიდი შევრილებისა 47-48 სმ. შესაძლებელია ეს არის ბიჯის მეექვსედი ნაწილი - „კიდა“ - 16 სმ. შესაძლებელია, რომ შემდეგ პერიოდებში ასევე ფართოდ გაერცყლებული საზომი ერთეული - აღლი წარმოადგენდა „ღიდ წყრთას“, ე. ი. ტოლი იყო ორი წყრთისა. ძველი საქართველოს სიგრძის საზომთა ერთეულების სიახლოვე წინა აზიისა და მცირე აზიის (ბაბილონი - 53,1 სმ, პერსეპოლისი - 52,5 სმ, ურარტუ - 51,8 სმ, ეგვიპტე - 52,4 სმ) სათანადო განზომილებებთან - წყრთასთან კიდევ ერთხელ ადასტურებენ იბერიის იმდროინდელი ხელოვნების მჭიდრო ურთიერთობას ძველი აღმოსავლეთის კულტურებთან.

არმასციხის სვეტებიანი დარბაზის სვეტებში, სადაც ხის ღერო შეთავსებულია ქვის ბაზის კაპიტელებთან, შეიძლება დაეინახოთ კავშირი სიროხეთურ ნაგებობებთან და განსაკუთრებით პაფლაგონიის კლდოვანი აკლდამების სვეტებთან. რაც შეეხება

ცინიაგორასა და დედოფლის მინდერის სეგეტებსა და მორაულობის ყველა ელემენტს, აქ სახეზეა არა მარტო აქემენიდური მხატვრული ტრადიციები, არამედ ეგვიპტური არქიტექტურის გვიანელინისტური დროის ტრანსფორმაცია.

განსაკუთრებულ სფეროშიღეს მოიხილეს ქართული კულტურის ურთიერთობის საკითხი ეგეოსის სამყაროსთან. ნაყოფიერების ქალღმერთის კულტი ხარის შეწირულობით, რქიანი საკურთხეველები სრიალეთიდან, ურბნისის კერები თითქოს მიგვიანიშნებენ საქართველოს და ეგეოსის სამყაროს რელიგიურ წარმოდგენების და კულტურის გარკვეულ მსგავსებაზე, რაც განისაზღვრება სამეურნეო-საზოგადოებრივი საფუძვლით. წინა ანტიკურ პერიოდში შეიმჩნევა საერთო ნიშნები სამშენებლო ტექნიკაში (აღიზის კედლები გურნიასა და ტროაში, აფტერას ნაგებობები კუნძულ კრეტაზე და განსაკუთრებით მეგარონის ტიპის საცხოვრებლის განვითარება საქართველოსა და მიკენში). როგორც ჩანს, აქ სახეზეა კულტურული სამყაროს მსგავსება, რომელიც ყალიბდება ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულში.

არ შეიძლება არ შეეხებოთ ელინისტურ პერიოდს საქართველოს კულტურის ისტორიაში. უკვე ძვ. წ. VI-V საუკუნეებიდან კოლხეთის მხარე ჩაბმულია სავაჭრო ურთიერთობაში ბერძნულ სამყაროსთან, რასაც თან სდევდა კულტურული ურთიერთობანიც. თავს იჩენს ბერძნული ენისა და დამწერლობის ხმარება, დასაფლავების წესების შეცვლა, ჩნდება დორიულ, იონურ და კორინთულ სახეობათა სვეტისთავეები (ენი, საირხე), ფართოდ გამოიყენება კონსტრუქციული ელემენტები, არქიტექტურული ფორმები და დეკორატიული ელემენტები (კოლხეთში), ვრცელდება ორქანობიანი სახურავეები და კრამიტის უხედა გამოყენება (იბერია). ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოში არსად ჩანს ბერძნული ტაძრის ტიპის შენობა, ე. ი. საქმე გვაქვს არა ელინიზაციასთან საერთოდ, არამედ ცალკეულ ფორმათა დასესხებასთან და მათ გააზრებულ გამოყენებასთან. ეს კი აიხსნება იმით, რომ ელინიზმის საქართველოში დახვედა უკვე ერთგვაროვანი და სპეციფიკური კულტურა (არქიტექტურა, კერამიკა, ლითონის სამეურნეო და საომარი იარაღი, სამკაულები და სხვა).

ახ. წ. პირველ საუკუნეებში ქართულ კულტურაში გარკვეულწილად აისახა იბერიისა და რომის ურთიერთობანი. ეს ურთიერთობა ელინდება სამკაულებსა და ყოფის საცნებში (ვერცხლის ჭურჭელი, გემები ანტიკური მითოლოგიის სოუვეტებით და სხვა). რომის მხატვრულ გემოვნებას ასახავენ უფლისციხის დარბაზები ეკსონური დეკორით, ძალიან ნაგებობები და განსაკუთრებით რომაული ტიპის აბანოები. მაგრამ აქვე უცდლობლად უნდა გავიხსენოთ სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ იბერიაში რომაელების გამოქნამდე ბევრად აღრე იყო განვითარებული საქალაქო ცხოვრება, კრამიტის სახურავეები, ქულბაქები და არქიტექტურული ხელოვნების შესაბამისი მშენებლობა.

მართლაც, განხილული ძეგლები გვიჩვენებს მხატვრული კულტურის მაღალ დონეს, რომელიც ვითარდებოდა ადგილობრივ ტრადიციებზე. ქართველური მოდემის ტომების მიერ გამოიმუშავებული ყველა ხერხი დი ნიშანი ვითარდება და ახალ ხარისხობრივ საფეხურზე აღის კლასობრივი სახელმწიფოების ჩასახვის პერიოდში.

ადვილად შესაძრწევა, თუ ანტიკური პერიოდის არქიტექტორები და მშენებლები როგორ სრულყოფენ ხისა და ქვის დამუშავების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებსა და გამოცდილებას. ცრუთალოვანი გადახურვის სისტემის განვითარების შედეგად იქმნება დარბაზული გვირგვინის სახეები და შემდეგ ნახევარწრიული თაღები, კამარები და გუმბათები. პირველყოფილ საზოგადოებაში გაჩენილი პრიმიტიული საყრდენები ამ პერიოდში გარდაიქმნა უკვე ბაზისებისა და კაპიტელების შემცველ სვეტებად. საცხოვრებლის პრიმიტიული უჯრედიდან თანდათანობით იქმნება განსახდერული კომპოზიციური სისტემისადმი დაქვემდებარებული სადა, მკაცრი სასახლეები. ციკლოპური ციხეების უხეში კედლების ტრადიციებზე განვითარდა წყობის ახალი ტიპები – თლილი ქვების მშრალი წყობა შერწყმული ალინთან და შემდეგ კი წყობა კირის დუღაბზე. ადგილობრივი ტრადიციების სიმტიცეს ადასტურებენ ხის ხურობის ფორმები და ხერხები გადმოტანილი უფლისციხის დარბაზებში და მცხეთის აკლდამაზე.

შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება

აღრეული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება

ისტორიული ჩიგონილივა

IV საუკუნის 30-იან წლებში, მეფე მირიანის ზეობაში, ქართლში ოფიციალურ სარწმუნოებად ქრისტიანობა გამოცხადდა. ამ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენამ განსაზღვრა იმ დროის ქართლის პოლიტიკური ორიენტაცია, კულტურისა და ხელოვნების განვითარების სრულიად ახლებური გეზი და მიმართულება. ტყვე ქალმა ნინომ (ნუნე), რომელიც/ ისტორიული წყაროებით კაპადოკიელად არის მიჩნეული, ქართლში ქრისტიანული სარწმუნოება იქადაგა. როგორც ისტორიული წყაროებით ირკვევა, ეს „ახლადნერგილი რელიგია“ იმ დროისათვის არცთუ უცხო ყოფილა ქართველთათვის. ს. ჯანაშია იმ დასკვნამდე მიდის, რომ ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნეში, თუ უფრო ადრეც არა, საქართველოს მოსახლეობა მცირე ქრისტიანულ თემებშიც იყო გაერთიანებული. შემდეგ კი ასეთი ვარაუდის რეალურობა დაადასტურა ნასტაგისის (ნასტაკისი) არქეოლოგიურმა გათხრებმა, სადაც III საუკუნის განათხარ ფენაში მცირე ზომის საოჯახო ეკლესიები გამოვლინდა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ იმ ცნობასაც უნდა მიეკცეს ჯეროვანი ყურადღება, რომ ახალი წელთაღრიცხვის დამდეგს მაცხოვრის ჯვარცმას საქართველოდან დაესწრო ელიოზ მცხეთელი და ლონგინოს კარსნელი, რომლებმაც წილიც კი იყარეს მაცხოვრის კვართზე და, ლეგენდის თანახმად, ეს საკრალური რელიკვია მცხეთაში ჩამოიტანეს. ასეთ რელიკვიასა რეგში დგება მაცხოვრის „მეწამული ჯერის“ წმინდა ნაწილები: „სამსჭულანი“ და „ფერხთა საყრდენი ფიცრები“. რომლებიც მანგლისის და ერუშეთის უძველესი ეკლესიების სიწმინდეებს შეადგენდნენ. ასეთმა ლეგენდებმა წარმოშვა სხვადასხვა ხასიათის თქმულებები ქართლის ქრისტიანიზაციის შესახებ, რომელთა შორის განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს მათი საქართველოს დმრთისმშობლის წილხელომების შესახებ.

IV საუკუნე მიჩნეულია მონათმფლობელური წყობილების დასასრულად და ახალი სოციალურ-ეკონომიკური წყობის დასაწყისად, როდესაც ახალი ტიპის სახელმწიფო მმართველობა წარმოიქმნა. თუმცა, მკვლევართა ერთი ნაწილის თვალსაზრისით, ფეოდალური ურთიერთობის ჩანასახი ქართლსა და ვერისში უკვე ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში შეინიშნება. გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, ელინისტური ხანის ქართლის (იბერიის) ადრეკლასობრივ, ანუ განუვითარებელ სახელმწიფოში ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან ინტენსიურად მიმდინარეობს ფეოდალიზაციის პროცესი, რომელიც დაგვირგენდა IV-VI საუკუნეებში.

საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების და დამკვიდრების პროცესი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობებით იყო აღსავსე. თვის პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის სიძემ ფეროზ ერისთავმა უარი თქვა ქრისტიანული მრწამსის აღიარებაზე. ასეთი წინააღმდეგობანი, რომლებშიც საკუთრივ კინფესონალურთან

ერთად, სოციალური უკუფენებიც უნდა დაეინახოს, განსაკუთრებით მკაფიოდ გამ-
ოვლინდა მთიან რეგიონებში, სადაც მეფის ერისთავები იძულებულნიც კი გამხდარან
მახვილი აღუმართათ, სოგს კი „დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს
ნათლისღება.“

ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცებისათვის სათანადოდ ზრუნავდა
სამეფო კარი და სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატია – აზნაურ-წარჩინებულები.
მკვლევართა დასკვნით, ქრისტიანობა საქართველოს მოველინა როგორც აზნაურთა
რელიგია, რადგან მათთვის ძალზე ხელსაყრელი იყო ფეოდალური ურთიერთობის ის
ფორმები. რაც ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად დამკვიდრების შედეგად
კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა მიწისმფლობელობის კერძომესაკუთრულ ხასიათში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება მიწისმფლობელობაში. მოიპალა
წარმართული პანთეონის როგორც ოფიციალური, სახელმწიფო კულტები (არმაზი,
'ხადენი. გაცი. გა. აინინა, დანინა), ისე ცალკეულ ტომთა საგვარეულო ხატ-
სალოცავები. შესაბამისად, მოიშალა წინაქრისტიანული კულტების სამიწო
მფლობელობა, რასაც აზნაურთა ფეოდალური მიწათმფლობელობის გაფართოება
მოჰყვა. ამიტომაც იყო, რომ ქართლის აზნაურები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ
როგორც ქრისტიანობის დამკვიდრებაში, ისე დიდ საეკლესიო მშენებლობაში.

საქართველო იმთავითვე ამყარებს მჭიდრო კონტაქტებს უძველეს ქრისტიანულ
ქვეყნებთან – ბიზანტიასთან, რომთან, ქრისტიანული აღმოსავლეთის მოწინავე
ქვეყნებთან. „ქრისტიანული აღმოსავლეთის“ ცნებაში იგულისხმება რელიგიური
მრწამსით გაერთიანებული უძველესი ქრისტიანული ხალხების მიერ შექმნილი
უდიდესი კულტურული მემკვიდრეობა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა და
განსაზღვრა კიდევ ქრისტიანული ეპოქის ისეთი წამყვანი ქვეყნების ხელოვნების
განვითარება, როგორიც იყო რომი და ბიზანტია. „ქრისტიანული აღმოსავლეთის“
ქვეყნებში, სხვა ხალხთან ერთად, შედიოდნენ ამიერკავკასიის ქრისტიანულ
სახელმწიფოები: საქართველო, სომხეთი და ალბანეთი.

ქართლის ეკლესია თანდათანობით ერთ საერთო-ადმინისტრაციულ ერთეულად
იქცა, რომელსაც თავდაპირველად ეპისკოპოსი განაგებდა. შემდეგ კი ქრისტიანობის
ფართოდ გავრცელებისთანავე ქვეყანა სხვადასხვა საეპისკოპოსო ერთეულად დაიყო,
რომელსაც მთავარეპისკოპოსი, ხოლო შემდეგ კათალიკოსი განაგებდა. საეკლესიო
სფეროში ჩატარებულ ამ რეფორმას ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირებენ.
მანვე შეიქმნა საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო აპარატი და
ვახტანგის ანდერძით მისმა ძემ დანი უჯარმელმა საქართველოს დედაქალაქი
მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა. ქართლის ეკლესიამ გორგასლის მეფობის
პერიოდთან მოაპოვა ავტოკეფალია და ანტიოქიიდან მიიღო უფლება მირონის
მოხარშვისა. ეს კი დამოუკიდებელი ეკლესიის ერთ-ერთ აუცილებელსა და
მნიშვნელოვან ფაქტორს შეადგენდა. ვახტანგ გორგასლის მიერ ჩატარებული როგორც
სოციალურ-პოლიტიკური, ისე საეკლესიო რეფორმები ქვეყნის ცენტრალიზაციის
განმტკიცებას ემსახურებოდა.

VI საუკუნეში საქართველო ირანისა და რომის მეტოქეობის ობიექტი გახდა. ასეთ

რთულ ვითარებაში მნიშვნელოვნად დამამძიმებელ ფაქტორად გამოდიოდა გურგენ მეფის აჯანყება, რაც ქართლის სამეფო ხელისუფლების სრული კრახით დამთავრდა. 532 წელს ქართლში მეფობა გაუქმდა. „მათ უამთაგან ეპყრა უფლება ქართლის ახნაურით“, რაც ფეოდალიზმის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას შეადგენდა. ამ მეტად რთული პროცესის კულმინაციას შეადგენდა ის მნიშვნელოვანი ისტორიული მოსაბრუნე, როდესაც, სათანადო ვითარების მოწიფების შედეგად, „ნელად-რე შეკრბა ქართლი“ და ერისთავად გუარამ დიდი განაჩინეს. ქართლის ასეთი „შეკრება“ – „კონსოლიდაცია“ აპირობებდა ფეოდალიზმის შემდგომ განვითარებას და, შესაბამისად, მისი კულტურისა და ხელოვნების დაწინაურებას.

ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ თბილისი ქართლის მარზპანის და მმართველთა რეზიდენციად იქცა. ერისმთავრები თუმცა უხეხაეს ხელისუფლებას ფლობდნენ. მაგრამ მცხეთის ჯვარის უპირველესმა ქტიტორმა – სტეფანოს ქართლის პატრიკოსმა „მეფობის სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან“. ასეთი ვითარების მიუხედავად, ქართლში ერისმთავრობის პერიოდში საქართველო, კულტურისა და ხელოვნების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან აღმავლობას აღწევს. ეს პროცესი დროებით შეფერხდა VII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც საქართველო არაბთა ურდოებმა დაიპყრო. არაბობის პერიოდში თბილისში მეფის ნაცვალი – ამირა დაჯდა. ამან დაარღვია საქართველოს მთლიანობა, მაგრამ არაბობის სიმძიმის მიუხედავად, მათმა ბატონობამ ვერ შეაფერხა ქართული კულტურის განვითარება. ეკლესიასა მშენებლობამ პერიოდში გადინაცვლა და ამ ხანებში ქართული ხუროთმოძღვრების არაერთი საყურადღებო ძეგლი აიგო.

ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, ორი საუკუნის განმავლობაში ახნაურ-წარჩინებულთა სოციალური დაწინაურება, არაერთი ხელისშემშლელი პირობის მიუხედავად, სწრაფად მიმდინარეობდა. VIII საუკუნის შუა წლებში ცალკეულ საფეოდალოში, მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში წარმოიქმნა „სამთავროები“, რომლებიც თანდათანობით ფეოდალურ პოლიტიკურ ორგანიზაციებად ყალიბდებოდნენ. მცირე „მოთავარი“ „დიდი მთავრის“ მფარველობაში შედიოდა და ასეთი პოლიტიკური სტრუქტურა მის არსშივე გულისხმობდა „მცირე სამთავროების“ გაჭრობას და „დიდი სამთავროების“ მიერ მათი შეერთების გარდუელობას. ეს კი ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის დასაწყისის წინა პირობა იყო. ეს პერიოდი, VIII-LX საუკუნეების მიჯნა, ამჟამად მყარ ნიადაგს ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის. რაც განსაკუთრებული სიციხადით გამოვლინდა სამთავროების მფარველობისათვის ბრძოლის პროცესში.

ამ პერიოდში, ქვეყნის მეურნეობის და ეკონომიკის აღმავლობის გვერდით, იქმნებოდა მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნაგებობანი, რომლებიც გამოირჩევიან მიხანსწრაფული ორიგინალური გადაწყვეტით. აღმავლობის ეს პროცესი LX საუკუნის 80-იან წლებში მეფის ინსტიტუტის აღდგენით დამთავრდა. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლმა, დავით კურაპალატის შეიღმა – აღარნასემ „ქართველთა მეფის“ წოდებულება მიიღო. ქვეყანაში უკვე გაჩნდა რეალური საფუძვლები ცენტრალიზებული, ერთიანი სახელმწიფო სტრუქტურის შექმნისა, რაც „ყოველს ქართლის“ აღდგენის წინაპირობას შეადგენდა.

ადრეული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება ორ ძირითად სახედ იყოფა – საკულტოდ და საეროდ.

ნასტაგისის ველზე, ქალაქური ტიპის დასახლების ადგილზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ნაგებობები, რომლებიც გამთხრებებმა ეკლესიად მიიჩნიეს. ამ ნაგებობებში მოხვედრა მხოლოდ საცხოვრებელი ნაგებობების ინტერიერიდან, ფარულად დატანებული კარით იყო შესაძლებელი.

უძველეს ქალაქ სარკინესა და ნასტაგისთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად არის მოხმობილი ქართლის მოქცევის ქრონიკის ის ცნობა, რომ ალექსანდრე მაკედონელი „სარკინესა ქალაქსა ებრძოდა ასურამეტ თითუშ და დადგა სარკინესა დასავლეთ კერძო და დასცნა ვენაქი და რუჲ გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მერუენი დასტაგითა რუჲსაჲთა; და ჰრქევან ადგილსა მას ნასტაგისი.“

ამ უძველეს ნაქალაქარში, არქეოლოგიური მასალებით, III საუკუნით განსახლებული ქრისტიანული ეკლესიების გამოვლენა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ქართლის ქრისტიანობის „კატაკომბური“ პერიოდის გასათვალისწინებლად. ჯერჯერობით, საქართველოში არსებული ეს უძველესი ქრისტიანული ეკლესიები, რომლებიც რიყის ქვის საძირკველზე ალიზის აგურებით აგებული და აღმოსავლეთით დამხრობილი ნაღისებური მოხაზულობის აფსიდებით მთავრდებიან, გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი წითლად შეღებილი კრამიტით არიან გადახურული. აქვე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები ამ უძველეს ქრისტიანულ ეკლესიებს კარგად ათარიღებენ III საუკუნის დამდეგით. ასეთი ტიპის საკულტო ნაგებობანი ეხმაურება ქრისტიანობის ადრეულ, არალეგალურ საფეხურზე წარმოშობილი ფარულ სალოცავ-ეკლესიების, კატაკომბების, მანეხოლეუმების გამართვის წესს. ასეთი გამოძახილი ქრისტიანული ქვეყნების უძველეს სამყაროსთან იმ დასკვნის საფუძველია, რომ საქართველო არა მარტო ქრისტიანული სამყაროს წრეში ექცეოდა, არამედ ქრისტიანობის პროცესი აქ ადრევე დაწყებულია. ამდენად, ქართველ ხუროთმოძღვრებს ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობის მეტი ცოდნა და გამოცდილება უნდა ჰქონოდა ამ რელიგიის ოფიციალურად აღიარების პერიოდში.

საქართველოს უძველეს საკულტო ხუროთმოძღვრებიდან მხოლოდ მცირეოდენი რამ შემოგვრჩა. ქართლის მოქცევის ქრონიკის ცნობით, მცხეთაში, სვეტიცხოვლად წოდებული პირველი ოფიციალური, ქრისტიანული ეკლესია ხისაგან აუშენებიათ. ხითხუროობა, საქართველოში ერთ-ერთი უძველესი დარგია. საყურადღებოა, რომ ტერმინი „ხუროთმოძღვრება“, რაც არქიტექტურის ქართული შესატყვისია, ხითხუროობასთან არის დაკავშირებული და ამ უძველესი დარგიდან მომდინარეა.

საქართველოს მჭიდრო კულტურული კონტაქტები ბზანტიასა და ქრისტიანული აღმოსავლეთის მოწინავე ქვეყნებთან აპირობებდა აქ ახალი ხუროთმოძღვრული თემების შექმნასა და დამკვიდრებას. ასეთი გზით შემოღწეული ახალი თემების გადაახრებისა და ახალი ფორმების და შიგა სივრცის ორგანიზაციის რთულ პროცესს საფუძვლად ელი უძველესი ქართული ხუროთმოძღვრული ტრადიციების ქმედითობა.

საქართველოში ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურაში უპირატესად საკულტო ძეგლებია შემორჩენილი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს საერო ხუროთმოძღვრების არარსებობას ან თუნდაც შესუსტებას. საცხოვრებელი სახლების, დარბაზების, საფორტიფიკაციო ნაგებობების, ხიდების, ქსენონების, ქულბაკების და სხვა კომუნალური ნაგებობების სიმცირე გამოწვეულია, ერთი მხრივ, ომისა და შემოსევების დროს ასეთი ობიექტებზე თავდასხმებისა და ნგრევის, ხოლო მეორე მხრივ, ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაფერისი ახალი ხუროთმოძღვრული ტიპების შენებისა და ძველის ახლის შეცვლისა.

ეს პროცესი საკულტო არქიტექტურაში სხვაგვარად გამოიხატება. რამდენადაც ეკლესია 'სეცოური იერარქიის მიწიერ ტაძრად შენდებოდა, ამდენად, მასში იმთავითვე იყო ჩადებული ნეოპლატონისტურ-არეოპაგიტული საკრალური იდეალები. ეს კონცეფცია განსაკუთრებულად მკაფიოდ გამოიხატა შიგა სიერციის ორგანიზაციაში, გუმბათის, კონქის, საკურთხეელის აუსილის აზრობრივ დატვირთვაში, მხოლოდ ინტერიერის მოსართავი ელემენტების იმგვარად გააზრებაში და მხატვრულ-არქიტექტურულად გადაწყვეტაში, რაც სპირიტუალისტურად განაწყობდა და 'სეცოური სამყაროს განცდას შეუქმნიდა მლოცველს.

საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების საკულტო ხუროთმოძღვრებაში ორი ძირითადი ტიპი გამოიყოფა. ესენია: დარბაზული და გუმბათიანი. პირველ ტიპში ერთიანდება დარბაზული ტიპის ეკლესიები, სამნავიანი და სამეკლესიანი ბაზილიკები, რომლებიც არფერდა სახურავის ქვეშ არიან მოქცეულნი. მეორე ტიპში – გუმბათოვან ხუროთმოძღვრებაში – ეკლესია ცენტრალურ-გუმბათოვანი თემის ყველაზე მკაფიოდ გამომსახველი ტეტრაკონქები, მათი გარსულელებული ტიპები, რომლებიც პირველად ნინოწმინდასა და მცხეთაში განხორციელდა, „თავისუფალი ჯერის“ ტიპის არქიტექტურული ნაგებობანი, ორქანობიანი სახურავის ქვეშ მოქცეული გუმბათიანი დარბაზები. „კუპელ ჰალე“, ორგუმბათიანი ეკლესიის ერთადერთი მაგალითი, მრავალაფსიდოვანი გუმბათიანი ეკლესიები.

ეკლესიათა ეს ტიპები და სახეები დროთა განმავლობაში კარგადენენ თავის თავდაპირველ ფუნქციურ დანიშნულებას და ახალ არქიტექტურულ თემებს უთმობდნენ ადგილს. მაგრამ ყველაზე გამძლე მაინც ცალნავიანი დარბაზული ტიპის ეკლესიები აღმოჩნდნენ, რომლებმაც ბოლომდე იარსებეს.

სამუშაინებლო ტაძრისა

ზემოთ ითქვა, რომ საქართველოში პირველი ოფიციალური ქრისტიანული ეკლესია – მცხეთის სვეტიცხოველი, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, ხისგან აუგიათ, რაც იმის მოწმობაა, რომ ჩვენთან ხითხურობა იმდროინდელე საკმაოდ მადალ დონეს აღწევდა. ის ლეგენდაც საყურადღებო ჩანს, რომ პირველი სასწაულმოქმედება – „სვეტიცხოვლის აღმართვა“ ხითხურობასთან არის დაკავშირებული.

სვეტიცხოვლის ინტერიერის არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ ქარაღლის მოქცევის ქრონიკაში აღწერილ სასწაულს ხის ნაგები არქიტექტურული ძეგლი უნდა სდებოდა საფუძველად, რომლის ნაშთები სვეტიცხოვლის „სვეტის“ ტერიტორიაზე გამოიკლინდა ხის ძელების ანაბეჭდების სახით.

ხის ნაგები ეკლესიები ადრევე გამოდიან ხმარებიდან. ეს ტრადიცია გვიან შუა საუკუნეებამდე შეინარჩუნა დასავლეთ საქართველოს ცალკეულმა რეგიონებმა. რაც შეეხება მონუმენტურ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, ისინი კარგად ნათალი ქვის კვადრებით არის ნაგები კირის ხსნარზე. ცალკეულ რეგიონებში სამშენებლო მასალად რიყის ქვა გამოიყენებოდა. ეს მასალა ძირითადად კახეთში იყო ხმარებაში, სადაც ეკლესიათა კედლები წესიერ რიგებად დაწყობილი რიყის ქვისაგან შედებოდა. ნაგებობათა საპასუხისმგებლო მონაკვეთში გამოიყენებოდა ფოროვანი შირიმის ქვაყლილები.

რიყის ქვით ნაგებ საკულტო ძეგლებს ეხედებით აფხაზეთში, სადაც ცალკეულ შემთხვევაში გამოიყენებოდა კონგლომერატი და წყობის თარაზულობისათვის აგურის ზოლის ჩართვა კედლის ამა თუ იმ მონაკვეთში. სხვა დანარჩენ რეგიონებში კი საშენ მასალად უპირატესად კარგად ნათალი წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვის და კირქვის კვადრები გამოიყენებოდა.

საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებაში დამახასიათებელია კარგად ნათალი დიდი ზომის ქვის კვადრების ისე დაწყობა, რომ სუფთად ნათალი ქვების ზედაპირი როგორც საფასადო, ისე ინტერიერის მხრიდან მოსაპირკეთებელ მასალად გამოსულიყო, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნაგებობის კონსტრუქციულ ელემენტებს შეადგენდნენ. ასე დაწყობილ ქვის კვადრებს შორის დარჩენილი არე ფლეითი ქვით ივსებოდა კირის ხსნარზე. მცხეთის ჯერის მცირე ტაძრის (VI ს.) კედლებს შორის ასეთი ამოქსება საერთოდ არც არის და ქვების მაკაემირებლად მხოლოდ კირის დუღაბის თხელი ფენა ჩასხმული. გეხედება რკინის გამირების და ტყვიის გამდნარი მასით კედლის წყობის დამაგრების მაგალითიც (მცხეთის ჯვარი).

ადრეულ შუა საუკუნეებში სამშენებლო მასალის ტექნიკურ საშუალებათა შორის აღსანიშნავია ქვის კვადრების ჰორიზონტალური წიბოების 45°-ით ჩაკვეთა, რაც ორი ქვაყლილის შესაყარზე დაცემული ჩრდილით გამოხატულ ჰორიზონტალურ ზოლებს წარმოქმნის საფასადო სიბრტყეებზე.

ამავე პერიოდის ქვაყლილების ზედაპირზე, როგორც ფასადებზე, ისე ინტერიერში ეხედებით ქვისმთელეთა ნიშნებს. ასეთებია: ლაათური „A“-ს მსგავსი ნიშნები, ეარდულები, სეასტიკები, ვარსკვლავები, ქართულ ასომთავრულით შედგენილი ლიტურგიები და სხვა.

ქვის კვადრების ტექნიკურ დამუშავებაშიც შეინიშნება არაერთგვაროვნება. ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებში ქვის ზედაპირი საკმაოდ სუფთად არის ნათალი და მის ზედაპირზე თითქმის არც კი შეიმჩნევა იარაღის ნაკვალევი. მომდევნო პერიოდის – VIII-IX საუკუნეების ძეგლებზე თლის სისუფთავე ერთგვარად მცირდება, მაგრამ მაინც ინარჩუნებს ძველ ტრადიციებს. იარაღის ნაკვალევი ცოტად თუ ბევრად

შეინიშნება. X საუკუნიდან კი ქვათლილებზე შედარებით მკაფიოდ გამოიკვეთება იარაღის კვალი. ამ პერიოდიდან ეხედებით ქვის თლის როგორც დიაგონალზე განვითარებულ ნაკვალევს, ისე „თევზისფხურსა“ ან „წიწვიანს“ ან სამ-ოთხ ჰორიზონტალურად გაეღებულ ზოლებს.

ქვით ნაგები არქიტექტურული ნაგებობანი გადახურულია კამარებით, რომლებიც ქარგილის საშუალებით იკვრებოდა. თხელ კამარათა სიხისტის გასაძლიერებლად კამარები ნაწვერდებოდა გამბჯენი თაღებით, რომლებიც ადვილებდნენ კიდევ კამარის ამოყვანას. ადრეულ შუა საუკუნეებში კარის ღიობები ძირითადად არქიტრავით გადაიხურებოდა, რომელთა ზევით, ზღუდარში, სიმძიმის გამტვირთველი 3-4 სანტიმეტრის სიმაღლის გრძივი ჭრილი იყო ამოკვეთილი. ადრეული ხანის ხუროთმოძღვრულ ძეგლებში კარის ღიობების ზევით, არქიტრავზე ნალისებური მოხაზულობის ლუნეტები იყო გამარაული.

გუმბათიან ხუროთმოძღვრებაში VI-X საუკუნეებში გუმბათქვეშა კედრატებიდან მრავალწახნაგზე ან წრეზე გადასვლა ტრომპების სისტემით ხორციელდებოდა, რასაც შედარებით მოგვიანო ხანებში ცვლის აფრები, ანუ პანდატიები. ბაზილიკის შიგა სიერცის დამანაწვერებელ ელემენტებად გამოიყენებოდა გეგმაში კვადრატული, ჯვრული ან „T“-ს მოხაზულობის სვეტები და კედლის სიბრტყეებში ჩაშენებული ნახევარსვეტები – პილასტრები, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ თაღური გადახურვით უკავშირდებოდნენ.

ადრეული ხანის საკულტო ნაგებობათა გადასახურ მასალად ძირითადად კრამიტი გამოიყენებოდა. ადრექრისტიანული ხანის ეკლესიებში ეხედებით გვერდებაკეცილ წითელწერნაქიან კრამიტებს, რომელთა ზედაპირზე, ჯერ კიდევ სველ თიხაზე, დაწნხით შეწყვილებული ტალღისებური სოლი გაუვლიათ, წითელი წერნაქით დაუფარავთ და გამოუწვავთ. ასეთი სახის – გვერდებაკეცილი კრამიტების შემავრთებელ ზოლად ეწყობოდა ღარისებური კრამიტი, რომლებიც ორი მომიჯნავე კრამიტის ორ აკეცილ გვერდს ფარავდა და ასეთი სტრუქტურით იყარებოდა ეკლესიის გადასახურავი ქანობის მთელი ფართობი. გეხვდება კრამიტებზე ამოტვიფრული ძველი ქართული ასონიშნებით – ასომთავრულით შედგენილი ლიტატურებიც (მცხეთის ჯვარი). კრამიტების ქვედა რიგი ეკლესიის კარნიშის ზემოთ, სწორხაზოვნად იყო დაწყობილი, რომელთა ღარისებური კრამიტების ნახევარწრიულ არეებში თიხისავე გამომწვარი დეკორაციულად გაფორმებული ან რელიეფური გამოსახულებანი ანუ მონოგრამიანი ანტიფიქსები მაგრდებოდა.

წინარექრისტიანული ხანის ტექნიკურ საშუალებათა გათვალისწინების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითად გამოდგებოდა ატენის სიონის უძველესი ბაზილიკის (V ს.) „საფუძქლის დაღება“. რაც ელინისტური და გვიანანტიკური ხანის ქართულ ხუროთმოძღვრებაში ფართოდ გამოიყენებოდა რიყის ქვებით შექმნილი საძირკვლის სახით, უძველესწილად კი აღიზის ნაგებ არქიტექტურისათვის. ამ თვალსაზრისით ის ფაქტიც საყურადღებოდ უნდა ჩანდეს, რომ ნასტავისის III საუკუნის ეკლესიების საძირკველის რიყის ქვა შეადგენდა, რომელზედაც აღიზის იყო ეკლესიის კედლები ამოყვანილი.

ადრეული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მაღალი საშემსრულებლო დონე გვიჩვენებს, რომ იგი წინა ეპოქის სამშენებლო ტექნიკის საფუძველზე აღმოცენდა. რაც ითვალისწინებდა უღუღაბო ქვის წყობაზე ზუსტად მორგებულ ქვების უძველეს ტრადიციებს. ამით აიხსნება ქართულ ხუროთმოძღვრებაში და განსაკუთრებით მის ადრეულ ეტაპზე ქვათლილების ასეთი გულდასმით დამუშავება და წყობაში მათი რიგებად დაწყობა.

საკულტო ხუროთმოძღვრება

წერილობითი წყაროების ცნობებით და არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილ საკულტო ნაგებობათა გათვალისწინებით, საქართველოში „ადრექრისტიანული“ პერიოდიდანვე ინტენსიურად მიმდინარეობდა ეკლესიათა მშენებლობა, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილია მოღწია ჩვენამდე. როგორც ირკვევა, ქართული ეკლესიამონასტრების მშენებლობა საქართველოს ფარგლებს გარეთაც მიმდინარეობდა ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებსა და მომდევნო ხანებში. ასეთი მშენებლობის არაერთი ძეგლი გამოვლენდა სირია-პალესტინაში, თებეს ნეკროპოლის ტერიტორიაზე და ბისანტიური სამყაროს არაერთ რეგიონში.

ადრეული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებაში არაერთი ისეთი ძეგლი დასტურდება. რომლებიც წარმართული „საგსებელის“, ცეცხლის ტაძრის ახლებურად გადაკეთების შემდეგ ქრისტიანულ ეკლესიად გაუხდიათ. არც საქართველო ყოფილა ამ მხრივ გამონაკლისი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენდა დიდი ზომის საჩინოანი თუ სამეკლესიანი ბაზილიკის ნაშთები, რომლის დანგრევის პერიოდი, არქეოლოგიური მასალების საფუძველზე, VI-VII საუკუნეებით განისაზღვრა. დიდი ზომის ბაზილიკების რიგში დგება აგრეთვე გრანდიოზულ ხელოვნურ სუბსტრუქციაზე აგებული ატენის სიონის თავდაპირველი ბაზილიკის გათხრებით გამოვლენილი ნაშთები. ასეთი ფაქტობრივი მასალები, რაც წერილობითი წყაროების ცნობების გვერდით არქეოლოგიური მასალებით არის გამაგრებული, გვარწმუნებს, რომ ქრისტიანობის საწყის ეტაპზე პატარა ზომის ეკლესიათა გვერდით დიდი ზომის საკულტო ნაგებობებიც შენდებოდა. ჯერ კიდევ III საუკუნეში ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობის ფაქტი, რაც ნიუთიერად დადასტურდა ნასტაგისის ველზე, აგრეთვე, აქვე გამოვლენილი საკმაოდ დიდი ზომის ბაზილიკის ნაშთები, რომელიც, არქეოლოგიური მასალების გათვალისწინებით, VI-VII საუკუნეებში უნდა დანგრეულიყო და რომლის აგების თარიღი IV საუკუნის მიწურულით თუ V საუკუნის დამდეგით არის განსაზღვრული, იმ მიღებული თვალსაზრისის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოდიოდა, რომლის მისხედეთაც ჩვენთან, ადრეულ შუა საუკუნეებში მხოლოდ მცირე ზომის ეკლესიები შენდებოდა.

ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარების პერიოდ-
დან ქართველ ხუროთმოძღვართა წინაშე ახალი ამოცანა დადგა. მათ უნდა შეექმნათ
მორწმუნე ქრისტიანთა თავშესაფარი, რომელიც ბევრ მლოცველს დაიტევდა და სადაც
შესრულებოდა იმ დროისათვის მისაღები ექსპრისტიული ლიტურგია. ქრისტიანულ
სამყაროში და, მათ შორის საქართველოში სამნაწიანი ბაზილიკები დომინირებენ და
მათ ენიჭებათ უპირატესობა ადრეული შუა საუკუნეების საწყისი პერიოდის
ხუროთმოძღვრებაში. ამ თემასთან თანაარსებობენ დარბაზული ეკლესიებიც. მაგრამ
წამყვანი ადგილი გარედან შემოტანილსა და ქრისტიანული სამყაროს მოწინავე
ქვეყნებში შექმნილ ბაზილიკურ თემას ენიჭება. თანამედროვე ქართულ
სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით, ამ ტიპის ძეგლთა
შორის უძველესია IV საუკუნით განსაზღვრული ნეკრესის ბაზილიკა.

ბოლნისის სიონი საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენამდე მოღწეულ
ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა შორის ერთ-ერთი უძველესი სამნაწიანი ბაზილიკაა
(სურ. 77-80). ძველი მდებარეობს ქვემო ქართლში, თბილისის სამხრეთ-დასავლეთით
65 კილომეტრის მანძილზე, მდ. ფოლაღაურის მარცხენა ნაპირზე. ტაძარი ყურადღებას
იქცევს მასიური, დამჯდარი არქიტექტურული ფორმებით, არქაული რელიეფური
ქანდაკებებით და, ჯერჯერობით, ყველაზე ძველი ქართული ასომთავრული
წარწერებით.

ბოლნისის სიონის თარიღი თავდაპირველად VI საუკუნით განისაზღვრა. ტაძრის
ტერიტორიაზე 1937 წელს ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა (ლ.
მუსხელიშვილი) ბასილიკის სამშენებლო წარწერა გამოავლინა. არქიტრაფზე ოთხ
სტრიქონად განაწილებული რელიეფურად ნაკვეთი წარწერის ნაკლები მონაკვეთები
მსლოანად იქნა აღდგენილი და წაკითხულია ა. შანიძის მიერ. ამ აღდგენილი წარწერის
მიხედვით, ბოლნისის ეკლესიის მშენებლობა დაუწყიათ ირანის შაჰის – პეროსის
(459-484) ზეობის მეოცე – 478/79 წლებში და თხუთმეტი წლის შემდეგ – 493/94
წლებში დაუმთავრებიათ. სამშენებლო წარწერაში საქართველოს იმდროინდელი მეფის
– ვახტანგ გორგასლის მოუხსენიებლობა იმ ვითარებით იყო ახსნილი, რომ ბოლნისის
ქვეყანა პიტიახშის იურისდიქციაში შედიოდა და, ამდენად, საქართველოს მეფისაგან
დამოუკიდებლად გრძნობდა თავს. გამოითქვა ვარაუდი, რომ ირანის ზეწოლით არჩევ
ვახტანგ გორგასლის ნაცვლად ეკლესიის მშენებლობის დაწყება-დამთავრების
ქრონოლოგიურ მინიშნებად პეროსი დაესახელებინათ.

არსებობს სხვა თვალსაზრისიც. ა. შანიძის მიერ აღდგენილი და წაკითხული
წარწერის მიხედვით, სიონის მშენებლობის დაწყება-დამთავრების ქრონოლოგიის
მიმართ იმთავითვე გაჩნდა ერთგვარი სკეპტიციზმი, რაც ძირითადად „პეროზ მეფის“
წაკითხვაში და ძველი ქართულისათვის მოუღებელ კონსტრუქციაში გამოიხატა.
მკვლევრები „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ქართლის ცხოვრების იმ ცნობებსაც
ანიჭებდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას, რომელთა მიხედვითაც ბოლნისის
ეკლესია V საუკუნის პირველი ნახევრის მეფეების – ბაკურის ან ფარსმანის

ზეობაში უნდა ყოფილიყო აშენებული. ახალი თვალსაზრისით, ა. შანიძის მიერ აღდგენილ „პეროს მეფისა ზე“-ს ნაცვლად კიახულობენ „პეროზ მეფეთა თქსისა ნახპეტობასა“ და პეროსს აიგივებენ პირველი ქრისტიანი მეფის – შირიანის სიძესთან – ფეროზთან. ასეთი ახლებური წაკითხვა-აღდგენის საფუძველზე ტაძრის მშენებლობას IV საუკუნის მიწურულით თუ V საუკუნის დამდეგით განსაზღვრვენ. ერთი შემთხვევაში 342/3-356/7 წლებით დაკონკრეტდა ბოლნისის სიონის აშენების დრო.

ბოლნისის სიონის გადათარიღების ასეთი ცდა კრიტიკულად იქნა შეფასებული თანამედროვე ქართულ ხელოვნებათმცოდნეთა და ისტორიკოსთა მიერ. ტრადიციული თვალსაზრისის დამცველთა არგუმენტაციაში ერთადერთი დასკვნის ძალით გამოიკვეთა მათი პოზიცია, ჩვენ პირველ თარიღს ვუჭერთ მხარს. როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს დავა, ბოლნისის სიონის ბასილიკა საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლია.

ივ. ჯავახიშვილმა ატენის სიონთან დაკავშირებით თავის დროზე გამოთქვა ასეთი მოსაზრება: „სიონი“ ტექნიკური ტერმინია და ღვთისმშობლის მიძინების სახელზე აგებულ ბასილიკას ნიშნავდა. ასეთი დასკვნის საფუძველად მიიჩნევა ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნ ტექსტს, სადაც, როგორც ჩანს, ბოლნისის სიონი, რომელიც სამშენებლო წარწერაში „სამების“ სახელზე აშენებულ ეკლესიად მოიხსენიება, გარკვეულ დროს ღვთისმშობლის მიძინებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და შესაბამისად „სიონად“ სახელდებული.

ბოლნისის სიონის არქიტექტურული მასების საერთო აბრისი კვადრატულია, რასაც ნაწილობრივ არღვევს საკურთხეველის აფსიდის ნახევარწრიული შეკერილი და სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში შეჭრილი სტოა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქრისტიანული ხანის ასეთ ადრეულ ძეგლში კვადრატული კომპოზიციური სტრუქტურა წინარე ქრისტიანული ხანის წარმართული საკულტო ხუროთმოძღვრებიდან მომდინარე თემაა, რასაც ითვალისწინებდა ბოლნელი ხუროთმოძღვარი ქრისტიანული ბაზილიკის მშენებლობის დროს.

შიგა სივრცის ორგანიზაციაში მკაფიოდ გამოიხატა აღმოსავლეთ-დასავლეთის სიგრძივ ღერძზე არქიტექტურულ ფორმათა განვითარება, რაც ბაზილიკური თემის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს შეადგენს. ინტერიერი სამ ნაევად ნაწევრდება გეგმაში ჯერული ფორმის ხუთი წყვილი სეპტია. საგრძნობლად მაღალი შუა ნაევი ცილინდრული კამარით არის გადახურული. შედარებით დაბალი გვერდითი ნაევების გადახურვა ნახევარცილინდრული კამარებით არის განხორციელებული. შიგა სივრცეში მკაფიოდ გამოიყოფა ნახევარწრიული აფსიდით დამთავრებული ცენტრალური ნაევი. ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში ჩართულია ერთმანეთისადმი პირისპირ დამხრობილი ორაფსიდიანი სანათლაევი, რომელში შესვლა მხოლოდ ინტერიერში გაჭრილი ერთადერთი კარით არის შესაძლებელი. მეორე სამლოცველო, რომელიც სიონზე აღმოსავლეთიდან არის მიდგმული, VIII საუკუნის მინაშენია.

ტაძარს ჩრდილოეთიდან ეკერის ხუთმალიანი ღია სტოა, საიდანაც კარის ორი

ლიობით "შექვივართ ეკლესიაში. სამხრეთით მოთავსებული ორმაგთაღიანი სტოდან ტაძარში მხოლოდ ერთადერთი კართი შეიძლება მოხვედრა.

ბოლნისის სიონის უძველესი სამშენებლო ტრადიციები ისეთ არქიტექტურულ ელემენტებში ვლინდება, როგორებიცაა: აფსიდის სატროუმფო თაღის ნაღისებური ფორმა, რაც მკაფიოდ გამოიხატება აგრეთვე სიონის სტოდების კამარებში და არქიტრავეების. "ზემოთ გამართულ ღია ლუნეტების ფორმაში. ბაზილიკას თაედაპირველად სამი შესასვლელი ჰქონდა. დასაეღუთ კედელში გაჭრილი კარი, რაც ასეთი ტიპის ნაგებობისათვის მთავარი შესასვლელი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებშია აქ გამართული. დასაეღუთიდან კარის უქონლობით თაედაპირველ ნაგებობაში ისპობოდა გრძივი ღერძის მნიშვნელობა, რითაც მკაფიოდ გამოჩნდა მისწრავება კვადრატის საფუძველზე განვითარებული ცენტრალური კომპოზიციისადმი. ბოლნისის სიონის არქაულობაზე მეტყველებს აგრეთვე სამკვეთლოს და სადიაკონეს უქონლობაც, რაც ეეპარისტის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ არქაულ ლიტურგიკაზე მიგვანიშნებს.

ტაძრის ინტერიერის განათება ერთგვარად შეხლუდულია. განათების წყაროს შეადგენს კარის ღიბები, არქიტრავეების ზემოთ მოთავსებული ღია ლუნეტები და სარკმელთა საკმაოდ შესლუდული რაოდენობა. სიონის სამივე ნაეი საერთო ორქინობიანი სახურავის ქვეშ არის მოქცეული. გრძივ ფასადებზე მიდგომული სტოდები და ნახევარწრიული შეერილი აფსიდა და მოუკიდებელი ცაღფერდა და ნახევარწრიული გადახურვით ფორმდება. ამით ეძლეოდა ეკლესიას ბაზილიკისათვის დამახასიათებელი გარე მოხაზულობა, ბაზილიკური სილუეტი. გამოითქვა თეაღსახრისი, რომ მხოლოდ ცენტრალური ნაეი უნდა ყოფილიყო თაედაპირველად გადახურული ორქვერდა სახურავით, ხოლო გვერდითი ნაეები და სტოდები ცაღფერდა სახურავებით გადახურებოდნენ.

სიონის კედლები ნაგებია მომწვანო ფერის კარგად ნათალი კვადრებით. დასაეღუთი კედლის სამშენებლო მასალაში ჭარბობს აგური, რაც გვიანი ხანის რესტავრაციის შედეგია. ბაზილიკის საფასადო სიბრტყეები მოკლებულია დეკორაციულ გაფორმებას, თუ არ ჩაეთეღოს კბილანა კარნისებს. სამაგიეროდ, მოელი ყურადღება გადატანილია შიგა სიერცის რელიეფური ქანდაკებებით მორთავსე. საკურთხეელის კონქის ორივე იმპოსტი, აგრეთვე. სანათლავის და გვერდითი სტოდების კაპიტელები "სითმორეული გამოსახულებებით და მცენარეული დეკორით ირთიება, სადაც ხასგანმული სემანტიკური დატეაროვით არის წარმოდგენილი სიციცხლის, ანუ „ხე ცხორების“ და ირმების თემა. აქვე ფართოდ გამოყენება წრეების ურთიეროგადაკვეით შედგენილი წრე-რომბების დეკორი, კოქსისებური ფორმის კანელურები.

ბოლნისის სიონის რელიეფურ ქანდაკებებში აირეკლება სასანური ირანის და სირიული ხელოვნების გამოძახილი. ამევე დროს მათში გამოეღინდა ხეზე კვეთის ადგალიბრივი ხალხური ტრადიციები.

ბოლნისის სიონის გვიანი ხანის სარესტავრაციო სამუშაოები XVII საუკუნის პირველ ნახევარსე მოდის, რაოდესაც მარამ დედოფლის და როსტომ მეფის ბრძან-

ებით, სიონის დასავლეთ კედელში კარი გაუჭრიათ. ამავე საუკუნის ბოლოს ბოლნელ ეპისკოპოსს – ნიკოლოსს ეკლესია შეუკეთებია. მოუხატეინებია და დასავლეთ ნაწილში აგურის სამრეკლო აუშენებინებია.

ბოლნისის სიონის სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული თავისებურებანია: კვადრატში ჩაწერილი სამი ნაეი და ორი გაღერეა, ორაფსიდიანი სანათლაეი, რაც ჯერჯერობით ერთადერთია ქართულ არქიტექტურაში. გრძიე კედლებზე სარკმელთა უარყოფა. დასავლეთის ნართექსის უქონლობა. ამ ნიშნებით განსხეეელება იგი ელინისტური ბაზილიკებისაგან და მსგეეებს აელენს მცირე აზიისა და სირიის ბაზილიკებთან.

ნოქალაქეეის სამნავიან ბაზილიკათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცეეს ეგრისის უძეელესი დედაქალაქის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოელენილი, პირობითად, პირველ ბაზილიკად სახელდებული ეკლესია, რომელიც IV საუკუნის მეორე ნახეერის დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრეეებზე აუგათ (სურ. 81, 82). ასეთი სტრატეგრაფია იმთავითეე მიგვანიშნებდა, რომ IV საუკუნის ნანგრეეებზე უშუალოდ დაშენებული ბაზილიკა საკმაოდ ადრეული ხანის საკულტო ნაგებობა უნდა ყოფილიყო.

ნოქალაქეეის „პირეელი ბაზილიკა“ მდებარეობს „ორმოცმოწამეთას“ გუმბათიანად გადაკეთებულ ბაზილიკასა და სასახლეს შორის. ეკლესია ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. მაგრამ მისი ცალკეული არქიტექტურული ელემენტები საშუალებას გეაძლევს ძირითად ფორმებში წარმოეიდგინოთ ეს უძეეელი ბაზილიკა. ჯერ ერთი, იგი საკმაოდ დიდი სომისაა. აქეს ხუთწახნაგა შეერილი აფსიდი, რაც დამახასიათებელია ე. წ. „ელინისტური ბაზილიკის“ არქიტექტურული ტიპისათეის. მსგეეს შეერილებს ეხედებით გეიანანტიკურ-ადრეეეოდალური ხანის წინა აზიის ქრისტეანულ არქიტექტურაში. თუმცა, დასავლეთ საქართველოს საკულტო ხუროთმოძღვრებაში შეერილიანი აფსიდები შუა ეეოდალურ ხანაშიც დასტურდება. ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთი შეერილფსიდიანი ეკლესიების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა თეაღსასხრისი, რომ ისინი ადრეული ხანის ნაგებობის ნაშთებია, რომლებიც ჩართეს და მეორეე გამოიყენეს გეიანი ხანის არქიტექტორებმა თავის ნაწარმოებებში. ნოქალაქეეის სამნავიანი ბაზილიკის სიძეელესე მეტყეეელებს მისი ჯერ კიდევ დაუხეეწავი ფორმები, სიგრძიე ღერძზე განეითარებული ნაგებობის შესამნიეეად ტრაპეციული საერთო აბრისი, სადაც დასავლეთი მონაკეეეთი 20 სანტიმეტრით განიერთა ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილზე. ბაზილიკის დასავლეთით გამართულია ნართექსი. თუმცა, ზეეულებრივი ნართექსებისაგან იმ ნიშნით განსხეეელება, რომ იგი ღიად უკეეშორდება გეერდით ნაეებს. საკმაოდ განიერ ცენტრალურ ნაეს ეიწრო გეერდითი ნაეები სამ-სამი თადით უერთდება. გეერდითი ნაეების დაუნაწეერებელ კედლებში სამხრეთით ერთი, ჩრდილოეთით ორი, ხოლო ნართექსის დასავლეთ კედელში ერთი ცენტრალური კარია გაჭრილი. ბაზილიკის სიძეელესე მეტყეეელებს საკურთხეელის აფსიდის ნაღისებური, ჯერ კიდევ ჩამოუყვლიბებელი მოხაზულობა და სამეკეთლოსა და საღიაკონეს უქონლობა. გეერდითი ნაეები აღმოსავლეთ მონაკე-

ვეთში სწორკუთხა ფორმით მთაწერდება და არც ცალკე გამოიყოფა დამოუკიდებელი პასტოფორიუმების სახით.

დასავლეთ საქართველოს ნარაუქსიანი ბაზილიკების სტრუქტურაში არაერთგვაროვნება შეინიშნება. ბაგენისაში, ციხისძირში ნარაუქსები სამივე ნაგებობას კარით გამოიყოფიან. ამ მხრივ, გამონაკლისს შეადგენენ ნოქალაქის პირველი და ვაშნაჩის სამნავიანი ბაზილიკები, რომლებშიც ნარაუქსი ღიად უკავშირდება სამივე ნაგებობას და ერთად სივრცეს ქმნიან. მიღებული თვალსაზრისით, ექვარისტიული ლიტურგიკისათვის განკუთვნილი დამოუკიდებელი სათავსები – სამკვეთლო და საღვთაჯვარი მხოლოდ V-VI საუკუნეთა მიჯნაზე ჩნდება საქართველოში და, ამდენად, ეს ფაქტი, ყველა სიქონიულისაგან ერთად შეკლებულს საფუძველს აძლევს იფარაუდონ, რომ ეგრისის დედაქალაქის ეს უძველესი ბაზილიკა V საუკუნის შუახანების საკულტო ნაგებობაა.

ურბნისის წმ. სტეფანეს სახელობის დიდი ზომის ბაზილიკა ისტორიულ შიდა ქართლში, ქარელის რაიონში, მდ. მტკერის მარცხენა ნაპირზე, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ნაქალაქარის – ურბნისის ტერიტორიაზე მდებარეობს. ურბნისის ნაქალაქარი საქართველოს სახელმწიფო მუხეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოავლინა და შესწავლა, რამაც მნიშვნელოვანწილად შეაქვს ჩვენი ცოდნა ამ უძველესი რეგიონის ისტორიულ წარსულზე (სურ. 83). ამ ცოდნას ავსებს ვახუშტი ბატონიშვილის ის ცნობაც, რომ ურბნისი მურვან ყრუს შემოსევიდან – VIII საუკუნემდე – ქალაქობდა, ხოლო შემდეგ დაეცა და აღარ აღმდგარა.

ურბნისის ნაქალაქარის ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ურბნისის სიონი, რომელიც სიგრიძის ბოლნისის საონს აღემატება. სიგანეში კი შედარებით ვიწროა (სურ. 84-88). არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ბაზილიკის სამხრეთი, ჩრდილო და დასავლეთი ფასადების წინ გამოკვლინდა მინაშენების ნაშთები, რომელთა არქიტექტურული ფორმების დადგენა მათი ფრაგმენტულობის გამო ვერ ხერხდება.

ურბნისის ბაზილიკაში უფრო მკაფიოდ არის გამოხატული ნაგებობის სიგრიძის ღერძი, ვიდრე ბოლნისის სიონის ბაზილიკაში. ურბნისის სიონი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ, ამ არქიტექტურული ტიპის ევოლუციის თვალსაზრისით, მასში გარკვეული სიახლეები შეინიშნება. ეს სიახლეები კი უდავოდ ბოლნისის სიონის მომდევნო ეტაპს გამოხატავს.

ურბნისის ბაზილიკა სამნავიანი საკულტო ნაგებობაა. ჯერისებური გეგმის სვეტების ოთხი წყვილი შიგა სივრცეს სამი თანაბარი სიგანის ნაგებობად ანაწევრებს. სვეტებს შორის მანძილი ბოლნისისაზე საგრძნობლად დიდია, რამაც განაპირობა ნაგებობის სიგრიძე ღერძზე დაგრძელება. ასეთ ვისუაღურ აქვამს ხელს უწყობს ეკლესიის დასავლეთ კედელში გაჭრილი კარი, საიდანაც ერთიანად იშლება შიგა სივრცის სიგრიძობიანი განვითარება.

ბოლნისის სიონისაგან განსხვავებით, ურბნისის ბაზილიკაში უკვე ჩნდება ექვარისტიკისათვის განკუთვნილი სალიტურგიკო სათავსები – სამკვეთლო და საღვთაჯვარი, რომლებიც საკურთხეველს აფსიდის ორივე მხარეს ნაწილდებიან. ბაზი-

ლიკის გვეცხა ჩაწერილია წაგრძელებულ სწორ ოთხკუთხედში. ეკლესიის კედელზე დაცული წარწერის მიხედვით. სიონი აგებულია ვინმე კოსტანტის და მიქელის მიერ.

ურბნისის ბაზილიკის ხუროთმოძღვრული ანალოზის საფუძველზე ძეგლის აშენების დრო V-VI საუკუნეთა მიჯნით არის განსაზღვრული და ბოლნისის სიონის მომდგენო პერიოდის ძეგლთა წრეში ექცევა.

ურბნისის ბაზილიკის სარესტავრაციო-აღდგენითმა სამუშაოებმა გარკვეულწილად შეცვალა სიონის თავდაპირველი სახე. შუა ნაგი სიმაღლეში დიდად სჭარბობს გვერდითი ნაგებობები. დღეისათვის გვიანი სარესტავრაციო სამუშაოების დროს ამადღებულა შუა ნაგი დამოუკიდებელი ორქანობიანი სახურავითაა გადახურული, ხოლო გვერდითი ნაგებობები ცალფერდა სახურავებით იბურებიან.

ურბნისის ბაზილიკამ არაერთი შეკეთება-რესტავრაცია განიცადა. X საუკუნეში, თეოდორე ეპისკოპოსის დროს შეუკეთებიათ ტაძარი. სვიმონ პირველის 1566 წლის სიგელით არქევეს, რომ ურბნისის სიონი ამ დროისათვის საკმაოდ დაზიანებულია. XVII საუკუნეში ტაძარი მარიამ დედოფალს საფუძვლიანად აღუდგენია. 1706 წელს ვახტანგ VI-ს აქ სამრეკლო და გალავან-შალატი აუშენებია. გვიანი ხანის რესტავრაციის კვალი მკაფიოდ შეინიშნება ტაძრის ზედა მონაკვეთში, სადაც აგურია ნახმარი. ქვემოთ კი, იქ, სადაც გადარჩენილია თავდაპირველი წყობა, კარგად ნათალი კვადრებია გამოყენებული. რესტავრაციის შედეგად საგრძნობლად შეცვალა ძველი არქიტექტურული ფორმები. ინტერიერი დამახინჯდა აგურით ნაგებობებითა და სვეტებით. ამაღლდა ცენტრალური ნაგი. გრძივი კედლები გარედან მაგრდება აგურით ნაგებობ კონტრფორსებით. ასეთი შეკეთება-რესტავრაციის მიუხედავად, ურბნისის სიონმა მანც შემოინახა თავდაპირველი ბაზილიკის იერი.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ბოლო, გადამწყვეტ ფაზაში, როდესაც დაეით აღმშენებელმა საფუძველი საუყარა ცენტრალურ სახელმწიფო აპარატს, ურბნისის საეპისკოპოსომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის შემდგომი განვითარების საქმეში. 1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ საფუძველი დაუდო ქვეყნის როგორც კონფესიონალური, ისე სოციალური განვითარების ახალ ფორმებს, რომლის ორგანიზატორები იყვნენ დაეით IV და გიორგი მწიგნობაროუხუცესი-ჟეონდიდელი.

კაწარეთის (ხაშმის) სამება V-VI საუკუნეთა მიჯნის სამნავიანი ბაზილიკაა. იგი მდებარეობს გარეკახეთში, სოფ. ხაშმიდან 8 კმ-ის მანძილზე. დიდი ზომის ბაზილიკა შემოსილულია გალავნით, რომელიც მარათულია ეპისკოპოსის საცხოვრებელი გვიანი ხანის კოშკი და სხვა სამეურნეო ნაგებობანი.

ტოპონიმი „კაწარეთი“ დასახელებულია ქართლის მოქცევის ქრონიკაში წმ. ნინოს მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ტაძრის სახელწოდება „სამება“, რომლის სახელობაზეც არის ბაზილიკა აშენებული, ძირითადად აღრეული შუა საუკუნეების ეკლესიებისათვის არის დამახასიათებელი. დღეის 506 წლის საეკლესიო კრების დამსწრეთა სიაში მოიხსენიება „კაწარელი“, რაც კაწარეთის ეპარქიის ეპისკოპოსს ნიშნავდა.

კაწარეთის დიდი ზომის ბაზილიკის შუგა სიურცე მსხვილი და ერთგვარად ტლანქი

სვეტების ოთხი წყვილით არის სამ ნაგად დანაწევრებული (სურ. 90). საკურსხეველის აფსიდა გეგმაში ნალისებური მოხაზულობისაა, რომელსაც გარშემოუყვება სამხარისხიანი საეპისკოპოსო დასაჯდომი. ნალისებურია კონქის სატრიუმფო თაღიც, რომლის ზემოთ საკმაოდ დიდი ფართობის გლუვი სიბრტყეა მოთავსებული არქიტექტურული „შუბლის“ სახით. საკურსხეველის სარკმელი საკმაოდ განიერია და სიგანეში ერთ მეტრს აღემატება. საკურსხეველის აფსიდის ორივე მხარეს განაწილებულია სამკვეთლო და საღიაკონე დამოუკიდებელი კამერების სახით. ბაზილიკას ორი კარი აქვს – დასაჯდომით და სამხრეთით. მთავარი ნავის მთელ სიგრძეზე, ხუთ წყვილ სვეტზე ნალისებური ფორმის თაღებია დამყარებული. შიგა სივრცის მოსართავე ელემენტებად გამოდიან საკურსხეველის კონქის იმპოსტებზე გამოქანდაკებული შტანდარტიანი ჯვრების სოლომოწული მოტივებით შედგენილი და აკანთის ფოთლებით შემკული რელიეფური გამოსახულებანი. ისინი მხოლოდ შიგა სივრცეს აფორმებენ, როგორც ეს აღრეული შუა საუკუნეების ქართული ეკლესიებისათვის არის დამახასიათებელი.

გვიან შუა საუკუნეებში კაწარეთის სამება საფუძვლიანად გადაუკეთებიათ. სამხრეთ მხარეს მიუშენებიათ კარიბჭე. მინიშნელოვნად დამახინჯებულია საკურსხეველის აფსიდა და ნაეზად დამანაწევრებელი სვეტები. გვიან ხანაში მოუპირკეთებიათ ბაზილიკის ფასადების ცალკეული მონაკვეთები თლილი ქვის მსხვილი ფილებით. ყოველივე ზემოაქმულის მიუხედავად, კაწარეთის სამება მანძი შეინარჩუნა. თავისი ძველი არქიტექტურული ფორმები.

ძველი შუამთის ბაზილიკა მდებარეობს ქ. თელავის მახლობლად. ამავ სახელწოდების მონასტერში (სურ. 89). V საუკუნით დათარიღებული ეს უძველესი ბაზილიკა ამ მხრეზე არის საყურადღებო, რომ მასში მკაფიოდ გამოიხატა ამ არქიტექტურული თემის განვითარების შემდგომი საფეხურები. აღმოსავლეთ-დასავლეთის დერძზე დაგრძელებული შიგა სივრცე ორ წყვილ სვეტზე დამყარებული თაღებით სამ ნაგად ნაწევრდება. შუა ნაეი შედარებით მაღალი და განიერია. გვერდითი ნაეები საგრძნობლად ვიწრო და დაბალია. ეს გვერდითი ნაეები ცენტრალური ნავის ორსავე მხარეს დერეფნებით ნაწილდებიან და მთელ სიგრძეზე სწორკუთხა ფორმებით გამოიხატებიან. როგორც საკურსხეველის ნახევარწრიული მოხაზულობის აფსიდში, ისე გვერდითი ნაეების სწორკუთხა სიბრტყეებში თითო სარკმელია გაჭრილი. განაეების წყაროს, ამ სამი სარკმლის გარდა, ძირითადად კარის ღიობები შეაღვენენ, რის გამოც ინტერიერში განაეება ერთობ შესაღულია. ბაზილიკის გვერდითი ნაეები ერთმანეთს დამატებით უკავშირდებიან აგრეევე დასავლეთით მოთაესებული განივი ნავით, რაც ბაზილიკის გარსშემოსავლელს წარმოქმნის.

ძველი შუამთის სამშენებლო მასალად გამოიყენება რიყის ქვა, როგორც ეს დამახასიათებელია კახეთის არქიტექტურისათვის. ეკლესიის კუთხეები, თაღები, პილასტრები, კარნიზები შესრულებულია ფიროვანი შირიმის ქვის მასალით.

ძველი შუამთის ბაზილიკის შიგა სივრცის მსგავს გადაწყვეტას, სადაც დერეფნისდაგვარი გვერდითი ნაეები ერთმანეთს გარშემოსავლელით უკავშირდებიან,

ვხედებით V საუკუნით დათარიღებულ მატანის ცხრაკარას ბაზილიკაში. შემდეგ კი, როგორც ქვემოთ ენახავთ, ეს მოტივი სამეკლესიანი ბაზილიკების ერთ ორიგინალურ ნიმუშებშიც გამოიხატა.

ბიჭვინთის ბაზილიკა. 1952 წელს ბიჭვინთის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სხვა არაერთ ნაგებობაში შორის, გამოვლინდა ძველი ტაძრის ნაშთები (სურ. 91). ეკლესია დიდი სომის სამნაგიანი ბაზილიკაა, ხუთწახნაგა შეკერილი აფსიდით. შიგა სივრცე სამ ნაგად ყოფილა დანაწევრებული სვეტების ხუთი წყვილით. შუა ნაგი გვერდით ნავებზე ბევრად განიერთა. ბაზილიკას დასავლეთი მხრიდან ეკერის ნარაექსი. ითხოვეულ ნაწიში გასასვლელი კარის დიობებთა. ნარაექსის შესასვლელი კარი ბაზილიკის მთავარ შესასვლელსაც წარმოადგენდა. გარდა ამ ცენტრალური კარისა, ბიჭვინთის ბაზილიკას კიდევ სამი დამატებითი შესასვლელი ჰქონია, რომლებიც ეკლესიის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებშია გაჭრილი. საკმაოდ უჩვეულოდ ჩანს ის სიახლე, რომ ამ სამი კარიდან ერთი, სამხრეთის, ნაგის აღმოსავლეთ კედელშია მოთავსებული.

არქიტექტურული ფორმების და შიგა სივრცის ორგანიზაციის თვალსაზრისით, ბაზილიკის თავისებურებანი მკვლევრებს უფლებას აძლევს მისი აშენების თარიღი VI საუკუნით განსაზღვრონ. დღეისათვის, არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი ეს ბაზილიკა მხოლოდ ნანგრევების სახით არის ჩვენამდე მოღწეული. ეკლესიის სამშენებლო მასალაზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ იგი კონგლომერატის ბლოკებით აუგიათ. ეს ბლოკები, ადრეული შუა საუკუნეების სამშენებლო წესის შესაბამისად, პორაჩინტალურ რიგებზე დაუწყვიათ. ბაზილიკის იატაკად კერამიკული ფილები ყოფილა დაგებული. ქრონოლოგიის თვალსაზრისით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ VI საუკუნის ეს ბაზილიკა დგას მასზე უფრო ადრეული ხანის, V ან, შესაძლოა, IV საუკუნის უძველესი ბაზილიკის ნანგრევებზე. ეს ძველი ბაზილიკაც საკმაოდ დიდი სომის საკუთლო ნაგებობას წარმოადგენს, რომელიც აღმოსავლეთითა წახნაგოკანი შეკერილი აფსიდით მთავრდება. შიგა სივრცის სამ ნაგად დანაწევრებისათვის ამ უძველესი ბაზილიკის მშენებლებს გამოუყენებთ მარმარილოს კოლონები, რომლებიც თავისი სტრუქტურით, ფორმით, პროკონესული ცნობილი მარმარილოს სამტეხლოშია მოჭრილი და აქვე, არქიტექტურული ელემენტების სახელოსნოშია დამსადებული. საყურადღებოა, რომ მარმარილოს ეს მრგვალი სვეტები ერთმანეთს არქიტრავეული სისტემით უკავშირდებოდნენ. ამ უძველეს ტაძარს საკმაოდ ფართო ნარაექსი და ატრიუმიც ჰქონია. მის მშენებლებს საგანგებოდ უზრუნიათ ტაძრის ინტერიერის მხატვრული გაფორმებისათვის. მისი იატაკი მთლიანად მოზაიკური ყოფილა, სადაც გამოუსახავთ ადრექრისტიანული ხანისათვის დამახასიათებელი სიმბოლოები: შადრევანზე დაწაფებული ირმები, ქრისმა, თევზები. პალმა, ფარშევანგები, რაც ფართოდ იყო გავრცელებული ადრეული შუა საუკუნეების სახეთ ხელაუნებში.

ანჩისხატის VI საუკუნის დამღვეის მარიამწმინდის სახელობის ბაზილიკა თბილისის ძველ უბანში, კალაში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, შავთელის ქუჩის დასაწყისში მდებარეობს. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ცნობით, ვახტანგ

გორგასლის მემკვიდრის - დანი უჯარმელის ზეობაში „ტფილისს კაცნი და-
სხდებოდეს და მარიამ წმიდაჲ ეკლესიას აღაშენეს“. ამ ეკლესიას „ანჩისხატი“
XVII საუკუნეში შეერქვა, როდესაც სამხრეთ საქართველოში, თურქების მძლავ-
რობისა და დამკვიდრების მცდელობის პერიოდში ანჩის მონასტრიდან თბილისის
ამ ძველ ეკლესიაში გადმოუსვენებიათ ბექა ოპიზრის მიერ XII საუკუნეში შეჭე-
დილი მაცხოვრის ხელთუქმნელი, სასწაულომოქმედი ხატი. ეს სახელი, ღერ-
თისწმობლის სახელზე აგებულ ამ ეკლესიას დღემდე შემორჩა და დღესაც ანჩი-
სხატად მოიხსენიებენ.

თბილისის ანჩისხატი სამწავანი ბაზილიკა (სურ. 92). მისი ცენტრალური ნაწი,
ურბნისის ბაზილიკის მსგავსად, საკმაოდ მაღალია და ორქანობიანი სახურავით არის
გადახურული. გვერდითი ნაეები ცალგერდა ქანობებით იხურება. ნაეების სხვადასხვა
სიმაღლეებით და გადახურვის ასეთი სტრუქტურით სივრცეში მკაფიოდ მოიხაზება
ბაზილიკისათვის დამახასიათებელი სილუეტო.

თლილი ქვით ნაგები ეკლესია სიგრძივ ღერძზე წაგრძელებულ ოთხკუთხედშია
მოქცეული. მისი საკუროხეველის აფსიდა გარეთ არ გამოიყოფა შეერილის სახით და
კედლის სიბრტყეშია ნიველირებული. ბაზილიკის ცენტრალური შესასვლელი
დასავლეთი მხრიდან აქვს გამართული, სადაც კარის ღიობის თავზე ნალისებური
ფორმის ღია ღუნეტია მოთავსებული. ასეთივე ნალისებური ფორმის ღია ღუნეტი
ფორმდება აგრეთვე ეკლესიის ჩრდილოეთი კარი.

ძეგლის არქაული სახე კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიხატა შიგა სივრცის
ორგანიზაციაში. ბაზილიკა თავდაპირველად სამი წყვილი სვეტით სამ ნავად
ნაწიერდებოდა. ძველი სვეტები ამჟამად შეკვლილია XVII საუკუნის რესტავრაციის
პერიოდის აგურის ორი წყვილი მრგვალი სვეტით. საკუროხეველის აფსიდის ორსავე
მხარეს სამკვეთლოსა და სადიაკონეს დამოუკიდებელი კამერები ნაწილდებიან, რაც
ეპარქისტიის უკვე ჩამოყალიბებულ ლიტურგიკაზე მიგვანიშნებს. საკუროხეველის
აფსიდის სატროუმყო თალი ნალისებურია. ნალისებური ფორმა შემორჩა აგრეთვე
საკუროხეველის სარკმელსაც, რაც ამ ძეგლის ადრეულობის კიდევ ერთი
მიმანიშნებელია.

ბაზილიკის დასავლეთ ფასადზე მოთავსებულია ერთი რელიეფური ქანდაკება.
ორი მფრინავი ანგელოზი მედალიონში ჩაწერილ „ძლევის ჯვარს“ აღამაღლებს.

ამგვარად, ანჩისხატის ბაზილიკას აქვს ყველა ძირითადი კომპონენტი: ნალისებური
თაღები, ღია ღუნეტები, უძველესი იკონოგრაფიული პროგრამის გამოიხატეული
რელიეფური ქანდაკება და უდავოდ, ადრეული შუა საუკუნეების ერთ-ერთი
საყურადღებო ძეგლია.

ანჩისხატის ბაზილიკა XVII საუკუნეში განუახლებია დომენტი კათალიკოსს. ამ
ხანას განეკუთვნება ეკლესიის დასავლეთით აგებული აგურის სამრეკლო. XIX
საუკუნის პირველ ნახევარში ეკლესია კვლავ განუახლებიათ და მოუხატავეთ.
რესტავრატორებმა ანჩისხატის ბაზილიკას მოაცილეს გვიანი, ხანის დანამატები და
ძეგლის დაუბრუნეს თავისი ძველი სახე.

თიანეთის ხიონი მღებარეობს სერის ზეობაში, რაიონის ცენტრიდან სამხრეთ-

აღმოსავლეთით. 18 კმ. მანძილზე. მდ. იორსე წყალსაცავის მშენებლობის მასშტაბები ეკლესიას დატბორვის 'სონაში აქცევდა, რის გამოც ეს ტერიტორია არქეოლოგიურად იქნა შესწავლილი. ხოლო ძველი ღამწა მისი სხვა ადგილზე გადატანის მისნით.

ეკლესიის საკმაოდ დაზიანების მიუხედავად, შესაძლო ხდება მისი ძირითადი ფორმების გარკვევა. ბაზილიკა გეგმაში კვადრატს მიახლოებულ ოთხკუთხედს წარმოადგენს, რომლის შუა სივრცე საკმაოდ მასიური ფორმის მონოლითური კოლონების ორი წყვილით სამ ნაყად ნაწევრდება. ბაზილიკის შუა ნაწილს საკმაოდ განიერია და აღმოსავლეთით მკაფიოდ გამოხატული ნაღისებური მოხაზულობის აფსიდით მთავრდება. სამნავიანი ბაზილიკის ნაწილები ერთმანეთს უკავშირდება ნაღისებური თაღებით. ვარაუდობენ, რომ სიონის სამივე ნაწილს სავსებით ორკალთიანი სახურავის ქვეშ იყო მოქცეული. ერთქანობიანი სახურავებით ყოფილა გადახურული ჩრდილოეთის და სამხრეთის მინაშენები.

საკურთხევლის აფსიდში მკაფიოდ გამოიყოფა საფასადო სიბრტყეზე ხუთწახნაგოვანი შვერილის სახით, რომელსაც დამოუკიდებელი გადახურვა აქვს. შვერილის ცენტრალურ წახნაგში გაჭრილია ერთადერთი, საკმაოდ განიერი სარკმელი. ეკლესია შირიმის სუფთად ნათალი ქვით არის ნაგები. მონოლითური სვეტები, კაპიტელები, იმპოსტები. კარის ჩარჩო, რომლებიც ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებისათვის დამახასიათებელი მცენარეული, გეომეტრიული დეკორით ირთივება. წერილმარჯვლოვან ქვიშაქვაშია ნაკეთი. კონქის ორსავე მხარეს განაწილებულ იმპოსტებზე წმინდა ხის წინაშე მდგომი ირმები გამოისახებიან, რომლებიც მორწმუნე ქრისტიანთა სულის სიმბოლურ გამოსახულებებს განასახიერებენ. კაპიტელებზე, კარნისზე, კარის ჩარჩოზე, კოლონების სედაპირზე მოსართავ ელემენტებად გამოუსახაეთ ყურძნის მტენიანი ვახები, ვარდულები. ერთგან კი „ხე ცხორების“ ძაღლზე არქაული იკონოგრაფიული სქემა, რასაც მხოლოდ ადრეული შუა საუკუნეების დეკორში დაეძგნება პარალელები. ისიც საყურადღებოა, რომ ბაზილიკის მხოლოდ შიგა სივრცე იკობა უძველესი ქრისტიანული სიმბოლოებით და ანიკონური მხატვრობით, რაც წითელი საღებავით მოხაზული ქვის წყობის იმიტაციას წარმოადგენს. ეკლესია ერთგვარად მძიმე არქიტექტურული ფორმებით ხასიათდება და გარე მასები ყოველგვარ დეკორს არის მოკლებული.

ქართულ სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში თიანეთის სიონის სამნავიანი ბაზილიკის თარიღზე სხვადასხვა მოსაზრებანი გამოიქვა. მკვლევართა უმეტესობა თვლის, რომ ეს ძეგლი ე. წ. „გარდამავალი ხანის“ საკულტო ნაგებობაა და მისი თარიღი VIII-IX საუკუნეთა მიჯნით უნდა განისაზღვროს. ბაზილიკის ტერიტორიის არქეოლოგიურად შესწავლის საფუძველზე გამოიქვა მოსაზრება, რომ ერწოს სიონის ბაზილიკა V საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლია, რომლის დეკორაციული სისტემა დიდ მსგავსებას აქვს ბოლნისის სიონთან.

თიანეთის სიონის სამნავიანი ბაზილიკა აქამდე თბილისშია გადატანილი მატერიალური კულტურის და ხალხური ყოფის დია მუხეუშში.

ადრეული შუა საუკუნეების ქართულ საკულტო ხუროთმოძღვრებაში, სამნავიანი ბაზილიკების გეგრდით, შექმნა სრულად ორიგინალური საკულტო ნაგებობის ახალი ტიპი, რაც სამეკლესიანი ბაზილიკის სახელით არის ცნობილი. ასეთი სახის არქიტექტურული ტიპის წარმოშობის მისვლად მიხედვლით სასულიერო კულტმსახურების - ლიტურგიკის ის აუცილებლობა, რაც დღის განმავლობაში ერთსა და იმავე ეკლესიაში წირვის რამდენიმეჯერ გადახდას ითვალისწინებდა. ამისათვის კი, ცხადია, ცალკე საკურთხეველი იყო საჭირო. კულტმსახურების ასეთმა წესმა განაპირობა სამეკლესიანი ბაზილიკის გაჩენა ქართულ ხუროთმოძღვრებაში. თემის არქიტექტურულად გადაწყვეტის სიახლე ძირითადად შიგა სივრცის ორგანიზაციაში გამოიხატა, სადაც სამი ნაფი ერთმანეთისაგან კედლებით გაიმიჯნა და არა სვეტებზე დამყარებული თაღელებით. როგორც ამას სამნავიან ბაზილიკებში ეხედებით. სამეკლესიან ბაზილიკებში, ნაგების თუ ეკლესიების მაკავშირებლად გამოდის გრძივი კედლებში გაჭრილი კარის ღიბები. მსოფლიოს ხალხთა ქრისტიანულ არქიტექტურაში სამეკლესიან ბაზილიკებს პარადიული ვერ დაეძებება და, როგორც ირკვევა, ეს არქიტექტურული ტიპი საქართველოშია შექმნილი. *

ქვემო ბოლნისის VI საუკუნის სამეკლესიანი ბაზილიკა მდებარეობს ბოლნისის სიონის გზაზე, მასთან ახლო მანძილზე. ეკლესია გეგმაში კვადრატულია. აღმოსავლეთის ფასადზე ენერგულად გამოიყოფა საკურთხეველის აფსიდი ნახევარწრიული შეერილის სახით. მასში გაჭრილია ერთი საკმაოდ განიერი სარკმელი. შიგა სივრცე ნათდება კიდევ სამი სარკმლით, რომლებიც სამხრეთის და დასავლეთ კედლებშია დატანებული (სურ. 93-96).

ანტიკური კედლებით ნაწვევრდება სამ ეკლესიად, სადაც თითოეულ მათგანს აღმოსავლეთით ნაღისებური მოხაზულობის აფსიდი აქვს. ეკლესიათა დამაკავშირებელი ორივე კარი სამხრეთ გრძივი კედლებშია გაჭრილი, საიდანაც მლოცველი ცენტრალურ ნაგებში ეკლესიის სამხრეთ ფრთაში გამართული თაღოვანი ღიბებით შედიოდა. ჩრდილოეთ ნაგებში მოხვედრა კი მხოლოდ შუა ნაფიდან იყო შესაძლებელი მასში დატანებული ერთი კარის საშუალებით. ცენტრალურ ნაგებში შესასვლელი ორივე კარის თავზე გაღებულ არქიტრაქზე, როგორც იკონოგრაფიული პროგრამის, ისე სტილისტურ-სამშენსრულებლო დონის თვალსაზრისით, საყურადღებო ქანდაკებებია მოთავსებული. ერთზე მაკხოვრის ამბავლება გამოიხატება, ხოლო მეორეზე ღვთისმშობლის განდიდება. საერთო კომპოზიციური აგებულებით მსგავსი იკონოგრაფიული პროგრამების გეგმადგენრად გაიოსახვის საერთო რეგლამენტაცია მიგვანშნებს ადრეული შუა საუკუნეების ქანდაკებთა განაწილების წესზე, რაც, უპირატესად, VI საუკუნის საკულტო ხუროთმოძღვრების დეკორაციულ სისტემაში აისახება.

ეკლესია კარგად ნათალი ქვის კვადრებით არის ნაგები. სარკმელითა ნახევარწრიული თავსარები განზე გაზიდული პორტიკონტალური მკლავებით ბოლოვდებიან. ეკლესიის საერთო დეკორაციულ სისტემაში შედის კბილანა კარნისები და, ცხადია, ხეიით აღწერილი რელიეფური ქანდაკებები.

ნეკრესის სამეკლესიანი ბაზილიკა მდებარეობს კახეთში, სოფ. შილდიდან 9 კმ-ის მანძილზე. მთის ფერდობზე გაშენებული მონასტრის ტერიტორიაზე სამეკლესიანი ბაზილიკის თავდაპირველი ტიპისაგან განსხვავებით, ერთმანეთის გვერდობაში განლაგებული და ერთმანეთთან მხოლოდ კარის ღიობებით დაკავშირებული სამი ეკლესიის ნაცვლად, VII საუკუნის დამდეგისათვის აშენებულ ნეკრესის სამეკლესიან ბაზილიკაში სრულიად ახალი არქიტექტურული ტიპი ჩამოყალიბდა. შიგა სივრცის სამეკლესიან სტრუქტურაში შუა ნაეი საკმაოდ მაღალი და მოცულობითია. გვერდით ნაეებად გამოდის საკმაოდ დაბალი გარშემოსაყვლილი, რომელიც ცენტრალურ ნაეს სამი კართი უკავშირდება. გარშემოსაყვლილი ეკლესიის დასაყვლილი მხარესაც მოიცავს და ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდან გახსნილია ნაღისებური ფორმის ორმაგი თაღებით, რომელიც მომიჯნავე ქუსლები ერთ მრგვალ სვეტზეა დამყარებული. განაპირა ქუსლები კი კედლის სისქეში გამართულ საყვრდენებს ემყარებან. შიგა სივრცეში, შუა ეკლესიის საკურთხეველის აფსიდის ორსავე მხარეს განაწილებულია დამოუკიდებელი კამერები – სამკვეთლო და სადაბკონე. ამ პასტოფორიუმებს მხოლოდ ინტერიერიდან აქვთ შესასყვლილი, რომლებიც ცენტრალური ნაეის საკურთხეველის მახლობლად, ჩრდილოეთის და სამხრეთ კედლებშია გაჭრილი. ეკლესიის შიგა სივრცე თავშეკავებულად ნაიდება ეწრო სარკმლებით, რომლებიც, ძირითადად, ცენტრალური ნაეის დასაყვლილი მონაკვეთშია განლაგებული. თითო სარკმლით ნაიდება ცენტრალური ნაეის საკურთხეველი და მისი პასტოფორიუმები. გარშემოსაყვლილს კი მხოლოდ კარის ღიობიდან შემოსული შუქი ანათებს (სურ. 97).

ნეკრესის სამეკლესიანი ბაზილიკა ნაგებია საკმაოდ მსხვილი ფლესილი ქვით, კუთხეები და სხვა საპასუხისმგებლო არქიტექტურული ნაწილები შირიმის ქვით არის ნაგები, რაც დამახასიათებელია კახეთის არქიტექტურისათვის. ნეკრესის ცენტრალური ეკლესიის საკურთხეველის თავსართი ძირეული 'შუა' საუკუნეებისათვის დამახასიათებელი განიშეკლავებიანი ნახეყვრწორული ფორმისაა.

ამგვარად, ნეკრესის სამეკლესიან ბაზილიკაში გამოისახა სრულიად ახალი, ხუროთმოძღვრულიად ჩამოყალიბებული და კომპოზიციურად გამთლიანებული საკულტო ნაგებობის ტიპი, რომელიც სიახლეების სახით გამოიხატა დამოუკიდებელი პასტოფორიუმები და გარშემოსაყვლილით ეკლესიის სამივე ნაეის ერთმანეთთან დაკავშირების ამოცანები. თუმცა, თითოეული ეკლესია ინარჩუნებს დამოუკიდებელ ფუნქციურ დანიშნულებას. ეს კი აუცილებელ პირობას შეადგენდა სამეკლესიანი ბაზილიკებისათვის.

ნეკრესის სამეკლესიანი ბაზილიკის შუა ნაეი XV საუკუნეში მოუხატავთ, სადაც საქტიტორო მწკრავში გამოუსახავთ ღვიან კახთა მეფე (1520-1574). ღვილოფალი თინათინი და ჭაბუკი ტახტის შემკვიდრე.

აღრეულ შუა საუკუნეებში ამ არქიტექტურული ტიპის აყვანეთში დამკვიდრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ხელოვნების ისტორიისათვის, რამდენადაც, სამეკლესიანი ბაზილიკის თემა, როგორც ეს მიღებულია სახელოყვრათმცოდნეო ღვიტერატურაში, საქართველოში ჩაისახა და აქვე ხედებით

მისი განვითარების ყველა ეტაპს. ამდენად, ოგი მხოლოდ ქართული მოვლენაა და მისი გაქრცელების არეალი „ყოველი ქარაღის“ ფარგლებს არ სცილდება. სრულიად ბუნებრივი იყო ეს არქიტექტურული თემა აფხაზეთშიც განხილვიყო და დამკვიდრებულიყო. ასეთი ძეგლებია: ძველი გაგრის, აბანტის ციხის, მოუსერას და ქიანის სამეკლესიანი ბაზილიკები.

ძველი გაგრა სამეკლესიანი ბაზილიკა აგებულია ძველი ციხადელის ტერიტორიაზე, მდ. ჟოეკეარას ნაპირზე. პატარა ზომის ეკლესიამ თავისი თავდაპირველი სახე შემოინახა. ბაზილიკა შედგება სამი, ერთმანეთის გვერდიგვერდ განაწილებული წაგრძელებული ფორმის ეკლესიებისაგან, რომელთა შორის ჩრდილოეთისა ოდნავ მოკლეა. შუა და ჩრდილოეთით მდებარე ეკლესიები აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდებით მოაერთიანებია. სამხრეთის ეკლესია კი აღმოსავლეთ მონაკვეთში სწორკუთხაა და ბრტყელი კედლით ფორმდება. სამივე ეკლესია ერთმანეთს კარის ღიობებით უკავშირდებიან, რაც ძირითადად სიგრძივ კედლებშია გაჭრილი. მხოლოდ შუა ნაეს, რომელიც ორ გვერდით ნაეებთან შედარებით განიერია, დასავლეთის მხრიდან აქვს ცალკე შესასვლელი.

გაგრის სამეკლესიანი ბაზილიკა ყურადღებას იქცევს ამოცანის გადაწყვეტის უბრალოებით, სადაც მხოლოდ ოდნავ არის ხაზგასმული შუა ნაეს არქიტექტურული სიერცე მისი სიგანის ხარჯზე. ეკლესიის ადრეულ პერიოდზე მიგვანიშნებს ინტერიერის გრძივი კედლების დაუნაწიერებლობა, აგრეთვე, ე. წ. „ბოლნური ტიპის“ ჯვარი დასავლეთი კარის ტიმპანზე, ეკლესიის ქვათილებების დამუშავება, მათი წყობის ხასიათი, რაც მსგავსებას აქვს გაგრის ციხის კედლის წყობასთან და უდავოდ მისი სინქრონულია. წერილობითი წყაროს ცნობით კი გაგრის ციხე VI საუკუნეშია აგებული, რაც მის ტერიტორიაზე მდებარე სამეკლესიანი ბაზილიკის თარიღსაც წარმოადგენს.

აბანტის ციხის სამეკლესიანი ბაზილიკა გეგმაში, გაგრის სამეკლესიანი ბაზილიკასთან შედარებით, უფრო რთულია. შუა ნაეს საგრძნობლად განიერია. საკურთხევლის დრმა აფსიდი ფასადზე ხუთწახნაგა შეკერილის სახით გამოიყოფა, რომელშიც სამი სარკმელია გაჭრილი. გვერდითი ნაეების ასევე ნახევარწრიული აფსიდები ფასადზე სწორი სიბრტყით აღინიშნება, თითოეულ მათგანზე თითო სარკმლის ღიობით. ნაეები ერთმანეთს კარებებით უკავშირდებიან, რომლებიც გამჭოლად ნაწილდებიან სამივე ეკლესიის განივი ღერძის მთელ არეზე. ეკლესიას დასავლეთიდან ნართექსი აქვს მიდგმული, ერთადერთი საპარადო შესასვლელით. აქედან, სამივე ნაეს დასავლეთის მხრიდან დამოუკიდებელი კარებები აქვს. აფხაზეთში ასეთი ტიპის – სამეკლესიანი ბაზილიკის შეკრდილი გამოხატული საკურთხევლის აფსიდის ნაგებობა ერთადერთი მაგალითს შეადგენს. ეკლესია VI საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.

ქართული ხელოვნების ადრეულ ეტაპზე, VI საუკუნის შუა წლებიდან და ამ მნიშვნელოვანი ხანის დასასრულისათვის, რაც „ყოველი ქართლის შეკრებით“ და კონსოლიდაციით აღინიშნა, გუმბათოვან ხუროთმოძღვრებაში ყველაზე მკაფიოდ გამოიხატა ეროვნული ნიშნით აღბეჭდილი ახალი თემებისა და ტიპების წარმოშობა-დამკვიდრების პროცესი. ასეთი ახალი, ეროვნულად გამომეტყველი ხუროთმოძღვრული ტიპების საფუძველს ძირითადად ტეტრაკონქი შეადგენდა, რაც ფართოდ იყო გავრცელებული ქრისტიანულ აღმოსავლეთ სამყაროში. მასთან ერთად ეხვედნენ ე. წ. „თაქსუფალი ჯერის“ და „ნახაზული ჯერის“ ტიპებს. მაგრამ ქართველ ხუროთმოძღვრებაში მთავრად საფუძვლიანად დადგინდა, შემოქმედებითი მიდგომა, რომელშიც მხოლოდ ეროვნული ხუროთმოძღვრებისათვის სახასიათო ფორმები და მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის სრულიად ახლებური ამოცანები განხორციელდა, ნინოწმინდა და მცხეთის ჯერის იყო. ამ ახალი ხუროთმოძღვრული ტიპების საფუძველს შეადგენდა ტეტრაკონქი, რაც საქართველოში უკვე VI საუკუნის შუა წლებიდან დასტურდება. ამ თემის საფუძველზე აღმოცენებულმა ახალი ტიპმა საფუძველი დაუდო კლასიკურად გაწონასწორებული ახალი ხუროთმოძღვრული ტიპის ჩახახვა-განვითარებას ადრეული შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში.

ძველი გაეაზის (თანამედროვე ახალსოფლის) ღვთისმშობლის სახელობის ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც VI საუკუნის შუა წლებით თარიღდება, კახეთში მდებარეობს, მდ. ალაზნის ვაღმა (სურ. 98, 100). პატარა ზომის ტეტრაკონქი ცენტრალურ-გუმბათოვან ხუროთმოძღვრულ ტიპთან შორის ჩვენთან უძველეს საკულტო ნაგებობად არის მიჩნეული. შიგა სივრცის ორგანიზაციაში ყურადღებას იქცევს გუმბათქვეშა კვადრატი, რომელსაც ოთხივე მხრიდან ეკვრის ნაღისებური მოხაზულობის კონქებით დაგვირგვინებული აფსიდები და ტეტრაკონქს წარმოქმნის. აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე მდებარე აფსიდების კონქები ინტერიერში პორაზონიტალური კარნიშებით გამოიყოფიან. ძველი გაეაზის ტეტრაკონქი რიყის ქვით არის ნაგები. ეკლესიის გარე მასები იმეორებს შიგა სივრცის გეგმას და ოთხივე აფსიდის ნახევარწრიული ფორმის მასები მკაფიოდ გამოიყოფა ფასადებზე.

ეკლესია VIII-IX საუკუნეებში გადაუკეთებიათ. აუმაღლებიათ გუმბათის ყელი. სამი მხრიდან მიუშენებიათ საკმაოდ მძიმე არქიტექტურული ფორმის მქონე გარშემოსავლელი (სურ. 99).

ნინოწმინდის საეპისკოპოსო ტაძარი VI საუკუნის შუა წლებშია აგებული. იგი ყველაზე ადრეული ხანის მაგალითია იმისა, თუ მისმა ხუროთმოძღვრებამ ტეტრაკონქის საფუძველზე პირველმა როგორ განხორციელა კონსტრუქციულად ძალზე გაბედული არქიტექტურული ამოცანა და სრულიად ორიგინალური ხუროთმოძღვრული თემა შექმნა (სურ. 101, 102). თუმცა, ასეთი არქიტექტურული ტიპი საქართველოში ადრე განვითარებულია. მის გამოძახილს არც სომხეთში და აღბანეთში ეხვედნენ. აღნიშნულის მიუხედავად, ამ ტაძარმა მნიშვნელოვანი როლი

შეასრულა ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში. დღეისათვის სახელობათმცოდნეო ისტორიოგრაფიაში მიღებულია თეოდოსიოსის, რომ ნინოწმინდელმა ხუროთმოძღვარმა ამ ნაწარმოებით საფუძველი დაუდო მცხეთის დიდი ჯვრის ტაძრის წარმოშობას და ამ ტაძრის ძველთა განვითარებას.

ნინოწმინდის კათედრალური ტაძარი მდებარეობს თბილისის აღმოსავლეთით, 40 კმ მანძილზე, საგარეჯოს რაიონში, სოფ. ნინოწმინდის ცენტრში. ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრის გეგმა ტეტრაკონქის გარსულეული სტრუქტურითაა. ვარსკვლავისებური ფორმით გამოიხატა. ეს ნანს როგორც შიგა სივრცის ორგანიზაციაში, ისე გარე მასებში. ნინოწმინდის ხუროთმოძღვრის ძირითად ამოცანას შეადგენდა ხალკათი გუმბათქვეშა სივრცის შექმნა. ამ მიზნის განსახორციელებლად ცენტრალურ კვადრატს კუთხეები ჩამოაჭრა და მხარეების მიმართ დამხრობილ ოთხ აფსიდს ზღორის ეკლესიის დიაგონალურ ლერძებზე ოთხი პასტოფორიუმი გაანაწილა. ამით გუმბათის ყელს შეუქმნა რვა გუმბათქვეშა სადი, რომელზეც საგრძნობლად განიერი გუმბათის ყელი აღუმართავს. ამით ნინოწმინდელმა ხუროთმოძღვარმა მნიშვნელოვნად გაზარდა გუმბათის დიამეტრი და ხალკათი შიგა სივრცე შექმნა. კუთხეებში წარსულ ოთხივე სათავეს ერამანეთის პირისპირ განაწილებული აფსიდები ჰქონიათ. მათი ფუნქციური დანიშნულებიდან ის არის ცნობილი, რომ საკუთარხეველის ორსავე მიხარეს სამკვეთლო და საღიაკონე უნდა ყოფილიყო მოთავსებული. ვარაუდით, ერთ-ერთი პასტოფორიუმი სანათლავეს წარმოადგენდა. ასეთი ორატულიანი სამყოფელები მხოლოდ ნინოწმინდამ და ბოლნისის სიონმა იცის და შექმნეს ქართულ ხუროთმოძღვრებაში მსგავსი რამ ადარ განმეორებულია.

ტაძრის ინტერიერი ნათლებოდა გუმბათის ყელსა და ოთხივე აფსიდში გაჭრილი სარკმლებით. აქედან, საკურთხეველში სამი სარკმელია მოთავსებული. პასტოფორიუმები მოკლებულია დამოუკიდებელი განათების წყაროს და მათში შუქი მხოლოდ ინტერიერიდან აღწევდა კარის ღიობების საშუალებით. ტაძრის შეიდი შესასვლელი ჰქონია. ნინოწმინდის არქიტექტორის ძირითად ამოცანას შიგა სივრცის ორგანიზაცია შეადგენდა. ამდენად, სათანადო ყურადღება არ გაუმახვილებია გარე არქიტექტურული ფორმებისადმი. მხოლოდ საკურთხეველის ხუაწახნაგოვანი შეერილია აქცენტირებული აღმოსავლეთ ფასადზე, რომლის ცენტრალურ წახნაგში სარკმლის სამი ღიობია გაჭრილი. სხვა დანარჩენი აფსიდები და პასტოფორიუმები არცაუ კარგად მიგნებული და გამოხატული ცილინდრული მასების ერთიანობას შეადგენს. ამიტომაც, ტაძრის აფსიდები მძიმე და უხეში ფორმებით ხასიათდება. თუმცა, მასში გამოიხატა არქაული იერი.

ნინოწმინდის კათედრალი ნაგებია დიდი ზომის ქვითილებით. ეკლესია არაერთიხელი ყოფილა რესტავირებული XVIII საუკუნეში. ამ დროისათვის დასავლეთიდან მოუქნებიათ კარიბჭე. 1825 წელს ნინოწმინდა მიწისძვრისაგან დანგრეულა.

შიომღვიმის ოთხე ნათლისმცემლის სახელობის გუმბათიანი ეკლესია, რომლის აშენების დრო VI საუკუნის 80-იანი წლებით განისაზღვრება, მდებარეობს მცხეთის რაიონში, მღ. მტკერის მარცხენა ნაპირზე, რკინიგზის სადგურ ძველის პირისპირ.

შიომღვიმის მონასტრის ტერიტორიაზე. მონასტერი დააარსა ერთ-ერთმა ე. წ. „ას-სამეტ ასურელმა მამათაგანმა“ – შიომ. გუმბათიანი ეკლესია სანახევროდ მიწაშია ჩამჯდარი, როგორც ეს „მემღვიმეთა“ მიმდინარეობის მონასტონსათვის იქნებოდა შესაფერისი და, ალბათ; ამ ეკლესიის არქიტექტორი შიომღვიმელის მოთხოვნებიდან ითვალისწინებდა. თვით შიომღვიმე კი ამავე ეკლესიის ქვემოთ არის დაკრძალული.

ეკლესია გემში „თაყისუფალი ჯერის“ ტიპის ნაგებობას წარმოადგენს, რომლის საკურთხეველის აფსიდა და სამი სწორკუთხა მკლავი გარე მასებშიც გამოიხატება. ეს არქიტექტურული ტიპი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ქრისტიანულ სამყაროში. გუმბათიანი ტაძრის ცენტრალური კვადრატი გადახურულია ტრამპეზე აღმართული შეკრული კამარით. ეკლესია ხასიათდება მკაცრი, სადა არქიტექტურული ფორმებით, რაც საესებით შეესატყვისება იმ ღრთისათვის დამახასიათებელ ასკეტურ მიმართულებას. აღნიშნულის მოუხედავად, მასში მანაც გამოვლინდა ეკლესიის სასიამოვნო იერსახე, რაც არქიტექტურულ მასადა მწყობრი პროპორციებით არის განხორციელებული.

მცხეთის ჯვარი. „ყოველი ქართლის შეკრების“ და ქვეყნის კონსოლიდაციის პროცესში. როდესაც ქართლში ერისმთავართა მმართველობა აღდგა, საკულტო ხუროთმოძღვრებამ მნიშვნელოვან აღმავლობას მიაღწია. მცხეთის ჯვრის გენიალურმა არქიტექტორმა შექმნა კლასიკურად გაწონასწორებული, სრულიად განსაკუთრებული ხუროთმოძღვრული ტიპი, რომელიც ადრეული შუა საუკუნეების ქართული საკულტო გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ძიებათა რთული პროცესის კულმინაციას წარმოადგენს. მცხეთის ჯვრის დიდმა ტაძარმა საფუძველი დაუდო კლასიკური სტილის დაკვიდრებას ქართული ხუროთმოძღვრების ერთ გარკვეულ ეტაპზე – VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე და ამ არქიტექტურული ტიპის გავრცელებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

მცხეთის დიდი ჯვარი მდებარეობს საქართველოს უძველესი დედაქალაქის აღმოსავლეთით, მდ. მტკვრისა და არაგვის შესართავის მარცხენა ნაპირზე, საკმაოდ მაღალი მთის თხემზე, იქ, სადაც IV საუკუნის 30-იან წლებში წმ. ნინომ და მეფე მირიანმა სასწაულმოქმედი ხისაგან გამოჭრილი პირველი ჯვარი აღმართეს. მცხეთის ჯვრის ხუროთმოძღვრება შეძლო საერთო კომპოზიციურ სტრუქტურაში მოექცა მთის ის მონუმენტური მასივი, რომელიც ტაძარია აღმართული. ამდენად, მცხეთის ჯვარი, ლანდშაფტთან ერთიანობაში, მასთან შესრდილი ტაძრის ერთ საერთო სილუეტად აღიქმება.

გუარამ კურაპალატის ერისმთავრობაში აშენებული ჯვრის მცირე ტაძრის გვერდით, იქ, სადაც ღია ცის ქვეშ თავის დროსე აღუმართავეს ქართველთა, სომეხთა და ალბანელთა საერთო სიწმიდე – ხის მონუმენტური ჯვარი. გუარამ კურაპალატის ძეგბმა – სტეფანოს ქართლის პატრიკოსონა და დემეტრე ეპატოსმა სრულიად ორიგინალური გუმბათიანი ტაძარი ააგეს. ამ ტაძრის ინტერიერში მოაქცეეს საერთო კავკასიური სიწმინდე – პირველადმართული ჯვარი, რომელიც მისთვის საგანგებოდ აგებულ ოქტოგონზე იდგა. ეს ისტორიული სიწმიდე დაედო საფუძველად ეკლესიის სახელდებობას (სურ. 103-104).

გ. ჩუბინაშვილის მოსასრებთა, მცხეთის ჯერის წინამორბედი ნინოწმინდის სა-
ეპისკოპოსო ტაძარი, სადაც ძირველად განხორციელდა პასტოფორიუმებით ფლანკირ-
ებული ხალგათი შიგა სივრცის ცენტრალურ-გუმბათიანი სტრუქტურა. მცხეთის
ჯერის ხელოვნობდღერმა გათავალისწინა ის ხარეეხები და უსუსტობანი, რაც ნინოწ-
მინდის არქიტექტორმა დაუშეა თავისი ნაწარმოების მშენებლობის დროს და მხატვ-
რულ-კონსტრუქციული თვალსაზრისით სრულყო მცხეთის ჯვარი. შიგა სივრცის
სრულიად ახლებური ორგანიზაციის მკაფიოებით. არქიტექტურული მასების ჰარმო-
ნიული ურთიერთმკათანხმებით და გაწონასწორებულ სიმეტრიულობით, მწყობრი
დეკორაციული სისტემით, მცხეთის ჯვარი ადრეული შუა საუკუნეების ქართულ
საკულტო ხელოვნობდღერებაში ცენტრალურ-გუმბათიანი არქიტექტურის საეტაპო
ნაწარმოებია.

მცხეთის ჯერის გეგმის საფუძველს შეადგენს კუთხის სათაესებთან ტეტრაკონქი.
ნინოწმინდისაგან განსხეეებით, ეს პასტოფორიუმები რადიალურად კი არ
ნაწილდებიან ტაძრის შიგა სივრცეში, არამედ აღმოსაეღეთის და დასაეღეთ
აფსიდების ორივე მხარეს თავსდებიან. ამან განაპირობა ამ ღერძზე ბემების გაწენა,
რადგან ბემების გარეშე პასტოფორიუმები ეერაფრით განაწილდებოდნენ აფსიდების
ორსაეე მხარეს. ამან კი, გამოიწეეა ცენტრული სისტემის ოდნაეე დარღეეეა, თუეცა,
ეოსუალურად ეს არცთუ ისე მკაფიოდ გამოიხატეა. შიგა სივრცეში, ეედრატის
ღიაგონაღებზე განლაგებულა გეგმაში წრის სამი მეოთხედი მოხასულობის მცარე
მოცულობის მაღალი ნიშები, რომლებიც, ერთი მხრივ, პასტოფორიუმების
გასასეღეღებს წარმოადგენენ, ხოლო, მეორე მხრივ, ტაძრის შიგა სივრცის კუთხის
ოსახებთან მკაეეწირებლბად გამოღიან. გ. ჩუბინაშვილის განსასღერით, ამ
პასტოფორიუმებს ასეით ფუნქციური დანიშნულბა უნდა ჰქონოდათ: საკურთხეეღის
ორსაეე მხარეს – სამკეეელო და საღიაკონეა განლაგებულ, ხოლო დასაეღეთი
მკლავის ორივე მხარეს ნაწილდებოდა საქალბო და მთავართა სათაესები. საქალბოს
თუ კათაკეეეღისა საღეთის გარედან აქეს დამატებითი კარი დატანებული. საქალბოს
ინტერიერი დაცული წარწერის ცნობით, ამ პასტოფორიუმის მშენებლობა მხეეაღ
თემესტათს თავისი საფასით განუხორციელბია. ეს უაფსილო კედრატული ფორმის
სათაესები ჯერული თაღებით არის გადახურული და მათი კეღლების სისქეში ღრმა
ნიშები შეტრიღი.

ტაძრის მათრგანისებელ ბირთვს შეადგენს ეედრატი, რომელზეც გუმბათის
რეაწახნაეა ეეღია აღმართული. ეედრატისგან წრესთან მიახლოებულ გარშემო-
წერაღობახე გადასეღა განხორციელბულა ტრომპების სამი რთით. პირეული რთის
ღიღი ტრომპები ეედრატს რეაკუთხეღად გადააქეეეს. ამ რეა წახნაგზე აღმართულია
გუმბათის ეეღი, რომელშიც მხარეების დამხრობით ოთხი სარკმელია გატრიღი. ამ
სარკმელთა ღიღიების ხეეით პატარა ხომის ტრომპების კიღეე ორი მწკრივი
ნაწილდება. მათი საშუალებით რეა წახნაგს თექესმეტად ნაწეერდება, ხოლო
ტრომპების ბოლო დამამთავრებელი მწკრივი თექესმეტ წახნაგს ოცდაათრმეტ
წახნაგად გადააქეეეს. მასზე დამყარებულა გუმბათის ნახევარსეერული გადახურეა.

ტაძრის ორი შესასეღელი აქეს, რომლებიც განეე ღერძზე, ჩრდილოეთის და

სამხრეთის აუცილებელ შევრდილებში. ერთმანეთის პირისპირ სიმეტრიულად არიან განლაგებულნი. ასეთი გადაწყვეტა მნახველს საშუალებას აძლევდა ერთბაშად აღეკვეა ტაძრის შიგა სივრცე, რომლის მწყობრი განწყობაზეა შემოდან ქვემოთ სივრცობრივი მონაკვეთების თანდათანობითი ჰარმონიული ჩართვით ერთი მოლიანი, მკაცრად გაწონასწორებული ორგანიზმის სახით გამოიხატებოდა. აღმოსავლეთით, საკურთხეველის აუცილებელ გატარული სამი სარკმლით უხედად განათებული საკურთხეველი შიგა სივრცეში სრულად გამორჩეულ დომინანტად აღიქმებოდა. ამ შესაბუნძილებას აძლიერებს ტაძრის სამი დანარჩენი მკლავის შედარებით ნაკლები ძალით განათება, სადაც წრის სამმოთახილიანი სანახევროდ დასრდილულ ნიშები ინტერიერში მკაფიოდ გამოიყოფიან.

შიგა სივრცის ორგანიზაცია კარგად გამოიხატა ტაძრის გარე მასებში. სწორედ აქ გამოინდა ის ძირითადი განსხვავება ამავე ტიპის სომხურ არქიტექტურის ნიმუშებთან. სადაც გარე მასები ერთ საერთო ოთხკუთხა აბრისშია ჩაწერილი და, მცხეთის ჯერისაგან განსხვავებით, არაფიარო შევრდილები არ გააჩნიათ.

მცხეთის ჯერის და მისი ტიპის ძეგლთა წრეში კი ეხვდებით საერთო ოთხკუთხედიდან აუცილებელ შევრდილებით გამოყოფას ოთხივე ფასადზე, სადაც ბეჭებით ოდნავ დაგრძელებულ ფასადებზე პასტოფორიუმების არსებობა ორ-ორი ღრმა ნიშით აღინიშნება.

აღმოსავლეთის ფასადის არქიტექტონიკა სრულად საგანგებოდ არის მცხეთის ჯერის ხუროთმოძღვრის მიერ გაასრებული. ღრმა სამკუთხა ნიშებით ფლანკირებული სამწახნაგა შევრდილები. სამი სარკმლის თავესართით წარმოქმნილი უწყვეტი დეკორაციული ხილის ხედა მონაკვეთში, რომლებიც ვაისის ფოთლების და ყურძნის მტევენების მოტივით იმკობა, ტრიბიტექსდაგეარად ერთმანეთთან დაკავშირებული და კომპოზიციურად გაერთიანებული სამი რელიეფური ქანდაკებით არის აქცენტირებული. ცენტრში ხასვასიშული ღირსებით გამოიხატება ქართლის ერისმთავარი სტეფანოს პატრიკოსი მაცხოვრის წინაშე მუხლმოყრით გამოქანდაკებული, მისგან მარჯენი, მაცხოვრისაკენ ევდრებით მუხლმოყრითი – დემეტრე ეპატოსი, ხოლო მარცხენი – აღრნერსე ეპატოსი კვლავ მაცხოვრის მიმართ ევდრებით მუხლმოყრითი გამოიხატება თავის მკარეწლოვან მემკვიდრესთან – ქობულთან ერთად. დემეტრეს და აღრნერსეს ქანდაკებების ხედა მონაკვეთში განაწილებულია მფარველი ხეცური ძალები – მთავარანგელოზები. ხეცური მფარველების ცენტრისკენულად დამხრობილი რელიეფები ქტიტორულ ქანდაკებებს პირამიდულ აღნაგობას ანიჭებს.

ქელქისის მთავარი მისასელელი – სამხრეთი ფასადი საგანგებოდ იმკობა რელიეფური ქანდაკებებით. აქ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ტაძრის გასხნილი კარიბჭის – შიგნით, კარის ღიობის ტიმპანზე გამოკვეთილ ჯერის ამაღლების ქანდაკებას, რაც ახრობრივად ეხმაურება ჯერის განდილების იმ თემას, რომლის სახელობასაც არის მცხეთის ჯვარი აგებული.

შევრდილის ცენტრალურ წახნაგზე და ღრმა ნიშების კედლის სიბრტყეებზე ქტიტორთა ქანდაკებები გამოუკვეთიათ, რომელთა მხოლოდ ერთი ნაწილის გარჩევა ხერხდება. აქვე, ე. წ. „საქალებოს“ გარედან შესასელელი კარის არქიტრაფზე,

წიწკოვან გეორგიანში ჩაწერილი მაცხოვრის მკერდამდე გამოსახულებას ორი ანგელოზი აღამაღლებს. ამავე შეერილის გასწვრივ გამოუსახავთ ქობულ სტეფანოსი, ხოლო გუმბათის ყელის წახნაგზე მცხეთის ჯერის ხუროთმოძღვრის მუხლმოყრით გამოსახული ქანდაკება მოუთავესებიათ. მცხეთის ჯერის დასაველეთი და ჩრდილოეთი ფასადები არც ქანდაკებებით და არც რაიმე დეკორაია არ ირთივება. ამის მიზეზია გუარამ კურაპალატის მიერ 544/45-566 წლებში აშენებული მცხეთის ჯერის მცირე ტაძარი, რომელიც ჯერის დიდი ტაძრის ჩრდილოეთი ფასადის წინ არის მოთავსებული და ეს ფასადი მნახველისათვის თათქმის უხილიაა. ამდენად, მასზე ქანდაკებას ვერ მოათავსებდნენ. იგივე თათქმის დასაველეთ ფასადზეც, რომელიც ფრიალო კლდის პირას არის აღმართული და მისი დათვალიერება მხოლოდ შორი მანძილიდან არის შესაძლებელი. ტაძრის საერთო დეკორაციულ სისტემაში შედის თაღედების შედგენილი გუმბათის კარნიზი და სარკმელთა განივიკლავებიანი ნახევარწრიული თაღსართების დეკორაია.

მცხეთის ჯვარი, მისი ქტიტორული ქანდაკებების გათვალისწინებით, კარგად თარიღდება 586/87-604 წლებით. ტაძრის, როგორც შიგა სივრცეში, ისე გარე მასებში მკაფიოდ გამოვლინდა რაფინირებულად დახვეწილი ფორმების მწყობრად შეწყობილი პროპორციები, სიმეტრიულად გაწონასწორებული არქიტექტურული მასები, მხატვრულ-ახრობრივად გამომსახველი დეკორაციული სისტემა და, ამდენად, იგი კლასიკურ ნაწარმოებთა რიგში დგება.

კავკასიის ხალხთა საკრალური სიწმიდე - წმ. ნინოს მიერ პირველადმართული ჯვარი, რომელიც ქრისტიანთა გარდა არაქრისტიანული მრწამსის კავკასიელ ხალხთა სალოცავსაც შეადგენდა, მცხეთის დიდი ჯერის ინტერიერში მოაქციეს მისმა მშენებლებმა. VI საუკუნის მიწურულის აგებულ ამ სრულყოფილი საკულტო ნაგებობის ტიპი ფართოდ გავრცელდა როგორც საკუთრივ საქართველოში, ისე სომხეთში. საქართველოში ასეთი ძეგლებია: ძველი შუამთა. ატენის სიონი და მარტილი. რომლებიც ჯერის ტიპის ძეგლებად იწოდებიან. სომხეთში - ავანი. როფსიმე. თარგმანაძეანქი ავან-როფსიმეს ტიპის ძეგლებად არიან სახელდებულნი. ამიერკავკასიაში გავრცელებული ამ ტიპის ფუძემდებლურ ძეგლებს წინ უსწრებს მცხეთის ჯვარი.

ძველი შუამთა მღებარეობს კახეთში, ქ. აელაიდან შედითოდე კლიმეტრზე, ამავე სახელწოდების უძველესი მონასტრის ტერიტორიაზე, სადაც თავმოყრილია V-VII საუკუნეების საკულტო არქიტექტურული ძეგლები.

ძველ შუამთაში ჯერის ტიპის ორი ეკლესიაა. შედარებით დიდი ეკლესია VII საუკუნის. 20-იანი წლებით თარიღდება (სურ. 110). იგი რიყის ქვით არის ნაგება, როგორც ეს კახეთის ხუროთმოძღვრებისთვის არის დამახასიათებელი. ჯერის ტიპის ამ ეკლესიაში, მცხეთის ჯერისაგან განსხვავებით, საკმაოდ გამარტივებულია შიგა სივრცის ორგანისაცია. შემცირებულია აფსიდებისა და ბემების სიღრმეები. საკურთხეკლის აფსიდი მხოლოდ ერთი სარკმლით ნათდება. აქ აღარა გვაქვს საქაღებოსა თუ კათაკმეველთა სადგომში გარედან შესასველელი დამატებისა კარი. კვადრატისაგან გუმბათის ყელზე გადასვლა ტრემების მხოლოდ ორი რიგით არის

განხორციელებული. საერთოდ, ეს ნაგებობა მცხეთის ჯერის მინიატურულ ასლს წარმოადგენს.

ამავე ღროსი მეორე, ასევე რიყის ქვის ნაგები ეკლესია უფრო მცირე ზომისაა. მისი შიგა სივრცის აღნაგობა მსგავსაა მცხეთის ჯერისა, იმ განსხვავებით, რომ აქ მხოლოდ კუთხის სამშეთხელიანი ნიშებია გამართული პასტოფორიუმების გარეშე. წრის სამშეთხელიანი ნიშების არსებობა მცხეთის ჯვარში და მისი ტაძის ძეგლებში თუ გამართლებული იყო, რამდენადაც ისინი პასტოფორიუმების მაკავშირებელ რგოლებს შეადგენდნენ, ძველი შუამთის ამ ეკლესიაში ნიშებს მხოლოდ დეკორაციული დანიშნულება აქვს და ისინი გეანეგებენ ძველი შუამთის პატარა ეკლესიის ხუროთმოძღვრის მიერ ამ არქიტექტურული ტაძის არსის არასწორად შეცნობას.

ატენის სიონი მღებარეობს ისტორიულ შიდა ქართლში, ქ. გორიდან 12 კილომეტრის მანძილზე, მდ. ტანას ხეობის შუა წელზე. VII საუკუნის მეორე ნახევრის ტაძარი მცხეთის ჯერის ტაძის ძეგლია წრეში ექცევა.

სიონი აღმართულია მონუმენტურ ხელოვნურ სუბსტრუქციაზე, რომლის მაქსიმალური სიმაღლე 12 მეტრია. ხელოვნური ბაქნის და გუმბათიანი ტაძრის საერთო არქიტექტურული მასების მწყობრი ურთიერთშეფარდებით ხაზგასმული მკაფიოებით გამოიხატება სიონის იმპოზანტური არქიტექტურული სილუეტი, თავისი ერთგვარად მძიმე და დამჯდარი გუმბათით (სურ. 111).

ატენის სიონმა გასული საუკუნიდანვე მოიქცია მკვლევართა ყურადღება თავისი მრავალენოვანი და მრავალრიცხოვანი ეპიგრაფიკული ნიმუშებით. წარწერათა დიდი უმრავლესობა ქართულია. აქვე დაცულია: სომხური, ბერძნული, სირიული, არაბული, სპარსული, ებრაული წარწერები, რაც ამ რეგიონის ინტენსიურ ისტორიულ ცხოვრებაზე მიგვანშნებს.

ტაძრის გეგმის საფუძველს შეადგენს გუმბათქვეშა კვადრატი, მხარეების მიმართ დახრილი ოთხი აფსიდით, რაც შიგა სივრცეში ტეტრაკონქულ განვითარებას გეპილევს. გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე გადასვლა განხორციელებულია ტრომპების სამი რიგით, სადაც, მცხეთის ჯერის მსგავსად, კვადრატი 1/32 წახნაგად ნაწვერდება. შიგა სივრცის განვითარება ორგანიზებულია არქიტექტურული ფორმების ზემოდან ქვემოთ მიმართული მწყობრი დინებით, მოცულობების თანდათანობითი ზრდით. ხალვათი შიგა სივრცის შექმნის მიზანდასახულობით. პასტოფორიუმების წინ გამართული წრის სამშეთხელიანი ღრმა ნიშები შიგა სივრცის ამ დამხმარე კამერების მაკავშირებელ რგოლებად გამოდიან. პასტოფორიუმების კარის დიოტები ამ ნიშებშია მოქცეული. ერთადერთი გამონაკლისია სამხრეთ-დასავლეთი სათაესი, რომელსაც, მცხეთის ჯერის მსგავსად, კარი გარედანაც აქვს დატანებული. აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე საკურთხევის და მის პირისპირ მდებარე აფსიდების ორსავე მხარეს ოთხკუთხა პასტოფორიუმების მოთავსებამ აქ ბემების გამართვის აუცილებლობა გამოიწვია. ამით ოღანე დაირღვა შიგა სივრცის ცენტრული სტრუქტურა ისე, როგორც ეს მის მაგალითში - მცხეთის ჯვარშია (სურ. 113-115).

არქიტექტურული თემის მათრგანიზებულ რგოლს შეადგენს ერთგვარად მძიმე,

მასიური გუმბათი, რომლის ნახევარსფერულ მთელ არეზე, 'შიგა სივრცეში ქვის რელიეფური „ძლევის ჯგირი“ გამოიხატება.

ტაძრის არქიტექტურული მასები მკაფიოდ გამოხატავენ 'შიგა სივრცის სტრუქტურას წახნაგოვანი შეერილებით და ღრმა ნიშებით. თუ მცხეთის ჯვარში კლდის ქარაფზე გადაკიდებულ დასაველთ ფასადს ნიშები არ გააჩნია, სიონში მისი მაგალითის მსგავსად, დასაველთი ფასადი ნიშების გარეშე ააგეს. თუმცა, ტაძრის ამ მხრიდან ქსოს დიდი მონაკვეთი აკრავს და ამ ფასადის დათვალიერება ყოველმხრივ იყო შესაძლებელი. ამ ნიშნითაც ჩათვალა გ. ჩუბინაშვილმა ატენის სიონი მცხეთის ჯერის მონურ გაძეობებად, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში დასაველთი ფასადის ამგვარ გადაწყვეტას არაერთარი საფუძველი არ გააჩნდა.

ტაძრის ოთხივე ფასადსა და გუმბათის ყელზე მოთავსებული რელიეფური ქანდაკებები უმეტესწილად ქაოსურად ნაწილდებიან. მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადის 'შეერილზე შეინიშნება სუსტი გამოთხილი მცხეთის ჯერის ქანდაკებების ერთგვარი იხბაძვისადმი. თუმცა, აქაც ვერ ვხედავთ რელიეფურ ქანდაკებათა ისეთ მწყობრ განაწილებას, როგორც ეს შეინიშნება მცხეთის ჯვარში.

ტაძრის შესწავლამ ცხადყო, რომ ატენის სიონის ხუროთმოძღვარი არათუ მხოლოდ ცდილა მიებაბა და შეექმნა მცხეთის ჯერის ორეული, არამედ ცალკეული კორექტივებიც შექმონდა შიგა სივრცის ორგანიზაციაში და გარე მასების სტრუქტურაში. მან ერთგვარად შეცვალა მცხეთის ჯერის ტრომპების მწყობრი სტრუქტურა და, ხალეათი შიგა სივრცის ილუზიის შექმნის მიზანდასახული მცდელობის გამო, ცალკეული უხუსტობებიც კი დაუშვა. ასეთმა უხუსტობებმა საგრძნობლად შეამცირა ინტერიერში განათების წყაროს ისეთიგად შეღწევა, როგორც ეს მის მაგალითში - მცხეთის ჯვარშია განხორციელებული. იცვლება სარკმელთა 'სომები გუმბათის ყელში და აფსიდებში. ჯვართან შედარებით, იხლულება სინათლის წყარო, რაც ე. წ. 'გარდამაველი ხანის" არქიტექტურის საწყისი პერიოდისათვის არის დამახასიათებელი. ასეთ თავდასაზრისთან სრულ თანხვედრაშია სიონის უძველესი წარწერების ცნობები. ირკვევა, რომ ატენის სიონის მაშენებელია ვარაზ ქარაღის ერისმთავარი, მისი ძე - ნერსე, რომელიც ქარაღის მოქცევის ქრონიკაში „დიდ ერისმთავარად“ მოიხსენიება. ნერსეს ძე - სტეფანოს მამულაი - „ქარაველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალი“ - ქტიტორთა უმცროსი თაობის წარმომადგენელია. ნერსესა და სტეფანოსის ქტიტორული ქანდაკების ნააღვიდარსე, X საუკუნის მეორე ნახევარში ნერსე ერისმთავრის ქანდაკება გაუმეორებითა და ძველი ახლით 'შეუცვლიათ. ვარაზ ერისმთავრის ქანდაკებას ჩვენამდე აღარ მოუღწევია.

სიონის ტერიტორიის არქეოლოგიურმა შესწავლამ ტაძრის ქვეშ მოქცეულ თაველაპირეული ეკლესიის ნაშთები გამოავლინა. ამ უძველესი ეკლესიის ბაზილიკური არქიტექტურული ტიპისათვის დამახასიათებელი, სივრცით ღერძზე განვითარებული ნაგებობა, რომელსაც დღევანდელ სიონს სივრცეში სამი მეტრით აღემატება, თაველაპირეული „სიონის“ იდენტოფიკაციის საშუალებას იძლევა. სუბსტრუქცია, რომელსაც ცდეს გუმბათთან ტაძარი ღვას, თაველაპირეულად სიონის ბაზილიკისათვის ყოფილა აკებული. ამ ძველი ეკლესიისა და მისი ხელოვნური ბაქნის 'ხედა

ქრონოლოგიური ზღვარი განისაზღვრა სუბსტრუქციაში ჩაქრილი სამარხით – თიხის სარკოფაგით.

ცნობილია, რომ ქართლში მსგავსი თიხის სარკოფაგები მხოლოდ IV-V საუკუნეებში გამოიყენებოდა. ისინი VI საუკუნიდან საერთოდ გამოდიან ხმარებიდან. ამ უძველესი, თავდაპირველი ეკლესიის კუთვნილი სხვადასხვაგვარი არქიტექტურული ელემენტები, რაც გათხრების შედეგად გამოვლინდა, ტაძრის მშენებლობას V საუკუნის შუა წლებით განსაზღვრავს.

საყურადღებო ცნობის შემცველია VI საუკუნის ერთი სირიული ეპისტოლარული წყარო. მასში საქართველოში არსებული ტანას, ანუ ატენის მონასტერია დასახელებული. წყაროს ეს ცნობა იმ უძველეს ტაძარსა ან ანის იდენტიფიცირებული, რომელიც ჯერ კიდევ VI საუკუნეში მოიხსენიეს სირიელმა ბერებმა და უდავოდ არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე გამოვლენილ სიონის ძველ ბაზილიკას გულისხმობს. ივ. ჯავახიშვილის ის დაკვირება, რომ ატენის სიონი თავდაპირველად ღვთისმშობლის მიძინების სახელზე აგებული ბაზილიკა უნდა ყოფილიყო, არქეოლოგიური გათხრების შედეგებით დადასტურდა.

ატენის სიონმა გასული საუკუნიდანვე მიიქცია მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება. რამდენადაც მასთან დააკავშირეს ქართული და სომხური არქიტექტურის ურთიერთგავლენების პრობლემა. გასული საუკუნის ცნობილმა მკვლევარმა, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ ასეთი მოსაზრება გამოთქვა: კავკასიის არქიტექტურა ერთი საქრის მიმდინარეობაა, სადაც წამყვანი როლი სომეხ ხუროთმოძღვრებს უნდა მივაკუთვნოთ. ასეთი რწმენის საფუძველს აძლევს ატენის სიონის სომხურენოვანი სამშენებლო წარწერა. სადაც ეროვნებით სომეხი თოლოსაკი თავს სიონის მამულებად აცხადებს. აქედან, დიუბუას დასკვნით, კავკასიაში ახალ ხუროთმოძღვრულ თემებს სომეხები ქმნიდნენ და მათ მიუხებულ ქართველებსაც უშენებდნენ.

კიდევ უფრო შორს მიდის ენის უნივერსიტეტის პროფესორი ი. სტრუტოვსკი. მისი რწმენით, სომეხ ხუროთმოძღვრებს არა მხოლოდ ქართველები უნდა უმადლოდნენ, არამედ ევროპის შუა საუკუნეების არქიტექტორებიც. ამის მაგალითად მოაქვს ევროპული საკულტო თუ საერო ნაგებობების მსგავსება სომხეთის ისეთი მოწინავე ძეგლებთან, როგორებიცაა, სტრუტოვსკის ღრმა რწმენით, რიფსიმეს, გაიანეს, ქუთაისის ბაგრატის (sic), ანანურის (sic) და სხვა მრავალი, რომელთა შორის ბევრი ქართულია.

ამ ბოლო პერიოდის სომეხი მკვლევრები შეეცადნენ დამატებითი არგუმენტები მოეპოვებინათ დიუბუა-სტრუტოვსკის თეორიისათვის. 1937 წელს მცხეთის ჯვრის გეიანი ხანის კანკელის დაშლის დროს სამშენებლო მასალაში გამოვლინდა ქვის კვარცხლბეკი, რომლის წინა პირზე მცხეთის ჯვრის ქვატორები მოიხსენიებიან ქართულ ასომთავრული შრიფტით ამოკვეთილ წარწერაში. გვერდით წახნაგზე ამოკვეთილია სომხური პილიგრიმული მინაწერი, რომლის დასასრულს ამოკვეთილია დიდი 'სომის სომხური' (თ)-ს წითლად შეღებილი გრაფიმა. პ. მურადიანის რწმენით, ეს სომხური ასონიშანი მცხეთის ჯვრის ხუროთმოძღვრის სახელის ინიციალია, რომელსაც, კონფესიონალური თვალსაზრისით, უფლება არ მიეცა თავისი სახელის

მილიანად დაწერისა. პ. მურადიანი ასეთ კითხვას უსვამს თავის მკითხველს: ვინ უნდა ყოფილიყო ის სომეხი ხუროთმოძღვარი, რომელიც ქართლში მოღვაწეობს და მცხეთის ჯერის ტიპის ძეგლებს აშენებს და, რომლის სახელიც „ა“-ზე იწყება. ასეთად მიაჩნია თოდოსაკი, რომელსაც, პ. მურადიანის რწმენით, ჯერ მცხეთის ჯვარი აუგია, ხოლო შემდეგ ატენის სიონი. ეს თეოდოსაზრისი კიდევ უფრო განავრცებს თანამედროვე სომეხმა მეცნიერებმა.

თოდოსაკის მიერ ატენის 'სიონის მასშინებლის რეალურობა ეკვლის ქვეშ დადგა, როდესაც სპეციალურად იქნა შესწავლილი დაეთა გარეგნული ცხოვრების ამსახველი ციკლი. გაიკვია, რომ ეროვნულ წმინდანთა ინსტიტუტის ფორმირების საწყისი პერიოდი - IX საუკუნის მეორე ნახევარი - საქართველოს გაეროთიანებისათვის ბრძოლის გარკვეულ ფაზას ემთხვევა. ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო აპარატის ფორმირების პროცესში აუცილებელ პირობას შეადგენდა მისი იდეოლოგიური საყრდენის - ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიული საფუძვლების ჩვენება, რის შესაძლებლობასაც იძლეოდა ეროვნული წმინდანები. ამ წმინდანთა რიგში ექცევა დავით გარეჯელიც. ამ წმინდანის ცხოვრების ამსახველ, IX საუკუნის მეორე ნახევართა დათარიღებულ მოხატულობაში დავითის მხოლოდ ცხოვრებისეული თემები აისახა. 983 წლით დათარიღებულ მოხატულობაში კი დავით გარეჯელი მხოლოდ სასწაულმოქმედებით ასპექტშია წარმოდგენილი.

ატენის სიონის ერთ-ერთ რელიეფზე დავითის ცხოვრების სასწაულმოქმედება აუსახავთ (სურ. 116). ამ რელიეფს ახლავს ავტორის - თოდოსაკის სომხური შრომითი ამოკვეთილი ხელმოწერა. ამდენად, ეს რელიეფიც და მისი ავტორიც მხოლოდ X საუკუნის მიწურულთა უნდა დათარიღდეს.

თოდოსაკის სომხური სამშენებლო წარწერის შესწავლამ გავარკვია, რომ იგი მხოლოდ X საუკუნის მიწურულისათვის უნდა ამოკვეთათ ტაძრის კედელზე, რადგან ამ სომხურ გრაფიკებს ჩაუკვეთია და რამდენიმე ადგილზე გაუწყვეტია IX და X საუკუნეების ქართული პილიგრიმული მინაწერები. ტაძრის ფასადზე ამოკვეთილი გერგოუმ ერჰასანის ძის სომხური წარწერა კი გვაუწყებს, რომ ატენის სიონის ქანდაკებების ერთ-ერთ ავტორს - გერგოუმს ტაძარი მაშინ შეუმკია, როდესაც ბაგრატ III-მ თავის დედას - დედოფალ გურანდუხტს უყლისციხე წაართვა. როგორც ირკვევა, ეს ფაქტი 984-997 წლების ახლო ხანებში მომხდარა, რაც ატენის სიონის სარესტავრაციო სამუშაოების თარიღსაც გამოხატავდა. ამდენად, თოდოსაკი არათუ მცხეთის ჯერის, თვით ატენის სიონის არქიტექტორიც კი არ აღმოჩნდა. ეს ფაქტი მექანიკურად გამორიცხავდა დიუბუა დე მონპერეს და სტრუიგოესკის იმ თეორიას, თითქოს ქართველი ხუროთმოძღვრები მხოლოდ ეპიგონურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ სომეხ არქიტექტორთა მიმართ.

ატენის სიონის დეკორაციულ სისტემაში ძირითადად სამი სხვადასხვა პერიოდის რელიეფური ქანდაკებები და ჩუქურთმისა ჩართული. მათ შორის უძველესია წყალსატევეზე დაწვებული ირმები (სურ. 112), სენზურეთის სიმბოლური გამოსახულება და ანთროპო-მორფული კაპიტელები, რომლებიც თავდაპირველი ბახილიკის ქანდაკებების მეთრედ გამოყენების მაგალითია. ეს რელიეფური ქანდაკებები

სტილისტურ-იკონოგრაფიული თვალსაზრისით და სიუჟეტურ თემათა რეგლამენტაციით V საუკუნის შუა წლებს განეკუთვნებიან. VII საუკუნისაა ორფოგურიანს ქტიტორული ქანდაკება ჩრდილოეთი ფასადის შეერილზე და ნადირობის სცენა დასავლეთ ფასადზე. სხვა დანარჩენი რელიეფები, რომელთა შორის ჭარბობს ქტიტორული ქანდაკებები, X საუკუნეში აქ ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების პერიოდისაა არიან. ეკლესიის მოდელით სწორედ ამ შეკეთების დროის ფეოდალი – რატი I ბაღუაშვილი გამოსახული მის მემკვიდრესთან ლიპარიტთან ერთად. რესტავრაციის დროის მოქანდაკებს განუახლებიათ VII საუკუნის ქტიტორული ქანდაკებებიც, სადაც თავდაპირველად სურსე და სტეფანოზ ერისმთავრები გამოუსახაეთ. ხელოსანთა შორის ეხედებით X საუკუნის მეორე ნახევრის პიროვნებების ქანდაკებებს: თაღოსაკს, გრიგორ ლაპსს და გერგოუმ ერჰასანის ძეს.

მარტვილის ტაძარი რაიონის ცენტრში მდებარეობს. იგი ჯერის ტიპთან ძალზე ახლო მდგომი ძეგლია, მაგრამ მისი ხუროთმოძღვარი გარკვეულწილად თემის თავისუფალ ინტერპრეტაციას გვაძლევს. მცხეთის ჯვართან შედარებით, მარტვილის მცირე ზომის ეკლესიაში მისმა ხუროთმოძღვარმა გვემის ცალკეული ნაწილების ურთიერთშეყარების საშუალებით შექმნა საკმაოდ მოცულობითი, სასიემო შიგა სივრცე. ტრომპები საფეხურიანია და ამით განსხვავდება როგორც მცხეთის ჯერის, ისე ჯერის ტიპის სხვა ძეგლებისაგან. მარტვილის ტაძრის გუმბათის დიამეტრი მცირეა, სამი მოსახელიანი ნიშები, რომლებიც ინტერიერში დიაგონალიურ ღერძებზე არიან განლაგებული, უფრო დიდი ზომისაა და მოცულობითია (სურ. 117).

გარკვეული ცვლილებები ჩანს ფასადების დამუშავებაშიც. შევრილები ხუთწახნაგოვანია და მათ ორსავე მხარეს განაწილებული ნიშები უფრო ღრმაა. მცხეთის ჯერის დეკორაციული სისტემისაგან განსხვავებით, მარტვილის რელიეფური ქანდაკებები ფრისის სახით ნაწილდებიან ტაძრის აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადების შევრილების ხედა მონაკვეთებში (სურ. 118). მარტვილის ტაძრის გარე მასები სახეშეცვლილია გვიანი ხანის მინაშენებით და ამით გრძივ საფასადო სიბრტყესე ნიველირებულია შიგა სივრცის ორგანიზაცია, რაც მცხეთის ჯერის საერთო არქიტექტურულ სტრუქტურას ითვალისწინებს. აქ აღარა გვაქვს შიგა სივრცის ორგანიზაციის გამომხატველი ის ცალკეული რეპლიკები, რაც ასე დამახასიათებელია მცხეთის ჯერის და მისი ტიპის ძეგლებისათვის.

ტაძარს აღარ შემორჩენია თავდაპირველი გუმბათი და იგი მალაფყელიანი გუმბათით არის შეცვლილი. X საუკუნეში ეკლესიისათვის დასავლეთის მხრიდან კარიბჭე ჩაუშენებიათ. აფხაზთა მეფის – გიორგის 'სეობაში, X საუკუნეში, მარტვილის ტაძარი საფუძვლიანად გადაუკეთებიათ. გრძივ კედლებზე თავის დროსე გამოხატული შევრილები და ღრმა ნიშები კედლებით ამოუესიათ და სწორ სიბრტყეებში მოუქცევიათ. დასავლეთით მიუშენებიათ ექვტერი. სტილისტური თვალსაზრისით, ტაძრის აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადების შევრილებზე განაწილებული რელიეფური ქანდაკებები X საუკუნის ნაწარმოებებია. ამასე მოგვანიშნებს ქანდაკებათა კვეთის მანერა, რომელშიც მკაფიოდ გამოიხატა მოცულობითი ფორმების გადმოცემის ტენდენციები, აგრეთვე, სიუჟეტურ თემათა რეგლამენტაციის ის ფორმა, რომელიც

VII საუკუნის ეკლესიასა საფასადო დეკორში არ გვხვდება და მხოლოდ X საუკუნისათვის არის დამახასიათებელი.

ამგვარად, მცხეთის ჯერის ტიპის არქიტექტურული ძეგლების გავრცელების არეალი მოიცავს ქართლის, კახეთის, სამეგრელოს რეგიონებს. ეს ტიპი აფხაზეთის ხუროთმოძღვრებაში გარკვეული ცვლილებებით გამოიხატა დრანდის ტაძარში.

წრომის ტაძარი ადრეული შუა საუკუნეების ქართული საკულტო არქიტექტურის კლასიკური სტილის მეორე ეტაპის ბრწყინვალე ნაწარმოებია. ძეგლი მდებარეობს ხაშურის რაიონში, რკინიგზის სადგურ გომიდან 3 კმ. მანძილზე. ქართულ ნარატიულ წყაროებში წრომი მოიხსენიება ეახტანგ გორგასლის თანამედროვის – წმ. რაუდენ პირველმოწამის ჯვარცმასთან დაკავშირებით, რაც 457 წელს წრომში განხორციელებულა. V საუკუნის მიწურულს ეახტანგ გორგასალს წმ. რაუდენის ნეშტი წრომიდან გადაუსვენებია მის მიერ აშენებულ ნიქოხის მონასტერში.

ტაძრის აგების დრო, არქიტექტურული ანალიზის შედეგებთან ერთად, დახუსტებულია სამხრეთ ფასადზე ამოკვეთილი წარწერით, რომელშიც, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ II მოიხსენიება და ამ ნიშნითაც წრომის ტაძრის თარიღი VII საუკუნის 20-იანი წლებით არის განსაზღვრული.

ფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურის ისტორიაში წრომის ტაძრის მნიშვნელობა იმ ნიშნითაც განიხილება, რომ მისმა ხუროთმოძღვარმა პირველმა განხორციელა და საკმაოდ წარმატებით გადაჭრა შიგა სივრცის გაზრდის პრობლემა. თუ ჯერის ტიპის ფუძემდებლური ძეგლის გუმბათის ყელი გარე კედლების შეერილობისა დაყრდნობილი, წრომის ხუროთმოძღვარმა ამ მხრივ სრულიად ახალი სიტყვა თქვა, როდესაც გუმბათის ყელი ცალკე მდგომ ბურჯებზე დაამყარა. ამ ხერხით მნიშვნელოვნად გაზარდა შიგა სივრცე (სურ. 119-124).

წრომის ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი საკულტო ნაგებობაა, რომლის მორგანიხებელ ბირთვს შეადგენს გუმბათქვეშა კვადრატი. გეგმით ტაძარი ე. წ. „ჩახახულ ჯვარს“ წარმოადგენს, რაც გუმბათქვეშა კვადრატს ოთხივე მხრიდან ეკვრის ჯერის მკლავების სახით. აქედან, მხოლოდ აღმოსავლეთით მდებარე საკურთხეველის აფსიდია ნახევარწრიულად შემოსაზღვრული. დანარჩენი სამი მკლავი სწორკუთხაა. ტაძრის კუთხეებში დამოუკიდებელი სათავეები ნაწილდება, რომლებიც ნაგებობის საერთო სწორკუთხა აბრისიდან გარეთ გამოდიან და აღმოსავლეთი და დასავლეთი მონაკვეთებში შეერიალების სახით გამოიხატებიან. ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს ორი ეკვლერი ნაწილდება დამოუკიდებელი სათავეების სახით. დასავლეთით ნარათქსია მოთავსებული, მის ხეშით, მეორე სართულის სახით გამართული ღია პატრონიკნისა.

გუმბათის რეაწახნაგოვანი ყელი, რომლის მხოლოდ ნაშთებია დარჩენილა, ცენტრალური კვადრატის პირველი რივის ღიდი ტრომპებით დანაწევრებულ რეაწახნაგზე ყოფილა აღმართული. რეალურია ის ვარაუდი, რომ ტრომპების კიდევ ორი რიგით რეაწახნაგი ჯერ თექვსმეტ წახნაგად, ხოლო შემდეგ ოცდაათრამეტ წახნაგად გადაიქცეოდა.

ის კონსტრუქციული სიახლე, რაც წრომის ხუროთმოძღვარმა პირველმა

განახორციელა ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯზე გუმბათის გამართვით, საშუალებას იძლეოდა ინტერიერის ხალვათი სიერცის შესაქმნელად. ასეთი კონსტრუქციული გადაწყვეტით მიღწეული სიახლე იყო ის შთამბეჭდავი შედეგი, რაც ტაძრის გრანდიოზული შიგა სიერცით გამოიხატა. ასეთი სიახლე იმთავითვე იქცეოდა მნახველთა ყურადღებას და სპირიტუალური განცდით განაწყობდა მლოცველს.

ამ ეპიქტს კიდევ უფრო აძლიერებს წრომის ტაძრის სამშენებლო მასალის ზედმიწევნით სუფთა თლა, ბრწყინვალედ გამოყენილი თაღები, სხვადასხვა არქიტექტურული მასების მწკობრი პროპორციები, ერთგვარად მსუბუქი, თავისუფალი სიხალვათის შეგრძნებით ზეატყორცნილი არქიტექტურული მასები. საკუთარხვედის აფსიდის პასუხობს და აწონასწორებს ღია პატრონიკები.

ტაძარი უხვად ნათდება განიერი სარკმლებით და მრგვალი ღობებით. შიგა სიერცის მხატვრულ გადაწყვეტაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საკურთხეველის აფსიდის კონქის მოსაიკა და კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. VII საუკუნის ეს მოხაიკა „კანონთა ბოძების“ თემას გამოხატავს, ხოლო კედლის მხატვრობას „ჰეტიმასის“ სიმბოლიკა განუხახიერება.

წრომის ტაძრის გარე მასები კარგად პასუხობს შიგა სიერცის ორგანიზაციას. აღმოსავლეთ ფასადზე ეს გამოიხატა საკურთხეველის აფსიდის ორივე მხარეს სამკვეთლოთა და საღიაკონეს შორის ღრმა სამკუთხა ნიშების ჩაკეეით. ამით კედელი განიტიერთა ზედმეტ მასსაგან. ამავე დროს, მკაფიოდ გამოიყო ტაძრის საკრალური ნაწილი - საკურთხეველი და ასეთი მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტით საფუძველი დაედო აღმოსავლეთი ფასადის მხატვრულ გაფორმებას. ასეთი ღრმა, გეგმაში სამკუთხა ღანრდილული ნიშებით აქცენტირებულია საფასადო სიბრტყე, რომლის შუა ნაწილში საკურთხეველის ერთადერთი განიერი სარკმელია გაჭრილი. ნიშები და სარკმლის ზედა მონაკეეები ერთ სიმაღლეზე განაწილებული თაღებით ფორმდებიან და მკაფიოდ გამოისახებიან საფასადო სიბრტყეზე. სამკუთხა ნიშებში ჩამჯდარია შეწყვილებული სვეტები, რომელია პოსტამენტებზე, როგორც ფიქრობენ, თავის დროზე მრგვალი ქანდაკებები უნდა მდგარიყო.

წრომის დეკორაციული სისტემა თავშეკაეებულია და, ფაქტობრივად, გრაფიკულ-ხაზოვანი სტილით შესრულებული დაბალი რელიეფით გამოიხატება. აქ ეხვდებით: გომეტრიულ წნულებს, სამკუთხედებით ჩაკეეითი მოტივით შემოვლილ წრეებს, სარკმელითა თავსართების დეკორად გამოყენებულ კონცენტრირებულ წრეებს. ფაქსად ნაკეეით მკენარული დეკორით ირთეება კარის ღობების წირთხლები და ზედანები. „აყვაეებული“ თუ „ძღვეის“ ჯერებით იმეობა კარის ტიშანები. ეს თემები გეხვდება ფრონტონის ქვეით არსებულ არეზე, ნართიქსის კრონშტეინებსა და კონსოლებზე. შიგა სიერცის მოსართავ ელემენტებად გამოდის აგრეთვე პასტოფორიუმების და ნართიქსის ჯერული და სხივანა გადახურეები.

ამგვარად, წრომის ტაძრის ხუროთმოძღვარმა ქართული ხელოვნების ისტორიაში პირველმა განახორციელა თავისუფლად მდგომ სვეტებზე დამყარებული გუმბათქვეშა კვადრატის კონსტრუქცია, რაც მნიშვნელოვანი სიახლე იყო ქართული ხელოვნების განვითარების მოცემული მონაკეეისათვის. აქ პირველად შეიქმნა აღმოსავლეთი

ფასადის დეკორაციული სისტემის ის ტიპი, რაც მომდევნო ხანის ქართული ხურო-
თმოდგერების საფუძველი გახდა.

იშხნის კათედრალური ტაძარი მდებარეობს საქართველოს უძველეს
ისტორიულ პროვინციაში – ტაში, მდ. ჭოროხის მარჯვენა შენაკადის, ოლთისის
წყლის მარჯვენა ნაპირზე, მაღალი მთის პლატოზე. თავდაპირველი ტაძარი VII
საუკუნის 30-იან წლებში აუგიათ იშხნელი ეპისკოპოსის ნერსეს დროს. იშხნის ტაძრის
მშენებელმა პირველმა შექმნა გუმბათიანი საკულტო ხუროთმოძღვრების სრულიად
ახალი ტიპი, რომელშიც გამოიხატა ადრეული შუა საუკუნეების ქართული გუმბათიანი
არქიტექტურის ყველა ძირითადი მიღწევა – ტეტრაკონქიდან მოყოლებული მცხეთის
ჯვრისა და წრომის ჩასვლით.

იშხნელის ხუროთმოძღვარმა, წინამორბედი გუმბათიანი თემებისა და ტიპების
გათვალისწინებით, სრულიად ორიგინალურად, შემოქმედებითად გაიხარა ტაძრის
შიგა სივრცის სამსართულიანი აღნაგობა, რაც ახალი სიტყვა იყო ფეოდალური
ხანის ქართულ ხუროთმოძღვრებაში (სურ. 125, 126). წიოული გარშემოსაველიანი
დიდი ზომის ტეტრაკონქის ბაზაზე განხორციელებული ეს არქიტექტურული ტიპი
პირველად საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებაში ჩნდება,
რამაც საფუძველი დაუდო ამ ორიგინალური ტიპის გაერცყლებას როგორც
საქართველოში, ისე სომხეთში.

საყურადღებოა, რომ იშხნის ეპისკოპოსი ნერსე, რომელიც საქართველოში ამ
ტიპის ტაძრის აგებს, შემდეგ სომხეთის კათალიკოსი გახდა და იქ ნერსესად
იწოდებოდა. ქალკედონური მრწამსის ქადაგებისათვის სომხეთიდან გააძევეს. ამ
ნერსესმა სომხეთში, ისტორიულ ველარშაპატში, გაიმეორა იშხნის ტაძრის
არქიტექტურული ტიპი, რომელიც ხუარსნოცის სახელით არის ცნობილი.

იშხნის ტაძრისა, გადაკეთებებს შედეგად, ჩვენამდე X-XI საუკუნეების ძეგლად
მოაღწია.

ბანა კაოს ისტორიულ პროვინციაში, სოფ. ფანაქის (ფენიაკის) მახლობლად
მდებარეობს, მდ. ოლთისის შენაკადის ფენიაკის წყლის მარჯვენა ნაპირზე. დიდი
ზომის ტეტრაკონქის ტიპის გუმბათიანი კათედრალური ტაძარი მოქცეულია მრგვალ
გარშემოსაველელ გალერეაში, რომლის როგორც შიგა მხარე, ისე ფასადები
პილასტრებზე დამყარებული რიტმულად განწყობილი უწყვეტი თალებით იმკობა.
ამ თალებს, დეკორაციული ფუნქციის გარდა, კონსტრუქციული დანიშნულებაც
ქონდა (სურ. 127).

შიგა სივრცის ორგანიზაციაში ყურადღებას იქცევს ტეტრაკონქის ოთხივე მკლავის
წინ გამართული თანაბარი ზომის ღრმა ბემები, რომელთა ოთხივე მხარეს,
აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი აფსიდის ოთხი სათავესია განაწილებული.
ცენტრალურ-გუმბათიანი ტაძრის აფსიდებს შორის მოქცეულია გუმბათქვეშა
ბურჯები, რომლებზედაც, პასტოფორიუმების ზედა მონაკვეთებში, სამსართულიანი
პატრონიკებია გამართული. ტაძრის ოთხივე აფსიდის ქვედა ნაწილი კაპიტლებით
დამთავრებული, მრგვალ სვეტებზე დამყარებული თალებით არის გახსნილი, რამაც
განაპირობა ტაძრის წიოულ გარშემოსაველში მოქცევა.

ბანას ტაძრის შიგა სივრცის დომინანტს შეადგენს გუმბათქვეშა კვადრატის, რომელშიც ტრომპების საშუალებით, წრესთან მიახლოებულ პერიმეტრზე, გუმბათია აღმართული. სინათლის ძირითად წყაროს გუმბათი შეადგენს, რომლის ყელში გაჭრილი ღიობებით. აგრეთვე აფსიდების ზედა ნაწილებში დატანებული სარკმლებით ტაძრის შიგა სივრცე კარგად უნდა განათებულიყო. აფსიდების ქვედა მონაკვეთები ნაკლებად იყო განათებული. პატრონიკეები, როგორც ჩანს, ტაძრის ინტერიერში შემოღწეული შუქით ნათდებოდა. გარშემოსაველელის სინათლის წყაროს მხოლოდ მისი კარის სამი ღიობი შეადგენდა.

ბანას საეპისკოპოსო ტაძრის თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვაობაა. ამის საფუძველს შეადგენს ქართული ნარატიული წყაროს ცნობა. XI საუკუნის იმპატრიანის - სუმბატ დავითის ძის მიხედვით, „...ამან ადარნასე მეფობასა შინა მისსა აღაშენა ბანა. ჳელითა კურიკე ბანელისათა, რომელ იგი იქნა პირველ ეპისკოპოს ბანელ“. ეს კი ამ ტაძრის X საუკუნეში აშენებას ნიშნავდა. ამ თვალსაზრისს იზიარებდნენ ე. თაყაიშვილი, შ. ამირანაშვილი.

გ. ჩუბინაშვილის მოსახრებით, რასაც მკვლევართა დიდი ნაწილი იზიარებს, ტაძრის შიგა სივრცის ორგანიზაცია და მისი დეკორაციული სისტემა სტილისტურ სიახლოვეს ამჟღავნებს იშხნის და ზუარინოცის ტაძრებთან და, ამდენად, მან ბანა VII საუკუნის ხუროთმოძღვრულ ძეგლთა წრეში მოაქცია. სუმბატ დავითის ძის ცნობა კი, მკვლევრის აზრით, ამ ტაძრის მხოლოდ რესტავრაციაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

სამწვერისი მდებარეობს შიდა ქართლში, ქარელის რაიონში, მდ. მტკერის მარჯვენა ნაპირზე, მცირე სიმაღლის ქედის თხემზე. VII საუკუნის 30-იან წლების ცენტრალურ-გუმბათიანი ეს მცირე ზომის ეკლესია დაეკებაზე ამოხიდულ გორაზე მოხერხებულად არის აღმართული ისე, რომ შორი მანძილიდანვე იქცევეს მნახველის ყურადღებას თავისი მწყობრი, იმპოზანტური სილუეტით.

სამწვერისის ეკლესია გეგმით „თავისუფალი ჯერის“ ტიპის საკულტო ნაგებობაა. მისი სამი მკლავი სწორკუთხაა, ხოლო საკურთხეველი აფსიდით მთავრდება. ეკლესია საფეხურებიან იმპოსტზეა აგებული, რაც მეტ ელემენტურობას სძენს პატარა ზომის ნაგებობას (სურ. 128-130).

შიგა სივრცეში. ცენტრალურ კვადრატზე აღმართულია რვაწახნაგა გუმბათის ყელი, რომელშიც სარკმელთა ღიობებია გაჭრილი. კვადრატიდან რვაკუთხედზე გადასვლა კონუსური ფორმის მაღლა ახილული ტრომპებით არის განხორციელებული. ტრომპების მეორე რიგი წრესთან მიახლოებულ პერიმეტრს მოხაზავს, რომელზეც გუმბათის ნახევარსფერული თაღური გადახურვაა დამყარებული. შიგა სივრცე კარგად ნათდება გუმბათის ყელსა და ეკლესიის კედლებში გაჭრილი სარკმლების საკმაოდ ფართო ღიობებით. სამწვერისის ერთადერთი შესასვლელი აქვს სამხრეთიდან.

შიგა სივრცის სტრუქტურა მკაფიოდ გამოიხატება გარე მასებში. ეკლესიის დეკორი მკაცრი და თავშეკავებულია. მოსარჩავე ელემენტებად გამოდიან სარკმელთა თავსართების რქისებურად განტოტვილი და თაღების მწკრივით შედგენილი კარნიზები, მაგრამ ეკლესიაში მთავარია მისი კარგად მოძებნილი პროპორციები,

გულმოღვივებულ, მაღალპროფესიულ სამემსრულებლო დონეზე დამუშავებული ქვათ-
ლილები, თაღები და სხვა არქიტექტურული დეტალები, რომლებიც ეკლესიის
დეკორის ძალიან აღიქმებიან და, პირველ რიგში, სწორედ ამით იქცევენ მნახველის
ყურადღებებს.

სამწვერისს დამთავრებული წარწერა არ გააჩნია. გვიან ხანის X საუკუნის
ქართულ ასომთავრულ წარწერაში მოიხსენიება აფხაზთა მეფე კონსტანტინე, რომლის
სივრცეშიც სამწვერისში რუ გამოუღიასთ. XV საუკუნის რესტავრაციის მათწვერულ
წარწერაში. რომელიც სამხრეთ ფასადზე ამოკვეთილი, მერაბ ფანასკერტელი
მოიხსენიება.

ამგვარად, ქართული არქიტექტურის აღმავლობის ხანაში, რაც VI საუკუნის
მიწურულსა და VII საუკუნის პირველ ნახევარზე მოდის, ეს პროცესი მცირე ზომის
ეკლესიებშიც გამოიხატა. სამწვერისის ცენტრალურ-გუმბათიანი ეკლესია ამის ნათელი
დადასტურებაა.

ღარბაზული ეკლესიები

ამ ტიპის ეკლესიები ქრისტიანობის ადრეულ საფეხურზე შეიქმნა. ცალნაიანი
ეკლესიების მარტივი ფორმები მათი სწრაფი აშენების საშუალებას იძლეოდა. ამ
ტიპმა ყველაზე დიდხანს გაძლო და ცალნაიანმა ღარბაზული ტიპის ეკლესიებმა
XVIII საუკუნემდე იარსება.

ნოქალაქევის მისარონის მცირე ზომის ღარბაზული ეკლესია მდებარეობს
ეგრისის უძველესი დედაქალაქის – ნოქალაქევის აკროპოლისის ცენტრალურ
ნაწილში. ეკლესია ყურადღებას იქცევს კონქის სუფთად დამუშავებული კვადრების
ერთმანეთსე მჭიდროდ მორგებული წყობით, რომლის მსგავსი ტექნიკური ხერხები
და საშუალებანი მხოლოდ ადრეული შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურულ
ძეგლებში დასტურდება. ეკლესიის ინტერიერისა და ფასადების ქვები კონქის
ქვათლილების ფაქსი დამუშავებისაგან განსხვავდება. კონქში, კონცენტრიკულად
დალაგებული ქვის რიგების ცენტრში, თაღის საკეტი ქვათლილია მოთავსებული,
რომელიც კეტავს და ამთავრებს კონქის პიორიონტალზე კარგად ნიველირებულ
წყობას (სურ. 131, 132).

ცალნაიანი ღარბაზული ტიპის ეკლესიის საკურთხეველის აფსიდი საკმაოდ
განიერია. კონქის სატრიუმფო თაღის ზეით აღმართულია საკმაოდ მაღალი
არქიტექტურული 'შუბლი, რასაც მხოლოდ ადრეული შუა საუკუნეების ისეთ ქართულ
ძეგლებში ეხედებით, როგორებიცაა: კაწარეთის სამება, თბილისის ანჩისხატი, შილდა,
ახმეტის ღვთაება, ჭერეში და სხვა. შიგა სივრცის ერთიანობის, მთლიანობის აღქმის
შეგრძნება ხაზგასმულია ეკლესიის კედლის სობრტყეების დაუნაწვერებლობით.
ეკლესიას ორი კარი აქვს არქიტრავული გადახურეთა, სადაც, დასავლეთის კარზე
სიმძიმის განმტკიონიველი თაღია გამართული. ეკლესიის ერთადერთ დეკორს 'შეადგენს
დასავლეთი კარის არქიტრავზე ამოკვეთილი „ქრისზა“.

მისარონის ცალნაეიანი დარბაზული ტიპის ეკლესია თავისი არქიტექტურული სტრუქტურით, ქვის წყობით, დაუნაწევრებელი კედლებით, მის დეკორში უძველესი სიმბოლური გამოსახულების - ქრისტის წარსვით V საუკუნის მიწურულის ან VI საუკუნის დამდეგის ძეგლად არის მიჩნეული.

ოლთისის დარბაზული ტიპის ეკლესია მდებარეობს სოფ. კუშის, ანუ ისტორიული ოლთისის განაპირას, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. ხევი-ღრმას და ოლთისის წყლის შესართავთან. პატარა 'სომის დარბაზული ეკლესია გეგმაში ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა. წაგრძელებული ფორმის შუა ნაწი ადმოსავლეთით ნაღისებური მოხაზულობის აფსიდით მთავრდება. სამხრეთით ეკლესიას მიდგმული აქვს აფსიდით დაბოლოებული სტოა, რომლის ერთადერთ კოლონასე ნაღისებური ფორმის ორი საღივანი ღიობია გადაყენილი. ეს წარმოადგენს ეკლესიის მთავარ შესასვლელს. დარბაზში ამ სტოას გაელით, სამხრეთ კედელში გაჭრილი კარით შეედრება.

ოლთისის ეკლესიის განათების წყაროს შეადგენს სამი სარკმელი, რომელთაგან ერთი საკურთხევის აფსიდშია გაჭრილი. სტოა ფართო შესასვლელით ნასდება და მისი სინათლე ნაწილობრივ დარბაზშიც აღწევს.

ადმოსავლეთი ფასადზე საკურთხევის აფსიდის სარკმელი განიემკლავებიანი ნახევარწრიული ფორმის თავსართით ფორმდება. ამ სარკმლის 'ხეობა მოთავსებულია წრეში ჩაწერილი თანაბარმკლავებიანი „ძლევის ჯვარი“. სტოას კოლონის კაპიტელის დეკორად გამოყენებულია: ვარდულები, ნახევარკალებით შედგენილი მოტივი, წრე-რომბების ცერად ნაკვეთი ორნამენტი. კარნიზი შედგენილია პატარა სომის თავების მწკრივით. ქუსლებთან კოპებითა და ცერად ნაკვეთი სამკუთხედებით.

ოლთისის ეკლესიის საერთო არქიტექტურული ფორმების, მისი კომპოზიციური გადაწყვეტის, აგრეთვე, დეკორაციული სისტემის გათვალისწინებით, ძეგლი VI-VII საუკუნეშია მიჯნით არის დათარიღებული.

აკვანება ბოლნის-ღმანისის სამანქანო გზის პირას მდებარეობს, მეხუთე კილომეტრის ნიშნულთან, გორის თხემზე. ეკლესია გეგმით დარბაზული ნაგებობაა, ადმოსავლეთით დამთავრებული აფსიდითა და სამხრეთით განარსული ორნაწილიანი ეკედრით. დასავლეთი ნაწილი ეკედრისა უფრო გრძელია და ცილინდრული კამარით ყოფილა გადახურული. ადმოსავლეთით განაწილებულია აფსიდით დამთავრებული ეკედრატული სათავსი, რომელსაც კარს სამხრეთით აქვს.

აკვანება ნაგებია კარგად გათლილი კვადრებით, რაშიც ჩანს მალაქვალაფიციური ოსტატის ხელი. ეკლესიის სიძველესე მეტყველებს ისეთი სამშენებლო ტექნიკური ხერხების გამოყენება, როგორებიცაა: ქვათლილების ჰორიზონტალური კიდების ცერად ნაკვეთა, რაც ადრეული შუა საუკუნეების საკულტო ხუროთმოძღვრებაში დასტურდება. სარკმლის ნახევარწრიული თავსართები განიემკლავებიანი შეერილებით, მისი დეკორის ხასიათი, კარის წირთხელში ჩატანებული აყვავებული ჯვრის, ყურძნის მტკნებიანი ეპისის და ფრინველთა სტილი, იმპოსტების ფორმები წრე-რომბების მოტივით შემკული 'ხედაპირით მკვლევრებს საფუძველს აძლევს აკვანების ეკლესიის თარიღი VI საუკუნით განსაზღვრონ.

ადრეული შუა საუკუნეების ქალაქების არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენა და შესწავლა არცთუ დიდი ინტენსიურობით მიმდინარეობს. შესაბამისად, ამ პრობლემის კვლევაში თანამედროვე ქართულ სახელოვნებაშიცოდნეო და არქიტექტურის ისტორიოგრაფიაში გარკვეული ხარეხები შეინიშნება. ქალაქთმშენებლობის ინტენსიური განვითარება განსაკუთრებით შეინიშნება ფეოდალიზმის განვითარების ადრეულ ეტაპზე, როდესაც მნიშვნელოვან აღმავლობას აღწევს ვაჭრობა და ხელოსნობა. ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ქალაქები: მცხეთა, უჯარმა, თბილისი, რუსთავი, სამშვილდე, ბოლნისი, ჭყერეთი. დასავლეთ საქართველოში: ქუთაისი, ნოქალაქევი, შორაპანი, ვარდციხე, სკანდა და სხვანი. ამ ქალაქების წარმოშობა განაპირობა გეოგრაფიულად ხელსაყრელმა გზებმა და მდებარეობამ. ისინი დიდი სავაჭრო გზების ტრასაზე ან სტრატეგიულად მარჯვე გაბატონებულ მაკროცენტრებზე იყვნენ მოსაესებულები, რომლებსაც ჰქონდათ თავდაცვითი ხელოვნებები და შიდაციხე. ქალაქის მოსახლეობის ნაწილი გალანის შიგნით ცხოვრობდა, მაგრამ მოსახლეობის ზრდის გამო ნაწილი ქალაქის კედლებს გარეთაც სახლდებოდა.

თბილისი. ამჟერად მხოლოდ თბილისის გამაგრების საკითხს ვეხებით. ამ მხრივ, მისი ისტორია იწყება IV საუკუნიდან. როდესაც აქ ირანელებმა მშინდელი ქვეყნისა და მისი დედაქალაქის მაკონტროლებელი სიმაგრე შექმნეს. სიმაგრისათვის მეტად ხელსაყრელი ადგილი მეტეხის ტაძრის მიდამოებში მდინარის ვიწრო კალაპოტი შეურჩევიათ. როგორც ირკვევა, ეს ადგილი გახდა V საუკუნის ბოლოს მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანის საფუძველი. ამის შემდეგ 1500 წლის განმავლობაში ქვეყანას ცენტრი არ შეუცვლია. თბილისს დიდი ქარტეხილები დაატყდა თავს. ეინ იცის, იგი რამდენჯერ დაუნგრევიათ და აღმდგარა. ბოლო, უმაგალითო უბედურება იყო 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა, თბილისის განადგურება. ხანძარს გადაურჩა მხოლოდ რამდენიმე ეკლესია და ქალაქის გამაგრების სისტემის ფრაგმენტები. ამ სიმაგრეს შემდეგაც ბევრი რამ დააკლდა. არსებული ფრაგმენტებით ქალაქის დაცვის სისტემის წარმოდგენა შეუძლებელია. აქვე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ყოველ ეპოქას თავისი შესწორება შეჰქონდა არსებული ნაგებობის მილიანობაში.

არსებული ფრაგმენტებით არც ერთი ეპოქის ციხის საერთო სურათის წარმოდგენა არ შეიძლება, ძნელია სხვადასხვა დროის ფრაგმენტების ერთმანეთთან დაკავშირება. ამ ხარეხების ნაწილობრივი შეესება შეუძლია წერილობით წყაროებს, სხვადასხვა ქვეყნის მოგზაურთა ჩანაწერებს და ჩანახატებს. ამ მხრივ, ყველაზე მეტად გვეხმარება XVIII და XIX საუკუნეების გრაფიკული მასალა, ქალაქის გეგმები. პირველი ასეთი გეგმა ვახუშტი ბაგრატიონისაა, რომელიც შედგენილია XVIII საუკუნის პირველ ნახეარში. ამას გარდა, არსებობს იმავე საუკუნის 80-იან წლებში და მომდევნო

საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის მოხელეების მიერ ჩატარებული ინსტრუმენტული ანახიშები. მცირეოდენი სხვაობებით ქალაქის გეგმარების ძირითადი სურათი ყველგან ერთია.

ამ გეგმებისა და ვახუშტის მიხედვით, ქალაქი შედგება სამი მონაკვეთისაგან. ესენია: კალა. სეიდაბადი და ისანი (სურ. 324-327).

კალა იყო ქალაქის მთავარი ნაწილი. მას მოკავებული ჰქონდა მტკერის მარჯვენა მხარე. იგი მთლიანად შემოხლული იყო კოშკებისა და გალავნით. მისი სამხრეთის ხაზი იწყებოდა ნარიყალადან და მიუყვებოდა სოლოლაკის ქედს. გალავანი თავდებოდა კომქსან (რომელსაც გვიან სახელი „შაის-ტახტი“ შემორჩა). აქედან იგი მკვეთრად უხვევდა და გადიოდა ახლანდელი პუშკინის ქუჩაზე და ისევ მკვეთრი მოხვევით ე. წ. დიღმის კარსან, რომელიც მდებარეობდა პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩების გადაკვეთასთან. მიემართებოდა მტკერამდე. ამის შემდეგ, მდინარის გაყოფებით ხაზი მიდიოდა გორგასლის მიედნამდე, აქ კი წავეკისის ხეცზე ჩამოყოფილ გალავანს უერთდებოდა. ამ გალავნის პერიმეტრში ჩარსული იყო ექვსი ჭიშკარი.

კალას ტერიტორიაზე განლაგებული იყო მეფეთა და მეფისწულთა სასახლეები, საკათედრო ტაძარი, დიდი და პატარა მოედნები, ეკლესიები, ქარვასლები, საეაჭრო დაწესებულებები, საცხოვრებელი სახლები და მრავალი სხვა. მათგან აღსანიშნავია მეფის მოედანი, რომელსაც ახლა ერეკლეს მოედანს უწოდებენ. აქ თავს იყრიდა მთავარი ქუჩები. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ იყო განიერი ქუჩებიც, მაგრამ უმრავლესობა ვიწრო იყო. ასეთი ქუჩები აკმაყოფილებდა მაშინდელ ტრანსპორტს. ქალაქში იყო წყაროები, მაგრამ მთავარი კერამიკული წყალსადენები იყო. ყველაფერი ეს შუა საუკუნეების ფეოდალური ქვეყნისათვის იყო დამახასიათებელი.

ქალაქის მეორე ნაწილი – სეიდაბადი (ძირითადად შემდეგი დროის ორთაქალა) მდებარეობდა კალას გაგრძელებასზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით. ესაა ახლანდელი აბანოების უბანი და ბაღნეოლოგოური კურორტი. უკეთა რომ ვთქვათ, იგი მდებარეობდა თაბორის მთასა და მტკვარს შორის. ამ მიდამოებში იყო განლაგებული აგრეთვე წადკოტად წარმოსახული თბილისის ბალები.

ქალაქის მესამე ნაწილი – ისანი (შემდეგი დროის აელაბარი) მტკერის მეორე მხარეს იყო. კალასა და ისანს შორის ვიწრო კლდოვანში ხიდი იყო გადებული. ისნის გალავნის შიგნით მცირე მონაკვეთი კვლავ გალავნითაა გამოყოფილი მისი დომინანტი – მეტეხის ტაძრით. მათ გარდა, ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთაწმინდის მიდამოებში და აელაბრის აღმოსავლეთითაც იყო საკმაოდ მჭიდრო დასახლება, მაგრამ გამაგრების გარეშე.

კალაში, ქალაქის ძირითად ნაწილში, გამოკვეთილი იყო ციხის უბანი, სასახლის უბანი, აბანოს უბანი, ოქრომჭედლების ქუჩა და სხვა. ქალაქში იყო მეფის სასახლე, რომელიც აღწერის მიხედვით ძალიან ღამაზი იყო. იგი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული, შიგნით კი მოხატული, მოოქროვილი და სარკვებით იყო გაწყობილი. ყურადღებას იპყრობდა აგრეთვე ქართლ-კახეთის დიდებულთა დარბაზები.

უჯარმა საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ერთ-ერთი უძველესი და არქეოლოგიურად კარგად შესწავლილი ნაქალაქარია (სურ. 133.). ძველი ქართული

წყაროების ცნობით. უჯარმა წინარე ქრისტიანული ხანის ქალაქია, რომელიც ჩვენს წ. ა. III საუკუნეში მირდატის ძემ - ასფაგურმა ციხე-ქალაქად ააშენა. ქართლის ცხოვრებაში ისიც არის ნათქვამი, რომ მეფე მირიანმა თავის ძეს - რევეს საუფლისწულოდ მისცა კახეთი და კუხეთი და „დასვა იგი უჯარმასა რევ და ცოლი მისი სალომე“. ლეონტი მროველის წყაროს ცნობით, რევა და სალომემ წმ. ნინოს დასწულებზე რომ შეიტყვეს, ქართლის განმანათლებელი უჯარმიდან მოინახულეს ბოდბეში (ბოდბე). შემდეგი ცნობით, ეახტანგ გორგასალი უჯარმაში ჯდება და „აღაშენა იგი ნაშენებთაა უხომითა“. ამ მშენებლობას მისი ძე - დამი განაგრძობს. არქეოლოგურმა გათხრებმა უჯარმაში მშენებლობის სამი ძირითადი ქრონოლოგიური ეტაპი დაადასტურა.

უჯარმა მდებარეობს მდ. ივრის შუა წელსე. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ქალაქის ციტადელის ნაშთები. ციტადელი შედგება ორი ნაწილისაგან - ზედა ციხის და ქვედა ციხისაგან. ზედა ციხე სამი მხრიდან კოშკებიანი გალავნით არის შემოზღუდული. მეოთხე მხარეს ციცაბო კლდე და ოდნავი დაშორებით სადარაჯო კოშკი იკავდა. ქვემო ციხე მთის ციცაბო ფერდსეა გაშენებული. სწორკუთხა ფორმის გალავნის ორი კედელი პარალელურად მიმართულია მდინარისაკენ, ხოლო ქვედა კედელი მდინარის ნაპირს გასდევს.

ზედა ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმართული ყოფილა დიდი ხომის ორსართულიანი ნაგებობა, სათაოეულ სართულსე ორ-ორი პატარა ხომის და ერთი შედარებით დიდი ხომის დარბაზით. შენობას სამხრეთის მხრიდან აქვს დატანებული საღივანი გადახურვით დამთავრებული სარკმელთა და კარის ღიობები. ეს კი შიგა სივრცის განაყოფის წყაროს შეადგენდა. ნაგებობის ქვედა სართულსე მოწყობილია ორგანყოფილებიანი, კამარით გადახურული სარდაფი, რომელშიც ქვის კიბით ჩაღივდნენ. ეს ნაგებობა სასახლედ არის მიჩნეული. შიდა ციხეში შემორჩენილია აგრეთვე საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. აქვეა „ჯეარპატოსნის“ ძველი ეკლესია, რომელიც აშქამად ორსართულიან საკულტო ნაგებობას წარმოადგენს. მას შორის უბეილესია ქვედა სართულის პატარა ხომის ის ეკლესია, რომელიც ერთ-ერთ ოთხკუთხა კოშკსეა მიშენებული. ამ ეკლესიის აფსიდის კონქის და კონქთან მომიჯნავე ოალები მკვეთრად გამოხატული ნალისებური ფორმისანი არიან.

ეკლესია შიგნიდან თლილი ქვითაა ნაგები. გარედან კი ისეთივე მასალია, შედარებით უხეშად ნათალი კვადრები გამოიყენება, რომლითაც ნაქალაქარის გალავანი და ოთხკუთხა კედლებია აგებული. ეკლესიის ზედა, მეორე სართული ე.წ. „გარდამავალი ხანით“ - IX-X საუკუნესა მიჯნით სარჩილდება. ამავე პერიოდს განეკუთვნება ეკლესიითა გამაერთიანებელი ფასადი, დიდი საღივანი აღმოსავლეთი მხარეს და ორი სამკუთხა ნიშით. შემდგომ პერიოდში, სავარაუდოდ, XVIII საუკუნეში ეკლესიისათვის გვერდითი სადგომები მიუშენებიათ. გამოიყენება მოსაზრება, რომ ქვედა, უძველესი ეკლესია ეახტანგ გორგასლის პერიოდს განეკუთვნება.

ურადღებებს აქცევს მთის დამრეც ფერდობზე აგებული გალავანი, რომელშიც ორივე მხარეს შეგრილების სახით გამოხატული ოთხკუთხა ბურჯებია ჩართული. გალავნის ქვის წყობა პირიზონტალურია, რაც კლასიკური ხუროთმოძღვრებისათვის

არის დამახასიათებელი. ქვეები ხან გრძობად იღება, ხან კი წყობის სიღრმეში შედის. გალაენის კომპეები ორ და ცალკეულ შემოსხვევაში სამსართულიანია. ზემოთ გამართულია კბილანებით შემოხლულული საბრძოლო ბაქანი. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებს ეყრდნობოდა. კომპებს არც ბუხრები აქვთ და არც ქვის კიბე. ვარაუდობენ, რომ ხის გადასატანი კიბეები გამოიყენებოდა. გარეჟა მხრიდან კედლები ყრუა. სამაგიეროდ, ქალაქის მხრიდან ყოველ კომპს ნალისებური მოხაზულობის თაღოვანი კარ-სარკმელი აქვს.

უჯარმის ციხე-ქალაქი მაღალკვალიფიციური ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრს შეადგენს და აღრეული შუა საუკუნეების საერო ნაგებობათა მოწინავე ძეგლთა შორის იქვედრებს ადგილს. ეს კარგად ჩანს ნაქალაქარის საერთო გეგმარებაში და საშემსრულებლო კულტურის მაღალ დონეში.

ციხეგოჯი, რომელიც ნოქალაქეის და არქეოპოლისის სახელითაც არის ცნობილი, ეგრისის (ლახიკის) სამეფოს დედაქალაქი იყო IV-VIII საუკუნეებში. ციხეგოჯი სენაკის რაიონში მდებარეობს. ქალაქი გაშენებული ყოფილა მღ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე. როგორც დავაქებაზე, ისე მისი ფერდობზე და მთის მწვერვალზეც. ვაკეზე განლაგებული ყოფილა ქალაქის მთავარი ნაწილი - მეფე-დედოფალთა საცხოვრებელი. ფერდობზე გარნიზონი ყოფილა დაბანაკებული, ხოლო ზემოთ მოსაესებელი იყო ციტადელი.

ლეონტი მროველის წყაროს ცნობით, ციხეგოჯის ისტორია იწყება ძველი წ. ა. III საუკუნიდან, როცა იბერიის მეფე - ფარნავაზი კოლხეთში გადასულა და ქუჯისათვის ერისთაობა მიუცია. ამ წყაროს ცნობით, ქუჯის ასე მიუმართავს ფარნავაზისათვის: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გამართებს უფლობა ჩემი“. აქედან ეყრება საფუძველი ქართლისა და ლახიკის კონსოლიდაციას, რომლის ფასიკურ გამოხატულებას შეადგენდა ერისთავ ქუჯის მიერ ციხეგოჯის (ქუჯის კიხის) მშენებლობის გრანდიოზული მასშტაბები (სურ. 134).

რომის იმპერიის ექსპანსიის შედეგად კოლხეთის სამეფო სუსტდება. ახალი წ. ა. III საუკუნიდან კი თანდათან იკრებს ძალებს და IV საუკუნის დამდეგიდან საფუძველი ეყრება ლახიკის სამეფოს განმტკიცებას.

პროკოპი კესარიელის ცნობით, „ძალიან გამაგრებული არქეოპოლისი... არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლახების ქვეყანაში“. ასეთი ქვეყნის დედაქალაქი, ცხადია, მნიშვნელოვანი საერო ნაგებობა უნდა ყოფილიყო. ქალაქის რაოდენ რელიეფზე გაშენებამ გამოიწვია მის სათანადოდ გამაგრებაზე ზრუნვა. თავდაპირველად, ქალაქისათვის ქვის ერთი გალაქანი შემოუვლიათ. მდინარის მხარეს, ქალაქის რელიეფის თავისებურების გამო, მხოლოდ ერთი გალაქანიც კმარადა მის დასაცავად. სამაგიეროდ, სამხრეთით შესაძლო იყო მოხდურს ადგილად გადაელახა მდინარე. ასეთივე ვითარება იყო ქალაქის აღმოსავლეთითაც. მის ქვედა დავაქებულ მონაკვეთზე. ამიტომაც იყო, რომ IV საუკუნის დასაწყისში აგებულმა გალაქანმა ევლარ დაიცვა ქალაქი და V საუკუნის შუა ხანებში მეორე გალაქანი დაუმატებიათ. მაგრამ V საუკუნის მიწურულისათვის კელავ საჭიროდ უცნიათ ციხე-ქალაქის ამ სუსტი ადგილის კიდევ უფრო გამაგრება და ქალაქის სამხრეთ და აღმოსავლეთ მონაკვეთებში საჭიროდ განიერო, 2,5 მეტრი სისქის კედელი

შემოაგულეს. ასეთი დაცვის აუცილებლობას ის მნიშვნელოვანი ფაქტორი შეადგენდა, რომ მტერს მხოლოდ ამ მონაკვეთში შეეძლო სამხედრო ტექნიკის – კედლების სანგრევი მანქანების გამოყენება. საბოლოოდ, VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბთა სარდლის – მურვან ყრუს (სხვა თვალსაზრისით მუჰამედ იბნ მურვანის) მრავალრიცხოვან ლაშქარს ვეღარ გაუძლო ქალაქის დაცვამ და დაეცა.

ქალაქს ორი ჭიშკარი ჰქონია, ერთი სახმელეთო, რომელიც ქვედა ტერასის აღმოსავლეთით, ცენტრში მდებარეობდა, მეორე – სამდინარო, მდ. ტეხურაზე გვირაბის სახით იყო გამართული, რომელიც თავსა და ბოლოში დატანებული კარების იყო დაცული და გამაგრებული.

ქალაქის ქვედა ტერასაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მეფეთა ორი სასახლის ნანგრევები გამოვლინდა. გარკვეა, რომ ერთი IV საუკუნის ორსართულიანი სასახლე ყოფილა, რომელიც ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით აუგიათ. მისი დანგრევის შემდეგ, VI საუკუნის დასაწყისში, მეორე, სამსართულიანი სასახლე აუშენებიათ ქალაქის ქვედა ტერასის შუა მონაკვეთში, სამეფო რესიდენციაში. აქ არის მოქცეული ქალაქის მთავარი ეკლესია და სხვა საერო ნაგებობანი. მეფის ეს რესიდენცია გალანით ყოფილა ცაღკე შემოხლული, რომლის კოშკის პირველ სართულში თაღოვანი ჭიშკარია გამართული.

ქალაქის ქვედა ტერასაზე ოთხი სხვადასხვა სახის ეკლესია ყოფილა აგებული. აქედან ერთი თავდაპირველად სამნავიანი ბაზილიკა ყოფილა, ხოლო შემდეგ გუმბათიან ეკლესიად გადაუკეთებიათ. ფერდობზე მდგარი ერთი დარბაზული ტიპის ეკლესია, როგორც ვარაუდობენ, გარნიზონისათვის ყოფილა აშენებული. ერთი ეკლესია კი ციტადელის ცენტრში დგას. ქალაქის ცენტრში გადარჩენილია ორი აბანო, რომლებსაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოუღწევიათ. ერთი მათგანი, კაპიტალურად ნაგები, რომელიც ქალაქის დასავლეთით მდგარა, როგორც ვარაუდობენ, მეფე-დიდებულთათვის უნდა აშენებინათ. მეორე, ქალაქის სამხრეთით, განაპირას მდებარე აბანო, გარნიზონისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ამასთან ერთად, ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში მდგარა როგორც საცხოვრებელი, ისე სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები.

ნოქალაქევი – ციხეგოჯის ტერიტორიაზე ოცი წელია მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები და მისი შესწავლა-გამოვლენა ამ უძველესი ნაქალაქარის კიდევ ბევრ საყურადღებო საკითხს მოჰყვინს შუქს.

ურბნისის ნაქალაქარი არქეოლოგიურად და ისტორიული თვალსაზრისით კარგად შესწავლილი ძეგლია. გათხრების შედეგად აქ სამი ძირითადი ქრონოლოგიური ფენა გამოვლინდა. ესენია: ადრებრინჯაოს, ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ნაშთები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ადრეული შუა საუკუნეების ქალაქის ზღუდე.

ქართულ წერილობით წყაროებში ქალაქი ურბნისი ანტიკური ხანის უძველეს ქალაქებად ერთად არის დასახელებული და ლეონტი მროველის წყარო მის დაარსებას ეთანარქ უფლოსს მიაწერს. ქალაქის ინტენსიური ცხოვრების დამადასტურებლად ის ფაქტიც გამოდგებოდა, რომ ქართლის განმანათლებელს წმ.

ნინოს ერასთან ურბნისში დაუდია ბინა. ქალაქმა, ისტორიული წყაროების ცნობით, მურვან ერუს ლაშქრობამდე იარსება. თუმცა, არქეოლოგიური მასალების გათვალისწინებით. ქალაქს მერვე გაუგრძელებია ცხოვრება.

ადრეულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება ალიზის აგური ნაგები ქალაქის გრანდიოზული ხელუდე, რომელშიც ჩარსულია სიბრტყიდან წინ გამოწეული ნახევარწრიული მოხაზულობის დიდი ზომის კოშკები (სურ. 35). ალიზათვე ნაგები ამ კოშკების შიგა სივრცეში ნაწილდებოდა ცენტრალური დარბაზები. ოსიკუსხა სათავსები, სემენტური ოთახები, თსოფელში დატანებული სამხერები, ქალაქის მხრიდან გამართული შეისრული კარის ღიაბები, სარკმელები, ბანსე ამაველი კიბეები. აქვე გამოვლინდა სხვადასხვაგვარი სამეურნეო ნაგებობანი თონებთი. ირკევეა, რომ ეს კოშკები გარნზონისათვის ყოფილა გათვალისწინებული, ხოლო კოშკების ბანი მომხდურთა მოსაგერიებლად გამოიყენებოდა.

ურბნისის ნაქალაქარის ალიზის ხელუდე, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, V-VII საუკუნეებით თარიღდება. მურვან ერუს მიერ ქალაქის განადგურებამ ძალსე გართულა საერო ნაგებობათა ღოკალიშება. თუმცა, ნაქალაქარის დასავლეთ მონაკეეში გადარსენილა ალიზთ ნაგები საცხოვრებელი სახლები, რომლებიც VI საუკუნით თარიღდებან. აქვე გამოვლინდა აგრეთვე ამავე პერიოდის სხვა სამეურნეო სახის ნაგებობები, რომლებიც გარკეველ წარმოღვენას გეიქმნის ასეთი ტიპის ამ ხანის საერო ნაგებობებზე.

ურბნისში მურვან ერუს დამანგრეველი შემოსეების შემდეგ ცხოვრება კვლავ გაგრძელებულა. ამავე მეტყველებს მიწაყრილიანი თხრილი, რაც ქალაქის დაცვის ახალ სისტემას წარმოადგენდა.

ბორჯომ-ბაკურიანის ნასოფლარები. ქალაქური ტიპის დასახლებასთან ერთად გარკვეულ ინტერესს შეადგენს ადრეული შუა საუკუნეების ნასოფლარებიც. არქეოლოგიური გათხრებით, ბორჯომ-ბაკურიანის ნასოფლარების მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია გამოვლენილი, ძირითადად, მათი ნანგრევების სახით. ესენია: კოშკისღელის ნასოფლარი სოფ. ლიკანიდან 3 კმ-ის მანძილზე, სვინისძირის და ნაჩების საცხოვრებელი სოფ. ლიკანიდან 5 კმ-ის დაშორებით, ხევის ნასოფლარი სოფ. ჭობისხევისან, ლიკანის მონასტრის საცხოვრებელი, ტყემლოვანის ნასოფლარი თორის ნადარბაზეში და სხვა მრავალი.

დარბაზები ნაგებია ადგილობრივი მკერთი ფიქლებისაგან. კედლები მშრალად არის ნაწყობი. ყურადღებას იქცევს საცხოვრებელი დარბაზების გემარება. უმეტესობას წინ ოსიკუსხა ფორმის მცირე ეხო აქვს, რომლებიც გამანაწილებლის ფუნქციას ასრულებენ. აქედან შეედიართ დარბაზში, რომელსაც ორიდან რვა სათავსი ეკერის. დიდი დარბაზის კარი გადახურულია არქიტრავით. ამ მეორე ნაგებობასაც გამანაწილებლის ფუნქცია აქვს და მას პირობითად შიგა ეხოს უწოდებენ. ამ შიგა ეხოდან შექვიართ კვარატულ დარბაზში, რომელიც ქვის ცრუ გუმბათით არის გადახურული. გვირგვინს ცენტრში დატანებული აქვს მრგვალი ღობი, რაც სარკმელს და საკვამურს შეადგენს.

ამ ტიპის ძეგლების არქიტექტურული და სამშენებლო ხელოვნების

გასეულსწინებით, არქეოლოგიური ნასოფლარების გეირგენიანი სახლები VIII-IX საუკუნეშია მიჯნით თარიღდებიან. ამ რეგიონში სოფლების ასეთი ინტენსიური მშენებლობის ისტორიულ საფუძველად მიჩნეულია თორსე გამაგალი საეკლესიო გზა, რაც ამ ტრასაზე ინტენსიური ცხოვრების საფუძველს შეადგენდა ადრეულ შუა საუკუნეებში.

აბანოები

საქალაქო მეურნეობის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს აბანოც შეადგენდა. საქართველოში ადრეული შუა საუკუნეების აბანოებს ეხედებით უძველეს ნაქალაქარებში. ასეთი ნაგებობანი, ცხადია, თბილისშიც არაერთი იქნებოდა ამისათვის სრულიად ხელსაყრელი პირობების – თერმული წყლების გამო. სხვა ქალაქებში კი აბანოსათვის წყალს აცხელებდნენ და სათაქებს ათბობდნენ საგანგებოდ აგებული საქვაბეებისა და კალორიფერებისა.

შუახუთის აბანო მდებარეობს ლანჩხუთის რაიონში, სოფლის ცენტრში. 1962 წელს, ფეოდალის სასახლის ნანგრევების არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სხვა -საერო-სამეურნეო ნაგებობებთან ერთად გამოვლინდა აბანო, რომელიც IV-V საუკუნეებით თარიღდება. აბანო ანფილადურად არის განლაგებული. შუაში მოსაცდელი და გასახდელი დარბაზი ყოფილა, რომლის იატაკი მოხაიკისაა. ამ სათაქის დასაველეთ ნაწილში მოთავესებულია ცივი წყლის პატარა აუზი. მარჯვნივ არსებულ სათაქსში დიდი აუზია, რომელიც შესაძლოა საცურაოც იყოს. აბანოს მოსაცდელს დასაველეთა აკრავს თბილი წყლის საბანო სათაქსი, რაც კარით უკავშირდება ცხელი საბანოს. ნაგებობის დასაველეთით მოთავესებულია პატარა საქვაბე, საიდანაც ცხელი წყალი კერამიკული მილებით მიედინებოდა აბანოს ცხელ აუზში. საბანო იატაკს და კედლებს ქვემოდან აცხელებდა ცხელი ჰაერი, ხოლო თბილი ჰაერით საბანოს მხოლოდ კედლები ცხელდებოდა.

ციხეგოჯა-ნოქალაქების აბანოები, რომელთაგან ერთი, პირობითად, „სამეფო“ (სურ. 137), ხოლო მეორე „სამოქალაქო“ აბანოდ იწოდებიან, IV-V საუკუნეებით თარიღდებიან. ორივე აბანო გამოვლენილ იქნა არქეოლოგიური გათხრების შედეგად. „სამეფო აბანო“ გამოირჩევა ორიგინალური დაგეგმარებითა და სიდიდით. საქართველოში აღმოჩენილი თითქმის ყველა აბანო ანფილადურად არის განლაგებული. „სამეფო აბანოს“ გეგმარება ირეგულარულია. მის მშენებელს გაუსეულსწინებია სათაქსთა კომპლექტურობა, მათი მოხერხებული ურთიერთკავშირი და, აგრეთვე, ფასადების მხატვრული ფორმებიც. ის სათაქსები, რომლებიც სითბოს საჭიროებენ, ისეა განაწილებული, რომ მზე სამივე მხრიდან ადგას და, ამდენად, აბანოს ეს ნაწილი ბუნებრივ სითბოსაც იღებს. აბანოს ორი კარი აქვს ჩრდილოეთის მხრიდან. როგორც ვარაუდობენ, ერთი შესასველეთა, მეორე კი გამოსასველეთ. ერთი კარიდან შეედივართ გასახდელში – აპოდიტერიუმში. აქედან ფართო ლიბით

ეხედებით მონარდილ კეადრატულ სათავსში, სადაც ორი აბაზანაა განლაგებული, ორივე ცივი წყლისათვის განკუთვნილი. ეს სათავსი ფრიგიდარიუმში უნდა იყოს. იატაკში დატანებული ხერელით აბაზანებიდან გადმოღვრილი წყალი მიღებით გარეთ გამავალ კოლექტორში ჩადიოდა. ფრიგიდარიუმიდან ერთადერთი კარით შევდივარს მცირე ზომის თბილ სააბაზანო სათავსში, რომელიც ტეპიდარიუმს წარმოადგენს. აქედან კიდევ ორ სათავსში შეიძლება შესვლა, მარცხნივ – ცხელ სააბაზანოში და მარჯვნივ – დამატებით სააბაზანოში. გაიკვია, რომ თბილი სააბაზანოს იატაკის ქვეშ კალორიფერის არ გაუმარსავეთ. როგორც ჩანს, აქ სითბო შედიოდა ცხელ სათავსთან მიერთებული კარის ღიობიდან. თბილი სააბაზანოდან მარცხნივ მდებარე კარით ეხედებით ცხელ სააბაზანოში – კალდარიუმში, რომელიც ორ სათავსად იყოფა. აქაც თბილი და ცხელი სააბაზანოები იყო განლაგებული ორ სართულად. პირველ სართულში კალორიფერის, პიპოკაუსტია გამარსული. აბანოს საქვაბე მოწყობილი ჰქონდა დასაველით, ნაგებობის ბოლოში.

„სამოქალაქო აბანო“ გაღვენის გაყოლებასეა გრძივად გაწოლილი. მისი თარიღი IV-V საუკუნეებით არის განსაზღვრული. არცთუ დიდი ზომის ამ აბანოს მისთვის საჭირო ყველა კომპონენტი გაანია. ესენია: შესასველელი, გასახდელ-მოსაცდელი, აბაზანები. გასახდელი სარკმლით ნათდება, რაც ერთადერთი მაგალითია, როდესაც აბანოს გვერდით კედელში სარკმლის ღიობია დატანებული.

ნოქალაქეის ორივე აბანო, როგორც „სამეფო“, ისე „სამოქალაქო“ ასეთი რიგის ნაგებობააა მშენებლობის კარგ ცოდნასე მიგვანიშნებს.

ბარდამავალი ხანის ხეროთმომღვრება

VI-VII საუკუნეთა მიჯნასე, მკაფიოდ ჩამოყალიბებული კლასიკური სტილის შედგომ ეტაპზე, ქართულ ხეროთმომღვრებაში წარმოიშეა ახალი მიმართულება, რომლის წარმოშობის ისტორიულ საფუძველს, ძირითადად, კლასიკური ხეროთმომღვრების ახლებური გადააირება შეადგენდა. ამ ახალ სტილისტურ მიმართულებაში ხასგასმულად გამოჩნდა საკმაოდ გაბედული და ორიგინალური ფორმების შექმნისადმი მისანსწრაფული ტენდენციები ნაირ-ნაირი არქიტექტურული თემების გაიენაში რომ გამოჩნდა. ამ ახალი მიმართულების წიაღში ჩისახა არქიტექტურული ფორმებისადმი ერთგვარი დეკორაციული მიდგომა, რაც ცხოველხატულობის გარკვეულ ტენდენციებში ელინდება. „გარდამავალი ხანის არქიტექტურის“ ბეერმა თემამ დროის გამოცდას ვერ გაუძლო და დაეიწყებას მიეცა. ამ ახალი ორიგინალური არქიტექტურული თემების ძიებააა პროცესში ცალკეულმა ნაწარმოებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკიდრა ქართული ხელოვნების ისტორიაში. ასეთ წამყვან ნაწარმოებთა რიგში იკაეებენ ადგილს ატენის და სამშვილდის სიონები. პირველი. როგორც ზემოთ უკვე ითქეა, „გარდამავალი ხანის“ საწყის პერიოდს განეკუთენება, რომელშიც ცალკეული რეპლიკის სახით გამოიხატა ამ ახალი სტილისტური მიმართულების ზოგიერთი ნიშანი. სამშვილდის სიონი კი, ამ მხრისე, სრუ-

ლიად ჩამოყალიბებული ნაწარმოებია, რომელშიც მთელი სიცხადით გამოიხატა ე.წ. „გარდამავალი ხანის“ ხუროთმოძღვრების ყველა ძირითადი სტილისტური ნიშანი.

სამშეილდის სიონის საეპისკოპოსო ტაძარი მდებარეობს ისტორიულ ქვემო ქართლში. თეთრი წყაროს რაიონში, მდინარეების – ჭიკჭიკასა და ხრამის (ქციის) შესართავთან, უძველესი ნაქალაქარის კონცხის პლატოზე. საქტიტორო წარწერის ცნობით, ამ ცენტრალურ-გუმბათიანი ტაძრის მშენებლობა 18, 19 წელს გაგრძელებულა – 759-777 წლების მანძილზე.

დღეისათვის ტაძრის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილა, სადაც შედარებით უკეთ არის დაცული მისი აღმოსავლეთი ნაწილი. აღნიშნულის მიუხედავად, მაინც ხერხდება ტაძრის თავედაპირველი ხუროთმოძღვრული ფორმების აღდგენა (სურ. 138).

სამშეილდის სიონი დიდ მსგავსებას აქვს წრომის ტაძართან. თუმცა, სამშეილდის სიონში მაინც გამოიხატა ის სიახლეები, რაც „გარდამავალი ხანის“ არქიტექტურისათვის არის დამახასიათებელი. წრომის ტაძრის მონათესავე სამშეილდის ტაძარში, ამ სემის შიგა სიერცის ორგანიზაციასა და გარე მასებში, წრომისაგან განსხვავებით, ცალკეული სიახლეები შეინიშნება. ოსხ თავისუფლად მდგომ ბურჯზე დამყარებული კვადრატის შიგა სიერცის დომინანტს შეადგენს და მთელი არქიტექტურული კომპოზიციის მორგანიზებელი ბირთვია. ტაძრის გეგმის საყუძველია ჯგერო, რომლის თანაბარი მკლავები გუმბათქვეშა კვადრატის სიერცეში მხარეების მიმართულებით იშლება. სიერციე ღერძზე დაგრძელებული ეს არქიტექტურული ნაგებობა გარეგან სწორკუთხედში ექცევა, რომლის აღმოსავლეთ მონაკვეთში, საკურთხეელის ორივე მხარეს ნაწილდება აფსიდებით დაბოლოებული სამკვეთლო და სადიაკონე. ამ პასტოფორიუმების ორივე მხარეს კი აფსიდებიანი ექვტერებია მოთავსებული. ამგვარად, წრომთან შედარებით, სამშეილდის საეპისკოპოსო ტაძარი უფრო რთული სტრუქტურისაა. კიდევ ერთი სხვაობა, რაც ამ ორ ძეგლს შორის შეინიშნება: სამშეილდის სიონის გრძივ კედლებზე გაღვრებია გამართული, რისაც ხუროთმოძღვარმა ერთ საერთო ოსხკუთხა აბრისში მოაქცია ის შვერილები, რაც ასე მკაფიოდ გამოიყოფა წრომის ხუროთმოძღვრებაში.

საყურადღებო ცნობების შემცველია სამშეილდის სიონის საქტიტორო წარწერა, რომელიც აღმოსავლეთ ფასადის მთელ სიგანეზე, დიდი ზომის ქართული ასომთავრული შრიფტით არის ამოკვეთილი. წარწერით ირკვევა, რომ ტაძრის მშენებლობა დაწყებულია მეფე კონსტანტინეს ზეობის მეოცე წელს, ხოლო ლეონის მეფობის შესამე წელს დამთავრებულია. ამ სამშენებლო საქმის მესვეურები, საქტიტორო წარწერის ცნობით, ყოფილან ქართლის პიტიაზშია შთამომავალნი – ვარაზბაკური და იოვანე. გამოთქვა მოსაზრება, რომ წარწერაში მოიხსენიებიან აფხაზთა მეფეები – კონსტანტინე და ლეონი. მეორე თვალსაზრისით, საქტიტორო წარწერა ასახელებს ბიზანტიის იმპერატორებს – კონსტანტინე V კოპრონიმეს და ლეონ IV ხაზარს. ამის შესაბამისად, ტაძრის მშენებლობის ქრონოლოგია ზუსტად განისაზღვრა. დღეისათვის, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალ-

საზრისის მიხედვით, სამშვილდის სიონი 759-777 წლებით თარიღდება.

გურჯაანის „ყველაწმინდა“, რომელიც ღვთისმშობლის მიძინების სახელზეა აგებული, კახეთში მდებარეობს, გურჯაანიდან ორიოდე კილომეტრის მანძილზე, მისი კალთასე, კახუბნის (გურჯაანის) ხეობაში. ადრეული შუა საუკუნეების ქართულ საკულტო ხუროთმოძღვრებაში გურჯაანის „ყველაწმინდა“ ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესიაა, რომელსაც გუმბათოვან ბაზილიკად მიიჩნევენ (სურ. 139).

ტაძრის სამშენებლო მასალად გამოყენებულია ქვა და აგური. კედლები, როგორც ეს მიღებულია კახეთის არქიტექტურაში, რიყის ქვით არის ნაგები. სარკმელებისა და კარის ღიობების საპირეზად გამოიყენება შირიმის თლილი ქვა. ორივე გუმბათი, აგრეთვე თაღები აგურით არის ნაგები.

ტაძრის გეგმა საკმაოდ რთულია. შიგა სივრცე ბოძების ორი წყვილით სამ ნავად ნაწიერდება. საკმაოდ მაღალი და განიერი შუა ნაფი აღმოსავლეთით ნაღისებური აფსიდით მთავრდება. ეს ცენტრალური ნაფი სამ მაღს შეიცავს, რომელთაგან პირველსა და მესამეზე, ტრომპული სისტემით გადაყვანილ რვა წახნაგზე ორი გუმბათია აღმართული.

ტაძარი ძირითად მონაკვეთში ორსართულიანია. შუა ნაფს სამივე მხრიდან ეკერის ორსართულიანი გარშემოსავლელი, ხედა სართულზე მოსავესებული პატრონიკით, რომელიც შიგა სივრცეს უკავშირდება ნაღისებური თაღების სისტემით. გვერდითი პატრონიკები აღმოსავლეთ ნაწილში, საკურთხევის ორივე მხარეს გადანაწილებული ეკედერებით მთავრდება.

გურჯაანის „ყველაწმინდის“ როგორც შიგა სივრცე, ისე მისი გარე მასები მკაფიოდ გამოხატავენ ბაზილიკურ არქიტექტურულ ტიპს, რომელზეც მორგებულია შეკუმშული თაღებით გადახურული ორი დაბალყვლიანი გუმბათი.

ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი, რომლისკენაც მისასვლელი გზა არის დამხრობილი, საინტერესოდ არის გადაწყვეტილი. შუა ნაფის მიწვემენტური არქიტექტურული სიბრტყე შემოსაზღვრება შეწყვილებული თაღებით, რომლის შუა ნაწილში დიდი ზომის ერთი სარკმელია გაჭრილი. გვერდითი ნაფების ორსართულიანი სტრუქტურა ფასადზე აისახა ერთმანეთზე დასმული თაღებით, თითოეულში ორ-ორი სარკმლის ღიობით, რომლებიც სართულების შესაბამისი სასავესების განათების წყაროს შეადგენენ. სამხრეთ ფასადზე, საიდანაც მკაფიოდ მოჩანს ტაძრის ორგუმბათოვნება, შირიმის ქვებით მოპირკეთებული ცენტრალური კარის ზემოთ, ნაღისებური ფორმის ოთხი დიდი ღიობი ყოფილა თავის დროზე განაწილებული, რომელიც გვიანი ხანის რესტავრატორებს ამოუქოლიათ. ეკლესიის მეორე კარი ნარაუქსის კედელშია გაჭრილი.

გურჯაანის „ყველაწმინდა“, რომელიც გამოირჩევა ძალზე ორიგინალური, გაბედული გადაწყვეტით, რთული არქიტექტურული სტრუქტურით, „გარდამავალი ხანის“ საკულტო ხუროთმოძღვრების, VIII საუკუნის მიწურულის სანიშნო ძეგლია.

ვაჩნაძის „ყველაწმინდა“ კახეთში მდებარეობს, სოფ. შრომიდან (ყოფილი ვაჩნაძის) და კლარჯიდან 7-8 კილომეტრის მანძილზე, ტყით დაბურულ მთაში, მონასტრის ტერიტორიაზე. ღმრთისმშობლის გუმბათიანი ტაძრის გარდა, მონასტრის

შემოგარენში დაცულია: სამეკლესიანი ბაზილიკა, სამონასტრო ნაგებობათა ნაშთები.

ღმრთისმშობლის სახელობის გუმბათიანი ტაძარი აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე წაგრძელებულ ნაგებობას წარმოადგენს, რომელიც სამეკლესიანი ბაზილიკის გუმბათიან ტაძრად თავისებური გადაშეშავების მაგალითია (სურ. 140-141). ვაჩნაძიანის „ყველაწმინდა“ „კუპელჰალეს“, ანუ გუმბათიანი დარბაზის არქიტექტურულ ტიპს მიეკუთვნება. ეს არის დიდი ზომის წაგრძელებული დარბაზი, მის ცენტრალურ კვადრატზე, კედლების შეგრილებზე აღმართული გუმბათით. აქ პირველად გამოიყენეს აფრები (პანდანტივები) კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლისათვის. თუმცა, ტრომპები აქ კვლავ გამოყენებათ სამკვეთლოს და საღიაკონეს ტრიკონქებსა და ექსედრებში. ვაჩნაძიანის შიგა სივრცის ორგანიზაცია სამეკლესიანი ბაზილიკების მსგავსია, სადაც გვერდითი ნაგებობის მაკაემირებლად გამოდის გარშემოსავლელი.

ტაძრის საშენ მასალად გამოყენებულია რიყის ქვა და აგური. კუთხეები, წირახლები, კარნისი ზირიმის ქვით არის შესრულებული. ქართული ხელოვნების ისტორიაში, „კუპელ ჰალეს“ არქიტექტურული გადაწყვეტით, საფუძველი დაედო ახალ ხუროთმოძღვრულ ტიპს, რომლის ქრონოლოგია VIII-IX საუკუნეთა მიჯნას მოიცავს. ყველა ძირითადი კომპონენტით ვაჩნაძიანის „ყველაწმინდა“ „გარდამავალი ხანის“ ტიპური ძეგლია, რომლის ამოსავალს, ერთი მხრივ, სამეკლესიანი ბაზილიკა შეადგენს, ხოლო მეორე მხრივ კონსტანტინებზე დამყარებული გუმბათიანი დარბაზი. ასეთი ორიგინალური გადაწყვეტით მისმა ხუროთმოძღვრამ გუმბათიანი დარბაზის, ანუ „კუპელჰალეს“ არქიტექტურული ტიპი შექმნა.

წირქოლის (წირქუალის) ეკლესია ქსნის ხეობაში მდებარეობს, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მთის კალთაზე, ციხის მახლობლად. ეს ციხე „ქართლის ცხოვრებაში“ X საუკუნის ვითარებასთან დაკავშირებით იხსენიება.

ეკლესია, გარე არქიტექტურული მასების სტრუქტურით, ცალნაეიანი დარბაზული ტიპის სამლოცველოს ჰგავს (სურ. 142). შიგა სივრცის ორგანიზაციაში კი ძალზე გაბედული და სრულიად მოულოდნელი არქიტექტურული სიახლეები გამოიხატება. ორფერდა ქანობებით გადახურული ეკლესიის ინტერიერში, საკურთხევლის სატრიუმფო სალსა და დასავლეთ ნაწილში ორ სართულად განლაგებულ საღიაკონეს, რაც პატრონიკეს არქიტექტურულ სტრუქტურას წარმოქმნის, აგრეთვე, გრძივი კედლების ორივე მხარეს გამართული შეწყვილებული ნიშების თაღებზე გუმბათქვეშა კვადრატა დამყარებული. მასზე, ოთხი ტრომპის საშუალებით, უყვლო გუმბათის ნახევარსფერული გადახურვაა მოთავსებული, რაც მნახველში გუმბათოვანი ტაძრის განცდას აღძრავს. თუმცა, გარე მასებში გუმბათის ნახევარსფერო ორქანობიანი სახურავის ქვეშ არის მოქცეული და ნიველირებულია.

ტაძრის ინტერიერში, გრძივ კედლებში გამართული ნიშები ჩრდილოეთით ყრუა, ხოლო სამხრეთით, ერთ მათგანში, კარის ღიობი და სარკმელია გაჭრილი. საკურთხევლის აფსიდის ორივე მხარეს უაფსიდო პასტოფორუმები-სამკვეთლო და საღიაკონეა მოთავსებული, აღმოსავლეთით, კედლის სისქეში გაჭრილი თითო სარკმლით. საკურთხევლის აფსიდის შეწყვილებული სარკმლები კი პატარა ზომის კონქებით ფორმდებიან.

ეკლესიის დასავლეთი მონაკვეთი ორსართულიანია. იგი მხოლოდ მისი ქვედა ნაწილით უკავშირდება გუმბათქვეშა სივრცეს და მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ეს არის დაბალ კოლონახე დამყარებული, ნალისებური მოხაზულობის თაღები, რომლებიც ეკლესიის მთელ სიგანეს მოიცავენ. მეორე სართული კი; შედარებით პატარა ზომის შეწყვეილებული თაღოვანი ღიობებით, ეკლესიის პატრონიკეს წარმოქმნის.

ეკლესიის სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფოროვანი ტუფი. გარე მასების დეკორაციულ სისტემაში შედის თაღითა და ტიმპანით გაფორმებული სამი ნიშა სამხრეთის ფასადზე, სარკმლის თავსართი, შემკული რელიეფური ქანდაკებებითა და დეკორაციული ელემენტებით. საფასადო სიბრტყეთა გაფორმების საერთო დეკორაციულ სისტემაში შედის აგრეთვე აღმოსავლეთის ფასადის ფრონტონის ქვემოთ მოთავსებული საკმაოდ დიდი ზომის სწორკუთხა ჩაღრმავება, რომელიც ფასადის მთელ სიგანეს მოიცავს და, ვარაუდით, იმთავითვე წარწერისათვის ყოფილა გამზადებული, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ევლარ შეუსრულებიათ.

ამგვარად, წირქოლის ეკლესია „გარდამავალი ხანის“ ძეგლია და ქართულ სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში მისი მშენებლობის დრო VIII საუკუნით არის განსაზღვრული.

არმაზის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც საქტორო წარწერით 864 წლით თარიღდება, მდებარეობს მდ. რეხულას სათავეში, პატარა სოფლის – სახორის მახლობლად. ეკლესიის არქიტექტურული თემის საფუძველს შეადგენს წირქოლის VIII საუკუნის ეკლესია, რომლის მსგავსადაც, არმაზის ეკლესიის მშენებელი ორქანობიანი გადახურვის ქვეშ აქცევს შიგა სივრცეში გამართულ უყულო გუმბათს.

არმაზის ხუროთმოძღვარმა გარკვეული კორექტივები შეიტანა მის მიერ აგებულ ეკლესიაში. წირქოლისაგან განსხვავებით, გუმბათის ნახევარსფერული გადახურვა კედლებს კი არ ეყრდნობა, არამედ რვაკუთხა ოთხ მასიურ ბოძს, რომელზედაც ნაწილდება გუმბათქვეშა კვადრატე, კუთხეებში გამართული ოთხი ტრომათა. ამ ტრომებზეა დამყარებული ეკლესიის უყულო გუმბათი. გუმბათქვეშა პილონების მიძიმე კაპიტელები უჩვეულო ფორმისანიც კი არიან და მსგავსი რამ არც IX საუკუნის ხუროთმოძღვრებაში გვხვდება და არც შემდეგ გაუმეორებიათ. აქვე ყურადღებას იქცევს ისეთი ცალკეული კონსტრუქციული ელემენტები, როგორებიცაა: ერთი-ერთი პასტოფორიუმის გადასახურავე ელემენტად, კამარის ნაცვლად, საფეხურებიანი „გვირგვინით“ შეცვლია, საკურთხეელის წინ გამართული კანკელის სვეტების და თაღების მიძიმე ფორმები, კაპიტელების და სარკმელების თავსართების ფორმები, აგრეთვე, ღომის რელიეფური გამოსახულების სტილი. ასეთ სიახლეებში კარგად ჩანს, რომ მისი ხუროთმოძღვარი ინტენსიურად ეძიებს ახალ გამომსახველობით საშუალებებს და საკმაოდ სცილდება ძველ კლასიკურ ფორმებს (სურ. 143).

კანკელის ანტაბლემენტზე ფრესკული ტექნიკით გამოსახება სამი წმინდა მხედარი მკურდამღე. კანკელის ქვედა მონაკვეთზე, შეღესილ სიბრტყეებზე ჯვრები ნაწილდება, რომლებიც ასევე ფრესკული საშუალებით გამოუსახავეთ. არმაზის ეკლესიის ეს

მოხატულია ეკლესიის მშენებლობის სინქრონული ნაწარმოებია და 864 წლით თარიღდება.

ოთხთა ეკლესია დღეს ისტორიულ ტაოს ტერიტორიაზე, თურქეთში. ეკლესია (თურქულად „დიოთ ქილისა“) მდებარეობს მდ. ჭკოროხის ხეობაში, მის მარცხენა ნაპირზე. X საუკუნეში აგებულ სამნავიან ბაზილიკასა შორის ეს ძველი საყურადღებოა მისი როგორც მხატვრულ-არქიტექტურული, ისე ისტორიული თვალსაზრისით. ქართულ წერილობით წყაროებში ეს ძველი მოიხსენიება გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში, რომელიც ასოხის ქართველთა მონასტრის დამაარსებლების - იოანე და ექვთიმე ასონელებზე მოგვითხრობს. იოანე ფარულად წასულა ოთხთა ეკლესიის ცნობილ ლავრაში სამოღვაწეოდ. მასთან ერთად ამ ლავრაში დამკვიდრებულან იოანე გრძელისძე და არსენ სინოწმინდელი.

ოთხთა ეკლესიის სამნავიანი ბაზილიკის შუა სივრცე გეგმაში ჯვრის ფორმის ოთხი წყვილი სვეტით არის სამ ნაეად დანაწევრებული. ინტერიერში მკაფიოდ გამოიყოფა ცენტრალური ნაეი თავისი ზეასიღული პროპორციებით, ხალვათი სივრცითა და აღმოსავლეთით მოთავსებული ნახევარწრიული აფსიდით. ტაძრის გვერდითი ნაეები, რომლებიც აღმოსავლეთით ოთხკუთხა პასტოფორიუმებით მოაგრდება. ეიწროა და შედარებით დაბალი. თუმცა, აქაც ჩანს მისწრაფება მონუმენტური, ზეატყორცნილი ფორმებისაკენ. ეს მიხანსწრაფვა კარგად გამოიხატა გარე არქიტექტურულ მასებში, სადაც სარკმელთა დიობები დეკორაციული თაღებით შემოსასაღვრულ სიბრტყეებშია გაჭრილი და გვერდით ნაეებში ორ სართულად ნაწილდება. შუა ნაეი ორქანობიანი სახურავით არის გადახურული. გვერდითი ნაეების დამოუკიდებელი გადახურვა ცალქანობიანია (სურ. 144-146).

ტაძრის საერთო დეკორაციულ სისტემაში შედის ფასადების სიბრტყეებზე განაწილებული თაღების რიტმული განეითარება აღმოსავლეთის ფასადზე გამოხატული მათი ზეალმაველი სტრუქტურით. ტაძრის დეკორაციულ სისტემაში შედის აგრეთვე სარკმელთა ორნამენტირებული თავსართები, რომლებიც ძირითადად აღმოსავლეთის ფასადს ამკობს. მსგავსი დეკორაციული სისტემა არ იცის ადრეული შუა საუკუნეების ბაზილიკებმა და იგი პირველად ოთხთა ეკლესიაში გამოისახა.

ტაძრის ინტერიერი მოხატული ყოფილა, რაც დღეისათვის ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. ყურადღებას იქცევს საკურთხეელის სარკმლის სოფიტში გამოსახული დედოფლის ქტიტორული ფიგურა ეკლესიის მოღვლით ხელში. მოხატულობის შესრულების დროდ მიჩნეულია X საუკუნე. ეკლესია აგებულია იმავე საუკუნის შუა ხანებში.

ოთხთა ეკლესია ლაპიდარული და ფრესკული წარწერებითაც იქცევს ყურადღებას. აქ ეხედებით დავით კურაპალატის წარწერას, რომელიც მის მიერ კურაპალატობის პატივის მიღებამდე - 1001 წლამდეა დაწერილი.

შედარებით გეიანი დროის რესტავრაციის პერიოდში ტაძრის დასავლეთით პატრონიკე გაემართავთ. ამგვარად, ოთხთა ეკლესიაში გამოიხატა ის სიახლეები, რაც ადრეული ხანის ბაზილიკებისათვის სრულიად უცხო იყო.

პარხლის ბაზილიკა სამხრეთ საქართველოს ისტორიულ პროვინციაში - ტაოში

მდებარეობს, პარხლისწყლის ხეობაში, მონასტრის ტერიტორიაზე. პარხლის ეკლესიის აშენების თარიღისათვის საყურადღებოა გამოჩენილი კალიგრაფის – იოანე ბერის მიერ შეატბერძში 973 წელს გადაწერილი ოახთავი, რომელიც პარხლის მონასტრისათვის შეუწირავს. სახარების ერთ-ერთ მინაწერში ნათქვამია, რომ ოახთავი „წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა 'ხედა დაიდვა სადიდებლად ღმრთივ გვირგვინოსანისა მეფეთა მეფისა... დავით მაგისტროსისა“. დავითს იმხანად ჯერ არ ჰქონია კურაპალატის პატივი მიღებული და მხოლოდ მაგისტროსი ყოფილა. ამდენად, პარხლის ბაზილიკა 973 წელზე ოდნავ ადრე აშენებულია, როგორც ვარაუდობენ, ოახთა ეკლესიის მსგავსად. X საუკუნის 60-იან წლებში.

პარხალი დიდ მსგავსებას ავლენს ოახთა ეკლესიასთან როგორც შიგა სივრცის ორგანიზაციათ, ისე გარე მასების არქიტექტონიკათ. მათ შორის ის სხვაობა შეინიშნება, რომ პარხლის ბაზილიკის არქიტექტურული მასები უფრო ხაზგასმულად არის 'ხეატყორცნილი. რაც მკაფიოდ გამოიხატება როგორც შიგა სივრცის ორგანიზაციაში, ისე გარე მასების არქიტექტურულ სტრუქტურაში, ხაზგასმულად დაქანებულ ორფერდა თუ ცალფერდა გადახურვაში, ფასადების ხაზგასმულად 'ხეატყორცნილ თაღედებში. ამ ორი ეკლესიის დიდი მსგავსება საფუძველი გახდა იმ ვარაუდისა, რომ ისინი ერთი საერთო ხუროთმოძღვრის ან ერთი არტელის მიერ უნდა ყოფილიყო აშენებული. მათი დიდი მსგავსება გამოიხატა აგრეთვე შიგა სივრცეში სვეტებისა და პილასტრების არათანაბრად განაწილების საერთო წესში (სურ. 147-149).

პარხლის ბაზილიკა ინტენსიურად ნათლებოდა მრავალრიცხოვანი სარკმლით, რომლებიც ორ და სამსართულადაც კი ნაწილდებოდნენ როგორც შიგა სივრცეში. ისე საფასადო სიბრტყეებზე. ფასადებზე დეკორაციულად განაწილებული თაღების გვერდით. მოსართავ ელემენტებად გამოდიან აგრეთვე სარკმელთა თავსართები, შექკული გეომეტრიული დეკორათ, მათში ჩართული ღომის და ფარშევიანგის სკულპტურულად გამოსახული სიმბოლოებით, აქვე, სამხრეთ ფასადზე, წითელი სინგურით გამოუხატავს სარკმელთა თავსართები, რომლებიც ნახატში ნახევარწრიულად თუ წრიულად მოხაზული გასხვიოსნებული მხის შეგრძნებას აღძრავს მნახველსე.

ოახთა ეკლესია და პარხალი X საუკუნის დიდი ზომის ბაზილიკათა რიგში დგება და ისინი არსებითად განსხვავდებიან ადრეული შუა საუკუნეების ქართული ბაზილიკებისაგან შიგა სივრცის და გარე მასების საერთო მონუმენტური, ევრტიკალზე განვითარებული ფორმების არქიტექტონიკით.

ერედეის წმ. გიორგის სახელობის სამეკლესიანი ბაზილიკა მდებარეობს შიდა ქართლში. პატარა ლიახვის ხეობაში, ცხინვალიდან შეიდი კილომეტრის მანძილზე, სოფ. ერედვის ცენტრში. ცხე-გაღაღენით შემოსლულული ეკლესიის ძირითად ბირთვს შეადგენს მოზრდილი დარბაზი მის ოახთვე მხარეს გამართული გარსშემოსავლელოთ. ამით განსხვავდება კიდევ იმ ტიპის სამეკლესიანი ბაზილიკებისაგან, რომლებსაც მხოლოდ სანი მხრიდან აკრავს გარსშემოსავლელები (სურ. 150).

ეკლესიის მთავარი შესასვლელი სამხრეთ ფასადშია გაჭრილი. შედარებით მცირე ზომის მეორე კარი ჩრდილოეთი ფასადის დასავლეთ მონაკვეთშია მოთავსებული.

ბაზილიკის ცენტრალურ ნაეს სამი კარი აქვს. ორით, სამხრეთიდან და დასავლეთი-დან, შუა ნაეში შეედევარს. მესამე კარი, საკურთხეველის მახლობლად, ჩრდილოეთ კედელშია გაჭრილი, საიდანაც ჩრდილოეთ მხარეს მოთავსებულ ერთადერთ პასტოფორიუმში შეედევარს. შიგა სიერცეში კიდევ ერთი კარია მოთავსებული – სამხრეთი გარშემოსაველების აღმოსაველეთ კუთხეში, საიდანაც აღმოსაველეთით გამართულ გარშემოსაველში შეიძლება შესეღა. აქ ოთხი სარკმელია გაჭრილი. სინათლის წყაროს ასეით სიუხვის მოქსი ის იყო, რომ აღმოსაველეთის ამ გარშემოსაველში ექცეოდა საკურთხეველის აფსიდი მისი სარკმლით. ამდენად, საკურთხეველის აფსიდს სინათლის წყარო მხოლოდ გარშემოსაველების სარკმლებიდან შემოსული შუქით უნდა მიეღო და ეს შუქი, საკურთხეველის გარდა, მის ერთადერთ პასტოფორიუმსაც უნდა ჰყოფნოდა.

ინტერიერის განათების წყაროს შეადგენს აგრეთვე ეკლესიის ფასადებზე განწილებული სარკმლები, რომელითა შორის გეხედება წრიული დიობები. შიგა სიერცეში კარის ტიმპანები ირთება აყვავებული ჯერებით და გეომეტრიული ორნამენტით.

სამხრეთი კარის ცილინდრულ სეგტსე, რომელზედაც თავის დროზე ტაძარში შესასეღელის ორსადიანი დიობი იყო გამართული, ამოკეევილია ქართული ასომთავრულით შესრულებული ვრცელი წარწერა. ეკლესია, ამ წარწერის ცნობით, 906 წელს აუშენებიათ აფხაზთა მეფის გიორგი II-ის ძის კონსტანტინეს ზეობაში, ქარსლში ივანე ტბელის უფლობის ჟამს, ნიქოხელი ეპისკოპოსის – სტეფანეს განზრახვითა და შეწეენით.

ეკლესიამ ორი განახლება განიცადა. პირველად შეუკეთებიათ დასაველეთი და ჩრდილოეთი ფასადების ქვედა მონაკეეები, აგრეთვე, ამ კედლების კარნიხები. მეორე განახლება XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მოდის და ეს შეკეეება XIV საუკუნეშიც გადასულა. ეს შეეხო ტაძრის სამხრეთ და ნაწილობრივ დასაველეთ კედლებს. აღნიშნულის მიუხეღავად, ეკლესიამ მანც შეინარჩუნა თავისი თაღბაპირველი სახე.

X-XV საუკუნეების ხეროთმოძვერება

იხტორიული პირობიღვა

აღრევეოდალური ხანის მიწურულს მკეეყარად იცეღება ქვეყნის პოლიტიკური სიტუაცია და ეკონომიკური მდგომარეობა. სამეფოებად და სამთავროებად დაქუცმაცებულ ქვეყანაში საბოლოოდ იმძღაერა გეერთიანების ფარულმა, პოტენციურმა ძაღამ და X საუკუნის ბოლოს რეალობად იქცა. 989 წელს ამ საქმის სუღისსამძღმელი და აღმასრულებელი მეფე ბაგრატ III ამთავრებს აღმოსაველეთი და დასაველეთ საქართველოს გეერთიანებას. ამ დღიდან, როგორც ხანძთელთან ეკითხულობთ, „ქართლად ფრიადი ქვეყანაა აღირიცხების, რომელსაც შინა

ქართულლითა ენისა უამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულებს“.

საქართველოს გაერთიანების საკითხი დააგვირგვინა დაეით აღმაშენებელმა თბილისის აღებთა და ოთხასი წლის შემდეგ მისთვის დედაქალაქობის დაბრუნებით. ამით მთავრდება ქვეყნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება და ფეოდალური მონარქიის აღმავლობა. ამ დროიდან მას, როგორც ძლიერ ქვეყანას, ანგარიშს უწევენ ახლო თუ შორეული ქვეყნები.

ადრე დაწყებული კულტურის მოიელი ფრონტის აღმავლობა X საუკუნის შუა ხანებიდან ამკარაა და მალე აღწევს თავის ხენიტს. ამ მრავალფეროვნებიდან შეიძლება ჩამოეთვალოთ მწერლობა, ისტორიოგრაფია, ფილოსოფია და, რაც ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, არქიტექტურა, მხატვრობა, ოქრომქანდაკეობა და სხვა.

ქართული კულტურის კერები მრავლდება არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც, კერძოდ, წინა აზიის ქვეყნებში, ივკიპტეში, საბერძნეთში, ბულგარეთში და, ვინ იცის, კიდევ სად! ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბულგარეთში, პეტრიწონში ტაოელი გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ XI საუკუნის ბოლოს დაარსებული მონასტერი. იქ მოღვაწე ოთანე პეტრიწონელის ფილოსოფიური ნააზრევით შუა საუკუნეების მსოფლიო შედევრია. ასევე განათლების დიდი კერები, აკადემიები წნდება გელასისა და იყალთოში. იმავე ეპოქაში იქმნება ლეონტი მროველისა და სხვათა ისეთი მატყანეები, რომლებიც საქართველოს ისტორიისათვის ფასდაუღებელია.

დიდა მღვწეები კედლის მხატვრობასა და ხელნაწერი წიგნის გაფორმებაში. ამ დროს იქმნება ფრესკული მხატვრობის ისეთი შედევრები, როგორცაა: ატენის ტაძრის მოხატულობა, გარეჯის უდაბნოს მოხატულობა, გელასის მონასტერი და სხვა. მინიატურებიდან კი შეიძლება დავასახელოთ – შატბერდისეული, ჰადიმის, ჯრუჭის სახარებისა და სხვა ხელნაწერ წიგნთა ძეგლები. ასევე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლიპარიწე პლასტიკა და მინანქარი. VIII-IX საუკუნეებში დაწყებული აღმავლობა X საუკუნის მეორე ნახევარში და მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარში აღწევს თავის უმაღლეს მწვერვალს. აქ ვხედავთ ახლებურ მიდგომას ადამიანის ფიგურის რეალურად გამოსახვაში, რაც ბევრად უსწრებს იმავე საკითხების ევროპულ გადაწყვეტას. ქართული ძეგლების ასეთი ნიმუშებიდან შეიძლება დავასახელოთ იშხნისა და მარტვილის საწინამძღვრო ჯერები, მესტიის საკურთხეულის წინ აღსამართი ჯვარი, გელასის ტონდო და სხვა მრავალი. ხოლო, რაც შეეხება ამ ეპოქის მინანქარს, დღეს უკვე საყოველთაოდაა აღიარებული, რომ მას ხარისხით თუ რაოდენობით მსოფლიოში ბადალი არ ჰყოლია. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ანისხატის ღვთისმშობლის მინანქარი რად ღირს!

განსახილველ ეპოქაში განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის ხუროთმოძღვრებაც საერთოდ და კერძოდ საკულტო. ესაა მეორე აღორძინების ხანა, როცა წარმოიქმნა ახალი სტილი, რომელიც ცხოველხატული, ანუ ბაროკოს სახელითაა დამკვიდრებული. მისი აღმავლობის პერიოდია X საუკუნის მეორე ნახევარი და XI საუკუნე. მაგრამ მან სიცოცხლე გააგრძელა მომდევნო საუკუნეებში და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა.

ეს მკორე აღმავლობის პერიოდი, ზემონამოთველილის გარდა, ეხება ქალაქებსაც. ესაა ახალი ქალაქების წარმოშობის ეპოქა, როდესაც აგრეთვე არსებობას განაგრძობს აღრე წარმოშობილი ქალაქების დიდი უმრავლსობა.

ნაბაზუგათა სახეობი

საქართველოში არქიტექტურულ ნაგებობათა სახეები მრავალფეროვნებით ხასიათდება, მაგრამ მათი დიდი უმრავლსობა ცუდადაა შემორჩენილი და ხშირად სათანადო დონეზე შესწავლილიც არ არის. მიუხედავად თქმულისა, მაქსიმალურად ჩამოუყვლითა სახეობებს და შემდეგ, მონაცემებზე დაყრდნობით, განვიხილავთ მათ.

სახეობებიდან პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ გამაგრებული ქალაქები თაიისი მრავალფეროვნებით. აქ შეეა როგორც ქვეყნის ცენტრი, ისე საეკატრო და საფეოდალო დიდი და პატარა ქალაქები ყველა თაიისებურებით. წესით, აქვე დიდი ადგილი უნდა დაეთმოს საცხოერებელ სახლებს და მეფე და ფეოდალთა სასახლებს, მაგრამ შემორჩენილი ძეგლების რაოდენობა მეტად მცირეა. ასევე მცირე მონაცემები გვაქვს ქალაქებისათვის დამახასიათებელი ისეთი ნაგებობებისათვის, როგორცაა ბაზრები, ქარვასლები, ქსენონები და სხვა. ფეოდალურ ქვეყანაში ყოველთვის მთავარი ყურადღება ეთმობოდა ქალაქის გამაგრებას. გალაგანი და მასში შემავალი კოშკები თავდაპირველი სახით არსადაა შემორჩენილი, მაგრამ საერთო სურათის წარმოდგენა ხერხდება.

ქალაქებსა და ფეოდალთა რეზიდენციებთან იყო დაკავშირებული კომუნალური მომსახურების ისეთი ნაგებობები, როგორცაა აბანოები. ამ სახის ნაგებობები საკაოდაა გადარჩენილი, ამიტომ მათი აქ განხილვა მოსაშეწონილია.

აქვეა ქვეყნის დაცვის საკითხი და მასთან დაკავშირებული თავდაცვისი ნაგებობები. მსოფლიოს ყველა ფეოდალური ქვეყნისათვის დამახასიათებელია საერთო დანიშნულების ციხეები, ფეოდალთა ციხე-დარბაზები, ცალკეული კოშკები და სხვა.

შუა საუკუნეების ყველა ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დათმობილი საკულტო ნაგებობებს. სხვა სახის ნაგებობებთან შედარებით, ეკლესიები და სამონასტრო კომპლექსები უკეთაა მოღწეული, ამიტომ ნაგებობათა ამ სახეობის განხილვას ამ წიგნში საკაო ადგილი დაეთმობა. აქვე უნდა განვიხილოთ ქსენონებიც, რადგან ამ სახის ნაგებობა, ჩვეულებრივ, მონასტრებთან იყო დაკავშირებული.

შუა საუკუნეების საქართველოს კულტურული ცხოერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ შენობებს, სადაც აკადემიები იყო განლაგებული. ასეთი დანიშნულების ნაგებობებიდან დღემდე მოაღწია გელათისა და იყალთოს აკადემიებს. მათ გარდა, კახეთის დედაქალაქში - გრემში არის კადვე ერათ XVI საუკუნის შენობის ნაშთი, რომელსაც ტრადიციით აკადემიას ეძახიან.

ქართული არქიტექტურის ვრცელ მონაკვეთს წარმოადგენს სიმაგრეები. შემორჩენილია ამ სახეობის მრავალი ნიმუში, განსაკუთრებით ეს ითქმის გვიან საუკუნეებზე. შემოსეული მტერი, უპირველეს ყოვლისა, სიმაგრეს გეინგრევდა. ამიტომ სიმაგრეთა ერთი ნაწილი მომსპარია, ხოლო დანარჩენი ძალიანაა დაზიანებული, მაგრამ მათი ტიპების წარმოდგენა მაინც ხერხდება.

ნაგებობათა სახეები, ალბათ, კიდევ სხეაც იქნება, მაგრამ გამორჩეულად უნდა შევეხეთ ხიდებს. ადრეული საუკუნეების ხიდები არაა. შემორჩენილი, მაგრამ დარჩენილია შუა და გვიანი ფეოდალური ხანის რამდენიმე ნიმუში. ზოგიერთის გარდა, ყველა ეს ხიდი ერთთაღიანია.

საკულტო ხერო(თ)მოძღვრება

ზემოთ მოკლედ არის დახასიათებული ხუროთმოძღვრების ის მრავალსახეობა, რომელიც გვხვდება როგორც ამ ეპოქაში, ისე მთელ მომდევნო საუკუნეებში, შუა საუკუნეების ბოლომდე. საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის განხილვას დავიწყებთ საკულტო ნაგებობიდან, რადგან იგი სხეებსე მეტია შემორჩენილი და უკეთადაა შესწავლილი.

X-XII საუკუნეების ტაძრები

შუა ფეოდალური ხანის საკულტო ხუროთმოძღვრებაში თვისობრივი გარდატეხა ხდება X საუკუნის შუა ხანებიდან. ამ ეპოქის შემოქმედნი კარგად იცნობენ წინა ეპოქების მსაწვეებს, მაგრამ მათზე უარს ამბობენ და იწყება ძიების ახალი ხანა. ამ სიახლეში კარგად ჩანს წინაპართა შედეგების ცოდნა და საერთო თავისებურებების შემოქმედებითი გაგრძელება. შესანიშნავი ის არის, რომ ეს არ არის საკითხისადმი რომელიმე რეგიონის ლოკალური მიდგომა, არამედ ეს ხდება ყველგან, მთელ ქვეყანაში. ახალი სტილიზაცია მოედო მოლიანად საქართველოს, ერთი მხრივ, აქამდე აღწევს V საუკუნეში წარმოშობილი ბაზილიკის თემა, მაგრამ ახალი შემოქმედისათვის ეს არ არის პრობლემა. კერძოდ, იგი აგებს სამნაწიან დიდ და კარგ ეკლესიებს, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ ბაზილიკის პრობლემა მას არ აწუხებს, იგი მხოლოდ დამკვეთის სურვილს ასრულებს პირნათლად. ამ ეპოქის ხუროთმოძღვარი ახალი სტილით, განსხვავებული თემატიკითაა შეპყრობილი.

შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების განვითარებაში სახეებითა და ტიპებით განსაკუთრებით მდიდარია ორი ეპოქა: პირველი – ესაა VI-VII საუკუნეები, ხოლო მეორე – X-XI საუკუნეები. ამ პერიოდის ხუროთმოძღვრების ამ სახეთა მრავალფეროვნებაში ქართველის უმრეტე ფანტაზია ჩანს. აქაა, ერთი მხრივ, გრძივი ჯერული გეგმის მქონე კომპოზიციები, ხოლო მეორე მხრივ, წრეს მიახლოებული,

მრავალაფსიდიანი. პირველი სახეობა იწყება ოშკის, ხოლო მეორე – კუმურდოსა. ორივე აგებულია X ს-ის 60-იან წლებში, რაც შემთხვევითი არ არის. მთელი მომდევნო 50-60 წლის განმავლობაში ხდება ამ ფორმითა ვარირება. პირველმა, გრძივ ღერძზე აგებულმა კომპოზიციამ, დიდხანს იარსება, ხოლო მეორემ, მრავალაფსიდიანმა კომპოზიციამ – სულ რაღაც 6-7 ათეული წელი.

შუა ვეოდალური ხანის პირველ მონაკვეთში არსებულ საკულტო ნაგებობათა სახეობებიდან ჯერ განვიხილავთ იმ ოთხ დიდ კათედრალს, რომლებიც ამშვენებენ არა მარტო ამ ეპოქას, არამედ შუა საუკუნეების საქართველოს მთლიანად. ესენია: ოშკი, ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი და ალავერდი. მათში ჩანს არა მარტო ეპოქის სიდიადე, არამედ საქართველოს საკმაოდ დაშორიშორებული რეგიონების იდეური ერთიანობა, რაც მეტად საინტერესოა ახლად გაერთიანებული ქვეყნის მილიანობის წარმოსადგენად. პირველი მათგანი, ოშკი, ღვას სამხრეთ საქართველოს განაპირას, ტაოში, მეორე – მაზინდელ ცენტრში, ქუთაისში, მესამე – კულტის მსახურების ცენტრში, კათალიკოსის რეზიდენციაში – მცხეთაში, ხოლო მეოთხე – აღმოსავლეთის განაპირას, კახეთში, ალაზნის ველზე. მიუხედავად ეკლესიების ასეთი დაშორიშორებისა, მათში აშკარად ჩანს ერთი სტილის მრავალჯეროვნება.

ოშკი. IX-X საუკუნეების დანაწევრებულ საქართველოში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტაო-კლარჯეთის სამთავროს. არაბთა ბატონობის დროს დაქვეითებულ ქვეყანაში პირველი გამოცოცხლება როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე კულტურის ყველა სფეროში ტაო-კლარჯეთიდან იწყება. დიდი აღმავლობა შეიმჩნევა არქიტექტურაში, კედლის მხატვრობაში, ჭედურ ხელოვნებაში, სკულპტურაში, მინიატურაში და მრავალ სხვა დარგში. ასეთი აღმავლობა უშუალოდ დაკავშირებულია ახალი ქართული სახელმწიფოს ფორმირებასთან. საერთოდ, კულტურისა და კერძოდ, სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრების სათავესთან იდგა ისეთი ცნობილი მოღვაწე, როგორიც იყო გრიგოლ ხანძაელი (759-861 წწ.). ეს დიდი მოაზროვნე და შემოქმედი წამომწყები და დამამკვიდრებელია მრავალი სიკეთისა. მან კეთილი გავლენა მოახდინა ისეთ დიდ სახელმწიფო მოღვაწეებზე, როგორებიც იყვნენ აშოტ კურაპალატი და მისი მემკვიდრეები. ბაგრატიონთა ამ ახალი შტოს ბრძოლები აღმავლობისაკენ. ქვეყნის გაერთიანებისაკენ ისეთ პოტენციალს შეიცავდა, რომ მისი შექერება ევრაზიასამა გარეშე ძალებმა ვერ შეძლეს. კერძოდ, გრიგოლის მოღვაწეობის შედეგაა, ცხადია, აშოტ კურაპალატის ხელშეწყობით, კულტურის ისეთი სამონასტრო კერების დაარსება, როგორიც იყო ხანძთა, ოპიზა, შატბერდი და სხვა.

გრიგოლს, რომელიც კლარჯეთის მონასტრების არქიმანდრიტი გახდა, სიცოცხლეშივე გაუხნდა მრავალრიცხოვანი მოწაფე, რომელთა მიმდევრებმა მომდევნო საუკუნეები მოიცვა. იგება ტაძრები, ოქროცხრები და სხვა. იხატება და ირთვება ხელნაწერები და კიდევ მრავალი სხვა.

ამ დიდი აღმავლობის დამაგვირგინებელია ოშკის ტაძარი ტაოში (სურ. 151-158, 265). ტაძარი აღმართულია თორთუმის წყლის მაღალ ნაპირზე, მეტად

მიმხიდველ ბუნებაში მდებარე მონასტერში. აქ გარდა ტაძრისა, შემორჩენილია ორი პატარა ეკლესია, სემინარია-სატრაპეხო და სხვადასხვა ნაგებობათა ნანგრევები. ტაძრის კედლებზე შემორჩენილი ოცზე მეტი წარწერით ღვინდება, რომ მონასტრის დამაარსებლები არიან ამ მხარის მფლობელო ბაგრატიონები – ბაგრატ ერისთავთ-ერისთავთა და დავით მაგისტროსი (შემდეგში – კურაპალატი, საქართველოს გაერთიანების საქმის დიდი მოამაგე). მშენებლობას უძღვებოდა და ალბათ, ტაძრის აუტორიც იყო გრიგოლი. მისი რელიეფური გამოსახულება შემორჩენილია ტაძრის სამხრეთის გალერეის ერთ-ერთ სვეტზე. ხოლო ქტიტორთა გამოსახულებები ჩართულია ტაძრის სამხრეთის ფასადის „ეიდრების“ კომპოზიციაში. ტაძრის კედლებზე არსებულ წარწერათა შეჯერებით ღვინდება, რომ იგი აგებულია 963-973 წლებს შორის.

ოშკის ტაძარი ტრიკონქის ტიპისაა. ესაა გრიფი შენობა, სადაც ჯვარი გამოსახულია შიგნით და გარეთ. შიგნით ჯვრის სამი მკლავი აფსიდალურია, ხოლო მეოთხე, დასავლეთისა – სწორკუთხა. აქვე უნდა აღენიშნოს, რომ ეს ტიპი ამ რეგიონში – სამხრეთ საქართველოშია წარმოშობილი, შემდეგ იგი გავრცელდა იმერეთსა და კახეთში.

ოშკის სამი მკლავი შიგნით თითქმის ერთნაირადაა გადაწყვეტილი. თითოეული მკლავი შედგება აფსიდისა და მის გვერდებზე თითო სადგომისაგან. თვით კომპოზიცია მჭორდება მჭორე სართულზე. მათ სხვადასხვა დამხმარე დანიშნულება ჰქონდათ. ყველა სადგომი ნათდება თითო სარკმლით, გარდა საკურთხელოს აფსიდისა, სადაც სამი სარკმელია. დასავლეთის გრძელი მკლავი თავებზე დაყრდნობილი ცილინდრული კამარითაა გადახურული. ამ მკლავის გვერდები განსხვავებულადაა გადაწყვეტილი. ჩრდილოეთის მთელ სიგრძეზე ორსართულიანი დახურული სათაფლები მდებარეობს, ხოლო სამხრეთის მხარეს სვეტებით ორ რიგად გაყოფილი გალერეაა.

ინტერიორში ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე აღმართულ ოთხ მძლავრ სვეტს ეყრდნობა გუმბათი, რომელიც შიგნითაც და გარედანაც ცილინდრულია. სვეტები უჩვეულოდ მძალი, პროფილირებულ ბაზისებს ეყრდნობა. შიდა კედლების ფრესკული მხატვრობიდან მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი.

ოშკის ტაძარი პირველია შუა საუკუნეების ეკლესიებიდან, რომელსაც, როგორც შიგნით, ისე გარეთ ეტყობა ახალი ეპოქის დადგომა. აქ პროპორციები მძალი, „სეზიდულია“. კორპუსისა და გუმბათის შემართულობა აშკარაა წინა საუკუნეებთან შედარებით. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ოშკის გენიალური ხუროთმოძღვარი ფასადების მორთულობის ახალი სისტემის საბოლოოდ წამომყალიბებელია, მან მომდევნო თაობებზეც შესამჩნევი გავლენა მოახდინა.

ტაძრის ფასადების დიდი მასა თითქოს ერთი დეკორატიული ვრცელი პანოა, თვალში გვემართა თაღები და რელიეფის სიმრავლე. ამ მრავალფეროვნებაში ერთგვარი სიმშვიდე შეაქვს სამ მხარესე შერეული ჯვრის მკლავებს, ისინი ერთნაირად ხუთხუთი თაღითაა შემკული. თავისთავად კი ხუთი თაღის პირამიდული დალაგება მოუხსენსობის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც სწორედ ამ ეპოქის ახალი, ცხოველხატული სტილის უპირველესი ნიშანია. იმავე სტილის გამოვლენაა თაღებში თრ-ორი ღრმა და მძალი ნიშების ჩართვა. ამ ნიშებში ჩრდილ-სინათლის საშაშის

გამო მოიღო დღის განმავლობაში ფასადების სახე მუდმივ ცვალებადობაშია. ამავე მისანს ემსახურება სამხრეთის ფასადის მარცხენა მონაკვეთის თაღოვანი გალერეა ხერხისებური სახურავით. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს სამხრეთ ღია მოსუქურთმებული კარიბჭე.

ტაძრის მასიურ კორპუსს აგვირგვინებს ცილინდრული გუმბათი. ესეც ეპოქის სიახლეა. რადგან ადრე მხოლოდ წახნაგოვანი გუმბათი გვხვდებოდა. ახალ, ცხოველხატულ სტილს ცილინდრის „მოცურავე“ ზედაპირი შეჰფერის. აქედან მოიქცეული, გუმბათის ეს ფორმა კარგა დიხანს დამკვიდრდა.

გუმბათის ზედაპირი 24 თალითაა დამუშავებული, თაღებში, ერთის გამოკლებით, სარკმელია გაჭრილი. იმავე რაოდენობის თალითაა დამუშავებული იქვე, შორიახლო მდებარე ენობათის გუმბათი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ სარკმელი ოთხია.

გრიგოლ ოშკელი ნოვატორია ტაძრის რელიეფური სკულპტურით მორთვის საქმეშიც. მისი მიდგომა პრინციპულად განსხვავდება VI-VII საუკუნეების ეკლესიასა რელიეფით მორთვისაგან. იქ თუ ძირითადი განსასხვავებელი აქცენტები ფასადებზე კვიდება. აქ, როგორც გარეთ, ისე ინტერიერშიც, მრავალფეროვნებაა. ოფიციალურ, საკულტო და ქტიტორთა გამოსახულებების გვერდით უამრავი ჟანრული სურათია. წინა ეპოქების რელიეფთან შედარებით, აქ, გარდა იმისა, რომ მეტად ცოცხალი სურათებია გამოსახული, შესამჩნევია ჰორელიეფური გამოსახულებებიც. ქართული ქანდაკების ისტორიაში X საუკუნის მეორე ნახევარი და მომდევნო საუკუნის პირველი ნახევარი სამყაროს რეალისტურად ასახვის მიმართულებითაც აღმავლობის ხანაა. შუა საუკუნეების მოელ სივრძესე სამყაროს ასახვა ქართულ ქანდაკებაში ამასე მაღლა არ ასულა.

ოშკის სამხრეთის გალერეის მრავალრიცხოვანი რელიეფებიდან, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ სვეტზე გამოსახული მუხლმოყრილი, ხელბაპურობილი მამაკაცი, რომელიც, წარწერის მიხედვით, არის გრიგოლი, მშენებლობის ზედამგომელი, ხურთთმობღვარი. მკვლევართა აზრით, იგი უნდა იყოს ლიტერატურის ისტორიაში ცნობილი მრავალმხრივი ფიგურა – გრიგოლ ოშკელი.

ოშკის რელიეფებში გამოირჩევა „ეღერების“ კომპოზიცია, რომელიც სამხრეთის ფასადის მარჯვენა მონაკვეთზე მდებარეობს. აქ თითქმის ნატურალურ ზომებში პორელიეფური ტიქნიკით შესრულებული ხუთი ფიგურაა: ცენტრში ტიპური სცენაა – შუაზე ქრისტე, მარცხნივ მარიამი და მარჯვნივ – იოანე ნათლისმცემელი. კომპოზიციას მარჯვნივ ამოაფრებს ბაგრატ ერისთავი-ერისთავი და მარცხნივ – დავით მაგისტროსი. ორივეს, როგორც დამკვეთებს, ხელში გუმბათოვანი ეკლესიის მოდელები უჭირავთ. მათ მდიდრულად მორთული სამეფო ტანსაცმოსი აცვიათ.

სხვა მრავალრიცხოვანი რელიეფიდან აქ აღვნიშნაოთ წმ. ნინოს გამოსახულებას ისევე სამხრეთ გალერეის ერთ-ერთ სვეტზე. ეს რელიეფი იშვიათობას წარმოადგენს.

ტაძრის ოთხივე ფასადზე, აღნიშნულის გარდა, უამრავი რელიეფია – ანგელისების, ფრინველების, ცხოველების და სიუჟეტური კომპოზიციებია. ასევე, მრავალფეროვნებით ხასიათდება ფასადების მომრთავი ჩუქურთმა. ჩუქურთმის ზოგი მოტივი აქვე იღებს სათავეს.

X საუკუნის პირველი ნახევრის ქრისტიანული რელიგიების კარგ ნიმუშად ილუსტრაციებში მოგვყავს ბარილიფი ოპისიდან. აქ ორ სიბრტყეში გამოკვეთილია ეკლესიის მოდელი, რომელსაც ქრისტე აკურთხებს. ქრისტეს გვერდით ვედრების პოზაშია მცვე დათი II (923-937 წწ.), ხოლო ეკლესიის მოდელი ხელში უჭირავს აშოტ IV-ს (+ 939 წ.).

ქუთაისის ბაგრატის ტაძარი. ტრიკონქის ტიპის ქრონოლოგიურად მომდევნო ტაძარი აღმართულია ქუთაისში. აგებულია საქართველოს გამაერთიანებელი მეფის, ბაგრატ III-ის მიერ. ჩრდილო ფასადის მთავარი სარკმლის გვერდით ასეთი წარწერაა: „ოდეს განიმტკიცნა, იატაკი, ქორონიკონი იყო 223“. ამ თარიღს ქრისტიანულ წელთაღრიცხვაზე თუ გადავიყვანთ (223+ 223), მივიღებთ 1003 წ. აქედან შეიძლება დაეასკენას, რომ ტაძრის მშენებლობა X საუკუნის ბოლოს იყო დაწყებული, ხოლო დამთავრდა, ალბათ, 1003 წლის ახლო პერიოდში. ზემომოყვანილი ქორონიკონი იმით არის საინტერესო, რომ აქ, საქართველოს სინამდვილეში, პირველადაა გამოყენებული არაბული ციფრები. ტაძრის აგება დიდი ზემოთ აღუნიშნავთ. „მატიანე ქართლისას“ ავტორი ასე წერს: „ამანვე აკურთხა ეკლესია ქუთაისისა, განგებისა დიდისა და მოუწოდებელთა. რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთა მოძღვარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქვემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მეოფნი და სხუთა ყოველთა სახელმწიფოსაგან“.

მეფე ბაგრატ ასეთი დიდებული ტაძრის აგება სახელმწიფო დონეზე აუყვანია. მოუწვევია მესობელი ხელმწიფენი, კათალიკოსნი, მღვდელთა მთავრები და მრავალნი დიდებულნი. ტაძარი ისეთი დიდებულია, რომ იგი ყველაფრის ღირსი იყო.

ასეთმა ბრწყინვალე ძეგლმა ჩვენამდე მეტად დასაინებულად მოაღწია. თურქმა დამპყრობლებმა 1691 წ. იგი ააფეთქეს, რის დროსაც მთლიანად ჩამოინგრა გუმბათი და გადახურვა.

ტაძარი აღმართულია რიონის მარცხენა ნაპირზე, მაღალ მთაზე (სურ. 159-162). მისი თავდაპირველი ნაგებობა ტრიკონქია, მაგრამ ოპკისაგან განსხვავებული გეგმით. აქ ყველაფერი ერთ სწორკუთხედშია მოქცეული, მხოლოდ გვერდითი აფსიდებია შეერთილად. ოპკთან შედარებით, მკლავები გამარტივებულია, მხოლოდ აფსიდებია.

საკურთხევლის აფსიდის გვერდით საკურთხევლის საფუძვლებში სადიაკვნე და სამკვეთლოა გამართული, ხოლო მათ მეორე სართულს სხვადასხვა დანიშნულებისათვის იყენებდნენ. დასავლეთის მკლავი მრავალფეროვანია. მისი წინა ნაწილი სამნავიანია. გვერდითი ნაგების მეორე სართულზე პატრონიკები იყო გამართული. უნდა ვიფიქროთ. შენობის შიდა ხილვით სივრცეს აგვირგვინებდა ოთხ ძლიერ ბურჯზე აღმართული გუმბათი. გვერდითი ჯერის გამოიღო მკლავებთან ერთად, იგი, ალბათ, საოცარ მითაბეჭდილებას ტოვებდა. სამწუხაროდ, დღეს შემორჩენილია მხოლოდ მდიდრულად მოწყობილი ნანგრევები, რელიეფების დამშენებული კაპიტლები და სხვა ფრაგმენტები.

ბაგრატის ტაძარი, თავისი იმპონანტური გარეგნობით, მიუხედავად ძლიერი დაზიანებისა, არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენს. ფასადების ღირდი ნაწილი ამ

ბოლო წლებში რესტავრირებულია, აკლია გადახურვა და გუმბათი. მიუხედავად ასეთი დანაკლისისა, მაინც დიდია ამ ნატიფი ნაგებობის ხიბლი. ფასადების უწყვეტი თაღებით მორთვაში ჩანს ხუროთმოძღვრის საოცარი არტიზტიზმი. აქ ყველაფერი დინამიკურია, ყველაფერი სტილის ცხოველხატულობას ექვემდებარება.

ტაძრის გარეთა მასებში ეკლესიის თავდაპირველი სახე მხოლოდ აღმოსავლეთის მონაკვეთში აღიქმება. დაწყებული გვერდითი შევილი ნაწილებიდან, დასავლეთით მრავალი ნახარდია. მათ ქრონოლოგიურად თუ მიეყვებათ, პირველია კოშკი, მიშენებული ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში. ეს სამსართულიანი ნაგებობა, აღბათ, ეპისკოპოსის საცხოვრებელს წარმოადგენდა. ის, სავარაუდოა, ტაძრის აგებისთანავე ააშენეს. სულ მოკლე ხანში სამხრეთით და დასავლეთით ტაძარს დაემატა საოცრად მოხდენილი კარიბჭეები. ამ კარიბჭეთა მორთულობა, ძირითადი ტაძრის მორთულობასთან შედარებით, უფრო მდიდრული და მრავალფეროვანია. ჩუქურთმამ და რელიეფმა მას სიცხოველე შესძინეს. ეს იმიტომ, რომ იგი აგებულია უშუალოდ ტაძრის აგების მომდევნო პერიოდში, როცა ცხოველხატულობა სენიტიში ადიოდა.

ეკლესიის ირგვლივ მიშენებლობა ამასე არ შეჩერებულა. მომდევნო პერიოდში შეიქმნა აფსიდების ხაზზე ტაძრის დასავლეთის მონაკვეთი სამივე მხარეზე ღია გალერეის შეესო. ეს ახალი მონაკვეთი დიკონოტულობით ეპოქის სიმბოლურება.

დასკვნის სახით, ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბაგრატის ტაძარი ხელოვნების უმაღლესი დონის ქმნილებაა, იგი ერის სიამაყეა.

ალავერდი. აღასნის ევლსე თეთრი გედიეთ ყელიმოღერებული დგას ალავერდის ტაძარი. იგი კახეთის სამეფოს აღსეეების დროინდელი, XI საუკუნის პირველი მეოთხედის ნაწარმოებია. ალავერდი საქართველოს უდიდესი კათედრალურიდან (ოშკი, ბაგრატის ტაძარი, სეეტიცხოველი, ალავერდი) ბოლოა. მას სიმბოლური სენიტი ბადალი არა ჰყავს. მისი სიმბოლური გუმბათის კონუსის ჩათეღით, 50 მეტრს აღემატება (სურ. 163-165).

ტრიკონქის ტიპი მაღალ რანგზე აიყვანა. ოშკის აეტორმა. მან, როგორც ცხოველხატული სტილის დამამკვიდრებლებიდან ერთ-ერთმა პირველმა, აასამაზა ყველა ფერი. მის მიერ შექმნილმა გეგმის მრავალფეროვნებამ ინტერიერის კომპოზიცია და ფასადების მორთულობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აამღერა“. აქ ყველაფერი მოძრაობს, მაგრამ ისე, რომ ჰარმონიას ემორჩილება. ბაგრატის ტაძრის აეტორი საერთო კომპოზიციას გვერდითი მხარეების გამარტეებით უფრო კრავს. ალავერდის ხუროთმოძღვარი ამ მიმართულებით უფრო შორს მიდის. მან გვერდით შევილებზე უარი თქვა და შენობა ერთ სწორკუთხედში მოაქცია. ამით ერთგვარად დაიხეიწა როგორც ინტერიერი, ისე ექსტერიერი.

ალავერდი სხეა მხრივცაა გამორჩეული. წრომის ტაძრის შემდეგ სენ არ გეგმულია სხეა ტაძარი. გარდა ალავერდისა, სადაც ინტერიერში ადამიანი ასე თაისუფლად სუნთქავდეს.

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ აქ VI საუკუნის მეორე ნახევარში 13 ასურელი მამიდან იოსებ ალავერდელია აავო ტაძარი (მისი ნაშთები სულ ახლახან

ადმოიანის არქეოლოგიებმა). შესაძლოა, იგი ააგეს წარმართული სამლოცველოს ადგილზე. ქრისტიანობის დამკვიდრების მისწი.

ტაძარი ბევრჯერ დაზიანებულა, პირველი დიდი მასშტაბის დაზიანება მომხდარა XI საუკუნის ბოლოს. ჩამონგრეული გუმბათი და სხვა დაზიანებები აღუდგენია დავით აღმაშენებელს XII საუკუნის დასაწყისში. ამის შემდეგ ტაძარი არაერთხელ დაზიანებულა, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩევა დიდი ნგრევა XV საუკუნის ბოლო მეოთხედში. ჩამონგრეულ გუმბათს თან ჩაუტანია ჩრდილო-დასავლეთის მხარე. აღდგენა არ დაუყოვნებამთ კახეთის მეფე ალექსანდრე I-ს და დედოფალ ნესტან-დარეჯანს.

დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარებიათ XV -XVI საუკუნეთა მიჯნაზე. ამ დროს აგურით, აღუდგენიათ გუმბათქვეშა თაღები, გუმბათი და ჩრდილოეთის მხარე. ამ აღდგენით სამუშაოებს საერთო ფორმები იკრთადად არ დაურღვევია. კერძოდ, შესამჩნევია ჩრდილოეთის პატრონიკეს მიწლა. ტაძარი 1742 წელსაც ძლიერ დაზიანებულა, მაგრამ მალე აღუდგენიათ აგურით. უფრო გვიან, XIX საუკუნის ორმოციან წლებში რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებამ შიგნით და გარეთ კედლები შეათეთრა. 1960-იანი წლებიდან იწყება ამ შეღესილობისა და შეთეთრების მოხსნა. შიდა კედლებზე აღმოჩნდა თავდაპირველი ფრესკის კარგად შენახული ნაწილები. სადაც გასოილანდა მეტად საინტერესო წარწერები და მეფეთა პორტრეტები.

ტაძრის შიგნით, ცენტრში, ჯვარი აშკარადაა გამოკეცილი. აქაც სამი მკლავი აფსიდით მთავრდება, ხოლო მეოთხე, დასავლეთისა, სწორკუთხაა და არაა ისეთი გრძელი, როგორც ოსკში და სვეტიცხოველში. საკურთხეველი აქაც ჯრმა ბემითაა. გვერდითი აფსიდები კი შედარებით მოკლეა. საკურთხეველის გვერდითი სათაქსები, საღიაკენე და სამკვეთლო აფსიდებით მთავრდება. ამ მონაკვეთს მეორე სართულებიც ახლავს. რომლებიც თითო თაღოვანი სარკმლით გადის ცენტრალურ სივრცეში. დასავლეთის მკლავი გვერდით ნაეებს ორ-ორი დიდი თაღით უერთდება. ამ ნაეების მეორე სართულებზე პატრონიკება განლაგებული. ისინი შიდა სივრცეს ვიწრო თაღოვანი ღიადებით უერთდებოდნენ (შეკეთების შემდეგ ჩრდილოეთისა აღარაა).

ალავერდის ხუროთმოძღვარმა გუმბათქვეშა სივრცის შექმნაშიც, წინა სამი საკათედრო ტაძრის ავტორებისაგან განსხვავებით, ახლებური გადაწყვეტა შემოგვთავაზა. მან უარი თქვა გუმბათქვეშა საყრდენების გამოყოფაზე. აქ ორი მათგანი შერწყმულია საკურთხეველთან, ხოლო მოპირდაპირე ორი – დასავლეთის მკლავთან. გუმბათქვეშა თაღები შეისრული ფორმისაა, ხოლო გუმბათი თექვსმეტსარკმლიანა და მკლავი. რესტავრატორი ამ შემთხვევაშიც თავისი ეპოქის პრინციპებიდან გამოდის, თორემ XI საუკუნის დასაწყისში არც 16 სარკმელი იყო მიღებული და არც ასე მკლავი გუმბათი.

ტაძრის გარეგანი კომპოზიცია და საერთო სახე, სვეტიცხოვლის მაგვარად. დაკარგული აქვს. XI საუკუნის ხუროთმოძღვრის მიერ ჩაფიქრებული სამსაფეხურიანი კომპოზიცია დაირღვა XIX საუკუნის შუა ხანებში. რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებამ იმის მაგიერ, რომ სამხრეთისა და ჩრდილოეთის დაზიანებული სტოები აღედგინა, ისინი მოხსნა, მიწასთან გაასწორა. ამით ტაძ-

რის ქვედა კორპუსი გაშიშვლდა და შენობის პროპორციები აშკარად შეიცვალა.

ტაძარი შემოსილი იყო შირიმის თლილი ქვით. ფასადების მიმართულების ძირითადი ელემენტი, თაღები, საედაპირველ სამ ფასადზე შერჩენილია. აღმოსავლეთის ფასადი აქაც აღმავალი თაღებითაა შორაული. ფასადის სიბრტყეს, თაღითან ერთად, მრავალფეროვნებას მატებს ღრმა და მაღალი ორი ნიშა. სვეტიცხოვლის დეკორაციული თაღებისაგან განსხვავებით, ლილვების მოძრაობა უფრო მრავალფეროვანია. ცენტრალურ თაღს მალა, გვერდებზე, გამოეყოფა წრებით დამსაფრებელი თითო თაღი და ცენტრში ლილვებით მჯდებული ჯებრი. თაღებითაა დამუშავებული სახურავის ზემოთ ქვედა კორპუსის ჯერის მკლავების გვერდები. ეს დეკორაციული მოტივი, ალავერდთან ერთად, XI საუკუნის პირველი ნახევრის ისეთ ძეგლებში გვხვდება, როგორცაა სვეტიცხოველი და სამთავისი. მან თითქმის კიდევ ასი წელი გაძლო. ფასადებზე, როგორც ეს კახეთის ძეგლებზე გვხვდება, ჩუქურთმა ძალიან ცოტაა.

გუმბათის ყელის მორთულობა მთლიანად XV-XVI საუკუნეების ძეგლებში პოულობს ანალოგებს.

სვეტიცხოველი. მცხეთაში მდგარი საკათალიკოსო ტაძარი, ქრისტიანობის დამკვიდრებიდან დღემდე, წარმოადგენს საქართველოში სარწმუნოებრივი ცხოვრების ცენტრს. იმავე დროს, ის არის ყველაზე დიდი სომის და მაღალი გემოვნებით შესრულებული ხუროთმოძღვრული ნაწარმოები (სურ. 166-171).

წერილობით წყაროებით და გადმოცემებით, ქართლის მოქცევის შემდეგ იმ ადგილას, სადაც „სვეტი ცხოველი“ იყო აღმართული, წმ. ნინო ეკლესია ააგო. ბოლო წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგად სვეტიცხოვლის ტაძრის შიგნით, სამხრეთის მხარეს, აღმოჩნდა ამ ხის ეკლესიის ნაშთი, მის ნანგრევებზე ეახტანგ გორგასაძემ V საუკუნის ბოლოს ააგო დიდი სომის სამნავიანი ბაზილიკა, ოთხი წყვილი სვეტი. ეს საპატრიარქო ტაძარი XI საუკუნის დასაწყისისათვის დანგრეულა და მის ადგილზე ახალი ტაძრის აღმართვა განუხრახავი.

აღმოსავლეთის ფასადის წარწერთა და ისტორიული მონაცემებით, ტაძარი აგებულია 1010-1029 წლებს შორის დიდი მოღვაწე მელქისედეკ კათალიკოსის მიერ. ხუროთმოძღვარი ყოფილა გენიალური შემოქმედი არსუკისძე. ორივე მოხსენიებულია აღმოსავლეთის ფასადის წარწერაში. ხოლო ხუროთმოძღვარი მეორედ იხსენიება ჩრდილო ფასადზე, მალა, შუა თაღის ქვეშ. ოსტატის მარჯვენისა და გონიოს გამოსახულების გვერდით წარწერა ასეთია: „ელი მონისა არსუკისძისაა შეუნდეთ“.¹

სვეტიცხოველი გვერდით გრძელი ოთხკუთხედიანია. მეორედ მანუებელ არსუკისძეს ეახტანგისეული ბაზილიკის კედლები გამოუყენებია დასავლეთის ნაწილში, რისადაც მისი შიდა სივრცე შეესაბამება, იგი ვიწრო და მაღალი პროპორციებისაა. იმავე სტილში აგებული ოშკის, ბაგრატის და ალავერდის ტაძრების შიდა სივრცეები მასთან შედარებით ერცვლია და ხალვათია, შიგ საფეხუფლად სუნთქავს ადამიანი.

¹ ასეთმა ორიგინალურმა გამოსახულებამ, აღბოთ, წარმოიშვა ის ლეგენდა, რომ, თითქოს სვეტიცხოვლის მშენებელ-ხუროთმოძღვარმა აჯობა მასწავლებელს, რისთვისაც მას მარჯვენა მოქცეოეს. ეს ლეგენდა ასეა დარწმუნებული: „სვეტიცხოველია წყალი მისთვის. მცხეთა ისე აძვია. დამხურეს, ხელი მომტრეს, რატომ კარგი აგებია“.

გათხრებმა გამოაქვინა, რომ ბაზილიკა სიგრძით საკმაოდ დიდი იყო და ახლანდელ საკურთხეველს უწევდა.

სეკტაცხოველი კარდინალური გადაკეთების გამო, შუა საუკუნეების ეკლესიასა არცერთ ტაძარს არ მიეკუთვნება. მისი შიდა სიერცის დასაველეთის ნაწილი, ვიწრო საში ნაეთი, ბაზილიკალურია. სინამდვილეში იგი გუმბათოვანია. ცენტრს აგვირგვინებს ოთხ დიდ პილონზე აღმართული თექვსმეტსარკმლიანი გუმბათი. შუაში შექმნილი ჯვრული 'ხეატყორცნილი სიერცე აღმოსაველეთით რსული საკურთხეველით მთაერდება. აქ მთაერია ღრმა ბემიანი აფსიდი, გვერდებზე ასევე აფსიდიანი სადიაკენეთი და სამკვეთლოთი. ტაძრის შიდა სიერცე, მრავალჯერ დაზიანებისა და ახლებურად გადაკეთების გამო, არ არის ერთიანი. V საუკუნის ბაზილიკის სიერცე ადრევე დაარღვეულა, XI საუკუნის ოსტატმა ახალი შექმნა. ხოლო მის მიერ შექმნილი სიერცე დაარღვია XIV საუკუნის ბოლოს თემურ ლენგის ურდობმა, XV საუკუნის პირველ ნახევარში იეფე ალექსანდრე დიდის აღმდგენელმა ოსტატმა კი მას ახალი სახე მისცა. აქ, ამ შემთხვევაში მრავალთა შორის დასანანი დასაველეთის მკლავის სამივე მხარეს რიტმულად განლაგებული თაღელოვანი პატრონიკეს მოშლა. ანალოგური ორთაღოვანი შეკრული კომპოზიცია შემორჩა აღმოსაველეთით, გვერდითი სათავეების თაღზე. თაღე დროსაა აგებული გუმბათი. ძეგლის დაზიანება ამით არ დამთაერებულა. ისევე დაზიანების შემდეგ, გუმბათის სვეროს სახურავი აღდგენილი იქნა 1656 წ. რთითი სამუშაო ჩატარდა XVIII საუკუნის ბოლოსაც. ხოლო მომდევნო საუკუნეში შიდა კედლების დიდი ნაწილი რუსეთის სამღველოებამ შელესა და შეათაერა (ხოვან ამ სამუშაოებმა შეიწირა ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტები).

სეკტაცხოველის იმპოსანტური ნაგებობა ყველა მნახველზე საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს. მისი მრავალფეროვანი თაღელოთი მორთული მასები ურთაერთპარმონოულადაა შერწყმიული. შთაბეჭდილება უკეთესი იქნებოდა, თაღედაპირეველი სამსაფეხურიანი პირამიდულთობა დაარღვეული რომ არ იყოს. საქმი ის გახლავთ, რომ გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებამ გვერდებზე და დასაველეთით მდგარი დაზიანებული გარსშემოსაველელი მიწასთან გაასწორა. ძეგლის ასეთი „გასუფთაების“ შემდეგ, ტაძრის აწყობილმა მასამ დაკარგა პირეველი საფეხური, რითაც დააკარგა არსუკისძის ჩანაფიქრი, მისი ასხმული კომპოზიცია. დღეს ტაძრის ეს მხარეები შესეველი და მალღები ჩანან.

ტაძრის ქვედა მძღაერ კორპუსს ამთაერებს მრავალწახნაგა გესანი გუმბათი კონუსური სახურავით. გუმბათი, ქვედა მძღაერ კორპუსთან შედარებით, დაბალი ჩანს. აღბათი, XI საუკუნის გუმბათი ამასზე ცოტა მაღალი იყო, რაც კომპოზიციას მეტ მოხდენიღობას მისცემდა.

ტაძრის ფასადის მორთულობა ცხოველხატულობის უმაღლესი დონის ნიმუშად შეიძღება ჩათვალოს. ოთხივე ფასადი უწყვეტი თაღელოთაა დამუშავებული. მისი მიწხიდეკლობა მრავალფეროენებაში, დაუოკებელ მოძრაობაშია, ამ მიმართულებით სრული პარმონია იგრძნობა აღმოსაველეთის ფასადზე. ხეაღმაველ თაღელში ორი ღრმა და მაღალი ნიშაა ჩართული, ამიტომ აქ შუქ-ჩრდილის მუღმიე მოძრაობაა. სამ დანარჩენ ფასადზეც თაღების უსასრულო მოძრაობაა.

ტაძრის ფასადების თაღებს ერთვის ჩუქურთმის მრავალფეროვნება. ამ მხრივ, არაჩვეულებრივი მიმზიდველობით ხასიათდება ქვედა კორპუსზე გამოკვეთილი XI საუკუნის ჩუქურთმა. სამწუხაროდ, მასთან შედარებით მშრალია და ერთფეროვანი გვიანი პერიოდის გუმბათის ჩუქურთმა. მორთულობის მხრივ გამოირჩევა დასავლეთის ფასადის "სუდა მონაკვეთი, სადაც მალალი რელიეფით შესრულებული აქოჩრილი ჩუქურთმა დაუეწიარ შთაბეჭდილებას ტოვებს. იქვე გვერდებზე გამოკვეთილი ვაზის ის განსაქმული გამოსახულება, რომელსაც ბეერნი იყენებენ ცალკე კომპოზიციად ვაზის ქვეყანაში - ვაზის სიმბოლო.

ფასადების დეკორატიულ ულერადობაში მცირე როლი როდი აკისრია ფერად ქვებს. შენობა ძირითადად მოპირკეთებულია მონაცრისფრო ქვიშაქვით. მასში აქა-იქ, ყოველგვარი სტანდარტის გარეშე, ურევია სხვადასხვა ტონის წითელი, ცისფერი და მოყვითალო ქვები. ფასადები აკვარელით ნახატის შთაბეჭდილებას ტოვებს. ფასადების პოლიქრომიაც ცხოველხატული სტილისაგან გამომდინარეობს.

იშხანი, ოშკი და ხახული ის ბრწყინვალე ნაგებობებია, რომლებიც ამშვენებენ არა მარტო სამხრეთ საქართველოს, არამედ მთელ საქართველოს.

აქ ჩამოთვლილი ძეგლებიდან ოშკი და ხახული მონასტრებია, ხოლო იშხანი ბოლომდე საემპსკოპოსო გახლდათ. ვახუშტის თქმით: „აქ იჯდა... მწყემსი ისპირისა, თორთომის, ბაიბურდისა, ვიდრე ტრაპიზონის მთამდე“.

ტაძრის ოლთისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდგარი იშხანი აგებულია VII საუკუნის 30-იან წლებში, მალე იგი დანგრეულა. გადარჩენილი საკურთხეველი, ბაგრატი კურაპალატის დახმარებით, რესტავრაციაში მოაყოლა გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ საბანმა. IX საუკუნის პირველ ათეულ წლებში. ეს ტაძარიც ძალიან დაზიანებულია. იგი შეუკეთებიათ X საუკუნის შუა ხანებში. მტრების გაუთავებელ შემოსევებს ტაძარი ისევე დანგრეულადე მიუყვანია (სურ.: 172-177). ამის შემდეგ დიდი მასშტაბის საშუალოები ჩაუტარებიათ, სამხრეთის კარის ტიპანის წარწერის მიხედვით, გიორგი I-ის მეფობის დროს (1014-1027 წწ.). მუშაობა ამაზეც არ შეჩერებულა და ტაძარმა საბოლოო სახე მიიღო 1032 წელს, რის შესახებაც გვამცნობს სამხრეთის მცირე სარკმლის თავზე მოთავსებული წარწერა. ეს წარწერა სხვა მხრივაცაა საინტერესო, ამიტომ ნაწილობრივ მას აქ მოვიყვანო: „... მე, ანტონ მთავარეპისკოპოსმან განჯასრულე წმიდა ესე ტაძარი... და ვაშენე ხელთა იოვანი მორჩაჲს ძისაჲთა.“ ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როდესაც ნაგებობის ავტორი ცნობილია.

ტაძრის პირველი, VII საუკუნის 30-იან წლებში აგებული ტეტრაკონქის ცენტრის მქონე გიგანტიდან გადარჩენილია აფსიდი საკურთხეველის ნაწილით. აქაა, ბანას მსგავსად, თაღელი, ვოლუტებიანი კაპიტელებით საკურთხეველის გვერდებზე, იმავე ხანის სალიაკენე და სამკვეთლოთი, "სემოთ კი - პატრონიკე.

ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის ინტერიერში, მკვეთრად გამოყოფილი აფსიდის გარდა, ყურადღებას იპყრობს დასავლეთის განიერი და გრძელი მკლავი. ასევე სწორკუთხა გვერდითი მკლავები შედარებით მოკლებია. მკლავების გადაკვეთაზე აღმართული გუმბათი ექრდნობა მრავალგვერდა მძლავრ ბურჯებს. მასიურ ბურჯებს რთული პროფილის მქონე კაპიტელები და ბაზისები ახლავს. ინტერიერი კარგად ნათლება

გუმბათის თექვსმეტი სარკმლით და ქვედა კორპუსის დიდი სარკმლებით. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ გუმბათის ყელი მორაულია მაღალი თაღულით. ინტერიერის კედლებზე ბლომადაა ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტები, რომლებიც თარიღდებიან X საუკუნის შუა ხანებით და მომდევნო პერიოდით.

ტაძარში შესასვლელი დასაჯელსიდან და სამხრეთიდანაა. ჩრდილოეთით გაჭრილ მესამე კარს შეეყვარა დახურულ გრძელ სათაესში, მას დამხმარე დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

ეკლესიის ფასადები შემოსილია თლილი კვადრებით და გადახურულია წითელი და ლურჯი ფერის კრამიტით. ფერების ასეთი შეხამება მწვანე ლანდშაფტთან ხიბლავს ყოველ მნახელს.

იმხნის ხუროთმოძღვარს – ივანე მორჩაისძეს, ხახულის ავტორისაგან განსხვავებით, ფასადების მორთვის ის გზა აურჩევია, რომელიც იმავე ეპოქის დიდმა შემოქმედმა, ოშკის ავტორმა შესადავა თანამედროვეებს. ესაა ფასადების თაღულით მორთვა. შენობის ქვედა კორპუსზე რაული, მრავალსაფეხურიანი პილასტრებზე გადასული თაღებია, სარკმლების მორაულობაში ჩანს ხუროთმოძღვრის უშრეტე ფანტაზია. გაოცებით ჩუქურთმის მრავალფეროვნებაც.

გუმბათის ცილინდრის მორთვა უფრო ფილიგრანულია. თაღული დაბალი რელიეფითაა შესრულებული. მორთვებით განლაგებული მაღალი და წრისული სარკმლებიდან მხოლოდ ეს უკანასკნელია ჩუქურთმით მთლიანად მორაული. მაღალ სარკმლებს კი მხოლოდ თაღები აქვს ორნამენტებით დაფარული.

მეტად ორიგინალურია გუმბათის ყელის სივრცის მორთვა. კარნიზის კიბდან ორნამენტი მის ქვედა ხაზზე კედელს მოწყვეტილია, ჰაერშია. ასეთი ორიგინალური კარნიზი ერთადერთია. ამ კარნიზს ქვემოთ ფრისად გაჰყვება ფერადი წრეები.

ხახული მღებარეობს ისტორიულ ტაძარში, კერძოდ, თორთუმში, იმავე სახელის მატარებელი მღინარის ნაპირზე. ეტყობა, ეს წარმტაცი ადგილები მნიშვნელოვანი ყოფილა, რადგან იქვე ახლოს დგას ოშკის დიდებული ტაძარი. ხახულის მონასტერში მრავალი სხედასხვა სახის ნაგებობაა შერჩენილი. ამ განსუქმულ მონასტერს არაერთი სახელოვანი მოღვაწე აღუსრდია, მათ შორის გამოირჩევა გიორგი მთაწმინდელი.

მონასტერში მოაყარს გუმბათივანი ტაძარი წარმოადგენს, ტაძრის კედლებზე დამათარღლებელი წარწერა არ არის, მაგრამ ამ ხარევის აესებს „მატიანე ქართლისას“ ავტორი. სადაც ეკითხულობთ, რომ დაეთთ კურაპალატმა „აღაშენა მონასტერი და საყდარი... ხახულისა“. სახელგანთქმულ დაეთთ კურაპალატის მიერ გაკეთებულ მრავალ სასიკეთო საქმეთა შორის ეს მშენებლობა გამოირჩეულია.

თუ სუსტად როდის უნდა მომხდარიყო მშენებლობა, ამის გასარკვევად მასალები არაა, ამიტომ საწყისად უნდა ავიღოთ დაეთთის მიერ კურაპალატობის მიღების წელი – 978 და გარდაცვალების წელი – 1001. ხახულის ტაძრის აგება ამ ორ თარიღს შორის ექცევა (სურ. 178-181).

ტაძარი ჯვარ-გუმბათივანია, ორიგინალური გეგმისა. იგი არცერთ ტიპს არ მიეკუთვნება. მან, როგორც დიდი მონასტრის მთავარმა ეკლესიამ, მრავალი დამატებით მოაღწია. ძირითადი ეკლესიის გეგმის მთავარი ღერძი შიგნით და გარეთ ჯვარია.

გარედან ჯერის ყველა მკლავი სწორკუთხაა. შიგნიდან კი მხოლოდ ერთი აფსიდა-
ლური. გუმბათი საკურთხეველის კუთხეებზე და დასავლეთის ორ ბურჯს ეყრდნობა.
დასავლეთის მონაკვეთი ბაზილიკალურია, რადგან ცენტრალურ მაღალ მკლავს გვერ-
დითი ნაივები სამ-სამი საღიშ უკავშირდება. საკურთხეველის სამივე სათავსი აფსი-
დით მთავრდება, განასობა ჯერის მკლავებიდან და გუმბათის რვა სარკმლიდან
საკმარისია. ინტერიერში მაღალი დონის ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტებია
დარჩენილი.

ტაძარი გარედან მინაშენების გარეშე რომ წარმოვიდგინოთ, ჩვეულებრივზე დაბალი
პროპორციებისაა. განსაკუთრებით ეს ითქმის მის ქვედა კორპუსზე. გუმბათიც არ
არის მაღალი, მის ცილინდრს ვერტიკალობას ანიჭებს მაღალი თაღი.

ფასაღები, ინტერიერის მსგავსად, თლილი კვადრებითაა შემოსილი. მორთულობა
განლაგებულია მხოლოდ კარ-სარკმლების ორგანოზე. იქვე ახლოს მდებარე ოშკის
ტაძარი, აგებული ცოტათი ადრე, შემოსილია თაღით. მას მომდევნო პერიოდის
ხუროთმოძღვრებმა მიბაძეს და განავითარეს. მაგრამ ხახულის აეტორი მას არ აძევა,
მან ძველი ტრადიცია გააგრძელა.

ხახულში მეტად ორიგინალურია სარკმლების მორთვა. აქ ცალმაგი თუ ორმაგი
სარკმელები შემოფარგლულია რაული, მრავალფეროვანი პილასტრებითა და
ჩუქურთმებით. სარკმლების მაღლა დიდი ზომის თავსართია, მათ შუა კი სხივებად
განლაგებული ფერადი ქვებია. სამხრეთის სარკმლების თავზე მეტად ცოცხლად
გამოსახული არწივის რელიეფია. აგი, კლანჭებში მოქცეულ მსხვერპლთან ერთად,
ასაფრენადაა მოხაღ.

ცილინდრულ გუმბათსე განლაგებული საღიშები, მომდევნო ქვებისთან შედარებით,
მარტივია. სიმშვილეს არ არღვევს ერთის გამოტოვებით განლაგებული სარკმლები,
ჩუქურთმებისა და ფერადი ქვის თაღით.

ტაძარი მოჭაქული კრამიტითაა გადახურული. მცენარეთა მწვანე გარემოცვაში
ტაძარი ბრწყინავს.

ხახულის დიდ მონასტერში რამდენიმე პატარა ეკლესია და სხვადასხვა
დანიშნულების ნაგებობაა. ისინი სხვადასხვა დროსაა აგებული. ასევე არაერთი
დამატება გასჩენია თვით ტაძარს. ამასთან პირველია ჩრდილოეთ-დასავლეთის გრძელი
სათავსი. მასში მოხედავია შეიძლება მხოლოდ შიგნიდან. იგი მარანი უნდა ყოფილიყო.
ამის შემდეგაა მიშენებული სამხრეთის გალერეა, რომელიც მრავალფეროვნადაა
მორთული. განსაკუთრებით გამოიყოფა გარედან ღია თაღები. იგი ტაძრის მშენებელად
იქცა. ამის შემდეგ გაჩნდა სამნაწილიანი დასავლეთის სწორკუთხა მინაშენი. მეოთხე
პერიოდის მინაშენია სამხრეთ-დასავლეთის სამეურნეო სათავსი. ბოლოს გაჩენილა
სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში პატარა სამლოცველო.

ბიჭვინთა მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, დღევანდელი გავრის რაიონში.
ეს ადგილი პირველი საუკუნეებიდან ცნობილია როგორც ცხენ-ქალაქი. კულტურული
და სავაჭრო ცენტრი. მას ბერძნები პიტაუნტს უწოდებდნენ. IV საუკუნის
დასაწყისიდან იგი ხდება ამ რეგიონის ქრისტიანული რელიგიის ცენტრი. იქვე, IV
საუკუნის პირველ ნახევარში იგება ერთ-ერთი პირველი ეკლესია, რომლის ნანგრ-

ვეებზე მომღვენო ორასი წლის განმავლობაში კიდევ სამჯერ იგება სხვადასხვა ტიპის ეკლესია. მტერს ეს ეკლესიებიც შეეწირა და გვიან, X-XI საუკუნეებში იქვე მახლობლად იგება ახალი, დიდი ხომის გუმბათოვანი ტაძარი. გვიან საუკუნეებში, ქვეყნის დაქუცმაცების შემდეგ, აქვე იყო დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს ცენტრი.

ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანთა ჯგუფს მიეკუთვნება, მაგრამ ორიგინალური გადაწყვეტით (სურ. 182-183). ეს ორიგინალია, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება გვერდითი შეერილი აფსიდებითა და ნართექსით აღჭურვებაში. შეერილი აფსიდები ამ ეპოქაში აღმოსავლეთ საქართველოში იშვიათია, მაგრამ იგი დამახასიათებელია საერთოდ დასავლეთ საქართველოსათვის და კერძოდ, აფხაზეთისათვის. ნართექსი კი ქართულ არქიტექტურაში გამოიყენება, მაგრამ იშვიათად.

ინტერიერის ძირითად სივრცეს ქმნის ჯვარი, რომლის აღმოსავლეთის მკლავი აფსიდალურია. დანარჩენი კი - სწორკუთხა. აფსიდის გვერდებზე ორსართულიანი კომპარტისებრია. დასავლეთი მკლავი თაღებით უერთდება გვერდით ნაევებს. ამ მონაკვეთის ნართექსთან სამი კარი აერთიანებს. ნართექსისა და გვერდითი ნაევების სუბსტრუქტურაში გამართული. მასში მოხვედრა შეიძლება გარედან ჩრდილოეთით მდებარე კარით.

დასავლეთით გუმბათი ეყრდნობა სვეტებს. ხოლო აღმოსავლეთით საკურთხეველის კუთხეებს. შიდა კედლები ფრესკული მხატვრობით ყოფილა დაფარული. დახიანებული მხატვრობა გაიულ საუკუნეებში შეუთვარებიათ და მხოლოდ ნართექსშია მცირედ შემორჩენილი. მხატვრობით დაფარული ინტერიერისათვის სრულიად საკმარისია სამ მკლავში სამ-სამი სარკმელი და გუმბათის ყელში განლაგებული სარკმლები.

ტაძრის გარეგანი სახე. ისე როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე სხვა ძეგლებიც, ორგანულად ერთიანია მთელ საქართველოსთან, მაგრამ, ამავე დროს, მათში იგრძნობა ერთგვარი მსგავსება ბისანტიის არქიტექტურასთან. ეს არაა გასაკვირი. რადგან, საქართველოს დანარჩენი რეგიონებისაგან განსხვავებით, აფხაზეთი ტერიტორიულად ყველაზე ახლოა ბისანტიასთან.

ამაზე მტყვევლებს აგრეთვე შეუმოსაღი ფასაღები, სადაც გამოვლენილია კედლების აგების თავისებურება - ნატეხი ქვისა და აგურის წყობის შრეების მონაცვლეობა. აგრეთვე ნაგებ ტაძრის დაბალ გუმბათს სფერული გადახურვა აქვს.

ღიხნე მდებარეობს გუდაუთის ჩრდილოეთით, თათქმის ხუთი კილომეტრის დაცილობით. თლილი ქვით შემოსილი გუმბათოვანი ნაგებობა თითქმის მთელია.

გრძელი გვერდის მქონე ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობის შიდა სივრცე უჩვეულოდ მალალა და დაბალი გუმბათი ამთავრებს. გუმბათი აქ, ბიჭვინთისგან განსხვავებით, ოთხ ცალკე მდგარ სვეტს ეყრდნობა (სურ. 184).

გუმბათის სელაპირი დამუშავებულია რვა სწორკუთხა ვერტიკალებით, რომლებიც გუმბათის წვერში ერთდებიან. მათ შორის თითო განიერი სარკმელია. ინტერიერის ჯერის მკლავებიდან აღმოსავლეთისა აფსიდით მთავრდება, დანარჩენი კი სწორკუთხაა. საკურთხეველი, ბემის საშუალებით, შესამჩნევად ღრმაა. საღიაკენე და

სამკვეთლო დარბაზიდან გამოყოფილი არ არის. საკურსხეელის სამივე ნაწილის აფსიდი გამოკვეთილად ნალისებრია.

დასაველეთის მკლავი და მისი გვერდითი სათავეები ნარუქსს თითო კართი უერთდება. მათ ზემოთ პატრონიკვა. იქ ასვლა ცენტრიდან კიბით ხდება.

ტაძარში სამი მხრიდანაა შესასვლელი. თითოეული კარის ირგვლივ მაღალი და განიერი კარიბჭეა. ეს კარიბჭეები გარედან მოლიანად ღიაა.

გარედან ტაძარი მაღალია. მის ცენტრში მდგარი პატარა გუმბათი კომპოზიციას პირამიდულად ვერ ამთავრებს. ფასადები მოპირკეთებულია მოყვითალო თლილი ქვით. ფასადებზე ჩანს მხოლოდ ფართო და მაღალი სარკმლები, არაფართო დეკორი.

მეფლის თარიღი არ გაანჩნია. იგი, საერთო მონაცემებით, თარიღდება IX საუკუნის ბოლოდან X საუკუნის შუა ხანებამდე.

მოქვე მდებარეობს ოჩამჩირიდან ჩრდილო-დასაველეთით, ოციოდე კილომეტრზე იმავე სახელწოდების პატარა მდინარის ნაპირზე. მისი აგების შესახებ ზუსტი ცნობა მოეპოვება „მემატანე ქართლისას“, სადაც წერია: ლეონ აფხაზთა მეფემ „აღაშენა ეკლესია მოქესა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსო“. ამ ციტატაში ორი ცნობაა საინტერესო: ერთი, რომ მას აშენებს ლეონ მეფე 957-967 წლებში, და მეორე, რომ იგი საეპისკოპოსოა. მისი სამწყსო იყო მდინარე კოდორიდან მოქვისწყლამდე. საეპისკოპოსო, როგორც ეტყობა, XIX საუკუნის დასაწყისში გაუქმდა.

მოქვის ტაძარი რთული ნაგებობაა. მისი შიდა სივრცის შემქმნელი აქაც ჯვარია, მაგრამ კომპოზიცია სხვებზე მეტად მრავალეფეროვნია. გუმბათი ეყრდნობა ცალკე მდგარ ოთხ სვეტს. ჯვრის მკლავებიდან, როგორც ჩვეულებრივ, ერთი აფსიდალურია, დანარჩენი – სწორკუთხა. საკურსხეელი ღრმაა. მის გვერდებზე პატარა აფსიდიანი ღია ნაწილებია. ჯვრის მკლავების გარე ხაზზე, სამივე მხარეს, მეორე სართულზე გამართულია პატრონიკე. იქ მოხედრა შეიძლება ჩრდილოეთ-დასაველეთის მონაკვეთში მდებარე ქვის კართით.

ტაძრის შიდა სივრცე ხალვათია, შიგ მყოფი თავისუფლად სუნთქავს. ამ სიმსუბუქის შექმნაში დიდი როლი მიუძღვის ორ იარუსზე განლაგებულ თაღებს. განათება საკმარისია ქვედა კორაუსისა და გუმბათის 12 სარკმლიდან შემოსული შუქით. ასეთი განათება შიგ მყოფთ საშუალებას მისცემდა, ადვილად აღექვათ კედლის მხატვრობა. გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებული რემონტის დროს ფრესკის ფრაგმენტები ნალესობით დაუფარავთ და შეუსაფრებიათ.

გარედან ტაძარი გუმბათითა და მთავრებული მონუმენტური შენობის შთაბეჭდილებას ახდენს. ფასადებიც ინტერიერისა და ერთად აღუდგენიათ. აღმდგენელნი რიგითი ოსტატები ყოფილან და მათ მიერ პატარა ზომის თლილი ქვის აღდგენილი ფასადები შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. იმავე დროს, მოუხსნიათ სამივე მხარეს მდებარე კარიბჭეებიც. ტაძრის თავდაპირველი სახე საბოლოოდ დაკარგულია.

ხურთაოიძეებში მეორე აღმავლობის პერიოდში არაჩვეულებრივი შემოქმედებითი პოტენციაა გამოხატავნი. ასეთი შემოქმედებითი წვა. მართალია, X საუკუნის დასაწყისიდან ჩანს. მაგრამ მისი კულმინაცია მოდის იმავე საუკუნის შუა ხანებზე და XI საუკუნის პირველ ნახევარზე. ნაგებობები ჯერ სხვადასხვა სახით ვითარდებოდა, ხოლო ბოლოს. არენაზე დარჩა სამი სახე. ესენია: ტრაკონქები, მრავალაფსიდიანები და ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესიები. მათში მრავალფეროვნებით გამოირჩევა მრავალაფსიდიანები. რაღაც არასრული ასი წლის განმავლობაში. ამ მიმართულებამ, როგორც უოკუსში ისე აიყვანა კულმინაციამდე ნაგებობების სახეობა ვარიაციები. უყურებთ მათ გვემებს, კომპოზიციებს, დეკორს და რწმუნდებით ქარაყელის მიერ ახლის შექმნის დაუსრულებელ სურვილში. ყველაფერიდან ერთად. განსაკვიფრებელია, თუ რა ხერხით, რა გზებით ვრცელდებოდა მთელ საქართველოში ამა თუ იმ სახის ჩასახვის იდეა. კერძოდ, ამ მრავალაფსიდიანის პირველი ნიმუში თუ 964 წელსაა აგებული, ბოლო აშენებულია 1010-1014 წლებში. ამ წლების ფარგლებში ჩვენამდე მოღწეული ეკლესიები გეოგრაფიულად ასე ლაგდება: კუმურდო - ჯაყახეთში, გოგიუბა, ოლთისი, კიაღმის-ალთი, ტაოსკარი - ტაო-კლარჯეთში, ბოჭორმა - კახეთში, კაცხი - იმერეთში, ნოჯახევი - სამეგრელოში და ვინ იცის, კიდევ რამდენმა ვერ მოაღწია ჩვენამდე. თუ წარმოვიდგენთ მასინდელ ტრანსპორტს და, საერთოდ, გადაადგილების ტემპებს, შეუძლებელია, რომ არ განგვაკვივროს არქიტექტურული იდეების გაერცვლების ტემპმა და მასშტაბებმა.

აქვე ხანს იმასაც უნდა გაეხვას, რომ მრავალაფსიდიანი ეკლესიები ყველა დეტალით მხოლოდ ცხოველხატული სტილის პირშია. თუ არა ახალი სტილის მოთხოვნები, ისე არ წარმოიშობოდა ასეთი გეგმები მოძრავი ხაზებით, ინტერიერისა და ექსტერიერის კომპოზიციები, ჩუქურთმებსა და რელიეფებში ჩაქსოვილი ფანტაზია.

მრავალაფსიდიანი ეკლესიების გენეზისის ძიებას საუკუნეების სიღრმეში ჩაყავართ. მათი წარმოშობის ფონი ტეტრაკონქებშია საძიებელი, მაგრამ მათ შორის პირდაპირი ხაზი არ გაიბეჭდა.

თავისთავად, მრავალაფსიდიანი ტიპის ეკლესია ქართული არქიტექტურის განვითარების გარდამავალი ხანის ბოლოსაა წარმოშობილი და მალე, XI საუკუნის დასაწყისში, დაამთავრა სიცოცხლე.

ამ პერიოდში აგებული ეკლესიებიდან არც ერთი არ იმეორებს მეორეს, თითოეული მათგანი დამოუკიდებელი ერთეულია, მაგრამ მათი დაჯგუფება საერთო ნიშნებით მაინც შესაძლებელი ხდება. პირობითად, ისინი იყოფა შემდეგ ჯგუფებად: პირველ ჯგუფში ექცევა ხუთაფსიდიანები (კუმურდო, ნიკორწმინდა), მეორეში - ექვსაფსიდიანები (გოგიუბა, ოლთისი, კიაღმის-ალთი, ბოჭორმა, კაცხი), მესამეში - რვააფსიდიანები (ნოჯახევი და, პირობითად, ტაოსკარი). მათ გარდა, მრავალაფსიდიანებს ბევრი რამ აქვთ საერთო. ამიტომ მათი განხილვა სჯობს ჯგუფებად.

ხუთაფსიდიანი ეკლესიები. კუმურდოსა და ნიკორწმინდის ეკლესიებს

ხელოვნებაში ცოდნითი დიფერენციალური ექსპლუატაციის უწყობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სინამდვილეში ხუთაფსიდიანებია. საქმე ის გახლავთ, რომ გუმბათქვეშა საყრდენები ექვს-ექვსია. მართალია, ისინი ცალკე, თავისუფლად მდგარნი არ არიან, მაგრამ ინტერიერში თავისუფალ საყრდენებად აღიქმებიან. საერთო შთაბეჭდილებას ისიც ემატება, რომ ექვსი გუმბათქვეშა თაღი თანაბარია. სინამდვილეში, ქვედა დონეზე ხუთი აფსიდი, მეექვსე, დასაველეთა, სწორკუთხაა. კიდევ ერთხელ რომ დავაუსტოთ, აქ ხუთი აფსიდი, ხუთი კონქისა და ერთი სწორკუთხა მკლავი.

კუმურდო, რომელიც მდებარეობს ჯავახეთში, დღევანდელი ახალქალაქის რაიონში, ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ერთ-ერთი ქვაკუთხედი. თანაც ეს ის ძეგლია, რომელიც ზუსტადაა დათარიღებული 964 წლით. ამასთან აღსანიშნავია ის იშვიათი შემთხვევა, რომ ცნობილია დამკვეთიც, მეფეც და ავტორი-ხუროთმოძღვარიც. ჩვენ აქ ამას განსაკუთრებით იმტომ აღვნიშნავთ, რომ საქართველოში ეს იშვიათია. განსაკუთრებით ეს ითქმის ხუროთმოძღვარზე. ისინი, ალბათ, თავმდაბლობით, თავიანთი საქმიანობაზე იშვიათად გვატყობინებენ. აშენებენ და ისტორიისათვის ქრებიან.

ტაძრის კედლებზე რამდენიმე წარწერაა, მათგან ძირითადი ისტორიული ცნობების შემცველი წარწერა სამხრეთის კარის თავსა. მასზე ვკითხულობთ, რომ ლეონ აფხაზთა მღვდის დროს, რომელიც ერთხანს ქართლის ერისმთავარიც იყო, იონა ეპისკოპოსის დაკვეთით, ტაძრს აგებს ხუროთმოძღვარი საკოცარი (სურ. 185).

კუმურდოში მშენებლობა და შეკეთება შემდეგაც გაგრძელდებოდა. მათგან გამოირჩევა სამხრეთის სტოას თავის წარწერა, რომელიც გვატყობინებს, რომ მეფე ბაგრატ IV-ის დროს (1027-1072 წწ.) აუგიათ სამხრეთის სტოა. სხვა წარწერებიდან გამოირჩევა კიდევ ის, რომელიც დასაველეთის შესასვლელის თავზეა. აქედან ვიგებთ, რომ ეკლესია XVI საუკუნეში შესამჩნევად დასიანებულა, გუმბათიც ჩამოქცეულა. შეკეთების დროს დასაველეთის მკლავი გადაუკეთებიათ თავდაპირველი ფორმებისათვის ანგარიშის გაწევის გარეშე.

მოგლი შუა საუკუნეების განმავლობაში კუმურდოს საეპისკოპოსო დიდი სახელის მქონე იყო. მემბრანე ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, იქ „იჯდა ეპისკოპოსი, მწყემსი სრულიად ჯავახეთისა“.

კუმურდოს ძეგლი მეტად დაზიანებულად მოაღწია. მას მორღვეული აქვს გუმბათი, ხოლო დასაველეთის მკლავი გადაკეთებულია.

კუმურდოს ხუროთმოძღვარი ნოვატორი შემოქმედია. ერთი მხრივ, იგი ტრადიციებს მისდევს, ხოლო, მეორე მხრივ, იმკის ავტორთან ერთად, ამკვიდრებს ახალს – ცხოველხატულობას. ეს ის გზაა, რომელიც საუკუნეები გრძელდება და ებოქებს გადაწვდა. მიუხედავად ყველაფრისა, კუმურდო ახალი ებოქის ნაწარმოებია. იგი ახალი სტილის საწყისი პერიოდის სიამაყეა.

კუმურდოს ეკლესიის გეგმა შიგ და გარეთ ჯვარია, მხოლოდ გარედან სწორკუთხა შეერილებია, შიგნი კი რაულია. ინტერიერში ხუთი აფსიდი განლაგებულია შემდეგნაირად: ერთი აფსიდი აღმოსავლეთითაა, ხოლო ორ-ორი – გვერდებზე. მათგან

განსხვავებით, დასავლეთის მკლავი სწორკუთხაა. აქ თაღებით გამოყოფილი სამი ნაწილია. იგი თავდაპირველად სამი კამარით იყო გადახურული.

კუმურდოს გეგმაში რაღაც სიახლოვე იგრძნობა იმკანს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა ტიპისანი არიან, მათში მაინც გამოსტევივის ერთი საერთო გადაწყვეტა. შეიძლება ეს იმით აიხსნას, რომ ორივე ძველი ქვეყნის ერთ რეგიონში, სამხრეთ საქართველოში მდებარეობს. შესაძლოა, ორივე ხუროთმოძღვარი ერთი არტელის, მშენებელთა ერთი რომელიღაც გაერთიანების, წევრები იყვნენ. ცნობილია, რომ იმკანს ტაძრის მშენებლობა 963 წ. დაიწყო. ხოლო კუმურდოსი - 964 წ. საფუძრებილია მათ აქტორთა შემოქმედების სიახლოვე.

ინტერიერის ორიგინალურ გადაწყვეტას წარმოადგენს გვერდებზე პარალელურად განლაგებული შეწყვილებული აფსიდები. აფსიდების შევირდ ექვს მრავალწახნაგა სვეტზე დაყრდნობილი იყო გუმბათი. დღეს მხოლოდ გუმბათის საწყისი 'ხოლოა გადარჩენილი. ინტერიერის კედლების წყობა და ყველა დეტალი მაღალი ოსტატობითაა შესრულებული. შიდა კომპოზიცია, ვიწრო და მაღლა მისწრაფებული სივრცე ქმნის იმ მოუხიენრობას, რომელიც დამახასიათებელია ცხოველხატულობისათვის. მორთულობის არქიტექტურულ დეტალებს ემატება აღმოსავლეთის ტროპიკებში ჩართული ღეონ აფხასთა მეფისა და მისი მეუღლის რელიეფები. ინტერიერში ნუქურსიაც ცოტა როდია გამოყენებული.

ტაძრის გარეგანი სახე აშკარად მეტყველებს მის მაღალ მხატვრობაზე. კარგი თლილი ქვით შემოსილი ფასადების 'სეა'სიღული, აწყობილი პროპორციები იშვიათ შთაბეჭდილებას ახდენს. მისი თავდაპირველი სახე, გუმბათთან ერთად, განსაკუთრებით, მთამბეჭდავი იქნებოდა.

ფასადებიდან მთავარია აღმოსავლეთისა. აქ, ისე როგორც სხვა ფასადებზეც, მორთულობა ძირითადად განლაგებულია სარკმლების ირგვლივ. აქცენტირებულ ცენტრალურ ღერძზე ასხმულია დიდი სარკმლის მორთულობა, მედალიონებითაა პატარა სარკმელი და ფერადი ქვებით მიღებული ორი ჯვარი. ამ ხაზზე ჩარსული ორანგებისკომპოსის დიდმასშტაბიანი ასომთავრული წარწერა; მორთულია აგრეთვე ფასადის ყველა სარკმელი. მთელი ფასადის მორთვის პრინციპშიც სტილის თავისებურებაა დაცული: ცენტრში ყველაფერი აქონრილია, გვერდებზე კი სიბრტყობრივობაა, დაბალი რელიეფია.

ტაძრის სამი დანარჩენი ფასადის სარკმლებიც ნუქურსიებითაა მორთული, მაგრამ უფრო გამორჩეულია ნიშების თაღებში ჩასმული რელიეფური გამოსახულებები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველის ფასადებზე გამოყენებულია ნუქურსისა შედარებით გრადიკულია. ამ მხრივ გამოიყოფა მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადის ცენტრალური სარკმელი, სადაც ცენტრიდან 'ხეობა რელიეფი გორელიეფში გადადის. ეს თავისთავად სტილის საწყისზე მოუთხოვს. იმავე ტიპის ძეგლზე, ნიკორწმინდაზე კი ყველაფერი აქონრილია და მოძრავია. სწორედ ამში ჩანს სტილის აღმავლობა, ევოლუცია, კუმურდოდან ნიკორწმინდამდე ორიმოცდაათი წელია.

მომდევნო პერიოდში სამხრეთის კარზე მიშენებული სამლოცველო-კარიბჭე პატარა ღიშის კიხტა ნაგებობა იყო. მისი ზედა ნაწილი ჩაქცეულია. მის ამგებს ანგარში

გაუწევია იქ ადრეული საუკუნეებიდან მდგარი ორი ბრწყინვალე სტელისათვის და ისინი ხელუხლებლად დაუტოვებია. ერთი მათგანიოან დარჩა ბაზა, მეორეს ღერო ჯერ კიდევ ამჟამად დგას.

ეკლესიის დასაველეთის სწორკუთხა მკლავისათვის XI საუკუნის ბოლოს სამი მხრიდან გაღვრეა მიუშენებიათ. ესეც დასიანებულა, მაგრამ კარგი ოსტატის ხელი ნანს. განსაკუთრებით მორთულობაში.

ნიკორწმინდა. რაჭის მთებში, ნაქერალის უღელტეხილის მიდამოებში, სოფ. ნიკორწმინდის ერთ-ერთ შემადღებაზე დგას ესოდენ სახელგანამქული ტაძარი. დასაველეთის შესასველელის თავზე მღებარე წარწერის მიხედვით, იგი აგებულა 1010-1014 წლებში, სრულიად საქართველოს მეფის, ბაგრატ III-ის მიერ. ტაძარმა თითქმის თავდაპირველი სახით მოაღწია 1991 წლის მიწისძვრამდე. სამწუხაროდ, ამ სტიქიის დროს მისი კორპუსი შეურყა, ხოლო გუმბათი ძალზე დაირღეა. კარნისის მიმღებარე ნაწილი კი აღარ არსებობს (მიმღნარეობს რესტავრაცია).

ტაძარი, კუმურდოს მსგავსად, ხუთაფსიდიანა, მეექვსე სწორკუთხა მკლავით (სურ. 186, 187, 189). მართალია, ტაძარ კუმურდო და იგი ერთნაირა, მაგრამ გადაწყვეტით დიდად განსხვედებიან. ეს იმის შედეგა, რამ პირველი თუ ახალი სტილის საწყის საფეხურზე დგას. მეორე მის მწვერვალზეა. კუმურდო არქიტექტურით, სეაწეული პროპორციებით, დახევეწილი ფორმებით, სუფთა წყობით, გვეოცებს. ნიკორწმინდაში, პროპორციები სრულიად ნაწინააღმდეგოა: აქ შენობა დაბალი და მიწასთან შესრდი-ღაა, ხოლო ფასაღებზე ყველაფერი „აქორზილი“ და მაქსიმალურად დეკორატიული. მოკლე. ყველაფერი ცხოველხატულობას ემორჩილება.

ნიკორწმინდის შიდა სიერცე უფრო შეკრულია, ეიდრე კუმურდოში. ამას აეტ-ორი აღწევს გუმბათქვეშა ნაწილის გაფართოებით და აფსიდების დამოკლებით. ბეიანი დარსა აფსიდი მხოლოდ საკურთხეველშია. გვერდებზე მღებარე ორ-ორთ აფ-სიდი ნაღისებური ფორმისაა. ახალი სტილის შესაბამისად, გვერდითი დეკორატიუ-ლი აფსიდები, კუმურდოსთან შედარებით, უფრო „ათამაშებულია“. თუ იქ აფსიდები პარალელურად იყო განლაგებული, აქ მათი ღერები ცერად არის მიმართული და თავს იყრის შენობის ცენტრში. მათგან განსხვეებით, დასაველეთის მხარე, მეექვსე მონაკვეთი, სწორკუთხა და მოკლე. საკურთხეველის გვერდით მონაკვეთებში საღიაკენე და სამკვეთილოა. დაახლოებით ასეთივე სამლოცველოებია დასაველეთის მკლავის გვერდებზე. რაც ორიგინალურა, მას ანალოგი არ გააჩნია. დასაველეთისა და აღმოსაველეთის სათავეებს მეორე სარაულებიც ახლავს.

ეკლესიის შიდა კედლები XVI-XVII საუკუნეების ფრესკებითაა დაფარული და მიწისძვრამდე კარგად იყო დაცული. ფრესკებზე, გარდა საეკლესიო სიუჟეტებისა, არის ქტიტორთა, ადგილობრივ ფეოდალთა გამოსახულებები.

ტაძრის აგების მომღეეო პერიოდში, დაახლოებით XI საუკუნის ოციან წლებში, მცირე განსხვეებით, სამივე კარისათვის სხვადასხვა ფორმის კარიბტები მიუშენებიათ. ჩრდილოეთისას არ მოუღწეია, ხოლო ორი დანარსენი გადაკეთებთათაა იმავე ეპოქაში. სამხრეთით მცირე სამლოცველო აუგათ. მასში შესასველელის მოსაწეობად კარიბტის აღმოსაველეთის კედელი გაურღეეათ.

ტაძრის ოთხივე ფასადი უწყვეტი თაღედიანაა დაფარული. ყველა კარი და სარკმელი მრავალფერადიუნადაა მორთული. ოსტატების მიერ ნუქურამის მხოტივების მრავალფეროვნება უსასრულოა. მათ ფანტაზიას თან ახლავს შესრულების სიღალბაოე. ასევე ყურადღებას იქცევს რელიეფების სიმრავლე და შესრულების მაღალი დონე.

სორპიტწახნაგა გუმბათი ასევე უწყვეტი თაღედიანაა დამუშავებული. რილეების კონა რთული, გრეხილოვანია, ხოლო ნუქურამიანი არწიები აქაც გაოცებთ უშრეტი გამომგონებლობით. ამას ემატება გუმბათის ქვედა არშიაზე განლაგებული ფანტასტიკური, გარეული ცხოველებისა და ფრინველების მეტად ცოცხალი გამოსახულებები. ოშკის შემდეგ ნიკორწმინდის რელიეფები ახალი საფეხურია ქართული შუა საუკუნეების ქანდაკების ისტორიაში.

ექვსაფსიდიანი ეკლესიები. ამ ტიპის ხუთმა ძეგლია მოადწია დღემდე. ესენია: „გიორგობა“ (გოგიუბა), ოლთისი და კიადმის-ალთი - ტაო-კლარჯეთში, ბოჭორმა - კახეთში და კაცხი - იმერეთში (სურ. 188). როგორც ეხედავთ, ამ ტიპს განეიხარების საკმაოდ დიდი არეალი ჰქონია. თავისთავად სანტერესოა ერთი ტიპის გავრცელების ასეთი გეოგრაფია. მართალია, ყველა აქ ჩამოთვლილ ეკლესიას არა აქვს ზუსტი თარიღი, მაგრამ ცნობილია, რომ ტაოს სამივე ძეგლი X საუკუნის შუა ხანებშია აგებული, ხოლო ბოჭორმა და კაცხი - X-XI საუკუნეთა მიჯნაზე. კუმურდოს და ნიკორწმინდის მსგავსად, ესენიც დაახლოებით იმავე პერიოდს განეკუთვნება.

ხუთივე ეკლესია, მართალია, ერთი ტიპისაა, მაგრამ მათ შორის ნიუანსებია, მცირე განსხვავებებია. ერთმანეთთან უფრო ახლოსაა ოთხი, ხოლო მეხუთე, „გიორგობა“. მათგან განსხვავებულია ოთხი ეკლესიის მსგავსება, პირველ რიგში, გუმბათის გადაწყვეტაში. ესაა ხუთ-ხუთი აფსიდის მსგავსება და მეექვსის გამოყოფა. საკურთხეულის აფსიდი, ბემის დაგრძელების შედეგად, გარეთაა გაწეული. იგი, სხვებისაგან განსხვავებით, სამკუთხად შეფერულია. გამონაკლისს წარმოადგენს „გიორგობა“. სადაც გარე მოხაზულობა მიღებულია თანაბარი 12 წახნაგით და წრეს უახლოვდება. ავტორს აქ არ მოუნდომებია საკურთხეულის გამოყოფა. მიუხედავად შენობის სიმცირისა, ბევრი კარია. ყველა ეკლესიას ორ-ორი შესასვლელი აქვს, გარდა კაცხისა. მისი სარკმლები, როგორც წესი, აფსიდებშია განლაგებული. რაც შეეხება სარკმელთა რაოდენობას გუმბათებზე, მათი სიმრავლე აღსანიშნავია მხოლოდ კაცხში. აქ 12 სარკმელი თანაბრადაა განლაგებული.

გუმბათის შიდა კედლების გაფორმებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის სისტემა, რომელიც X საუკუნის ძეგლებისათვის საერთოა. ესაა თაღედიან მორთვა. ამ მხრივ შესამჩნევია კაცხი და „გიორგობა“. ორივეგან ეხელებით სარკმელთა თავზე გადავლებულ თაღებს პილასტრების გარეშე, ხოლო რაც შეეხება ქვედა მრავალგვერდიან გუმბათის წრესე გადასვლას, ეს ხდება ტრომპებით, მაგალითად, „გიორგობის“ ტრომპებზე ადამიანის თავებია ბარელიეფურად გამოსახული.

ექვსაფსიდიან ეკლესიასა ფასადები განსხვავებულადაა გადაწყვეტილი: ტაოს პირველი პერიოდის ძეგლები შედარებით მარტივადაა მორთული, ხოლო ბოლო პერიოდის ისეთი ძეგლი, როგორცაა კაცხი, ეპოქის შესაფერისად შესამჩნევად მდიდ-

რულადაა მორსუელი. თავისთავად ფასადების მორსვაში შედის ნიშები. იგი ყველა ძეგლზეა. გარდა კაცხისა.

ოლთისისა და კიაღმის-აღთის ფასადებზე თაღედი პილასტრებით კი არის, მაგრამ მარტყია. ხოლო, რაც შეეხება გიორგობას, აქ ქვედა კორპუსის სარკმლებსა და ნიშებს პირიზონტალურად გასდევს თაღედი.

ბოჭორმის ეკლესიის ფასადები, როგორც ეს მიღებულია კახეთში, მოურთავია. ძეგლის გარეგან სახეს მხოლოდ ერთი თავისებურება ახლავს. ესაა აფსიდების ყოველი შეკერილის ორიქანობა სახურავი. ერთ რიგზე განლაგებული სახურავი ერთად კი, როგორც ამბობენ, სანახევროდ დაკეცილ ქოლგებს მოგვაგონებს.

გალახურეთის იგივე სისტემაა გამოყენებული კაცხის ტაძარზე, მხოლოდ აქ უფრო მაღალ მხატვრულ დონესა იგი გადაწყვეტილი (სურ. 190-191). მიუხედავად იმისა, რომ კაცხში ორ სამშენებლო ფენასთან გვაქვს საქმე, ისინი მინც ერთი სისტემითაა გადახურული. კაცხის ტაძრის პირვანდელი სახე, X-XI საუკუნეთა მიჯნაზე ორსაფეხურიანია. აქაა ქვედა კორპუსი და გუმბათი. შემდეგ, XI საუკუნის პირველ ნახევარშივე, ტაძრისათვის მიუშენებიათ გარშემოსაველელი. ტაძრის სამივე საფეხური პირამიდისებურ კომპონიციას ქმნის და მეტად მიმზიდველია. ამას ხელს უწყობს აგრეთვე სამივე საფეხურის სანახევროდ დაკეცილი ქოლგისმაგვარი სახურავები. ასეთი ხერხისებრი სახურავი მთელ შენობას ძალიან ეფექტურსა და მიმზიდველს ხდის. ასეთი ფორმის სახურავი ტექნიკურად ძნელი შესასრულებელია, მაგრამ მას, ამავე დროს, აქვს დეკორატიული დანიშნულება. ამიტომ მისი წარმოშობა შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, როცა არქიტექტურაში დეკორატიულობას მთავარი ყურადღება დაეთმო. ეს პერიოდი კი სწორედ X საუკუნეა. ასეთ სახურავს პირველად ვხვდებით X საუკუნის პირველ ნახევარში ოპჩასა და ხანძთაში, ხოლო ბოლოს იგი გამოყენებულია კაცხში, XI საუკუნის დასაწყისში.

კაცხის ტაძარი, მიუხედავად გასული საუკუნის რესტავრაციისა, დანარჩენებისაგან ფასადების მდიდრული მორსეთივით გამოირჩევა. გარშემოსაველელიდან დაწყებული, გუმბათით დამთავრებული, ფასადები თაღედითაა მორსული. რაც შეეხება ხუჩურთმას და რელიეფებს, ისინი ეკლესიაზე ზომიერადაა გამოყენებული. ხოლო გარშემოსაველელზე უფრო მეტია.

რეააფსიდიანი ეკლესიები. ასეთი ტიპის ეკლესიები ნოჯიხეთის ძეგლის აღმოჩენამდე (1979 წ.) საქართველოში არ იყო ცნობილი. თუ თვალს გადავყურებთ ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების გზებს, ასეთი ტიპის ძეგლი, მეზობელი ქრისტიანული ქვეყნების მსგავსად, აქაც უნდა ყოფილიყო. ამიტომ განვითარების უწყვეტობის საჩვენებლად იყენებდნენ ტაოს კარის ეკლესიას (ამჟამად თურქეთში). იგი, მართალია, რეააფსიდიანი არ არის, მაგრამ რეასხივანია. რითაც უახლოვდება რეააფსიდიანს. შეგნით, ცენტრალური გუმბათი ქვეშა სივრცის ორგვლივ, რადიალურად რეა სხივთა განლაგებული. მათგან მხოლოდ საკუროთხველისა თაღდება აფსიდიით. დანარჩენი ყველა სწორკუთხაა. ცილინდრული კამარით გადახურული რეა საყრდენიდან გუმბათის სფეროზე გადასვლა ხდება ორ რიგად განლაგებული უწყვეტი თაღედით.

ეკლესიაში სამი შესასვლელია განლაგებული: დასავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით.

ეკლესია გარედან, სხივების შესატყვისად, თექვსმეტწახნაგაა. ყოველი აფსიდი გარეთ კარით ან სარკმლით გამოდის, ხოლო მათ შორის ღრმა სამკუთხა ნიშნია.

ტაოსკარის ძეგლი X საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.

ნოჯახევის ეკლესია (მღებარეობს მარტვილის რაიონში), აგებული X საუკუნის ბოლო მეოთხედში, დაუნგრევეთ XIV საუკუნეში. გათხრების შედეგად გამოვლინდა ორი მეტრის სიმაღლეზე კედლების ნარჩენები და უამრავი ჩუქურთმის, რელიეფისა და ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი. ყველა ამ მონაცემის გამოყენებით შესაძლებელია შეიქნა ეკლესიის პირველი სახის აღდგენა (სურ. 192-195).

ეკლესიის ინტერიერის ცენტრი ვრცელა. მის ირგვლივ რადიალურად განლაგებულია რვა აფსიდი, რომელთაგან შეიძლება თანაბარია, ხოლო მეორე, საკურთხეველი, ღრმა და განიერია. სხეებისაგან განსხვავებით, განიერი აფსიდი ბეჭითაა საღრმავი. საკურთხეველი, აღბათ, სამი სარკმლით ნათიებოდა, ხოლო დანარჩენ აფსიდებში თითო სარკმელი იქნებოდა. კარი კი თითოა – დასავლეთით. სამხრეთითა და ჩრდილოეთით.

აფსიდებს შორის შეკრებილი სამ-სამი ლილვისაა მორიული. ამ შეკრებილებიდან გუმბათის წრეზე გადასვლა ტრომპებით ხდებოდა. გუმბათის ყელის შიგნიდან ცილინდრი თაღებით იყო დამუშავებული.

ტაძარი გარედან შემოსილი იყო თეთრი ქვის თლილი კვადრებით. მაღალ ცოკოლს განიერი ორნამენტირებული არწია მიუყვება. მისი ქვედა კორპუსის წახნაგები თაღებით იყო მორიული. ასევე, თაღები უწყვეტად შემოუყვება გუმბათს. თვით გუმბათის სახურავი ხერხისებურაა, რაც იმ ეპოქისათვის დამახასიათებელია. შენობის კარ-სარკმლები მდიდრულად იყო მორიული ჩუქურთმითა და რელიეფებით.

სანტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ეკლესიის გუმბათის ყელს თაღების ზემოთ, მთელ პერიმეტრზე შემოუყვებოდა ასომთავრული წარწერა. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში ასომთავრული წარწერა ვრცელდება VIII-IX საუკუნეებიდან. აქამდე დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი წარწერის ფრაგმენტებს ნოჯახევის ფრაგმენტები რაოდენობით ბევრად სჭარბობს. აღსანიშნავია, რომ წარწერის თარიღი ეჭვს არ იწვევს – ის შესრულებულია X-XI საუკუნეთა მიჯნაზე.

შარბაღში ეკლესიები (X-XII საუკუნეები)

ეს ტიპი ეკლესიისა, აღბათ, არსებობდა ქრისტიანობის გავრცელების პირველივე პერიოდიდან. მართლაც, ამგვარი, კარგად დათარიღებული ეკლესია გვაქვს ერისის დედაქალაქში – ნიქალაქე-არქეოპოლისში. იქედან მოყოლებული ფეოდალური პერიოდის დასასრულამდე საქართველოში ასეთი ეკლესიები არსებობდა.

იგი აუცილებელი იყო როგორც სოფლისათვის, ისე ქალაქისათვის. მცირერიცხოვან დასახლებას ერთი დარბაზული ეკლესია ყოფნიდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სოფელი დიდი იყო და თანაც გაშლილი, მაშინ ეკლესიათა რიცხვი იზრდებოდა. იყო კერძო შემთხვევებიც, როცა სოფელში გვარები თავიანთთვის აგებდნენ ეკლესიებს.

ეკლესია აუცილებელი ელემენტი იყო ციხე-დარბაზისათვის. ეს გასაგებიცაა, რადგან აქ მცხოვრებ ფეოდალს თავისთვის უნდა ჰქონოდა ე. წ. კარის ეკლესია – სალოცავი. ასევე ეკლესია სჭირდებოდა ციხის გარნიზონსაც. რადგან ციხეში გარნიზონი ცოტახანს იდგა, მას დიდი ტევადობის ეკლესია არ სჭირდებოდა. ამ შემთხვევაშიც მარტაყი, დარბაზული ეკლესია ყველაზე ხელსაყრელი გახლდათ. ჩვეულებრივ, ეკლესიის ზომებს მრევლის რაოდენობა და მშენებლის შესაძლებლობები განსაზღვრავდა, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ადგილის ფართიც ქმედითად მოქმედებდა. ასეთი მაგალითებიდან ნიშნდობლივია სიმაგრე, მისი შიდა ფართი. ხშირია შემთხვევა, როცა ადგილის სიმცირის გამო ეკლესიის სიგრძე-სიგანე 3-4 მეტრს შორის მერყეობდა.

დარბაზული ეკლესიები ხშირად მარტო ერთი დარბაზისაგან კი არ შედგება, არამედ მათ სხვადასხვა დანამატები აქვთ. დანამატების ერთი ნაწილი ეკლესიებთან ერთად იყო აგებული, ხოლო დანარჩენი – სხვადასხვა დროს მიშენებული. ეკლესიის დარბაზის მინაშენებიდან, პირველ რიგში, შეიძლება დაეასახელოს კარიბჭეები. მათ გარდა, გვხვდება გვერდის მთელ სიგრძეზე მიშენებული სამლოცველო და სხე.

განსახილველი ეპოქის მრავალი ძეგლიდან შევჩერდებით მხოლოდ ორ ნიმუშზე.

ეს ეკი ყვარჯილის ხეობის მადლა, მთებში მდებარეობს (სურ. 196). იგი საშუალო სომის ტიპური დარბაზული ნაგებობაა. გარეთა სწორკუთხედის შიგნით ისევ სწორკუთხა დარბაზი ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. დარბაზის კამარა-ქვრდნობა პილასტრებზე გადასულ საბჯენ თაღს. დიდი ეკლესიების საკურთხეველში რიტუალისათვის ისეთი დამხმარე სათავსებია, როგორცაა საღიაკენე და სამკეყალო. ერთნაევან. ანუ დარბაზულ ეკლესიას ეს სათავსები არა აქვს, ამიტომ ოსტატები ცდილობდნენ მდგომარეობის ერთგვარ შემსუბუქებას. კერძოდ, აქ ოსტატს აფსიდის გვერდებზე შეუქმნია ორსართულიანი დარბაზი და განიერი ნიშები. ეკლესია ნათლებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თითო და გვერდების ორ-ორი სარკმლით. ეკლესიას სამი მხრიდან აქვს შესასვლელი, რაც, ჩვეულებრივად, დიდ ტაძრებში გვხვდება. პატარა, დარბაზულ ეკლესიებში უფრო ხშირად ერთი ან ორი კარია, ხოლო სამი იშვიათია.

ეკლესიის ფასადები კარგად თლილი კვადრებითაა შემოსილი და მორთულია კარ-სარკმლები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიყოფა დასავლეთისა და ჩრდილოეთის პორტალები და აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარკმლები. სწორედ ეს მორთულობა გვეჩხარება ამის დასადგენად, რომ ეხვევის ეკლესია „ღედა ღვთისა“ აგებულია XI საუკუნის დასაწყისში.

ხცისი. ადრე წვიმოყვად ცნობილი სოფელი, მდებარეობს შუა ქართლში (ხაშურის რაიონი). სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ორიოდე კილომეტრზე.

მთავრე, მეტად ლამაზ ადგილზე დგას საკმაოდ დიდი ზომის დარბაზული ეკლესია. მისი გადახურვა ჩანგრეული იყო და ახლახან აღადგინეს (სურ. 197-199).

ეკლესია, კედლებზე არსებული რამდენიმე წარწერით, კარგად თარიღდება 1002 წლით. იგი აუგია არქიეპისკოპოს ანანიას ოთანე ნათლისმცემლის სახელზე, მეფე ბაგრატ III-ის და გურანდუხტ დედოფლის დროს.

ხცოსი. ეხვეყანა შედარებით, დიდი და რაულიც. იგი ავტორს თავდაპირველად ჩაუფიქრებია როგორც ცალნაიანი ეკლესია ჩრდილოეთის სათაესით. ეს სათაესი კარით უკაფშარდება მხოლოდ ეკლესიას. ეტყობა, იგი ლიტურგიისათვის დამზადრე იყო. შშენებლობის პერიოდშივე ეკლესიისათვის სამხრეთის მინაშენი გაჩენილა, რასაც ტაძრის ფასადის გადაკეთება გამოუწვევია.

ეკლესიის სწორკუთხა დარბაზი, აღმოსაველეთით, ღრმა აფსიდით მთავრდება. აფსიდს კონქი ახურავს. დარბაზს კი - კამარა. აფსიდი მორთულია ორ-ორი მალალი და ვიწრო ნიშით. ეკლესიის შიდა კედლები პილასტრებით, თაღებით, კარგად თლილი კვადრებითაა შემოსილი. პილასტრების კაპიტელებიც დეკორირებულია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეკლესიის ავტორს კედლების მოხატვა ჩაფიქრებული არ ჰქონია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ VI-VII საუკუნეებში ასეთი ტიპის ეკლესიების კედლების შიდა პირი სიბრტყობრივი იყო. კედლებისა და კამარების 'ხედაპირის პილასტრებითა და საბჯენი თაღებით დანაწევრება VIII-IX საუკუნიდან შემინევა, ხოლო X საუკუნიდან მიღებული და უკვე გავრცელებულია. ცხადია, ეკლესიების შიდა დანაწევრება აუცილებელი არ ყოფილა, მაგრამ ძირითადად ასე იყო დამკვიდრებული. კიდევ ერთი რამ არის აღსანიშნავი: პილასტრები ჯერ ერთსაფეხურიანია, შემდეგ ორი და ბოლოს სამსაფეხურიანიც გვხვდება.

ეკლესიის დარბაზი კარით უერთდება ჩრდილოეთის სათაესს, რომელიც თითო სარკმლით ნათდებოდა გარე კედლებიდან.

სამხრეთის გრძელი სტოა აღმოსაველეთით სამლოცველოთი მთავრდება, იგი სამი თაღითაა დია იყო სამხრეთის მხრიდან.

ეკლესიის ფასადები მეტად საინტერესოაა გადაწყვეტილი. მორთულობა აშკარად ახალი, ცხოველხატული სტილის პრინციპზეა აგებული. ამისი ნიმუშია თაღები, რომელიც ფასადების მორთვის მთავარი ელემენტია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან იგი ამ ეპოქის მახასიათებელია. ხუროთმოძღვარი, როგორც ცხოველხატული სტილის დამამკვიდრებელიაგანი, სრულიად თავისუფლად იქცევა. კერძოდ, აღმოსაველეთისა და მოპირდაპირე ფასადი მას სამ-სამი თაღით აქვს დამუშავებული. ეს თაღები აღმოსაველეთით სიმეტრიულადაა დალაგებული, ხოლო დასაველეთით - ასიმეტრიულად. ასევე ასიმეტრიულად აღადგენს ავტორი დეკორის სხეა ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: ჯვრები, ჩუქურთმა, რელიეფები და სხე. თაღისთავედ ჩუქურთმა და რელიეფები მალალი ოსტატობითაა შესრულებული.

საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარი, რომელიც კავკასიონის ქედზე გადის, რამდენიმე ასეულ კილომეტრზე გადაჭიმულია. ქედის მეორე მხარეს რამდენიმე ეროვნების ხალხი ცხოვრობდა და ცხოვრობს. მაითან საქართველოს სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირი ურთიერთობა ჰქონდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის დრო, როდესაც საქართველო ძლიერი იყო და ერთგვარ გაეღწენას ახდენდა ქედგალმა მცხოვრებლებზე.

კავკასიონის ქედის ორივე მხარეზე მცხოვრები ხალხების ურთიერთობა დიდი ხანია შესწავლის საგანია, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკუთრებული. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხელოვნების ძეგლების გამოვლენისა და შესწავლის საკითხი. ბოლო ასეული წლების განმავლობაში არაერთი ძეგლი იქნა გამოვლენილი და გამოქვეყნებული, მაგრამ მეცნიერები საბოლოო დასკვნამდე ჯერ კიდევ შორს არიან. ერთი რამ კი შეიძლება გარკვევით აღინიშნოს – ქრისტიანობის მეტ-ნაკლები გაეღწენა თითქმის მთელ ხაზზე ჩანს.

მატერიალური კულტურის ძეგლების ნაშთები საკმაოდ ბლომადაა შიდა ქართლის მოსასღვრე ჩრდილო ოსეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეისთვის სახელით იყო ცნობილი. ამ მონაკვეთზე, სადაც ქრისტიანობის გავრცელება VI საუკუნიდანაა ცნობილი, ჩრდილოეთიდან მტრულად მომავალი ჯარების წინააღმდეგ ხეობების გადამკეტი ბერი კედელი და სხვა სიმაგრეა შემორჩენილი.

ამ მხარის ეკლესიებიდან გამოირჩევა არდონის ხეობაში მდგარი, XI საუკუნის დასაწყისით დათარიღებული, ხოლო სტა-მარიის და რაბახული ეკლესია, კედლის მხატვრობის ფრაგმენტებით.

ჩრდილო კავკასიის ქრისტიანულ ძეგლია შორის აღსანიშნავია ნუხალის სამლოცველო ასომთავრული წარწერიანი ფრესკული მხატვრობით. მხატვრობის სცენებიდან ყურადღებას იქცევს ექვსი პირისაგან შემდგარი ქტიტორული კომპოზიცია.

ინგუშეთის ტერიტორიაზე ასას ხეობა ამ მხარეში ქრისტიანობის გავრცელების აკანია. აქ მრავალი ძეგლი ქართული კულტურის არეალს მიეკუთვნება. ქრისტიანობის კვალი ჩანს არა მარტო ეკლესიებში, არამედ სხვადასხვა სახის ნაგებობებში და მათ შორის ზოგიერთ კოშკშიც. ეკლესიებიდან აღსანიშნავია ტყობა-ერდი (სურ. 200) და ალბი-ერდი. ამოგან მნიშვნელოვანია ტყობა-ერდი, სადაც აშკარად ჩანს VII-IX და X-XI საუკუნეთა ფენა და XV-XVI საუკუნეთა რესტავრაცია. იგი ტიპით უკავშირდება სამეკლესიან ბაილიკებს გარშემოსალებით. კედლებზე ბლომადაა რელიეფური გამოსახულებები და ორნამენტული მოტივები.

საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის მიხობელ დაღესტანშიც ქრისტიანობის კვალი ჩანს VII საუკუნიდან ვიდრე XV საუკუნემდე. ამ მიმართულებით ძალიან კული ზემოქმედება ჰქონდა მონგოლების პოლიტიკას, მათ საქმიანობას.

ქრისტიანობის კვალი დაღესტანში ძალზე ბევრია. მათ შორის გამოირჩევა ეკლესიები ქართული ასომთავრული წარწერებით, ჩუქურთმა და სხვა. ეკლესიებიდან

გამოირჩევა ყოისუს ხეობაში მდებარე დათუნას ეკლესია. იგი X-XI საუკუნეთა მიჯნის დარბაზული ნაგებობაა. გამაჰმადიანებული მოსახლეობა მას დიდხანს რელიგიური მოკრძალებით ეპყრობოდა. დაღესტნის მრავალ რეგიონში ახლაც ნახავთ ეკლესიების სუქურთმის და ჯერის გამოსახულებიან ფრაგმენტებს. ყურადღებას იპყრობს ეკლესიების ნაშთები. მათი უმრავლესობა X-XIII საუკუნეებისაა.

ცენტრალურ-აზიბატონიანი ხეობის რეკონსტრუქცია

ქართული არქიტექტურის მეორე აღმავლობის პერიოდში მრავალი ახალი სახე და ტიპი იქმნება. ამ ტიპებიდან ბოლოა ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესიათა ტიპი. ეს ტიპი დაამკვიდრეს სამთავისისა და სამთავროს ხუროთმოძღვრებმა. სამთავისი, ისტორიული წარწერით, 1030 წლით თარიღდება, ხოლო სამთავროს ზუსტი თარიღი არა აქვს. მაგრამ, სტილისტიკური მონაცემებით, იმავე პერიოდშია აგებული. ასე რომ, ამ ახალი ტიპის შემქმნელად ორივეს ავტორი უნდა მივიჩნიოთ. სამთავისისა და სამთავროს ხუროთმოძღვრებმა ისეთი სრულყოფილი ტიპი შეიმუშავეს, რომ მან იშვიათი გამძლეობა გამოიჩინა.

მომდევნო რვა საუკუნის განმავლობაში გუმბათოვანი ეკლესიის სხვა ტიპი საქართველოში არ შექმნილა. ტიპის ასეთი გამძლეობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა აიხსნას მისი სრულყოფილებით.

ტიპს რომ რეაასი წელი იარსება, ამაში ერთგვაროვნება, სტანდარტულობა კი არ იგულისხმება, არამედ ტიპის ზოგადი სახის შენარჩუნებაზეა საუბარი. სინამდვილეში თითოეულ ნაგებობაში ჩანს ეპოქა და ხშირად რამდენიმე წლის სხვაობაც კი აშკარად შეიძინება.

თავისთავად თვით ტიპი ამ ეპოქაში წარმოსმობილი ცხოველხატული სტილის თავისებურებების შედეგია. მასში ამ სტილის ყველა ნიუანსია გამოხატული. ეკლესიათა გეგმები, ინტერიერისა და ექსტერიერის კომპოზიციები, საერთო დეკორი, სუქურთმა და რელიეფი - ყველაფერი ახალ სტილს ექვემდებარება.

ეკლესიების გეგმები, მცირე გამოჩაკლისის გარდა, სწორკუთხედშია მოქცეული. აღმოსავლეთის მხარე, საკურთხეველი, ადრეული პერიოდის ეკლესიების მსგავსად, რჩება სამნაწილიანი. მაგრამ შენობის ცენტრი მოუახლოვდა საკურთხეველს. წრომის ავტორის მიერ VII ს-ის პირველ ნახევარში დამკვიდრებული გუმბათის საყრდენად ოთხი თავისუფლად მდგარი სვეტის გამოყოფა აქ დებულობს გარდატეხის სათავეს. გუმბათქვეშა საყრდენებიდან ორი შეერწყა საკურთხეველის კუთხეებს. ამის შემდეგ მთელი მომდევნო საუკუნეების განმავლობაში გუმბათი ეყრდნობა საკურთხეველის კუთხეებს და დასავლეთის ორ სვეტს. მართალია, ამის გუმბათში წინ წაიწია, მაგრამ არც ისე, რომ ნაგებობის გარეგანი სახე დაარღვევს. აქვე შეიძლება იმის აღნიშვნაც, რომ ქართულ გუმბათოვან ეკლესიებში გუმბათი აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის ცენტრში ან ცოტა აღმოსავლეთით დგას.

ინტერიერის კომპოზიციის ღერძს წარმოადგენს შუაში, ჯერის ოთხი მკლავით შექმნილი ცენტრალურ-გუმბათოვანი სივრცე.

საკურობელების გვერდითი სათავსები, როგორც წესი, ორსართულიანია. ქვემოთ საღიაკენე და სამკვეთლოა, ზემოთ სამალაგებია, ეკლესიის საგანძურის შესანახია. დასაფლავის მკლავის გვერდებზე ვიწრო ნაგებია. მათ ზემოთ სოფჯერ პატრონიკეებს აწყობენ. ეს პატრონიკეები შიდა სივრცეში ორ მხარეს თაღებით გამოდის. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პატრონიკე ჯერ კიდევ წრაშიის ოსტატმა შემოიღო და მას XIV საუკუნემდე იყენებდნენ, მაგრამ აუცილებელი არასოდეს ყოფილა.

ინტერიერის განათებაც ცხოველხატულობას ექვემდებარება. ჩვეულებრივ, გუმბათოვან ეკლესიაში ყველაზე მეტად გუმბათქვეშა სივრცეა განათებული. აქედან გამომდინარე, ყოველი ხუროთმოძღვარი ცდილობდა, რომ შემსველელს ეკლესიის შიდა სივრცე თავიდანვე საუკეთესო მხრიდან ენახა. ამიტომ კარი, დასაფლავის მხარის გარდა, გვერდებიდან, ჯერის მკლავების არეში უნდა კეთდებოდეს. ასეთ გადაწყვეტას მხოლოდ სოფჯერ მიმარავენ. ხუროთმოძღვრები კარებს ცენტრში კი არ აკეთებენ. არამედ დასაფლავით – გვერდით ნაგებში. აქედან შესული ჯერ ნახევრად სიბნელეში მოხვდება. შემდეგ, თუ ცენტრისკენ გააგრძელებს სელას, კონტრასტებით მოუხდება ინტერიერის აღქმა. ცენტრში, სათავსოებზე არ დატრიალდებით, ყველგან განსხვავებული განათებაა. ასე არ იყო კლასიკურ ხანაში, მაგალითად, მცხეთის ჯეჯეში, სადაც არ უნდა დაედგეთ, ყველგან თითქმის თანაბარი განათება, ირგვლივ პარმონიაა.

ამ ტიპის ეკლესიების გარეთა მასებიც პირამიდულ კომპოზიციასხეა აგებული. ქვედა რიგში ჯერ კარიბჭეა, შემდეგ – ეკლესიის ქვედა კორპუსი და ბოლოს – გუმბათი. მართალია, სოფი ეკლესიის კარიბჭეს არ მოუღწევია ჩვენამდე, მაგრამ მისი ნაშთი ჩანს.

ფასადების მორთვა ამ ეპოქაში, საერთოდ, და, კერძოდ, ამ ტიპრებში 'ხენტიშია აყვანილი. ფასადებზე მორთული ადგილები სჭარბობს მოურთავს. აქ მსაგაროა თაღები. იგი უწყვეტად უელის ნაგებობას ოთხივე მხარეს და გრძელდება ზემოთკენ, სახურავსა და გუმბათის ყეფზეც იგივე სურათი მეორდება.

ფასადების თაღებით მორთვა, როგორც სტილის დამახასიათებელი, გეხედება არა მხოლოდ გუმბათოვან ტიპრებზე, არამედ იმავე ეპოქის ყოველი სახის დიდ თუ მცირე ეკლესიაზე. მორთულობის ეს სახე, უკვე გამოკვეთილად გამოყენებული X საუკუნის 60-იან წლებში, ორასი წელი გრძელდება. მას უკანასკნელად ეხედებით 1172 წლის იკორითის ტაძარზე.

როგორც აღვნიშნა, ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესიის ტიპმა მსოფლიო მომდევნო შუა საუკუნეები იარსება და გზადაგზა ნიუანსური ცვლილებები განიცადა. მიუხედავად ასეთი მცირე ცვლილებებისა, დროის დიდი მონაკვეთების, სტილისტიკური ეტაპების გამოყოფა მაინც შეიძლება. ესენია: 1) XI საუკუნის დასაწყისიდან XII საუკუნის 70-იან წლებამდე; 2) XII საუკუნის 80-იან წლებიდან XIII საუკუნის შუა ხანებამდე; 3) XIII საუკუნის შუა ხანებიდან XV საუკუნის ბოლომდე (და 4) XVI-XVIII საუკუნეები.

XI საუკუნის დასაწყისიდან XII საუკუნის 70-იან წლებამდე აგებულია ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ხუთი ტაძარი:

სამთავისი დგას შუა ქართლში. დღევანდელ კასპის რაიონში; სამთავრო - მცხეთაში; გელათი - ქუთაისთან ახლოს; თიღვა - სამიწაბლოში და იკორსა - გორთან ახლოს. მოუხედავად მათი სტილისტიკური ერთიანობისა, თითოეულ მათგანს საკუთარი სახე. ინდივიდუალობა ახლავს.

სამთავისი ვაკეზე დგას და მისი ატყორცნილი სილუეტი საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს (სურ. 201-204). გაღაენთა შემოვლებულ ერცელ ეზოში ის მარტოა. სხვა ნაგებობები მისგან შორსაა, ამიტომ ყოველი მხრიდან ადვილად ასათვისებელია. მას აკლია კარბჭეები - პირამიდული კომპოზიციის პირველი საფეხური, რომ არა ეს, საერთო შთაბეჭდილება უკეთესი იქნებოდა.

სამთავისის ტაძარი, წარწერების თანახმად, აგებულია სამთავნელი ეპისკოპოსის ილარიონ ვაჩე ყანაველის ძის მიერ 1030 წ. (წარწერის ტექსტიდან გამომდინარე). არის მოსასრება, რომ ილარიონი იყო არა მარტო ქტიტორი, არამედ ხუროთმოძღვარიც. მასვე იქვე, ეზოში 1050 წ. აუგია მარანი, საწნახელი და, ალბათ, პლატიც.

მშენებლობა შემდეგშიც გაგრძელებულია. ერთ-ერთი წარწერის მიხედვით, იოანე სამთავნელის ეპისკოპოსის ტაძრისათვის 1168 წ. კარბჭე მოუშენებია. ამ კარბჭის ნაშთი გასული საუკუნის შუა ხანებში მოუშლიათ. სამხრეთის ფასადზე ახლაც ჩანს მისი კვალი.

რომელიცაც დიდი კატასტროფის დროს ტაძრის გაუმბათო ჩამოვარდნილა და დასაველეის მხარე მაღიანად ჩაუტანია. ამის შემდეგ, XV საუკუნის 70-იან წლებში, იგი აღუდგენიათ. აღდგენაზე მიგვითითებს ერთი წარწერა, სადაც ნათქვამია, რომ მეორედ აღმშენებელია ამირანდო ამილახორის მეუღლე გაიანე. საქმე ის გახლავთ, რომ ეს მიდამოები ამ დროს უკვე დიდ ფეოდალებს, ამილახერებს ეკუთვნოდათ და სამთავისი მათი საძიფლე იყო.

ეკლესიის გეგმა მოგრძო სწორკუთხედშია ჩასმული. შიდა სივრცეს ქმნის გუმბათის დამთავრებული ჯვრის ოთხი მკლავი. თვისა გუმბათი საკურთხეველის შევრდილებსა და დასაველეის ორ პილონს ეყრდნობა. საკურთხეველის აფსიდი ბეზითაა შელრმავეებული. აფსიდის გვერდებზე საღიაკენე და სამკვეთლოა. ცენტრალური ჯვრის დასაველეის მკლავი გვერდით ნავეებს თითო თაღით უერთდება. ტაძარს სამი შესასველელი აქვს - დასაველეის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხარეებზე. გვერდითი კარები, ცენტრის ხაზზე, ჯვრის მკლავებში კი არ არის განლაგებული, არამედ უკან, ნავეების სივრცეში. როგორც აღენიშნეთა, ავტორის ასეთი გადაწყვეტა სტილის თავისებურების დამახასიათებელია. აქედან შესული ადამიანი შიდა სივრცეს მუდმივ კვალებადობაში ითვისებს.

იმევე პრინციპსეა დაყრდნობილი სარკმლების განლაგება. ყველაზე მეტად ცენტრია განათებული გუმბათისა და ჯვრის მკლავებში განლაგებული სარკმლებით.

ეკლესიის შიდა კედლები თავიდანვე ფრესკული მხატვრობითა იქნებოდა დაფარული. მაგრამ დროთა ვითარებაში დაზიანებულია და შემდეგ ხელახლა მოუხატავით. ესეც დაზიანებულია და მცირე ფრაგმენტებია გადარჩენილი.

საკუროსიხეკელში დარჩენილი ორი წარწერის მიხედვით, იგი ხელახლა მოუხატაეთ გივი ამილახერის სახსრებით და სამთაფნელი ეპისკოპოსის მედიტონის ხელით.

ტაძრის ფასადებიდან დასაუღესის ხელახლა აწყობილი და პირენდელი სახე მთლიანად დაკარგული აქვს. გვერდითი ფასადებიდან სამხრეთისას კარბზე აშკარად აკლია. შესაძლოა, ასევე იყოს მოპირდაპირე მხარეც. სხვა მხრივ, გვერდითი ფასადები თაფდაპირეული სახისაა შემორჩენილი. სხეებზე უკეთაა მოღწეული აღმოსაუღესის ფასადი.

ფასადები მეტად მდიდრულადაა მორთული. მათი მთავარი ელემენტებია თაღები, რომელიც უწყვეტად უღლიდა ქვედა კორპუსს. ამ მხრივ სანიშნოა აღმოსაუღესის ფასადი. მისი მორთვა მთელი სიმფონიაა. აქ ფორმებისა და ხაზების დინამიკურობაში აშკარად ჩანს ახალი ცხოველხატული სტილის პრინციპები. ფასადის ხუთი თაღის აღმავალი კომპოსიცია საწყისს იღებს ოშკის ტაძარში. შემდეგ მან დიდი გზა გამოიარა და ვარააცებები შექმნა ისეთ ტაძრებში, როგორცაა ბაგრატის ტაძარი, სეგტიცხოველის, აღავერდი, არტისტიხმის კულმინაციას კი სამთაფნისში მიადწია.

აღმოსაუღესის ფასადის ღერბი, ერთი შეხედვით, თითქოს გადატერითულია ელემენტებით, მაგრამ ოსტატს ისე აქვს შერწყმული ყველაფერი, რომ მხოლოდ ესთეტკურ კმაყოფილებას გრძნობთ. აქ ერთ ხაზსეა ასხმული ჯვარი, სამრეკლის მორჩეობა, ცერად შექცვარა ორი კედრატა და ცოკოლზე დაბჯენილი ლილეები ბახისით.

სამთაფნისის აკტორის მიერ შექმნილი კომპოსიცია მომდევნო თაობებმა აიტაცეს და დიდხანს არ ჩამოსულა არენიდან. მის ანარეკლს XVII საუკუნის ბილოს აგებულ ანანურის ეკლესიაზეც ვხედავთ.

იქვე, აღმოსაუღესის ფასადის მარჯვენა განაპირა თაღში, მოქცეულია ფასკუნჯის საკაოდ მოხრდილი რელიეფი. იგი იშვიათი მაღალმხატვრული ნაწარმოებია. ასეთი რელიეფი მოპირდაპირე თაღშიც ყოფილა. სამწუხაროდ, მისი ნაშთი გასული საუკუნის შუა წლებში სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებისას სულ მოუსპიას.

ტაძრის მრავალფეროვანი ჩუქურთმა, იმავე ეპოქის სეგტიცხოველის, სამთაფროსა და ბაგრატის ტაძრის ორნამენტებთან ერთად, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მშვენებაა.

გელათის მონასტრის დაარება დიდი ქართველის, დაეთა აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული. ამის თაობაზე დაეთა აღმაშენებლის ისტორიკოსთან ეკისხულობთ: „მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა რომელიცა გამოირჩია მდღმან საღმრთოთმან ადგილსა ყოელად შუენიერსა და ყოელითურთ უნაკლულსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაი გარდაართხა ტაძარი ყოელად წმიდისა და უფროსად კუროხეულისა დედისა ღმრთისა“. მართლაც, მონასტრისათვის შერჩეულია იმერეთის ერთი უმშვენიერესი კუთხე ქუთაისის სანახებსა და დღევანდელი ტყიბულის რაიონში. იქვე შემატანე აგრძელებს, თუ როგორ ააყვავა ეს სამოსხის დარი ადგილი მეფემ და აღმოსაუღესით, „მეორე ღერუსაღმში“, როგორ მოუყარა თაგი საქართველოს და უცხოეთში მყოფ ქართველ მოღვაწეებს, მეცნიერებსა და სხვათა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მათ შორის იყო ბრწყინვალე ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. ისინი მოღვაწეობდნენ სწორედ გელათის აკადემიაში. აკადემიის ეს

შენობა, სხვა ეკლესიებსა და სამრეკლოსთან ერთად, დღესაც ამშვენებს ანსამბლს. იქვე ეხიშა დაკრძალული თვით დავით მეფე.

ტაძრის აგების შესახებ კი დავით აღმაშენებლის ანდერძში ეკითხულობთ: „დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შეიღსა ჩემსა უსრულად და წარსყვა მისთჳსაც ტკივილი სამარადისო. აწ შეიღმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულ ჰყოს ყოფლითურთ“. ამ „მეორე ათენისა“ და „მეორე იერუსალემის“ აგებას მეფე დავითი, როგორც სხვა ისტორიული წყაროები გვაუწყებენ, იწყებს 1106 წ. როცა დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა (1125 წ.), იგი დაუმთავრებელი იყო (სურ. 205-208).

საბელნიეროდ, გელათის ტაძარმა დღემდე შეღარებით, კარგად მოაღწია. იგი მთელი მომღვენთ საუკუნეები რჩება არა მარტო კულტურულ ცენტრად, არამედ საგანძურადაც. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მონასტრის დიდებას მარტო ხახულის ღვთისმშობლის ხატის შენარჩუნება ეყოფა.

გელათის დიდებული ტაძარი მრავალფერაინია. მთავარმა ტაძარმა, რომელიც ცენტრალურ-გუმბათოვანსა ტაძს მიეკუთვნება, კარგად მოაღწია. მისი შიდა სივრცე დიდია და ხალვათი, შიგ თავისუფლად შეიძლება სუნთქვა. ინტერიერის კომპოზიციის შემკერდელა ჯერის მკლავები, რომელთაგან მხოლოდ აღმოსავლეთისაა აფსიდური. განათების წყაროები ოთხივე მხარესაა, მაგრამ ნათელი იღვრება ცენტრში გუმბათში განლაგებული 16 სარკმლიდან.

საკურთხევისა და მის გვერდით მდებარე სპიკვესლოსა და საღიაკენეს აფსიდები შეკერილია. შეკერილი აფსიდები ადრე შუა საუკუნეებისათვისაა დამახასიათებელი. თანაც უფრო დასავლეთ საქართველოსათვის, მაგრამ, როგორც გამოჩნკლისი, გვიანაც გვხვდება.

ინტერიერის დასავლეთის მხარესე ჯერის 'სწორკუთხა მკლავი ქვემოთ თითო თაღით უერთდება გვერდით ნაგებს, ხოლო ზემოთ თაღოვანი პატრონიკეებია. ჯერის მკლავის გაღმა არსებულ სტოას ცენტრთან სამი კარი აერთიანებს.

ტაძარს გარედან თავდაპირველი სახით ვერ ვხედავთ, რადგან მის ქვედა ნაწილს ფარავს XII-XIII საუკუნეების მინაშენები. მოუხელავად ამისა, ფასადების მორთვის თავდაპირველი პრინციპი გასაგებია. ტაძრის აეტორმა X საუკუნის პირველ ნახევრიდან XI საუკუნის შუა ხანებამდე მიღებული ფასადების მორთვის წესი გადასინჯა და ახალი სიტყვა თქვა. მან უარყო ფასადების თაღელით მორთვის უწყვეტი სისტემა და თაღელი დატოვა მხოლოდ ფასადების ცენტრებში. ამასთანავე, უწყვეტი თაღელი მან დატოვა ქვედა კორპუსის სახურავების ზემოთ, ჯერის მკლავების გვერდით ფასადებზე. რაც შეეხება ჩუქურთმას, იგი მეტად ძუნწადაა გამოყენებული.

ეკლესიისა და შემდეგ მიშენებული სამლოცველოების ინტერიერი მთლიანად მხატვრობითაა დავარული. მათი საერთო თარიღია XII-XVII საუკუნეები. ფრესკებზე გამოსახულთაგან გამოირჩევა დავით მეფის დღემდე შემორჩენილი ერთადერთი გამოსახულება. რაც შეეხება აფსიდის კონქზე გამოსახულ ღვთისმშობელს მთავარანგელოზების, ის საქართველოში არსებული ბოლო მონაიკური მხატვრობაა. შესრულებულია XII საუკუნის ოციანი წლების მეორე ნახევარში.

იკორთა მდებარეობს გორიდან ჩრდილოეთით ოციოდე კილომეტრზე, მდ. მეჯუ-
ლის აუქსი. ეკლესიის კედლებზე არსებული წარწერების მიხედვით, იგი აგებულია
1172 წ. იმავე წარწერებში ქტიტორებად გვიგლინიან ერისთავთ-ერისთავი ვარდა-
ნი, არსენი, ბასილი და სხვები. ტაძარზე ზრუნვა ჩანს სხვა წარწერებშიც, მაგრამ
შენობას რადიკალური ცვლილებები არ განუცდია. სამწუხაროდ, იგი დაზიანდა
1991 წ. მიწისძვრის დროს. დაზიანება განსაკუთრებით შეეხო გუმბათის ყელს
(მამლინარეობს აღდგენა).

საქართველოს ისტორიისათვის იკორთა სხვა მხრივაცაა საინტერესო. კერძოდ,
იკორთა უკანასკნელ საუკუნეებში ქსნის ერისთავთა სამარხს წარმოადგენდა. სწორედ
იქ არიან დამარხდნენ ქართველობისათვის თავგანწირული 'ელიზბარ და შალვა
ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი. ცნობილია, რომ კახეთის 1659 წლის აჯანყების
მეთაურები ორი წლის შემდეგ წამებით მოკლეს ირანში. საკმაო დროის გასვლის
შემდეგ მათი ნეშტი მალულად გადმოასვენეს და იკორთის ტაძარში დაკრძალეს.

სოფელი იკორთა მთებში მდებარეობს. თქვით ტაძარი ერთ-ერთი მთის პლატოზეა
გაშენებული, მისი გალაგნიდან და გვიანი ციხიდან ფრამენტებილია დარჩენილი.

ეკლესია ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვანია (სურ. 209-211). მისი გეგმა
მოქცეულია მოგარის სწორკუთხედში. ცენტრი აქაც გუმბათქვეშა კვადრატს უკავია,
რომელიც ოთხივე მხრიდან ჯერის მკლავები უერთდება. ამ მკლავებიდან
აღმოსავლეთისაა აფსიდალურია, ხოლო დანარჩენი – სწორკუთხა. გუმბათი აქაც
საკურთხეველის კუთხეებსა და დასავლეთის ორ სვეტს ეყრდნობა. საკურთხეველი
ბემის შემოქობთა ღრმადია შეწყული. იგი, ჩვეულებრივად, სამი სარკმლით ნათდება.
აფსიდის გვერდებზე განლაგებული სამკვეთლო და საღიაკენე აფსიდებით მთავრდება.
ხოლო მათი კავშირი დასავლეთით, სამლოცველო სივრცესთან, ორიგინალურია, იგი
მთლიანად ღიაა. ჩვეულებრივ, მათ შორის კარია ხოლმე. ეს ლიტურგიის ცვლილებით
არ არის გამოწვეული. ეტყობა, არქიტექტორმა ახალი შტრიხის შეტანა განიზრახა.
ასევე, სამკვეთლო ფართო კარითაა საკურთხეველთან დაკავშირებული. ასეთი
გადაწყვეტა კი ხშირად გვხვდება.

დასავლეთის ჯერის მკლავი გვერდით ნაეებს ორ-ორი თალით უერთდება.
გვერდითი ნაეების ზემოთ პატრონიკეებია განლაგებული, მათთან კავშირი ხის კობით
ხდებოდა. თვით პატრონიკეები შიდა სივრცეში მცირე ზომის თალებით გამოდიოდა.
აქ არ არის ის სიხალდათე, რომელიც, ჩვეულებრივ, ადრეულ ძეგლებზე გვხვდება.
პატრონიკეთა დონეზე, აღმოსავლეთით, საღიაკენესა და სამკვეთლოს ზემოთ მეორე
სართულები დიდი თალებითაა ღია.

ტაძრის ძირითადი სივრცე შექმნილია ჯერის მკლავებისა და მათზე აღმართული
გუმბათისაგან. სივრცის განათება ხდება გვერდითი მკლავების სამ-სამი (მხოლოდ
დასავლეთითაა ორი) და გუმბათის 12 სარკმლიდან. სარკმლების ასეთი არასთანაბარი
განლაგება განგებაა გაკეთებული, რომ ინტერიერის შიდა ნაწილები განსხვავებულად
ათვისოსს შემსუფთვებდა. ხურთამოძღვრის კონცეფციისაში ჩადებული მრავალ-
ფეროვნება, ერთგვარი მოუსვენრობა.

ტაძარი გარედან, მისი ფასადების და გუმბათის მორთულობა, დიდებულ შთაბ-

ექვდილებას ტოვებს. ტაძრის ქვედა კორპუსის ოთხივე მხარეს უწყვეტი თაღული ამშვენებს. ფასადების თაღულით მორთივამ, რომელიც X საუკუნის 60-იან წლებში დანერგა ოშკის ბრწყინვალე ხუროთმოძღვარმა, აქამდე მოაღწია. მან შემოქმედებითი სიახლეების რთული გზა განელო და XII საუკუნის 70-იან წლებში თითქოს ძალა გამოეღია და გაგრძელება ველარ შეძლო.

მართალია, ოთხივე ფასადი ერთნაირად თაღულითაა მორთული, მაგრამ მათში უკვე ჩანს რღვევის ნიშნები. აღმოსავლეთის ფასადს ასე თუ ისე შენარჩუნებული აქვს ტრადიციული იერი, მაგრამ დანარჩენ ფასადებზე თაღულის ჰარმონიულობა უკვე „გატეხილია“. ეს თაღული თავისთავში ატარებს „უარყოფას, მის მოძრაობაში ჩარაული კუთხოვნება ხელს უშლის ხაზის თავისუფალ სრიალს.

საქმე ისაა, რომ გვერდითი და დასავლეთის ფასადების ცენტრალური მონაკვეთი, ადრე მიღებული სამი თაღის ნაცვლად, ერთი განიერი თაღით შემოსახლდებოდა და გვერდებზე ადრე არსებული წერილი თაღების ადგილზე კუთხეებს აკეთებს. სწორედ ეს კუთხოვნებაა თაღულის თავისუფალი „სრიალის“ უარყოფა, უარის თქმა სწორედ იმაზე, რასედაც აგებულია თაღულის თავისუფლება, მისი უსასრულობა. ფაქტურად, თაღულზე, როგორც დეკორატიულ ელემენტზე, უკვე უარია ნათქვამი. ქართველი ოსტატი მას აქ გამოემშვიდობა!

ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი უკანასკნელად იმეორებს სამთავისის ავტორის მიერ შექმნილ კომპოზიციას. მაგრამ საერთო გადაწყვეტაში მათ შორის შესამჩნევ განსხვავებაა. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამომდევანდა საერთო პროპორციებში: სამთავისში მთელი ფასადი თითქოს ატყორცნილია, აქ კი დადაბლებულია. მიწასთან შეხრილია. მიუხედავად ყველაფრისა, ფასადი მაინც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ხუთელემენტური თაღული სამკუთხად, ნელა, მაგრამ მაინც სვეით მიემართება. შუა თაღის შიგნით, სამთავისის ავტორის მიერ შექმნილ ცენტრალურ ღერძზე ასხმულია კომპოზიცია – ჯვარი, სარკმლის მოჩარჩოება და ორი რომბი. ამ კომპოზიციას გვერდებს უმშვენებს ორნამენტური ფესტონებით დამთავრებული ღრმა ნიშები. განაპირა თაღებში კი ხუროთმოძღვარი სრულიად ახლებურ დეკორატიულ ელემენტს გესადავსობს. ესაა ერთ ვერტიკალზე ასხმული მადალი და წრიული სარკმლების შემაერთებული რთული მოჩარჩოება. ასეთი დეკორატიული ელემენტი ამ ძეგლზე პირველადაა გამოყენებული და მას მიმდევარიც არ გასჩენია.

მოპირდაპირე ფასადის თაღულის ცენტრი მოკაეებული აქვს ერთ ჰორიზონტზე განლაგებულ მადალ სარკმლებს, ქვედა ჰორიზონტი კი – გვიან კარიბჭეს. ის მძიმე და შეუფერებელია ამ შენობისათვის. ფასადზე არსებული ნაშთების მიხედვით, თაღდაპირველი კარიბჭე გაცილებით პატარა ყოფილა. იგი, ალბათ, ფასადს მოხდენილად შეერწყმოდა.

გვერდითი ფასადებზე, თაღულის შემდეგ, დეკორატიულ ელემენტს ცენტრში მდებარე სამ-სამი სარკმელი წარმოადგენს. ისინი სიდიდით, საერთო პროპორციებით, ცოტათი მძიმედ გიქმეგნება. მიმდევნი ხუროთმოძღვრები ამ კომპოზიციასზე უარს ამბობენ. სხეას ექებენ.

გუმბათის ცილინდრზე განლაგებული თორმეტი სარკმელი გაერთიანებულია დეკორატიული თაღებით. ამას თავიდანვე ემატებოდა ორმაგი კარნიზი. დღეს ოფსანახევროდ გამოფიტულია. სარკმლების ირგვლივ გამაღალ არშიებზე მდიდრული ჩუქურთმია განლაგებული. ასევე ქვემოთ, ძირითად კორპუსზე მცენარეულ თუ გეომეტრიულ ჩუქურთმითაა სიუხვეა.

რუსთაველის ეკლესიის ტაძრები

(XII საუკუნის 80-იანი წლებიდან XIII საუკუნის შუა ხანებამდე)

ქართული კულტურის ისტორიაში XII საუკუნის ბოლოს და XIII საუკუნის დასაწყისს, ჩვეულებრივ, „ეპოქის ხანა“ ეახდნენ და ეს გასაგებიცაა. ქართული მწერლობა სწორედ ამ ეპოქაში აღის იმ სიმაღლეზე, რომელსაც ბადალი არა ჰყავს. ეს ის პერიოდია, როცა ბრწყინავს შოთა რუსთაველის პოეზია და მის თანამედროვეთა შემოქმედება. ამ ეპოქაში აღმავლობას განიცდის კულტურის ყველა სფერო. მრავალმა მათგანმა არაერთი უჭკნობი ფურცელი დაუტოვა მომდევნო თაობებს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ იმ ეპოქის მსოფლიო მხატვრობაში ყინწვისის ანგელოზი ერთ-ერთი უშესანიშნავესი ძეგლია. ეს მრავლისმეტყველი ნახატი ბევრად უსწრებს რენესანსის ფუძემდებლების შემოქმედებას. რომ არა მონღოლების გამანადგურებელი ორასწლიანი ბატონობის შედეგად გამოწვეული პოლიტიკური დაქვეითება და ფეოდალიზმის საერთო კრახი, ქართული ხელოვნება სხვა გზით წარმართებოდა და, ცხადია, შედეგაც უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა.

ეს საერთო აღმავლობა ქართულ არქიტექტურაშიც აშკარად ჩანს, ესაა ერთი მთლიანი ეტაპი, ახალი საფეხური, რომელსაც საკუთარი სახე, განსაკუთრებული სტილი აქვს. საერთოდ, შეიძლება შევნიშნოთ, რომ ეპოქისათვის დამახასიათებელი ცხოველხატული სტილი არც აქ იწყება და არც აქ მთავრდება. ეს მხოლოდ მისი განვითარების მეორე საფეხურია.

ეკლესიათა ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპიდან ამ ეპოქაში აგებულია ცხრა: თბილისის „ღურჯი მონასტერი“, ბეთანია, ქუთაისი, ყინწვისი, ტიმოთესუბანი, ფიტარეთი, წულდრულაშენი, კაბენი (1904 წ. დაანგრის) და ახტალა. ესენი ძალიან მოკლე დროში, რაღაც ოცდაათიოდე წლის განმავლობაშია აგებული. დროის მოკლე მონაკვეთში ასეთი მაღალმხატვრული დიდი ნაგებობების შექმნა ბევრის მოქმედია.

ამ ძეგლებთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია სამი გარემოება: 1. ცხრავე ძეგლი აგებულია თამარისა (1184-1213) და ლაშას (1213-1222) მეფობის ხანაში; 2. თითქმის ყველა განლაგებულია თბილისიდან ახლოს (ყველაზე ახლო მდებარე – ბეთანია და კოჯრის კაბენი – თხუთმეტოდე კილომეტრზე, შორს მდებარე ტიმოთესუბანი კი ორასიოდე კილომეტრზე); 3. ცხრავე თბიქტი მტკერის მარჯვენა მხარესაა; ამ ფარგლებს გარეთ იყო თუ არა სხვა ძეგლები, უცნობია.

საინტერესოა ერთი გარემოებაც: ცხრავე ტაძარი, ალბათ, მონასტერს ეკუთვნო-

და. ამ სამონასტრო ნაგებობებისათვის ადგილი შერჩეულია ერთნაირი მიდგომით. ეტყობა. მონასტრისათვის ადგილის შერჩევა. პირველ რიგში, განისახლებებოდა ბუნებრივი პირობებით. შორს იყო ის დრო (VI-VII საუკუნეები), როდესაც ასკეტურად განწყობილნი მწირ და უღაბურ ადგილებს ეტანებოდნენ. მომდევნო ეტაპზე უკვე ეძებენ ისეთ ადგილებს, სადაც სიწყნარე, სიმშვიდე და ლამაზი ბუნებაა, ამასთან მიურნეობისათვის ხელსაყრელი პირობებია. ზემოსამოთვლილი ძეგლები ამ მხრივ წალკოტში მდებარეობს.

აქ წარმოდგენილი თითოეული ტაძარი ისეა ჩაწერილი გარემო ლანდშაფტში, რომ. თითქოს, ეს აკლდა ბუნების ამ მონაკვეთს. ისინი ლანდშაფტიან არიან შეხამებულნი. ხურთამთაძეურები შემოქმედის ხელის ქმნიდნენ მოხდენილ სილუეტს.

ასეთი მრავალფეროვანი ბუნების წიაღში ჩადგმული უცხო ელემენტი, არქიტექტურული ნაგებობის სახით აუცილებლად თვით უნდა ყოფილიყო უღერადი, რომ ბუნების საერთო პოლიქრომიას შეხამებოდა. მართლაც, ეს ასეა. ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს ქვისა და აგურის შენობებთან. ამ ეპოქის თვით ქვის შენობებში ყველგან შეიმჩნევა ფერადოვნება. ქარაველი ოსტატი ამ ეპოქაში არ კმაყოფილდება ქვის ერთი ფერით. მოსაპირკეთებლად იგი ძირითადად ერთი ჯიშის ქვას ხმარობდა, მაგრამ შიგადაშუგ ურეედა სხვადასხვა ჯიშისა და ფერისას. ფერების ამ შეხამებას აღწევს მეტად თავისუფლად, კონცეფციის შესაბამისად. ქარაველი ოსტატი ფერად ქვებს არ ალაგებს ზოლებად, იგი თავისუფლად ხატავს, ქმნის ფერადოვან გამას.

ფერადოვნებით არანაკლებად უღერდა იმავე ჯგუფში შექმნილი აგურის ისეთი ტაძრები. როგორცაა ყინწყისი და ტიმოთისუბანი. თავდაპირველად, როცა ამ ნაგებობებს აქონდა სამი ფერის კრამიტით მოჭაქული სახურავი, ალბათ, მწუხანე ტყის ფონზე საოცარი სანახაფი იქნებოდა.

თავისთავად აღსანიშნავია ისიც, რომ, წინა ეპოქასთან შედარებით. ამ პერიოდში უფრო მკარე ზომის ტაძრები აუგაათ. ხოლო, რაც შეეხება ცხოველხატულობას, იგი ახლაც გრძელდება, მაგრამ ტენდენცია მიდის გამარტივებისა და დამშვიდებისაკენ. ინტერიერის ფრესკული მხატვრობის ფერადოვან გარსს ექსტერიერში პასუხობს ფერადოვანი ქვით შემოსვა და მდიდრული მოიუქურთმება.

წინა ეპოქისაგან. კერძოდ, XI-XII საუკუნეებისაგან, ამ ახალ ეპოქას, რუსთაველის ხანას განასხვავებს ფასადების მორთვის პრინციპი. ადრე ფასადების თაღებით მორთავა იყო აუცილებელი იყო. XII საუკუნის ბოლოს საკითხი რადიკალურად გადაიხიზვა. ახლა აღარ იტაცებთ თაღებით ფასადების შეესება და მასზე უარს ამბობენ. ამით, ცხადია, ფასადები გამომსკლდა. თაღების დროს, მათ შიგნით გამართულ კარ-სარკმელთა მორთვა თვალში არ იყო მოსახვედრი. ახლა, თაღების მოხსნის შემდეგ, იგი წინა პლანზე გამოვიდა. მრავალფეროვნად მორთული პორტალები და სარკმლები მკვეთრად გამოირჩევა. ეს დეკორატიული ელემენტები ლაქებითაა მოხანს ქვით შემოსილ კედლებზე.

მართალია, თაღს, როგორც დეკორატიულ ელემენტს, ამ პერიოდშიც იყენებენ. მაგრამ მას იმდენად უმნიშვნელო როლი აქვს, რომ მორთვის საერთო სახეზე არ

მოქმედებს. მაგალითად, აღმოსავლეთით დარჩენილი ნიშების მომრთველ თაღებს აღვილობრთვი მნიშვნელობა აქვს და საერთო შთაბეჭდილებაზე ისე აქტიურად არ მოქმედებს.

ამ ახალი ეპოქის ტაძრების ფასადებს თაღელი მოსცილდა, მაგრამ იგი შემორჩა გუმბათის ქვეს. ხუროთმოძღვრებმა თავისთავად ეს ბრწყინვალე დეკორატიული ელემენტი მთლიანად არ მოაცილეს.

გუმბათთან დაკავშირებით, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თაღელი განლაგებულია ცილინდრულ მასაზე. ადრე და გვიანაც, ერთდროულად გეხვდება ცილინდრული და წახსაკოვანი გუმბათები, მაგრამ აქ განხილულ ჯგუფში მხოლოდ ცილინდრული გუმბათებია. ამასიც კანონზომიერებაა. ცხოველხატულობას ცილინდრულობა, წრული ფორმები უფრო ესადაგება, ვიდრე კუთხოვანი.

ამ ეპოქაში, ისე როგორც წინა ეპოქაშიც, ადრე შუა საუკუნეებისაგან განსხვავებით, კარიბჭეები აუცილებელია. გუმბათოვანი ტაძრების ქვედა ჰორიზონტზე კარიბჭეთა განლაგება ხელს უწყობს ნაგებობათა პირამიდულ კომპოზიციასა შექმნას.

ფასადების მორთულობაში არის ისეთი ელემენტები, რომლებსაც ეს ეპოქა, როგორც წინა ეპოქისაგან ნაანდერძებს, სოგ შემთხვევაში ინარჩუნებს. დეკორის ასეთი ელემენტებია სამთაენელი ხუროთმოძღვრის მიერ შექმნილი მეტად მოხდენილი რომბებისა და ჯერის ასხმა აღმოსავლეთის ფასადზე, ეს ისეთი მიმზიდველი ელემენტი იყო, რომ არ შეიძლებოდა მისთვის არ მიეხატათ. მართლაც, ბევრმა მიბაძა და ცვლილებებით XVII საუკუნის ბოლომდე (ანანური) იარსება. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ ბევრია ისეთიც, რომლებმაც სამთაენელ ხუროთმოძღვარს არ მიბაძა და საკუთარი კომპოზიცია შექმნა, მაგრამ მასზე უკეთესის შექმნა ვერაინ მოახერხა.

ამ ეპოქის ეკლესიასთან მორთულობის აუცილებელი შემადგენელია ნუქურთმა. ამ პერიოდის ხუთი ქვის ტაძრიდან თითოეულის ფასადებზე გამოყენებულაა ოცდახუთიდან სამოც მოტივამდე, მაშინ, როდესაც წინა ეპოქაში მოტივთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. გეხვდება როგორც ფრთილოვანი, ისე გეომეტრიული მოტივები. პირველი მათგანი სანახავად უფრო მიმზიდველია, მაგრამ ტექნიკურად შესასრულებლად ძნელია. ამიტომ თითოეულ ძეგლზე სტილის დონეს განსახლერავს ფრთილოვანი და გეომეტრიული მოტივების შეფარდება. ჩვეულებრივ, მაღალ დონეს პირველი შეიფერება, ხოლო დაბალს – მეორე. ამ მხრივ, არა მარტო XI საუკუნის ძეგლებთან არის განსხვავება, არამედ შემოწამიოთელი ძეგლთა შორისაც. აქ 5-10 წელიც კი უკვე განსხვავებას იძლევა, კერძოდ, ეს დაღმავალი ხაზი ბეთანიიდან ახტალისაკენ მიდის.

ნუქურთმასთან დაკავშირებით კიდევ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. ესაა მოტივთა რეპერტუარი. განსახილველ ძეგლებზე გამოყენებული ნუქურთმის მოტივთა რეპერტუარი შეიძლება ძირითადად დაეყოს ოთხ ჯგუფად. პირველ ჯგუფში თავსდება ის მოტივები, რომლებიც წინა საუკუნეებში შექმნილა და შემდეგაც აგრძელებენ სიცოცხლეს. მეორე ჯგუფში თავსდება ის, რომელიც ადრე იწყებს სიცოცხლეს და იქვე ამთავრებს. მესამე ჯგუფში თავსდება ისინი, რომლებიც ამ

ეპოქაში წარმოიშვა და შემდეგაც აგრძელებენ ცხოვრებას, ხოლო მეოთხე ჯგუფში თავსდება ისეთი მოტივები, რომელთა გამოშვონებლები ამ ეპოქის ოსტატები არიან, მაგრამ გამგრძელებელი არ გასჩენიათ.

ამ ეპოქის ძეგლებზე რელიგიური გამოსახულებები მცირეა. აღსანიშნავია, რომ არის როგორც ცალკეული, ისე კომპოზიციური რელიეფები.

ეკლესიათა ინტერიერიც იმავე ცხოველხატულობითაა გადაწყვეტილი. იგი მრავალფეროვნებას იწყებს კარებიდანვე. ამ მხრივ ნიშანდობლივია გვერდითი კარების მოწყობა. აქ გრძელდება წინა ეპოქის თავისებურება, როცა კარი გვერდითი კედლების ცენტრებში კი არ ეწყობა, არამედ დასაველეთით, გვერდითი ნაების არეში.

ტაძრების შიდა კედლებზე არსებული ფრესკული მხატვრობა, საერთო ფერსა თამაშით, უფრო შეეფერებოდა იმავე სტილშეგრძობას, ვიდრე ადრეული საუკუნეების გაშიშვლებული, მონოტონური კედლები.

სანტრალურ-პუბლიკური ტაძრები

რუსთაველის ეპოქის ძეგლებიდან აქ თანმიმდევრულად განვიხილავთ მხოლოდ ექვსს.

ბეთანია სბილისთან ახლოს, მდ. ვერეს წარმტაც ხეობაშია. იგი ქართული შუა საუკუნეების ერთ-ერთი ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლია (სურ. 212-216). ტაძარი კონცხზე დგას. ჩრდილოეთით ვერეს ვიწრო და ღრმა ხეობაა, სამხრეთით კი პატარა მდინარე ჩაუღის. ტაძრის აგების შესახებ ისტორიული ცნობები არ დარჩენილა. მის დასაშარილებლად შიგნით, ფრესკაზე გამოსახული ისტორიული პირები შეიძლება მოეიშველიოთ. ჩრდილო კედლის ქვედა რეგისტრზე გამოსახულია მეფეები: გიორგი III, თამარი და ლაშა-გიორგი. სამივეს გვირგვინი ადგას და ლაშას ხმალი ჰკიდია. ხმლის ჩამოკიდება იმ ეპოქაში მეფედ კურთხევას ნიშნავდა. ეს კი იმაზე მიგვითხრობს, რომ მხატვრობის შესრულების დროს ლაშა უკვე მეფეა. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ლაშა თამარმა თავის „თანამოსაყდრედ“ გაიხადა 1207 წ. ბეთანიის მოხატვა იმავე წელს თუ არა, ახლო წლებში მოხდებოდა.

ეკლესიის დასაველეთის მონაკვეთში და შიგნით ზოგიერთ კედელში ჩაყოლებული ფრაგმენტებით დგინდება, რომ აქ ადრე აგურის ეკლესია მდგარა. თამარის დროინდელ ხუროთმოძღვარს მისი ფრაგმენტები ახალში ჩაუტანებია.

ტაძარი ტიპური ცენტრალურ-გუმბათოვანია, სამხრეთის კარიბჭით. ინტერიერის მთავარ კომპოზიციას ქმნის ჯერის მკლავები გუმბათით. საკურთხეველი ღრმაა. გვერდებზე მდებარე სადიაკენე და სამკვეთლო კარებით უერთდება როგორც საკურთხეველს, ისე დარბაზს. საკურთხეველის გვერდით სათავსებს ისეთივე მეორე სართული ადგას.

გუმბათი დასაველეთის სვეტებსა და საკურთხეველის კუთხეებს ეყრდნობა. დასაველეთის ჯერის მკლავი გვერდით ნაებს თითო განიერი თაღით უერთდება.

თადი შეისრული მოხაზულობისაა. იმავე მოხაზულობისაა ჯერის მკლავების გადა-
მხური კამარები. ასეთი ფორმის თადი ამ ეპოქაში, ნახევარწრიულთან ერთად, ხში-
რად გვხვდება. ინტერიერის კედლებზე თავდაპირველი ფრესკის ორი ფენა ჩანს.

ეკლესიის შიდა სივრცე კარგადაა განათებული, როგორც ეს შეეფერება ფრესკიან
ძეგლს. ოთხივე ჯერის არეში სამ-სამი სარკმელია. ხოლო გუმბათში, როგორც ეს ამ
ეპოქის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი, თორმეტია.

ბეთანიის ტაძრის ფასადები რუსთაველის ეპოქის საკულტო ნაგებობათა
გაფორმებისათვის ტიპურია. აქ ფასადებზე არ არის წინა ეტაპის თაღები, იგი
მხოლოდ აღმოსავლეთის ნიშებს შემორჩა. ფასადები შიშველია. მორთულობის
ელემენტები ტაძრის კორპუსის კარ-სარკმლების ირგვლივაა განლაგებული და
ლაქებად გამოიყურება. კარ-სარკმლები აღრეც იყო საკმაოდ რსულად მორთული,
მაგრამ ისინი თაღების ძლიერი ხახებით თითქოს ჩაკარგული იყო. აქ კი თლილი
ქვით შემოსილ იდეალურ ზედაპირზე განლაგებული მოწუქურთმებული ელემენტები
გაცილებით მეტყველია.

ფასადებიდან, როგორც ეს ჩვეულებრივ გვხვდება, მთავარი აღმოსავლეთისაა.
აქ ხახვასმულია ცენტრალური ღერძი, მასზეა ასხმული დეკორის მთავარი ელემენტე-
ბი: მაღალი სარკმელი თავსართით, მრავალფეროვანი ჯვარი და მედალიონივით
პატარა სარკმელი.

ქვათახევი. ბეთანიისაგან განსხვავებით, იმავე ეპოქის ქვათახევის ავტორმა
სრულყოფილად გაიმორა აღმოსავლეთის ფასადზე სამთავისის ღერძზე ასხმული
კომპოზიცია. ამ დეკორატიულ ელემენტსა შედარებისას შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ
ქვათახევე იგი უფრო გაშლილად, ლაღად გამოიყურება, რადგან არ არის თადი-
მოჩარჩობა. იგი ქვის შიშველ კედელზეა, ამიტომაც უფრო რელიეფურად გამოიჩნდა.

დანარჩენ ფასადებს აერთიანებს მორთულობის ახალი ელემენტი – გვერდებურდ
მდგარი მაღალი სარკმელი და ზემოთ, თაღებს შორის, პატარა, წრული სარკმელი.
ოსტატი სამივე ფასადზე ამ ელემენტს კი აკეოებს, მაგრამ მათ მაინც კატეგორიულად
ჰყოფს და, შესაფერისად, თითო ელემენტს უმატებს. მას სურს სამხრეთის მხარის
გამოყოფა, ამიტომ სარკმლების ზემოთ ძლიერ ჯვარს დგამს და მის ღერძს
სარკმლებს შორის მძლავრად უშეებს. მომდევნო ადგილს იგი უთმობს დასავლეთის
ფასადს. აქ იგი ჯვარს სარკმლების ზემოთ აღმართავს, ხოლო ჩრდილოეთისაზე
ჯვარს საერთოდ არ აკეოებს.

სამხრეთის მხარე მდიდრული კარიბჭითაა გამოყოფილი. კარიბჭის ფასადებზე,
ტაძრის კორპუსისაგან განსხვავებით, თაღები დაუტოვებიათ, ასევე უწყვეტი თაღები
ცილინდრულ გუმბათსაც შემოუყვება. მრავალფეროვანია ჩუქურთმა გუმბათის
სარკმლების ირგვლივ, ფრისსა და კარნიზზე.

ეინწვისი დგას შუა ქარაღში (დღევანდელ ქარელის რაიონში), მაღალ მთაზე,
წალკოტში. მწვანე მთებით შემოსლულ ფონზე, საოცრად ფერადოვანია აგურით
ნაგები დიდი ტაძრის მოხდენილი მასა. ამ მეტად მიშხიდველმა სანახაობამ
შეუძლებელია ყოველი მნახველი არ აღაფრთოვანოს (სურ. 217-219).

ეინწვისის ტაძრის დათარიღებაში, გარდა არქიტექტურის სტილისტიკური

მონაცემებისა, გეპქელის ქტიტორთა ფრესკული გამოსახულება. ჩრდილო კედელზე, ჯერის მკლავის მიდამოებში, განაშენილი ყინწვისის ანგელოზის ქვემოთ, ევერების პოზით გამოსახულნი არიან მეფე გიორგი III, თამარი (1184-1213) და ლაშა-გიორგი. ავივე ჯგუფი გამოსახულია ბეთანიის ეკლესიაშიც. ორივეგან ლაშა ჩანს თამარის თანამოსაყდრედ. ე. ი. შესრულებულია 1207 წლის შემდეგ, 1213 წლამდე. თვით ტაძრის აგება მოხდებოდა უშუალოდ წინა წლებში.

ტაძრის ძირითადმა ნაგებობამ თითქმის ხელუხლებლად მოაღწია. მხოლოდ გვერდითმა კარიბჭეებმა და დასავლეთის ნართექსმა განიცადეს მცირეოდენი ცვლილებები.

ტაძრის შიდა სივრცე ძირითადად მსკეპულია ჯერის მკლავებითა და მათ გადაკვეთაზე აღმართული გუმბათით. საკუროხეველი აქაც ბემითაა ჩაღრმავებული. მის ცენტრში, სარკმლის ქვემოთ, ღრმა ნიშაა ილუმინის დასაჯდომად. გვერდებზე კი სამკეპლო და სადიაკვნეა. თითოეული მათგანის ზემოთ სამალავებია. ჯერის დასავლეთის სწორკუთხა მკლავი მაღალი და განიერი თაღებით უკავშირდება გვერდით ნაეებს, რომელთაგან სამხრეთის ნაეი დიდი სარკმლითაა განათებული, რაც მას განასხვავებს სხვა ძეგლებისაგან.

საერთოდ, როგორც ეს ამ ეპოქაშია მიღებული, ფრესკული მხატვრობის უკეთ ასეისების მიზნით, შიდა სივრცე მეტად არის განათებული. ამისათვის სამ-სამი მაღალი სარკმელი სამ მკლავშია განლაგებული, ხოლო მეოთხე, დასავლეთის მკლავზე ერთი სარკმელია, მათ ემატება გუმბათის ყელის თორმეტი სარკმელი.

ყინწვისის ტაძარი თავისი ეპოქის ძეგლებისაგან დასავლეთის მონაკვეთის ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა. აქ, დასავლეთის ხაზის მთელ სიგრძეზე, ნართექსია გამართული. ეს სწორკუთხა სათავის დასავლეთით სამი თაღით იყო ღია. XV საუკუნის 60-იან წლებში ნართექსი სამად გადაუტახრათ. ამ საქმის შესევერს, ამ მხარის მფლობელს, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს თავისთავი გამოსახული აქვს სამხრეთის ტახარსე.

ნართექსის ზემოთ პატრონიკვა გამართული. ისიც სამი არათანაბარი მონაკვეთისაგან შედგება. თითოეული მათგანი გარე კედლებში განლაგებული სარკმლით ნათდება, ხოლო ეკლესიის დარბაზში ასევე თითო კარით გადის.

ყინწვისი მიუღიანად აგურის შენობაა. თავდაპირველად იგი გადახურული იყო სამი ფერის მოტიკული კრამიტით. ასეთი გაძა მწვანე ფონზე, ალბათ, მეტად მთამბეჭდავი იქნებოდა და დღეს, მიუხედავად იმისა, რომ მას აკლია ძველი გადახურვა. ეს იმპროვიზირებული შენობა მაინც მეტად მიმზიდველია.

ტაძრის ქვედა კორპუსის აგურის კედლები სრულიად სადაა, ხოლო გუმბათის ყელი უწყვეტი თაღებითაა მორთული. თაღებისათვის სპეციალურად ლეკალური (ნახევარწრიული) აგურია დამზადებული. აღრე აღნიშნული იყო, რომ ამ დროის ოსტატები თაღებზე უარს ამბობენ ქვედა კორპუსზე. მაგრამ მას ტოვებენ გუმბათის ყელზე. ასეა აქაც.

ტიმოთესუბანი. იმავე ეპოქის მეორე აგურის შენობა, რომელიც ტიმოთესუბანში (წალკერიან ახლოს) დგას, მსგავსადევა ნაგები. იქაც შენობა

მილიანად აგურისაა. აქაც სამი ფერის მოჭიქული კრამიტი იყო სახურავად. მისი ქველა კორპუსი სიბრტყობრივია, ხოლო გუმბათზე თაღულია. ყინწვისისაგან განსხვავებით, ტიმოთაისებანში აღმოსავლეთით სამი წახნაგოვანი, შეკრილი აფსიდაა. ადრე აღნიშნული გეაქეს, რომ ამ ეპოქისათვის შეკრილი აფსიდა არაა დამახასიათებელი. მაგრამ, როგორც გამონაკლისი, გეხედება. ცნობილია, რომ ქართულთა ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელია ქვა. გამომწვარ აგურს იგი გვიანანტიკური ხანიდან იყენებს, მაგრამ არა ძირითად საშენ მასალად, არამედ დამხმარედ. ხოლო ფეოდალური ხანის შუა პერიოდში ქართველი მილიანად აგურისაგან აგებს IX საუკუნის ოზანის ტაძარს, ხოლო XIII საუკუნის დასაწყისში - ყინწვისისა და ტიმოთაისებანს. დიდი, აგურის შესამინევი ნაგებობები ამით ამოიწურება. მართალია, გვიან საუკუნეებში, სხვადასხვა მიზეზების გამო, აგურს უფრო ხშირად მიმართავენ, მაგრამ ქვა მაინც რჩება ძირითად მასალად.

ფიტარეთი. ქვემო ქართლის მრავალფეროვანი არქიტექტურის დიდებას ფიტარეთისა და წულარულაშენის ტაძრები წარმოადგენს. პირველი მათგანი ქციის (ხრამის) ღრმა და ვიწრო ხეობაში დგას, ხოლო მეორე უფრო ახლოს, ფოლადაურის ხეობაში. მთაზე დგას. ხაზია გასასმელი იმაზეც, რომ ორივე ლაშა-გიორგის 'ხეობის დროსაა (1213-1222) აგებული. იმ საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში, სულ რაღაც ათი წლის განმავლობაში, გასაკვირი არ არის, რომ აიგო ასეთი ბრწყინვალე ტაძრები (სურ. 220-224).

ერთსადაც და მეორესადაც საკმაოდ ვრცელი წარწერები ახლავს, სადაც მათათუბელია, რომ მშენებლობა ხდება გიორგი მეფის დროს. მაგრამ, ზუსტი თარიღი არაა ნასკენები. ამ წარწერების მიხედვით არც ის დგინდება, თუ რომელია უფრო ადრე აგებული. სტილისტიკური განსხვავების საშუალებით დგინდება, რომ ჯერ ფიტარეთია აგებული და შემდეგ წულარულაშენი.

ფიტარეთის კარიბჭის აღმოსავლეთის კედელზე მოთავსებული ვრცელი ასომთავრული წარწერა მრავალმხრივია საინტერესო. კერძოდ, წარწერიდან ვიგებთ, რომ ტაძარს აგებს გიორგი მეფის ამირეჯობი (აქ ნაგულისხმევია თანამედრობა - მეფის კარზე წესრიგის მეთვალყურე დარბაზობისა და პურობის დროს) ქავთარო. ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია ავტორიტეტული აზრი, რომ „ამირეჯობი ქავთარ ქაჯაფთაის ძე ქაჩიბაძე ბარათაშვილების ერთი უშორეულესი, ისტორიაში ცნობილი წინაპრთაგანია“. ისინი „ბაღვაშ-ორბელია ნაოხარზე“ ნელ-ნელა აშენებენ თავიანთ ძლიერებას და „საორბელოსაც“ „საბარათიანოდ“ აქცევენ. წარწერა კიდევ ერთს მეტად საინტერესო ცნობასაც გვაწვდის: „აღმშენებად ამის მონასტრისა და საყდრისა... არას ვისი პრთავეს თყნითერ ჩემის ღაშქრისა და კრმლითა მოგებულისა“. აქედან ჩანს ერთ-ერთი შემთხვევა, თუ რა გზით შენდება შუა საუკუნეების ეს თუ ის ნაგებობა. კერძოდ, ქავთარს ფიტარეთის ტაძარი რომელიღაც ომში ნაშოვარით აუგია. როგორც იტყობა, იგი მარჯვე მებრძოლიც ყოფილა და ერთი თუ რამდენიმე ომში საკმაოდ დიდი ნაღაველი უმოვნია. იმავე შემოსავლით ქავთარს უყიდა სოფლები ტანძია და თეგლორეწმინდა და ფიტარეთის მონასტრისათვის შეუწირავს.

ფიტარეთის მონასტერი თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით ასობდე კილო-

მეტრზე. ქვის ღრმა და ვაწრო ხეობაში მისთვის შერჩეულია მშვიდი, მყუდრო და ლამაზი ადგილი. შუა საუკუნეების ბერებმა, უდავოდ, იცოდნენ ადგილის შერჩევა.

ფიტარეოსის სამონასტროში ნაგებობებიდან ზოგი დანგრეულია, ზოგაც დაზიანებული, მაგრამ იგი მაინც დიდად შთამბეჭდავია. ამჯერად შეეცხებიო მხოლოდ ტაძარს.

ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ეკლესიებიდან ფიტარეოსის ტაძარში ყველაზე მეტად გამოიხატა გრძივი გეგმის დამოკლების ტენდენცია. აქ გეგმა თითქმის კვადრატულია. დანარჩენი ყველაფერი ჩვეულებრივია. კერძოდ, შიდა სივრცე ჯვრის მკლავებსე აღმართული გუმბათით. განათების წყარო გვერდით მკლავებში ერთი და იგივეა ბეთანიაში. ქვათახეცა და ფიტარეოში. ესაა სამი სარკმლის კომპოზიცია, ქვემოთ, პარალელურად მდგარი ორი მაღალი სარკმელი და მესამე წრიული, მათ ზემოთ, თაღებს შუა. როგორც დგინდება, ამ კომპოზიციის პირველი შემოქმედი ბეთანიის აგებია.

ფიტარეოსს თავის ჯგუფისაგან ისიც განასხვავებს, რომ მას მხოლოდ ერთი კარი აქვს სამხრეთით.

ტაძარი გარედან სასიამოვნო სანახავეა: მოვარდისფერი თლილი ქვით შემოსილ ფასადებზე ლაქებადაა დალაგებული მრავალფეროვანი და მდიდრული მორთულობა. თითოეულ ამ ელემენტში ჩანს მაღალი გემოვნებისა და დიდი გამოცდილების ოსტატი.

აღმოსავლეთის ფასადი აქაც სხეულზე მდიდრულადაა მორთული, მაგრამ ცოტა მძიმედ გამოიყურება – არაა იმ დონის ჰაეროვნება, რომელსაც ეხედავთ სამთავისში, იკორთაში, ბეთანიასა და ქვათახეცაში. მიუხედავად ამისა, ეპოქის სიდიადე ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზეა.

თავისთავად საოცარია ამ პერიოდის ხუროთმოძღვართა უმრეტე ფანტაზია. აშკარაა, რომ თითოეულმა ხუროთმოძღვარმა კარგად იცის წინაპართა ნამოქმედარი და იცნობს მისი თანამედროვე უფროსი კოლეგის ნაწარმოებს. აშკარად ჩანს, რომ ხუროთმოძღვარმა მანამდე შექმნილი გადაამუშავა და ერთი ნაბიჯი წინ გადადგა.

ფიტარეოსის აგებობა, ეტყობა, კარგად გაიზრა ისეთ უფროს თანამედროვეთა მიღწევებში. როგორებიც იყვნენ ბეთანიისა და ქვათახეცის ხუროთმოძღვრები (მათ სულ რაღაც 10-15 წელი აშორებს) და შექმნა საკუთარი ქმნილება.

ფიტარეოსის აღმოსავლეთის ფასადის მორთულობის ქვედა ნაწილი შედარებით მსუბუქია. მაგრამ ზემოთ აღმართული ფართო მკლავებიანი ჯვარი ცოტა მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ კომპოზიციას ვერ შევლის ჯვრის ძირთან დარაჯად დაყენებული ლომების ბარელიეფები.

ხუროთმოძღვრებს შთამბეჭდავად აქვთ გადაწყვეტილი სამხრეთის ფასადი კარიბჭითა და ჯვრიანი სარკმლების მორთულობით. დასავლეთისა და ჩრდილოეთის ფასადები თავსარიანი თითო სარკმლით დამაკმაყოფილებელია.

ფიტარეოსთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, რუსთაველის ეპოქის სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით, აქ ყველაზე მეტადაა გამოყენებული ბარელიეფები. ოსტატი ბარელიეფებს ცალკე, დამოუკიდებლად ათავსებს და ორნამენტულშიც ისე მოხდენილად ურთავს, რომ მეტად ლირიკული სურათები იქმნება.

ახტალა რუსთაველის ეპოქის ერთ-ერთი ბრწყინვალე ძეგლია. სამწუხაროდ, იგი 20-იანი წლებიდან სომხეთის ტერიტორიაზე მოექცა. ახილისიდან ძეგლი არც ისე შიკრსაა, რაღაც ოსხმოციოდე კლომეტრზეა.

ტაძრის აგებაზე, ან აქ მონასტრის დაარსებაზე ქართულ წყაროებში არაფერია ნათქვამი. ამ ადგილს ადრე „აგარაკი“ რქმევია. ვახუშტი ბაგრატიონი „აგარაკს“ აოგოებს ახტალასთან. მემატანე ჯუანშერის ცნობით, აგარაკში ვახტანგ გორგასალმა დასვა ეპისკოპოსი. იმ დროის ეკლესია ახლა არ ჩანს. სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკელის ცნობით, „პლნძაჰანქში“ ტაძარი აუგია ივანე მხარგრძელს და „ქართული მონასტერი დაუარსებია“. „ხოგიერსი სპეციალისტის ახრით, „პლნძაჰანქი“ ახლანდელი „ახტალა“. თავისთავად გასაგებია, რომ ასაბაგი ივანე მხარგრძელი ქართველ მეფეთა მიერ ბოძებულ მამულში აგებს „ქართულ მონასტერს“. ეს კი უნდა მომხდარიყო 1225 წლამდე, ივანე მხარგრძელის გარდაცვალებამდე.

ამ თარიღს ადასტურებს თვით ტაძრის ყველა მონაცემი. იგი, ამ მონაცემებით, აგებული ჩანს სწორედ XIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ცხადია, არა უგვიანეს 1225 წლისა.

ახტალის მონასტერი განლაგებულია ვიწრო და ღრმა ხეებით შემოფარგლულ კონცხზე (სურ. 225-227, 229). მონასტერი მძლავრი კედლებით ყოფილა გამაგრებული. სამონასტრო შენობათა ნანგრევებში გამოჩნეულად დგას დიდი ხომის ტაძრის ქვედა კორპუსი. მას გუმბათი ადრევე ჩაქცევია. მისი ქვებით მოფენილია იატაკი.

რუსთაველის ეპოქის ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრებიდან ყველაზე დიდი ხომისაა ახტალა. იგი თავისი მასშტაბით პირველი ეტაპის ძეგლებიდან სამთავისსაც სჭარბობს, ხოლო გელათს თითქმის უტოლდება. ასეთი დიდი ნაგებობა გუმბათიანად როცა იდგა. ალბათ, შთაბეჭდილება მეტად დიდი იქნებოდა.

ახტალის ეკლესია მკარელაა დაგრძელებული აღმოსავლეთის მიმართულებით. მასში სამი შესასვლელია. გვერდითი კარები, როგორც ეს ამ ტაძრისთვისაა დამახასიათებელი, ნაგების მიდამოებშია. აქედან შემსვლელი რთული გზების გავლით ახერხებს შიდა კორცის დათვალიერებას, მის ათვისებას.

ტაძრის ცენტრში თავს იყრის ჯვრის მკლავებიდან და გუმბათიდან ჩამოღერილი შუქი. დღეს, გუმბათის ჩამონგრევის გამო, განუქების ეფექტის შემოწმება ვერ ხერხდება. განათება აუსილში, ჩვეულებრივ, სამი სარკმლიდან ხდება. დანარჩენ მკლავებში გვერდიგვერდ დგას მალალი ორ-ორი სარკმელი.

გუმბათის საყრდენები, აღმოსავლეთით საკურთხეველის კუთხეები და დასავლეთის ორი პილონი ადგილსეა. დასავლეთის პილონების ფორმებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ გვხვდება მხოლოდ ორი ფორმა: სწორკუთხა (ყინწისი) და ოქტოგონური (ახტალა, ფიტარეთი, ტიმოთესუბანი, ქვათახევი, ბესანია, ღურჯი მონასტერი). მათ გარდა, სწორკუთხა ფორმა შიგა პილასტრით გვხვდება წულრულაშენში.

ეკლესიის შიდა კედლები თანადროული ფრესკული მხატვრობით იყო დაფარული. ამ საინტერესო მხატვრობიდან საკმაოდ დიდი ფრაგმენტებია დარჩენილი.

ეკლესიის ფასადები, იშვიათი ოსტატობით, თლილი ქვითაა შემოსილი. ოსხივე

ფასადი თავდაპირველი სახითაა მოღწეული, ფასადები მორთულია მდიდრულად, ოსტატობა მაღალ შეფასებას იმსახურებს. მხოლოდ ერთი რამ შეიმჩნევა – ცოტა სიმშრალეა. ამ მხრივ იგი ჩამოუვარდება რუსთაველის ეპოქის ისეთ პირველ ძეგლებს, როგორცაა ქვათახევი და ბუხანია. ახტალას აშკარად ეტყობა, რომ იგი ქრონოლოგიურად რუსთაველის ეპოქის ძეგლების ბოლო რიგში დგას.

როგორც სხვაგან, ისე აქაც, ფასადებიდან ტრიუმფალურია აღმოსავლეთის ფასადი. აქ თვალში გეცემათ შუაზე, ღერძზე ასხმული ჯვარი, სარკმლის მოჩარჩოება, რომები და ცოკოლზე დაყრდნობილი ლილვები. ეს მეტად მიმზიდველი კომპოზიცია ორასი წლის წინათ სამთავისის ოსტატმა შექმნა. მომდევნო ხანის ოსტატებიდან ეს კომპოზიცია მცირე ცვლილებებით, ნიუანსებით გამოიყენეს იკორთის, ქვათახევისა და, ბოლოს, ახტალის ოსტატებმა. თუმცა, გვიან მის მოკლე ვარიანტებს იყენებენ ისეთ ძეგლებზე, როგორცაა ზარზმა და ანანური.

ახტალის აღმოსავლეთის ფასადის მორთულობა დაკავშირებულია მხოლოდ სარკმლებსა და ნიშებთან. აღსანიშნავია ის, რომ ნიშების თაღები აქაც ფესტონებით მთავრდება. მაგრამ მათ აკლიათ ის ძარღვი, რომელიც აქვს არა მარტო სამთავისს, არამედ იკორთასაც კი.

ტაძრის დანარჩენი სამი ფასადი ერთი სისტემითაა მორთული. ესაა მრავალფეროვანი პორტალები და ზემოთ, ორ სარკმელს შორის მოთავსებული ჯვარი. დანარჩენებიდან გამოირჩევა სამხრეთის ფასადის მარჯვენა სარკმელი, სადაც გარე ლილვით ორი წყვილი გველია გამოსახული.

ფასადებზე გამოყენებული მდიდარი ჩუქურთმის გამოცხე მეტი მოტივიდან ხუთიოდე სულჯუქურს უახლოვდება. ამაში არაფერია გასაკვირი, რადგან ძეგლი იდგა ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ სახლდერითან, მუსულმანური სამყაროს სიახლოვეს. ამიტომაც გაჩნდა, ალბათ, იქიდან „მონაბერა“.

ახტალის ტაძარზე შემდეგაა მიშენებული დასავლეთის ეკედერი და ორთაღიანი კარიბჭე. სტილისტური მონაცემებით, მათი აგება უშუალოდ მოსდევს ტაძრისას. ხოლო, რაც შეეხება მათ მორთულობას, ამაში ზოგადად ჩანს სომხეთისა და მუსულმანურ სამყაროსთან სიახლოვე.

როგორც ვნახეთ, ახტალის ტაძარი ერთ-ერთი საუკეთესოა რუსთაველის ეპოქის ძეგლებს შორის.

კლდეში ნაკვეთი ნაგებობანი

საქართველო მრავალფეროვანი ბუნების ქვეყანაა. აქ მრავლადაა მაღალი და დაბალი მთები, ტყით დაბურული და ალპური სონები. არც მუღმივი თოვლითა და ყინულით დაფარული მთები გვაკლია.

კლდეიან მთებში ბევრი ბუნებრივი გამოქვაბულია, რომლებიც, პალეოლითის დროიდან დაწყებული, ადამიანმა საცხოვრებლად გამოიყენა. ხოლო მას შემდეგ,

რაც რკინას მიაგნო, მან ყოველგვარი ქვა დაამუშავა და კიდევ გამოჭრა. ადრე თუ ადამიანი გამოქვაბულს ეძებდა და ზოგჯერ იძულებული იყო მოუხერხებელ გარემოში ეცხოვრა, ახლა მან გამოქვაბული გამოჭრა იქ, სადაც მისთვის მოსახერხებელი იყო. ძვ. წ. პირველ ათასწლეულში, როგორც ეტყობა, კლდეში კვეთის საკითხი საკმაოდ მაღალ დონეზე ავიდა და ანტიკურ ხანაში მოგვცა ისეთი ბრწყინვალე, მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი, როგორცაა კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლსციხე.

მოუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ და ხელოვნურ გამოქვაბულებს დიდი ხანია სწავლობენ. ისინი მაღლიანად აღრიცხულიც არ არიან.

შუა საუკუნეების გამოქვაბულების პირველი ეტაპიდან გამოიჩინა დაეით გარეჯი, რომლის ანსამბლები ოცზე მეტია და თითქმის სამ ათეულ კილომეტრზეა გადაჭიმული.

შუა ყვითელქვეთი ხანის კლდეში ნაკვეთი ძეგლებიდან მკვეთრად გამოირჩევა ვარძიის ანსამბლი.

ვარძიის ჯავახეთშია, არტაანის მტკვრის მარცხენა ნაპირზე, რაიონული ცენტრიდან – ასპინძიდან ოცდაათი კილომეტრზე. ყოველი მისი მხახველი ძველ ოსტატსა მიმართ თავის განცვიფრებასა და აღტაცებას გამოთქვამს. ეს, მართლაც, ქართველ ხუროთმოძღვარსა მიერ შექმნილი ერთ-ერთი საოცრებაა (სურ. 230).

ვარძიის გამოქვაბულსა კომპლექსში ხუთასზე მეტი ცალკეული გამოქვაბულია. მის წარმოშობის ისტორიაზე ზუსტი მონაცემები არ გვაქვს. მისი ისტორიისათვის ამოსავალს წარმოადგენს მემატეანის შემდეგი ცნობა: „ველეყო აღშენებად საყოფელსა გამმარჯვებულსა მისსა... ვარძიისა ღმრთის მშობლისა... რომელი კლდისაგან გამოქვეყნა, თუთ პატისოსანი ეკლესია და მონასტერი. საყოფი სენაკები, რომელი მტერსაგანცა შეუვალ და უბრძოლველყო, ესე ვარძია პირველი დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ქმნა და დაეტევა, რომელ ღიღმან ამან აღასრულა და შეამყო ყოელითურთ...“

გამოიქმნა ახრი, რომ გიორგი მესამეს აქ განზრახული ჰქონდა დიდი სიმაგრის აშენება, მაგრამ ვერ მოასწორო, ხოლო მისმა შეიღმა თამარმა, პოლიტიკურ სიტუაციითა შეცვლის გამო, იგი მონასტრად აქცია. გამოქვაბულთა დიდი ნაწილი სწორედ თამარის დროსაა გამოკვეთილი.

გამოქვაბულსა კომპლექსის შესაქმნელად დიდად გამოცდილი სპეციალისტები ყოფილან მოწვეულნი. ისეთ კლდეზე მხარეში, როგორც მესხეთია, მოუძებნიათ ადგილი. სადაც ქვის ჯიშის განსხვავებულ ფენებში სასურველი შრე დიდი ფართისა ყოფილა.

ქვიშაქვის რბილ ფენაში, დაახლოებით ნახევარი კილომეტრის სიგრძეზე, 10-12 იარუსადაა გამოკვეთილი გამოქვაბულები. მდინარის მოპირდაპირე მხარის ფერდობიდან მთელი ანსამბლი კარგად აღსიქება. არქიტექტურული ობიექტებით იგი თვალისათვის და დანიშნულებითაც სამ მონაკვეთად იყოფა.

თითქმის შეუღლი კლდის შუა წილზე გამოყოფილად ჩანს მთავარი ტაძრის სტოა. მის მარჯვნივ, აღმოსავლეთით, ერცელ მონაკვეთში, განლაგებულია მონასტრის მთავარი ტაძარი სხისხართითა და მისი გვირაბით: ე. წ. „თამარის ოთახი“, „სადარ-

ბაზო“, „სალხინო“, საცხოვრებელი გამოქვაბულები, მარნები და მრავალი სხვა დანიშნულების ქვაბულები.

ამ ტაძრის დასაველეითა, მოშორებით ღვას ქეთი ნაშენი სამრეკლოს ნაშთი. ამ ორ ობიექტს შორის საცხოვრებელ გამოქვაბულთა მცირე ჯგუფია. სამრეკლოს მცხოვრებლად მოხრდილი სატრაპეზოა, ხოლო ქვემოთ – საწნახელი და სხვა.

სამრეკლოს დასაველეთა მონასტრის მესამე ნაწილია. ამ მრავალფეროვნებაში გამოირჩევა ანანუურისა და „ლიტანიის“ ეკლესიები, საღვინო და სხვა. აქვე გამოდის მეტად რაოდენი კერამიკულმიწებებიანი წყალსადენი, რომელიც სამიოდე კალომეტრის დაშორებით, ზედა ვარძიის წყაროდან იწყება.

ამას გარდა, გამოქვაბულთა შიგნით, მთავარი ტაძრის დასაველეთით, არის წყარო. რომელიც გარემოცვის შემთხვევაში დიდად გამოსადეგი იქნებოდა.

ვარძიის საერთოდ რაოდენი გეგმა აქვს. მშენებლებს გამოქვაბულები გამოუკვეთიათ კონკრეტულ ადგილთან შეფარდებით და არა სწორხაზობრივად. გამოქვაბულების დაგეგმარებაც არ ექვემდებარება რომელიმე სტანდარტს, არამედ, საჭიროების მიხედვით, ყოველი კონკრეტული ამოცანა სათანადოდ გადაწყვეტილი. მაგრამ არის დაგეგმარების საერთო პრინციპებიც. კერძოდ, აქ ეხედებით როგორც ერთ, ისე ორ და სამსაოაგისიან კომპლექსებს. ჩვეულებრივ, კლდის პირის მხარეს, სამხრეთით არის ღია ეზო და კარიბჭე. მას სიღრმით მოსდევს დარბაზი ან დიდი სათავსი. შიგნით კიდევ დამხმარე სათავსი, საკუქნაოა. ყველაფერი ეს განლაგებული ერთ ღერძზე, სიღრმეში. ამით მშენებელი ორ რამეს აღწევდა: ყოველი კომპლექსის ფასადზე გამოსასვლელად მას მეტი ადგილი რჩებოდა და სიღრმეში განლაგებული სათავსები ხაფხულშიც და ხამთარშიც ნორმალურ ტემპერატურას ინარჩუნებდა.

გამოქვაბულთა იარუსები ერთმანეთს, ძირითადად, გარეთა აივნებით, ბილიკებითა და საფეხურებით უკავშირდებოდა. ამას გარდა, დიდი ადგილი ჰქონდა დასამობილი სამაღაწეებს. გვირაბებსა და სარაულებს შორის გაჭრილ ერდოებს, სადაც გამოიყენებოდა მისადგმელი ხის კიბე.

გათვადისწინებულია მონასტრისათვის საჭირო ყოველგვარი სათავსი: საცხოვრებელი, დამხმარე და სადღესასწაული დარბაზები. რაც შეეხება ეკლესიებს, მათი რაოდენობა დიდია, მაგრამ მათ შორის გამოიყოფა მთავარი, ღვთისმშობლის სახელობისა, რომელიც სხვებზე დიდია და გამოქვაბულთა ცენტრშია მოთავსებული. მისი კედლები 1184-1186 წლებში მოუხატაოთ. ჩრდილოეთის კედელი დაკავებული აქვს ქტიტორთა ჯგუფს, გიორგი III-სა და თამარის გამოსახულებით. თავისთავად ეს მხატვრობა მაღალი დონისაა.

ვარძია დღეს დიდი ღრმულებით რომ გამოიყურება, ასე არ იყო თავის დროზე. ამ ფასადზე გამოქვაბულები გამოდიოდა კარ-სარკმლებით. დროთა ვითარებაში, კლდეს მოსცილდა, სამოიმალა წინა პირი და დარჩა გამოქვაბულთა ღია „თვალები“.

ამ ხეობაში, იქვე, მახლობლად, მტკვრის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს განსაქმული „უანის ქვაბები“ და კიდევ სხვა კომპლექსები.

შუაფეოდალური ხანის ხუთ-ექვსსაუკუნოვანი მონაკვეთი ხასიათდება მრავალფეროვნებით – გეხედება აღმავალი და დაღმავალი ხაზი. სიმაგრეების მშენებლობაში ეს პერიოდები გამოკვეთილად გამოყოფილი არ არის, რადგან საქართველო, როგორც პატარა ქვეყანა, ყოველთვის თავს იცავდა. თავდამცველ ქვეყანას კი მუდმივად სჭირდებოდა ციხე.

აღრეფოდალური ხანის ბოლო და შუაფეოდალური ხანის დასაწყისი იმით ხასიათდება, რომ აღრეული ხანის ციხე-ქალაქები ცხოვრებას წყვეტენ და იწყება „ახალქალაქობის“ ეპოქა. ამ პერიოდისათვის მეორე დამახასიათებელი მხარეა ახალი ციხეების მასშტაბის გაზრდა, რაც, ცხადია, სიკეთით არ იყო გამოწვეული, არამედ პოლიტიკურ სიტუაციათა აუცილებლობით. ამ ეპოქაში ნაწილობრივ სიცოცხლეს აგრძელებს ძველი ციხეებიც.

შუაფეოდალური ხანის ციხეები ბლომადაა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათი ერთი ნაწილი მიწასთანაა გასწორებული, ხოლო დარჩენილებიდან ყველას ეტყობა ცვლილებები, დიდი და მცირე გადაკეთებები. ამ ეპოქის ციხეებია: გორი, აყლაყი, დიანისი, უსნელი, სურამი, ახალციხე, ახალქალაქი, ბოჭორმა და მრავალი სხვა. აქ განეხილათა მხოლოდ რამდენიმეს.

ფარცხისი. ქვემო ქართლი ქვეყნის ის მონაკვეთია, რომელსაც მტერი ყველაზე ბევრჯერ უნახავს. ამიტომაც ამ მხარის გამაგრებას, ფაქტურად, „ღია კარის“ ჩაკეტვას. ქართული ცდილობდა სახელმწიფოს სამოყალიბების დროიდან, ანტიკური ხანიდან. ამ მხარეს არ იყო ისეთი ბუნებრივი სიმაგრე, როგორც იყო კავკასიონის ქედი, თავისი ვიწრო გასასვლელებით. მათი ამ მხარესაც არის, მაგრამ არა ისეთი ძალიანი, როგორც წრდილოეთის ხაზზეა. ამიტომ საჭირო იყო მთელი ფრონტის გამაგრება. გზები ძირითადად მოჰყვებოდა ამ მხარის ისეთ დიდ მდინარეებს, როგორებიცაა – მტკვარი, ხრამი და ალგეთი. ამ ტერიტორიაზე დიდი, მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები, ციხესიმაგრეები და ციხე-დარბაზებია: სამშვილდე, ხუნანი (ახლა ახერბაიჯანის ტერიტორიაზეა, წითელი ხიდიდან თითქმის 100 კმ. დაშორებით), რუსთავი, დიანისი, ბირაყისი, ორბეთი, ფარცხისი, კოჯორი, ჩხიკეთა, კლდეკარი, ხულუტი და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი. ამ სიმაგრეთა კედლებს მრავალი ომის კვალი აქვს. „სოგიერთი მათგანსე ცოტა რამ ეიცით მატყანეებიდან, ხოლო სოგიერთსე სულ არაფერია ცნობილი.“

ამ სიმაგრეებიდან, წიგნის სპეციფიკურობის გამო, მოვიყვანო მხოლოდ ფარცხისს. ამ ციხესე ვახუშტი ასე წერს: „სად ერსეთს აღგეთს ჰვეი ესე (ზრბითის – პ. ზ.) მუნ არს ციხე ფარცხისი – ფარი ბირთეისის ციხისა, აწ შეიუსერილი“. ციხის ასეთი განმარტება შემთხვევითი არ უნდა იყოს. საქმე ის გახლათა, რომ თავის დროსე ვახუშტი იყო ქვემო ქართლის სომხთ-საბარათიანოს სადროშოს მთავარსარდალი, ამიტომ მან კარგად უწყობდა, თუ რა როლი ეკისრებოდა ამ რეგიონის სიმაგრეებს წინა პერიოდებში. ცხადია, თეთი ბირთეისი ციხე იყო, მაგრამ მასაც ხომ სჭირდებოდა დაცვის წრე. როგორც

ვახუშტის სიტყვებიდან ჩანს, ასეთი ციხის რაოდენობა ასრულებდა ფარცხისი (სურ. 334).

ციხე დგას მდ. ალგეთის მარცხენა მხარეს, სოფლის გარეთ, მაღლობზე, იგი არაა მიუღწეველი. ეტყობა, დამხვედრისათვის მთავარი იყო მტრისათვის გზის გადაკეცვა. ხოლო ციხის გამძლეობა კედლების სისქესე იყო მინდობილი.

ციხის გეგმა გრძელია ოვალთა, იგი ორ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. აღმოსავლეთის გრძელი მონაკვეთი გარნიზონისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო დასავლეთის მონაკვეთი, ბოლოში მდგარი კოშკით, ციხადელს წარმოადგენდა, რომლის ორმაგი კედლების სისქე სამ მეტრს აღემატება. იგი სამი თუ ოთხსართულიანი ყოფილა. ციხე ძალიანაა დასიანებული, მაგრამ დგინდება, რომ გალაგნის სიმაღლე 10-12 მეტრს აღწევდა. განიერი, თაღოვანი ჭიშკარი ჩრდილოეთით ცენტრშია. ჭიშკრის აღმოსავლეთით პატარა სათაესია, რომელიც, ფაქტურად, გვირაბის საწყისია. ამ მხარეს პატარა მდინარეა. არაა გამორიცხული, რომ გვირაბი მდინარემდე ჩადიოდა. ფარცხისის ციხეს დამასარკლებლად მხოლოდ სტილისტიკური ნიშნები ახლავს, რომლებიც მას IX-X საუკუნეებით ათარიკებენ. ისტორიული წყაროებშიც დაახლოებით ამ ეპოქიდან იხსენიება. საერთოდ, ამ მონაკვეთით, ეს ციხე ყოველთვის ქვემო ქართლის დაცვის ცენტრშია. ფარცხისი ხშირად იხსენიება ახლო მდებარე ბართვისისა და ორბეჯის ციხეებთან ერთად. იგი მათთან ერთად იცავდა ქვეყანას.

ციხე დიდხანს იყო არაბ დამპყრობთა ხელში და მხოლოდ XI საუკუნის შუა ხანებში ბაგრატ IV-ის ლაშქარმა მათ ბრძოლით წაართვა ორბეჯი და ფარცხისი.

ფარცხისთანაა დაკავშირებული აგრეთვე ფეოდალური საქართველოს ერთი დიდი ტრაგედიაც. დამოუკიდებელი საქართველოსათვის თავდადებული მეგრძოლი სიმონ მეფე ლაღარით დაიჭირეს ფარცხისთან, გააგზავნეს სტამბოლს, სადაც იგი ტყვეობაში გარდაიცვალა.

კეხეის ციხე გამოირჩევა დიდი ღიახეის ხეობის მრავალრიცხოვანი ციხეებისაგან. იგი დგას მდინარიდან მოშორებით, მარჯვნივ, მაღლა მთაზე. მისთვის 'ხელმიწევის' შესაფერი აღგებია შერჩეული, აქედან ხეობა ორივე მიმართულებით კარგად იშორება. ციხესე მისასვლელი ძნელი არ არის, მაგრამ თვის ციხე მტკიცეა (სურ. 337).

ციხე სსედასხვა დროის ნაშარდია. იგი სულ ცოტა ოთხი სამშენებლო ფენისაგან მანც შედგება; თავდაპირველად აქ მდგარა დიდი ზომის ცილინდრული კოშკი. შემდეგ მისთვის სამხრეთით მოუშენებიათ გრძელი გალავანი. მისი დანგრევის შემდეგ, ნაშთების გამოყენებით, ახალი გალავანი აუგიათ ერთი სამკუთხა გეგმის მქონე კოშკის დამატებით. მომდევნო ხანებში მხოლოდ მიმდინარე შეკეთებებია ჩატარებული. ამ ფენიდან გამოირჩევა ციხის დასავლეთის კარზე გარედან მოშენებული პატარა კოშკი. ბოლოს, ციხის გაფართოების მიხედვით, სამხრეთით, 'ხედა ეზოსთან შედარებით დაბლა, მოუშენებიათ ახალი გალავანი კოშკით. ეს უკანასკნელი ნაგებობა თითქმის ძირამდეა დარღვეული.

პირველი პერიოდის ცილინდრული კოშკი, რომელიც სოგადად შუაფეოდალური ხანის თარიღდება, ორი სამშენებლო ფენისგან შედგება. პირველი ფენის პირველი სართული ოთხი მეტრი სიმაღლეზე იწყება. აქ კარი სამხრეთითაა. შიგნით იმავე

ფენის ორი სართულია გადარჩენილი. კოშკის ზედა ნაწილის დაზიანების შემდეგ კიდევ ორი სართული დაუშენებიათ. პირველი ფენის კოშკი ორიგინალური გალაწყვეტით ყოფილა. ამ ეროცელი სართულის ცენტრში სვეტი მღვარა, ამ სვეტზე ეყრდნობოდა კამაროვანი თაღები.

კოშკზე მობმული გალაენის გიგმა აღმდგენელს გამეორებული უნდა ჰქონდეს. გალაენის ყველა ფენა XVI-XVIII საუკუნეებში ექცევა. ბოლო პერიოდის გალაენში ქსოსკენ ბუხრებია ჩარიგებული. სამთრის პირობებში გარნიზონი გათბობას საჭიროებდა. გალაენის ზედა ხაზზე ეს სათოფეებია გაწყობილი. სამკუთხა გეგმის კოშკიც სათოფეებითაა აღჭურვილი.

კეხვის ციხე ისტორიულ წყაროებში მხოლოდ XVI საუკუნიდან ჩანს. მან მრავალი ომი გადაიტანა: როცა გიორგი სააკაძე 1625 წ. ორანის წინააღმდეგ საომრად ემზადებოდა, იგი მოიხრეებს რაზმავლა და თან ციხეებს ამავრებდა. მემბტიანესთან ეკითხულობთ: „მოურაემან განამავრნა ციხენი კიკანასბერი, ალისა, სურამისა, კეხვისა...“ კეხვი რომ დაიწყო ციხე იყო, ეს მემბტიანე სეხნია ჩხეიძის შემდეგია სიტყვებულანაც ჩანს: 1736 წ. „კეხუს მოხდნენ სამჯერ ამილახვარ გურსა, სამჯერეე გაემარჯუა და მოსწყეიტეს ყაზილბაშინი“. კეხვის ციხიდან 1744 წ. თეიმურაზ მეფემ განდგომილი გიყი ამილახვარი ბრძოლით ეერ გამოიყვანა. ეს მან მხოლოდ მოლაპარაკებით მოახერხა. გიყი ამილახვარი შემდეგშიც არ ცხრებოდა. იმის შინით, რომ ამილახვარი ისევე თავის ციხეებს არ დაპატრონებოდა, მეფემ გააგზავნა ჯარი, რომელმაც „დააკვიეს სურამისა და კეხვის ციხე“.

ასეა მნიშვნელოვან ციხეს დიდხანს ასე არ დატოვებდნენ. იგი აღუდგენიათ და დამოუკიდებელ ქვეყანას ბოლომდე ემსახურა.

სურამის ციხე მდებარეობს გზასაყარზე. აღმოსავლეთ საქარაუკლოდან მომავალი გზა ლიხის მთების მთაბლობისას ორად იყოფა, ერთი მთავანი მტკვარს მიჰყვება და ახალციხე-ახალქალაქისაკენ მიემართება, ხოლო მეორე მთებზე გადადის და დასავლეთ საქარაუკლოში ჩადის. სწორედ ამ სტრატეგიულ ადგილზე, თუ უფრო ადრე არა, XI-XII საუკუნეებში, დიდი და ძლიერი ფეოდალების – სურამელების დროს, უკვე არსებობდა სურამის ციხე. მის გარშემო იყო ქალაქი. ძველი ქალაქი აღარ შექონილია, მაგრამ ციხემ მრავალი გადაკეთებით მოაღწია.

ციხის ის ნაწილი, რომელიც კლდოვან გორაკზეა აღმართული, სინამდვილეში ციხის ციტადელი იყო. თეით ციხე მას ძირითადად ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან ეკვროდა.

ციტადელზე ასასკელი დასავლეთიდან კლდეს მიუყვება. ციხის შიგნით ქსოს შემოიღებული აქვს მძალდი გალაენი, რომელიც მრავალფენიანია. ზოგან გალაენზე შერჩენილია ნახევარწრიული ქონგურები. გალაენში ბევრგანაა ცალმაგი და ორმაგი სათოფეები.

ციხის შიგნით, ჩრდილოეთით, მძალდი კლდეზე დაშენებული პატარა ქსოა გამოყოფილი. იგი ციტადელში ციტადელია. იქვეა მძალდი სწორკუთხა კოშკი, რომლის ძირში თუ XI-XII საუკუნეების ფენაა, ზემოთ ფეოდალური ეპოქის ბოლო პერიოდის სამშენებლო ფენაა.

ქსოს სამხრეთის მონაკვეთში სასახლის ნაშთებია, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში – მკარე ეკლესია.

ციხის შესახებ რამდენიმე ისტორიული ცნობაა, რომელთაგან აქ მხოლოდ ერთს მოვიყვანო. ეს ეხება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ მებრძოლს გივი ამილახვარს, რომელიც ბოლოს, უნებურად, ქვეყნის გაერთიანების მოწინააღმდეგედ გიველინება. სურამის ციხეში გამაგრებულ ამილახვარს ქართველთა და შაჰის ჯარები ვერ ერევიან. სცადეს შემორიგება, მაგრამ ამილახვარი არ დაჰყვა. ბოლოს, დაიპყრობილს – შამ-ნადირმა მხატვარი გამოგზავნა, ციხე დაახატვინა და მის სიმტკიცეში რომ დარწმუნდა, ბრძანა: ციხეს ახალი გალავანი შემოავლეს, ორგულივ ეწარაულები დაუყენეს და მოეშითო. ასეც მოიქცნენ, მაგრამ ამანაც ვერ უშველა საქმეს, ბოლოს, ციხის გალავანი ჯერ ერთი ნაღმით ააფეთქეს, შემდეგ მეორეთი და ციხე სანახევროდ გააშინქლეს, მაგრამ მისი მფლობელი მაინც არ დანებდა. მას შემდეგში სხვა ხერხებით მოუარეს.

ყველაფერი 'ხემოწყვანილი აშკარად გეიხევენებს ციხის გამძლეობას, მის სიმტკიცეს.

ხერთვისი. მთავორიან საქართველოში მთასთან შესრდილი ციხე-კოშკებისა თუ ეკლესიების სიმრავლეა, მაგრამ მაინი გამორჩეულია ხერთვისი.

ხერთვისის ციხე ჯავახეთის წინკარს იცავდა. იგი აღმართულია ჯაბახეთისა და არტანის მტკერის შეერთებისთან მაღალ, კლდოვან მთაზე. ციხე მრავალფენიანია. შემატანეთა ცნობით, იგი მოიხსენიება იმ ციხე-ქალაქებს შორის, რომლებიც სათაქოს ძე. წ. III საუკუნის დასაწყისში ალექსანდრე მაკედონელს საქართველოში დახედა. თვით სიტყვა „ხერთვისი“ წარმომდგარია სიტყვა „ხერთვისის“ ხანმეტი ფორმიდან. ციხე დგას ჯავახეთისა და სამცხის საზღვარზე.

აწ დაკარგული წარწერის მიხედვით, აქ მდგარი ერთ-ერთი ნაგებობა დათარიღებულია 985 წლით. მეორე წარწერა ყოფილა ციხის კარის თავზე. ამ წარწერის მიხედვით, მეფის მოღარეუთუცეს „ხაქარია ქამქამიშვილს 1354-1356 წლებში აღუდგენია ციხის გალავანი. ციხის გალავანი იმდენჯერაა გადაკეთებული, რომ ახლა ამ ფენის გამოყოფა ძნელია.

XV საუკუნის შუა ხანებიდან ქვეყნის სამხრეთით გაგვიწინდა ახალი ძლიერი მტერი. მოსლემო საუკუნის 70-იანი წლებიდან თურქეთმა, ამ მხარის სხვა ციხეებთან ერთად, ხერთვისიც მიიტაცა. სამცხე და მისი მიმდებარე ტერიტორია საქართველომ მხოლოდ 1828 წელს დაიბრუნა.

ციხე ათასი წლების განმავლობაში მრავალჯერაა გადაკეთებული და ამიტომ ერთიანი გეგმის ნახვა შეუძლებელია. ხერთვისის ციხეს ორი ცხოვრება ჰქონდა: პირველი, როცა ის საქართველოს დაცვას ემსახურებოდა, ხოლო მეორე, როცა თურქეთის ხელში იყო და ემსახურებოდა დამპყრობლებს.

ციხე გეგმით გრძელი მრავალგვერდაა. იგი სიგრძეზე შეიძლება სამ მონაკვეთად დაფიქსირდეს. მთავარია შუა მონაკვეთი, სადაც დგას დიდი კოშკი და ეკლესია. მომდევნო კოშკისა ჩანს აღმოსავლეთის მონაკვეთი ხუთგვერდი კოშკით. შემდეგი დროისაა დასავლეთის მრავალწახედიანი მონაკვეთი, ჩრდილოეთის მდინარეზე სამავალი გვირაბით.

ციხის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრებიდან მცირე რამაა ცნობილი. ძეგლის გათხრა ნათელს მოჰფენდა ზოგ საკითხს.

ბოჭორმა. კახეთის ციხეებიდან ბოჭორმა ერთ-ერთი უდიდესია. იგი შუაფეოდალური ხანიდან სამშობლოს დაცვას ბოლომდე ემსახურა.

ციხე მდებარეობს კახეთის და ქართლის მაკავშირებელ მთავარ გზაზე, ციეგომბორის უღელტეხილზე, მდინარე იერის ხეობაში. ამ გზას იგი უჯარმასთან ერთად იცავდა. ეახუშტის ცნობით, მისი აგება დაკავშირებულია ლეგენდარულ ქართლოსთან. მას „დედაციხე“ ეწოდებოდა.

ციხის შესახებ პირველი ისტორიული ცნობა უკავშირდება 914 წელს საქართველოში აბულ-კასიმის მეთაურობით არაბთა შემოსევას. მტრის ჯარის სიმრავლეს ბოჭორმისა და უჯარმის დამცველებმა ვერ გაუძლეს და დანებდნენ. მომდევნო პერიოდის ცნობები ციხის თაობაზე შეეხება X-XI საუკუნეებში საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი მეფეებისადმი კახეთის მფლობელ ქორეპისკოპოსების წინააღმდეგობას.

ბოჭორმის ციხეც მრავალფენოვანია. პირველი ფენა შუაფეოდალური ხანისა ჩანს, ბოლო კი - XVIII საუკუნისა. მატანეთა ცნობით, ერეკლე მეფეს ბოჭორმის ციხე „განუსრულებია“. მარსლაძე, ციხის ჩრდილოეთით ამ ეპოქის გალავანია კოშკით.

ციხის ციტადელის შუაზე დგას საინტერესო ექვსაფსიდიანი ეკლესია, მის გვერდით კი ცილინდრული კოშკი. ცენტრალურ მონაკვეთზე დგას IX-X საუკუნეების სასახლის ნანგრევები. ციხის გალავანი და კოშკები მრავალფენიანია. ამჟამად მათი ეპოქებად გამოიჯნა ძნელია.

მარბახული ეკლესიები

(XII საუკუნის ბოლოდან XIII საუკუნის შუა წლებამდე)

ამ ეპოქაში დარბაზული ეკლესიის ტიპს არაერთი ცვლილება არ განუცდია. ქალაქსა თუ სოფელში შენდება მრავალი ეკლესია, რომლებიც იმავე სტილისტიკურ თავისებურებათა მატარებელია, როგორც დიდი ზომის გუმბათოვანი ნაგებობები. ამ ხანის ეკლესიებიდან შევარჩიეთ ის ორი, რომლებიც არქიტექტურის განვითარების საერთო დონეს წარმოაჩენენ.

მაღალანათ ეკლესია მდებარეობს შუა ქართლში (კასპის რ-ნი), პატარა მდინარე კათურას მარცხენა მხარეს. იგი დიდი ზომის დარბაზული ეკლესიაა, სამხრეთის სტოასით (სურ. 231-234). მაღალი გემოვნების მქონე ოსტატის მიერ აგებული ეს ეკლესია, ყველა მონაცემით, XII-XIII საუკუნეთა მიჯნით თარიღდება. იგი, როგორც ხელოვნების ნიმუში, თავისუფლად შეიძლება დაეაყენოთ იმ ეპოქის ისეთ წამყვან ძეგლებთან, როგორიცაა ბეთანია და ქვათახევი.

ისტორიული მონაცემებით და ფასადებზე არსებული წარწერებით დგინდება,

რომ ეს ეკლესია, რომელიც თავდაპირველად იწოდებოდა ბეთლემის ღმრთისმშობლის ეკლესიად, მცხეთის სეგტიცხოველის ქადაგის თანამდებობას ჰქონია მიკუთვნებული და ამიტომაც საქადაგო მონასტერს წარმოადგენდა. ეს თანამდებობა XV საუკუნიდან სამემკვიდრეოდ მიუღიათ სეგტიცხოველის ქადაგთ, მალალაძეებს. მომდევნო საუკუნეებში ისინი ფლობენ ამ ძეგლს, აწარმოებენ მის რესტავრაციას და ორგელიე აგებენ არაერთ შენობას. XVIII ს-ის ბოლოს მათი ბუდე აქ მოშლილა და გადაუნაცვლიათ იქვე, მახლობლად, წინარეხში.

ეკლესიის შიდა სივრცე განიერი და მალალია. აფსიდი კონქით მთავრდება, სწორკუთხა დარბაზი კი – ერთ საბჯენ თაღზე გადაყვანილი ცილინდრული კამარით. განათებისათვის თითო სარკმელია აღმოსავლეთით და დასავლეთით და ორიც – სამხრეთით. XVII საუკუნეში მალალაძეთა მიერ შესრულებული ფრესკული მხატვრობიდან მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი, ხოლო კანკელი შედარებით კარგადაა მოღწეული. ეკლესიის ერთადერთი კარი სტოას უკავშირდება. თვით სტოა მიდგმულია ეკლესიის დამთავრების შემდეგ. მას მთელი სამხრეთის მხარე უჭირავს და აფსიდიან სამლოცველოს წარმოადგენს.

ეკლესიის თლილი ქვით მოპირკეთებული ფასადები დიდი გემოვნებითაა მორთული. შესაშური ტაქტიხაა გამოყენებული მორთულობის ყველა ელემენტი. ხუროთმოძღვარი წინა ეპოქასაც თითქოს ერთგვარად ხარკს უხდის და იმავე დროს საკუთარი ეპოქის მოწინავე შემოქმედი.

ფასადების მორთულობის მთავარ ელემენტს თაღედი წარმოადგენს. როგორც ადრე აღენიშნეთ, გუმბათოვან ტაძრებზე თაღედს უკანასკნელად ვხედავთ 1172 წ. აგებულ იკორთის ტაძარზე. სტილში ეს რადიკალური ცვლილება, ეტყობა, ავტორისათვის ცნობილია, ამიტომ იგი თაღედს ფასადებზე უწყვეტად კი არ აკეთებს, არამედ – განსაკუთრებულ ადგილებზე. ამისათვის მას გამოყოფილი აქვს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადების ცენტრალური მონაკვეთები. ასევე, იგი სტოას ფასადებიდან გამოყოფს პორტალს და დასავლეთის ფასადს.

კარ-სარკმლები და კარნიზი მრავალფეროვანი ჩუქურთმითაა დაფარული. ჩუქურთმის მცენარულ მოტივებში საოცარი ფანტაზიაა ჩაქსოვილი.

ამავე დროს ეკლესიის ავტორი ნოვატორიცაა, მას დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტონი მალალი ჩუქურთმიანი ფრიზით აქვს გამოყოფილი. ფრიზის ეს ლენტა გვერდით ფასადებს კარნიზის ქვეშ გასდევს. ასე რომ, ეს ლენტა მთელ შენობას კრავს.

გ უ დ ა რ ე ხ ი ს ს ა მ ო ნ ა ს ტ რ ო კ ო მ პ ლ ე ქ ს ი , რომელიც რუსუდან დედოფლის (1222-1245 წწ.) სახელთანაა დაკავშირებული, მდებარეობს ქვემო ქართლში, თეთრიწყაროდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, თითქმის ათ კილომეტრზე. ამ დიდებული არქიტექტურული ანსამბლიდან გამოირჩევა საშუალო ზომის დარბაზული ეკლესია, რომელიც ვრცელი წარწერის მიხედვით „... აქმენა... ტელითა ფრიად ცოდვილისა ჭიჭაფორისძისათა, სალოცავად და სადიდებლად დედოფალთ დედოფლისათჳს, რუსუდან დედოფლისა და შეილთა მისთა“.

ეკლესია შიგნით ჩვეულებრივია: აფსიდა კონქით, დარბაზი – საბჯენი თაღებზე

დაყრდნობილი კამარიით (სურ. 235-236). განათებისათვის სარკმელი, ჩრდილოეთის გარდა, ყველა მხარესაა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულია აფსიდში სარკმლის განთავსება. ასეთი გადაწყვეტა დამახასიათებელია გუმბათოვნისათვის. აქ სამი სარკმელი იმტომა, რომ აღმოსავლეთის ფასადს ნიშებით გუმბათოვანის კომპოზიცია აქვს.

ფასადებიდან სამია დეკორირებული, მაგრამ არათანაბარი გადაწყვეტით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოყოფილია აღმოსავლეთის ფასადი. აქ მორთულობის სახე აღებულია გუმბათოვანი ტაძრიდან. ფასადის ღერძი დაკავებული აქვს სამთავისის ტაძრის ავტორის მიერ შექმნილ კომპოზიციას. ესაა ზემოთ სარკმლის შოჩარჩოებას დაყრდნობილი დიდი ჯვარი, რომელიც ქვემოთ გრძელდება ლილვებით ცოკლამდე, შუახე კი რომბება.

სამხრეთის ფასადზეც შეწყვილებული სარკმლები ისევ გუმბათოვანის კომპოზიციიდანაა აღებული. ისიც მოჩუქურთმებულია, მაგრამ დიზიანების გამო დეტალურად არ იხილება. იქვე მდებარე კარი მორთულია. დასავლეთის ფასადის ზედა სარკმლები უორნამენტთა, ხოლო ქვედა მცირედაა მორთული.

ეკლესიას სამხრეთითა და ჩრდილოეთით სხვადასხვა გეგმის მქონე მინაშენები გაჩნია. სამხრეთისა მოშლილია, ჩრდილოეთისა ისეა დაზიანებული, რომ კარგად არ იკითხება.

როგორც ვხედავთ, XII-XIII საუკუნეების დარბაზული ეკლესიები, მორთულობის მხრივ, ტოლს არ უდებს თავის თანადროულ გუმბათოვან ტაძრებს.

ხუროთმოძღვრება XIII საუკუნის შუა ხანებიდან XV საუკუნის ბოლომდე

საქართველოს მტრულად განწყობილი დიდი ქვეყნები არასოდეს დაკლებია, მაგრამ მონღოლების სიმკაცრემ ყველაფერს გადააჭარბა. აყვავებულ და ძლიერ ქვეყანას XIII საუკუნის 20-იან წლებში თავს დაატყდა გაუგონარი უბედურება – აღმოსავლეთიდან მოსული დაუნდობელი მტერი თავის გზაზე მხოლოდ დანგრეულ და გადამწვარ დასახლებებს ტოვებდა. მონღოლებმა ორასი წლის განმავლობაში ძლიერ ქვეყანას არა მარტო მთლიანობა მოუშალეს, არამედ ეკონომიკაც შესაძინევად დასცეს. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ქვეყანა საკულტო ნაგებობებზე ზრუნვას მაინც ახერხებდა. ეს ხდება მაშინაც კი, როდესაც მტერი სახლში გვყავდა და ქვეყანა, ფაქტიურად, სამად იყო გაყოფილი: აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო და სამცხეც, ფაქტიურად, ცალკე იყო გამოყოფილი. ამ პერიოდის საკულტო ნაგებობებიდან აღსანიშნავია: თბილისში – მეტეხი (ძველის ნანგრევებზე თითქმის ხელახლაა აგებული); სამცხეში – საფარა, ზარზმა, ჭულე, ბიეთი, თისელი; დასავლეთ საქართველოში – ხობი, მღვიმევი, ცაიში, ბედია (ძველის ნანგრევებზე აგებული). ხეში – გერგეტის სამება; კახეთში – კარდანახის საბაწმინდა, საჩინო (ზემო ხოდაშენთან) და სხვა.

ამ ეპოქის ძეგლები წინა ეპოქისას რომ შეეადაროთ, ენახათ ასიოდე წელიწადში რა მკვეთრად შეიცვალა ხუროთმოძღვრების დონე. სადღაა ის მეტყველი ფორმები, რაფინირებული მორთულობა, რომელიც ახასიათებდა წინა ეპოქას. პოლიტიკური და ეკონომიკური დაქვეითება ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ხუროთმოძღვრების განვითარებაზე, იწყება დაღმასვლა, რომელიც მეტად შესამჩნევი ხდება XIV საუკუნის ბოლოსკენ.

ამ ეპოქის მრავალფეროვანი ეკლესიებიდან, პირველ რიგში, წარმოვადგენთ ცენტრალურ-გუმბათოვანსა ტიპს.

ამ ტიპის ობიექტებიდან პირველია ჯგუფი – საფარა, ზარზმა, ცაიში, გერგეტი, აგებულია 50-60 წლის განმავლობაში. სწორედ ამ რამდენიმე ათეული წლის ფარგლებში ისე სწრაფად ხდება ცვლილებები, დაღმასვლა ისე სწრაფია, რომ დაუფერებელიც კი არის, რომ საფარა და გერგეტი ერთი ეპოქის ნაწარმოებია. იმავე გერგეტს თუ შეეადარებთ მისგან ხუთი-ექვსი ათეული წლითა დაცილებულ ბიეთსა და თისელს, კონტრასტი უფრო თვალსაჩინო იქნება. XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე თითქოს ამოიწურა ის შემოქმედებითი ძალა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მოსდევდა ქართულ ხუროთმოძღვრებას. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, დაცემის ხანის საიდუმლოდ მარტო ჭულესა და ბიეთის გეგმებზე დახედვა კმარა. თითქოს ყველაფერი განგებაა დაბრეცილი.

გუმბათოვანი ტაძრების გეგმების პირველ დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩათვალოს ტენდენცია კედრატისაკენ და ქვედა კორპუსის სიმალის შემცირება. პროპორციები, ადრეულთან შედარებით, ღირსია. ამ მიმართულებით წინა ეპოქებს თუ გადაუხედავთ, ტიპის განვითარების პირველ ეტაპზე აგებული სამთავისის ტაძარი მიწიდან ასხლეტილი ნაგებობაა. მეორე ეტაპზე ასეთი გაქანება შეიძლება არ იყოს, მაგრამ გვაქვს ისეთი „შემართული“ ნაგებობები, როგორცაა ქვათახევი, წულურუაშენი და სხვები. იგივე მდგომარეობაა გუმბათებზეც, აქაც შეიმჩნევა მათ დადაბლება და გაგანიერება.

იგივე მდგომარეობაა ინტერიერშიც. შიგნით ასევე იშვიათი პროპორციებია. იმავე პროპორციასზე აგებული შუქის განაწილებაც. თუ ადრე ინტერიერი მეტად სყო განათებულია, ახლა იგი მკვეთრად მცირდება. თუ ადრე გუმბათში 12 სარკმელი იყო, ახლა რვა, ექვსი და ხუთია. გვერდით მკლავებში, ორი და სამი სარკმლის მაგიერ, თითოა. ეს ეპოქის მოახოვნაა, სტილის თავისებურებაა.

იგივე შეიძლება ითქვას ტაძარში შესასვლელ გზაზეც, თუ ადრე რთულ გზას ირჩევდნენ, ახლა კარები გვერდითი ჯვრის მკლავებშია მოთავსებული. ინტერიერში არის პრინციპული სიახლეც, ესაა გვერდითი ნაგებობის ზემოთ პატრონიკების გამართვის საკითხი. პატრონიკე, მართალია, VII საუკუნიდან გამოიყენება, მაგრამ აუცილებელი არასოდეს ყოფილა. XIII საუკუნის ბოლიდან პატრონიკეს ავტორთა უმრავლესობა იყენებს, მაგრამ ზოგან იგი უფუნქციოა, დეკორატიულია, იატაკი არა აქვს. ჭულეა უკანასკნელი ძეგლი, სადაც პატრონიკე მხოლოდ დეკორატიულ ელემენტადაა გამოყენებული.

ამ ეპოქაში, ადრეულისაგან განსხვავებით, შეიმჩნევა საკურსხეველისა და გუმი-

ბათქვეშა საყრდენების ლილეებით მორთვა. კერძოდ, აფსიდების ლილეებიანი ნიშებით მორთვა შეიძლება X-XI საუკუნეთა საკურთხეელის მორთულობის რემინისცენცია იყოს.

ფასადების მორთვის წესი ახლა წინა ეპოქის ტრადიციებს აგრძელებს, ე. ი. მორთულობა მხოლოდ კარ-სარკმლების ირგვლივაა განლაგებული. ამ ეპოქის დეკორიდან გამოირჩევა ჯვარი. დროის სხვადასხვა მონაკვეთში ჯვარს სხვადასხვანაირად იყენებენ და იგი ყველგან მეტყველია. ამ ეპოქისათვის თლილი ქვის სიბრტყეში დეკორის ამოკვეთას ახალი სახე მიეცა. ადრე თუ დეკორი ფასადის სიბრტყის ზემოთ იყო, XIII საუკუნის დასაწყისიდან იწყება მისი „ჩაძირვა“. თანდათანობით ეს ტენდენცია მეტ უპირატესობას იძენს. ცხადია, მორთულობის კეთის ეს სისტემა ნაკლებფექტურია.

ამ ეპოქაში განსხვავებულადაა გადაწყვეტილი გუმბათის ყელი. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა თაღედის გადაწყვეტაში. სამი საუკუნის ტანმავლობაში, გუმბათის ყელის ფორმის მიუხედავად, თაღედი უწყვეტი იყო. პირველად ახალი მიდგომა საფარაში გამოჩნდა. მომდევნო საობამ მას მისდია. თაღებს შორის წიბოებზე ინტერვალთა თანდათანობით იზრდება.

ასევე ახლებურადაა გადაწყვეტილი გუმბათის ყელში სარკმლების საკითხიც. ყოველი ეპოქის ხუროთმოძღვარი გუმბათში აკეთებდა იმდენ სარკმელს, რამდენიც მას სჭირდებოდა და ეს სარკმლები ერთნაირად ჩანდა როგორც შიგნიდან, ისე გარედან. საფარელმა ხუროთმოძღვარმა ეს წესი პირველმა დაარღვია. მას განასუბისათვის რვა სარკმელი სჭირდებოდა, მაგრამ გარედან თექვსმეტი გააკეთა. აქედან ნახევარი დეკორატიულია, თითოთს გამოშვებით ცრუა. მას მიბაძეს შემდეგმა თაობებმა და იგივე გადაწყვეტას ეხედავთ ზარზმის, გერგეტის, ჭულეს, მიეთის კელესიებში და, ალბათ, ასე იყო ცა იშშიც. ხუროთმოძღვრებაში „სიცრუე“ მხოლოდ დაღმასელის მაჩვენებელია.

ამ ეპოქის ძეგლებიც მდიდარია ჩუქურთმით, მაგრამ არაა ის ბრწყინვალეობა, რომელიც წინა საუკუნეებში იყო. XI საუკუნის ჩუქურთმაში ჩანს მრავალფეროვნება, გამომგონებლობა, ვირტუოზული ნახატი, ღრმა კვეთა, ჩრდილ-სინათლის თამაში. XII საუკუნეში დაახლოებით ისეთივე სურათია, ხოლო მომდევნო საუკუნეებში ცვლილებები შესამჩნევია. ეს ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ჩუქურთმის სქემატურობასა და სიმშრალეში. აღსანიშნავია ისიც, რომ ადრე მცენარეული მოტივები სჭარბობდა, რაც ახლა გეომეტრიულით იცვლება. იმავე დროს იკლო, საერთოდ, როგორც ჩუქურთმის გამოყენებამ, ისე მოტივთა რაოდენობამაც.

როგორც ეხედავთ, XV საუკუნის ბოლოსათვის X საუკუნეში დაწყებულმა ცხოველხატულმა სტილმა თითქოს თავისთავი ამოწურა. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა ახალ ბიძგს ვერ იძლეოდა. მონღოლებისაგან დანგრეულ-გაპარტახებული ქვეყანა XV საუკუნეში მხოლოდ იარებს იშუმებდა, დანგრეულს აღადგენდა, დაზიანებულს რესტავრაციას უკეთებდა, ახალი არ აშენებულა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია დიდი მეფის, ალექსანდრე I-ის

(1412-1443წწ.) მოღვაწეობა. მან ენერგიულად მოკიდა ხელი დანგრეული ქალაქების, ციხესიმაგრეების, ეკლესია-მონასტრებისა და აოხრებული სოფლების აღდგენას. ეს დიდი, საშვილიშვილო საქმე მან სახელმწიფოებრივ ღონემდე აიყვანა. მან დააწესა დროებითი გადასახადი: ყოველ კომლს წლის განმავლობაში 40 „თეთრი“ ევრცხლის მონეტა უნდა გადაეხადა. ეს კანონი მოქმედებდა მხოლოდ 1425-1440 წლებში, რადგან პოლიტიკური სიტუაცია მისი გაგრძელების საშუალებას არ იძლეოდა. ამ დროს ქვეყნის ერთიანობის რღვევა აშკარად ჩანდა.

წინა ეპოქისაგან განსხვავებით, XIII საუკუნის მეორე ნახევრისა და მომდევნო საუკუნეების ცენტრალურ-გუმბათოვანი ძეგლები განლაგებულია არა თბილისსა და მის სიახლოვეს, არამედ მისგან შორს, ისეთ ისტორიულ პროვინციებში, როგორცაა: სამცხე, სამეგრელო, ხევი, შიდა კახეთი და შიდა ქართლის მთიანი ნაწილი. აქ წარმოვადგენთ მათ უმრავლესობას.

ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრები

საფარა მესხეთის მიწაზე ერთ-ერთი უმშენიერესი ძეგლია. აქ იყო არა მარტო მონასტერი, არამედ სამცხის ათაბაგთა – ჯაყელთა, ერთ-ერთი რეზიდენცია. აქ ამ დიდ ფეოდალთა ნასახლარის ნანგრევებია. საფარა ამ მხარის ცენტრის, ახალციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრზე მდებარეობს.

ნასახლარზე გამოირჩევა წმ. საბას ტაძარი, იქვეა რამდენიმე დიდი და პატარა ეკლესია, სამრეკლო, საცხოვრებელი სახლები, სასახლე, კოშკები და სხვა. ყველაფერი ეს მთის რთულ რელიეფზე განლაგებული (სურ. 237-242).

ამ ანსამბლში ყველაზე ადრეული ჩანს X საუკუნის „მიძინების“ დარბაზული ეკლესია. მისთვის, ადგილის სიეთწროვის გამო, ჩრდილოეთით მიუშენებიათ დიდი გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც წმ. საბას სახელს ატარებს.

საფარის ანსამბლში შემავალი არქიტექტურული ძეგლებისა და ისტორიული წყაროების შეჯერება გვიჩვენებს, რომ ამ ადგილის რეზიდენციად ქცევა და მისი აყვავება მომხდარა XIII საუკუნის ბოლოს, როცა სამცხე გამოეყო საქართველოს და მმართველად ჯაყელები გახდნენ. წმ. საბას ეკლესიის აგებაც მათ სახელთანაა დაკავშირებული.

კონკრეტულად ტაძრის აშენებთა შესახებ გვიამბობს სამხრეთის კედლის ქვედა რეგისტრზე წარმოდგენილი ისტორიულ პირთა გამოსახულებები წარწერებით. ოთხი გამოსახულებიდან, ასომთავრული წარწერის მიხედვით, პირველია სასულიერო პირი შავი მოსასხამით – საბა ათაბაგი, ბერად შედგომამდე – სარგის ათაბაგი. საბას უკან ეკლესიის მოდელით ხელში, დგას ბექა მანდატურთუხუცესი. მესამეა სამცხის სპასალარი სარგისი. ბოლოს დგას უწვერულეაში ახალგაზრდა, რომელიც ბექას მეორე ვაჟი ყუარყუარა უნდა იყოს. ისტორიულ წყაროებთან ამ მონაცემების შეჯერებით ველებულობთ, რომ ტაძარი აგებულია ბექა მანდატურთუხუცესის მიერ XIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში.

აქ, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ისე წარწერიდან ვიგებთ ტაძრის ამგების ენობას, ესაა ხუროთმოძღვარი ფარეხასძე. ეს წარწერა მოთავსებულია ტაძრის დასავლეთის კარიბჭის სარკმელზე. არის სხვა წარწერებიც, რომლებიც გვამცნობენ ზოგიერთი პირის მონაწილეობას მშენებლობაში.

მაღალ მთებში მოქცეულ მონასტერს ე. წ. სასარგებლო ფართი ცოტა ჰქონია, ამიტომ ხუროთმოძღვარი იძულებული შექმნილა, ფერდობის ერთ-ერთ ქიმზე მძლავრი სუბსტრუქცია შეექმნა. ღრმა ხევის პირას შექმნილ სუბსტრუქციაზე აღუმართათ დიდი ზომის ტაძარი. ადგილი მაინც რომ არ ეყოთ, სამხრეთ-დასავლეთის კუთხე ადრეულ ეკლესიას მიადგეს. ყოველივე ამის შემდეგ აღმოსავლეთის ფასადი ისე ახლოსაა ხევის უფსკრულიან, რომ მისი დასავალიერება ძლიერ ხერხდება.

ტაძრის სიგრძე მცირედ აღემატება სიგანეს. მასში შესასვლელი სამი მხრიდანაა. შიგნით სივრცის შემქმნელი ჯვარი განიერი გუმბათით მთავრდება. საკურთხეველი ბემითაა შელამავებული. გვერდებზე აფსიდებიანი საღიაკენე და სამკვეთლოა, მაღლა კი საიდუმლო ოთახები, საიდანაც კონქის ზემოთ მდებარე სივრცეში შეიძლება მოხვედრა.

ჯვრის დასავლეთის მკლავი გვერდით ნაგებს თითო განიერი თაღით უკავშირდება. ნაგების სივრცით პატრონიკებია: ისინი მთავარ სივრცეს თაღებით უერთდებიან.

ტაძრის კედლები ნაგებობების თანამედროვე ფრესკული მხატვრობითაა დაფარული. მხატვრობა შედარებით კარგადაა დაცული. მის აღქმას ხელს უწყობს კარგი განათება, რომელიც შემოდის ქვედა კორპუსის ჯვრის მკლავებში განლაგებული თითო დიდი და გუმბათში დატანებული რვა სარკმლიდან.

ტაძრის ფასადები შემოსილია კარგად თლილი, მოვარდისფრო ქვით და თითოეული მასივიანი მორთულია ადგილმდებარეობის შესაბამისად. ფასადებზე აქა-იქ ფერადი ქვებია გამოყენებული. ქართულ ეკლესიებში ყოველთვის აღმოსავლეთის ფასადი საგანგებოდაა გამოყოფილი და სხვებზე უკეთაა მორთული. აქ ეს წესი სრულიად სამართლიანადაა უარყოფილი იმის გამო, რომ იგი ხევის პირასაა და მისი დასავალიერება თითქმის შეუძლებელია. ასევე შედარებით ძნელია სამხრეთის ფასადთან მისკლა და ისიც ნაკლებადაა მორთული, მაგრამ ორი დანარჩენი – მდიდრულადაა მოკაზმული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია დასავლეთის მხარე, სადაც სამონაკეთიანი კარიბჭეა მიდგმული. იგი, როგორც შიგნით, ისე გარეთ, მრავალფეროვნადაა მოხატული. აქ კედლები, სვეტები და პლაფონიც მოჩუქურთმებულია. იქვე ბლომადაა ფრინველებისა და ცხოველების რელიეფიც.

ფასადების კარ-სარკმლებზე გამოყენებული ჩუქურთმა ჯერ კიდევ მიზიდველია, მხატვრობა და ოსტატობა ნამდვილად მოსაწონია, რასაც ვეღარ ვხედავთ მოძველნი ძეგლებზე. აღსანიშნავია ეპოქის ერთი დამახასიათებელი ნიშანი. ესაა მორთულობის მთლიანად ჩაკეცვა კედლის სიბრტყეში (ჩრდილოეთის ფასადი). ეს ხერხი XIII საუკუნის პირველი მეოთხედის ზოგიერთ ძეგლში იქნა შემჩნეული, რაც თავისთავად დაქვეითების მაუწყებელი იყო. შემდეგში ამ ტენდენციამ იძალა და XIV საუკუნის მეორე ნახევარში თითქმის მხოლოდ ეს წესი გვხვდება. წინა ეპოქებში დეკორის ყოველი

ელემენტი მხოლოდ ფასადის სიბრტყის ზემოთ იყო, რაც გაცილებით მეტ ეფექტს იძლეოდა.

არქიტექტურაში დაღმასვლის მაუწყებელ კიდევ ერთ თავისებურებას ეხედებოთ საფარაში. ესაა „სიცრუე“ გუმბათის ყელის მორთულობაში. ჯერ ერთი, ხუროთმოძღვარმა ფარეხასძემ გუმბათის უწყვეტი თაღები გათიშა, წიბოები ბოლომდე გამოაჩინა და თალი თითოეულ წახნაგზე, ცალ-ცალკე გააკეთა. მომდევნო თაობებმა ეს წესი გააგრძელეს და XIV საუკუნის მეორე ნახევარში უკვე აშკარა ხდება ხელოვნების დაცემა – სწორ ფორმებსაც კი ვერ ქმნიან.

იქვე, გუმბათის მორთულობაში, მეორე ტენდენციაა მოჩვენებითობა. ოსტატს განათებისათვის რვა სარკმელი საკმარისად მიუჩნევია, მაგრამ გარედან თექვსმეტ წახნაგზე იმდენივე სარკმელია. სინამდვილეში კი რვა ნამდვილია და რვა „ცრუ“. სარკმლების ხერელობები ერთნაირადაა დამუშავებული და ქვემოდან ეს განსხვავება შეიძლება არც იყოს შესამჩნევი. საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეებში დიდი ზომის მინას ვერ აკეთებდნენ, ამიტომ სარკმლის მაღალ ხერელობაში სვამდნენ 30-40 სმ. დიამეტრის მქონე კერამიკულ ჩარჩოებს და მინას ამ ჩარჩოში ათავსებდნენ ყოველი ერთის გამოკლებით. ყრუ ხერელობის ზედაპირიც ისევეა დამუშავებული, როგორც ნამდვილი. მომდევნო თაობებმა ამ ხერხსაც მისდიეს.

მიუხედავად აღნიშნულისა, საფარის ტაძარი და მის ორგველივ განლაგებული სხვადასხვა სახის ნაგებობები შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების საინტერესო ობიექტია.

ზარზმაც მესხეთის მშენებაა. იგი მდებარეობს ქვაბლიანის ხეობაში, ადიგენის რაიონული ცენტრიდან ხუთიოდე კილომეტრზე. აქ პირველი მონასტერი ააშენა ბერმა ბესარიონ ზარზმელმა, რომლის შესახებ გვიამბობს ბასილ ზარზმელი თავის ცნობილ თხზულებაში. ეს უნდა მომხდარიყო IX საუკუნეში ან უფრო ადრე. იმ დროის სამონასტრო ნაგებობებიდან არაფერია შემორჩენილი. მომდევნო პერიოდიდან გადარჩენილია რომელიღაც შენობის წარწერიანი ქვა, რომელიც ჩატანებულია სამრეკლოს გვერდით მდგარი სამლოცველოს კარის თავზე. ეს ვერცელი წარწერა გვაწვდის მეტად საინტერესო ცნობას იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა დაეთო კურაპალატის ლაშქარი ბიზანტიის იმპერატორს გამდგარი ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში, რაც მომხდარა X საუკუნის ბოლოს. ის ძეგლები კი, რომლებიც დღეს ამ სამონასტრო კომპლექსშია, XIII საუკუნის მომდევნო ხანისაა (სურ. 243-246).

სამონასტრო ანსამბლიდან გამორჩეულია კარგად შენახული ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარი, რომლის თარიღი დგინდება მის სამხრეთის კედელზე განლაგებული ქტიტორსა წარწერებით. ფრესკაზე წარმოდგენილი არიან სამცხის ძლიერების შემქმნელები: სარგის I, სამცხე-სააბაბაგოს პირველი დამოუკიდებელი მმართველი; შემდეგ მისი ძე ბექა I, რომელიც მამაა სარგის II-ისა და ყუარყუარასი. გამოდის, რომ აქ სამი თაობაა წარმოდგენილი, მათი ზეობის წლების მიხედვით, ტაძარი აგებულია XIII საუკუნის ბოლო წლებსა და 1308 წლებს (ბექას გარდაცვალება) შორის. ამ თარიღს ადასტურებს ძეგლის სტილისტიკური მონაცემებიც. იგი საფარის უშუალოდ მომდევნო ეტაპს განეკუთვნება.

ზარზმა, გეგმის მხრივ, ერთი ელემენტიცაა ამ ტიპისაგან გამორჩეული. ესაა მისი სამხრეთის გაღერვა – კარიბჭე. მას ძირითადი კორპუსის მთელი სამხრეთის მხარე აქვს დაკავებული. ამ ტიპის ძეგლებში ეს ერთადერთი შემთხვევაა. სხვა მხრივ ნაგებობა ტიპიურია. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქვს. შიდა სივრცე აქაც ჯვრის ოთხი მკლავისა და მათ შუა აღმართული გუმბათისგანაა მიღებული. ღრმა აფსიდის გეერდებზე საღიაკენე და სამკვეთლოა, რომლებიც სხვებისგან იმით გამოირჩევა, რომ აქ ისინი სწორკუთხა, უაფსიდოა. ინტერიერის საერთო გადაწყვეტიდან საინტერესო და სრულიად ორიგინალურია დასავლეთის გეერდის ნაგებობის ზემოთ გამართული პატრონიკე. ცნობილია, რომ პატრონიკე VII ს-დან შეიქმნა. იგი იყო შიგნითკენ ღია იარუსი, რომელსაც სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა. მას მხოლოდ ზოგიერთი ხუროთმოძღვარი მიმართავდა. ზარზმის ავტორსაც მიუმათავსებ პატრონიკესაფსიდის, მაგრამ მას მისი ფუნქცია უარუყვია და გამოყენებული აქვს მხოლოდ როგორც დეკორატიული ელემენტი. პატრონიკეები აღმოსავლეთით ყოველთვის დაღობილია, ხოლო დასავლეთის მკლავისკენ – ორ-ორი თაღით. ნაგებობის ავტორს პატრონიკეს ეს მხარე მოსწონებია და იგი ძალიან კარგადაც აქვს გამოყენებული. ცხადია, უფუნქციო, „ცრუ“ პატრონიკე შეიძლება გაჩენილიყო მხოლოდ ხუროთმოძღვრების დაღმავალ ხაზზე. ამის შემდეგ პატრონიკე ან მხოლოდ ასე უნდა გამოყენებინათ, ან საერთოდ უარი ეთქვათ მასზე. მომდევნო ძეგლებიდან მას ასევე დეკორად ვხვდებით ჭულეში და, აქედან შორს მდებარე, ბედის ტაძარში (სამურხაყანოში). ტაძრის ფასადები რუხი ფერის თლილი ქვით აქაც მაღალი ოსტატობისაა შესრულებული. ფასადებში სიცოცხლე და სიხალისე შეაქვს ფერადოვან ქვებს. მორთულობა, ეპოქის შესაფერისად, მხოლოდ კარ-სარკმლების ორგანიზაცია თავმოყრილი. ხოლო, რაც შეეხება დეკორის შესრულების ტექნიკას, იგი ორივე ხერხითაა შესრულებული – უმრავლესობა ფასადის ზედაპირის ზემოთაა, დანარჩენი კი ჩაკეტილია. სამცხის მომდევნო პერიოდის ისეთ გუმბათოვან ძეგლებზე, როგორცაა ჭულე, ბიყოს, თისელი და სხვა, ეს მეთოდი სჭარბობს, მაგრამ მთავარ მეთოდზეც უარს არასოდეს ამბობენ.

ზარზმის ოსტატი ორიგინალობას აღმოსავლეთის ფასადის მორთვაშიც იჩენს. კერძოდ, სარკმელთან ჯვრის დაკავშირება XI ს-ის სამთავისიდან მოდის. მან დიდი და რაული გზა გაიარა, მაგრამ ყველგან საბოლოოდ ჯვარი კვარცხლობეკა დაყრდნობილი. ზარზმელი ოსტატი მესამე, ქვედა ელემენტზე უარს ამბობს, ამით ჯვარი სარკმლის თითქოს ჰაერში დაეკიდა. მომდევნო ოსტატებიდან ზარზმას მიბაძეს ბიეთისა და გერგეტის სამების ავტორებმა.

ზარზმის ტაძრის სამხრეთის ფასადი, გრძლად გაწოლილი კარიბჭე თაღებით, მას საღმრთადასწავლო იერს ანიჭებს.

ტაძრის ძალზე მოხდენილი გუმბათი აღგას. იგი, ტრადიციულად, ყოველგვარად და ამდენივე სარკმლის მქონეა. მაგრამ ეს მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებაა, სინამდვილეში მხოლოდ ექვსია ნამდვილი. როგორც ვხვდებით, ზარზმელი ხუროთმოძღვარი საფარულ ფარეხისძეს ბაძავს. მასვე ბაძავს გუმბათის წიბოების გამოყოფასა და წახნაგების თაღებით ცალ-ცალკე დამუშავებაში.

სამცხეში, საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, XIV საუკუნეში გაგრძელდა ინტენსიური მშენებლობა. განსაკუთრებით გამოირჩევა შემდეგი ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრები: ჭულე (1381 წ.), ბიეთი (XIV საუკუნის მიწურული) და თისელი (XIV-XV საუკუნეთა მიჯნა). სამწუხაროდ, ეს ძეგლები, აგებული ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დაცემის ხანაში, თითქოს არქიტექტურაშიც დაცემის ხანას განასახიერებენ.

აქ განხილული სამცხის ძეგლების გარდა, სხვადასხვა რეგიონში კიდევ არის იმავე ტიპის ძეგლები, ამთგან აქ წარმოადგენთ ცაიშსა და გერგეტის სამებას.

ცაიშის ისტორიულ სამეგრელოში, დღევანდელ ზუგდიდის რაიონშია. ამ დიდი სამონასტრო კომპლექსიდან გადარჩენილია ტაძარი, სამრეკლო და პალატის ნანგრევი.

ტაძარი ორჯერ რადიკალურადაა გადაკეთებული, რამაც მას მკვეთრად უცვალა სახე.

თავდაპირველად აქ მდგარა სამნაეიანი ეკლესია, რომელიც აგებული უნდა იყოს V-VI საუკუნეებში. ბიზანტიური წყაროებიდან ცნობილია, რომ VII-IX საუკუნეებში ლაზიკის (ეგრისის) ეპოქის ფასიდის (ფოთის) სამიტროპოლიტოში შემდეგი ოთხი საეპისკოპოსო შედიოდა: როდოპოლისის (ვარდციხის), საისინთა, პეტრას (ციხისძირი) და ზიგანევი (გუდაეა). აქ ნახსენები „საისინთა“ არის დღევანდელი ცაიში. ცხადია, აქ ჩამოთვლილ საეპისკოპოსოებთან ერთად, იგი VII საუკუნემდე არის დაარსებული.

ეს ტაძარი დროის რომელიღაც მონაკვეთში დაზიანებულია და მის ნანგრევებზე XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე აუგიათ ახალი ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესია. ამ ეკლესიის ავტორს ძველის ნანგრევი შიგ მოუქცევია. ბაზილიკის გეგმას და პროპორციებს უმოქმედია ახალზე და ამიტომ იგი ბაზილიკურია, დაბალია. ეს განსაკუთრებით ინტერიერში აღიქმება. ასევე ბაზილიკიდან მომდინარეობს შვერილი აფსიდის (სურ 247-248).

ამ ძეგლს მშვიდი ცხოვრება შემდეგაც არ ჰქონია. ხატების წარწერებით და სხვა დოკუმენტებით დგანდება, რომ 1614 წ. ყოფილა საშინელი მიწისძვრა, რომელმაც ტაძარი შემუსრა „თავისთავან ვიდრე საფუძველამდე“. ტაძრის აღდგენა არ დაუყოვნებია მალაქია აფხაზეთის კათალიკოსს. აღდგენითი სამუშაოები მას 1616 წ. დაუწყო და 1619 წ. დაუმთავრებია. აღსანიშნავია ისიც, რომ მალაქიას, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ცაიშელ-ჯუმათელი ეპისკოპოსი იყო, კერძოდ, 1612 წ. ტაძარი შეუმკია და მოუხატინებია. ტაძარი რაღაც მიზეზით XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ისევ დაზიანებულია.

ცაიშის ტაძარმა რამდენიმეჯერ გადაკეთებული სახით მოაღწია, მაგრამ, მოუხედავად ყველაფრისა, იგი გამოიყურება როგორც XIII საუკუნის ბოლოს აგებული ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარი.

ტაძრის გეგმა კვადრატულია, შვერილი ხუსწახნაგა აფსიდით. როგორც აღვნიშნეთ, ამ ეპოქისათვის და ამ ტიპის ძეგლებისათვის შვერილი აფსიდი დამახასიათებელი არ არის, მაგრამ გვხვდება (გელათი, ტიმოთესუბანი). აქ კერძო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ეს შვერილი აფსიდი ადრეული ბაზილიკის ნაშთისგან მომდინარეობს. სხვა მხრივ, შიგნით მოხვედრისთანავე თვალში გვცემთ ჯერის

მკლავების სიდაბლე. ესეც ბაზილიკით ნაკარნახევია. ამავე დროს XVII საუკუნის რესტავრატორი უფრო ნაგებობის გამაგრებაზე ფიქრობდა და არა არქიტექტურული ფორმების დახვეწაზე. ამიტომ უხეშად გამოიყურება მასიური დასაველეთის გუმბათქვეშა პილონები და დასაველეთის მკლავის მეორე სართულზე არსებული პატრონიკე. ასეთ გადაწყვეტას ანალოგი არა აქვს.

ძეგლის აღმოსაველეთის მონაკეთი შედარებით უკეთაა მოღწეული: აფსიდი ბემით, გვერდებზე სადიაკენეთი და სამკეთლოთი. ორივე საკურთხეველს კარებით უერთდება. ინტერიერის მხატვრულ დამუშავებაში ეს ეკლესია აშკარა სიახლოვეს ამჟღავნებს თავისი ეპოქის ისეთ ძეგლებთან, როგორცაა საფარა და ზარზმა. კერძოდ, აქ საუბარია საკურთხეველის კუთხეების ლილეებით დამუშავებაზე. ცხადია, თავდაპირველად ასევე იქნებოდა მორთული დასაველეთის გუმბათქვეშა საყრდენებიც. იგივე იაქმის ლილეებით მორთულ აფსიდის ნიშებზე. რაც შეეხება რეასარკმლიან გუმბათს, იგი მთლიანად XVII საუკუნისაა. ასევე, ძირითადად იმავე XVII საუკუნისაა ინტერიერში ფრაგმენტებად დარჩენილი ფრესკები.

ტაძარი გარედან ზოგადად ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის საერთო სახეს ატარებს, მაგრამ მას აშკარად ეტყობა რესტავრატორის დაბალი ოსტატობის ღონე. ამასთან ისიცაა აღსანიშნავი, რომ ყველა ფასადსა და გუმბათზეც ბლომადაა XIII საუკუნის ძეგლის ფრაგმენტები. თავდაპირველი გუმბათოვანი ეკლესიის ნაწილი დარჩენილია აღმოსაველეთით. აქ მთავარია შვერილ-წახნაგოვან აფსიდზე არსებული თაღედი. დანარჩენ ფასადებზე თაღედი არაა გამოყენებული. იქ დეკორი, როგორც ეს ამ ეპოქისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, კარ-სარკმლების ირგვლივ იყო განლაგებული. რაც შეეხება მორთულობის ოსტატობის ღონეს, იგი შეესაბამება თავის ეპოქას, რიცაა არქიტექტურა დაბლა ეშვებოდა.

გერგეტის სამება. თუ სამგერგელოდან შორს, ჩრდილო-აღმოსაველეთით, ისტორიულ ხეობი გადაინაცვლებთ, ვნახათ მაღალ მთაზე, მყინვარწყერის ფონზე, სამების მონასტრის ანსამბლს (სურ. 249-251).

მასზე ისტორიული წყაროები თითქმის არ არსებობს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობიდან საინტერესოა იმის გაგება, რომ გერგეტის სამება ითვლებოდა „მცხეთის სამკაულის სახინად, სადაც ესენა ნინოს ჯვარი“. საქართველოში, ხშირი ომების შემთხვევაში, ეკლესია-მონასტრებისა და სამეფო განძსაც ხიზნავდნენ მთებში, მიუდგომელ, მაგრამ დაცულ ადგილებში. ასეთი ადგილები, გერგეტის გარდა, იყო ქსნის ხეობის ვიწროვში მდებარე ლარგისის მონასტერი, რაჭის ძეგლები და მთლიანად სვანეთი. სწორედ ამ მიზეზის შედეგია ის გარემოება, რომ სვანეთმა შემოგვინახა ბარიდან ატანილი დიდძალი ძვირფასეულობა.

გერგეტის სამების აგების დრო უცნობია. იგი სტილისტიკურად მოსდევს საფარას, ზარზმას, ცაიშის და დაბასაც კი (1333 წ.). მისი აგების დრო, ალბათ, მოექცევა XIV საუკუნის მეორე მეოთხედში.

თავიდანვე უნდა აღენიშნოთ, რომ ეს ძეგლი აშენებულია სტილის დაღმავლობის პერიოდში. იგი დიდად განსხვავდება წინა ეპოქების ძეგლებისაგან. ამ ცხველხატული სტილის სათავესთან თუ სამთავრო დგას, მის ბოლოში გერგეტია.

იქ თუ ყველაფერი მაღალ დონეზე იყო შესრულებული, აქ ყველაფერში ეპოქისა და, ამდენად, მხატვრული დონის დაქვეითება იგრძნობა. ოსტატობის დაქვეითება ჩანს ყველგან, იქნება ეს ტაძრის გეგმა, შიდა პროპორციები, გარე მასები თუ დეკორი.

ტაძრის შიგნით, ჯერის ოთხივე მკლავი არსებობს, მაგრამ პროპორციები, ურთიერთშეფარდება, არ არის ისე აწყობილი, როგორც ადრე იყო, ხოლო მათ გადაკეცვაზე აღმართული გუმბათი პროპორციით, დეტალებით მოკლებულია დახვეწილობას.

გარედან ტაძრის ხედი ამ ტიპისათვის ჩვეულებრივია, მაგრამ მთელი კორპუსი მძიმეა, კუბური. სადღაა ძველებური ასხლეტა, ფორმათა შერწყმა. ასევე გამოიყურება იქვე, გვერდით მდგარი სამრეკლოც. ასე რომ, ეს ეპოქალური მოვლენაა და არა, ერთგვარად, ოსტატის მოუზადებლობა.

ფასადების საერთო დეკორი, ჩუქურსიმის ნახატი, ქვის კვეთის ტექნიკა - ყველაფერი ერთ დონეზეა, საერთოა.

სხვა ტაძრები

მეტეხი (თბილისის) კაპიტალური გადაკეთების გამო მრავალფენოვანია, ამიტომ იგი არცერთ ტიპს არ მიეკუთვნება (სურ. 252-255). მეტეხის ტაძართან ბევრი ძველი გადმოცემაა დაკავშირებული, მემატიაწებები კი კონკრეტულად არაფერს ამბობენ. ერთ-ერთი გადმოცემა ამ ადგილზე პირველი ეკლესიის აგებას ვახტანგ გორგასალს მიაწერს. მეორე გადმოცემით, ვარსკენ პიტიახშის წამებული მიუღლის, შუშანიკის საფლავი მეტეხის სადიაკენეშია. ყველა ძველი წყაროს ცნობით კი შუშანიკი ცურტაეში დაასაფლავეს.

მეტეხი ან, როგორც იგი ხშირად იხსენიება, მეტეხნი, მეტეხთა ღვთისმშობელი, მატიაწების ფურცლებზე პირველად XII საუკუნეში გვხვდება. თამარ მეფის დროს აქ რაღაც ტაძარი მდგარა, რომელშიც დედოფალი ლოცულობდა. 1235 წლის მონღოლთა შემოსევის დროს თბილისის ციხისთავმა გადაწვა ისანი, დაიღუპა სასახლეც და ტაძარიც. სასახლე მალე აღადგინეს, ხოლო ტაძარი თავიდან ააშენა მეფე დიმიტრი თავდადებულმა 1278-1289 წლებში. საუკუნეების განმავლობაში მეტეხს რთული ისტორიული ცხოვრება ჰქონდა. ბოლოს, ერეკლე II-ემ, 1748 წ. განდევნა დამპყრობლები და, როგორც ეტყობა, ციხესთან ერთად, ეკლესიის აღდგენის საქმეც მის სახელსაწინაა დაკავშირებული.

ტაძრის მრავალჯერ გადაკეთების გამო მის მრავალფენიანობაში გარკვევა ძნელია. ერთი რამ კი ცხადია - დემეტრე მეფის ხუროთმოძღვარმა ადრეული ტაძრის გეგმა გამოიყენა. უპირველეს ყოვლისა, ამაზე მიგვიყვითებს შენობის გეგმა. იგი არ არის ტიპური. იმ ეპოქაში, როცა ტაძარი ააგეს, გავრცელებული იყო ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპი და, თუ ავტორს თავისუფლება ექნებოდა, იგი აუცილებლად ამ ტიპს გამოიყენებდა. ინტერიერის მთავარი განმსახლაველია გუმბათის საყრდენი

ოთხი ბურჯი, როგორც ეს XI საუკუნემდე იყო მიღებული. ძველი ფორმის ნაკარნახევი ჩანს სამი შეერილი აფსიდიც.

XIII საუკუნის მიწურულის ძეგლსაც თავდაპირველი სახით არ მოუღწევია. გეგმას ცვლილება არ განუცდია. შიდა კედლების აგურის წყობა სხვადასხვა დროის აღდგენის შედეგია. კედლები გარედან ნაკლებად არის შეცვლილი. ტაძრის კორპუსის არცერთი გარე კედელი ხელუხლებლად არ აღწევს კარნიზამდე. ყველაზე მეტი გადაკეთება ეტყობა სამხრეთისა და დასაუღეთის ფასადებს, აგურის გუმბათი კი ყველაზე გვიანაა აღდგენილი.

კარგად თლილი ქვით შემოსილი ფასადები საკმაოდ მდიდრულადაა მორთული. მაგრამ მას ეპოქაღური სიმშრალე დაჰქრავს. მორთულობის მხრივ განსაკუთრებით გამოიყოფა აღმოსავლეთის ფასადი. აქ, ცენტრალურ აფსიდზე, სამივე სარკმელი განსაკუთრებული ზრუნვითაა მორთული, მათ თავზე ჯვრებია აღმართული. ფასადების მორთვაში ერთი ისეთი ელემენტია გამოყენებული, რომელიც სხვა ძეგლებზე არ გვხვდება. ესაა ჰორიზონტალური ორ-ორი სარტყელი და კუთხეებზე აყოლებული ლილვები. ჩრდილოეთის კარიბჭე მთლიანად ტაძრის თანადროულია.

თავისთავად მეტეხის ტაძარი თბილისის მშენებაა! იგი ძველი თბილისის კოლორატია. იმავე ეპოქაში, მოპირდაპირე მხარეს, ნარიყალას ფერდობზე აიგო კიდევ ერთი გუმბათოვანი ტაძარი, რომელმაც ნანგრევების სახით მოაღწია ჩვენამდე. ეს ორი ტაძარი მტკერის ორივე მხარეს მეტად მიშხიდველ კომპოზიციას ქმნის.

მარბაზული ეკლესიები (XIII-XIV საუკუნეები)

ამ პერიოდში, მონღოლებთან გამუდმებული ომების გამო, ქვეყანა პოლიტიკურად და ეკონომიკურად დასუსტებულია, ამიტომ მშენებლობის ტემპიც და ხარისხიც კლებულობს. აღარაა ის დახვეწილი, რაფინირებული ფორმები, ჩუქურთმა, რელიეფი, რაც წინა ეპოქებს ახასიათებდა. არქიტექტურაში სიხისტემ და სიმშრალემ დაისადგურა, მაღალი გემოვნების ოსტატის ადგილს ხელოსნობა იკავებს. ხოლო, რაც შეეხება საკულტო ნაგებობათა ტიპებს, აქ სიცოცხლეს ჩვეულებრივად აგრძელებს როგორც გუმბათოვანი, ისე დარბაზული ეკლესიები.

განსახილველი ხანის მრავალრიცხოვანი ძეგლებიდან შევარჩიეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდგარი სამი ძეგლი.

დაბა. ბორჯომ-წალეერის გზაზე, სადგურიდან სამიოდე კილომეტრზე, კლდის ძირას დგას საშუალო ზომის კოხტა ეკლესია. იგი, წარწერის მიხედვით, აგებულია 1333 წ. მეფე გიორგი ბრწყინვალის მოლარეთუხუცესის მიერ.

ეკლესიისათვის კლდის ძირას შერჩეულია მცირე ბაქანი. ხუროთმოძღვარს ადგილმდებარეობის გათვალისწინებით აუგია ეკლესია. სამხრეთით, კლდის სიახლოვის გამო, კარი არ გაკეთდებოდა და ფასადიც არ მოირთიებოდა. ყველაზე მეტი ადგილი იყო დასაუღეთიდან. ჩრდილოეთის მხრიდან კი ცოტა ადგილი იყო ციცაბომდე, ამიტომ მისი მორთულობა მცირედ ჩამოუყარდება დასაუღეთისას.

აღმოსავლეთის მხარე, ადგილის მოუხერხებლობის გამო, მხოლოდ სარკმლის მორთვით შემოიფარგლა.

ეკლესიის დასავლეთის ფასადის მორთვა პომპეზურია, ფასადის ქვედა ნახევარი თითქმის მოკაეებული აქვს რთულ პორტალს, მის ზემოთ კი სარკმელს ფართო არშია შემოუყვება. ყველაფერი ეს ამ ფასადისათვის შეუფერებელია, უმასშტაბოა. ამაში, ცხადია, ჩანს ეპოქა და იმასვე ამტკიცებს სამივე ფასადის მორთულობა. საერთო სიმშრალე, სიმკვეთრის მოღუნება, დაბალი კვეთა და სუსტი ნახატი. ეკლესია შიგნიდანაც კარგად თლილი ქვითაა შემოსილი. დარბაზის კამარა ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. გრძივი კედლები სამ-სამი თალითაა დამუშავებული. აფსიდს გვერდებზე დიდი ზომის ნიშები აქვს.

ვაკე მდებარეობს ქვემო ქართლში, აეთრიწყაროს რაიონში, ცენტრიდან ჩრდილოეთით, რამდენიმე კილომეტრის დაცილებით. დარბაზულმა ეკლესიამ კამარა - ჩანგრეულად მიაღწია (ახლახან რესტავრაცია ჩაუტარდა). აღმოსავლეთის ფასადზე შერჩენილი, ძალზე დაზიანებული წარწერით დგინდება, რომ იგი აგებულია ისევე გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს, 1341 წელს (სურ. 256, 257).

ეკლესიის გარე სწორკუთხედის შიგნით მოთავსებული დარბაზი ცენტრში საბჯენ თაღზე დაყრდნობილი. თაღსა და კამარას შეისრული ფორმა აქვს, ისეთი, როგორც ეს მიღებული იყო იმ ეპოქაში. აფსიდის ნალისებური მოხაზულობა კი გვხვდება მხოლოდ X საუკუნემდე, მაგრამ აქ, შესაძლოა, იგი ძველის რემინისცენციას წარმოადგენდეს. კანკელის ფრაგმენტები ამ ხანის კარგი ნიმუშია. ინტერიერი ნათლება თითო სარკმლით ყოველი მხრიდან, გარდა ჩრდილოეთისა. კარი მხოლოდ სამხრეთითაა. ძეგლის ფასადები შემოსილია ყოველი მხრიდან, გარდა ჩრდილოეთისა.

ძეგლის ფასადები შემოსილია კარგად თლილი კვადრებით. კარ-სარკმლები და კარნიში სადაა, გარდა აღმოსავლეთისა. აღმოსავლეთის სარკმელი მორთულია ლილეებით შემოფარგლული ორნამენტოვანი არშიით. ეს ორნამენტი და კანკელის მორთულობაც ეპოქის შესაფერის სიმშრალეს ატარებს.

სხალთა. შუა საუკუნეებში, აჭარასა და არტაანს შორის, უმოკლესი და მნიშვნელოვანი გზა გადიოდა სხალთის ხეობაზე. ამ გზაზე, მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარე დიდი სოფლის ტერიტორიაზე მდგარი ეკლესია ამ მხარის მნიშვნელოვანი ძეგლია.

ეკლესია გვემთ, საერთო კომპოზიციით და მასშტაბით ორიგინალურია. იგი თარიღდება XIII საუკუნის შუა ხანებით.

ამ დიდი ზომის დარბაზული ეკლესიის აფსიდი შეიდწახნაგოვანი შეკერილია. მთავარი შესასვლელი სამხრეთით და დასავლეთითაა, დამატებითი შესამე კარი - ჩრდილოეთით. ინტერიერის ვრცელ სივრცეს შემოფარგლავს შესამწევად შეკრილ პილასტრებზე გადასული თაღები და მათზე დაყრდნობილი ცილინდრული კამარა. დარბაზის გვერდითი კედლები დამუშავებულია თაღებით. აფსიდის კონქი და კამარა ქვედა ვერტიკალური კედლებისაგან გამოყოფილია მარტივი კარნიზით. შიგა თლილი ქვით შემოსილი კედლები დაფარული ყოფილა ფრესკით, რომლისაგან ახლა გადარჩენილია მცირე ფრაგმენტები.

ეკლესიის თლილი ქვით შემოსილი ფასადების სარკმლები დეკორირებულია თაუისი ეპოქისათვის საკმაოდ მაღალ დონეზე.

ეკლესიის აგებიდან მცირე ხნის გასვლის შემდეგ, მისთვის სამხრეთით მთელ სიგრძეზე მიუდგამთ სათაესი, რომლისგანაც ჩვენამდე მოღწეულია ცენტრალური მონაკვეთი, იგი კარიბჭის როლს ასრულებს. შენობას მინაშენი ჩრდილოეთითაც აქონია.

საქარო ხუროთმოძღვრება

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების დარგებიდან ყველაზე ნაკლებად შესწავლილია საქარო ნაგებობები. ამას, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ამ სახეობის ნაგებობათა ცუდი დაცულობა. აღსანიშნავია, რომ მათი ფრაგმენტებიც კი საოცრად ცოტაა და ამის გამო ვერ წარმოვადგენთ სოფლისა და ქალაქის საცხოვრებელი სახლების განვითარების სურათს. უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება წარმოვადგინოთ ცალკეული ნიმუშები, ისიც ნაწილობრივ. ასევე, რამდენიმე ფრაგმენტული ნიმუშით შეიძლება ვაჩვენოთ მეფეთა და დიდ თუ მცირე ფეოდალთა სასახლეები. უარესი მდგომარეობაა სამეურნეო და კომუნალურ ნაგებობათა წარმოსაჩენად. ამ დარგებიდან შეიძლება უკეთ წარმოვადგინოთ ცალკეული ნიმუშები, კერძოდ, აბანოები, ისიც მხოლოდ დროის ზოგიერთი მონაკვეთისათვის. თუმცა, აქვე ისიც უნდა გაეხსენოთ, რომ ძველი ეპოქების სხვა კლასიკურ ქვეყნებშიც, პრინციპში, ასეთივე სურათია – ყველგან მეტ-ნაკლები სისრულით საკულტო ნაგებობებია გადარჩენილი და ქვეყნის ხუროთმოძღვრების ისტორიაც ძირითადად ამ მასალებს ეყრდნობა. იგივე სურათია საქართველოშიც.

ქართული საქარო ნაგებობიდან აქ მცირედ წარმოვადგენთ შემდეგ სახეებს: მეფეთა და დიდებულთა სასახლეებს, აკადემიებს, სატრაპიზოებს და სამეურნეო ხასიათის ნაგებობებს. აქვე ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩამოთვლილი სახეობებიდან თავდაპირველი სახით არცერთი არ არის მოღწეული.

საცხოვრებელი სახლები

საცხოვრებელი სახლები არ შემორჩენილა. განათხარი მასალები კი ისეთი ფრაგმენტულია, რომ ტიპი კი არა, ზოგად ხასებშიც მათი გეგმარების წარმოდგენა თითქმის შეუძლებელი ხდება. ამიტომ ვიტყვიტ მხოლოდ, რომ დასავლეთ საქართველოში გვხვდება მცირე რაოდენობით ქვის შენობები, უმრავლესობა ხისაა. ხის ნაგებობები დაღუპულია, ხოლო ქვის შენობების უმრავლესობა თიხაზე იყო ნაგები, ამიტომ თითქმის დაშლილია. აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის მხოლოდ ქვისა და აგურის ნაგებობებია, მცირე რაოდენობით გვხვდება ალიზისაც.

საქართველომ, სახელმწიფოებრივი არსებობის პერიოდში, რამდენიმე ცენტრ გამოიკვალა. კერძოდ, სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პერიოდში აღმოსავლურ საქართველოს, იბერიის სამეფოს ცენტრი მცხეთაში იყო. დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის სამეფოს ცენტრი დაუდგენელია. შემდეგში, როცა მონათმფლობელური ხანა იცვლება ფეოდალურით, იბერიის სამეფოს ცენტრი მცხეთიდან თბილისში გადადის, ხოლო დასავლეთ საქართველოს, ჯორისის (ლაზიკის) სამეფოს ცენტრი ხდება ციხეგოჯი, ანუ ნოქალაქევი, რომელსაც ბიზანტიელები არქეოპოლისს ეძახდნენ. თბილისს იმ დროის მეფეთა სასახლის ნაშთიც არ შერჩა, ხოლო ციხეგოჯში IV-VIII საუკუნეების ორი სასახლის ნაშთია გადარჩენილი. თბილისი ცამეტი საუკუნის განმავლობაში ფეოდალური ქვეყნის დედაქალაქი იყო, მეფის რეზიდენციას წარმოადგენდა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი სასახლე აიგებოდა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ მტრის განუწყვეტელი შემოსევები მათ სპობდა. უკანასკნელ სასახლე თუ სასახლეები, ალბათ, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევას შეეწირა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქში, მეფის სასახლის გარდა, იქნებოდა მეფის კარის დიდ მოხელეთა და ფეოდალთა სასახლეებიც, მაგრამ არც ისინი გადარჩენილა.

ქუთაისში სხვადასხვა მეფეთა რეზიდენცია იყო. ცხადია, აქაც არაერთი სასახლე იქნებოდა აგებული, მაგრამ დღემდე არც მათ მოუღწევიათ.

მთელი ქვეყანა დაქსელილი იქნებოდა აგრეთვე დიდ თუ მცირე ფეოდალთა რეზიდენციებით, სასახლეებით. არც ამისგან დაგერჩა რამ. თუ რამე არის, ესა გვიანი საუკუნეების მცირე ფრაგმენტები.

თავისთავად ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთ დიდგვაროვანთ, როგორც იყვნენ ბალუაშნი, არაგვისა და ქსნის ერისთავები, ორბელიანები, ჯაყელები, დადიანები, გურიელები და კიდევ მრავალნი, შესაფერისი სასახლეები არ ჰქონოდათ.

სასახლეთა არარსებობა, ნაწილობრივ, შეიძლებოდა შეეცვალა მათ ზუსტ აღწერას. მაგრამ არც ეს გვაქვს. არის მხოლოდ აღწერისათვის გამოსადეგი მცირე ცნობები.

სასახლე თავისთავად მრავალნაირი იყო. პირველ რიგში აღსანიშნავია მეფის, შემდეგ კათალიკოსის, ეპისკოპოსისა და დიდებულთა სასახლეები. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასახლე სხვადასხვა დანიშნულებისა იყო. კერძოდ, იყო საზაფხულო და საზამთრო, იყო აგრეთვე სანადირო სასახლეც. მაგალითად, ვახუშტის აქვს ასეთი ცნობა: „ნაჭარმაგევი იყო სადგური მეფეთა და კეთილსანადირო“.

სასახლეები ინტერიერის მორთულობითაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. იმავე ვახუშტისთან დაცულია ზოგი ცნობა, რომელშიც ვკითხულობთ: „მეფემან ვახტანგ ალაშენა სახლი შეენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდმხატვრობითა, ლაქვარდითა და მარმარილოს კედლითა“. ეს დიდებულება ოსმალთ შუემუსრავთ.

ფეოდალური ხანის შუა მონაკვეთიდან მეფეთა ორი სასახლეა. ერთი მათგანი გეგუთისაა, ხოლო მეორე – ნადარბაზევი. ორივე შესამჩნევად დაზიანებული.

ნადარბაზევი ქვემო ქართლში, მდ. ჭიჭიჭიას ნაპირზეა, თეთრიწყაროს რაიონული ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით, ათი კილომეტრის დაცილებით. ამ ადგილის დანიშნულებაზე ერთადერთი ცნობა შემოუნახავს ვახუშტის. მასში ვითხულობთ, რომ მდ. ჭიჭიჭიაზე, ხილიან და ვენახოვან გარემოში „არს ნადარბაზევი, თამარ მეფის ნასახლევი“. იგი ჩვენ საინტერესო ობიექტად გვეჩვენა და გაეთხარეთ 40-იანი წლების ბოლოს. გათხრებმა გეჩვენა, რომ ამ ადგილზე ცხოვრება მიმდინარეობდა X-XIII საუკუნეებში, ხოლო თვით ანსამბლი წარმომოხილი ჩანს, თუ უფრო ადრე არა, X საუკუნეში მაინც.

ძეგლი ნანგრევებს წარმოადგენს, მაგრამ ზოგი რამის დადგენა ხერხდება (სურ. 258, 259). ოვალური გალავნის შიგნით გადარჩენილა სასახლე, დამხმარე ნაგებობა, წყარო, მაღალი საინჟინრო ტექნიკით შესრულებული კერამიკული წყალსადენი და სხვა ნაგებობათა ფრაგმენტები.

ანსამბლი შემოვლებული იყო, მაღალი, კაპიტალური გალავნით. გალავნის შიგნით ტერიტორია ჰექტარს აღემატება. მას ჭიშკარი სამხრეთით აქვს დატანებული. ახლაც კარგად ჩანს საურმე გზა, რომელიც მოკირწყლული ყოფილა. მეორე კარი გალავანში ჭიშკრის მოპირდაპირე მხარესაა.

სასახლე გეგმით სწორკუთხაა. იგი ორსართულიანი უნდა ყოფილიყო, ქვემოთ მისაღები დარბაზით და ზემოთ საცხოვრებლით.

პირველი სართულის დარბაზი ფართობით 200 მეტრს აღემატება. მისი ბრტყელი გადახურვა ოთხ სექტზე იყო დაყრდნობილი. მას სამი მხრიდან განიერი და მაღალი შემოსასვლელი აქვს. კარების გვერდებზე თითო სარკმელია. დარბაზს კარები და სარკმლები სამხრეთ ნახევარში აქვს, ხოლო მოპირდაპირე მხარე ყრუ კედლებითაა. ისეთი შაბბეჭდილება რჩება, რომ ეს მხარე დიდებულის ტახტისათვის მყოფრო ადგილი იყო. შესაძლოა, ეს დარბაზი მისაღების როლს ასრულებდა. ამ აზრს ისიც აძლიერებს, რომ იქვე, კუთხეში, პატარა კარით იგი დახურულ სათავეს უერთდება, რომელიც კულისების როლს ასრულებდა.

ეს დარბაზი ვიღაც დიდებულის მიერ იყო აგებული, ხოლო გვიან შეიძლება თამარ მეფის მფლობელობაში გადავიდა და სასაფხულო რეზიდენციად იყენებდა.

სასახლე თლილი ქვით კაპიტალურად არის ნაგები. შიგნით ნაღესობის მეტად მცირე ფრაგმენტებია. მათი ფერადი ზედაპირი კედლების მოხატულობაზე მიგვითხიებს.

იქვე, დასავლეთით, ორმოციოდე მეტრზე მდგარი გრძელი კაპიტალური სახლიდან გადარჩენილია მხოლოდ პირველი სართული, იგი გეგმით სწორკუთხაა და ფართობით 100 მეტრს აღემატება. მას ერთადერთი კარი სამხრეთით ახლავს და გვერდებზე თითო სარკმელია. შიგნით, კედლებში ჩართულია ნიშები.

კედლები ნაგები და შემოსილია ისევე, როგორც სასახლე. თუ როგორ იყო

გადაწყვეტილი მეორე სართული, ამაზე მონაცემები არ არის. ორივე შენობა ერთდროულად არის აგებული.

ამ შენობის გარდა, სასახლის ირგვლივ სხვა ნაგებობათა ნაშთებიცაა, მაგრამ მათი გეგმარებისა და დანიშნულების განსაზღვრა შეუძლებელია. მათგან გამოიყოფა აგურის პატარა შენობა მოგრძო გეგმით. იგი სამეურნეო დანიშნულებისაა, მაგრამ კონკრეტულად თუ რას წარმოადგენდა ეს ნაგებობა, ამაზე მსჯელობა, მონაცემების უქონლობის გამო, ძნელია. ზოგადი ნიშნებით, შესაძლოა წყარო იყო.

გეგმის სასახლე ქუთაისიდან ხუთიოდე კილომეტრზე, სოფელ გეგუთის მიდამოებშია. იგი ძალზე დაზიანებული ნაგებობაა, ამიტომ მასზე გარკვეული წარმოდგენა ძნელი შესაქმნელია. მიუხედავად ამისა, მისდამი ინტერესი დიდი, რადგან მასზე უკეთესი არაფერი გვაქვს. მის სრულად წარმოდგენას ხელს ისიც უშლის, რომ იგი მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის.

საერთო შთაბეჭდილებით, აქ ძირითადად სამი სამშენებლო ფენა უნდა იყოს (სურ. 260, 261). ფენების ზუსტად გამოჯენა, ფრაგმენტულობის გამო, ვერ ხერხდება. ისტორიულ წყაროებში გეგუთი იხსენიება XII ს-ის დასაწყისიდან, მაგრამ იქ მაშინ სასახლე იდგა თუ არა, ეს არ ჩანს. მეფე გიორგი III-ის დროს კი გეგუთი სხედასხვა კონტექსტში იხსენიება, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი პერიოდულად იქ ცხოვრობდა. ერთგან მემატინავ წერს: „მოინადიროან კეთილი იგი სანადირო – გეგუთი და აჯამეთა“. ეს მხარე საერთოდ და კერძოდ, აჯამეთი ყოველთვის ითვლებოდა კარგ სანადირო ადგილად და არაა გამორიცხული, რომ იქ მეფეებს სანადირო და საღვინო სასახლე აეგოთ. ყოველ შემთხვევაში, ერთის თქმა გარკვევით შეიძლება, რომ გეგუთის სასახლე მეფისათვის არ იყო ძირითადი რეზიდენცია. თუ სადმე ასეთი იყო, იგი პირველ რიგში უნდა ყოფილიყო თბილისსა და ქუთაისში. უნდა ვივარაუდოთ, რომ გეგუთი დასასვენებლად, სააგარაკოდ და, ალბათ, სანადიროდაც იყო განკუთვნილი. იმავე მემატინავებთან ვიგობი, აგრეთვე, რომ თამარ მეფეც, სხედასხვა დროს, გეგუთში ცხოვრობს. აქვე უნდა გაეიხსენოთ ვახუშტის ლაკონური განმარტება: „არს გეგუთი სადგური ზამთარს მეფეთა“. იქვე აგრძელებს: „იტყვიან აღშენებასა... მეფე გიორგის (გიორგი III – ვ. ზ.) ჟამსა“. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1737 წ. ტიმოთე გაბაშვილის მიერ შედგენილ რუკაზე გეგუთის სასახლის ნახატს აწერია: „ციხე-დარბაზი. გეგუთის ტახტი მეფეთა“. აქ „ციხე-დარბაზი“, ალბათ, სასახლის მნიშვნელობითაა ნახმარი.

ისეთი დიდი მასშტაბის სასახლე, როგორც იყო გეგუთი, ცხადია, დიდ შესაძლებლობებს მოითხოვდა. ასეთი შესაძლებლობები გიორგი მეფეს (1156-1184) ნამდვილად ჰქონდა.

გეგუთში XIII საუკუნეში ან მომდევნო საუკუნის დასაწყისში მშენებლობა გაგრძელებულა. მაშინაა მიშენებული დასავლეთის მთელ სიგრძეზე ხუთი სხედასხვა ზომის ოთახი. სასახლის ნანგრევებს ეტყობა, რომ მას ცხოვრება გაუგრძელებია ფეოდალური ხანის ბოლომდე.

სასახლე თავდაპირველად კვადრატული ნაგებობა იყო, საშუალოდ, 36 მ. სიგრძის კედლებით და კუთხის ცილინდრული კოშკებით. სასახლის შიგნით ასიმეტრიულად განლაგებული იყო გუმბათოვანი დარბაზი, რომლის მკლავებიდან სამი

თანატოლია, ხოლო მეოთხე ორჯერ მეტად ღრმაა. ჯერის ეს ღრმა მკლავი მეფის ტახტისთვის იყო განკუთვნილი. დარბაზი სფერული გუმბათით იყო გადახურული, რომლის დიამეტრი 14 მეტრია. ჩენი დიდი ტაძრების დიამეტრი 10-11 მეტრს არ აღემატება, აქ კი მათზე ბევრად განიერი გუმბათი ყოფილა. ამ დარბაზს კიდევ ერთი ორიგინალობა ახლავს. ესაა დიდი ზომის საშუქე ხერელობი, რომელიც გუმბათის ცენტრში მდებარეობდა.

გუმბათოვანი დარბაზის ოთხივე მხარეს მრავალი სხვადასხვა სახის ოთახია. ერთ-ერთ მათგანში დიდი ბუხარიცაა.

სასახლის გარე მასების თავდაპირველი სახის წარმოდგენა ძნელია. ჩანს, რომ შენობა იდგა სამი მეტრის სიმაღლის ცოკოლზე, თვით კედლები აგურით იყო ნაგები. თუ იგი გარედან ქვით იყო მოპირკეთებული, შიგნიდან შელესილი და მოხატული იქნებოდა. წარმოსადგენია, რა ბრწყინვალე იქნებოდა მოხატული დარბაზი, რომლის საგრძე სამ ათეულ მეტრს უახლოვდება, ხოლო სიმაღლით 20 მეტრია!

ქვისა და აგურის ფასადებს აგვირგვინებდა ცისფრად და მუქმწვანედ მოჭიქული კრამიტებით დაფარული სახურავი.

ფეოდალთა სასახლეები

ფეოდალთა სასახლეები გაცილებით მეტია შემორჩენილი, მაგრამ მათგან უკეთ შესწავლილია კახეთისა, ისიც ძეგლების გათხრებისა და გაწმენდის გარეშე. ამ ტერიტორიაზე შემორჩენილი ფეოდალთა ციხე-დარბაზებიდან სასახლის კარგ მაგალითებს იძლევა კვეტერა, ვაჩნაძიანი, ვანთა, ეელისციხე, თიანეთი და სხვა. ფეოდალთა ამ სასახლეებიდან არაფრით განსხვავდება იმავე პერიოდში ისეთ საეპისკოპოსო ცენტრში შერჩენილი სასახლეები, როგორცაა ნეკრესი და ჭერემი. ამ სახურავჩამოგრეულ და კედლებჩამომარცვულ სასახლეებში, რომელთა საერთო თარიღია VIII-IX საუკუნეები, პრინციპში ერთნაირი გადაწყვეტაა. ამ საერთო ნიშნებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ ორსართულიანობა. პირველი სართული დამხმარე იყო, მეორე კი საცხოვრებელი და საზეიმო. საეკლესიო არქიტექტურისაგან განსხვავებით, აქ სართულშია გადახურვა კოჭოვანია. კედლები მასიური, ყორე და რიყის ქვით ნაგები. ეკლესიებისაგან განსხვავებით, კედლების შემოსვა აქ არ ხდება, ამდენად თლილი ქვა არ არის გამოყენებული. გეხედება ზოგჯერ დიდი ზომის აგურის გამოყენება, უფრო მეტად თაღებსზე. საფიქრებელია, რომ შიდა კედლები შელესილი და მოხატული იყო. სასახლეებში, ეკლესიებისა და ციხეებისაგან განსხვავებით, გარედან შეღწევის საშიშროება თითქოს არ არსებობდა. ციხეებში სარკმელთა ღიობი მინიმუმამდე დაყვანილი, სასახლეებში – მაქსიმუმამდე აყვანილი. სარკმელებიც გეხედება, მაგრამ მათი სიგანე და სიმაღლე ძირითადად მერყეობს 1,5 X 2,5 და 2,3 X 2,8 მეტრს შორის. სართულებზე სარკმელების განლაგებაში თავისებურებაა. კერძოდ, ქვედა სართულებში, ჩვეულებრივ, ვიწრო სარკმელებია, ხოლო ზედა სართულზე – დიდი.

ეტყობა, ასეთი მიდგომა მათი პროპორციებიდან გამომდინარეობს. სართულები ერთმანეთსაგან სიმაღლითაც განსხვავდება. როგორც წესი, ზედა სართული სიმაღლით შესამჩნევად სჭარბობს ქვედას. საერთო თავისებურებაში ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბუხრები ძალიან განიერი და მაღლებია. აქ თავისუფლად შეიწეებოდა მოზვეერი თუ ირემი. ასეთი დიდი ბუხრები გვიან საუკუნეებისთვის დამახასიათებელი არ არის.

სასახლეების ზოგადი დახასიათების შემდეგ მოკლედ წარმოვადგინოთ ორ ნიმუშს, ერთი მასგანია კვეტერა, ხოლო მეორე – ვაჩნაძიანი.

კვეტერას ციხე-სიმაგრე მდებარეობს შიდა კახეთში, კერძოდ, ახმეტის რაიონში, ტყით დაბურულ მაღალ მთაზე.

ციხის ზემო მონაკვეთში, ტაძრის სიახლოვეს, ჩრდილო ფერდობის გაყოლებასე დგას ორსართულიანი სასახლე, რომელიც უკავშირდება ერთსართულიან სახლებსა და კოშკს.

ორსართულიანი სასახლე სწორკუთხა გეგმაზეა აგებული. პირველი სართულის დიდი სიერცე იყო თუ არა გაყოფილი, არ ჩანს. აშკარაა ერთი კარი სამხრეთით. ეზოდან იმავე მხარეს ერთი სარკმელია და ერთიც დასაველეთით. ამ სართულზე ყურადღებას იპყრობს უსარმაზარი ბუხარი ჩრდილო-დასაველეთის მონაკვეთში.

მეორე სართულს აშკარად საზეიმო იერი ახლავს. იგი ეზოსკენ ოთხი დიდი სარკმლით იცქირება. რადგან მოპირდაპირე მხარე გალავანთან ახლოს იყო, ყრუა, ალბათ, მოერიდნენ გარედან ნასროლ ისარს თუ შურდულის ქვას. აქეთ მხოლოდ ერთი კარია, რომელიც გვერდით მდგარი ერთსართულიანი სახლის ბანზე გადიოდა. აღმოსაველეთისა და დასაველეთის ვიწრო კედლები ისევე ღიაა ორ-ორი დიდი სარკმლით. ეს სარკმლები თითქოს იმიტომ გაიჭრა, რომ აღმოსაველეთით დატკბნენ იმ საოცარი ლანდშაფტის და შორი ჰორიზონტების, რომელიც ჩანს მდ. ილტოხის გაღმა, ალაზნის ველის ფონზე. ხოლო დასაველეთით თიანეთის მხარე ჩანს. თვით სარკმლები შეისრული მოხაზულობის ორმაგხაზოვან თაღებშია მოქცეული.

სასახლის მეორე სართულზე მოსახვედრად ქვის კიბე იწყება აღმოსაველეთიდან, უხვევს და გადის სამხრეთ-აღმოსაველეთით იმ ბანზე, რომელიც პირველი სართულის კარიბჭეზეა გამართული.

ვაჩნაძიანი მდებარეობს შუა კახეთში (გურჯაანის რ-ნი). სოფლის გარეთ მაღლობზე მდგარ დიდ ნანგრევებს ახლაც „პალატებს“ ეძახიან. სასახლის ერთი გრძივი მხარე გადაჭყურებს ე. წ. ვაჩნაძიანის ხევს, ხოლო მეორე სართულის გვერდითი კედლის წყვილი სარკმელი უცქერის ალაზნის ველს ყვარლისა და ნეკრესის მიმართულებით.

სასახლე დაზიანებულია, მაგრამ ძირითადი გეგმარების აღდგენა ხერხდება. ზოგიერთ შემთხვევაში შედარების საშუალებას იძლევა ერთი ეპოქის ისეთი სასახლეები, როგორიცაა კვეტერა, ველისციხე და ვანთა. სასახლე ორსართულიანია, იგი გეგმით გრძელი (32 მ.) ოთხკუთხაა და სამი ნაწილისაგან შედგება. დასაველეთით ორივე სართულზე არსებული თითო კარი და კედლების ნაშთები თითქმის მიგვითითებენ იმაზე, რომ შენობა გრძელდებოდა.

სასახლე ორი დიდი და მცირე დარბაზისაგან შედგება, მათ შორის კი განიერი ტალანია. პირველ სართულზე, ტალანის ორივე მხარეს, განიერი, თაღოვანი შემოსასვლელია. აღმოსავლეთის დიდი დარბაზი სიგრძეზე გაყოფილი ყოფილა. აქ, როგორც ჩანს და ანალოგებიც გვიდასტურებს, ჩრდილოეთის ხაზის აღმოსავლეთის ბოლოში მდებარე კიბის უჯრედიდან ყოფილა დამატებითი შემოსასვლელი. იმავე ხაზზე, ზემოთ მდებარე ბანიდან მოხეხვებოდათ მეორე სართულზე. დარბაზს პატარა სარკმელები ჰქონდა სამხრეთით და აღმოსავლეთით, ხოლო ჩრდილოეთით დიდი სარკმელები ახლდა. ამავე კედლის ცენტრში ნახევარწრედ შეერილად დიდი (2,3 მ. სიგანით, 2,5 მ. სიმაღლით და 1,89 მ. სიღრმით) ბუხარია. დარბაზს მთავარი, განიერი შემოსასვლელი აქვს ტალანიდან. ამ ტალანის გაელით დასავლეთით მდებარე მეორე დარბაზში მოხვდებით. იგი ფართით პირველის ნახევარია. აქაც, პირველის მსგავსად გადაწყვეტილი, ისევე დიდი ბუხარია, მხოლოდ აქ იგი დასავლეთითაა.

მეორე სართულში ფართობები ისევეა გადაწყვეტილი, როგორც ქვემოთ. დიდი დარბაზი აქაც სიგრძეზე გაყოფილი უნდა ყოფილიყო. ორივე დარბაზი დიდი სარკმელებით ნათდებოდა. პატარა დარბაზისგან განსხვავებით, დიდი დარბაზის აღმოსავლეთის ვიწრო კედელში ისევე ორი ღია სარკმელია. მათი საშუალებით შიგ მყოფნი უნდა დამტკბარიყვნენ აღაზნის ველის მშვენიერებით.

კარ-სარკმელებს არც აქ და არც სხვაგან დღემდე არ მოუღწევია. ცხადია, ყველგან ხისა იქნებოდა. ქვედა სართულის კარებს, შიშის შემთხვევაში რკინით შემოჭედავდნენ, მაგრამ თუ როგორ იყო გადაწყვეტილი მეორე სართულის სარკმელები, ძნელი სათქმელია, ისე როგორც სხვა იმ დროის სასახლეებში, მეორე სართულის სარკმელების სიგანე ორ მეტრამდეა, ხოლო სიმაღლე – სამ მეტრამდე. ცხადია, სარკმლის ჩარჩო ხისა იქნებოდა და თანაც უჯრედები პატარები უნდა ყოფილიყო. რამდენადაც ცნობილია, იმ დროს სარკმლის მინებს საშუალოდ 30 სანტიმეტრის დიამეტრზე მეტს ვერ აკეთებდნენ.

ვანნაძიანის სასახლე, ისე როგორც სხვა დასახელებული სასახლეები, გადახურული იყო ორქანობიანი სახურავით. გადასახურავად ყველგან კრამიტი იყო გამოყენებული. კედლების მასალად აქაც რიყის ქვაა. აგური მცირედაა ნახმარი.

აკადემიკოსი

ანტიკური და შუა საუკუნეების სასწავლო და სამეცნიერო შენობებზე ცოტა რამ ვიცით, რადგან ჩვენი საოცრად მწირი ისტორიული წყაროები აქაც თითქმის დუმან.

პირველი ასეთი ხასიათის ცნობა შემოუნახავს განთქმულ ბიზანტიელ ფილოსოფოსსა და რიტორს თემისტოხოსს. იგი გვიამბობს, რომ მან და მისმა მამამ, განთქმულმა ფილოსოფოსმა და მასწავლებელმა ეგგენიოსმა განათლება მიიღეს ფაზისის (ფოთის) სიახლოვეს მდებარე „მუსების ტაძარში“. ეგრიოსის (ლაზიკის) ქვეყანაში IV საუკუნის დასაწყისში, როგორც ეხებათ, განათლებას იღებდნენ არა მარტო ადგილობრივი, არამედ რომისა და ბიზანტიის ერცელსა სამყაროდან

ჩამოსული ახალგაზრდებიც. ამ აკადემიაზე, სამწუხაროდ, სხვა ცნობა არ გაგვაჩნია.

გელათის აკადემიის შესახებ შედარებით მეტი ვიცით. ქართულმა კულტურამ, X-XII საუკუნეებში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია და თანაც, ბერძნულ-ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად, შესამჩნევი წარმატება ხვდა. დაეით აღმაშენებელმა ეს საქმიანობა დააგვირგვინა სამეცნიერო-საღვთისმეტყველო დაწესებულების შექმნით. ასეთ დაწესებულებას წარმოადგენდა გელათის აკადემია. გელათის ტაძრისა და მის ირგვლივ საჭირო ნაგებობათა ანსამბლის შექმნით, მან მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა კულტურულ ცენტრს. მეფემ საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული კულტურული ცენტრებიდან თავი მოუყარა სახელგანთქმულ ქართველ სწაველებს, ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსებს, მთარგმნელებს, მწერლებს და სხვა. მათში გამოირჩეოდა პეტრიწის (ბულგარეთი) მონასტრიდან ჩამოყვანილი მსოფლიო მნიშვნელობის ფილოსოფოსი იოანე პეტრიწონელი.

გელათის ანსამბლში აქამდე შემორჩა აკადემიის შენობა. მისთვის შეურჩევიათ ანსამბლის დასავლეთის ფერდობი, ამიტომ შენობის აღმოსავლეთის ფრონტი თუ მონასტრის ეზოს დონეზეა, დასავლეთის - დაბლაა. მთებში მოქცეული გელათის სამონასტრო ანსამბლის ეს მხარე გაშლილია, იგი წყალწითელას ლამაზ მხარეს გადაჰყურებს.

შენობა გრძელი სწორკუთხაა და ორფერდა სახურავით იყო გადახურული. ამ ერთიანი დარბაზის ფართობი 300 მეტრს აღწევს. დარბაზს ამ მხრივაც საზეიმო იერი ახლავს. ამავე მიზანს ემსახურება რვა დიდი თაღოვანი სარკმელი, ჩამწკრივებული დასავლეთის ხაზზე. მას ემატება სხვა კომპონიციით შეკრული სამი სარკმელი სამხრეთიდან. დარბაზში სამი კარი აღმოსავლეთიდან, ეზოდანაა და ერთიც - ჩრდილოეთის ბოლოში. ასე რომ, შემსვლელნი აქაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთ კარში კი არ „იჭყლიტებოდნენ“, არამედ თავისუფლად შედიოდნენ და ტოვებდნენ დარბაზს. რაც მთავარია, აღსანიშნავია ის თავისებურება, რომ დარბაზს შიგნიდან შემოუყვება 150 X 130 სანტიმეტრის სიგანისა და 50 სანტიმეტრის სიმაღლის ქვის უმაღლესი. ესაა სწავლულთა ჩამოსაჯდომი, რომლის მაგალითი სხვაგან არა გვაქვს. მართალია, ზოგიერთი ეკლესიის საკურთხეველს უელის მღვდელმსახურთა ჩამოსაჯდომი, მაგრამ მათი სიგანე 30-50 სანტიმეტრს შორისაა. აკადემიაში კი ჩამოსაჯდომი სულ სხვა დონეზეა გადაწყვეტილი. შენობას ერთი კარიბჭე ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში. მეორე კარიბჭე მომდევნო ეტაპზე მიუშენებიათ აღმოსავლეთის ცენტრში. აკადემიის კედლები თუ შემოსილია ზედაპირგათლილი უფორმო ქვით, აღმოსავლეთის კარიბჭე თლილი ქვითაა ნაგები. ამავე დროს, მდიდრულადაა მორთული ჩუქურთმითა და ბარელიეფებით. შენობის ფასადები მორთული არ ყოფილა, მაგრამ შიდა კედლები შელესილი და მოხატული იყო. ფასადებს ამთავრებს მარტივი პროფილის მქონე კარნიზი. გადახურვა, ალბათ, კრამიტისა იქნებოდა.

იყალთოს აკადემიის შესახებ არსებობს გვიანი ხანის ცნობები, რომელთა მიხედვითაც XII საუკუნეში იყალთოში, აკადემიის სახით, არსებობდა უმაღლესი

სასწავლებელი და სამეცნიერო დაწესებულება. იყალთოში აკადემიის და სასწავლო დაწესებულების არსებობას ადასტურებს ის შენობა, რომელსაც, გადმოცემით, აკადემიას უწოდებდნენ (სურ. 262, 263).

იყალთოში, ისევე დაეთა აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) დროს, არსენ იყალთოელის სამეცნიერო მოღვაწეობაზე მიგვიხიბებს გვიანი ხანის – დაეთი რექტორისა და თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობები.

იყალთოს მონასტრის ეზოში მდგარი ორსართულიანი შენობა, რომელსაც სიგრძე სამოც მეტრამდე აქვს, მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება. იგი თანდათანობით ნაზარდი შენობაა. მისი ცენტრალური კორპუსი, ყველა ნიშნით, კახეთის VIII-IX საუკუნეების ზემოგანხილულ სასახლეებთან ავლენს უშუალო ანალოგიას, მაგრამ მთლიანად XII საუკუნეში უკვე ჩამოყალიბებული ყოფილა. სწორედ ამ ეპოქას ემთხვევა დიდი მოასროენის, არსენ იყალთოელის შემოქმედებითი პერიოდი.

აკადემიის აღმოსავლეთის მონაკვეთი, როგორც ეტყობა, შენობის ძირითადი ბირსია. იგი ქვემოთ ორნაწილიანია, ზემოთ კი ერთიანი გრძელი დარბაზია (შიდა ზომებია: 8,8 X 24,9 მ.). მის აღმოსავლეთის ვიწრო კედელში არაჩვეულებრივი პროპორციების მქონე ორი სარკმელია. პირველ სართულს შედარებით მცირე სარკმლები და განიერი კარი აქვს. მეორე სართული კი ეზოსკენ განიერი და მაღალი სარკმლებითაა ღია, ხოლო მოპირდაპირე მხარეს ყრუა. ამ დარბაზს დასავლეთით კიდევ სხვადასხვა გეგმის სამი მონაკვეთი მოსდევს, რომელთაგან ცენტრალურს სამხრეთით დიდი (1,7 X 2,0 მ) ბუხარი ახლავს. სამწუხაროდ, ნაგებობის ყველა დეტალი, დანახების გამო, ვერ ირკვევა. შენობა ნაგებია ძირითადად რიყის ქვით.

გრემში, ზეპირი გადმოცემით, იყო მესამე აკადემია. გრემი, რომელიც სულ რაღაც 150 წელი იყო კახეთის დედაქალაქი, აღმავლობას განიცდიდა XVI საუკუნეში. თუ იქ ნამდვილად იყო აკადემია, ეს ამ პერიოდში უნდა ყოფილიყო (ქალაქი დაარსდა 1466 წ.). კახეთში, განსაკუთრებით თელავისა და ყვარლის რაიონებში, დღესაც ყვებიან იმის შესახებ, რომ ადრე გრემში აკადემია იყო. უშუალოდ ნაქალაქარზე მის არსებობაზე კი ჩრდილო-აღმოსავლეთით მიუხიბებენ.

ნაქალაქარ გრემის ტერიტორიაზე 60-იან წლებში ჩატარებულმა გათხრებმა სასახლის ტიპის რამდენიმე ნაგებობის ნაშთები გამოავლინა. მათგან გამოირჩეოდა ის, რომელიც გამოვლინდა სწორედ ჩრდილო-აღმოსავლეთის მონაკვეთში, იქ, სადაც აკადემიასე მიუხიბებენ.

ეს შენობა, სამწუხაროდ, ისეა დანგრეული, თითქოს საძირკველზე გადაუჭრიათ. არსებული გეგმის მიხედვით, შენობა საერთოდ მოსრდილი ყოფილა (18,8 X 21,2 მ). მის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ორი ვრცელი დარბაზი და იმავე ხანზე განლაგებული ორი შედარებით პატარა დარბაზი. ერთ რიგზე ჩამწკრივებული ამ დარბაზების ბოლო გამოყოფილია, სადაც განლაგებულია ექვსი სხვადასხვა ზომის სათავსი.

ნანგრევებში გამოვლინდა ბევრი ცისფერი და ლურჯი შორენკეცი. ეტყობა, რამდენიმე ოთახის კედლები შორენკეცით ყოფილა მოპირკეთებული. კედლებში რიყის ქვა და აგური ყოფილა გამოყენებული, ხოლო გადახურული ყოფილა კრამიტით.

ყოველი მონასტერი დამოუკიდებელი სამეურნეო ორგანიზაციაა. ისინი ერთმანეთისაგან ზომებით განსხვავდებოდნენ, სორემ სხვა მხრივ ერთი სისტემით იგებოდნენ. რადგან ბერები იქ მუდმივად იმყოფებოდნენ, საჭირო პირობებიც უნდა ჰქონოდათ. ისინი ცალ-ცალკე სენაკებში ცხოვრობდნენ, მაგრამ საერთოც ბერი ჰქონდათ. ამჟამად ჩვენ ვეხებით სატრაპეზოს, ანუ ბერების სასადილოს. ტერმინი სატრაპეზო X ს-დან გვხვდება, მანამ კი საოსტიგნე იხმარებოდა. მონასტრის ყველა ბერი დღეში სამჯერ მანც სატრაპეზოში იყრიდა თავს.

სატრაპეზოს ზომას განსაზღვრავდა მონასტრის სიდიდე, ბერთა რაოდენობა. ცხადია, სამზარეულო და სატრაპეზო გვერდიგვერდ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენი მონასტრები ისეა დანგრეული, რომ სამეურნეო შენობები ან არაა დარჩენილი, ან, თუ არის, ეს სატრაპეზოა. ეტყობა, ეკლესიის შემდეგ ყველაზე კაპიტალურად სატრაპეზოს აშენებდნენ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი სატრაპეზო თავდაპირველი სახით არაა მოღწეული. ის ნანგრევები, რომლებიც სატრაპეზოებადაა ცნობილი, შეიძლება სემინარიებიც იყო. არაა გამორიცხული ორივე ერთად ყოფილიყო.

დღემდე მოღწეული სატრაპეზოებიდან აქ შეიძლება ჩამოეთვალოთ: ოშკი, ოთხთა ეკლესია, ოპიზა, ხანძოა (პორტა), აგარა, სამღერესი, ხოფა და სხვა. მათგან რამდენიმეს აქვე წარმოვადგენთ.

ოშკის სამონასტრო ნაგებობიდან ტაძარი ადრე განვიხილეთ, აქ კი შევეხებით სატრაპეზოს (სურ. 266, 267). იგი დგას ტაძრის სიახლოვეს. შენობის გადახურვა ჩანგრეულია. სხვა მხრივ გვემარება კარგად ჩანს. იგი შედგება დიდი და პატარა დარბაზისაგან. დიდი დარბაზი, რომლის ფართი 500 მეტრს აღემატება (16,5 X 31,2 მ.), სწორკუთხა გეგმისაა და შიგ სამნავიანია. ცენტრალური ნაგი გვერდებზე განიერია. ნაგებს ჰყოფს ოთხი წყვილი მძლავრი სვეტი. სვეტებიდან ოთხივე მხარეს თაღები გადადის. შენობაში ერთი შესასვლელია – სამხრეთის ცენტრიდან. სატრაპეზოს მთავარი კორპუსი დასაველეთით კლდეზეა მიშენებული, ამიტომ სარკმლები აღმოსავლეთის გრძელ კედელშია, თითოც – სამხრეთით და ჩრდილოეთით.

სატრაპეზოს მეორე დარბაზის ფართი 80 მეტრამდეა (8,1 X 9,6 მ.). ეს ორი დარბაზი კარით ერთდება. თუმცა პატარა დარბაზს კიდევ აქვს დამოუკიდებელი კარები. დარბაზს ორიგინალური გადაწყვეტა აქვს. მისი ჩრდილო ნაწილის კვადრატული მონაკვეთი გამოყოფილი და სფერული გუმბათითაა გადახურული. გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე გადასვლა ხდება დიდი ზომის ტრომპებით. გუმბათის ცენტრი ღიაა განათებისათვის. ასეთ ორიგინალურ გადაწყვეტას იმ ეპოქაში ანალოგი არ გააჩნია, მაგრამ გვხვდება XII საუკუნის 70-იან წლებში გეგუთის სასახლეში.

სატრაპეზო შიგნით და გარეთ შემოსილია კარგად თლილი ქვით.

ოშკის სატრაპეზო, ყველა მონაცემებით, ტაძარისან ერთადაა აგებული, 963-973 წლებს შორის.

ოთხთა ეკლესია, რომელიც იმავე პერიოდშია აგებული, ტაოში მდებარეობს. ბაზილიკის დასავლეთით ორი შენობაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მათ ერთი შესასვლელი აქვს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ერთი დანიშნულება ჰქონდათ. შესაძლოა, ორივე ასრულებდა სატრაპეხოსა და სემინარიის ფუნქციებს (სურ. 268, 269). ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში სწავლა-განათლება, ძირითადად, მონასტრებთან იყო დაკავშირებული. ისეთი დიდ მონასტრებს, როგორც იყო ოშკი და „ოთხთა ეკლესია“, უნდა ჰქონოდა თავისი სემინარია. ამიტომ ჩვენ ვუშვებთ, რომ ზემოთ განხილული ოშკის სატრაპეხო და ეს სატრაპეხოც ერთსა და იმავე დროს ასრულებდა ორივე ფუნქციას.

ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით დგას მოზრდილი (12,2 X 18,8 მ.) სწორკუთხა შენობა, რომელიც შიგნით ორ არათანაბარ ნავედ არის გაყოფილი. ნავებს ხუთი განიერი თალი აერთიებს. ნავების კამაროვანი გადახურვა, კრამიტის სახურავით, ჩანგრეულია. მასში შესასვლელი აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდანაა, ხოლო სარკმლები ყოველი მხრიდან აქვს. შენობა შიგნით და გარეთ თლილი ქვითაა ნაგები.

შენობა სამხრეთის კედელში მდებარე სამი თალით გადის ეიწრო ნაეში, რომლიდანაც კარით შეიძლება მოხედეთ გრძელ (4,2 X 13,4 მ.) დახურულ სათავესში, მისი კამარა სამ თალს ებჯინებოდა და, რადგან დასავლეთის კედელი კლდეზეა მიდგმული, სარკმლები მხოლოდ აღმოსავლეთით აქვს.

შედარებით მარტივია აგარის მონასტრის სატრაპეხო. მონასტერი მდებარეობს ურავლის ხეობაში (ახალციხის რ-ნი). დარბაზული ეკლესიის ანსამბლში მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობაა, მათ შორის გამოირჩევა თლილი ქვით კოხტად ნაგები სატრაპეხო, რომელიც შედგება გრძელი დარბაზისა და მასთან დაკავშირებული მცირე სათავეებისაგან. კამაროვანი დარბაზის გვერდითი კედლები ხუთი თალითაა დამუშავებული. კარები ბოლოებშია. მსაგარი კარი და სარკმელი მორთულია. კარის თავზე მდებარე ერცული წარწერიდან ევებთ, რომ იგი აუგიათ ადგილობრივ მფლობელთა, ჯაყელთა გვარის წარმომადგენლებს: ბეშქენსა და ბურენს X-XI საუკუნეთა მიჯნაზე.

ხოფას მონასტრის სატრაპეხო, რომელიც XIII საუკუნის პირველი მესამედით არის დათარიღებული, უფრო მარტივია. მონასტერი მდებარეობს ქსნის ხეობის ქვედა წელში, მდინარის მარცხენა შენაერთზე. სატრაპეხო ეკლესიის სიახლოვესაა და იგი შედარებით კარგადაა დაცული, თანაც მას, ეკლესიასთან ერთად, ახლახან რესტავრაცია ჩატარდა.

სატრაპეხოს მოგონო გეგმა (10,2 X 15,5 მ.) აქვს. მის ერთიან დარბაზს 160 კვადრატული მეტრი ფართი აქვს მოკავებული. სათავეს ორ თალზე დაყრდნობილი ნახევარწრიული კამარითაა გადახურული. ხემოგანხილული სატრაპეხოებისაგან განსხვავებით, მას აღმოსავლეთის გრძელი კედლის ცენტრში, ღრმა და განიერ ნიშაში გამართული აქვს საკურთხეველი. ასეთივე გადაწყვეტას ეხვდებით ნეკრესის მონასტრის სატრაპეხოში. სატრაპეხოში ერთი შესასვლელია სამხრეთის კედლის ცენტრში, ხოლო დასავლეთის კედელში გაჭრილი ორი კარით იგი დამხმარე

სათავეს უერსიდებოდა. ახლა მათგან მხოლოდ კვალია გადარჩენილი. განათებისათვის სამი სარკმელია სამხრეთის კედელში. შენობა ნაგებია რიყისა და ყორე ქვით, კონსტრუქციულ ადგილებში თლილი ქვის გამოყენებით.

კანკელი

კანკელი ქართული ეკლესიის განუყოფელი ნაწილია. იგი, საერთოდ, დამახასიათებელია აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ქვეყნებისათვის, როგორცაა ბიზანტია, საქართველო, სომხეთი და სხვა. რუსეთსა და სხვა სლავურ ქვეყნებში კანკელი თითქმის არ გვხვდება, იქ ძირითადად გავრცელებულია „იკონოსტასი“. ერთი და მეორეც, ფაქტიურად, არის საკურთხეველის გამოყოფა მლოცველთა დარბაზისაგან. მაგრამ მათ შორის პრინციპული განსხვავებაა. კანკელის შემთხვევაში დარბაზში მყოფი თუ მთლიანად არა, სანახევროდ მაინც თვალს ადევნებს იმ ცერემონიას, რომელიც საკურთხეველში ხდება. ხოლო იკონოსტასის შემთხვევაში, საკურთხეველი მთლიანად დახურულია.

ეკლესიებში შერჩენილი მასალა და ისტორიული წყაროები არ იძლევა საშუალებას დადგინდეს საქართველოში კანკელის წარმოშობისა და გავრცელების გზები. არსებული ფრაგმენტების მიხედვით, შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ, თუ უფრო ადრე არა, VI საუკუნიდან მაინც ყოფილა კანკელი შემოღებული. უფრო დაჯერებით კი მასზე საუბარი შეიძლება VIII საუკუნიდან.

კანკელის ტიპური სახე თაღედა, რომელსაც მოკაეებული აქვს საკურთხეველის მთელი სიგანე. თაღების რაოდენობა დამოკიდებულია ეკლესიის მასშტაბზე (სურ. 272). ძირითადად გვხვდება სამი და ხუთთაღიანი კანკელები. შესასვლელი ყოველთვის ცენტრშია მოთავსებული.

კანკელი ქვემოთ ყრუ ბარიერია, ზემოთ კი – კოლონებზე ან სვეტებზე დაყრდნობილი თაღედი. მასალა ძირითადად ქვაა, მაგრამ გვხვდება თაბაშირის (ალუბასტრის), აგურისა და ხის კანკელებიც. მაგრამ ჩვენთვის, საქართველოსათვის, მთავარია ქვის კანკელები, რომელთა დიდი უმრავლესობა ორნამენტით და რელიეფითაა დაფარული. მათ შორის, გამოიყოფა X საუკუნის ბოლოდან XII საუკუნის ჩათვლით მძალდი ოსტატობით შესრულებული კანკელები. მარსაღია, ამის შემდეგაც დიდხანს ინარჩუნებს კანკელი მიმხიდველობას, მაგრამ ბოლო საუკუნეებში აშკარად შეიმჩნევა დაღმასვლა.

კანკელების დიდი უმრავლესობა დაღუპულია, ან ფრაგმენტულადაა მოღწეული. თავდაპირველი სახის ძალიან ცოტაა. მათ შორის შესრულების მხატვრულობით გამოირჩევა მცხეთის ჯვარი, წებელდა, გველდესი, ხოვლე, წეროვანი, საფარა, შიომღვიმე და მრავალი სხვა.

ხეზე კვეთა, ხის ხელოვნების ნიმუშად გადაქცევა, ჩვენს წინაპრებს ადრევე დაუწყიათ. მაგრამ ზუსტად როდის, ამის დადგენა ახლა შეუძლებელია, ამ საქმიანობისათვის თვალის მიწვდენა, არქეოლოგთა საშუალებით, შესაძლებელი გახდა ყორღანებში ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოდან. ასეთი ნიმუშები მრავლობს ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში. მომდევნო ეპოქებისათვის, სათანადო მასალების უქონლობის გამო, განვიხილავთ გზა და ცალკეული ეტაპები უცნობი რჩება.

ხეზე კვეთის ხელოვნების მაღალი დონე ამჟამად ჩანს X-XI საუკუნეებში. ამის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს ეკლესიათა ხის კარები¹. ხე, რომელიც გამოიყენება ამ საქმისათვის, მაგარი ჯიშისა და ადვილად დასამუშავებელი უნდა ყოფილიყო. ამ პერიოდის ბრწყინვალე ნიმუშებია ჩუკული, ჯახუნდერი, ფხოტრერი, ოცინდალე და კიდევ მრავალი.

კარები ფორმითა და ზომებით მრავალფეროვანია. არის ერთფართიანი და ორფართიანი კარები. ყველა ისინი ჩარჩოში იყო ჩასმული. ძირითადად კარები, ჩარჩოსთან ერთად, მოჩუქურთმებულია, მაგრამ არის ისეთი შემთხვევაც, როცა ჩარჩო სადაა. კარების მორთვაშიც არ არის ერთფეროვნება და სწორედ ამიტაც არიან ისინი მიმსაიდველნი. ზოგიერთი კარი უნიჭიერესი ოსტატის მიერ არის დამუშავებული და ამიტომაც არაჩვეულებრივი სანახაევია. ზოგ კარზე მთავარია ჩუქურთმა, რელიეფური გამოსახულებები კი მცირეა, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ბარელიეფები სჭარბობს. თავისთავად რელიეფების უმრავლესობა რელიგიურ სიუჟეტებს წარმოადგენს. კარებიდან ნიმუშად მხოლოდ ერთს, საუკეთესოს, ჩუკულისას განვიხილავთ.

ჩუკულის კარის მხატვრულ კომპოზიციას ჩარჩო კრავს (სურ. 270), ხოლო კერტიკალურად და ჰორიზონტალურად გატარებული ორ-ორი არხია მთელს ჰყოფს სამ მონაკვეთად. თითოეულ მონაკვეთში წმინდანთა რელიეფური გამოსახულებებია ასომთავრული წარწერებით. კარის ძირითად მხატვრულ სახეს ქმნის აუთრული ორნამენტი. უმრეტე ფანტაზიის სურათებით. მათ გარდა, არაა ადგილი დარჩენილი, სადაც არ იყოს ორნამენტი ამოკვეთილი. ეს კარი თარიღდება XI საუკუნის დასაწყისით.

არქიტექტურასთანაა დაკავშირებული აგრეთვე ე. წ. გლეხის დარბაზის დედაბოძი. ესაა დარბაზის შიგნით კერის უკან მდგარი ბოძი, რომლის წინა პირი, ზედ გამავალი კოჭით, მოჩუქურთმებულია. ჩვენამდე მოაღწია იმ ნიმუშებმა, რომლებიც შესრულებულია საშუალოდ ბოლო ორასი წლის განმავლობაში, მაგრამ იგი სათავეს იღებს ათასი წლების იქით.

¹ ხეერთანაირ ბუნებრივ პირობებში ათასობით წელი ძლებს, იგი ევროპანს ცვალებადობას - დასველებასა და გამშრობას.

შუა საუკუნეების საქართველოში - XI საუკუნიდან დამოუკიდებელი საქართველოს ბოლომდე მშენებლობის ტექნიკა და მასალა მცირე ცვლილებებს განიცდის. ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში ჩამოყალიბებული მშენებლობის ტექნიკა და გამოყენებული მასალები, ერთგვარად, სრულყოფილი გამოდგა და ის მომდევნო ეპოქებშიც ცოცხლობს.

მასალებზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად მრავალფეროვნებისა, ქარაუული ხუროთმოძღვრება, მთელი თავისი არსებობის მანძილზე, რჩება ქვის ხუროთმოძღვრებად. ქვის ჯიშის მრავალფეროვნება მშენებელს შერჩევის საშუალებას აძლევდა. ქართველმა კარგად იცოდა ქვის ყადრი და იგი მას ნაგებობის შესაფერისად იყენებდა. მას კარგად ესმის ქვის უპირატესობა, მაგრამ იგი მას ყველგან არ იყენებს; ხუროთმოძღვარი ანგარიშს უწევს აუცილებლობასა და ეფექტს. საქართველოს მთები მეტად მდიდარია ქვის ჯიშებით და ოსტატი ცდილობს მათ სათანადოდ გამოყენებას. ყველაზე ხშირად იგი მიმართავს ქვიშაქვას, კირქვას, ტუფს, შირიმს და სხვას. იგი არ გაურბის ისეთი მაგარი ჯიშის ქვების გამოყენებას, როგორცაა ბაზალტი, ანდეზიტი და სხვა, მაგრამ ერიდება ამ უხეშ ქვებს. განსაკუთრებით ერთი ალსანიშნავი - იგი არ იყენებს მარმარილოს. ცნობილია, რომ მარმარილოს „მარმარილობა“ იმაში მდგომარეობს, რომ ქვის ზედაპირი გაპრიალებული უნდა იყოს. როგორც ეტყობა, მის ჩანაფიქრს ასეთი თვისების ქვა არ მიესადაგა. სორემ, ცნობილია, რომ საქართველოს მთებში ბლომადაა მარმარილოს მრავალსახეობა.

რაც შეეხება ქვის ფორმას, ყოველნაირი გვხვდება. კლდის ქვას, ნატეხ ქვას იყენებენ ყოველგვარი შენობისათვის. ზოგჯერ კი ეკლესიების, სასახლეებისა და სიმაგრეებისათვის ნატეხ ქვას მქისედ ამუშაებენ, თლილ კვადრებს კი ძირითადად იყენებენ ეკლესიებისათვის. აქვე ისიცაა ალსანიშნავი, რომ ადრე შუა საუკუნეებში, მაშინ, როდესაც ეკლესიების ინტერიერი ფრესკული მხატვრობით არ გამოირჩეოდა შიგ და გარეთ იყენებდნენ თლილ კვადრებს. VIII-IX საუკუნეებიდან კი ინტერიერის კედლების მოხატვა აუცილებელი შეიქნა, ამიტომ შიდა კედლები იფარება ნაღესობით, რომელზედაც მხატვრობა სრულდება. ამ დროიდან თლილ ქვას იყენებენ ძირითადად ფასადებზე.

ფასადებზე თლილი კვადრების დალაგებასაც აქვს თავისი მიდგომა. ქართველი ოსტატი არასოდეს არ ცდილობს, რომ ფასადების ქვები დაასტანდარტოს, ერთი ზომისა გახადოს. იგი ცდილობს, რომ ის ქვა, რომელიც მან კლდიდან მოტეხა, მაქსიმალურად გამოიყენოს. მას ისე ასწორებს, რომ ზედაპირს სწორკუთხოვნება არ დაუკარგოს. იმავე დროს, იგი ცდილობს ფასადზე ერთგვარი „წესრიგის“ დამყარებას და ძირითადად იცავს ჰორიზონტალურობას, მაგრამ იგი მისთვის აუცილებელი არასოდეს ყოფილა. ჰორიზონტალურობის შემოხვევაშიც მისთვის ქვის სიგანეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ხშირია ქვის „დაკერებაც“.

ქვის ზედაპირის მაქსიმალურად გამოყენების დროს შესაძლოა რომელიმე კუთხე

არ გამოვიდეს. ამ შემთხვევაში ოსტატი კუთხეს დააკუთხოვნებს და სხვა პატარა ქვას ჩასვამს. ასეთი საეისუფალი წყობა დამახასიათებელია ქართული შუა საუკუნეების არქიტექტურისათვის მთლიანად. წყობის ასეთი ხასიათი მხატვრულობას ექვემდებარება, ამიტომ იგი ყოველთვის რჩება მიმზიდველად. ხუროთმოძღვრები ფასადების შემოსივასა ყოველთვის ამოდინდენ ესთეტიკურობიდან. ამიტომ მათთვის ქვის ფერსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაქსიმალურად ცდილობდნენ თბილი ფერის ქვა შეერჩიათ. ადრეული ხანის ნაგებობების შემოსვაში ერთფეროვნებაა დამახასიათებელი, მაგრამ, როდესაც შემოდის ცხოველხატულობა, მაშინ ხელი მიჰყევს ფასადის აფერადებასაც. X საუკუნის შუა ხანებიდან დამკვიდრებული ცხოველხატულობა ყველაფერში იჩენს თავს და მათ შორის ფასადების შემოსვაშიც. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ქართველ ხუროთმოძღვარს პოლიქრომიაც თავისებურად ესმის. ის სხვადასხვა ფერის ქვებს რიგობად არასოდეს აწყობს, იგი თითქოს აკეარელით ხატავს. ფასადის ძირითად ტონში ფერად ქვებს ისე ურევს, შემთხვევითი გეგონებათ. ქართველისათვის სწორედ ფასადებზე ფერების უწყვეტობად განლაგებაშია წესრიგი. X-XIV საუკუნეების ტაძრების ფასადებზე პოლიქრომია იშვიათი ჰარმონიულობითაა შესრულებული.

როცა ფასადებზე ქვის გამოყენების შესახებ არის საუბარი, არ შეიძლება არ აღვნიშნათ რიყის ქვის გამოყენება. რიყის ქვას ძირითადად იყენებენ ყოველი სახის სიმაგრეებზე და სოფლის რიგით ეკლესიებზე. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს კახეთი. აქ ფასადებზე დიდი ზომის რიყის ქვას გემოვნებით ალაგებენ, ამიტომ შენობა ყოველთვის სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

თვის კედლის აგების ტექნიკა შუა საუკუნეებში უკვე ჩამოყალიბებულია და ძირითადად არ იცვლება. კერძოდ, ყორე და რიყის ქვის კედელი, ფაქტურად, მონოლითის წარმოადგენს. ხოლო, რაც შეეხება თლილი ქვის კედელს, მას საკუთარი წესი ჰქონდა. გარედან – თლილი ქვა, შუაში – ამოყორილი ბეტონი. ამ შემთხვევაში თლილი ქვის წიბოები სამკუთხედად, ცერად იკვეთებოდა, რათა კირის ხსნარი მჭიდროდ ჩამჯდარიყო.

მასალებიდან განსახილველი დაგერჩა აგური – გამომწვარი და გამოუწვავი, ანუ ალიზი. ეს უკანასკნელი ანტიკური და ადრე შუა საუკუნეებისათვის იყო დამახასიათებელი, თანაც მხოლოდ ცხელ რეგიონებში. X საუკუნეში ერთი სპარსელი მოგზაურის ცნობით, ალიზი ყოფილა გამოყენებული თბილისის გალავანზე. მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს გამონაკლისი იყო. ალიზი შემდეგშიც, ჩვენს დრომდეც, იხმარებოდა ისეთ ცხელ რეგიონებში, როგორც იყო ქართლი და გარე კახეთი, მაგრამ მხოლოდ დაბალი ფენის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებზე; კაპიტალურ მშენებლობაში მას აღარ მიმართავდნენ.

რაც შეეხება გამომწვარ აგურს, მას ქრთველი გვიანანტიკური ხანიდან იყენებდა, მაგრამ ისე მასიურად არა, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ბიზანტიამიც. ჩვენთან იგი ძირითადად დამხმარე მასალა იყო. შუა ხანებში აგურით აგებული სამი ტაძარი გვაქვს, ესაა: ოხანანი, ყინწისი და ტიმოთესუბანი. ხოლო, რაც შეეხება გვიან საუკუნეებს, აქ მან უფრო დამკვიდრა ადგილი. ამის მიზეზი, ერთი მხრივ,

ქვეყნის ეკონომიკური დასუტება იყო, ხოლო მეორე მხრივ – ირანის სიახლოვე მიუხედავად თქმულისა, აგური საქართველოში გაბატონებული არასოდეს ყოფილა.

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში კაპიტალური ნაგებობების¹ სახურავად იხმარებოდა ქვა და კრამიტი. ამ მიმართულებით ძირითადია სლილი პროფილირებული ქვა – ლოორფინი. რაც შეეხება კრამიტს, იგი ძირითადად მოჭიქულია. თავისთავად ჭიქური სამი ფერისაა – ცისფერი, მომწვანო და ოსფერი. აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ კრამიტი ფერების მიხედვით კი არ არის დალაგებული, არამედ ერთმანეთშია არეული, რაც იშვიათ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ნაგებობებში სიერცეთა გადახურვის ფორმები ჩვენში ადრევე ჩამოყალიბდა. განსახილველ პერიოდში შესამჩნევი ცვლილებები არ განუცდია. კერძოდ, ცილინდრული კამარის კარგ მაგალითებს უკვე პირველ საუკუნეებში ვხვდებით (მცხეთის აკლდამა, უფლისციხე). მომდევნო ეპოქებში გვხვდება შეკრული და ჯვაროვანი კამარები, მაგრამ მან გავრცელება ვერ პოვა. სფერულ გუმბათს კი VI საუკუნის შემდეგ არენა არ დაუტოვებია. მალეების გადამხურავად თაღები კამარების პარალელურად ვითარდება. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამოიყენებოდა ნახევარწრიული მოხაზულობის კამარა, ხოლო ნალისებური თაღი მხოლოდ V საუკუნიდან X საუკუნის ჩასვლით გვხვდება. მესამე ფორმა თაღისა – ისრისებურია. ეს ფორმა VII-IX საუკუნიდან გრცელდება და დიდხანს ცოცხლობს. თაღის ისრისებურობა პირველ ხანებში შემართული სახისაა, ხოლო XVI საუკუნიდან დამჯდარი, გეერდებგაბერილია.

აქვე ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ საყრდენებზეც. საქართველოში, დასავლეთ ევროპის მსგავსად, კოლონა არ ყოფილა გავრცელებული, მას იშვიათად მიმართავენ. ჩვენში ხშირია და დამახასიათებელი სვეტი, ღეროს კუთხოვანება.

1. აქ კაპიტალური ნაგებობებს ხასი იმითაც ვხვდებით, რომ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობების გადასახურად დასავლეთ საქართველოში მასობრივად გამოიყენებოდა ქაუარი და ისლი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – ბანსე ტყეშილი თიხა და იშვიათად – კრამიტი.

ფეოდალური საქართველოს ბოლო სამი საუკუნე ქვეყნის ისტორიის მეტად ძნელი მონაკვეთია. მონღოლების ორასწლიანმა თარეშმა ოდესღაც ძლიერი და მაღალი კულტურის მქონე ქვეყანა ყოველმხრივ დასცა, პოლიტიკურად დაასუსტა. ამას ემატება ორი დიდი იმპერიის დამეზობლება. მანამდე შედარებით სუსტი ირანი, სეფიანთა დინასტიის ხელში ძლიერი და დაუნდობელი ხდება. ხოლო სამხრეთ-დასავლეთით ახლად გაჩენილი ოსმალეთი, რომელმაც შთანთქა მაღალი კულტურის მქონე ქრისტიანული ქვეყანა - ბიზანტია, ჩვენს დაპყრობასაც კი ლამობდა. ამ ორმა მუსულმანურმა ქვეყანამ ქართველთა წინააღმდეგობა მაინც ვერ გატეხა. მათგან თურქეთი უკულტურო ქვეყანა იყო, ამიტომ ჩვენზე გაელენას ვერ იქონიებდა, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოზე ირანის პოლიტიკურმა ზემოქმედებამ გავლენა მოახდინა კულტურის სხვადასხვა სფეროზე, თუმცა მასთან პოლიტიკური დამოკიდებულების შეწყვეტასთან ერთად ეს გავლენაც შეუმჩნეველი გახდა. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველმა აღმოსავლური კულტურა პირდაპირ კი არ მიიღო, არამედ გადაამუშავა და ისე გაითავისა.

თურქეთის მიერ ბიზანტიის დაპყრობამ საქართველოს კიდევ ერთი დიდი უბედურება მოუტანა: მან გადაკეტა ევროპულ სამყაროსთან მაკავშირებელი გზა, საქართველო მოწყვიტა იმ სფეროს, რომლის კულტურის შექმნის მონაწილეც გახლდათ საუკუნეების განმავლობაში.

მიუხედავად ყველაფრისა, ქართული ხელოვნება ამ ეპოქაშიც აგრძელებს განვითარებას. თუ XV საუკუნე მთლიანად მონღოლთა მიერ დანგრეულის აღდგენას მოუწია, XVI საუკუნიდან ხუროთმოძღვრება იწყებს ახალ აღორძინებას. ცხადია, ის არ დგას „ოქროს ხანის“ სიმაღლეზე, მაგრამ წინსვლა მაინც აშკარაა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა სამეფო-სამთავროებადაა დაყოფილი და შედარებით დასუსტებულია, მან მაინც შეძლო ახალ სიმაღლეზე ასვლა. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის იმ დროს უკვე ცალკე სამეფოდ გამოყოფილ კახეთზე, რომელსაც მოსდევს ქართლი და შემდეგ დასავლეთ საქართველო.

საქართველო, დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, ისევე ფეოდალურია, ამიტომ ხუროთმოძღვრებაც ადრეულ სახეობებს აგრძელებდა. ძირითადი კვლავ საკულტო ნაგებობებია, სადაც მთავარი მხატვრული გადაწყვეტაა. მაგრამ, რადგან პოლიტიკური სიტუაცია უფრო გამწვავდა, ქვეყანა იძულებული გახდა თავდაცვაზე გადასულიყო. ცნობილია, რომ სიმაგრეს ის ქვეყანა აგებს, რომელსაც თავდაცვა ესაჭიროება, თავდასხმელი კი მას იშვიათად მიმართავს. საქართველო გაივსო ციხე-ქალაქებით, ციხეებით, ციხე-ღარბაზებით. სიმაგრის ახალი სახეობაც კი გაჩნდა: გამუდმებულმა ლეკიანობამ ქართლ-კახეთში ციხე-გალავანი წარმოშვა. კომპებს ხომ თელა არა აქვს: ისინი არა მარტო გზაჯვარედინებსა და გადასასვლელებზე იგება, არამედ ათთქმის ყველგან, იგი საცხოვრებელსაც კი შეერწყა. აღსანიშნავია ისიც, რომ

ყოველი ქვის ნაგებობა სიმაგრედ აქციეს. თავდაცვა ეკლესიებს და წისკვილებსაც დაეკისრათ. სიმაგრე აუცილებელი გახდა ყველასათვის. აი, რას წერს ვახუშტი ბაგრატიონი: „აზნაურსა აქუნდა... სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა... თვინიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად“.

ფეოდალური ხანის ბოლო საუკუნეების ნაგებობები გაცილებით მეტია შერჩენილი, ვიდრე წინა საუკუნეებისა, მაგრამ მათი უდიდესი უმრავლესობა ნანგრევებს წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით ითქმის საცხოვრებელ სახლებზე, სასახლეებზე, სიმაგრეებსა და სხვა სამეურნეო ნაგებობებზე. ამას ისიც ემატება, რომ ჩვენმა ახალგაზრდა ხელოვნებასმცოდნეობამ ჯერჯერობით ვერ მოასწრო ყველა სახეობის ნაგებობათა შესწავლა, მათი განზოგადება.

სიმაგრეთა, სათავდაცვო არქიტექტურის თავისებურებებს XV საუკუნიდან, ისე როგორც მთელს მსოფლიოში, განსაზღვრავდა ცეცხლისმსროლელი იარაღის გაჩენა და გავრცელება. არქიტექტურაზე ამ ახალი ტექნიკის გავლენა საქართველოში განსაკუთრებით შეიმჩნევა XVI საუკუნიდან. ერცვლდება ჯერ სათოფეები, შემდეგ კი – სახარბაზნეები, ხოლო ადრე გავრცელებული სალოდეები სახეს იცვლიან.

რაც შეეხება საშენ მასალად საკულტო ნაგებობებში ადრე გამოყენებულ თლილ ქვას, იგი ხშირად ნატეხი ქვით იცვლება, მაგრამ ძირითადად მაინც პირველი რჩება.

ამ ხანაში აგურის გავრცელებაც ქვეყნის ეკონომიკური დასუსტების შედეგი გახლდათ.

საკულტო ხუროთმოძღვრება

როგორც აღვნიშნეთ, საქართველო XIII-XV საუკუნეებში აუწერელ მდგომარეობაში იყო. მაგრამ XVI საუკუნეში სიტუაცია უკეთესობისაკენ იხრება. კულტურის მთელ ფრონტს გამოცოცხლება ეტყობა. განსაკუთრებით ეს ითქმის პოეზიაზე. ამ ეპოქაში მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი პოეტები, როგორებიც იყვნენ თეიმურაზ I, არჩილ მეფე, დავით გურამიშვილი, ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი) და სხვები. მონღოლების ბატონობის დროინდელი „ჩაუარდნების“ შემდეგ, ახალი აღმავლობა ამკარად შეიმჩნევა ხუროთმოძღვრებაშიც, ფრესკულ მხატვრობაშიც, ხელნაწერი წიგნის მინიატურაშიც, ოქრომჭედლობაშიც და სხვა.

შენდება მრავალი დიდი და პატარა ნაგებობა, მათ შორის საკულტოც. მაგრამ ეს ნაგებობები, როგორც ხელოვნების ნიმუშები, შორსაა ადრეული პერიოდების მაღალი დონის ქმნილებებისაგან. აღსანიშნავია ისიც, რომ საოცარმა ბრძოლისუნარიანობამ და გამჭრიახობამ ქვეყანას შეუნარჩუნა ეროვნული მსოფლიანობა კულტურის ფართო მასშტაბით.

ფეოდალური საქართველოს სამი უკანასკნელი საუკუნე სავსეა მძაფრი პოლიტიკური სიტუაციებითა და, ცხადია, ყოველი მისი მონაკვეთი ერთნაირი ვერ იქნებოდა. ეს გამოვლინდა როგორც არქიტექტურული სტილის ცვლილებებში, ისე

საშენ მასალაშიც. პირველი მიმართულებით სველში გეცემათ ტაძრის ახიფლობა, ხოლო მასალის გამოყენების მხრივ თლილი ქვის გვერდით აგურის გამოყენების სიუხვე.

ტაძარსა ფასადების მორთულობის მხრივ შესამჩნევია კომპოზიციური გადაწყვეტის ნაწილობრივი აღორძინება. კერძოდ, ასეთი ელემენტებიდან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს თაღედის აღორძინება. მართალია, იგი არ არის ისეთივე სისხლსაესე, როგორც იყო XI-XII საუკუნეებში, მაგრამ ფასადების მორთულობის წამყვან ელემენტად კი იქცა. ასეთი გადაწყვეტის კარგი მაგალითებია ანანური, გრემი და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XI საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებულმა ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრის ტიპმა რვა საუკუნე იარსება და არაერთი შედეგრი შექმნა. ცხადია, ამ ტიპმა თავისი არსებობის გრძელ გზაზე მრავალი ცვლილება განიცადა. მაგრამ მისთვის დამახასიათებელი ძირითადი მხარეები – ცხოველხატულობა, მრავალფეროვნება და სხვა შეინარჩუნა.

ვინ არ მოუხიბლავს ამ ეპოქაში შექმნილ ტაძრებს, მთის წვერზე კომპოზიციის დამაგვირგვინებელი, თუ ხეობის ლანდშაფტში მოხდენილად ჩაწერილი ეს ძეგლები ჩვენი ეროვნული სიამაყეა.

ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრები

ახალი შუამთა მდებარეობს თელავიდან სამხრეთით რამდენიმე კილომეტრზე. ადგილი გაშლილია და გუმბათოვანი ტაძრისა და სამრეკლოს სილუეტი შორიდან მოჩანს. ესოში მდიდარი მონასტრის მრავალი საინტერესო ნაგებობაა. ტაძრის ზუსტი თარიღი არაა ცნობილი. მისი აგება დაკავშირებულია ლევან კახთა მეფის მეუღლის თინათინის სახელთან. მას ტაძარი უნდა აეგო XVI საუკუნის 30-იან წლებში (სურ. 273-276).

ტაძარი დიდი ზომის ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა გარშემოსაველით. იგი ეკლესიას სამი მხრიდან უელიდა და საინტერესო გადაწყვეტა ჰქონდა, მაგრამ დღემდე მოაღწია მხოლოდ აღმოსავლეთის სამლოცველოებმა. ეკლესიის შიდა სივრცის შემქმნელია ჯერის მკლავები, მათ გადაკვეთაზე აღმართული გუმბათით. აქ, ადრეულ ეპოქასთან შედარებით, შესამჩნევია ზესწრაფვა. ქვედა კორპუსი და გუმბათის ყელი ატყორცნილია. ეკლესიის აღმოსავლეთის მხარე, ცენტრი და გვერდითი სათაესები აფსიდებით მთავრდება. ჯერის დასავლეთის მკლავი გვერდით გრძელ ნაეებს შეისრულია მოხატულობის დაბალი თაღებით უერთდება. ეკლესიის გვერდითი კარებიც აქვეა, ნაეების სივრცეში. დასავლეთის კარი კი, როგორც ჩვეულებრივ, ცენტრშია. განათების ძირითადი წყარო თითო დიდი სარკმელი-ჯერის მკლავებში და რვა სარკმელი გუმბათში.

ინტერიერის კედლები ძეგლის სანადროული ფრესკული მხატვრობითაა

დაფარული. მხატვრობა საინტერესოა, იგი შედარებით კარგადაა დაცული.

ტაძარი გარედანაც მაღლა ატყორცნილია. თავდაპირველად, როცა მას გარშემოსა-
ვლელი ახლდა, სვეთსკენ სწრაფვა ასე შესამჩნევი არ იქნებოდა.

ეკლესია აგურითაა ნაგები და თავიდან ცისფრად მოჭიქული კრამიტით ყოფილა
გადახურული. აგურისფერი ცისფერთან საამო შესახედავი იქნებოდა. გასულ საუკ-
უნეში, როგორც სხვა ტაძრები, ისიც, სინოდის მითითებით, კირის ხსნარით
შეუთეთრებიათ, ხოლო დეკორი წითელი საღებავით გამოუყვიათ. ასეთმა აფერად-
ებამ ფასადებს მიმხიდველობა მთლიანად დაუკარგა.

ფასადების მორთვა აგურის შესაფერია. აქ მხოლოდ ხაზებით გამოყოფილი
ფორმებია. ფასადსა საერთო მორთულობაში, როგორც საერთოდ ამ ეპოქის ძეგლებზე,
ეხედავთ ერთგვარ რემინისცენციებს. აქ, პირველ რიგში, ვგულისხმობთ თაღებით
მორთვის ადღგენას. ცხადია, ეს ზოგადი მსგავსებაა, თორემ ისე, ახლებურადაა იგი
გადაწყვეტილი. ქვედა კორპუსზე გამოყენებულია პილასტრებზე დაყრდნობილი შეის-
რული თაღები. ზოგ ადგილებში თაღი სწორკუთხედშია ჩასმული. ასეთ დეკორატი-
ულ ელემენტებს გვიანი საუკუნეების ოსტატები იყენებენ ჭრჭრების, თახჩების,
ნიშების, ბუხრების თაღებზე. ასეთი დეკორატიული ელემენტები, ცხადია, ირანული-
დან „მონაბერია“.

ქვედა კორპუსის ფასადებზე აგურის წყობით გამოყვანილი დიდი ზომის
„გოლგოთასის“ ჯერებია. ჯვარი თავიდან ასე მკვეთრად გამოყოფილი არ იქნებოდა,
მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი წითლად შეღებეს, მეტად უხეშად გამოიყურება.

ფასადებზე ადრეული საუკუნეების კიდევ ერთი დეკორატიული ელემენტია
გაცოცხლებული. ესაა შენობის შემადგენულ მასებზე, სახურავების ზემოთ
გამოყვანილი თაღები. ასეთი დამუშავებას პირველად ვხედავთ XI ს-ის სამთავროში,
შემდეგ კი გელათში. მხოლოდ, მათგან განსხვავებით, აქ თაღები სწორკუთხედებშია
ჩასმული.

მაღალი გუმბათი რეაწახნაგაა. წიბოები და ზედა უჯრედები დამუშავებულია
ლექალური აგურით გამოყვანილი ლილეებით. აეთი სარკმლები კი თაღებითაა
შემოფარგლული.

გრემი. საქართველოს ერთიანობის რღვევის პერიოდში, 1466 წ., კახეთის სამეფო
გამოეყო, მისი დედაქალაქი გახდა გრემი, რომელიც მდებარეობს მდ. ინწობას
მარჯვენა ნაპირზე. მის ცენტრში მდებარე გორაზე საოცრად კონტრადაა შერწყმული
მთავარანგელოზთა ტაძარი, სამრეკლო და გალავანი. ეს ნაგებობები მთასთან
სრულყოფილადაა შერწყმული. იშვიათად შეგხვდებით ასეთი ერთიანი, შთაბეჭდავი
კომპოზიცია (სურ. 272-279).

გრემის ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრის შიგნით, დასავლეთის კედელზე,
ეკლესიის მოდელით ხელში, გამოსახულია „მეფე ლეონ აღმაშენებელი“. კარის
არქიტრაფზე განლაგებული ბერძნული წარწერითა და ისტორიული მონაცემების
შეჯერებით, დგინდება, რომ იგი აგებულია 1565 წ.

გრემი და შუამთა ლეონის მეფობის სხედასხვა მონაკვეთშია აგებული. მათ
შორის სამი ათეული წელია განსხვავება. გრემის ხუროთმოძღვარს ეკლესიის გარე

„ზომები თათქმის იგივე აუღია, რაც შუამთას ჰქონდა, მაგრამ სიმაღლისათვის დაუკ-
ვლა. ამან კი ტაძარს პროპორციები უკეთესობისაკენ შეუცვალა.

ეკლესიას შიგნით სასიამოვნო პროპორციები აქვს. მხატვრობით დაფარული
კედლები საკმარისად არის განათებული გუმბათის რუა სარკმლით და წყვილ-
წყვილი სარკმლებით სამი მხრიდან. საკურთხეველში კი მხოლოდ ერთი სარკმელია.
რაც შეეხება კარებს, აქ ოსტატი არღვევს ტრადიციას და ორი მათგანი მოთავსებუ-
ლია გვერდით მკლავებში, დასაეღეთისა კი ისევე ცენტრშია. ერთი და იმავე ეპოქის
კახეთის ტაძრებში კიდევ ერთი მიდგომა შეიმჩნევა, რომელიც, შეიძლება, შუამთის
ოსტატმა დანერგა. ესაა გუმბათქვეშა საყრდენების ცილინდრული ფორმა, რაც
გვხვდება გრემში, შიხიანში, ჭიკაძისა და ალვანში.

ტაძრის გარე მასები სასიამოვნო პროპორციებისაა. ფასადები, კახეთის მეფეების
ლევანისა და ალექსანდრეს მიერ კახეთში დაახლოებით 50 წლის განმავლობაში
აგებული შუამთის, გრემისა და შიხიანის ტაძრების მსგავსად, ერთი სტილისტიკუ-
რი თავისებურებითაა დამუშავებული. სამივეგან ფასადები თაღოვანი არეებითაა
დამუშავებული. ასრული ფორმის თაღები ხშირად ოსხკუთხედშია ჩასმული.
მორთულობაში დომინანტის როლს ასრულებს დიდი ზომის ჯვრები. დამატებით
შეიძლება ვახსენოთ გრემსა და შიხიანში დასაეღეთის პატარა თაღების მწკრივი,
ერთგვარობა ჩანს სამივე ძეგლის გუმბათის მორთუებაშიც.

რეაწახნაგა გუმბათის ზედაპირი შეისრული თაღებითაა დამუშავებული, ხოლო
საღებსა და კარნისს შორის ზედაპირი სწორკუთხედებადაა დაყოფილი. მასალად
გამოყენებულია აგური, ზოგან ყორე ქვა. ამას ემატება კახეთისათვის
დამახასიათებელი ერთი თავისებურება – მორთულობის სიმწირე.

ანანურის ტაძარი ფეოდალური საქართველოს ბოლო პერიოდის
გამორჩეული ძეგლია. მასზე დიდი და მაღალმხატვრული ნაგებობა სხვა არ შექმნილა.
იგივე თათქმის თვით ციხე-დარბაზზე – არაგვის ერისთავთა რეზიდენციანზე. იგი
ერთადერთი ძეგლია, რომელმაც ასე მთლიანობაში მოაღწია ჩვენამდე. იგი ქართული
ფორტიფიკაციის ნიმუშია (სურ. 280-285).

ანანური მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზაზე, თბილისიდან სამოციოდე
კილომეტრზე, მდ. არაგვის მარჯვენა მხარეს, პატარა მდინარე ვეძათხევის
შესართავთან.

ციხე-დარბაზის ციტადელის მთავარ ძეგლს დიდი ზომის ცენტრალურ-
გუმბათოვანი ტაძარი წარმოადგენს. მისი სამხრეთის ფასადის ვრცელი წარწერა
გვამცნობს, რომ ტაძრის აგება 1689 წ. დაუმთავრებია მეფის მსაჯულთუხუცეს
ბარძიმს, არაგვის ერისთავის გიორგის ძმას. იმავე წარწერაში ბაღსარაშვილი
ქაიხოსრო „სარქვად“, ანუ ზედამხედველად იხსენიება. შესაძლოა, იგი იყოს ტაძრის
აქტორ-ხუროთმოძღვარიც.

ანანურის ტაძარი საქართველოს გვიანი საუკუნეების საუკეთესო ნაგებობაა, იგი
ზომებითაა სხვა ტაძრებს სჭარბობს. მისი ინტერიერი ვრცელია, შიგ მყოფს
საიესოფლად შეუძლია სუნთქვა. ოსტატი ამას აღწევს ჯვრის მკლავების სიღანის
გაზრდით. განათებაც საკმაოდ დიდ როლს ასრულებს. ამ მხრივ განსაკუთრებით

აღსანიშნავია გუმბათის 16 სარკმელი. ასეთი რაოდენობა სარკმლებისა არაა დამახასიათებელი ქართული გუმბათოვანი არქიტექტურისათვის, მაგრამ ზოგჯერ მაინც გვხვდება (გელათი).

საკურსხეელის გვერდითი კომპარტიმენტები ორსართულიანებია. მეორე სართულზე ასასვლელი კიბეები შიდა კედლებშია მოქცეული. ტაძრის შესასვლელიები გვერდით კედლებში ნაეების არეებშია მოთავსებული. ამ შემთხვევაშიც ავტორი იცავს ცხოველხატული სტილის დროს შემუშავებულ მიდგომას. დასაველეთი ეკლესიას კარი არ გააჩნია, რადგან გარედან ახლოს იდგა ადრე აგებული კოშკი. შიდა კედლები თავიდანვე ფრესკული მხატვრობით ყოფილა დაფარული. მისი დიდი ნაწილი შეეწირა 1739 წელს შემოსეული ლეკების მიერ განადგურებულ ხანძარს. გადარჩენილია ფრესკის მცირე ფრაგმენტები.

ეზოში გალავანი ყოველი მხრიდან ახლოსაა, ამიტომ ტაძრის ნახვა ერთიანად ვერ ხერხდება. ტაძარი მაღალი მთის კონცხზე დგას, ამიტომ მისი აღქმა შეიძლება მხოლოდ შორიდან – სხვადასხვა სიმაღლიდან.

ტაძრის ფასადები თლილი ქვის კვადრებითაა შემოსილი. ხუროთმოძღვარს ნაგებობა მაღალ დონეზე აქვს მორთული. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს ფეოდალური საქართველოს უკანასკნელი გაბრწყინებაა.

ზემოთ განხილული კახეთის ძეგლების მსგავსად, აქაც ფასადების მორთვის ძირითადი ელემენტი თაღებია, მაგრამ უფრო გამარტივებული, ვიდრე ეს იყო XI-XII საუკუნეებში. ოთხივე ფასადის ცენტრებზე მაღალი და განიერი თაღებია, ხოლო განაპირებში – სწორკუთხედები. მორთვაში მას მოსდევს ჯერები, რომლებსაც ოთხივე ფასადის ცენტრალური ღერძები აქვთ მოკავებული. თითოეული ჯვარი დამოუკიდებლადაა დამუშავებული. შედარებით ვიწრო ჯვრებია აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, ხოლო სამხრეთით და დასავლეთით – განიერი და მძლავრი. ფასადებზე მრავლადაა ჩუქურთმა და რელიეფები, რომელთა ხარისხი მაღალია. უკანასკნელი სამი-ოთხი საუკუნის განმავლობაში რელიეფსა და ორნამენტს ასეთი გამომსახველობისათვის არ მიუღწევია. ანანურის ძეგლი სწორედ ამით ფასდება. მაგრამ აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ იგი, XIV ს-ის „ჩაყარდნის“ შემდეგ, ადრეული საუკუნეების სიმაღლემდე ვერ ავიდა.

ანანურის ავტორმა არა მარტო ფასადების თაღებით დამუშავებაში მიბაძა შორეულ წინაპრებს, არამედ ბევრ სხვა რამეშიც. კერძოდ, აღადგინა აღმოსავლეთის ფასადის ცენტრალური ღერძის დამუშავება, რომელიც XI საუკუნეში სამთავისის ოსტატმა დაამკვიდრა. მართალია, მას ძველი სრულყოფილება აკლია, მაგრამ თავისი ეპოქის პირშია.

ანანურის ავტორს განსაკუთრებით მოურთავეს სამხრეთის ფასადი. ფასადის ქვედა ზოლზე პორტალი მრავალფეროვნადაა მორთული, მაგრამ ამ სიბრტყობრივობისაგან განსხვავებით, ზედა ნაწილი საოცრად აქოჩრილია. აქ ყველაფერი ფაშფაშაა. განსაკუთრებით გამოყოფილია ფარსომკლავებიანი ჯვარი, რომელიც გველემპს თრგუნავს. ამ „საშინელების“ ზემოთ ოსტატი ქმნის კონტრასტს – ტოტებამილი ზეს გვერდებიდან ხარირეში და ფურირეში კორტნის.

ჯერის ორივე მხარეს, მთავარანგელოზების ზემოთ, აღმართულია მრავალფეროვნად მორთული ვახები ცხოველების რელიეფების ჩართვით. ვახის ერთი გამოსახულება დასავლეთითაცაა, მაგრამ ის უფრო მარტივია. ამ ქანების ავტორი საწყისს აშკარად სეკტიცხოველის რელიეფიდან იღებს, მაგრამ იგი შორსაა იმ მხატვრულობისა და ლირიკულობისაგან, რომელიც XI საუკუნის ოსტატმა ჩააქსოვა თავის ნახელავს.

მათ გარდა, ანანურის ფასადებზე მრავალი რელიეფი და ჩუქურთმაა, ისინი მთლიანად გვიანი საუკუნეებისათვის შეუდარებელი არიან.

ღარგვისი მღებარეობს ქსნის ხეობის ზედა წელში. მონასტერი განლაგებულია ქსნისა და ჭურათის წყლის შეერთებისას შექმნილ კონცხზე. ამ პუნქტს დიდი ისტორია აქვს და მას ჩვენ სხვაგან ვეხებით, აქ კი გვინდა განვიხილოთ ანსამბლის მთავარი ძეგლი, ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარი.

ღარგვისი კარგა ხნის განმავლობაში ქსნის ერისთავთა რეზიდენციას და საძვლეს - საგვარეულო სამარხს წარმოადგენდა (სურ. 286, 288, 289).

ღარგვისის წმ. თეოდორეს დანგრეული ეკლესიის ადგილზე დავით ქსნის ერისთავს ახალი ეკლესია აუგია 1759 წ. შენობამ დღემდე კარგად მოაღწია.

ტაძრის სწორკუთხა გეგმა ჩვეულებრივზე გრძელია. იგი ფერდობთან ახლოს დგას. შესასვლელი მხოლოდ სამხრეთით და ჩრდილოეთით აქვს. შიგნით შენობის ქვედა ნაწილის პროპორციები დაბალია, ხოლო გუმბათის ყელი - მაღალი. მათი შეფარდება თითქმის ერთი ერთზეა, მაშინ, როდესაც ძეგლების უმრავლესობაში ქვედა სიმაღლე სჭარბობს ზედას.

ეკლესიის ცენტრი და აღმოსავლეთის მხარე ჩვეულებრივია, ხოლო დასავლეთის მკლავი შესამჩნევად გრძელია. იგი გვერდით ნაგებს ორ-ორი მაღალი თაღით უერთდება.

ეკლესიის ცენტრში აღმართული გუმბათი, ჩვეულებისამებრ, საკურთხეველის კუთხეებსა და დასავლეთის ორ სეეტს ეყრდნობა. გუმბათქვეშა კვადრატისგან გუმბათის წრეზე გადასვლა ხდება აფრული წესით, მაგრამ, როგორც ეს ხშირად გვხვდება გვიან საუკუნეებში, აფრაზე ტრომპებია გამოყვანილი. ცხადია, აქ ტრომპს კონსტრუქციული დანიშნულება არა აქვს. გუმბათის საყრდენებისა და სხვა სეეტების წიბოები პროფილირებულია. ჯერის მკლავების გადამხური კამარები და ყველა კონსტრუქციული თაღი ისრული მოხაზულობისაა.

ინტერიერი ქვედა სამ მკლავსა და გუმბათში დატანებული ასი სარკმლით ნათდება. ქვედა კორპუსის კედლებში განლაგებულ სარკმლებს ორიგინალური გადაწყვეტა აქვთ. ეს ორიგინალობა გამოიხატება იმაში, რომ სარკმელს ზემოთ და ქვემოთ ერთნაირი თაღოვანი მოხაზულობა აქვს. ასეთი არქიტექტურული ფორმა სხვაგან არ გვხვდება.

საკურთხეველის გვერდებზე ორსართულიანი სათაესებია. ქვემოთ სამკვეთლო და საღიაკენეა, ზემოთ კი - სამალაეები. შესასვლელი მხოლოდ ჩრდილოეთის ჭერშია, საიდანაც მაღალი ტალანით შეიძლება გადასვლა სამხრეთის სათაესში. ტალანსა და ამ სათაესებსაც სათოფეებიც გააჩნიათ, ეს გასაგებიცაა, რადგან იმ პერიოდში, დიდი შიშანობის დროს, ყველა შენობა დაცვას უნდა დაქვემდებარებოდა.

ეკლესიის ფასადები მარტივია. ფასადები მცირედ დამუშავებული ყორე ქვითაა ნაშენი. მხოლოდ წიბოები, კარნიზი და გუმბათის ყელია შემოსილი თლილი ქვით. ფასადების ბრტყელ ზედაპირზე მხოლოდ რამდენიმე სარკმელი და კარის პორტალებია მორაული. მორაულობა შედარებით მარტივია. ჩუქურთმა შესრულებულია დაბალი კვეთით, ღუნედ. მცენარულ მოტივში ნახატის სიმკვეთრე დაკარგულია. ყველაფერი ეს ამ ეპოქისთვისაა დამახასიათებელი.

ქვედა კორპუსთან შედარებით გუმბათის ყელი უკეთ არის მორთული. ათწახნაგა გუმბათი ლილვებისაა გამოყოფილი. ასევე ლილვები შემოუყვება მალაღ და წერილ სარკმლებს. ეკლესიის ყველა სახურავი ლორთინისაა.

სხვა სახის ბუნებრივი ეკლესიები

XVI-XVIII საუკუნეებში ძირითადად ორი ტიპის ეკლესიები იყო გაერცელებული. პირველი და მთავარი იყო ცენტრალურ-გუმბათოვანი, ხოლო მეორე – დარბაზული. თითოეულ მათგანს განვითარების ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. საერთოდ, რთული სიტუაციის დროს, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული სახის ეკლესიები ჩნდება. მაშინ ერთგვარად ჩანს საერთო ორბიტიდან გასვლის სურვილი, მაგრამ ამისათვის შემოქმედებითი ძალი არ ჰყოფნიდას, ამიტომ ზოგჯერ რემინისცენციას ჰქონდა ადგილი.

ერთი შეხედვით, ეს ეკლესიები ტიპით თითქოს უახლოვდება „კუპელ ჰალეს“, ანუ გუმბათოვან დარბაზს, მაგრამ მთლიანად არა, რადგან როდესაც ეს ტიპი იყო გაერცელებული (VIII-IX სს.), გუმბათი ეყრდნობოდა გვერდითი კედლებიდან ორ-ორ შეერიდს, აქ კი სათაო შეერილია, ხოლო მეორე წყველ შეერილად საკურთხევის კუთხეებია გამოყენებული. მოკლედ, ეს არ არის ჩამოყალიბებული ტიპი, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენიმე მსგავსი ეკლესია აშენდა.

ამოტივტივდა „თაეისუფალი ჯერის“ თემაც. მისი ნიმუშები დასაველეთ საქართველოშია. ესენია: ტყვირი (სამეგრელო), ქორეისუბანი (გურია), საქარის „გულბანდიანი“ და სავანის „გიორგისეული“ (ორივე იმერეთში).

მაგალითები შეიძლება მეტიც მოვიტანოთ, მაგრამ ესეც საკმარისია იმის დასტურად, რომ ამ მიმართულებით ახლისა და საინტერესოს შექმნა ვერ მოხერხდა. ესენი რიგითი ძეგლებია, მაგრამ ეპოქის მრავალფეროვნების საჩვენებლად მანც განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს.

ასეთი ძეგლებიდან „ორმოცთა“ ეკლესია და თბილისის „ჯვარის მამა“ XVI საუკუნეს განეკუთვნებიან.

კოჯრის „ორმოცთა“, ანუ ორმოც სებასტიანელ მოწამისადმი მიძღვნილი ეკლესია დგას კოჯრის აღმოსავლეთით, ქორაოლის ციხის სიახლოვეს, დაბურულ

1. „ჯვარის მამაში“ იგულისხმება იერუსალიმის ჯერის მონასტრის წინამძღვარი. ეკლესიას ეს სახელი მიტომ შეუქმნია, რომ იგი იერუსალიმის საპატრიარქოს ეკუთვნოდა და იქაური ქართველი ბერების მეტოქე, ანუ ფილიალი იყო.

ტყეში. იგი მთლიანად აგურით კოხტად ნაგები ეკლესიაა. თავდაპირველად ერთ სწორკუთხედში შეკრული შენობა იყო, შემდეგ კი სამხრეთით მინაშენები გასჩენია. ინტერიერში აქცენტია გადატანილია ცენტრზე. სადაც გუმბათი საკურთხეველის კუთხეებსა და დასაველეით გვერდითი კედლების შეკრილებს ეყრდნობა. საკურთხეველი აფსიდისა და გვერდითი სწორკუთხა სათავსებისაგან შედგება. კარი სამხრეთითა და დასაველეთით აქვს, ხოლო განათებისათვის თითო სარკმელია ყოველ მხარეს. რვა სარკმელია გუმბათში. შიგნით ყველა თალი, გუმბათიანად, ისრული ფორმისაა.

ეკლესია გარედან სასიამოვნო პროპორციებისაა, ნაგებია აგურის ზუსტი წყობით. თაღებზე სპეციალურად გამოიწვარი ლეკალური აგურია გამოყენებული (ეკლესიის სამხრეთის კარის ხის კოჭზე შერჩენილია დაზიანებული ასომთავრული წარწერა). თბილისის „ჯვარის მამა“¹ დგას ლესელიძის ქუჩაზე, ძველ უბანში (სურ. 287). იგი, „ორმოცა“ ეკლესიასთან შედარებით, ვიწრო და გრძელი შენობაა. ინტერიერის ცენტრს აქაც გუმბათქვეშა სივრცე წარმოადგენს. გუმბათი ეყრდნობა საკურთხეველის კუთხეებს და დასაველეთით გვერდითი კედლების შეკრილებს. საკურთხეველი შედგება ღრმა აფსიდისა და გვერდითი სათავსებისაგან. განათება გუმბათიდან და ყოველ მხარეს განლაგებული თითო სარკმლით ხდება. კარი მხოლოდ დასაველეთით იყო. მისი გაგანიერებით აქ რაული მინაშენი გაჩენილია.

ეკლესია გარედან მწყობრად ნაშენის შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც ცნობილია, აგური მორთუვის მრავალფეროვნების საშუალებას არ იძლეოდა, ფასადებზე ჯერებია გამოყვანილი, ხოლო თორმეტწახნაგა გუმბათი აქაც თაღედითაა შემოფარგლული.

ტყვირისა და ქორეისუბნის ეკლესიები. „თავესუფალი ჯვრის“ ტიპის ადრეული ნიმუშია ჭილაძეთა ყოფილ მამულში მდგარი ეკლესიები. მათგან ტყვირის ეკლესია აგებულია XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე. დაზიანების შემდეგ იგი აღადგენიდა XV საუკუნის ბოლოს (სურ. 290, 291). მდინარე რიონის მარცხენა მხარეს დგას ქორეისუბნის, ანუ ქორეთის უბნის ეკლესია. იგი აგებულია XV საუკუნის ბოლოს შედარებით ჭილაძისა და მისი მეუღლის კანდაკეს მიერ. ორივე ძეგლის კედლებზე მრავალი, მეტად საინტერესო წარწერა და მორთულობაა. მორთულობა თავისი ეპოქის დამახასიათებელ სახეს ატარებს, მასში შეიმჩნევა დადმავლობა. ამიტომ იგი შორსაა ადრეული ძეგლების მიმზიდველობისაგან.

საქარის „გულბანდიანი“ (ზესტაფონის რ-ნი) მცირე ზომის კოხტა ნაგებობაა. მან შედარებით მთლიანად მოაღწია დღემდე (სურ. 292, 293).

ეკლესიის გეგმა შიგ და გარეთა ჯვარია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შიგნით ოთხი მკლავიდან მხოლოდ საკურთხეველია აფსიდალური, ხოლო გარედან ოთხივე სწორკუთხაა. გუმბათი ჯვრის მკლავების კუთხეებს ეყრდნობა. განათება გვერდითი კედლებიდან და გუმბათიდან საკმაოა, შემოსასვლელი დასაველეითიდან და ჩრდილოეთიდანაა.

ეკლესია გარედან პატარა, კოხტა ნაგებობაა. როგორც შიგნიდან, ისე გარედან თლილი ქვითაა შემოსილი. ფასადებზე კარ-სარკმლები მცირეააა მორთული. ეკლესია XV ან XVI საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

განხილულ ეკლესიასა ტიპი, ე.წ. „თავისუფალი ჯვარი“, სათავეს იღებს ჯერ კიდევ V საუკუნეში (ხეგანი), ვითარდება VI საუკუნეში (იძლეოთ, შიომღვიმე), ხოლო სრულყოფას აღწევს VII საუკუნის 30-იან წლებში. სრულყოფილების ნიშნებს სამწვერისი წარმოადგენს. მისი ინტერიერი და ექსტერიერი ყველა დეტალით ჰარმონიულია.

ეს ტიპი, სახეცვლილებებით, შემდეგშიც აგრძელებს ცხოვრებას, მაგრამ X საუკუნის შემდეგ იგი კარგა ხანს არ გვხვდება. ბოლოს, როგორც ვნახეთ, იგი XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე ისევ გამოდის არენასე, მაგრამ ადრეულ სიმაღლეებს ვერ აღწევს.

ღარბაზული ეკლესიები

გვიან საუკუნეებშიც გრძელდებოდა ღარბაზული ტიპის ეკლესიის მშენებლობა. მათი რიცხვი ასობითაა, განსაკუთრებით ქართლ-კახეთის სოფლებში. ამ ეპოქის ეკლესიების ტიპში ცვლილება არ მომხდარა, იცვლება მხოლოდ ეპოქალური სტილი. მართალია, უშუალოდ წინა ორ საუკუნესთან შედარებით, ფეოდალური ხანის ბოლო პერიოდში ხდება ხელოვნების ამოღლება, მაგრამ იგი შორსაა შუა ფეოდალური ხანის სიმაღლეებისაგან. აშკარად ჩანს სქემატურობა, მორთულობაში სიმშრალე და სხვა. ამ ეპოქის მრავალრიცხოვანი ეკლესიებიდან შევარჩიეთ მხოლოდ ორი.

სოფ. კოშკების „შალიკაშვილების ეკლესია“. სკრის ხეობის შუა წელში, მდინარის მარცხენა მხარეს, მთის ქიშხე მდგარი ძეგლი მრავალფეროვნების გამო შევარჩიეთ. აქ მდგარა X-XI საუკუნეების დიდი ზომის ეკლესია, მისთვის 1708 წ., ამ ხეობის მფლობელს, ედისერ შალიკაშვილს მიუშენებია ეკედერი კარიბჭით და მასზე დადგმული სამრეკლოთი. ცნობილია, რომ XVI ს-ში, მას, შემდეგ, რაც ტაოკლარჯეთის თურქეთმა მიიტაცა, იქედან არა ერთი ფეოდალი გადმოსახლდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. წამოსული შალიკაშვილების ერთი შტო გურიაში დამკვიდრებულა, მეორე – შუა ქართლში, კერძოდ, სკრის ხეობაში და მესამე – კახეთში.

ძეგლი მთლიანად დაზიანებულია, განსაკუთრებით ეს ითქმის თაედაპირველ ეკლესიაზე. მისგან დარჩენილია კედლები ორი-სამი მეტრის სიმაღლეზე. სამხრეთის კედელი კი კამარის დასაწყისამდეა გადარჩენილი. ეკლესიაში შესვლა სამი მხრიდან ხდებოდა. აფსიდის კედელზე შერჩენილია ფრესკის მცირე ფრაგმენტები, კანკელი აგურისაგან აუგიათ XVII საუკუნეში (სურ. 294).

როგორც აღვნიშნეთ, ამ ეკლესიაზე სამხრეთით 1708 წ. მიუშენებიათ ეკედერი სამრეკლოთი. ეკედერიც, ადრეული ეკლესიის მსგავსად, ღარბაზულია, მაგრამ პატარაა. მას შესასვლელი მხოლოდ დასაველეთიდან აქვს. შიგნით დარბაზი გადახურულია შესრული კამარით, რომელიც ცენტრში ეყრდნობა პილასტრებზე

გადასულ თაღს, აფსიდი კი კამარით მთავრდება. პილასტრებისა და კედლის თაღების კაპიტელები და ბაზისები არქიტექტურულად დამუშავებულია.

ეკლესიის რაღგან იგი ძველ ეკლესიაზეა მიდგმული, სამი ფასადი აქვს. ოსტატს თავის ეპოქისათვის დამახასიათებელი წყობა შეურჩევია – წითხლები თლილი ქვით, დანარჩენი კი ფლეთილი ქვით. ფასადების წიბოები ლილვებითაა დამუშავებული. მორთულობა აღმოსავლეთის ფასადზეა გამორჩეული. აქაა დიდი, ორნამენტირებული ჯვარი, რომელსაც მთელი ზედა მონაკეთი უკავია. სამხრეთის ფასადის სარკმელი მცირედაა აქცენტირებული, ხოლო დასავლეთისაზე მდიდრული პორტალია წარწერით და სხვა.

კარიბჭე ერთსა და იმავე დროს ორივე ეკლესიას ემსახურებოდა. იგი ორი მხრით ისრული თაღებითაა ღია. პილასტრები და სვეტი, ეპოქის შესაფერისად, მორთულია მცირე არქიტექტურული ფორმებით.

ქსოვრისი მღებარეობს მდ. ქსნის მარცხენა მხარეს, მუხრანსა და ახალგორს შორის. ფეოდალური ხანის ბოლო საუკუნეებში იგი აზნაურ რატიშვილებს ეკუთვნოდათ. სოფლის ცენტრში მღებარე ციხე-დარბაზი მათ მიერაა აგებული. ამ ანსამბლში პირველი ნაგებობაა პატარა ზომის დარბაზული ეკლესია. მის სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლებზე არსებული ვრცელი მხედრული წარწერიდან ვიგებთ, რომ იგი აგებულია 1712 წ., მეფე ვახტანგ VI-ის დროს, ზურაბ რატიშვილისა და მისი მეუღლის ანა სოლოლაშვილის მიერ. ეკლესია კარგადაა მოღწეული.

ეკლესია ქვით და აგურითაა ნაგები და საკმაოდ კოხტაა. მისი ინტერიერი ჩუქულბრია – კამარა ერთ საბჯენ თაღზე და ღრმა აფსიდი კონქით. ყველა შიდა თაღი ისრულია (სურ. 296).

ამ პატარა ეკლესიისათვის სამივე მხრიდან თითო კარი დაუტანებიათ, მას ერთი ცეკოფოდა. ეს ზედმეტობა მაშინვე შეუმჩნეველია და გვერდები ისე ამოუშენებიათ, რომ შიგნით ღრმა ნიშები გაჩენილა.

ფასადები პრეტენციოზულია. ეკლესია პატარაა, მაგრამ მორთვა არ დაუკლია ხუროთმოძღვარს. ფასადები, ამ ეპოქისათვის მიღებული დეკორატიული ხერხით, სწორკუთხედში ჩასმული ისრული თაღებითაა მორთული. მათ ემატება ჯვრები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადებზე, ორფერდა სახურავი კრამიტითაა გადახურული, კარნიზზე კი აგურის წყობაა კბილიანა განლაგებით.

სამრეკლოები (XIII-XVIII საუკუნეები)

ეკლესია-მონასტრებში მრეელისა და ბერ-მონაზონთა მიწვევა ლოცვაზე ადრეულ საუკუნეებში ხდებოდა რეკით. დაკიდებულ გამხმარ ხის ძეგლზე ურტყამდნენ ხისავე უროს. შემდეგში ხის ძელი შეიცვალა ლითონით, რომელსაც სასიამოვნო და მაღალი ხმა ჰქონდა და შორსაც ისმოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც გაჩნდა ლითონისენიანი ზარი, საჭირო შეიქნა მისთვის აგოთ სპეციალური ნაგებობა. სამრეკლო ეეროპაში

VIII საუკუნეში გაჩნდა, გავრცელება კი XI საუკუნიდან პოვა, იგივე ითქმის ბიზანტიაზეც. საქართველოში კი სამრეკლო XIII საუკუნიდან ჩნდება.

პირველი ასეთი სამრეკლო, რომელიც 1278 წლით არის დათარიღებული, დგას გუდარეხის მონასტერში. ამის შემდეგ, ცალკე მდგარი ეკლესია იქნებოდა ეს თუ მონასტერი, სამრეკლო აუცილებლად უნდა ხდებოდა.

XIII საუკუნიდან მოკადებული, სამრეკლოს ქარსული ვარიანტები ჩამოყალიბდა. ძირითადად სამრეკლოს ორი ტიპია გავრცელებული. ერთია კოშკური სამრეკლო, სადაც ქვედა ორი სარსული დახურული სათაესებია საცხოვრებლად და მცველებსათვის, ხოლო ზემოთ ყოველმხრივ ღია ფანჩატურია ზარების ჩამოსაკადად. მეორე ტიპია სამსარსულიანი ნაგებობა, რომელიც დგას ეკლესიის ან მონასტრის გალავანში. ამ შემთხვევაში მას ორი ფუნქცია აქვს. პირველია კამაროვანი გასასვლელი, რომელიც, ფაქტურად, ეხოს ჭიშკარს წარმოადგენს, ხოლო ზემოთ მოწყობილია სამრეკლო-ფანჩატური. ასეთ ნაგებობაში, ჩვეულებრივ, ქვემოთ ორსარსულიანი კუბური მასაა, ხოლო ზემოთ – ღია ფანჩატური. ქვედა კუბური მასა დიდი, ხოლო ფანჩატური პატარა, ამიტომ მას დგამენ სხვადასხვა ადგილას იმისდა მიხედვით, თუ როგორი კომპოზიცია მოერგება ადგილმდებარეობას. ერთი ვარიანტიც გვხვდება. ესაა ორსარსულიანი სამრეკლო, სადაც ქვედა კუბურ მასას, მცველის ოთახის გარეშე, ადგას ფანჩატური. ცხადია, ამ ორი ტიპის გარდა, არის სხვა ფორმებიც, მაგრამ ისინი ტიპად არ ყალიბდებიან.

სხვადასხვა ქვეყანაში სამრეკლოების დადგმის განსხვავებული წესია. ჩვენში სამრეკლო, როგორც წესი, ცალკე მდგარი შენობაა. იგი ჩარსულია გალავანში, ან ეხოში დგას. ეკლესიის კეზზე პატარა ფანჩატურის დადგმა, რუსეთის მსგავსად, საქართველოსათვის დამახასიათებელი არ ყოფილა.

გუდარეხის მონასტერი მდებარეობს ქვემო ქარსლში, დღევანდელი რაიონული ცენტრიდან – თეარის წყაროდან ჩრდილო-დასავლეთით, თითქმის ათ კილომეტრზე. რუსუდან დედოფლის (1222-1245 წ.) დეაწლით დაარსებულ მონასტერში, დიმიტრი თავდადებულის ჯვარის მტერთველს და შემდეგში საქართველოს კათალიკოსს, აბრაჰამს, 1278 წ. აუგია სამრეკლო (სურ. 297).

სამრეკლო გალავანშია ჩართული, რითაც იგი ჭიშკრის როლსაც ასრულებდა. კვადრატული გეგმის მქონე კუბურ მასაზე ცილინდრული ფანჩატურია დადგმული. კონტრასტული მასები სასიამოვნო პროპორციებშია შერწყმული.

სამრეკლო სამსარსულიანია. პირველი სარსული ისრულსადოვანი ჭიშკარია. მეორე სარსული მცველის სამყოფია, ხოლო მესამე – სამრეკლო. მეორე სარსულზე ასევე შეიძლება დასაველეთიდან, ეზოდან მიდგმული ქვის კიბით. იქვეა მცირე ზომის კარი. შიგნით კამაროვანი ოთახი ნათდება გათხრობით სარკმლით სამი მხრიდან, ხოლო მეოთხე, აღმოსავლეთის მხარეს, ორი სარკმელია. მესამე სარსული რვა თაღითაა გახსნილი და სამრეკლოს წარმოადგენს. მის გუმბათში დღემდე შემორჩენილია ზარების დასაკიდი ძელი. ზარის დასაკიდის კვალით თუ ვიშგვლებით, აქ სხვადასხვა ზომის ორი თუ სამი ზარი ყოფილა.

სამრეკლოს ფასადები კარგად თლილი ფერადი ქვითაა შემოსილი. მეორე

სართულის ყველა სარკმელი მორთულია. ამას ემატება აღმოსავლეთით, ცენტრში, მოხრდილი ჯვარი. ფანჩატურის თაღები ძირითადად ლილეებითაა შემკული.

ნიიოწმინდა მდებარეობს გარე კახეთში, თბილისიდან ორმოცდაათიოდე კილომეტრზე. VI საუკუნის საეპისკოპოსო კათედრალის ეზოში მდგარი სამრეკლოს აგება მიეკუთვნება XVI საუკუნის შუა ხანებს (სურ. 298, 301). იგი ოთხსართულიანი კოშკური ნაგებობაა. შედგება სამი დახურული და მეოთხე ღია სართულისაგან. კარი მხოლოდ პირველ სართულშია, დასავლეთიდან. პირველი და მესამე სართული სფერული გუმბათებითაა გადახურული, ხოლო მეორე სართული რვაგვერდა შეკრული გუმბათითაა გადახურული. სართულების მაკაემირებელი კიბე კედლის სისქეშია მოთავსებული. სამივე სართული სხვადასხვანაირადაა დაგეგმარებული, მაგრამ ყოველი მათგანი საცხოვრებლადაა განკუთვნილი. მათ კედლებში განლაგებულია თითო ბუხარი და სხვადასხვა ხომისა და ფორმის ნიშები. სამრეკლოსათვის განკუთვნილი ფანჩატური რვა თაღისაა გახსნილი და სფერული გუმბათითაა გადახურული.

გარედან ვიწრო, 20 მეტრი სიმაღლის სამრეკლო, კარგი პროპორციისაა. აგურით ნაგები სამრეკლოს მორთვა მთლიანად მასალისგან გამომდინარეობს. ჯვრები, ნიშები, რომები აგურის წყობისაა გამოყვანილი. ფანჩატურიც ასევეა დამუშავებული, მხოლოდ წიბოებზე ლილეები ლეკალური აგურითაა გამოყვანილი.

ახალი შუამთის მონასტერი თელავთან ახლოსაა. მისი დაარსება კახეთის მეფის ლეონის (1520-1574 წწ.) მეუღლის თინათინის სახელთანაა დაკავშირებული. დედოფალს თავისი საცხოვრებელი და სამრეკლო ერთ შენობაში გაუერთიანებია, ამიტომ იგი დიდია და მრავალნაწილიანი. დედოფალს იგი, ალბათ, თავიდანვე გამიზნული ექნებოდა თავის სამყოფად. მას შემდეგ, რაც დედოფალი იმავე საუკუნის შუა ხანებში მონიხნად აღიკვეცა, ეს შენობა ექნებოდა მისთვის მომსახურებლად და საცხოვრებელი (სურ. 273).

სამრეკლო ოთხსართულიანია. ქვედა სამი სართული საცხოვრებელია, ხოლო მეოთხე სამრეკლო. პირველი და მეორე სართული განსხვავებული გეგმის მქონე დარბაზებია, ხოლო მესამე საცხოვრებელია, სამი მხრიდან აივნებით.

პირველი სართულის დიდი და მაღალი დარბაზი, ალბათ, მისაღებს წარმოადგენდა. მას მთავარი პარადული კარი ეზოდან, დასავლეთიდან აქვს, ხოლო მეორე – აღმოსავლეთიდან. მეორე სართულიც ერთიანია, მაგრამ მას გვერდებზე სხვადასხვა დანიშნულების სათავსები ახლავს. შესაძლოა, იგი მისაღებად იყო განკუთვნილი. მესამე სართული, ფაქტურად, საზაფხულოა, რადგან აქ მხოლოდ ერთი პატარა ოთახია, დანარჩენ სამ მხარეს კი ღია, თაღოვანი აივანია. სართულების მაკაემირებელი კიბე აღმოსავლეთის კედელშია. მეოთხე სართულის სამრეკლოს რვაგვერდა ფანჩატური ყოველ მხარეს ვიწრო თაღებითაა გახსნილი.

კოშკი მიცხრამიტე საუკუნეში რუს ბერებს თავისებურად გადაუკეთებიათ და, ეკლესიასთან ერთად, კართი შეუღებიათ. ამ გადაკეთებამ სამრეკლოს დაუკარგა მხატვრულობა. მიუხედავად ამისა, მისი საერაო სახე მაინც იმპოზანტურია.

ანჩისხატის VI საუკუნის ეკლესიის დასავლეთით მდგარი სამრეკლო აგებულია დომენტი კათალიკოსის მიერ 1675 წ. სამრეკლო კუბური მასისა და

მასზე დადგმული ფანჯატურისაგან შედგება. ქუჩასა და ეკლესიის ეზოს შორის სიმაღლეა სხვაობის გამო, შიგნიდან სამრეკლო შესამინევად მაღალია (სურ. 302-304).

სამრეკლოს პირველი სართული განიერი სალოანია. გვერდებზე მცირე ზომის სათავსებია. მეორე სართული საცხოვრებელია. ერთი ოთახი სწორკუთხაა, ხოლო მეორე – რვაგვერდა. ფანჯატურზე ასასვლელად კიბე კედელშია ჩასმული. სამრეკლოს ვრცელ ბანზე, შედარებით პატარა ზომის რვაგვერდა ფანჯატური გვერდზეა დადგმული და არა ცენტრში. ეს კი განსაზღვრა მისმა გარეუთა ხედმა.

სამრეკლოსთვის ადგილი ისეა შერჩეული, რომ მისი ერთი მხარე ვიწრო ქუჩაზე გამოდის, ხოლო მეორე – პატარა მოედანზე. ხუროთმოძღვარს ეს გარემოება გაუთვალისწინებია და კუბური მასის ერთ კუთხეზე დაუდგამს ღია ფანჯატური. ეს შერწყმა მეტად მიმზიდველია, სხვა გადაწყვეტა ამ ადგილს ნამდვილად არ მოერგებოდა. სასიამოვნო კონტრასტია ქვედა კორპუსის აგურის ფერსა და ფანჯატურის ქვის ფერს შორის. ხუროთმოძღვარს ფასადებიც მოურთავს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიყოფა დასაყვლეთისა – მოედანზე გამავალი. აქ განიერი, დაბალი თაღი სწორკუთხედშია ჩასმული. გვერდებზე კი ორიარუსად ნიშებია განლაგებული. ნიშები შეისრული თაღით ისევე სწორკუთხედებშია ჩასმული. ასეთი მორთულობა, როგორც ნინოწმინდის სამრეკლოს ფასადებისა, ეპოქისათვის დამახასიათებელი ფორმებისაა დამუშავებული.

განხილული სამრეკლოების გარდა, მრავალი სამრეკლო საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზე. მათგან აქ მხოლოდ რჩეულები ვაჩვენეთ.

სამრო ხუროთმოძღვრება

გიან საუკუნეებში სამეფოებად და სათავადოებად დაყოფილი ქვეყანა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, უწყვეტად ომობდა მოჯარული მტრების წინააღმდეგ. ცხადია, ასეთ სიტუაციაში მასშტაბურ მშენებლობაზე ზედმეტია ლაპარაკი. მაგრამ რადგან ხალხი ცხოვრობდა, ცოტა-ცოტა ყველაფერი კეთდებოდა. სამწუხაროდ, ყველაფერმა, რამაც აქამდე მოაღწია, მხოლოდ ნანგრევების სახითაა.

განსახილველი დროის მონაკვეთში სამი სამეფო იყო. ქართლის მეფეს თბილისში ჰქონდა რეზიდენცია, იმერეთისას – ქუთაისში, ხოლო კახეთისას – ჯერ გრემში, შემდეგ თელავში. პირველ ორ პუნქტში სასახლეების კვალიც არ არის დარჩენილი, ხოლო გრემში სწორედ რამ კვალია დარჩენილი, თელავში შენობა კი დგას, მაგრამ მრავალგის გადაკეთებული.

ფეოდალთა სასახლეებმა, საერთო პოლიტიკური სიტუაციის გამო, ციხე-დარბაზის ჩამოყალიბებული სახე მიიღეს. მუდმივმა შიშინობამ ფეოდალები აიძულა საცხოვრებელი სიმაგრედ ექციათ. ასევე იქცევიან მღვდელმსახურნიც. ხალხი იძულებულია დაცვა დააკისროს არა მარტო ციხეს, არამედ სასახლეს, ეკლესიას

და წისქვილსაც კი. კახეთში, სადაც მევენახეობა-მეღვინეობას მთავარი ადგილი ეჭირა, მარანიც კი თაედაცვით შენობაში მოაქციეს.

სამეურნეო ნაგებობებიდან ყველაზე უკეთაა მოღწეული მეფეთა და ფეოდალთა საცხოვრებლებთან დაკავშირებული აბანოები. მრავალრიცხოვან ნანგრევებში აბანოს ტიპის დადგენა ხერხდება.

საცხოვრებელი სახლები

ათასი წლების განმავლობაში იცვლებოდა და ვითარდებოდა ქართველის საცხოვრებელი სახლი. სამწუხაროდ, სათანადო მასალის უქონლობის გამო, ამ ცვლილებების თვალის გადავლება შეუძლებელია. საქმე ის გახლავთ, რომ საცხოვრებელი სახლები მოცულობებით არ შემორჩენილა, ხოლო არქეოლოგების მიერ გამოვლენილი გეგმები მათზე მხოლოდ ცალმხრივ წარმოდგენას იძლევა, თანაც შემორჩენილი მასალაც იმდენად ფრაგმენტულია, რომ ერთიანი სურათი არ იქმნება.

„გლეხის დარბაზი“ საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი ტიპია, რომელმაც ათასწლეულებს გაუძლო და ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე მოაღწია. ესაა საცხოვრებელი სახლი, სადაც გადახურვისათვის საჭირო კონსტრუქციული გადაწყვეტა დედაბოძიანაა დაკავშირებული. ამ ტიპზე წერილობითი წყარო მოგვეპოვება ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან რომელი არქიტექტორისა და ისტორიკოსის ვიტრუვიუსის ნაშრომებში. აქ საუბარია ძველ კოლხურ სახლზე, რომელიც, ფაქტიურად, პროტოტიპია გლეხური დარბაზისა. ეს ტიპი, როგორც ირკვევა, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში იყო გავრცელებული და XX საუკუნის დასაწყისამდე აგებდნენ ამ ტიპის საცხოვრებლებს შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. ამ ადგილებში აღნიშნული ტიპის რამდენიმე ათეული სახლია ფიქსირებული და გამოქვეყნებული.

ამ ტიპს, ჩვეულებრივ, სამეცნიერო ლიტერატურაში გლეხის დარბაზს ეძახიან, რადგან იგი ძირითადად სოფლებში შენდებოდა. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი სახლები თბილისსა და ახალციხეშიც იყო აღრიცხული, კერძოდ, თბილისში აქამდეა დაცული ე. წ. ფორაქიშვილების დარბაზი.

დარბაზის შემცველი სახლი შეიძლება ერთნაწილიანი იყოს, მაგრამ არის მრავალსაათავსიანიც.

დარბაზი, ჩვეულებრივ, გეგმით კვადრატული ან სწორკუთხაა. მისი არქიტექტურული და კონსტრუქციული მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრი გადახურულია გვირგვინით, რომლის კოჭოვანი კონსტრუქცია ყვრდნობოდა გარე კედლებს და შუაზე მდგარ დედაბოძს. კვადრატად დაწყობილი კოჭები ყოველი ზედა საფეხურის ცენტრისაკენ წინ არის წაწეული და ბოლოს, ზემოთ განიერი ვრდოა დატოვებული. ამ ვრდოს ორი დანიშნულება აქვს: მასში ცენტრში მდებარე

კერიდან გადის კვამლი, ამავე დროს სინათლის ერთადერთი წყაროა (სურ. 305).

ღარბაზის კედლებში განლაგებულია თაროები და განჯინები. განჯინებისა და დედაბოძის ზედაპირი ჩუქურთმითაა დაფარული. ბევრი მათგანი ხესე კეფის იშვი-ათი ნიმუშია. სილამაზისა და სიმყუდროვის გრძობა მშრომელ გლეხსაც საკმაოდ ჰქონდა განვითარებული. თავისთავად შენობა, ჩვეულებრივ, ფერდობსეა მიდგმული და, სითბოს შენახვის მიზნით, სამი გვერდის მიწაშია შესული. თავისუფალი აქვს მხოლოდ ერთი მხარე – ფასადი, რომელზეც გამოდის შეერილ გვერდებს შორის მდებარე სვეტებიანი ღია აივანი.

ღარბაზი, ე. ი. გვირგვინიანი სახლი, არ არის მარტო ქართული მოცემა. მსგავსი კონსტრუქცია გვხვდება წინა აზიისა და აზიის ძველ ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ ღარბაზის გენეზისზე ბევრია დაწერილი, ჯერ კიდევ ჩასატარებელია სრულყოფილი გამოკვლევა.

ოდა სახლი. მეტად საინტერესო ჩანს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული და დღემდე მოღწეული ოდა სახლი, მაგრამ მისი გენეზისიც შეუსწავლელია და ამდენად ამ ტიპს არ შეეხებით.

საცხოვრებელი სახლის სხვა სახეები უკეთაა მოღწეული მთიანი საქართველოს ზოლში. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ მათში აშკარად ჩანს მრავალფეროვნება, რისი საფუძველიც ადგილობრივი კონკრეტული პირობებია.

ამ სახლითა უმრავლესობა ორ ფუნქციას ასრულებდა: პირველი და მთავარი იყო საცხოვრებელი ფუნქცია, ხოლო მეორე – თავდაცვითი. ასეთი შენობების წარმოშობა განპირობებული იყო საერთო პოლიტიკური სიტუაციით. იმ ეპოქაში საქართველოს არა მარტო დამპყრობი სახელმწიფოები აწუხებდა, არამედ კავკასიის მიუხედავად მცხოვრები ხალხები – ლეკები, ინგუშები, ოსები, ჩეჩნები და ასობით სხვა გადაბითიელი. მათ ქვეყნის დაპყრობის არც სურვილი და არც შესაძლებლობა არ ჰქონდათ. რისი წაღებაც შეიძლებოდა, მიჰქონდათ და ცოცხალსაც იტაცებდნენ. მოტაცებულ ადამიანს რომელიმე ბახარზე ყიდდნენ და ესეც შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო მათთვის.

კავკასიონის სამხრეთის ზოლში, თუშეთიდან სვანეთის ჩათვლით, საცხოვრებელი სახლების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებაა. მაგალითების მოყვანას დავიწყებთ სვანეთიდან.

ჩაუაშის ო. ნიჟარაძის სახლი ამ მხრივ კარგი ნიმუშია. კოშკი გვეგით კვადრატულია. სამი სართულიდან პირველი სამზადი და საქონლის სამყოფია, მეორე საცხოვრებელი, მესამე – თავდაცვითი და, შესაძლოა, საცხოვრებლადაც იყენებდნენ. სართულიშუა გადახურვა ხისა იყო. ერთადერთი კარი ჩრდილოეთითაა. მის წინ ქვის კიბეა ბაქსია. კედლებში, აღმოსავლეთის გარდა, თითო სარკმელია. საქონლისათვის ბაგა გამართულია აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლებთან. მეორე სართულის კედლებში თითო სარკმელია. აქამდე ამოსვლა კი ხის შიდა მუდმივი კიბით ხდებოდა.

მესამე სართულის სახურავი არაა გადარჩენილი, მაგრამ მას აქვს ერთი დეტალი, რომელიც ამ კოშკს განსაკუთრებულობას ანიჭებს. ესაა 80 სანტიმეტრით შეერილი სწორკუთხა სალოდე, რომელიც იცავდა პირველი სართულის კარს. თუ როდისაა

კოშკი სალოდეთი აგებული, ეს ძნელი გადასაწყვეტია. საქმე ის გახლავთ, რომ ბბარის საქართველოში თოფი XVI ს-დან იხმარებოდა, მაგრამ ცნობილი არ არის, თუ მან როდის ააღწია სენეკამდე. თეორიულად დასაშვებია, რომ ეს პროცესი ერთდროულად, ან მცირე დაგვიანებით მომხდარიყო. თუ ყველაფერი ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ეს სახლი თუ XVI საუკუნეში არა, XVII საუკუნეში მინც შეიძლება იყოს აგებული. შენობა კარგადაა შენახული.

ფხელშე. თერგის ხეობაში, სოფ. ფხელშეში რამდენიმე საინტერესო სახლის მნგრევეა დარჩენილი. მათგან გამოირჩევა ელოშვილის სახლი, ადგილობრივები ამ სახლს „ჭერხოს“ ეძახიან (სურ., 309).

ფხელშეს ციხე-სახლი თავდაპირველად სამსართულიანი ყოფილა, ზედა ბანით. დღემდე მოაღწია ორმა სართულმა. სართულშუა ხის გადახურვაც ჩანგრეულია. კედლები ნაგებია საკმაოდ მოზრდილი ქვით. ფასადებზე ქვის ზედაპირი გათლილია. შენობის გეგმა უწესო ოთხკუთხედიანია. პირველ და მეორე სართულს კარი მთავარი ფასადიდან ცალ-ცალკე აქვს. მეორე სართულის კარის გვერდზე ხის კიბის დასაყრდენად შევირილი ქვა ყოფილა. პირველ სართულს ორი სარკმელი ანათებს მთავარი ფასადის მხრიდან. მეორე სართული პირველზე რთულია. განათებისათვის სარკმლები ყოველ მხარესაა. ერთ-ერთი სარკმელი გარეთ სამი ხერელით გამოდის, როგორც ეს სოფ. მნაშია. სათოფეებიც ყველა კედელშია.

თერგის ხეობიდან არაგვის ხეობაში გადავინაცვლოთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ მთაულეთის უფრო ახლოს იყო ქვეყნის ცენტრთან და ამიტომ ყოფაში ცვლილებები უფრო ადრე და ინტენსიურად ხდებოდა. ძველი ციხე-სახლები, ყაზბეგის რაიონთან შედარებით მცირე რაოდენობითაა გადარჩენილი, ისიც ხეობის დასაწყისში. აქ შემორჩენილი ციხე-სახლებიდან მხოლოდ ერას – არახეთს გავიხილავთ.

არახეთი. არაგვის მარჯვენა მხარეს; მალა, მოკლე ხევის ბოლოს ყოფილა სოფელი, რომელიც ზევეს დაუზიანებია და მოსახლეობა ქვემოთ გადასახლებულა. ნასოფლარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმის საილუსტრაციოდ, თუ რა შინის ქვეშ ცხოვრობდა ქართველი ფეოდალური ხანის ბოლო საუკუნეებში. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენამდე მოღწეული ასიოდე სახლიდან ყველა ამავე დროს სიმაგრე იყო. მტრის გამუდმებული თარეშის გამო, ხალხი ისე იყო შეწუხებული, რომ თითოეული მცხოვრები ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლს კი არ აგებდა, არამედ – სიმაგრეს. უშიშრად, ლაღად ცხოვრება მას არ შეეძლო. მტრის ჯარი თუ მცირე ჯგუფები ყველგან დაძრწოდნენ.

ნასოფლარის სახლები ორი, სამი და ოთხსართულიანი ყოფილა. მათ, ალბათ, ბანიც ექნებოდა. პირველი სართული ყველგან დამხმარეა. ამ სახლებიდან შევარჩიეთ ნასოფლარის სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთში მდგარი ციხე-სახლი. ამ შენობაში ორი ან, შეიძლება სამი სამშენებლო ფენა იყოს. თავდაპირველია ძირითადი ნაგებობის ორი სართული, შემდეგაა მიშენებული კოშკი და მაშინვე უნდა იყოს ზედა ორი სართული დაშენებული (სურ., 307, 310).

თავდაპირველი შენობის კუბურ მასას კარი აღმოსავლეთით ჰქონია, იქვე ახლოსაა ხარო – ქირანახულის შესანახად. სათოფეები პირველ სართულზე ცოტაა, ხოლო

ზედა სარსულელებზე მათი რაოდენობა იზრდება. მეორე სართულს სამი კარი აქვს. კარებამდე მიღწევა მოხდებოდა ხის კიბეებით. მესამე სართულის კედლები, სათოფეების გარდა, ნისკარტა სალოდეებითაც ყოფილა აღჭურვილი. ერთი მათგანი პირველი სართულის კარს იცავდა.

ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეზე მიღგმული კოშკის გეგმა კვადრატს მიახლოებულია. მისი პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისა იყო, ხოლო მეორე და მესამე, სათოფეებით აღჭურვილი, საბრძოლო იყო. მეორე, მესამე და მეოთხე სართულები საცხოვრებელი სახლის სათანადო სართულებს კარებით უერთდება. მეოთხე სართულს, სათოფეების გარდა, ორი დიადი ჰქონია ჩრდილოეთით. ასეთი დია ბოლო სართულები მთიანეთში ჩვეულებრივია საცხოვრებელ სახლებშიც, მათ იყენებდნენ ჭირნახულის გასანიავებლად. შესანახად.

შენობის პირველამგებს მის მორთუაზეც უზრუნია. ჩრდილოეთის მარცხენა კარის თავზე ადამიანი გამოსახავს, გვერდებზე კი ჯერები ამოუკვეთია.

მრავალია შორის მოვიტანთ ერთ ნიშუმს ხეესურეთიდანაც.

შატაილის დასახლება თავისთავად საოცრებაა არა მარტო ამ რეგიონისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის. იგი ადამიანთა შემოქმედების უნიკალური ნაწარმოებია. ესაა იმის მაგალითი, თუ რა შეუძლია გამოიწვიოს განსაკუთრებულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ და გეოგრაფიულმა თავისებურებამ. აქ მცხოვრებთ წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ ჩრდილოეთიდან მოძალებული მტრისათვის, ამისათვის მათ მაქსიმალურად წარმატებული ვარიანტი აურჩევიათ (სურ. 359, 360).

კლდოვანი კონცხი, აღმართული მდ. არღუნსა და მის შენაკადს შორის, მოსახლეობას მარჯველ დაუკავებია. მოსახლეობის სიმრავლისა და ადგილის სიმცირის გამო, სახლები ისე მჭიდროდ გაუდგამთ, რომ მათ შორის თავისუფალი ადგილი არც რჩება, ამიტომ ერთი შენობის ბანი ზემოთ მდგარის ეზოა და ა. შ. სახლებს შორის დარჩენილი ეიწრო ბილიკებით, „დაკიდული გზებით“ და ტერასებით მთელი სოფელი შეიძლება მოიაროს.

შატაილის სახლები არაა ჩვეულებრივი სახლები, ისინი „ციხე-სახლები“, ანუ „ციხე-კოშკებია“. მთელი სოფელი ციხეა. ამიტომაც არ შეეცდებით, თუ მას „ციხე-სოფელს“ ეუწოდებთ.

სასახლეები

სამეზო სასახლეები

იმის გამო, რომ სხვა სასახლეთა ნაშთებს ჩვენამდე არ მოუღწევია, განვიხილავთ თავისთავად მეტად საინტერესო გრემის სასახლეთა ნაშთებს.

გრემი 1466 წლიდან 150 წლის განმავლობაში კახეთის სამეფოს დედაქალაქი იყო. იგი შაჰ-აბასმა დაანგრია და შემდეგ ცხოვრება აღარ გაგრძელებულა.

1960-იან წლებში აქ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოაგონა ქალაქი. რომლის ტერიტორია 50 ჰექტარს აღემატებოდა. იგი სამ მონაკვეთად იყო დაყოფილი. ცენტრში მდებარე გორა ციტადელს ეკავა, დასავლეთის მონაკვეთში სავაჭრო უბანი იყო, ხოლო აღმოსავლეთის ერცელი ფართობი მეფე-დიდებულთა დასახლებას ჰქონდა დაკავებული. სწორედ ამ უკანასკნელ მონაკვეთზე აღმოჩნდა სასახლე-თა ნანგრევები, „აკადემიის“ შენობის საძირკველი, შადრევნიანი პავილიონი (სურ. 311) და სხვადასხვა შენობათა ნაშთები. ყველა ეს შენობა, იატაკის დონეზე, თითქოს დანითაა გადაჭრილი და ამიტომ მხოლოდ მთავარი კედლების საძირკვლები ჩანს (სურ. 308).

ქალაქის დანგრევის შემდეგ, 1630-იანი წლების ბოლოს, გრემში იყვნენ რუსი ელჩები. სამწუხაროდ, მათი აღწერა ბუნდოვანია, მაგრამ ორი ცნობა მაინც საყურადღებოა. პირველის მიხედვით, ჭიშკრის შემდეგ ქვის სამი პალატი მდგარა. ხოლო მეფე ალექსანდრეს სასახლის ეზოში ქვის აუზი ყოფილა ცოცხალი თევზით.

გათხრებით გამოვლენილ დიდ ნაგებობებში გამოირჩევა ერთი (19,2 X 27,8 მ.), რომელიც სამ რიგად იყო დაყოფილი. მისი კიბე სივანით ოთხ მეტრამდეა, ხოლო სიგრძე შეიძლება მეტრია. ამ ნანგრევებში დარჩენილია ქვის დიდი აუზი კერამიკული მილებით. ელჩების ცნობაში შეიძლება ეს სასახლე იგულისხმებოდეს.

გრემის სასახლის კომპლექსში მეტად საინტერესო ერთი ნაგებობაა. იგი დიდი ზომის (11,8 X 12,7 მ.) გვერდებლია პავილიონია. გადახურვა სვეტებზე იყო დაყრდნობილი. პავილიონის შუაში მოხრილი აუზია ექვსკუთხედიანი. მდინარეს გადაწყურე ეს გასართობ-დასასვენებელი პავილიონი პალატების ანსამბლში, ზაფხულში ნამდვილად შეების მომგვრელი იქნებოდა. ამ პავილიონში და მეორე სასახლის შიგნით გამართულ აუზში არ შეიძლება ირანის გავლენა არ შემინჯოდეს.

აღეანი. მეფეთა სასახლის ერთი სახე – მისაღები დარბაზი – ნანგრევების სახით მოაღწეულია ალვანში, რომელიც „ცხრაკარას“ სახელითაა ცნობილი (სურ. 312).

სოფლის გარეთ, ჩრდილოეთით, ნაგებობათა კომპლექსში გამოიყოფა მოხრდილი (შიდა ზომები 8,3 X 24,1 მ.) შენობა, რომელიც უკავშირდება ლეონ კახთა მეფის (1520-1574 წწ.) სახელს. დარბაზის ფართი 200 კმ.-ს უდრის. დარბაზის გრძელი მხარეები სარკმლებით ღიაა, ხოლო მოკლე მხარეები დახურულია. მხოლოდ სარკმლების ზომებში მკვეთრი განსხვავებაა – ეზოს მხარეს ვიწრო და დაბალია, ხოლო მოპირდაპირე მხარე, რომელიც გადაჰყურებს ალაზნის ველს, განიერი და მაღალია (2,5 X 3,2 მ.). სასახლეში ასეთი დიდი სარკმლების დატანება X-XI საუკუნეთა სასახლეთა მშენებლობის ტრადიციების გაგრძელებაა.

არსებული ფრაგმენტებით დარბაზის შიდა სიმაღლე არანაკლებ ხუთი მეტრი იქნებოდა. კედლები ზუსტი ხაზებით ნაგებია აგურით.

თელავის მეფეთა სასახლე მეფეთა სასახლეებიდან ყველაზე უკეთაა მოღწეული. მან დაშენება და დიდი ცვალებები განიცადა, მაგრამ ამ ბოლო წლებში რესტავრატორებმა სცადეს მისთვის დაებრუნებინათ პირვანდელი სახე.

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ გეიანი საუკუნეების კახეთის სამეფოს

დედაქალაქი - გრემი შაჰ-აბასის ურდოებმა 1616 წელს საბოლოოდ დაანგრიეს. ამის შემდეგ, კარგა ხანს, გამოკვეთილად არ ჩანს, თუ სად იყო ქვეყნის ცენტრი. მხოლოდ შედარებით სიმშვიდისას, მეფე-პოეტმა არჩილმა შეძლო თელავში დაემკვიდრებინა ქვეყნის ცენტრი. მეფე არჩილი (1664-1675 წწ.) თელავში აგებს სასახლეს. გვიანი საუკუნეების ფეოდალთა რამდენიმე სასახლის გეგმა ცნობილია, მაგრამ მეფის სასახლე მხოლოდ ამ აღდგენილი სახის წარმოგვიდგება.

ერთსართულიანი სასახლის გეგმის მოხაზულობა კვადრატს მიახლოებულია. მისი ცენტრი უჭირავს ვრცელ სწორკუთხა დარბაზს, რომელსაც სამ მხარეს დერეფანი უკლის, ხოლო მეოთხე მხარეს ღია აივანია. მისაღები დარბაზის ვიწრო მხარეებიდან ერთის ცენტრში განიერი კარია, ხოლო მოპირდაპირე მხარეს ნიშა, სადაც, ალბათ, მეფის ტახტი იდგა, იგი მისაღები დარბაზი გახლდათ.

სასახლის ცენტრები ორივე მხარეს ღია აივნებს აქვს მოკაეებული, ხოლო კუთხეებში თითო და ორ-ორი საცხოვრებელი ოთახია. დარბაზი და ოთახები ისრული მოხაზულობის კამარებითაა გადახურული, ფანჯრები და ნიშები, ისე როგორც XVII საუკუნის ფეოდალთა სხვა სასახლეებში (ძალინა, ნული, ახალგორი), ყველგან ორიარუსიანია.

ფეოდალთა სასახლეები

ფეოდალთა სასახლეები საქართველოში მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ისინი ქვეყნის ბელუკულმართობამ აღარ შეგეარჩინა. მათი დიდი უმრავლესობის კვალიც აღარაა. გადარჩენილი მცირე ნაწილიც ნანგრევებს წარმოადგენს. მათგან შემდეგის დასახლება შეიძლება: სამშვილდე, ალავერდი, ძალინა, კოდისწყარო, ნული, ნეკრესი, ყორნისი, ფორქალისები, ტბისი, ზემო ხოდაშენი, საბუე, ნინოწმინდა და სხვა. აქ რამდენიმე მათგანს განვიხილავთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასახლეთა უმრავლესობა ორსართულიანია, მაგრამ გვხვდება ერთსართულიანი და სამსართულიანიც. ნაგებობათა უმრავლესობას ხის სართულშუა გადახურვა აქვს და ორფერდა სახურავით მთავრდება. გადახურვისათვის ძირითადად კრამიტია ნახმარი. ძალინა ფრონეს ხეობაში მდებარეობს. ფეოდალის ციხე-დარბაზიდან გადარჩენილი სასახლე კომკით მაღალი დონის არქიტექტორის დაპროექტებულია (სურ. 313, 314).

ძველი ძალიანა დაზიანებული, მაგრამ ძირითადის აღდგენა ხერხდება. ერთსართულიანი სასახლე უშუალოდაა დაკავშირებული ხუთსართულიან კომკთან. სწორკუთხა გეგმის მქონე სასახლე (14,0 X 23,2 მ.) ექვს ნაწილადაა დაყოფილი. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ორ-ორი ოთახი ტოლებია და კვადრატული გეგმა აქვთ, მათ შორის დასავლეთისა მონრდილი დარბაზია, ხოლო სამხრეთისა - ღია აივანი, ლოჯია. ყველა ოთახს გარე კედლებში სარკმლები ახლავს, ხოლო ერთმანეთთან კარები აერთიანებს. დარბაზი და ოთახები შეისრული კამარებით იყო გადახურუ-

ლი, კედლები პილასტრებითა და ნიშებითაა დამუშავებული. ფრაგმენტის მიხედვით, ინტერიერის კედლები, შესაძლოა, ფრესკული მხატვრობით იყო დაფარული.

სასახლე კოშკთან პირველ სართულში კარიბაა დაკავშირებული. კოშკის ხუთი სართულიდან სამს კამაროვანი და გუმბათოვანი გადახურვა აქვს, ორს კი – კოჭოვანი. სასახლის ყველა ოთახს საკუთარი ბუხარი ჰქონდა. აქაც, პირველი, დამხმარე სართულის გარდა, ბუხარი ყველგანაა. პირველი სართულის იატაკში ქვევრება ჩაყრილი. კოშკის დასავლეთის კედელში დატანებულია კერამიკული მილი. იგი შიგნით დაქანებულია. ამ გზით ქვევრების გასაქვებად წყალიც შეიძლება შემოვიდეს და ღვიძოც. აქვე იწყება კედლის კიბე, რომელიც ბოლომდე აღის.

კოშკი მეორე სართულიდან საბრძოლოა. კედლებში განლაგებულია ცალმაგი და ორმაგი სათოფეები. განათებისათვის თითო-ორი სარკმელი ყველგანაა. სასახლესთან ერთად, მეორე-მეოთხე სართულებს საცხოვრებლადაც იყენებდნენ. განსხვავებული დანიშნულება აქვს მეხუთე სართულს. იგი სამი მხრიდან გახსნილია დიდი თაღებით. აქედან მშენებური ხედია, თვალს იტაცებს მრავალფეროვანი ლანდშაფტი. კოშკის მეოთხე ყრუ კედელი ერთგვარი საფარის როლს შეასრულებდა სათოფეებითა და ბუხრით.

სასახლე მთლიანად აგურითაა ნაგები, ხოლო კოშკი – ფლეთილი ქვით.

სასახლისათვის თავდაცვითი ფუნქციის დაკისრების კარგ მაგალითს იძლევა საბუე.

საბუე მდებარეობს კახეთში, მდ. ინწობას სამხრეთით. აქ, მდინარის ნაპირზე, განლაგებული ყოფილა ჯორჯაძეების ციხე-დარბაზი. მის აღმოსავლეთის მონაკვეთში სასახლე მდგარა. იგი სამსართულიანი ყოფილა. ორი სართული უკეთაა მოღწეული, ხოლო მესამედან, ფაქტიურად, ერთი კედელია გადარჩენილი.

სასახლე სწორკუთხა გეგმისაა (6,1 X 14,8 მ.). იგი შუაზე მდებარე ვიწრო ტალანით ორ არასთანაბარ მონაკვეთადაა გაყოფილი. ქვის ნაგები შენობის სართულშუა გადახურვა კოჭოვანია, ხოლო ტალანისა – კამაროვანი. დარბაზებში მოხვედრა შეიძლება ტალანიდან კარებით. შიგნით ორივე დარბაზს თითო ბუხარი და რამდენიმე განჯინა ახლავს. მეორე სართულშიც იგივე განლაგებაა. შიგნით მხოლოდ დიდ დარბაზს აქვს ბუხარი. სხვაგან განჯინები და სარკმლებია. აღმოსავლეთის დარბაზში კი ცალმაგი სათოფეებიც ბლომადაა. მესამე სართულის დარჩენილ კედელში მხოლოდ სათოფეებია.

სასახლე აგებულია XVII საუკუნის ბოლოს, ძნელი პოლიტიკური სიტუაციის დროს, ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მეორე და მესამე სართულები საცხოვრებელი იყო და თავდაცვითი დანიშნულებაც ჰქონდა.

კოდის წყარო. კედლე ერთი საინტერესო სასახლეა შიდა ქართლში, მდ. ნარეკვიას ხემო წელში, სოფ. მჭადიჯერის მიდამოებში, ნასოფლარ კოდისწყაროში.

ნასახლარს ეტყობა, რომ იგი დიდ თავადს ეკუთვნოდა (შესაძლოა, აქ სახლობდა მუხრან-ბატონთა ერთი შტო). შენობებიდან უკეთაა გადარჩენილი პირამიდული კოშკი, ხოლო სასახლე ძალიანაა დაზიანებული. სხვა უფრო დიდსა და მრავალფეროვან სასახლეს ჩვენამდე არ მოუღწევია.

სასახლე აგურით ნაგები ორსართულიანი შენობაა. იგი ისე ძლიერაა დანგრეული, რომ მხოლოდ პირველი სართულის გეგმის აღდგენა ხერხდება (სურ. 315, 316). სწორკუთხა გეგმის (8,5 X 15,0 მ.) შიგნით შიდი სხედასხვა ზომის სათავისა, მათგან აღმოსავლეთის ხაზზე სამი მოზრდილი დარბაზია. შესასვლელი აღმოსავლეთით და დასავლეთით თითოა. ხუთ სათავესში თითო ბუხარია, ცენტრალურ დარბაზში კი - ორი. ეტყობა, იგი მისაღებად იყო განკუთვნილი. ყველა სათავესის კედლები შეისრული თაღებითაა დამუშავებული და იმავე მოხაზულობის კამარებით ყოფილა გადახურული. დეტალებიდან აღსანიშნავია სამხრეთ-დასავლეთით კედელში განლაგებული სწორკუთხა ღრმა უბე.

ყველა სათავესი ერთმანეთს კარებით უერთდება. სამხრეთის მხარეს ორიარუსიანი განიერი და მაღალი სარკმლებია განლაგებული.

მეორე სართულზე მოსახვედრად ერთი კიბე კედლის სიღრმეში გარედან აღმოსავლეთითაა, მეორე კი შიგნიდან, ისევე კედელში, დასავლეთითაა.

მეორე სართულის ჩრდილო კედლების მცირე ნაწილებია გადარჩენილი. მეორე სართულის გეგმა, ალბათ, ძირითადად პირველის განმეორება იქნებოდა.

ფორქალისში უფრო პატარა ფეოდალის სასახლის ნანგრევია დარჩენილი. იგი მდებარეობს ისტორიულ ქვემო ქართლში. ეს ნასოფლარი ალგეისის მარჯვენა ნაპირზეა. სოფელი ფარცხისის პირდაპირ. სოფელს ორი პატარა ეკლესია ჰქონია. ორსართულიანი სასახლე ფერდობზეა. სასახლის პატრონი, როგორც ჩანს, მცირე შესაძლებლობებისა ყოფილა (11,4 X 15,2 მ.). მას სასახლისათვის დაკვის ფუნქციაც დაუკისრებია, რადგან მისთვის ზურგის მხარეს ორივე კუთხეში, სიმეტრიულად ცილინდრული კოშკები მიუდგამს.

სასახლის პირველი სართული ერთი გრძელი სათავესისა და იმავე სიგანის აივნისაგან შედგება. აივნიდან ერთ კუთხეში გაჭრილი კარით შევდივართ სათავესში, რომელიც ორი კედლის შეერთებით სამადაა გაყოფილი. კარის სიახლოვეს ბუხარია, ხოლო მოპირდაპირე კედლის მთელ სიგრძეზე ღრმა ნიშებია ჩამწყვილებული. ისინი თავის დროზე განჯინები იქნებოდა. მეორე სართულზე სათავესების რვავე განლაგებაა - ე. ი. ერთი დარბაზი და აივანი. ეს უკანასკნელი დახურული უნდა ყოფილიყო, რადგან მის შიდა კედელში ორი ბუხარიაა. მეორე სათავესი ერთიან დარბაზს წარმოადგენდა. მათ ერთი კარი აერთებს.

შენობაზე მიღებული ცილინდრული კოშკებიც ნანგრევებითაა სავესე და დეტალები არ ირკვევა, მაგრამ ჩანს, რომ ისინი XVIII საუკუნის მსგავსი კოშკებითაა გადაწყვეტილი. გარე კედლებში სათოფეებია.

ნინოწმინდა. იმავე ეპოქის ერთ ნიმუშს კიდევ მოვიყვანთ. ესაა ნინოწმინდელი ეპისკოპოსის საბა ტუსისმეილის მიერ 1774-77 წლებში აგებული სასახლე. იგი, გალაენის შიგნით ნაგებობათა სიეწროვის გამო, დაუდგამთ გალაენის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში, კოშკსა და სამრეკლოს შორის. სასახლემ ისეთ მდგომარეობაში მოაღწია, რომ მისი თავდაპირველი სახის წარმოდგენა ხერხდება.

ორსართულიანი შენობის გეგმა გრძელ სწორკუთხედშია მოთავსებული. პირველი სართული ბოლოებში კვადრატული ოთახებისა და შუაში დარბაზისაგან შედგება.

ზემოთაც იგივე განლაგებაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შუაზე, დარბაზის თავზე, აივანია, ეზოსკენ ღია ლოჯიით. კარები პირველი სართულის ოთახებს ცალ-ცალკე აქვს ეზოდან, ისინი შიგნითაც კარებით უკავშირდებიან ერთმანეთს, ბუხარი მხოლოდ პირველი სართულის ორ ოთახშია. განათებისათვის ქვემოთ პატარა და ზემოთ დიდი სარკმლები მხოლოდ ეზოსკენაა გაჭრილი. კედლები კარგადაა შელესილი. ხოლო ჭერი ორივე სართულზე ხითაა დეკორატიულად დამუშავებული. ხის განჯინები აჟურულად, ჩუქურთმითაა დამუშავებული. სარკმლები შედარებით წვრილადაა დაკედრატებული. ეს გამოწვეული იყო სარკმლის მინის ჩამოსხმის შესაძლო სიდიდით.

ნინოწმინდის სასახლეში აშკარად ჩანს კახეთის ადრეული სასახლეების თავისებურებათა ხაზი და ამავე დროს გეოგრაფიკულ მომდევნო საუკუნესთან სტილისტურ კავშირს.

კომუნალური ნაგებობები

აბანოები

კომუნალური ნაგებობებიდან შემორჩენილია აბანოები, ისიც ქართლ-კახეთში. დასავლეთ საქართველოში გვიანი საუკუნეების აბანოები ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. ამის პირდაპირი ახსნა არ მოგვეპოვება, მაგრამ შეიძლება მიზეზი იყოს სპარსეთის ან აღმოსავლეთ საქართველოს კავშირი. იქ ხომ შადრევნები და აბანოები ძალიან იყო გავრცელებული.

მართალია, აბანოები საქართველოს ორივე ნაწილში გავრცელებული იყო ჯერ კიდევ გვიანანტიკურ-ადრეფეოდალურ ხანაში, მაგრამ მათი მშენებლობა წყდება არაბების შემოსევის შემდეგ და გვიან საუკუნეებამდე ერთადერთია ქალაქ დმანისის აბანო.

გვიანი საუკუნეების აბანოებიდან აქ შეიძლება შემდეგი ჩამოეთვალოთ: თბილისში ე. წ. როსტომის აბანო, თელავში ე. წ. ერეკლეს აბანო, გრემის, სამშვილდეს, ხერთვისის, ქვემო ჭალის, ახალგორის, ნიზისის, მძოვრეთისა და სხვა აბანოები.

ეს აბანოები ზომებით, სათავესთა განლაგებით და ზოგიერთი დეტალით განსხვავდება ერთმანეთისაგან, ხოლო მათი გათბობის სისტემა ერთ პრინციპზეა აგებული.

აბანო ძირითადად შედგება შემდეგი მონაკვეთებისაგან: გასახდელ-მოსაცდელი, ცივი, თბილი, ცხელი საბაზანოები და საქვაბე.

აბანო, ნაწილობრივ, ორსართულიანია. გასახდელი და ცივი საბაზანო (ხშირად ეს ორი ფუნქცია დაკისრებული აქვს ერთ სათავეს) ერთსართულიანია, ხოლო თბილი და ცხელი – ორსართულიანი. ყველა სათავეს იატაკი ერთ დონეზეა. საქმე ის გახლავთ, რომ საცეცხლე განყოფილება დაბლაა, რადგან აქედან ცხელი ჰაერი უნდა შევიდეს ცხელ და თბილ სათავესთა იატაკქვეშ მოწყობილ სადგარებიან

დაბალ სართულში. აქ დატრიალებული ცხელი ჰაერი ათბობს ზედა სართულის იატაკს. იატაკის სითბო კი გადაეცემა სათავსს. ასეთი გზით მიღებული სითბო თბილ სათავსს კი ყოფნის, მაგრამ ცხელი სათავსის მიღებას მეტი სითბო სჭირდება. ასეთი სითბოს წყაროს კი წარმოადგენს კედლები, რომლებზეც გაკრულია გვერდებაკეცილი კრამიტისმაგვარი კერამიკული ფილები. ასეთი ფილებით კედლები ისე იფარება, რომ ისინი რადიატორის როლს ასრულებენ. ქვედა სართულის ცხელი ჰაერი იატაკში დატანებული სპეციალური ნაპრალების საშუალებით შედის ე. წ. რადიატორებში. ცხელი ჰაერის ცირკულაცია ხდება მთელი კედლის სიბრტყეზე, თბება კედლები და თბება სათავსიც. ამ სითბოს ემატება იატაკის სითბო და სათავსი ცხელდება.

ახლა თვით ბანაობის წესზე. ცივ სააბაზანოში აუზი მხოლოდ ცივი წყლითაა. ვისაც სურვილი აქვს, ცივ აბაზანას მიიღებს და ისე შეეა თბილში, ან სულაც არ შეეა. ზოგმა თბილ წყალში ბანაობის შემდეგ შეიძლება ცივი წყალი გადაივლოს. თბილი და ცხელი სათავსების აუზები მარაგდება ცხელი წყლით საცეცხლეს თავზე მდგარი ქვაბიდან. ამ ქვაბიდან კერამიკული მილებით წყალი მიეწოდება ცხელ და თბილ აბანოებს. იქვე კერამიკული მილებით მიედინება აგრეთვე ცივი წყალი, რათა იყოს განაევების საშუალება.

აბანო შენდება ქვით ან აგურით. ხშირია შემთხვევა, როცა ორივე გამოყენებული: ქვა კედლებში, ხოლო აგური თაღებსა და გუმბათებში. აბანოს ყველა სათავსი გუმბათითა და კამარითაა გადახურული. განაუბისსათვის საჭირო ერდოებიც კამარებსა და გუმბათებშია განლაგებული.

ფეოდალურ საქართველოში აბანო მაღალი ფენების დაკვეთით შენდებოდა და თვითონვე იყენებდნენ. დღემდე მოღწეული აბანოების უმრავლესობა ფეოდალთა რეზიდენციების შემადგენლობაში შედის. ხოლო რაც შეეხება ქალაქებს, აქ სხვა სურათი იქნებოდა. ცხადია, აბანო მეფეთა სასახლესთანაც იქნებოდა და დიდ ფეოდალთა რეზიდენციასთანაც, მაგრამ უნდა ყოფილიყო მოქალაქეთათვისაც. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ნაქალაქარი გრემი, სადაც გამოვლინდა ორი აბანო. ერთი აბანო დგას მეფე-დიდებულთა უბანში, ხოლო მეორე – ქალაქის სავაჭრო უბანში. ამ აბანოებსა დაკავშირებით საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ მეფე-დიდებულთა უბანში მდგარი აბანოს აგურის იატაკი ოდნევაა გაცევეთილი, ხოლო მეორეში – თითქმის ბოლომდე. გრემი ხომ დიდი სავაჭრო ცენტრი იყო, აქ ხალხმრავლობა გახლდათ.

ზემოაღმოვლილი ძეგლებიდან აქ ორ სამეფო და ერთ თავადის აბანოს განვიხილავთ.

„როსტომის აბანო“ თბილისის ძველ უბანშია, მტკვრის მარჯვენა მხარეს, ანჩისხატის მიდამოებში. აბანო, სასახლესთან ერთად, აუგია როსტომ მეფეს (1632-1658 წწ.). სასახლე და მისი ანსამბლი შეეწირა 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა-ს. თბილისის გოგირდის აბანოები განთქმული იყო როგორც უებარი მკურნავი. საჭურისი იმედით ჩაეშვა მათში და როცა შედეგი ვერ მიიღო, აბანო, ანსამბლთან ერთად, დაანგრევინა. ამის შემდეგ მისი აღდგენა არ უცდიათ, ხოლო 1814-1832

წლებში შიგ ზარაფხანა და სასინჯი პალატა ყოფილა გამართული. ჩენი საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, თბილისის 1500 წლის იუბილეს მოახლოებასთან დაკავშირებით, ამ ადგილზე გათხრობით და აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა. ამიტომ მის თაყვანისმცემელ სახეზე საუბარი შესაძლებელი გახდა.

ეს აბანო, საერთო გადაწყვეტით, ტიპურია იმ ეპოქისათვის, მაგრამ შიდა მორთულ-ობისა და მდიდრული მასალით, როგორც სამეფო, განირჩევა სხვებისაგან.

აბანოს გეგმა კვადრატს მოახლოებულია. კარი ჩრდილოეთით, სასახლის მხარეს ჰქონია. აქედან გრძელი გარე კორიდორი საცეცხლურში მიემართება, მეორე მხარეს კი დერეფანია, საიდანაც შეიძლება ერთი კარით გასახდელში, მეორე კარით კი საპირფარეოში შესვლა. გასახდელიდან შეიძლება მოხვედრა კვადრატულ სათავსში, რომელიც პატარა ნიშების მიხედვით საკოსმეტიკოს უნდა წარმოადგენდეს. აქედან ისევ კართაა გასასვლელი გრძელ დარბაზში, სადაც ბოლოებში ცხელი წყლის თბობა აუზია. ამ დარბაზიდან შეიძლება მცირე ზომის აუზიან სათავსში შესვლა. საცეცხლე შესასვლელის მოპირდაპირე კუთხეშია. მის ზემოთ ტაშტი თუ სპილენძის ბრტყელი ნაჭერი იდო. საცეცხლედან ცხელდებოდა ლითონის ეს ტაშტი, მისგან კი – საქვაბე. აბანო გოგირდის წყლით მარაგდებოდა. გოგირდოვანი წყლის დასალექი მცირე სათავსი ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეშია. დიდი დარბაზის შუაზე შედრევიანია, რომელიც სპეციალურად წყაროს წყლით მარაგდებოდა.

აბანო ნაგებია აგურით. იატაკი სპეციალურად დამზადებული ფილებით იყო მოწყობილი. დარბაზის კედლების ქვედა ნაწილი მრავალფეროვანი შორენკეცით იყო მოპირკეთებული. გადახურვა ყველგან გუმბათოვანი ან კამაროვანია, სინათლის წყარო ყველგან ზემოდანაა.

გრემი თელავსა და ყვარელს შუაა, მდ. ინწობას მარჯვენა მხარეს. კახეთის სამეფოს (1466-1616 წწ.) დედაქალაქი გრემი სამ მონაკვეთად იყო გაყოფილი. ცენტრში გალანისა შემოჭარგული ტაძარი და სამრეკლო იყო, აღმოსავლეთით მფეე-დიდებულთა უბანი, ხოლო დასავლეთით – სავაჭრო უბანი. ამ ორ უკანასკნელ უბანს თავიანთი აბანოები ჰქონდა.

სავაჭრო უბნის აბანო თავისთავად დიდია, მაგრამ არც ისეთი დიდი და მრავალფეროვანი, როგორც დიდებულთა უბნისაა. პირველის კედლები ორ მეტრამდეა შერჩენილი, ხოლო მეორისა ზოგან სამ მეტრს აღწევს. გადახურვის ფრაგმენტები კი მხოლოდ იატაკზე ეყარა.

გრემის აბანოებიდან ჩვენ განვიხილავთ სამეფოს, რადგან ასეთი დიდი (14,5 X 22,2 მ.) და მრავალფეროვანი ობიექტი სხვა არ გვევლინება. იგი იდგა ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთის განაპირას და წყლით ივსებოდა პატარა მდინარე ბოლიადან. იგი შედგება ორი, თითქმის თანაბარი მონაკვეთისაგან. სამხრეთის მონაკვეთი მოსაცდელია, ხოლო ჩრდილოეთის – საბანაო. ჩვეულებრივ, ყოველ აბანოს ახლავს ეესტიბოულ-გასახდელი, მაგრამ აქ ეს მონაკვეთი ისე დიდი და მრავალფეროვანია, რომ გვაფიქრებინებს, მას სხვა დატვირთვაც უნდა ჰქონოდა. როგორც ეს აღმოსავლეთის ქვეყნებში მიღებული იყო, აქაც შეიძლება იგი გამიზნული იყო დასვენებისათვის (სურ. 317).

აბანო, სითბოს შენახვის მიზნით, სანახევროდ მიწაში იჯდა. იმავე მიზეზის გამო მთელ შენობას მხოლოდ ერთი კარი ჰქონდა ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში: (დამხმარე კარი ყოფილა მოპირდაპირე კუთხეში, მაგრამ მისთვის მალე კედლები შემოუშენებიათ.). ამ კარიდან შენობის ცენტრში შეიძლება მოხვედრა, სადაც ერთელი ოთხმკლავა სათავსია. ამ ოთხმკლავას ცენტრი გუმბათით იყო გადახურული, ხოლო მკლავები – კამარებით. მათგან სამი მკლავი ტოლია, ხოლო მეოთხე ღრმა და განიერი. დარბაზის ცენტრიდან მკლავების იატაკის დონე 60-70 სანტიმეტრითაა აწეული. აქ ფარდაები იქნებოდა დაფენილი და აბანოდან გამოსვლის შემდეგ დაისვენებდნენ. იმავე მიზანს ემსახურებოდა დარბაზის ცენტრში მოთავსებული ექვსაფსიდა შადრეუანი. მოპირდაპირე ჩრდილოეთის მკლავის ცენტრში კი რვაგვერდა მცირე აუზია. იგი ცივი წყლის მისაღებად თუ იყო განკუთვნილი. შენობის ამ მონაკვეთის კუთხეში სხვადასხვა დანიშნულების დამხმარე სათავსებია განლაგებული.

შენობის საბანაო მონაკვეთსაც ეტყობა მაღალი დონის, გამოცდილი არქიტექტორის ხელი. პირველიდან მეორე მონაკვეთში მოხვედრა მხოლოდ ერთი კარითაა შესაძლო. შენობის დეტალური აღწერა შორს წაგვიყვანს, ამიტომ მოკლედ ვიტყვი, რომ ცენტრი მოკავებული აქვს ისევე ოთხმკლავა დარბაზს, მხოლოდ აქ მკლავები ტოლია, თანაც ერთნაირი გადაწყვეტით. ჩრდილოეთი მხარის თითქმის მთელ სიგრძეზე ცივი წყლის აუზია, შუაზე სპილენძის ტაშტით. ტაშტი კი საცეცხლედან ხურდებოდა, ტემპერატურის სხვაობა წყალს ამოდრავებდა და მთელი აუზი ცხელდებოდა, აქედან ცხელი წყალი კი აუზებში ნაწილდებოდა. სხვადასხვა ფორმის აუზები ამ მონაკვეთზეა მობმული აღმოსავლეთით და დასავლეთით. მათ გარდა, არის სხვადასხვა დანიშნულების სათავსები. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, სამგან იატაკზე, კედელთან დგას კერამიკული „ქვაბი“. მათი წარმოშობა და დანიშნულება აღმოსავლური უნდა იყოს, ალბათ, სისუფთავეს ემსახურებოდა.

ქვემო ჭალა. ამილახორთა XVII-XVIII საუკუნეების რეზიდენციაში აბანოც შედიოდა. აქ რთული, მრავალსათავსიანი შენობა მდგარა. დაზიანების გამო, ყველა დეტალი არ ირკვევა, მაგრამ ძირითადი კარგად ჩანს.

აბანოში შესასვლელი დასავლეთიდანაა. პირველია ოქტოგონური გეგმის გუმბათით გადახურული სათავსი. ესაა გასახველ-მოსაცდელი. აქედან ტალანის გაელით ვრცელ საბანაოში ვხედებით. მათ გარდა, არის წყალსაცავი, საქაბე და სხვა დამხმარე სათავსები. შენობა ძირითადად აგურითაა ნაგები (სურ. 318).

ძარმასლა, ბაზარი

ეს ორი ნაგებობა ვაჭრობასთანაა დაკავშირებული, ამიტომ შეიძლება ერთად განვიხილოთ. რადგან ეს საკითხები შეუსწავლელია და ძეგლებიც მცირეაა მოღწეული, ამიტომ სრულყოფილად მათ ვერ წარმოვადგენთ.

ანტიკურ და ფეოდალურ ეპოქებში ქარეასლა და ბაზარი ძირითადად დამახასიათებელი იყო ქალაქებისათვის. განსხვავება ალბათ იმაში იყო, რომ დიდ

ქალაქში, უბნების მიხედვით, რამდენიმე ბაზარი შეიძლება ყოფილიყო, პატარა ქალაქს კი ერთიც ეყოფოდა.

XI საუკუნის შუა ხანებში შექმნილ ჯგავახეთის ახალქალაქში აშკარად გამოიჩინა ქარვასლა და საეპატროც, ღია ქულბაქებად განლაგებული ნაგებობის ნანგრევები. სამწუხაროდ, ქალაქმა მომდევნო საუკუნეებში იმდენი ცვლილება განიცადა, რომ მათი თავდაპირველი სახის აღდგენა ძნელდება.

აღრეული თუ შუა პერიოდის სხვა ნაქალაქარებზე აშკარად გამოვლენილი არ ყოფილა ქარვასლა თუ ქულბაქები, ამიტომ აქ მოვიყვანთ მხოლოდ გვიანი პერიოდის ქალაქ გრემის მაგალითს.

ბაზარი, ისიც დახურული, ნაქალაქარ გრემში შემორჩა. ნაქალაქარზე საეპატრო უბნის ცენტრში მდებარე ნანგრევებს ახლაც „ქულბაქებს“ ეძახიან. ქულბაქი სპარსულად საეპატრო სახლს ნიშნავს. ეს ტერმინი IX საუკუნიდან შემოდის. XIV-XV საუკუნეებიდან ქულბაქს დუქანი ცვლის. მაგრამ კარგა ხანს ეს ორი ტერმინი პარალელურად მოქმედებს, ქულბაქი და დუქანიც სხვადასხვა საქმიანობას ემსახურებოდა.

გრემში დახურული ბაზრის გეგმა მოგვძო სწორკუთხედაა, რომლის ირგვლივ განლაგებულია ოცდაათამდე ქულბაქი. ქულბაქის ტიპური გეგმაა სწორკუთხა სათავსი წინ გვერდებშეკრილი აივნით (სურ. 321). ისინი ერთმანეთს თითო კართი უკავშირდებიან. შეიძლება სათავსი მედუქნისათვის საწყობიც იყო და საცხოვრებელიც, ხოლო აივანზე საეპატრო გამოჰქონდათ. ქულბაქების უმრავლესობას ბუხარიც ახლავს. ზოგიერთ ქულბაქს სარდაფიც გააჩნია. ბაზრის დასავლეთის ცენტრში ქულბაქის შუაში აუზია. შეიძლება იქ ცოცხალი თევზი იყიდებოდა.

ბაზარს ერთადერთი სატრანსპორტო შესასვლელი ჩრდილოეთით, ცენტრში აქვს. იქვეა ყარაულისა და მებაჟის ოთახი. მეორე კარი აღმოსავლეთითაა. იგი უშუალოდ ქარვასლას უკავშირდებოდა. ქარვასლა გრძელი შენობა იყო, რომლის შუაზე განიერი ტალანია, ხოლო ორივე მხარეს ჩარიგებულია სხვადასხვა ზომის 32 ოთახი. ეს მექარავენეთა სასტუმროა. ცხენებისა და აქლემებისათვის თავლა და სხვა საჭირო სათავსები გარეთ, იქვე მახლობლად იქნებოდა.

ბაზრის ქულბაქები უფრო კაპიტალურადაა ნაგები და ყველა კამაროვანი გადახურული იყო. ქარვასლის კედლები უფრო თხელია, რაც გვაფიქრებინებს, რომ მას ჰორისონტალური კოჭოვანი გადახურვა ჰქონდა.

ფარაენის ქარვასლა მდებარეობს ფარაენის ტბის სიახლოვეს, სოფლის შიგნით. იგი ნანგრევის სახითაა მოღწეული. გათხრების შედეგად დგინდება, რომ აქ შუა ფეოდალურ ხანაშიც უნდა ყოფილიყო ქარვასლა. ხოლო ის, რაც აქამდეა მოღწეული, XVI-XVIII საუკუნეებისაა და რამდენჯერმეა გადაკეთებული (სურ. 319).

ქარვასლის შენობას გარედან სწორკუთხა მოხაზულობა აქვს, ხოლო შიგნით სამნაეინია. გვერდითი ნაეები განიერი და ტოლებია, ხოლო შუა ნაეი სიგანეში მათ მცირედ ჩამოუვარდება. ნაეები ერთმანეთისაგან გამოყოფილია კვადრატულ სვეტებზე დაყრდნობილი ხუთ-ხუთი თალით. თაღებისა და კამარების მოხატულობა ისრული

იყო. შენობის ერთადერთი კარი სამხრეთის ცენტრშია. ამ განიერი კარით ბორბლიანი ტრანსპორტიც შევიდოდა. განათებისათვის თითო სარკმელია გვერდითი ნაგების ყველა მონაკვეთში. ისინი, ალბათ, ანათებდნენ გვერდით ნაგებში ჩამწყობებულ სათავეებს.

შენობა ნაგებია ქვით, რომელთა უმრავლესობა თლილია. კედლებში ბლომად ზრევეია სხვადასხვა დროის ჩუქურთმიანი და რელიეფიანი ქვა. ისინი თავისთავად გადაკეთებულზე მიუთითებენ.

ხიდეები

ხიდეებს საქართველოში აშენებდნენ მას შემდეგ, რაც ქართველები მიწაზე დამკვიდრდნენ. ქვეყანაში დიდი და პატარა მდინარეების სიუხვე ხიდების სიმრავლეზე მიგვიჩივებს. პატარა და საშუალო მდინარეებზე, ალბათ, ხის ხიდეებს აგებდნენ, მაგრამ განიერი კალაპოტის მქონე მდინარეებზე, ადრე თუ არა, ანტიკური დროიდან მაინც, ქვის ხიდები იქნებოდა. კირის დულაბის შემოღების შემდეგ ქვის ხიდების აგება შედარებით გაიოლდებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე ბლომადაა ძველი ერთმალისანი ხიდი და მრავალმალისანი ხიდების ნაშთები, მაგრამ ისინი შესწავლილი არ არიან.

ვახუშტის ბაგრატიონს თავის „გეოგრაფიაში“ ბევრი ხიდი აქვს დასახელებული. იგი რამდენიმე ხიდს ასახელებს მტკვარზე, რიონზე და სხვა დიდსა თუ პატარა მდინარეზე, თანაც მასალად იგი ასახელებს ხესა და ქვას. ამასთან, აღნიშნავს, რომ ისეთი ჩქარი მდინარე, როგორცაა, ცხენისწყალი, თურმე არც ქვისა და არც ხის ხიდს არ აჩერებდა და ვახისაგან დაწნულ „ბონდს“, ე. ი. კიდულ ხიდს აკეთებდნენ და ზედ ქვეითად გადადიოდნენ.

აქვე ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ ხიდი იყო ერთმალისანი და მრავალმალისანი. მრავალმალისანი ხიდი, უპირველეს ყოვლისა, კეთდებოდა კალაპოტის სიგანის გამო, ამასთან, წყალდიდობაც იყო გასავალისწინებელი.

ხიდის მშენებლობა და გზის კეთილმოწყობა სახელმწიფო საქმე იყო. ამის კარგი მაგალითია მემატინის ცნობა დავით აღმაშენებლის აღმშენებლობის შესახებ. ამასთან სხვა საქმიანობათა შორის ნათქვამია: „აღაშენა, როდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, როდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყენა“.

ხიდისთვის მდინარის კალაპოტში ყოველთვის ეიწრო და მოხერხებულ ადგილს ეძებდნენ. მაგალითად, თბილისში მეტეხის ძირში, იქ, სადაც ახლაც ხიდია, წინა საუკუნეებშიც ყოფილა ხიდი. XVIII ს-ის პირველ ნახევარში, ვახუშტის თქმით, „აქ განვალს ხიდი კალიდან ისნს, ციხიდან ციხესა“. ხიდი იყო „მშენიერად ნაგებიც“.

მცხეთაში, მდ. მტკვარზე, რკინიგზის სადგურის მიდამოებში არსებული ხიდი ახალია, 20-იან წლებშია აგებული, მაგრამ მის აღმოსავლეთით, სამასიოდე მეტრის დაცილებით, ზაჰესის საგურბის შედეგად დაზარალებული ძველი ხიდი, რომელსაც „მოგეთა ხიდს“ უწოდებდნენ. ზოგიერთი ცნობით, იგი თითქოს რომაელი სარდლის

პომპეუსის (ძვ. წ. I საუკუნის 60-იანი წლები) მიერაა აგებული. აქ, ვიწრო კალაპოტში, შუაზე კლდოვანი ბორცვით, ისეთი მარჯვე ადგილია, რომ შეუძლებელია ხიდი, ისიც ქალაქის მიდამოებში, მანამდეც არ ყოფილიყო. შეკეთებების, ამ ხილმა იარსება მთელი შუა საუკუნეები, ვიდრე 1841 წელს აქ ახალი ხიდი არ გაჩნდა. თუ როგორ ჩააქსოვეს მასში ძველი ხიდი, უცნობია.

მტკერის გაყოლებას, ნაქალაქარი ურბნისის მიდამოებში, მდ. ხრამზე ე. წ. გატეხილი ხიდი და სხვა რამდენიმე ბურჯიანი ნახიდურები, მიგვითითებენ დიდი ხიდების არსებობას. მაგრამ აქ მოვიყვანთ მხოლოდ შედარებით პატარა მდინარეებზე გადებულ ერთმალაან ხიდებს. ესენია ქეით ნაგები ხიდები, რომელთა განაპირა ბურჯებზე გადადებულია ნახეარწრიული ან შეისრული თალები.

ბესლესი. შუა ფეოდალური ხანის რამდენიმე ასეული ხიდიდან, რომლებიც შემორჩენილია საქართველოს სხვადასხვა მხარეში, მხოლოდ რამდენიმეს მოვიყვანთ. მათ შორის წარწერა მხოლოდ ბესლესის ხიდს აქვს. იგი სოხუმის მიდამოებში, მდ. ბესლესისა. მას, 30-იან წლებში ასომთავრული წარწერის აღმოჩენამდე, „ვენეციის“ ან „გენუის“ ხიდს ეძახდნენ. დაზიანებული წარწერა თარიღდება IX-XII საუკუნეებით.

ხიდის ზედაპირის სიგრძე ორმოც მეტრამდეა, ხოლო სიგანე ხუთ მეტრს უახლოვდება. ქეით კირის ხსნარზე ნაგებ ხიდს წრიული მოხაზულობა მდგრადობას აძლევს. მისი გამოყენება ახლაც შესაძლებელია (სურ. 320).

სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ოცზე მეტი თაღოვანი ხილია შერჩენილი აჭარაში, მათი ზოგადი თარიღი ფეოდალური ხანაა, მაგრამ უფრო მეტი შუა პერიოდისა უნდა იყოს. მათგან დაეასახელებთ და ნ დ ა ლ ო ს ხ ი დ ს (აჭარისწყალზე), რომლის სიგრძე 35 მეტრია, ხოლო სიგანე სამ მეტრამდეა.

საინტერესო ხილია შერჩენილი რკონის მონასტერთან მდ. თეძამზე. იგი თავისი ფორმებით ახლაც მიმზიდველია.

გვიანი საუკუნეების ხიდებიდან უნდა დავასახელოთ მეფე როსტომის (1632-1658 წწ) სახელთან დაკავშირებული ვერეს ხიდი თბილისში და მდ. ხრამზე „წითელი ხიდი“, ანუ, როგორც მას ხშირად ეძახიან, „გატეხილი ხიდი“.

ვერეს ხიდი. თავის დროზე თბილისის გარეთ, მცხეთისკენ მიმავალ გზაზე, მდ. ვერესზე იყო ხიდი. 1932 წ. იგი დაფარა ახალმა ხიდმა, რომელიც ააგეს კოსტავას ქუჩის ბოლოს გამართა მოედნის შექმნისას. შემდეგში კი იმ მიზეზით, რომ თითქოს იგი მდინარე ვერეს წყალს ვერ ატარებდა, ორი მალი გაანგრის. ასე უაზროდ შეეწირა ისტორიული ხიდი ქალაქის მესვეურებს.

ვერეს ხიდი ოთხმალაანია (მაღების სიგრძე მერყეობს 6 მეტრიდან 10 მეტრამდე). მალეები ისრული ფორმისაა, როგორც ეს მიღებული იყო გვიან საუკუნეებში. ხიდის სიგრძე სამოცდაათი მეტრია, ხოლო სიგანე – ექვს მეტრამდეა. იგი ნაგებია ძირითადად აგურით. ნატეხი ქვის გამოყენებით.

„წითელი ხიდი“ თბილისიდან აღმოსავლეთით 55 კილომეტრზეა და მდებარეობდა ირანის საქარავნო გზაზე. იგი გადებულია მდ. ხრამზე. ამჯერად აქედან იწყება ახერბაიჯანი. ისტორიული ხიდებიდან ეს ყველაზე დიდია და იგი, შეკეთების შემდეგ, ახლაც მოქმედებს. ხიდს ორი განიერი და ორი შედარებით

ვიწრო მალი აქვს. ხიდის განიერ ბურჯებში სხვადასხვა დანიშნულებისა და ზომის სათავსებია. მათი გამოყენება შეიძლებოდა საწყობებად, ასევე მცირე ქარვასლის როლსაც შეასრულებდა. ხიდი ნაგებია ძირითადად აგურით (სურ. 322, 323).

საქარაიველოს მხარეებიდან ყველაზე ბევრი ხიდი შერჩენილია აჭარაში. შუა ფეოდალური ხანის ხიდებიდან შეიძლება დავასახელოთ: დანდალოს, მახუნცეთის, ფურტიოსა და სხვა ხიდები.

✽

სიმაგრეები

ციხე-ქალაქები

ანტიკურ და ფეოდალურ ხანაში, როგორც საქართველოში, ისე მთელ ცივილიზებულ სამყაროში, ქალაქი სიმაგრეს წარმოადგენდა. ქალაქი სხვადასხვა სახის იყო, 'ზოგი მასგანი დედაქალაქს წარმოადგენდა, ზოგში ცალკეულ დიდებულთა რეზიდენცია იყო გამართული და ზოგიც საეპარქო ცენტრი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ფეოდალურ ქვეყნებში ქალაქი იყო სამეფო და საფეოდალოც. სამეფო ქალაქები მთელ ქვეყანაში იყო გაფანტული, საფეოდალო კი მხოლოდ ლოკალური იყო. ყოველი სახის ქალაქი დაცული უნდა ყოფილიყო. იქ, მეპატრონის კონტროლის გარეშე, ვერც ვერაინი შევიდოდა და გამოსვლაც სავალყურს ექვემდებარებოდა. აქედან გამომდინარე, ყოველ ქალაქს გალავანი ჰქონდა შემოვლებული და იმდენი ჭიშკარი ჰქონდა, რამდენი გზაც ადგებოდა. ყოველ ჭიშკარს დაცვა გააჩნდა. გალავანში, ადგილმდებარეობის საეისებურების გათვალისწინებით, კოშკები იყო ჩართული. თვის ქალაქის შიგნით სიუხერენის სამყოფი, ციტადელი, აუცილებლად გამოყოფილი უნდა ყოფილიყო, რადგან სიუხერენს ემინოდა არა მარტო გარეშე მტრისა, არამედ ქვეშევრდომებისაც.

როგორც ყველაფერი, ქალაქიც დროთა ვითარებაში ცვლილებებს განიცდიდა. ამ მხრივ ძალიან დამლაშებლად მოქმედებდა საედასხმები, ნგრევა, წვა და აოხრება. ეს უბედურება ყველა ქალაქმა არაერთხელ განიცადა. ქალაქები ინგრეოდა, მაგრამ ზოგიერთი მასგანი ფენიქსივით აღდგებოდა ხოლმე. ასეთ გარემოებათა შედეგად ქალაქების ერთმა ნაწილმა სიცოცხლე შეწყვიტა, უმრავლესობამ კი გააგრძელა. ქალაქების აღდგენა ან გაქრობა ისტორიულ აუცილებლობას ექვემდებარებოდა. ვინ მოსთვლის რამდენჯერ დაანგრეეს და გადაწვეს თბილისი, მაგრამ იგი მანც აგრძელებდა სიცოცხლეს.

საქარაიველოს მრავალათეული ქალაქიდან განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმეს.

ქალაქი თბილისის ისტორია მოკლედ გადმოცემულია ადრეული შუა საუკუნეების მონაკვეთში, იმ ეპოქის ძეგლებთან ერთად, როცა იგი წარმოიშვა.

ქუთაისის ისტორია ათას წლებს ითვლის და საოცრად მრავალფეროვანია. ანტიკური პერიოდის ისტორიული წყაროების ცნობები კუტაია-ქუთაისის შესახებ ჯერ კიდევ ბევრ კვლევას მოითხოვს, ხოლო მოგვიანებით, კერძოდ, X-XI საუკუნეებიდან ბიზანტიურ წყაროებში იგი ხშირად იხსენიება როგორც სამეფოს ერთ-ერთი

გამაგრებული პუნქტი. მატიანეთა ეს მონაცემები ნაწილობრივ დაადასტურა ბოლო წლებში ქუთაისის უქიმერიონის ციხისა და ბაგრატიის ტაძრის მიდამოებში დიდი მასშტაბით ჩატარებულმა გათხრებმა. სამწუხაროდ, ეს მასალა ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი და გამოქვეყნებული არ არის. ადრეული ფეოდალური ხანის საქართველოში ქუთაისი თანდათანობით იზრდება და ძლიერდება. ვერისის დედაქალაქის - ციხე-გოჯის დასუსტების პარალელურად მიმდინარეობს ქუთაისის აღზევება. დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბება-გაძლიერებისას ქუთაისი ხდება მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი. ასეთ სიტუაციაში თვით ქალაქი გაიზრდებოდა და მისი გამაგრების სისტემაც შეიცვლებოდა, მაგრამ მონაცემების უქონლობის გამო, ეს ფაქტი არ დგინდება.

ქუთაისის გამაგრებაზე შედარებით საინტერესო ცნობას ეპოულობთ XVI საუკუნის 70-იან წლებში იტალიელ მოგზაურთან - ამბროჯიო კონტარინთან. მისი თქმით, ქუთაისი მთაზე განლაგებული პატარა ქალაქი იყო. ხილით თუ მოპირდაპირე მხარეებზე გადახვალთ, იქ მეფის სასახლე დაგხვდებათო, აღნიშნავს ავტორი.

XVI საუკუნეში ქუთაისის ციხისათვის ბრძოლებზე ხშირადაა საუბარი მატიანეებში. ქალაქს ზოგჯერ იღებენ, ზოგჯერ კი ვერა. ერთხელ გადაწვეს კიდევც.

მომდევნო საუკუნის ქუთაისის შესახებ ცნობებს გვაწვდიან რუსეთის ელჩები ტოლოჩანოვი და იველევი, რომლებიც ქუთაისში იყვნენ 1651 წ. მათი ვრცელი აღწერიდან ვიგებთ, რომ ქუთაისი შედგებოდა ორი ნაწილისაგან: „დიდი ქუთაისისა“ და „მცირე ქუთაისისაგან“. დიდი ქუთაისი, თავის მხრივ, იყოფოდა კიდევ ორ ნაწილად. აქ იგულისხმება ციტადელი და დანარჩენი ნაწილი (სურ. 331).

ქუთაისის აღწერისას ელჩები წერენ, რომ მას შემოუყვება სამი საყენის (დაახლოებით 6 მეტრი) სიმაღლის გალავანი, რომელშიც ჩართულია დიდი და პატარა თხუთმეტი კოშკი. მთაზე მდგარ დიდ ქუთაისში გამოყოფილ ციტადელს საკუთარი გალავანი შემოფარგლავდა. ქალაქს რკინის საკეტებიანი ერთი კარი ჰქონდა. იქვე ქალაქშია დედოფლის პალატები, რომლის კედლები მოხატული ყოფილა. პალატების წინ სამი ზარბაზანი მდგარა.

„დიდი ქუთაისის“ გარდა, მარცხენა მხარეს, ვაკეზე გაშენებული ყოფილა „ქვედა ქუთაისი“. დიდ და პატარა ქუთაისს შორის, რიონის ორივე მხარის გაყოლებასზე, სხრილი გადოდა, მის ქვეთ მოხრეშილ ნაპირებსზე ხის კოშკები ყოფილა ჩარიგებული. მეფის სასახლე ციტადელში იყო.

XVII საუკუნის 70-იან წლებში ქუთაისში იყო ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც ციხეს ოთხქმის ასევე აღწერს, ხოლო რაც შეეხება ქალაქის იმ ნაწილს, რომელიც ვაკეზე იყო გაშენებული, მოგზაურის აღწერით მას სიმაგრე არ ჰქონდა.

ქუთაისზე მომდევნო ცნობა ასიოდე წლის შემდეგ გვაქვს. კერძოდ, 1770 წ. ტოტლებენის ჯარმა ქუთაისი 120 წლის ბატონობის შემდეგ წაართვა თურქებს. იმერეთის მეფე სოლომონმა იმის შიშით, რომ სათარები არ მობრუნებულიყვნენ და აქ ხელახლა არ გამაგრებულიყვნენ, ციხე დაანგრევინა. ასეთი შემთხვევები სხვაგანაც ყოფილა.

1772 წ. ქუთაისში გაელთა მყოფი გიულდენშტედტი იძლევა ქალაქისა და ციხის

აღწერას, მაგრამ იგი შემომოყვანილისაგან მცირედ განსხვავდება. მომდევნო ხანაში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში შედგენილ რუკებზე წარმოდგენილი ქუთაისის დაახლოებით შემოაღწერილ სურათს იძლევა: მარჯვნივ ქალაქის გამაგრებული ნაწილი ციხადელით, ხოლო მარცხნივ – საცხოვრებელი უბნები და გამაგრებული მონაკვეთები. ყველა გეგმაზე ამ ორ ნაწილს მხოლოდ ერთი ხიდი აერთებს.

გორი ქართლის გულში მდებარეობს. ვისაც ქართლის დაპყრობა ეწადა, მას გორიდან უნდა დაეწყო. გორი მდებარეობს მტკვრის აუზში, მდ. ლიახვის მარცხენა ნაპირზე, საითქოს სპეციალურად დატოვებულ კლდოვან გორაზე.

ამ გორაზე პირველი ციხე აუგიათ ძვ. წ. III-I საუკუნეებში. რაც გაცხადდა მთის ჩრდილო ფერდობის ჩამოხეობების შემდეგ. ეახუმტის ცნობით კი ციხე აუგია ბიზანტიის კეისარს ჰერაკლეს, რომელიც საქართველოში იყო 627 წ. იმ დროის სამშენებლო ფენები ციხეზე ახლა არ ჩანს.

ციხე მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში მოქმედი იყო, ამიტომ, რთულ პოლიტიკურ სიტუაციათა გამო, ციხეს ქარაველი განუწყვეტლივ აშენებდა, მტერი კი ანგრევდა. ციხეს რაც დრომ დააკლო, 1920 წლის გორის მიწისძვრამ მოუთავა.

ნანგრევების მიხედვით ირკვევა, რომ ბოლოს იგი სამი დიდი ნაწილისაგან შედგებოდა (სურ. 328-330). პირველი და მთავარია მთის პლატოზე განლაგებული ციხე, რომელსაც დასაველეთით მოსდევს ე. წ. ცხრაკარა, ხოლო მესამე შიდა ციხეს შემოუყვება სამხრეთითა და აღმოსავლეთით. თითოეული მათგანი მრავალფენოვანია, მაგრამ დასიანების გამო არცერთი ფენის გამოყოფა არ ხერხდება. XVII საუკუნის 30-იან წლებში იტალიელმა მისიონერმა კასტელიმ გააკეთა ჩანახატი, სადაც გორის ციხე სამხრეთიდანაა დახატული. ამ ნატურიდან ჩანახატით თუ ვიმსჯელებთ, ციხე მეტად შთანბლებლია. "ხედა ციხის მაღალი კედლები კომპებითა და ბურჯებითაა გამაგრებული. ქონგურებიან კედლებზე რამდენიმე დროშაა აღმართული. ქონგურების ქვედა ხაზს გასდევს წვრილი სათოფეები და ნისკარტა სალოდეები. ასეთივე სურათია დასაველეთის ფერდობზე, სადაც კომპებიანი გალაყანი საფეხურებად ჩადის მდინარემდე. ამ „ცხრაკარას“ შიდა გეგმარებაში ახლაც ჩანს, რომ ფერდობს ორივე მხარეს გალაყანი მიუყვება და მდინარის პირას იკვრება. სქელ გალაყანს საბრძოლო ბილიკი მიუყვება. სწორედ ბილიკის დონეზეა სათოფეები და სალოდეები ჩამწკრივებული. ფერდობი შიგნით რამდენიმე კედლითაა გადაკეტილი. ხოლო ბოლო მონაკვეთიდან გვირახი ჩადის მდინარეზე, საიდანაც წყლით მარაგდებოდა ციხე (ახლა მდინარე დაშორებულია ციხეს). ციხის კარი იმ ადგილზეა ნაჩვენები, სადაც ახლათა.

ხედა ციხის სამხრეთის გალაყანის მარჯვენა მონაკვეთში გარკვევითაა დახატული ის პატარა ეკლესია, რომლის ფრაგმენტებიც აქამდეა მოღწეული.

გორის ციხეს მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა ქვეყნის ცენტრალური ნაწილის დაცვა. ასეთი ცნობები მატყანეთა ფურცლებზე ბევრია, მაგრამ აქ მათი გადმოცემა არ მოხერხდება.

თელავი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. მატყანეთა მონაცემებით, თელავი ჯერ კიდევ V საუკუნეში ქვეყნის აღმოსავლეთ-დასაველეთის გამჭოლად გამაყალ

სატრანსიტივ გზასე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია. IX საუკუნიდან კი მისი აღზევება იწყება და XI საუკუნის დასაწყისიდან ჰერეთ-კახეთის ძლიერი სამეფოს დედაქალაქია.

ქალაქ თელავს დღეს ვრცელი ტერიტორია აქვს მოკავებული. ძველი ქალაქის ერთიანი გაღვივების კვალი ახლა არ ჩანს. ქალაქმა ორ პერიოდში განიცადა აღმავლობა. პირველი იყო ძირითადად X-XI საუკუნეები, ხოლო მეორე – XVII-XVIII საუკუნეებში, როცა იგი მეორედ გახდა კახეთის ცენტრი, მისი დედაქალაქი. ორივე ამ პერიოდმა ცალკეული გაღვივებები დაგვიტოვა. პირველი ესაა „ძველი გაღვივანი“, რომელიც პირველი აღმავლობის პერიოდისაა, მეორე კი – მეორე აღმავლობის პერიოდისა. ამ პერიოდს მიეკუთვნება „ბატონის ციხე“, „ვახვახიშვილების ციხე“ და „ყორჩიბაშიშვილების ციხე“. ოთხივე ციხე პლატოს განაპირასაა განლაგებული და აღაზნის აუზს გადაჰყურებს. მთელი ეს ანსამბლი მრავალი გადაკეთებებითა და დაზიანებებითაა მოღწეული.

X-XI საუკუნეებში კახეთის სამეფოს აღმავლობის პერიოდში, კვირიკე დიდის მეფობის დროს უნდა იყოს აგებული „ძველი გაღვივანი“, რომელიც, ფაქტიურად, ციხე-დარბაზი იყო. იგი ძალიანაა დაზიანებული. ფაქტიურად, მოღწეულია გაღვივანი, რომლის შიგნით ჩანს ნაგებობათა კვალი. ციხე მდგარა მთაზე. მას ტრაპეციული გეგმა აქვს, ჭიშკრითაა სამხრეთით. მაღალი გაღვივანი გარედან კონუსური კონტრფორსებითაა გამაგრებული, ისე როგორც ამას ვხედავთ კვეტერისა და ბოჭორმის ციხეებში.

თელავის მთავარი და დიდი ობიექტია „ბატონის ციხე“, რომელიც XVII საუკუნის შუა ხანებიდან კახეთის მეფეთა რეზიდენცია იყო. ცნობილია, რომ აქვე გარდაიცვალა ლეგენდარული ერეკლე მეფე.

ციხეს მოკავებული აქვს ქალაქის ცენტრალური მონაკვეთი და ახლაც მეტად შესამბეჭდავია, იგი ქმნის ქალაქის განუმეორებელ კოლორიტს. ვაკეზე მდგარი ციხე, ძირითადად, ორი ნაწილისაგან შედგება. აღმოსავლეთის მონაკვეთი შიდა ციხეს, ციტადელს წარმოადგენს, ხოლო დასავლეთის ვრცელი მონაკვეთი, ალბათ, ციხე-გაღვივანის როლს ასრულებდა. პირველის ფართობი ერთ ჰექტარს აღემატება, ხოლო მეორისა – 1,5 ჰექტარზე მეტია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ანსამბლი სამეფო იყო (სურ. 332, 333).

ციტადელი შიდა კედლებით ოთხ არასთანაბარ მონაკვეთადაა დაყოფილი. მათში განაწილებულია – სასახლე, ორი ეკლესია და აბანო. მათ გარდა, ცხადია, იქნებოდა სხვა ნაგებობებიც.

ციტადელსა და მასზე მიდგმულ ვრცელ გაღვივანს ცალ-ცალკე ჰქონია შესასვლელი. ორივეს შუაში კამაროვანი გასასვლელია ტრანსპორტისათვის. ზემოთ კი ყარაულების საცხოვრებელია და ბოლოს, ქონგურებიანი საბრძოლო ბანი. ციტადელის ჭიშკრის კოშკი XVII საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული, ხოლო გაღვივანის კოშკი – მომდევნო საუკუნეში.

ციხის გაღვივანი სხვადასხვა სიმაღლისაა. ჩრდილოეთის მხარე ფერდობს მიუყვება, ამიტომ შედარებით დაბალია. დანარჩენი სამი მხარე ვაკეზეა, ამიტომ აქ

ზოგან გალაენის სიმაღლე 10-12 მეტრს აღწევს. შიგნიდან კედლებს საბრძოლო ბილიკი მაღლა მიუყვება. იმავე ხაზზე განლაგებული სათოფეები და ნისკარტა სალოდები.

„ვახეხიშვილების ციხე“ ბატონის ციხის აღმოსავლეთით, ხეგალმა, იმავე დონეზე მდებარეობს. ციხე ძალიანაა დაზიანებული და გეგმის აბრისი მხოლოდ მიახლოებითაა დგინდება.

გეგმა ტრაპეციას უახლოვდება ჭიმკრით დასავლეთით. გალაენის შიგნით სხვადასხვა ნაგებობა მდგარა. იქვე მდგარა მცირე ზომის ეკლესია. ძველი ტოპოგეგმების მიხედვით გალაენში ჩართული იყო ექვსი კოშკი. კოშკები ტიპურა XVIII საუკუნისათვის. ქვემოთ დამხმარე, ზემოთ საბრძოლო-საცხოვრებელი და ბოლოს პარაპეტიანი საბრძოლო ბანი.

გასული საუკუნის შუა ხანებში ციხეს ჰქონია ვრცელი წარწერა, საიდანაც დგინდება, რომ იგი 1743 წელს აუგია ბახიერაუხუცეს ზაად ვახეხიშვილს და მის ძმას ვახუშტის.

„ყორჩიბაშიშვილების ციხე“ მდებარეობს ბატონის ციხის დასავლეთით რამდენიმე ასულ მეტრზე და ესეც, სხვა ციხეების მსგავსად, ალაზნის ველს გადაჰყურებს. ეს ციხე თელავის სხვა ციხეებზე მეტადაა დაზიანებული, თანაც მისი ტერიტორია მოსახლეობას აქვს დაკავებული. ამიტომ აბრისიც არ დგინდება მთლიანად. მისი გეგმა დაახლოებით გრძელ ოთხკუთხედს უახლოვდება.

ციხის კუთხეებში და გალაენების ცენტრებში ცილინდრული კოშკები მდგარა. ჭიმკარი სამხრეთის ცენტრში ყოფილა. დამხმარე, კუტი კარები კი სამხრეთის გარდა, ყველა მხარეზე თითო ყოფილა. კარების ასეთი სიმრავლე იმითაა გამოწვეული, რომ ციხე შიდა კედლებით სამად იყო გაყოფილი. შიგნით მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა მდგარა. სიმაგრეთა შიგნით ნაგებობათა ასეთი სიმრავლე იმითაა გამოწვეული, რომ ესა და ვახეხიშვილების სიმაგრე, ციხეები კა არა, ციხე-დარბაზები იყო. იმავე მიზანს ემსახურებოდა სიმაგრის შიგნით მცირე ეკლესიის არსებობა. გალაენში ჩაყოლებული კოშკებიდან ერთია გადარჩენილი.

ციხისიმაგრეები

საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი სიმაგრეა, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა სახეობებს. მათ შორის გამოირჩევა ციხესიმაგრეები, რომლებიც ძირითადად ქვეყნის დაცვას ემსახურებოდნენ. ციხისათვის ადგილის შერჩევა, მისი აგება ფეოდალურ ქვეყანაში მეფის პრეროგატივაა. ამიტომაც, სხვა სიმაგრეებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ციხესიმაგრეშია გარნიზონი და მთელი სისტემა ერთ ჯაჭვზე ასხმული. სასლავარზე მტერი რომ გამოჩნდებოდა, მას ციხის ყარაული მაშინვე შეაშინებდა და ამოძრავებოდა სიგნალისაცა. ამას კი მოყვებოდა ცენტრის ამოძრავება და სწრაფი მობილიზაცია, რაც ომის ნახევრად მოგების ტოლი იყო. ამ

მომენტიდან ქვეყნის დაცვაში ჩაერთვებოდა ყველა სახის სიმაგრე. ხოლო, რადგან ციხეები ცოტაა ქვეყანაში, მაკავშირებლის როლს ასრულებდა კოშკი.

როდესაც ქვეყანა ერთიანი იყო, მაშინ სიგნალიზაციის სისტემა კარგად მუშაობდა და მტერი უწუმრად ცენტრში ვერ აღმოჩნდებოდა. იგივე სისტემა, მცირე მასშტაბით, მეორდებოდა ცალკეულ რეგიონში, გვიან პერიოდში კი სათავადოებშიც. როცა სიგნალიზაცია არ მოქმედებდა, მაშინ მისი განმკარგულებელი სასტიკად ისჯებოდა. მაგალითად, XVII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, როცა ქსნის ერისთავი, ამილახორიან ერსად, როსტომ მეფეს აუჯანყდა და მასზე გამოლაშქრება დააპირა, მეფემ დაასწრო, უგრძნეულად თავს დაესხა ახალგორში, დაამარცხა და აჯანყებულთათვის გაწყობილ სუფრას თეიხონ მიუჯდა თავისი ამლით.

საქართველოში რამდენიმე ასეული ციხესიმაგრეა, მათგან სანიმუშოდ მხოლოდ რამდენიმეს მოვიყვანთ.

სნოს ციხეს ორიგინალობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი თავის ეპოქის სიმაგრის ყველა მოთხოვნას პასუხობს და იმავე დროს მალაღმბატურული გემოვნებითაა ნაგები. მაღალი მთებით შემოსაზღვრულ ვიწრო ხეობაში დამკვეთი და ხუროთმოძღვარი ირჩევენ მდინარე სნოში მდებარე კლდოვან გორას და მასზე აგებენ ციხეს (სურ. 335, 336).

სნოს ციხე არაა დიდი, მაგრამ კლდეზე დგას, ამიტომ მტკიცე საფუძველი აქვს და ხეობაში მარჯვე პოზიცია უჭირავს. გადმოცემით, იგი ეკუთვნოდა ლეგენდარულ შიოლა ღუდუშაურს. ვახუშტის თქმით, „ციხე ღუდუშაურისა მცირე, არამედ ფრიად მაგარი“.

ციხეს წრეს მიახლოებული გეგმა აქვს. იგი შედგება ერთი კოშკისა და გალაენისაგან. გალაენის ერთადერთი კარი აღმოსავლეთითაა. გალაენი დაზიანებულია, მაგრამ ირკვევა, რომ ქონგურები ერთ დონეზე იყო, რადგან ძირი სხვადასხვა სიმაღლეზე იწყებოდა, მისი იარუსები ზოგან ორია, ზოგან კი სამი. იარუსები ხისა ყოფილა. სათოფეებით ყველა იარუსია აღჭურვილი, ხოლო ზედა იარუსზე რამდენიმე სწორკუთხა სალოდეც იყო.

ციხის გალაენის ჩრდილოეთის მონაკვეთში მოხრილი კამერაა, რომელსაც ქვის ფილებით დაწყობილი გვირგვინოვანი გადახურვა აქვს. ასეთმა გადახურვამ დღემდე მოაღწია ე. წ. გლეხის დარბაზებში. მისი წარმომავლობა კი ათასი წლების სიღრმეში მიდის, ხოლო წერილობითი მისი არსებობა დადასტურებულია ჩვენ წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში. რომაელი ვიტრივიუსის წიგნებში ხუროთმოძღვრების შესახებ გვირგვინოვანმა გადახურვამ მთელი შუა საუკუნეები გამოიარა. ამის კარგ მაგალითს იძლევა 864 წ. აგებული არმანის ეკლესია, XVI საუკუნის მეორე ნახევარში ან მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარში აგებული სნოს ციხე, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში აგებული ლარგვისის მონასტრის მთავარი კოშკი და ბოლოს XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ შემორჩენილი „გლეხის დარბაზები“.

სნოს აღნიშნულ კამერას იატაკში ორი ხერელი აქვს, ხოლო კედლებში – სათოფეები, ეტყობა მას, საჭიროების მიხედვით, იყენებდნენ თავდასაცავად.

გალაენში ჩართული კოშკი პირამიდული ფორმისაა. მისი ქვედა ნაწილი

მასიურია. პირველი სართული კარით ექვსი მეტრის სიმაღლეზეა. ზემოთ სამი სართულია. სხვა კომპებისაგან განსხვავებით, მას ქვის ფილების სართულშუა გადახურვა ჰქონია. პირველი სართულის გარდა, ზედა სართულები აღჭურვილია სათოფეებით. კომპი ქვითაა ნაგები. ფასადები შემოსილია მქისედ ნათალი ქვით.

ჩაილურის ციხე. ეს ციხე მდებარეობს კახეთის მთავარ ტრასაზე. გურჯაანიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალი მგზავრი ჯერ მარცხნივ, მაღალი მთის წვერზე აღმართულ მანავის განთქმულ ციხეს დაინახავს, ხოლო შემდეგ მარჯვნივ, შედარებით დაბალ მთაზე მდგარ ჩაილურს. ციხე ძალიან იყო დაზიანებული, მაგრამ 80-იან წლებში, რაიონის ინიციატივით, აღდგენილ იქნა. ცხადია, აღდგენაში ბევრია პირობითი. ასეთი მასშტაბის რეკონსტრუქცია, ძეგლთა დაცვის მსოფლიო დებულებით, მიღებული არ არის. ჩვენ განვიხილავთ იმას, რაც დაგვხვდა და არა აღდგენილს.

მოგრიო მთის ზედაპირი მოუსწორებიათ და არათანაბარი ხუთგვერდა ციხე აუგიათ. ოდესღაც ძლიერი ციხიდან დარჩენილია გალანის კვალი და კომპების ფრაგმენტები (სურ. 338).

გალანის ხუთივე კუთხეში აღმართული იყო სხვადასხვა ზომის ცილინდრული კომპი. კომპების ნანგრევებით დგინდება, რომ ისინი სამსართულიანები იყო საბრძოლო ბანი. კომპებს კარი ეხოვდან ჰქონდათ. ყველა სართული აღჭურვილი იყო ცალმაგი და ორმაგი საყოფით. ანალოგიების მიხედვით, ბოლო სართულზე სალოდე და სახარბაზნეც უნდა ყოფილიყო.

გალაიანი 5-6 მეტრის სიმაღლისა ყოფილა, მისი ქვედა იარუსი ყრუ კედლიანი იყო, ხოლო ზედა იარუსზე საბრძოლო ამბრაზურები იქნებოდა განლაგებული.

ციხე ნაგებია კირის დულაბზე ნატეხი ქვით.

ჩაილურის ციხე, ზოგადი მონაცემებით, თარიღდება XVII საუკუნის მეორე ნახევრით ან მომდევნო საუკუნის დასაწყისით.

ოცარცეს ციხე მდებარეობს მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე, რუხის ციხის ცერად. ეს სახელი ახალია. იგი შერქმევია იქვე მახლობლად ცარცის ქვის კარიერის არსებობის გამო. არაეინ უწყის, თუ რა ერქვა მას თავდაპირველად. ციხის ძირითადი დანიშნულება იქნებოდა მდინარეზე გადამავალი გზის დაცვა. მისი მცირე ზომებიც ამაზე მოუთხოვს (სურ. 339).

ციხე აღმართულია მდინარის კლდოვან ფლატეზე. ამ მხრიდან მტრის ამოსვლა შეუძლებელი იყო. ციხის ერთადერთი კარი, რომელიც სამხრეთით მდებარეობს, შეეუღლ კლდეზეა. ამოსვლა დაუკითხავად აქედანაც გაჭირდებოდა. ჩრდილოეთით და დასავლეთით გორაკს მცირე ქანობი აქვს, ამიტომ აქ დაცვის იმედი მთლიანად გალაენზე იყო დამოკიდებული.

რამდენადაც ციხის ნანგრევებში ამის გარკვევა ხერხდება, იგი ძირითადად კომპისა და გალანისაგან შედგებოდა. კომპი დიდი ზომის სამსართულიან ნაგებობას წარმოადგენს. სამივე სართული კამარებითაა გადახურული. ნაგებობის კონსტრუქციის მდგრადობისათვის კამარების ღერძები ჯეარედინადაა განლაგებული. კომპის კარი აღმოსავლეთისაკენ, მდინარის მხარეს, მეორე სართულზე. პირველ სართულზე

მეორე სარსულის იატაკიდან ჩადიან. ასევე კამარიდანაა ასასვლელი მესამე სარსულზე. სართულებს შორის კაეშირი ხის კიბით იყო.

კომქსა და მდინარეს შორის კამაროვანი ტალანია, რომელიც განმანაწილებლის როლს ასრულებდა. კომქის სართულები აღჭურვილია სათოფეებით.

ციხის გალავანი მოხაზულობით წრეს უახლოვდება. ფრაგმენტების მიხედვით, იგი 5-6 მეტრი სიმაღლისა მინც უნდა ყოფილიყო. მისი ქვედა იარუსი ყრუა. საბრძოლო ელემენტები ზედა იარუსზე იქნებოდა განლაგებული.

ციხე ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. სტილისტიკური ნიშნებით, იგი აგებულია XVII საუკუნეში.

ციხე-დარბაზები

ციხე-დარბაზი ძირითადად ფეოდალური სამყაროს წარმონაქმნია. ამ ეპოქაში ქვეყანა საფეოდალიებისაგან შედგებოდა. თავისთავად საფეოდალო სახელმწიფოში პატარა სახელმწიფო იყო, ამიტომ გამაგრება მას ისევე სჭირდებოდა, როგორც მთელ ქვეყანას.

ციხე-დარბაზი ფეოდალის, სიუხერენის, ამა თუ იმ რეგიონის მებატონის გამაგრებული საცხოვრებელია.

ქვეყანაში ფეოდალის ადგილსა და მის როლზე ეახუშტი ბაგრატიონს საოცარი ლაკონიურობით აქვს ჩამოყალიბებული. მასთან ეკითხულობთ: „წესნი მთავართა იყო გვარი და შთამომავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი... მთავართა ჯერ იყო აქუნდეს ჩამომავლობა და გვარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ხეობანი, და თუნიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად. ხოლო აზნაურსა აქუნდა გვარი და ჩამომავლობა, და სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა, და დაბნებნი, და ძალედეას გამოსვლა მარქაფით, კარვისა და მათთა გაწყობილებითა, და თუნიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად“ (ხაზი ჩვენია).

ციხე-დარბაზის სიდიდეს ფეოდალის შესაძლებლობები განსაზღვრავდა და ძირითადად ასე წარმოგვიდგება: რეზიდენციას კომქებიანი გალავანი შემოსასაღვრავდა. შიგ კი აუცილებლად უნდა მდგარიყო სასახლე, ეკლესია და დამხმარე ნაგებობები. თითქმის აუცილებელი იყო აგრეთვე აბანო. ცხადია, ცხელი წყლით მომარაგება მთავარი იყო.

ციხე-დარბაზის წარმოშობას, ცხადია, განსაზღვრავდა ქვეყნის რეგიონებში ფეოდალისთვის თავისებურებანი. ამიტომაც ეხედავთ რეზიდენციასა მოწყობაში განსხვავებებს. მიუხედავად ამისა, ერთი რამ ცხადია – თავის ციხე-დარბაზში ფეოდალი დაცული უნდა ყოფილიყო. რეზიდენციაში შეიძლება ციტადელი გამოყოფილი ყოფილიყო.

ქვეყანაში შემორჩენილი ასეულობით ციხე-დარბაზიდან აქ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს მოვიყვანთ.

ახალგორი. ქსნის ხეობა მრავალმხრივად საინტერესო. მას მეტად მდიდარი ისტორია აქვს და ძეგლებითაც მრავალფეროვანია. ასეთ ხეობაში წარმოიშვა ქსნის საერისთავოც. ქსნის ერისთავები თავიანთი არსებობის მთელ მანძილზე ძლიერნი და მოქმედნი იყვნენ. ისინი საქართველოსათვის იღვწოდნენ, მაგრამ დროდადრო, ფეოდალური სუპარატინიზმის თავისებურებათა გამო, მეფეებსაც არ ეპუებოდნენ, დაუდგარნი და ქედმოუხრელნი იყვნენ. ასეთ ფეოდალებს შესაფერისი რეზიდენციებიც უნდა ჰქონოდათ.

ისტორიული წყაროების მონაცემებით, ქსნის საერისთავოს სათავედ გადაქცევის პროცესი XV საუკუნისათვის ძირითადად დამთავრებულად ჩანს. ერისთავებს ამ ხანისათვის უკვე გააჩნდათ ციხე-დარბაზი, საგვარეულო საძელე და სხვა აუცილებელი ელემენტები.

ქსნის ერისთავები თავდაპირველად „ქენიფნეელებად“ იწოდებოდნენ. ზოგჯერ ისინი თავიანთ თავს „ქენიფნეველ-ლარგეელებს“ ეძახიან. ბოლოს კი „ქსნის ერისთავები“ არიან.

პირველი მათი რეზიდენცია ქენიფნეეში იყო. იგი მდებარეობდა მდინარის ზედა წელში, მის მარჯვენა მხარეს, მაღალ მთაზე. იგი საკმაოდ მიუდგომელი იყო და ამიტომ შესაძლოა მეორე რეზიდენცია ქსნის სამი შტოს შეერთების ადგილზე – ლარგეისში იყო.

ადრეულ საუკუნეებში ფეოდალთა ციხე-დარბაზები მთებში მაღალ, მიუდგომელ ადგილებში იყო და სიმაგრეს მიწის დონეზე შეიძლება ჭიშკარი კი არა, ვიწრო კარიც არ ჰქონოდა. ამ შემთხვევაში შესვლა ხდებოდა მაღლიდან, მისადგმელი კიბით. მაგრამ მას შემდეგ, რაც ომები გახშირდა, ციხე-დარბაზისათვის ადგილის შერჩევის საქმეში მოხდა რადიკალური ცვლილებები. ფეოდალისათვის, რომელიც თავის საფეოდალოში სარდალიც იყო, აუცილებელი შეიქნა მოსახლეობასთან ახლოს ყოფნა. მიუხედავად ამისა ფეოდალი თვითონ კი იყო დაცული, მაგრამ საკუთარი მოსახლეობა დაუცველი რჩებოდა. ამიტომ გვიანფეოდალურ ხანაში ნელ-ნელა იწყება ამ საკითხის გადასინჯვა და XVII საუკუნის დასაწყისიდან მათ უკვე ჩამოიქვეითეს – ბარში ჩამოდიან. თუ ადრე ფეოდალი მოსახლეობისაგან მოწყვეტილი იყო, ახლა უშუალოდ მათ შორის არის. ამის შემდეგ ფეოდალისა და სარდალის მოქმედება უფრო მიობილური ხდება.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, ერისთავები ტოეებენ მთებში მომწყვედულ ქენიფნეესა და ლარგეისს და მდინარის ქვედა წელში, შედარებით გაშლილ ადგილზე – ახალგორში გადმოდინან. თუ ძველ რეზიდენციამდე ფეხით ან ცხენით მიისვლებოდა, ურმით კი ძნელად, ახალგორში ყოველგვარ ტრანსპორტს შეეძლო მოძრაობა, ამიტომაც აქ სიმაგრეს ჭიშკარიც აქვს.

ამ პერიოდისათვის აღსანიშნავია ისიც, რომ ქსნის ერისთავები მეზობლების ხარჯზე აფართოვებენ თავიანთ სამფლობელოს და ნაწილობრივ გვერდითი ხეობებიც შემოიმტკიცეს. იმავე პრინციპებიდან გამომდინარე, ისინი იცვლიან საძელებსაც. მთავარ ეკლესიასაც და ლარგეისის მაგიერ იკორიაში ინაცვლებენ.

ახალგორში სამმა ანსამბლმა მოაღწია. ერთი მათგანი, ყველაზე დიდი, მთავრის

- ერისთავისაა, ხოლო ორი დანარჩენი - გეარის უმცროსი შტოს წარმომადგენლების. მდინარის მარცხნივ, ეაკეზე, შედარებით დაბალი გალაენით თიხაქმის ხუთი ჰექტარია შემოფარგლული. შიგნით განლაგებულია ორი ციხე-დარბაზი, მესამე კი მისგან ჩრდილო-დასავლეთითა, მდინარის აღმა, დაახლოებით ორასიოდე მეტრზეა. სამივე ანსამბლი დახიანებულია, მაგრამ ძირითადი გვემარება დგინდება.

აქვე შეიძლება იმის ხაზგასმაც, რომ ორი ანსამბლის ირგვლივ შემოფარგლული დიდი ფარსობი ალბათ განსაზღვრული იყო ქალაქისათვის. ისტორიულ წყაროებით ცნობილია, რომ ახალგორი მცირე ქალაქების რიცხვში შედიოდა.

მთავარი ანსამბლი დიდი გალაენის შიგნითა, ჩრდილოეთით, მთის ძირას იდგა. (სურ. 340-342). იგი რამდენჯერმე იყო გადაკეთებული. თავდაპირველად აქ მდგარა მოგრძო გეგმის მქონე გალაენი, შუაში დიდი ორსართულიანი სასახლით. გალაენში ორი პირამიდული კოშკი ყოფილა ჩარსული. მათგან დონჯონს ჩრდილო-აღმოსავლეთის შეიღსართულიანი კოშკი წარმოადგენდა. იგი აღჭურვილია სათოფეებით, სახარბაზნეებითა და საღოდეებით, მაგრამ იმავე დროს საცხოვრებელიცაა. მას აქვს ბუხარი, თახჩები და მეექვსე სართულზე ხის აივანი, რომელიც ხეობას გადაჰყურებს. აქ მსხდომნი მარალაც დატკებოდნენ ბრწყინვალე ხეობის სანახაობით. შემდეგ გალაენისათვის ჯერ მრავალგვერდა კოშკი დაუდგამო ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში. ბოლოს, გასულ საუკუნეში, სასახლე დიდ ამპირულ ნაგებობად გადაუკეთებიათ.

ციხე-დარბაზის სხვა ნაგებობებიდან, ნანგრევების სახით, მხოლოდ აბანომ მოაღწია ჩვენამდე.

მეორე ანსამბლი ფარსითა ნაკლები არ არის, მაგრამ ნაგებობათა მასშტაბით მომცროა. იგი პირველისაგან ჩრდილოეთითა, იმავე გალაენის ფარგლებშია. მისი გეგმა არასწორი ოთხკუთხედიანია. თავდაპირველად გალაენში ჩარსული იყო ორსართულიანი სასახლე და ერთი კოშკი. შემდეგში პირველი კოშკი დარღვეულა და ოთხივე კუთხეში სწორკუთხა რამდენიმესართულიანი კოშკი დაუდგამთ. კოშკები თავის ეპოქისათვის საჭირო ყველა ელემენტითაა აღჭურვილი.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოს, რომ ორივე ანსამბლის შემოფარგლული დიდი გალაენის დასავლეთის ხაზზე, მდინარის პარალელურად მიმავალ კედელში ჩაყოლებულია სამი პირამიდული კოშკი. მათგან ცენტრალური ითავსებს კამაროვან ტიპისარსაც.

დიდი გალაენის გარეთ მდგარი მესამე ანსამბლი ჩრდილო-დასავლეთითაა, მდინარესთან უფრო ახლოს. იგი სხეებზე მცირეა და შედგება ერთი სწორკუთხა კოშკისა და ორად გაყოფილი გალაენისაგან.

ახალგორის სამივე ანსამბლი XVII საუკუნეს მიეკუთვნება. როცა მოუსვენარი ქსნის ერისთავების სეპარატიზმმა, მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლამ ყოველგვარ ხლევარს გადააჭარბა, 1777 წელს ცენტრალური ხელისუფლება იძულებული შეიქნა საერისთავო გაეუქმებინა.

ანანური. არაგვის ერისთავთა სიძლიერეზე მოგვითხრობს არაერთი მემბტანე. მათი სამყლობდლო საქმოდ ერცველ ტერიტორიას მოიცავდა. მას მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობა ეჭირა. აქ, არაგესა და თერგზე, გადიოდა ჩრდილოეთის

ქვეყნებთან მაკავშირებული მთავარი გზა. ამ გზას კი ყოველ ეპოქაში დაცვა სჭირდებოდა. მართლაც, ამ მაგისტრალზე დაცვის სხვადასხვა სისტემის ნაშთებს ვხვდებით თუ ადრეულიდან არა, ანტიკური დროიდან მაინც. ამ გზაზე, დაწყებული დარიალის ხეობიდან, ვიდრე მტკვრამდე სიმაგრეთა ისეთი მნიშვნელოვანი წარმონაქმნები იყო, როგორიცაა – დარიალის ციხე, არშა, მლეითი, ანანური, დუშეთი, ბერისციხე და მცხეთა. რაც შეეხება კომკებს, ისინი ასეულობითაა. ამ ძეგლებში გამოირჩევა ანანური.

ანანური ძლიერი არაგვის ერისთავების ერთ-ერთი რეზიდენცია იყო და არა ერთადერთი. ჩამოყალიბებული საერისთავოს მთავარი რეზიდენცია იყო დუშეთი, ხოლო ანანური არაგვისა და ვეძათხევის გზაგასაყარზე სამელო ციხესა და არაგველსა მეორე რეზიდენციას წარმოადგენდა. ციხისათვის ისეთი სტრატეგიული ადგილი შეურჩევიათ, რომ იქ მსხდომთა უკეთესად, ამ ხეობაში ცოცხალი არსება ვერ გაიჭაჭანებდა. ციხე ტრასას არწივივით ადგას (სურ. 280).

არაგვის ერისთავების ისტორია და მათი რეზიდენციის საკითხი ჯეროვნად არაა შესწავლილი. მათი ისტორია, თუ ადრეულიდან არა, XIV საუკუნის ბოლოდან მაინცაა ცნობილი. რეზიდენციად კი მხოლოდ დუშეთი ჩანს, სადაც ახლა მცირე ნანგრევებაა შერჩენილი. დუშეთში არის გეიანი ხანის „ამილახერიანთ კარი“, საქმოდ მაგარი ციხე, ცალკე მდგარი „ყარანგონაშეილების კოშკი“ და სხვა, მაგრამ მათ რეზიდენციასთან პირდაპირი კავშირი არა აქვთ.

არქივში შემორჩენილია ციხის გეგმა, რომელიც ტიპურია XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის და, ალბათ, არაფერი საერსო არა აქვს ფეოდალთა რეზიდენციასთან. ფეოდალური ხანის ბოლო საუკუნეებში ძლიერი და დაუნდობელი იყვნენ არაგვის ერისთავები.

საუკუნენახევრის განმავლობაში არცერთი არაგვის ერისთავი საკუთარ ლოგინში, ჩვეულებრივი სიკვდილთა, არ მომკვდარა. ისინი არც თვითონ ისვენებდნენ და არც მუზობლებსა და მეფეს ასვენებდნენ. მუშატიანე გორგიჯანიძე ერთგან მათზე წერს, რომ მათგან საქართველო მუდამუამს აშლილი და აოხრებული არისო. მათ ყური რომ უგდოთ, „ღღეში ერთხელ ქვეყანას მეფე უნდა გამოეუცვალოთ“.

ასეთ მოუსვენარ ფეოდალთა ატანა შეუძლებელი შეიქნა, ისინი ქვეყნის გაერთიანებასა და დამკვირობთა წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმრას ხელს უშლიდნენ. ამიტომ 1743 წ. მეფემ არაგვის საერისთავო გააუქმა.

ანანურის ერცელი ანსამბლი მაღალი მისი ქიშხა განლაგებული. ანსამბლი ფეოდალური ხანის უკანასკნელ საუკუნეებში თანდათანობითაა შექმნილი. საბოლოო სახით ციხე ორი ნაწილისაგან შედგებოდა. მთავარი იყო შიდა ციხე, ანუ ციტადელი, რომელიც ქედზე იყო განლაგებული. მას აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ემიჯნებოდა მასზე სამ-ოთხჯერ დიდი ქვედა ციხე. პირველი მათგანი შედარებით კარგადაა მოაწვეული, ხოლო მეორე თითქმის დანგრეულია. ეს ქვედა ციხე შედარებით ვაკესე იყო განლაგებული და მას სამხრეთით ჰქონდა ჭიშკარი, ხოლო გალავანში ჩართული იყო ხუთი სხვადასხვა ფორმის კოშკი. იქვეა საშუალო ზომის დარბაზული ეკლესია „მკურნალი“.

ციტადელი გემით გრძელი ოთხკუთხედი. გალავანში ჩართულია ცილინდრული და პირამიდული კოშკები. მათი სართულიანობა მერყეობს ოთხსა და შვიდს შორის. კოშკები საბრძოლო და საცხოვრებელია. ისინი აღჭურვილია ყველა საჭირო ელემენტით. აქაა სათოფეები, სალოდეები და საზარბაზნეები. გალავანი 5-6 მეტრი სიმაღლისა ყოფილა და შემდეგ მისთვის კიდევ 2-3 მეტრი დაუმატებიათ. გალავანიც იარსებადაა დაყოფილი და თითოეული მათგანი აღჭურვილია სათოფეებითა და სალოდეებით. სამხრეთის ცენტრში მდგარი კოშკის ქვემოთ განიერი შემოსასვლელია გამართული. იქვე ახლოსაა დიდი წყალსაცავი წყაროთი. ციტადელი ძირითადად XVII საუკუნის ნაწარმოებია.

ციტადელში ჩართულია ორი გუმბათოვანი ტაძარი. ერთი მათგანი მომცროა და დასაველეთით დგას. იგი აგებულია XVI საუკუნის მეორე ნახევარში ან მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარში.

მეორე გუმბათოვანი ტაძარი, აგებული 1689 წ. გვიანი საუკუნეების საუკეთესო ხუროთმოძღვრული ნაწარმოებია. მასთან ერთადაა აგებული აგრეთვე სამრეკლო, რომელიც ღვას მცირე ეკლესიის სახურავზე.

ციტადელში ყველაზე ადრეული კოშკი ღვას ცენტრში. იგი პირამიდულია, საფეხურებიანი სახურავით. იგი ოთხსართულიანია და აგებული ჩანს XV საუკუნის ბოლოს ან მომდევნო საუკუნის დასაწყისში. თავისთავად ასეთი სახურავიანი კოშკი ქართლ-კახეთში ერთადერთია. მისი რამდენიმე ნიმუში ღვას ფშავე-ხევსურეთში და მთებგაღმა, მომიჯნავე ტერიტორიაზე.

ნოსტე დიდი მოურავის, სახელგანთქმული გიორგი სააკაძის რეზიდენციაა. სააკაძეთა ძირი ტანას ხეობის სოფელ ფელეში იყო. საუკუნეების განმავლობაში მათი მამულები იხრდებოდა თემის ხეობაში, ამიტომ გიორგი სააკაძემ ახალ რეზიდენციად ნოსტე გაიჩინა. აქ მან სულ სამი ათეული წელიც ვერ იცხოვრა, მაგრამ ძირითადი ბაზა მანაც შექმნა. აქ ჩატარებულმა გათხრებმა ძველ რეზიდენციაზე წარმოადგენა შეგვიქმნა (სურ. 343-345).

რეზიდენციისათვის შერჩეულია თრიალეთის ქედის ერთ-ერთი მთის ფერდობის ტერასა. ამ დონიდან ქვემოთ, ჩრდილოეთისაკენ, მთელი ხეობა მოჩანს. თავადის ბუნებიდან გამომდინარე, იგი ზემოდან დაჰყურებს ყველას და ყველაფერს.

რადგან რეზიდენციას ზურგი ქედზე ჰქონდა მიბჯენილი, საჭირო იყო გადმოსასვლელის ჩაკეტვა. ამ მიზნით იქ საყარაულო კოშკი დაუდგამთ.

მთის ტერასა რეზიდენციისათვის გალავნით მშვილდივით შემოურკალაეთ. მის შიგნით ძირითადი ნაგებობებია განლაგებული. გალავნის ჭიშკარი დასაველეთითაა. კარის ეკლესიად კი გამოუყენებიათ იქვე ახლოს, დასაველეთით მდგარი დარბაზული საყდარი.

ფერდობზე მიქნებული გალავნიდან ძირაა გადარჩენილი. მის შიგნით კი მდგარა სასახლე, საცხოვრებელი სახლები, კოშკი, მარანი, აბანო, საჯინიბე და სხვა დამხმარე ნაგებობები. რეზიდენცია წყლით კერამიკული წყალსადენით ორი ხეობიდან მარაგდებოდა.

სასახლე ორსართულიან ვრცელ ნაგებობას წარმოადგენდა. მისგან ნაწილობრივ

გადარჩენილია გარე კედლები. კოშკი იშვიათი პროპორციებისაა. კარი პირველ სართულზე მაღლაა. ზედა სართულებზე მარტივი სასოფეები და ბოლოს სწორკუთხა სალოდეებია.

საკაპეოა ნოსტეს რეზიდენციის ისტორია უშუალოდაა დაკავშირებული გიორგი სააკაძის აღზევებასა და დაცემასთან. 1626 წ. დიდი მოურავი იძულებული შეიქნა სამშობლოს გასცლოდა.

ხულუტის ციხის ავტორი საკმაოდ მაღალი გემონებით ყოფილა დაჯილდოებული. მას მდ. ხრამის ხეობაში სიმაგრისათვის შეურჩეია ეიწრო კლდოვანი ადგილი და მისთვის მოურავია სიმაგრის მრავალფეროვნება. ციხის დამცველსა დაუკითხავად ამ ხეობას ვერაინ გადაჭრიდა.

ხულუტის ციხე, ერთი გვიანი დოკუმენტის მიხედვით, XVII საუკუნის ოცან წლებში აუგია ყაფლან ორბელიანს შაჰის კარზე მსახურის ბიძის მიერ გამოგზავნილი ეკლესიისათვის ასაგები თანხით. იმ ეპოქაში ეკლესიის მაგიერ ციხის აგება გამართლებული იყო (სურ. 346, 347).

ადრეულ საუკუნეებთან შედარებით, გვიან საუკუნეებში რეზიდენციები ეაკე ადგილებზე იგებოდა და არა მთის წვერზე. ასეა ხულუტშიც. მისთვის ხეობის ეიწრო ყელი შეურჩეიას. მდინარის მარჯვენა ნაპირი პიტალო კლდეა. აქ მტერი გაელას ვერ მოახერხებდა. მარცხენა ნაპირი, მდინარიდან მაღალ მთამდე, მთლიანად ციხითაა გადაკეტილი. ციხეში გასვლა გამჭოლად მხოლოდ ეიწრო კარებით შეიძლება.

ციხე-დარბაზის მცირე ეხოს ირგვლივაა ყველაფერი განლაგებული. ეხოს ჩრდილო-დასავლეთის კუთხე უჭირავს დიდ კოშკს, ხოლო მის ცერად მცირე კოშკია. ეხოს სამხრეთით მთელი მონაკვეთი ორსართულიან სასახლეს აქვს მოკავებული.

კლდოვან საძირკველზე მდგარი საოცრად გრანდიოზული კოშკი ვერტიკალურად ორადაა გაყოფილი. პირველ ნაწილში რვა სართულია, მეორეში – შვიდი. ეს, ფაქტიურად, ვერტიკალზე დაგეგმარებული სასახლეა, ყველა საცხოვრებელი და საბრძოლო ელემენტით. ქვედა სართულები ძირითადად საცხოვრებლად იყო განკუთვნილი სასოფეების გარეშე, ზედა სართულებში კი სასოფეები საკმაოდაა. ბოლო სართულზე ნისკარტა სალოდეებიცაა. ბუხრები, ერთის გამოკლებით, ყველა სართულზეა. კოშკის კედლები მეტად მტკიცეა. მათი სისქე ქვემოთ 2-3 მეტრია, ზემოთ კი თხელია. კოშკი და სიმაგრე მთლიანად ფლეთილი ქვით სქელ დულაბზეა აგებული.

მცირე, სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში მდგარი კოშკი, პირველთან შედარებით, პატარაა, ხოლო გადაწყვეტით იმავე პრინციპზეა აგებული. ქვედა სართულები, ეიწრო სარკმლებით და განჯინებით, საცხოვრებელია, მეოთხე სართული კი სასოფეებითა და სალოდეებით – თავდაცვითი. ორივე კოშკს ორფერდა სახურავი აქვს, რაც იშვიათად გვხვდება.

კოშკის მიმდებარე მცირე ეხო გადატვირთულია. აქაა წყალსაცავი, ტაღანი კოშკში შესასვლელად, ბილიკი საპირფარეოში მოსახვედრად და სხვა. მართალია, სიმაგრის შიგნით იყო წყალსაცავი, მაგრამ მას გაესება უნდოდა და საერთოდ.

რეზიდენციას წყლით საიმედოდ მომარაგება სჭირდებოდა. ამ მიზნით იქვე ნაპირას იწყება გვირაბი, რომელიც ციხეს გარედან მიუყვება მდინარემდე. მისი ბოლო ორიგინალურადაა გადაწყვეტილი. მდინარეზე გვირაბის ბოლო ძაბრიეთაა დამხობილი. ციხიდან წყალზე ჩასულს გარედან ვერ ხედავდნენ, თვით კი შიგნით თავისუფლად მოქმედებდა.

ამ კოშკის გარდა, წრფელი გეგმის თითო მცირე ზომის კოშკი ჩასმულია სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში.

ციხის ეზოს სამხრეთის ხაზი მთლიანად მოკავებული აქვს ორსართულიან საცხოვრებელს. მიუხედავად იმისა, რომ იგი საცხოვრებელია, მისი ბანის გარე კედლებში სათოფეებია ჩამწყობებული.

ხულუტის ციხე, მიუხედავად დაზიანებისა, ახლაც შთამბეჭდავია. დამოუკიდებელი საქარაველოს დაცვას კი იგი ბოლომდე უმსახურა.

მატანი მდ. ალაზნის სათავისკენაა. მის მარცხენა მხარეს, დიდი სოფლის ჩრდილო განაპირას, ფერდობზე განლაგებული სიმაგრე ჩოლოყაშვილების ციხე-დარბაზი ყოფილა. მას ახლაც „ჩოლოყაანთ ციხეს“ ეძახიან.

ფერდობზე სწორკუთხა გეგმის მქონე ციხე-დარბაზს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ჰქონდა მოკავებული. ოთხკუთხა გალავნის კუთხეებში ცილინდრული კოშკებია აღმართული, ხოლო მის შიგნით სამი საცხოვრებელი სახლი, კარის ეკლესია და წყარო იყო განთავსებული. ეკლესია საშუალო ზომის დარბაზულ ნაგებობას წარმოადგენს, ხოლო საცხოვრებელი სახლებიდან მხოლოდ მათი კვალი და გალავნებში ჩარსული კედლებია მოღწეული. წყარო კი, რომელიც დასავლეთის გალავნის გასწვრივ იყო გამართული, დამშრალა. აქვე საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ციხეს ორი მცირე კარი აქვს და არა ჭიშკარი. მის აგების დროს განიერი, სატრანსპორტო კარი საშიში ყოფილა (სურ. 348, 349).

გალავნის შიგნით მდგარი სამი საცხოვრებელი ნაგებობის მხოლოდ გეგმის მოხაზულობა ირკვევა. გალავნებზე კი თითქოს მათი ანაბეჭდია დატოვებული. სამხრეთის კედელზე მიდგმული ორივე შენობა სამსართულიანია, პირველი სართულის გარე კედლები საშიშროების გამო ყრუა. “ხედა სართულები კი საფოფეებითაა აღჭურვილი და ცხოვრებისათვის აუცილებელი ბუხარიც აქვს. სამხრეთით მდგარი სახლის მესამე სართულს მთელ სიგრძეზე აივანი ახლავს, საიდანაც ალაზნის აუზის ბრწყინვალე ხედი იშლება. მესამე, ჩრდილო კედელზე მიდგმული სახლი მოზრდილი ორსართულიანი ნაგებობა ყოფილა. ეს მოზრდილი შენობა სხეებზე კაპიტალური ჩანს და არაა გამორიცხული, რომ სწორედ ის ყოფილიყო ფეოდალის სასახლე.

ციხის გალავანი, რელიეფის თავისებურების გამო, ორ და სამიარუსიანია. პირველი იარუსი, მცირე გამონაკლისის გარდა, ყრუა, ხოლო ზედა იარუსებზე ცალმაგი და ორმაგი სათოფეებია.

მატანის ციხის აგების შესახებ ცნობები არ შემორჩენილა. საერთო მონაცემებით კი იგი აგებულია XVIII საუკუნის შუა ხანებში.

საქართველოში სიმაგრეთა სახეობებიდან ციხე-გალაენი ბოლო წარმონაქმნია. იგი ქართლ-კახეთის განსაკუთრებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ წარმოშვა.

ციხე, რომელიც სახელმწიფოს დაცვის საქმეს ემსახურებოდა, იგებოდა საზღვრებზე, გზაჯვარედინებსა და, საერთოდ, სტრატეგიულად გამართლებულ ადგილებზე.

მშენებლები ცდილობდნენ თითოეული მათგანისათვის მიუდგომელი ან ძნელად მისადგომი ადგილი შეერჩიათ. თანაც ამ სახის სიმაგრეები აუცილებლად დასახლებების გარეთ უნდა ყოფილიყო, რომ ციხესთან ბრძოლებს მოსახლეობა არ დაეხიანებინა.

საქართველო, როგორც მცირე ქვეყანა, ყოველთვის დიდ და დამპყრობ ქვეყანათა გარემოცვაში იყო, ამიტომ მუდამუამს ციხეებს აშენებდა, ქვეყნის დაცვაზე ზრუნავდა.

პატარა ქვეყანაც კი, როცა იგი ერთიანი იყო, თავს ადვილად იცავდა. სამწუხაროდ, გვიან საუკუნეებში საქართველო დაქუცმაცებული და გამუდმებული ომებით დასუსტებული იყო. ისედაც პატარა ქვეყანა, რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ დაყოფილი, მტერს ძველებურად ვერ უმკლავდებოდა. განსაკუთრებით საშიში მდგომარეობა შეიქმნა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ისეთი აგრესიული, დიდი იმპერიები შეიქმნა, როგორც იყო ირანი და ოსმალეთი. ისინი საუკუნეების განმავლობაში ქვეყნის დაპყრობას ლაშობდნენ. მათ დაემატა ჩრდილოეთ კავკასიიდან საშუაარზე გადმოსული დაღესტნელები, რომლებსაც ჩვენში ლეკებს ეძახდნენ. ხრიოკ მათში მცხოვრებ ლეკებს ქვეყნის დაპყრობა არასოდეს ჰქონიათ მიზნად, ამის ძალა არ ჰქონდათ, მაგრამ იტაცებდნენ ყველაფერს, მათ შორის ადამიანებსაც, რომლებსაც ყიდდნენ თურქეთის რომელიმე ბაზარზე. იქ, სადაც ლეკთა რაზმი გაიფიქრდა, არაფერი რჩებოდა, ამიტომ მაშინ წარმოიშვა სიტყვა „წაღეკეა“.

ადრე ფეოდალები ცდილობდნენ თავიანთი ციხე-დარბაზები ძნელად მისადგომ ადგილებში აეგოთ, მაგრამ XVI ს-ში, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში და მომდევნო საუკუნის დასაწყისში რეზიდენციები დასახლებათა შუაში გადმოიტანეს, რათა მტრის შემოსევისას სწრაფი რეაგირების საშუალება ჰქონოდათ. XVIII საუკუნის 20-30 წლებში კი მძიმე პოლიტიკურმა სიტუაციამ მოიახოვა განსხვავებული, ახალი ტიპის სიმაგრის. ახალი ტიპის – „ციხე-გალაენის“ აგება, რომელიც უშუალოდ დასახლებაში ან მის სიახლოვეს იქნებოდა. იმავე დროს, იგი უნდა ყოფილიყო დიდი ტევედობისა, რათა მტრის მიახლოებისას მთელი მცხოვრებნი თავისი სარჩო-საბადებლით ციხეში შესულიყვნენ. ცხადია, ასეთ სიმაგრეს ჭიმკარი უნდა ჰქონოდა, რომ ტრანსპორტს თავისუფლად ეელო. და ბოლოს, ასეთი სიმაგრის თავისებურება ისიცაა, რომ ციხეს სპეციალური დამცველები არ ჰყავდა, მის გარნიზონს შეხიზნულები შეადგენდნენ. მეფე ერეკლეს მიერ 1791 წ. შედგენილ „განწყესებაში“ ამ საკითხთან დაკავშირებით ეკითხულობთ: „გალაენები დიდრონი არიან, ქართლში თუ კახეთში, ისინი ცოტას კაცით ხომ არ შეინახება, ის სათემო არის. ღმერთმან ნუ ქნას, მძლავრის მტრის შიშობა რომ იქნება.“

დასახიზნავად ახლო სოფლების ხიზანი და ხალხი შეეა“.

დასუსტებულ და დაქუცმაცებული ქვეყანა საედაცვისათვის გამოსავალს ეძებდა და ერთ-ერთი გამოსავალი ამ „საეთმო გალაენების“ ციხის შექმნა იყო. მატთანეთა მრავალი მაგალითიდან აქ მხოლოდ ერთს მოვიყვანო იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დღეში იყო ქვეყანა. გივი ამილახერის დაეალებზე კასპის მოურავი დემეტრე ქარუმიძე ასე პასუხობს: „ჩემი ჩამოსვლა მანდ არ იქნება, ვერც გეახლები დაღესტანში, ვერც დაეღები, ვისაც გინდოდეთ, იმას უბოძეთ კასპის მოურავობა, ღმერთმან მშვიდობაში მოახმაროს. კასპელი კაცი სადღა არის, სულ ამოწყვეტილია. თითო ბიჭი სადღაც გარდაჟომილია, იმათი პოვნა ვის შეუძლია? ვერცა იმათ ცოდვაში ჩავდგები, ბატონო“. თუკი შუა ქართლში ასეთი მდგომარეობა იყო, რა იქნებოდა საზღვრების სიახლოვეს. წინა საუკუნეების გატანჯული ქვეყანა, განსაკუთრებით კი ქვემო ქართლი, XVIII საუკუნეში წელში გაწყდა საბოლოოდ. ადგილობრივი ქართველები მტერს პირწმინდად შეაკედა, ხოლო მათი ადგილი შემდეგში ჩამოსახლებულებმა დაიკავეს.

ციხე-გალავანი, ჩვეულებრივ, ეაკეხე დგას, სოფლის შიგნით ან სოფლებს შორის (არის გამონაკლისი შემთხვევა, მაგალითად, სიღნაღში).

ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ორ ათეულზე მეტი ციხე-გალავანია მოღწეული. მათი დიდი ნაწილი ცალკე მდგარია, მაგრამ არის ისეთებიც, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ეკლესიის გალავანი და ციხე-გალავანიცაა.

აქ განვიხილავთ რამდენიმე ციხე-გალავანს:

მუხრანის ციხე-გალავანი შიდა ქართლის გულშია, ქსნის ხეობაში, მის მარცხენა მხარეს. ციხე ეაკეხეა. იგი ციტადელისა და დიდი ეხოსაგან შედგება. მისი საერთო ფართი სამ ჰექტარს აღემატება. ცხადია, ასეთ ციხეში დიდძალი ხალხი დაეტეოდა.

ციხე მუხრან ბატონებს ეკუთვნოდა, ამიტომ დაერქვა სოფელს და ციხეს მუხრანი, მაგრამ მისი აგების დროს იგი შოსუბანი იყო. მას ორი სამშენებლო წარწერა ჰქონდა.

ციტადელის ჭიშკრის თავზე არსებული წარწერა გვამცნობს, რომ იგი აგებულია 1756 წ. სახლთუხუცეს კონსტანტინე მუხრანბატონის მიერ (სურ. 350-352).

ციხის ციტადელი უკეთაა შერჩენილი. მეორე ნაწილზე მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ იქ გალავანში ჩართული იყო რამდენიმე კოშკი. გალავანი და კოშკებიც აღჭურვილი იყო საბრძოლო ელემენტებით. კედრატული გეგმის მქონე ციტადელის კუთხეებში ცილინდრული კოშკებია აგებული, თაღოვანი ჭიშკარი აღმოსავლეთით, ცენტრშია. გალავანი ორიარუსიანია. ქვედა იარუსი სქელია და ყრუ, ხოლო ხედა იარუსზე კედელი ეიწროა. მის წინ გამავალი ე. წ. საბრძოლო ბლიკი მებრძოლებს ორ რიგად გაატარებდა. ბლიკზე, მებრძოლთა დონეზე, განლაგებულია სასოფეები და სალოდეები (სურ. 381).

კუთხეებში მდგარი კოშკებიდან სამი ერთი ზომისაა, ხოლო მეოთხე, ჩრდილო-აღმოსავლეთისა, დიდა და მაღალი. იგი დონეონი, მთავარი ბურჯია. მისი ბანიდან შორი მანძილები დაიხვევებოდა. ეს დიდი კოშკი სამსართულიანია, მეოთხე თავდაცვისი ბანია. დანარჩენები ორ-ორსართულიანია, ისევე მესამე საბრძოლო ბანით.

ჩვეულებრივ, პირველი სართული დამხმარეა, ხოლო ზედა სართულები საცხოვრებელი და თავდაცვითი. ისინი აღჭურვილნი არიან სათოფეებით, სალოდებოთა და საზარბაზნეებით.

ციტადელის სამხრეთ-დასავლეთის მონაკვეთში დარჩენილია სასახლის კვალი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთის მონაკვეთში საშუალო ზომის დარბაზული ეკლესია სამრეკლოთი.

მჭადიჯერის ციხე-გალაქანი დიდ ტაძართანაა დაკავშირებული. ეს ციხეც ვაკეზეა. მისი გეგმა მოგონებს სწორკუთხედს და მოკავებული აქვს ეკლესიის სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხარეები. ციხის სამ კუთხეში ერთნაირი კოშკები დგას, ხოლო ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში მდგარი ცილინდრული კოშკი თითქმის ორჯერ აღემატება მათ.

სამი ცილინდრული კოშკი ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში საცხოვრებლად გადაუკეთებიათ. ირკვევა, რომ თავდაპირველად პირველი სართული დამხმარე იყო, მეორე საცხოვრებელი და თავდაცვითი, მესამე კი ბანი იქნებოდა. გალახანი დაზიანებულია, მაგრამ ეტყობა, რომ ქვემოთ ყოფილი კარი სამხრეთის ცენტრშია. ჩრდილო-დასავლეთის კუთხის კოშკში მთავარი შესასვლელი ეკლესიიდანაა. მას გარედანაც აქვს შესასვლელი. იგი სხვა კოშკებისაგან გამორჩეულად განიერი და მაღალია. მისი სართულშუა გადახურვა, დანარჩენი კოშკებისაგან განსხვავებით, კამაროვანია. მისი პირველი სართული დამხმარეა. მეორე სართულის კედლების ღრმა ნიშებში სათოფეებია განლაგებული. ბანის მაღალ პარაპეტში განლაგებულია სათოფეები, საზარბაზნეები და სალოდებო.

თუ როდის და რისთვის ააშენა კონსტანტინე მუხრან ბატონმა ეს ციხე, ამაზე ვერცლად გვიყვება სამხრეთის შესასვლელის თავზე მდებარე წარწერა. იქ ვკითხულობთ, რომ ქართლი ლეკთაგან აოხრებული ყოფილა და „თვინიერ ციხეთა არსადა ეგებოდა გება კაცთა არც თუ ერთსა სოფელსა და დაბაცა ესე ოხერქმნილყო“. ასეთი მდგომარეობის გამო იგი აგრძელებს: „...ქელეყავ აღშენებად ციხისა ამის სამკეიდროსა ჩემსა, რათა კაცრიელ იქმნას და დაეშენონ კაცთა და მტერსა მარბიელსაგან უენებლად დაშთენ“.

როგორც ვხედავთ, იმ ხანად ქვეყნის გადარჩენაზე იყო ბრძოლა და ამაზე ზრუნავდნენ ისეთი მამულიშვილები, როგორც იყო კონსტანტინე მუხრან ბატონი. მან ათი წლის განმავლობაში სამი ისეთი ციხე ააშენა, როგორც იყო მუხრანი, მჭადიჯერა და ქსანი. მიუხედავად ყველაფრისა, ეს დიდი ქართველი მანაც ლეკებთან უთანასწორო ბრძოლას შეეწირა.

ვინ იცის, რამდენი ბრძოლა გადახდენია მჭადიჯერის ციხეს, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთი, რომელიც 1754 წლის ტრაგედიასთან არის დაკავშირებული.

ლეკების მოძალბა მეტად შესამჩნევი იყო XVIII საუკუნის შუა ხანებში. მათში გამოირჩეოდა ხუნძახის ბატონის ნურსალ-ბეგის შემოსევა. მან დაღესტნელთა მობოლისაცა მოახერხა და დიდი ჯარით ქართლ-კახეთის ასაოხრებლად წამოვიდა.

თეთიურახ და ერეკლე მეფეებმა ქართლ-კახეთის მოსახლეობა ციხე-სიმაგრეებში

გახიზნეს. ლეკებმა კახეთი მოაოხრეს, არაგვი გადმოლახეს, დუშეთი გადაწვეს, ანანური წაბილწეს. ბოლოს მჭადიჯერის ციხეს ალყა შემოარტყეს: „იყო დღედაღამ ბრძოლა და ომი განუწყვეტლად: არ ავედ იყენენ მყოფნი ციხისანი. მრავალი ლეკი მოკლეს და დიდადაც გულმამაცად იყენენ ციხის კაცნი“.

უანანასწორო ბრძოლა ექვსი დღე გაგრძელდა. მეშიდე დღეს მოვიდა ქართველთა ჯარი, რომელიც რაოდენობით ჩამოუეარდებოდა მტრის ჯარს. ამ გარემოებას არ შეუშინებია ქართველები და გულშეურვალედ ეკეთენ მტერს. ლეკთა სიჭარბემ თავისი ქნა. გაძნელდა ბრძოლა, რა მისჭირდა, „ბრძანა ბატონმა დაქვეითება ჯარისა, გარდახდა თვისი მეფე ერეკლე ცხენისაგან და უბრძანა გარდახდომა ყოველთა: „ესე არის დღე ვაჟკაცობისაო და სიყვარული რაჯულისაო“. ისეთი სროლა ამტყდარა, რომ კეამლს ყველაფერი დაუფარავს. მალე გატეხილა წინააღმდეგობა და ლეკები მხოლოდ გაქცევაზე ფიქრობდნენ. შემატყინეს განაგრძობს: „მათი ბრძოლით ალვის ტყე და ველი. ვინა მორჩა მათი ცხენიც და იარაღიც ჯარს დარჩა“.

იმ ბრძოლაში მჭადიჯერის ციხეს, მიუხედავად თავისი სიმცირისა, დამცველსათვის არ უმტყუნია. რადგან მან ასეთ დიდ ბრძოლებს გაუძლო, ეტყობა იგი კარგად აკმაყოფილებდა იმ დროის დაცვის მოთხოვნებს.

ყვარელი. ქალაქის ცენტრში მდგარი ციხე-გალავანი დიდი ზომისაა (115 X 93 მ). იგი ვაკეზე დგას და ტიპურია. გალავნის კუთხეებში ცილინდრული კოშკებია აღმართული. ასეთივე ფორმის კოშკები, მხოლოდ ზომით უფრო პატარა, დგას ჩრდილოეთისა და დასავლეთის გალავნების ცენტრებში. აღმოსავლეთის ცენტრში კი სწორკუთხა კოშკი დგას, რომლის პირველი სართული კამაროვან ჭიშკარს წარმოადგენს (სურ. 353, 354).

კოშკები სამსართულიანებია. სართულშუა გადახურვა ზოგან ხისაა, ზოგან კი ქვის – გუმბათოვანი. ზედა სართულები ცალმაგი და ორმაგი სათოფეებითაა აღჭურვილი. საღოდე და საზარბაზნე ბანებზე იქნებოდა.

ციხის გალავანი ორ და სამიარუსიანია. როგორც ჩვეულებრივ, აქაც ქვედა ყრუა, ზედა კი – საბრძოლო.

ყვარლის ციხის გალავანს, ოციოდე მეტრის დაცილებით, მეორე სათოფურებიანი გალავანი უვლიდა. ამ გალავნებს შორის პარალელურად მიმავალი თხრილი იყო. მათგან ახლა მცირე ნაშთია დარჩენილი. არ ირკვევა თხრილში წყალი იდგა, თუ არა. რთული რელიეფის მქონე ქვეყანაში ციხეები იგებოდა მთებზე, დიდ და მცირე შემადლებებზე, ამიტომ მათ თხრილი არ უკეთებოდა. თხრილი და მასში გამდინარე წყალი ვაკე ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი. როგორც გამონაკლისი, მშრალი თხრილი გეხედება რამდენიმე ადგილას. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ვერისის სამეფოს პატარა ციხეებში მშრალი თხრილი და მიწაყარილი.

ყვარლის ციხის აგების დრო არაა ცნობილი, მაგრამ ყველა მონაცემით იგი XVIII საუკუნის მეორე მეოთხედის ნაგებობაა.

ციხის მიერ გადახდილი ომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1754-55 წლებში ხუნძახის მფლობელის ნურსალ-ბეგის შემოსევა. იგი დიდი ჯარით (25000 კაცი) შემოესია კახეთს და ყვარლის ციხეს შემოადგა. მეფეებმა – თეიმურაზმა და ერეკლემ,

ქართლ-კახეთის ლაშქრით ჭარბ მტერთან პირდაპირი შებრძოლება სახიფათოდ მიიჩნეეს და ახლომდებარე ლეკების სოფლებს მარბენალი ჯარი შეუსიეს. ამის შედეგად ყვარლის ალყას ბერძენი ლეკო ჩამოეცალა საკუთარი კერის გადასარჩენად. თან ერეკლემ მამშველი ძალა შეაგზავნა ციხეში. ჩვენები, მემატინანს სიტყვებით, „ხოცდნენ ლეკთა ციხით და განძლიერდნენ ფრად ციხოვანი“, შიგნიდან და გარედან შეტევის შედეგად ნელ-ნელა მოიშალა ალყაც.

ყვარლის ციხის მნიშვნელობაზე მეტყველებს მემატინანის მონაყოლი. ციხის ალყის მონაწილეებმა წუწუნის დაიწყეს. ხუნძახის ბატონმა ამასე უპასუხა: „აგერ ამ ციხეს ავიღებთ და კახეთიც ხელს დამჩრებათ და თქვენს გარჯას გადავიხდით“. აქედან ისეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ყვარლის ციხის აღება კახეთის დაცემას უდრიდა.

იგივე აზრია ჩაქსოვილი მეფეთა სიტყვებშიც: „სხვა ღონე რაიმე მოვიპოვოთო და ყვარლის ციხე გაეაძლიეროთო. თუ ამ ციხეს (ლეკი – პ. ზ.) აიღებდა, გაღმა მხარე ხელს დარჩებათ და რადგან გაღმა მხარეს იშოვნინან, კახეთის შოვნაც გაუადვილდებათ, მერე დასუსტებულს ქართლს რისაღა შევიმაგრებთო“.

ხედავთ რა მნიშვნელობისა ყოფილა ყვარლის ციხე? ამ ციხის აღება, ეტყობა, ქვეყნისათვის კარის ჩამოხსნას უდრიდა.

ქოღაგირის ციხე თბილისის სამხრეთითაა, რომოციოდე კილომეტრზე, მდ. ხრამის მარცხენა მხარეს, გაშლილ ადგილზე. იგი აგებულია 1788-1798 წლებში ერეკლეს მეუღლის დარეჯან დედოფლის მიერ. დედოფლის ერთი დოკუმენტის მიხედვით, ეს ციხეც ახალციხის ფაშისა და ლეკების თარეშის საწინააღმდეგოდ იგება. ციხე, როგორც ეს დამკვეთის შესაძლებლობებს შეეფერებოდა, დიდია, მისი ფართობი 2000 კვადრატულ მეტრს აღემატება (სურ. 355, 356).

სხვა ანალოგიურ ციხეებში ცილინდრული კოშკები კვადრატული გალანის მხოლოდ კუთხეებში იდგა, აქ კი მათ შორის კედლებში ხუთ-ხუთი სხვადასხვა ზომის კოშკი და ნახევარკოშკია ჩართული. ასეთი შეერილები შესამჩნევად აუმჯობესებდა ციხის დაცვისუნარიანობას. ცნობილია, რომ ბრტყელი კედლის ფორმტი ძნელი დასაცავია, რადგან სასოფეები მხოლოდ ერთი მიმართულებითაა. ასეთი მდგომარეობის რადიკალურად შესაცვლელად კეთდებოდა სხვადასხვა სახის შეერილები. ასეთი გადაწყვეტის მქონე გალანებიდან გარეთ ე. წ. მკედარი წერტილები არ იყო, ყველა წერტილი მიზანს ექვემდებარებოდა.

ციხის კუთხის ცილინდრული კოშკები ერთნაირ გადაწყვეტას ინარჩუნებდნენ. მათი სამი სართული საბრძოლო-საცხოვრებელია, ხოლო ბანი თავდაცვითია. ქვედა სართულების კედლებში თუ მხოლოდ სასოფეებია, ბანის კედლები დასერილია სასოფეებით, სახარბაზნეებითა და სალოდეებით.

გალანის კედლები აქაც ორიარუსიანია, ქვედა იარუსი ყრუა, ზედა კი საბრძოლო ბილიკით და სასოფეებით თავდაცვითია.

ციხე-სახლები პირდაპირი პირშოა იმ პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციებში, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გვიან საუკუნეებში, საერთოდ. კერძოდ, XVIII საუკუნეში ჯერდა ცხოვრება და თავდაცვა ყოველმხრივ მოჯარული მტრის პირობებში. დასუსტებულ სახელმწიფოში, როცა მტრის შემოსევა მუდამუამს იყო მისალოდნელი, თითოეულს თავის დაცვაზე უნდა ებრუნა.

ასეუმა მდგომარეობამ წარმოშვა ციხე-სახლების სხვადასხვა სახე. ამგვარი სახლები, ალბათ, ბევრგან იყო, მაგრამ ჩვენამდე ძირითადად მოაღწია საქართველოს მხიან ზოლში – თუშეთიდან სენეთის ჩათილით ნაგებმა ციხე-სახლებმა. ეს შენობები, რეკონების მიხედვით, ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ მათ ის საერთო აქვთ, რომ თავისთავში ითავსებენ ორ ფუნქციას – საცხოვრებელსა და თავდაცვითს.

აღნიშნული ზოლის გარდა, ერთი თავისებური სახე შეიქმნა კახეთშიც. აქ საცხოვრებელმა შეითვისა მარანი და ორივე ერთად თავდაცვითი გახდა. და ეს არცაა გასაკვირი, რადგან კახეთის ცხოვრება ვაზთანაა დაკავშირებული: ამიტომ, ცხადია, სახლი და მარანი ერთად უნდა ყოფილიყო დაცული.

მნა. თ რ უ ს ო ს ხ ე ო ბ ა შ ი, მნას წყალზე, მის მარჯვენა მხარეს, სოფელი მნაა. სოფელში და მთელ ხეობაში ბევრი ციხე-სახლია, მათ შორის გეგმარებითა და მხატვრობით გამოირჩევა მნაში მდგარი (სურ. 306).

შენობა დაზიანებულია, მაგრამ გეგმარება და ზოგი დეტალი ორკვევა. დიდი შენობა ოთხსართულიანი ყოფილა. სარკულშუა ხის გადახურვა ჩანგრეულია. შენობის ერთადერთი კარი მეორე სართულზეა. პირველ, დამხმარე სართულში მხოლოდ ორი წერილი სარკმელია. მეორე სართული და დანარჩენი ზედა სართულები საცხოვრებელი და თავდაცვითია. ყველა სართულს სარკმლები საკმაოდ აქვთ, მაგრამ უნდა აღენიშნოს სარკმელთა თავისებურება. ისინი შიგნიდან მოზრდილი სწორკუთხედაა, ხოლო გარეთ ორი ან სამი ხერელით გადის. ასეთი გადაწყვეტა გასაგებია. რადგან გარედან ტყეის შემოსროლის საშიშროება იყო.

ფასადები ოდნავ დამუშავებული ქვით წესიერადაა ნაგები. კოშკური სახლი გარედან არაჩვეულებრივად მიმზიდველია. მისი მასა ზემოთკენ თანდათანობით ვიწროვდება. კარისა და სარკმლების თაღები ორ-ორ ქვაშია გამოჭრილი.

ფასადების ორიგინალობას მუქ რუხ ფონზე თეთრი ქვის ზოლები წარმოადგენს. მთავარ, სამხრეთის ფასადზე სამი ასეთი ზოლია გაყოლებული. ქვედა ზოლი მხოლოდ ამ ფასადზეა, ზედა ორი ზოლი კი ოთხივე ფასადს უელის. ამას გარდა, მთავარ ფასადზე არის მარტივად გამოკეთილი ხელის მტკვანი და სარკმლებზე ამოკვეთილი ღარები.

ჩაუაშის მ. ლობჟენიძის დუროიანი სახლი ციხე-სახლების კარგი მაგალითია. იგი ოთხსართულიანია, რაც სენეთში იშვიათად გვხვდება, იგი გამოწკლესია იმ მხრივაც, რომ აქ სართულშუა გადახურვა ხისაა. სართულებს შორის ფუნქციები ასე იყო განაწილებული: პირველი სართული სამეურნეოა, მეორე და მესამე საცხოვრებელი, ხოლო მეოთხე – საბრძოლო.

რადგან კოშკი ფერდობზე დგას, ამიტომ პირველ და მეორე სართულებს ცალ-ცალკე აქვთ კარები. სართულები პატარა სარკმლებიდან ნათდება, კედლებში განჯინებია და ბუხარიც. მესამე სართულის კედლებში სათოფურებიცაა. მეოთხე სართული ორქანობიანი სახურავის ქვეშაა მოქცეული. კედლის მთელ პერიმეტრზე სვანეთისათვის ჩვეული თაღოვანი სალოდეებია ჩამწკრივებული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ მათი პატარა ამბრაზურები თოფისათვის იყო გამიზნული.

კოშკი გარედან მიწასთან შეზრდილია. სხვა სვანური კოშკების მსგავსად, ნაგებია ფლეთილი ქვით სქელ დულაბზე.

ციხე-სახლის 'ხუსტად დათარილება ძნელია, ხოლო 'ზოგადი მონაცემებით, იგი XVII-XVIII საუკუნეებისაა.

შატოლის მთელი დასახლება გამორჩეულ, მეტად თავისებურ სიმაგრეს წარმოადგენს. იგი განუმეორებელია. ამ ანსამბლიდან ჩვენ განვიხილავთ სამხრეთით მდგარ გოგუა ჭინჭარაულის სახლს. მასში შერწყმულია ხეცურეთში გავრცელებული სახლის ტიპი.

მკვეთრი დაღმარის მქონე ფერდობზე ერთმანეთთან ახლოს დგას ორი სახლი, რომელთა შორის გადასასვლელია მოწყობილი (სურ. 357-358). მათი პირველი ორი სართული სამეურნეოა. მესამე სართული საცხოვრებელი, მეოთხე კი - თავდაცვითი. მესამე და მეოთხე სართულის კედლებში რამდენიმე მარტივი სათოფეა. გადახურვა ბანური ყოფილა. შენობა ნაგებია სხვადასხვა ფერის ფიქალით, რომელიც მას მიმხიდულს ხდის.

ციხე-სახლი მარნით

საცხოვრებელი სახლისა და მარნის შერწყმა, როგორც აღვნიშნეთ, ისტორიულმა აუცილებლობამ მოიტანა. გამუდმებული შიმშილობის დროს კახელისათვის მარნის საცხოვრებლად შერწყმა გასაგებია, მაგრამ საკმარისი არ იყო მათი მხოლოდ შერწყმა. აუცილებელი იყო ორივეს დაცვა, ე. ი. ეს შერწყმული შენობა სიმაგრედ უნდა ექციათ და ასეც მოიქცა ზოგი კახელი. არავინ უწყის, თუ რამდენი ასეთი შენობა იყო XVIII ს-ში. ჩვენამდე კი სამმა მოაღწია. მათგან თარიღი ახლავს მხოლოდ ერთს. ესაა ზემო ხოდაშენში მდებარე ფილოთეოსის მონასტრის ანსამბლში შემავალი „მარანი ციხით“.

მეორე ასეთი შენობა დგას რუისპირში, ხოლო მესამე - ახმეტაში. სამივე შენობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩანს აგებული. ამ სამი შენობიდან აქ მხოლოდ ორს წარმოვადგენთ.

ახმეტა. ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით, განაპირას მდგარ შენობას „ჯანდიერაანთ ციხეს“ ეძახიან. იგი „მარანი ციხით“ ტიპის შენობის კარგი და უკეთ გადარჩენილი ნიმუშია (სურ. 363).

შენობა დიდი მოცულობის მქონე და მასიურია. შენობის გეგმა გრძელი სწორკუ-

სხედია, რომლის პირველ სართულში მარანია საწნახელით. მარანს ფართის ორი მესამედი უკავია. იატაკში ბლომად ყოფილა ქვეერი. საწნახელი, როგორც ეს აღმოსაველით საქართველოში იყო მიღებული, ქვისა იყო. საწნახელის ძირიდან მილით ქვეერებში სიახე ნაწილდებოდა. კარი ვიწრო კედლის ცენტრშია. მაღალი და განიერი სახეები ბლომადაა კედლებში. მათ შორის რამდენიმე ვიწრო სარკმელია. ზემოთ ასასელებლად კიბე გვერდით გრძელ კედელშია.

მეორე სართული საცხოვრებელია თავდაცვითი ელემენტებით. მარნის თავზე დიდი დარბაზია, საწნახელის ზემოთ კი – ვიწრო და გრძელი ოთახი. დარბაზის ვიწრო კედელში ბუხარია. დანარჩენ კედლებში თითო და ორიარუსიანი ნიშებია. ზოგ მათგანში სათოფეებია ჩაყოლებული. დარბაზს განათების წყაროც საკმაოდ აქვს. ამ დიდ დარბაზს ხის გადახურვა აქონია, მაგრამ მეორე, ვიწრო ოთახს კამაროვანი გადახურვა აქვს. ამ ოთახის კედლებშიც ბუხარი, სარკმელი, ნიშები და სათოფეებია. მოსალოდნელია, იმ ეპოქის სხვა სიმაგრეთა მსგავსად, მასაც აქონოდა ბანი პარაპეტით და საბრძოლო ელემენტებით.

გარეთ შენობა ერთიანი მონუმენტური მასაა. შენობის წიბოები მომრგვალებულია. იგი ნაგებია რიყის ქვით. აგური მხოლოდ შიგნითაა გამოყენებული.

ზემო ხოდაშენი მღებარეობს ახმეტის რაიონში. სოფლის შუაში დარჩენილია მონასტრის ნანგრევები. ეკლესიაზე არსებული წარწერებითა და მემატრიანეთა ცნობებით დგინდება, რომ კახთა მეფე ლეონს და მის ძეს ალექსანდრეს ათონზე (საბერძენეთში) ფილოთეოსის მონასტერში აღმშენებლობითი სამუშაო უწარმოებიათ XVI საუკუნის შუა წლებში. იმ პერიოდში, იმავე მონასტრის კედლებზე ყოფილან დახატულნი ლეონი და ალექსანდრე. ამ მეფეებს სოფელ ხოდაშენში ფილოთეოსის მონასტრის მეტოქე გაუჩინიათ. მაშინ ეს სოფელი ბუნებით მეტად მდიდარი და ლამაზი ყოფილა.

მონასტრიდან გადარჩენილია დარბაზული ეკლესია, გალაგინის ფრაგმენტი, საცხოვრებელი სახლი, რომელიც კოლმეურნეობის კანტორად გადაუკეთებიათ, და მარანი კოშკით.

ეკლესიის დასაველით ფასადზე 1784 წლის ვრცელი წარწერიდან ვიგებთ, რომ კოზმან ბერს აქ მრავალგვარი საქმიანობა ჩაუტარებია. მას მონასტერი აოხრებული დახვედრია და 24 წლის განმავლობაში ეკლესიისათვის მუშაობდა. შემდეგ იგი წერს: „მარანი ციხით გავაკეთე, ზვარი აოხრებული აღვაშენე, შემცირებული ყმანი გაუმრავლე, არიან კომლნი აინი, მე რომ მოველ, სამი კომლი დამხედა. წისქვილი დავაბრუნე...“ ამჟამად, განეხილაეთ „მარანს ციხით“. იმავე წარწერიდან ვიგებთ, რომ იგი აგებულია „მშრომელი გიორგის“ მიერ, რომელიც, ეტყობა, ხუროთმოძღვარი იყო, შეიძლება კალატოსიც.

ეს შენობა, რომელიც დგას ეკლესიის დასაველით რამდენიმე ნაბიჯზე, შედგება ორი ნაწილისაგან (სურ. 361, 362). დასაველით ნაწილი გრძელი ოთახსართულიანი კოშკია, ხოლო აღმოსაველითა – ორსართულიანი ვრცელი მარანი.

მარანი ჩართული ყოფილა გალაგინის ჩრდილო ხაზზე. მარნის გეგმა კვადრატს უახლოვდება და მისი ფართობი დაახლოებით 55 კვ-ია. მის იატაკში ჩასმულია

ოცზე მეტი, სხვადასხვა ზომის ქვეერი. თავდაპირველი კარი აღმოსავლეთით იქნებოდა, იგი შემდეგ გაუგანოვრებიათ. მის კედლებში სათოფეები განლაგებული. მარნის ერთ კუთხეში ბანზე ასასვლელი კიბეა დატანებული. ქონგურებიანი ბანის კედლებში სათოფეები იყო ჩარჩობული.

მარანი ორი კარით უერთდება კოშკის პირველ სართულს, სადაც გამართულა კარგად შელესილი ქვის საწნახელი. საწნახელიდან სამი კერამიკული მილით მაჭარი გადადიოდა მარანში. მარანში მაჭარი გარედანაც შემოჰქონდათ. მარანში მის შესაყვანად სამხრეთის კედელში გარედან ნიჟარაა მოწყობილი. აქედან მილით მაჭარი შიგ შედიოდა და ქვევრებში ნაწილდებოდა.

კოშკი სამსართულიანი იყო საბრძოლო ბანით. კოშკის პირველი სართულიდან ქვის კიბით ეხედებოთ მეორე სართულზე. მეორე სართული, პირველის მსგავსად, კამარითაა გადახურული. მესამე სართულს კი კოჭოვანი გადახურვა ჰქონია. სართულებს შორის კაეშირი კედელში მოთავსებული ქვის კიბით ხორციელდებოდა. მეორე და მესამე სართული საცხოვრებლად იყო განკუთვნილი. მიუხედავად ამისა, მათი კედლები აღჭურვილია სათოფეებით. ორივე სართულს დასავლეთით ჰქონდა ხის შეერილი აივანი. მესამე სართულის ჩრდილოეთის ღრმა ნიშაში საპირფარეშოა გამართული. ქონგურებიანი ბანის პარაპეტში სათოფეები იყო განლაგებული. კოშკი და მარანი მთლიანად ნატეხი ქვითაა ნაგები.

წარწერების მიხედვით, კოშკი მარნით, ანუ როგორც წარწერაშია აღნიშნული „მარანი ციხით“, აგებულია 1760-1764 წლებში.

კ(ოშკეც)

კოშკების წარმოშობისა და განვითარების გზის წარმოჩენა სრულყოფილად შეუძლებელია სათანადო მასალების უქონლობის გამო. გალაყანაში ჩართული კოშკი დაფიქსირებულია ძვ. წ. III-I საუკუნეების არმაზისა და ქართლის სხვა ნაქალაქართა გალაყანებში. ცალკე მდგარი კოშკი, ჯერჯერობით, დაფიქსირებულია V-VI საუკუნეთა ისეთ ობიექტებში, როგორიცაა უკანუბანი, ქარჩოხი და სხვა. ეს, ე. წ. ზურგიანი კოშკები გაერცვლებულა იყო შიდა ქართლში. იმავე ეპოქის ციხე-ქალაქებში, როგორც იყო უჯარმა, ნოქალაქეე-არქეოპოლისი და სხვა, სწორკუთხა კოშკები ჩართულია გალაყანებში. იმავე ხანებში ნახევრადწრიულად შეერილი კოშკები გეხვდება ისეთ ძეგლებში, როგორიცაა ნაქალაქარი ურბნისი და სხვა.

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ძირითადად გეხვდება ორი ტიპის კოშკი: პირამიდული და ცილინდრული. ამ ეპოქის ყოველგვარი სახის ციხეთა გალაყანებში ჩართულია და ცალკეც დგას სწორკუთხა გეგმის მქონე კოშკი. უფორმო წრიული ფორმის კოშკები პირველად გეხვდება X-XI საუკუნეთა ისეთ ძეგლებში, როგორიცაა – კეხვი, კვარა, ახტალა. მაგრამ კოშკის ეს ფორმა ამ ეპოქაში და უშუალოდ მომდევნო საუკუნეებში გაერცვლებული არ ყოფილა.

კომპეტის მრავალფეროვნება და სრულყოფილება იწყება XVI საუკუნიდან. ციხის გალანებში ამ დროსაც აუცილებელი იყო კომპის ჩართვა, მაგრამ ამავე ეპოქაში განსაკუთრებით მრავლდება ცალკე მდგარი კომპებიც. აქ კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გამონაკლისებს, ძირითადად გავრცელებულია პირამიდული და ცილინდრული კომპები. მასგან პირამიდული ფორმა ბოლომდე რჩება, ხოლო ცილინდრული კომპი ვრცელდება XVII საუკუნის ბოლოდან და მომდევნო საუკუნის შუა ხანებიდან ათიქმის უპირატესობას იღებს. გადამწყვეტი როლი, როგორც ირკვევა, შეასრულა თოფის შემოღებამ. საქმე ის გახლდათ, რომ კუთხოვანი კომპების შიგნით, კუთხეებში სათოფეების მოწყობა ძნელი იყო და მეომართა მოძრაობა მოუხერხებელი, ხოლო ინტერიერის წრიული მოხაზულობის დროს, არ არის გამორჩეული ადგილი, მთელი წრე თანაბარ მდგომარეობაშია. არის შემთხვევები, როცა კომპი გარედან წრიულია, ხოლო შიგნით – კუთხოვანი. ეს კერძო შემთხვევაა.

კომპების კიდევ ერთ თავისებურებას უნდა შევეხეთ. ესაა „ზოგიერთი“ განსხვავება ცალკე მდგარ კომპსა და ციხის გალანში ჩართულ კომპს შორის. ციხის გალანში ჩართული კომპი ყველა ნაგებობასთან ერთად დაცვას ემსახურება. ამიტომ, ჩვეულებრივ, მისი პირველი სართული მიწის დონიდან იწყება და კარიც იქვე აქვს. კარი მას შეიძლება ჰქონდეს მეორე და მესამე სართულებზეც იმ შემთხვევაში, თუ გალანის იარუსებიანია. ზედა სართულებს კარი ესაჭიროება სწორედ საბრძოლო ბილიკებთან მარჯვედ დასაკავშირებლად.

სხვა მდგომარეობაა ცალკე მდგარ კომპებთან. ამ შემთხვევაში იგი მარტოა და მას სხვისი იმედი არა აქვს, მან თვისი უნდა დაცვას თავი. ამიტომ ცალკე მდგარი კომპი დაპოუკიდებული ნაგებობაა. კომპის ქვედა ნაწილი მასიური, ყრუ კეთდებოდა, რათა გარედან მომდგარ მტერს კომპისათვის ძირი ადვილად არ გამოეთხარა. ასევე სადაცვას ემსახურებოდა პირველი სართულის კარის მაღლა განლაგება. ჩვეულებრივ, კარი 3-6 მეტრის სიმაღლეზე კეთდებოდა. იქ მისაღწევად კი ხის კიბე იდგმებოდა, შიგ მყოფთა თუ მტერი მოუსწრებდა, ხის კიბეს შიგ შეიტანდნენ ან დასწვავდნენ.

„ზურგიანი“ კომპები

ცალკე მდგარი კომპებიდან ყველაზე ადრეულია ე. წ. „ზურგიანი“. ამ ტიპის კომპები იგებოდა შიდა ქართლის მთიანეთში და ერთიც ცნობილია მტკვრის მარჯვენა მხარეს, მდ. სკრის ხეობაში. ასეთი სახელი მისთვის ხალხს შეურქმევია საერთო ფორმის გამო. ამ კომპს ერთი მხარე ბრტყელი აქვს, ხოლო მოპირდაპირე – ცილინდრული. იგი ყოველთვის დგას მთის ფერდობზე, ბრტყელი მხარე კი მდინარისკენ აქვს მიმართული. როგორც წესი, კარ-სარკმლები განლაგებულია ბრტყელ კედლებზე, ამიტომ პირად ეს მხარე ითვლება, ხოლო მოპირდაპირე, ცილინდრული მხარე, ცხადია, ზურგად ითვლება. ამიტომ ასეთ კომპებს ხალხმა „ზურგიანი კომპი“ შეარქვა.

ასეთი კომპი ორმოცდაათამდეა აღრიცხული. მათი წარმოშობა V-VI საუკუნეებს მიეკუთვნება და ძირითადად გაერცვლებული იყო X-XI საუკუნეშია მიჯნამდე. ხოლო გამოწვევის სახით მას ეხებებით XVII საუკუნეშიც. მათგან განვიხილოთ ერთი ადრეული კომპი და ერთი გვიანდელი.

უკანუბანი მღ. ქსნის სათავეებისკენა, ცხრაძმის ხეობის დასაწყისში. აქედან ბილიკით არაგვის ხეობაში შეიძლება გადასვლა.

სოფ. უკანუბანში ერთი დიდი და ერთი პატარა ზურგანი კომპი დგას. ამჯერად ჩვენ განვიხილავთ დიდს (სურ. 364, 366). იგი მდინარის მარჯვენა მხარეზეა და სწორი პირით მდინარეს უყურებს. იგი ექვსსართულიანია. პირველი სართული ოთხი მეტრის სიმაღლეზე იწყება. ზედა სართულების თითო წერილი სარკმელი იმავე ვერტიკალზეა განლაგებული. მეექვსე სართულზე, იმავე მხარეს, თაღოვანი ღიობი ახლდა. სართულშია ხის გადახურვა ჩაქვეულია. პირველი სართულის იატაკი ღრმა უჯრედებადაა დაყოფილი. იგი თავდაცვის იარაღებისა და სურსათის შესანახად იყო განკუთვნილი.

კომპი ქვემოთ მასობრია. პირველი სართულის დონეზე კედლების სისქე ორი და სამი მეტრია. ნაგებია მცირედ დამუშავებული დიდი ქვებით. ქვის ხორები ქვემოდან ზემოთ თანდათანობით კლებულობს. კომპი ეყვება მონაცემით V-VI საუკუნისა. კომპის ირგვლივ მდებარეული გემის ციხე აუგათა, ხოლო შემდეგში დარბაზული ეკლესიაც ჩაუდგამთ.

მღეთი არაგვის ხეობის ზედა წელშია, იქ, სადაც სამხედრო გზა მდინარეს გადაკვეთს და ჯერის უღელტეხილს შეუღება. სოფელში ძველთა მრავალფეროვნებიდან გამოირჩევა ზურგანი კომპი, რომელიც სოფლის გარეთ, მალა, მთის ფერდობზე დგას. იგი ხეობას მარჯვედ დარაჯობდა (სურ. 365).

კომპი XVI საუკუნის ბოლოს ან XVII საუკუნის დასაწყისშია აგებული. ზურგანი კომპების ტიპი ადრეკვლადლური ხანისთვის იყო დამახასიათებელი. ფოთლისმის ბოლო პერიოდის ამ იშვიათ ნიმუშს დაუკარგავს ტიპისათვის ადრე დამახასიათებელი მიმხიდველი პროპორციები. ეს კომპი დაბალი და განიერია. თანაც სახურავი აქ სრულიად განსხვავებულია. იგი საფეხურისებრია, რაც ხშირად გვევლება მთაში, განსაკუთრებით პატარა ძეგლებში.

ამ ტიპის სხვა ძეგლების მსგავსად, აღნიშნულ კომპსაც ბრტყელი პირი არაგვისკენ აქვს მიქცეული, ხოლო ზურგი — მალა, მთებისკენ.

კომპი სამსართულიანია. პირველი სართული იწყება ოთხ მეტრზე. კარის გვერდზე 80 სმ. სიგრძის შეკრული ქვაა ხის კიბის მისაყუდებლად. სართულის იატაკში ორი ღრმა და განიერი სარდაფია იარაღისა და სანოყავის შესანახად. სამივე სართულის კედლებში, მცირე რაოდენობით, ცალივან სათოყეებია მოთავსებული. მესამე სართულზე, ბრტყელი კედლის ცენტრში კარია ქვის აივანზე გასასვლელად. აქედან დაიხვეწებოდა ხეობა და იმავე აივანს გამოიყენებდნენ სადიოდედაც. გადახურვის სიმტკიცეს ნაწილობრივ შემოუნახავს ხის სართულშია გადახურვა. კომპის კედლები ქვით, კარის დუღაბზე, მტკიცეაა ნაგები.

პირამიდული კომპიტიდან განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმეს, შედარებით უკეთეს ნიმუშებს.

ფანშეტი - ყაზბეგის რაიონში, მდინარე თერგის მარცხენა ნაპირზეა. მოპირდაპირე მხარეს სნოს ხეობა იწყება. ამ ხეობაში კომპიტის ჯაჭვია. აქედან გაფრთხილების ნიშნის მიცემა შეიძლება ყაზბეგის, სიონის, ანხოტის, სნოსა და სხვა პუნქტებში. ახლა ფანშეტში ორი კომპია. ერთი მათგანი პიტალო კლდის ნაპირზე დგას და ხელოვნების იშვიათი ნიმუშია (სურ. 367). იგი რამდენიმე სარსულიანია და სალოდეებისა და ქონგურებით მთავრდება. კომპი ადრეული ხანისაა.

წორბისი ფრონეს ხეობის სათავესთანაა. აქ და შესობელ სოფელ ყორნისში ცხრა პირამიდული კომპია განლაგებული, მათი სიმრავლე, ეტყობა, უაღელტეხილის სახელოეთაა გამოწვეული.

წორბისის კომპი ასხელტილი პრაპორციებისაა და შორიდანვე იპყრობს ყურადღებას (სურ. 368, 369). კომპი ექსსარსულიანია. პირველ და მეორე სარსულს კარები სხედასხეა მხარეს ცალ-ცალკე აქვს. როგორც აღვნიშნეთ, ცალკე მდგარ კომპს კარი პირველ სარსულში არ უკეთდება, მაგრამ გეხელება გამონაკლისის სახით.

კომპი, აღბათ, სათოფურებიანი ბანით იქნებოდა დამთავრებული, მაგრამ არ შერჩენია. კომპი საბრძოლო და საცხოვრებელი იყო. ამიტომ მას ბუხარიც გაუკეთეს და საპირფარეშოც. ბუხარი მეორე სარსულზე, ჩვეულებრივ, კარის პირდაპირაა, ხოლო საპირფარეშო შერეილი კედლისა მეოთხეზეა.

სარკმელი, პირველის გარდა, ყველა სარსულზე თათია. მარტივი სათოფეები მცირე რაოდენობით, ისევე პირველი სარსულის გარდა, ყველგანაა. თათო-ორი სამეურნეო დანიშნულების ნიშნებც ყველა სარსულზეა, მაგრამ მეოთხე სარსულის ოთხივე კედელში 20-30 სანტ. ნიშნება მიყოლებით ჩაიჭკრივებული. ასეთი გადაწყვეტა სხვაგან არსად გვხვდება. ამიტომ მათ დანიშნულებას პირდაპირი ახსნა არ მოეპოვება.

ბაგინი ქსნის ხეობის სათავეშია. აღპური მთების ფონზე კომპი შემარსულად გამოიყურება. იგი, აღბათ, საყარაულოს წარმოადგენდა უაღელტეხილზე, ტბის ორივე მხარეს მიშავალი ბილიკებისათვის. აქედან გადაცემული სიგნალი ყამურისა და ჭურთის ხეობებით დარგვისში, ახალგორსა და თბილისში ჩავიდოდა, მოხილთაცა დროსე გაკეთდებოდა.

კომპი ოთხსარსულიანი ყოფილა ბანით (სურ. 370). ეს უკანასკნელი მორღვეულია. კარი პირველ და მეორე სარსულზეა ცალ-ცალკე. როცა ცალკე მდგარ კომპებში კარი პირველ სარსულზეც იყო, მასინ 'სოგჯერ' ამ სარსულს გამოყოფილად იყენებდნენ და მას კაემირი არ ჰქონდა 'იედა სარსულბთან.

ოთხივე სარსულის თათი კედელში ორ-ორი მარტივი სათოფეა. მეოთხე სარსულის ცენტრში მას ემატება სწორკუთხა სალოდე. სალოდეები ქვემოთ ღიაა ლოდების გადმოსაყრელად და გარე კედლებში 'სოდეად სამსერი და სათოფეები ახლავს (სურ.381).

კომპი ნაგებია დაკუთხული ქვით. ხის სარსულშია გადახურვა არ შერჩენილა.

შილდა ყვარლის რაიონში დიდი სოფელია. აქ რამდენიმე ძეგლია, მათში გამოირჩევა შილდის ღვთისმშობლის ბასილიკის ანსამბლში შემავალი სწორკუთხა

გეგმის კომკი. ამ სახის კომპეტი გაერცვლებული არა არის, არის მხოლოდ ერთი - ნეკრესის ეკლესიის ანსამბლში (სურ. 371, 372).

შილდის კომკი კვადრატული გეგმისაა და 'ხემოთ' ოდნავ ეიწროვდება. იგი სამსართულიანია. პირველი სართული კარიბ ცოტათი მაღლა იწეება. ეს კამაროვანი სათავეს ბუხრით, ალბათ, დარაჯის საცხოვრებელია. მეორეც კამაროვანი გადახურეთაა, მაგრამ მას ეტყობა გადაკეთება. კედლებში რამდენიმე ცალმაგი სათოფე და სარკმელია. პირველსა და მეორე სართულს შორის კვეშირი კედლის ქვის კბით ხდება, ხოლო მესამესთან დასაკეშირებლად კამარაში ერღოა გაჭრილი. მესამე სართული, ქვედა ორის მსგავსად, მაღალია, კამაროვანი, იგი ფაქტიურად ყოველმხრივ თაღებით ღია ფანჯატურს წარმოადგენს. შემდეგში ერთი მხარე სანახევროდ ამოუშენებიათ და ბუხარი გაუმართაეთ. ეს სართული დაზიანებულია და თითქმის ხელახლაა აშენებული. გარედან ორფერდა სახურავს ქვეშ მოთავესებული კომკი მაღალი ოსტატობით არ გამოირჩევა.

სინთის კომკი უმშვიათესია. იგი ერთადერთია, რომელიც ხურთმომცერის ორიგინალური გონების ნაყოფია. კომკი ღვას არაგვის ხეობის მარცხენა ნაპირზე, სოფელ სინთში. აქ, გვერდიგვერდ, კლდეზე მიშენებული მცირე ციხე და განცდალკეებით მღვარი კომკია. მას მაღალი მთებით მოხალულულ ხეობაში დასახევრად მკტად მარჯვე აღგილი უკავია (სურ. 373).

კომკი სიმაღლეზე 'შუახეა გაყოფილი. 'ხედა მონაკვეთი გეგმით კვადრატულია, ქვემოთ კი კუთხეები მომრგვალებულია. ფასადებზე მომრგვალებიდან კუთხეზე გადასვლა ხდება თანდათანობით სტალაქტიტისსაგვარი მხატვრული გადაწყვეტით. ეს ფორმა ნაღესობით და შავი ხაზებითაა მიღებული.

კომკი ხუთსართულიანია, სარდაფით. პირველი სართული კარიბ ოთხ მეტრზე იწეება. კარის წინ, 'შეერილი ბრტყელი ფილაა ჩამოსადგომად და ხის კბის მისაყუდებლად. სარდაფი, ყრუ კედლებით, სამეურნეო დანიშნულების იქნებოდა. სხეებისაგან განსხეუებით, პირველი სართული ცილინდრული კამარითაა გადახურული, 'ხედა სართულზე მოხვედრა შეიძლება კედლის ეიწრო კბით. ყველა სართულის კედლებში მცირე რაოდენობითაა ცალმაგი სათოფე, ორმაგი მხოლოდ ერთგანაა. განათებისათვის პატარა სარკმლებია გამოყენებული. ბანი მაღალი პარაპეტისა და ასევე მაღალი ქონგურებითაა, მაგრამ მოპირდაპირე მხარეზე ცენტრალური ქონგურები შესამჩნევად მაღლებია. პარაპეტის კედლებში ბერის სათოფეა. ჩრდილოეთის მხარეს კი 'შეერილი, ნისკარტა სალოდეა კარის დასაცავად. კომკს ყველა მონაცემი XVII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს.

(3)ლინდრული კომკები

ცილინდრული კომკები მრავლადაა ფეოდალური ხანის ბოლო საუკუნეებიდან. მათგან მხოლოდ რამდენიმეს განვიხილავთ.

მარტყოფი გარე კახეთის დიდი სოფელია. აქ ერთმანეთის სიახლოვეს ღვას ორი ცილინდრული კომკი. ერთი მათგანი აუშნაღისმეილებს, მეორე კი შინჯიკაშე-

იღებს ეკუთვნოდა. პირველი მათგანი შედარებით დიდია და მხატვრულადაც უკეთა გადაწყვეტილი. აქ მხოლოდ პირველს წარმოვადგენთ.

თუშისაღიშვილების კომპი, როგორც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის კომპების უმრავლესობა, საბრძოლო და საცხოვრებელია, მაგრამ, ბევრისაგან განსხვავებით, იგი მეტადაა შორსული (სურ. 374, 376). კარგი პროპორციის მაღალ ცილინდრულ მასას მაღალი ქონგურები ამთავრებს. ხუროთმოძღვარს აქცენტი სამხრეთის მთავარ ფასადზე გაუკეთებია. აქ ერთ ვერტიკალზე განლაგებულია კარები, სარკმელი და ნისკარტა სალოდე. ქვის კედლის ფონზე მოსარსავად აგურია გამოყენებული. ერთი ჯვარი ქვიდა კარის თავზე. ორივე დიდი ჯვარს მეორე კარის თავზეა, რომელსაც, ფაქტურად, ფასადის ცენტრი აქვს მოკაეებული. ჯვრების გვერდებზე, აგურისავე წყობით, ვერტიკალურად რომბებია აყოლებული. ოსტატს ინტერიერის მორთულ-ობასაც უფიქრია. შიგნით მორთულია ბუხრები, განჯინები და კამარებიც კი. მხატვრობაცაა გამოყენებული.

მორთულობით ეს კომპი ქართლ-კახეთის კომპებისაგან გამოირჩევა. უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნეში, წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით, შეიმჩნევა სიმაგრეთა ფასადების მორთვის ტენდენცია.

კომპი სამსართულიანია, საბრძოლო ბანით. პირველი და მეორე სართული გუმბათოვანი გადახურვისაა, ხოლო მესამე ხისა ყოფილა. პირველი სართული წრისული მოხაზულობისაა, მეორე სართული კი რვაწახნაგაა. კედლებში განლაგებულია ბუხრები, განჯინები და სათოფეები ღრმა ნიშებით. ბანი, მაღალი ქონგურებიანი პირამეტით, ასევე აღჭურვილია სათოფეებითა და სალოდეებით. სართულშუა კაემირი კედლის კიბით ხდებოდა. იმავე უჯრედშია მოთავსებული საპირფარეოც.

ქემერტი დიდი ღიახევის ხეობის სემო წელში, მის მარჯვენა მხარესაა. ამ ხეობის სოფლებში თითო-ორი კომპი ყველგანაა. ქემერტში კი ორი პირამიდული და ერთი ცილინდრული კომპია. პირველი ორი მეტადაა დასიანებული, ცილინდრული კი უკეთაა მოღწეული.

ცილინდრული კომპი ჰარმონიული პროპორციისაა და მტკიცეა ნაკები. იგი ხუთსართულიანია. ერთადერთი კარი მესამე სართულზეა. აქედან კედელში გამართული კიბით შეიძლება სეითა და ქვევით მოძრაობა. პირველი სართული ყრუ კედლებით დამხმარე იყო. მის იატაკში სადგმული ქვევრები წყლისა და ღვინის გარედან კვლავში ჩაყოლებული კერამიკული მილათ მარაგდებოდა. კედელში ერთი მილი შიგნითაა, მეორე – გარეთ. პირველითა თუ გარედან სასხეს ღებულობდნენ, მეორეთი შიგნიდან ნახმარ წყალს უშვებდნენ.

კომპის პირველი, მესამე და მეხუთე სართულები გვემით წრიულია, ხოლო მეორე და მესამე – კვადრატული. კენტ სართულებს გუმბათები ხურავს, წყვილს კი – კამარები. ბოლო სართულს კი ხის გადახურვა აქონია. კომპის სართულები, როგორც XVIII საუკუნეში ჩვეულებრივ ხდება, თავდაცვითი და საცხოვრებელია. მათ კედლებში განლაგებულია ბუხრები, განჯინები და სათოფეები. მეხუთე სართული კი საბრძოლო ბანს წარმოადგენდა სათოფეებითა და სალოდეებით.

მატარძეულსა და თბილისის გარშემო მდებარე სოფლებში მდგარი კომპები ორ

ფუნქციას ასრულებდნენ. პირველი ეს იყო მათი ადგილობრივი კონკრეტული დანიშნულება. ხოლო მეორე სამხმროების მოახლოებისას სიგნალის გადაცემა ქალაქისათვის.

სოფელში ორი კოშკი და ერთი ციხე იდგა. წრდილოეთითა, დიდი ზომის ცილინდრული კოშკი ფიცხელაურებს ეკუთვნოდათ, ხოლო სამხრეთით, სოფლის შუაზე მდებარე ბილანიშვილების კუთვნილება ყოფილა. ამჟამად, ამ მეორე კოშკს წარმოადგენთ.

ბილანიშვილების ცილინდრული კოშკი მაღალი და კოხტაა. თგი ოთხსართულიანია, საბრძოლო ბანით (სურ. 377, 378). მეორე სართული შიგნით შეიღებულა, დანარჩენი კი შიგნითაც წრიულია. ბოლო სართულის გარდა, ყველა გუმბათოვანია. შიგნით მოძრაობა კედლის კბიით ხდებოდა. მესამე სართულშიც სათოფეებია განლაგებული. მეორე და მესამე სართულებს ბუხრებიც აქვთ. მეოთხე სართული სხეებზე რთულია. აქ სათოფეები, სალოდეები და სახარბახევეცაა. სათოფეებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც XVIII საუკუნეების შუა ხანებში იყო მიღებული, აქც სათოფეების მრავალფეროვნებაა. არის როგორც პირდაპირ, ისე გვერდებზე და ქვემოთ მიმართული სათოფეები. კოშკის გარეთ ყველა წერტილი დამიხნებას უნდა ემორჩილებოდეს. სალოდეები კოშკის მისადგომებს იცავენ, სახარბახევეში კი პატარა. ერთი მეტრი ან ცოტათი მეტი სიგრძის ამბრახურები კეთდებოდა.

ხეითი მდებარეობს დიდი ლიახვის ხეობაში, ცხინვალის სიახლოვეს. ამ სოფლის მრავალრიცხოვანი ძეგლებიდან ამჟამად განვიხილავთ ადრეული ეპოქის საბაწმინდის სამონასტრო კომპლექსში შემავალ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ცილინდრულ კოშკს. გადმოცემით, ამ კოშკში გაათენა უკანასკნელი ღამე რუსეთის მიმავალმა იმეფი ვახტანგ VI 1724 წ. თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ კოშკის აგების დრო უესტდება აღნიშნული თარიღის უმუალოდ წინა პერიოდით.

დიდი ზომის კოშკი ორსართულიანია. საბრძოლო ბანით (სურ. 379, 380). მისი პირველი სართული დამხმარება. მეორე კი საცხოვრებელი და თავდაცვისათ. მეორე სართული ძირითადად საცხოვრებელადაა დაგეგმარებული, მაგრამ, სხვა კოშკებისაგან განსხვავებით, სახეიმო ხასიათს ატარებს. იგი რეაგერდაა და გუმბათით მთავრდება. ორი მეტრი სისქის კედლებში ღრმა ნიშებია განლაგებული. რამდენიმე მათგანში საწოლია მოწყობილი. სართულს რამდენიმე განიერი სარკმელი ანათებს. განიერი სარკმელი შიშთანობის დროს სქელი დარბაზით დაიგმანებოდა. დაცვისათვის კედლებში საკმაო რაოდენობით სათოფე იყო, ერთგან ბუხარიცაა.

ბანის პარაპეტი მორღვეულია, მაგრამ ამჟამად, რომ როგორც ამ დროის სხვა კოშკებში. პარაპეტიც პერმეტრზე განლაგებული იქნებოდა დაცვის ელემენტებით.

წრიული გეგმის მქონე პირველი სართული წვეტიანი გუმბათითაა გადახურული. მის იატაკში სხვადასხვა ზომის ქვევრი მდგარა. წრდილო კედელში ჩაყოლებული მილით, მოხრდილ სივარაში გარედან ღვიწროს ღებულობდნენ, ხოლო მოძრაობით, აღმოსავლეთის კედელში ჩაყოლებული კერამიკული მილით – წყალს. ორივე სითხეს ქვევრებში ანაწილებდნენ. დანარჩენ კედლებში ხუთი მოხრდილი ნიშაა.


გარედან მიწასთან შესრდილი კოშკი ნატეხი ქვით წნოიანადაა ნაგები. კარ-სარკმლები კი თილილი ქვითაა შემოფარგლული.

არქიტექტურული ტერმინების ბანმარტეხანი

- აპროპოლისი - ძველი ბერძნული ქალაქების შემადგენლობაზე მდებარე გამაგრებული ნაწილი.
- ანტაბლემენტი - არქიტექტურული ორდერის სვეტებზე დაყრდნობილი ზედა პორიზონტალური ნაწილი ან კედლის დამამთავრებელი ნაწილი, რომელიც შედგება არქიტრავის, ფრიზისა და კარნიხისაგან.
- არქივოლტი - თაღის მიმყოფი პროფილირებული ან მორთული არშია.
- არქიტრაპი - მთავარი მზიდავი კოჭი, ანტაბლემენტის ქვედა მონაკვეთი.
- ატრიუმი - საცხოვრებელი სახლის ცენტრალური ნაწილი ზედა განაყოფით ან ურდოთი.
- აზრა (კანდატინი) - კვადრატის ფორმის სვეტის სფერული, სამკუთხედის ფორმის კონსტრუქცია.
- აზსილი (აბსიდა) - გეგმაში ნახევარწრიული მოხაზულობის შენობის ნაწილი, ჩვეულებრივ, გადახურული კონქით.
- ბაზილიკა - წაგრძელებული გეგმის მქონე შენობა, რომელიც შიგნით კოლონებით ან სვეტებით დაყოფილია რამდენიმე გრძივ ნაწილად. ცენტრალური ნაწი გვერდით ნაწიებზე მაღალი და განიერია.
- ბუმბათი - ნახევარფეროს ფორმის კამარის სახეობა. გამოიყენება წრიული, კვადრატული ან მრავალწახნაგად აგებული შენობის დამაგვირგინებლად.
- ღარბაზული (ვალნაპიანი) ეკლესია - საკულტო ხუროთმოძღვრებაში მეტად გავრცელებული სახე, სადაც კამარით გადახურული მხოლოდ ერთი დარბაზია.
- თავსარ(ი) - სარკმლის და კარის შემომფარგველი, დეკორაციული, პროფილირებული თაღი.
- თაღი - მრუდხაზოვანი გადახურვა ორ საყრდენს შორის.
- ტაქსიდალი - საეპისკოპოსო ტაძარი.
- ტაქსარა - სადგომის მრუდხაზოვანი გადახურვა.
- ტანკალი - მდიოკველითა დარბაზისაგან საკურთხეელის გამომყოფი დეკორაციული ბარიერი.
- ტონი - ნახევარი სფეროს ფორმის აფსიდის გადამხურავე კონსტრუქცია.
- ტრაპეზოიდი - გუმბათით გადახურული ერთნაგვიანი ეკლესია, სადაც გუმბათი ეყრდნობა გვერდითი კედლების შეერთებას.
- ტრანსილი - კედელში ერთი ბოლოთი ჩასმული კოჭი ან ფილა, რომელზედაც დაყრდნობილია თაღი ან სხვა კონსტრუქცია.
- ტრანსპორტი - კედლის ვერტიკალური ან დახრილი შეერთი, რომელიც ალიქამს კამარების გვერდით განბრუნებს.
- ლექსალი (აბსიდა) - ნახევარწრიული მოხაზულობის აგური.
- ლურჯინი - სახურავისათვის სპეციალურად დამუშავებული გათლილი ქვა.

- მონადირე - მონუმენტური ფერწერის სახეობა, სადაც გამოსახულება მიღებულია ფერადი ქვით. სმალტიო, ხით ან სხვა მასალით. გამოიყენება ატაკის და კედლების მოსართავად.
- ნაპი - ბახილიკის ერთ-ერთი შემადგენელი გრძივი ნაწილი. მეხობელი ნაგებობისაგან სვეტებით გამოყოფილი.
- ორღმერი - დგარულ-კოჭოვანი კონსტრუქციების მსიდავი (სვეტი, ბაზა, კაპიტელი) და სახიდი ნაწილების (არქიტრაფი, ფრისი, კარნისი) გარკვეული თანაფარდობა.
- პანდატივი - იხ. აფრა.
- პატრონიკი - მგალობელთათვის ან სასოფალოების ძალადი ფენის წარმომადგენელთათვის მეორე სარაულზე გამოყოფილი ადგილი.
- პილასტრი - კედლის სიბრტყიდან ვერტიკალური შეერთილი, რომელიც იმეორებს რომელიმე ორდერის სვეტის წყობას.
- პილიპრესი - მრავალფეროვნობა არქიტექტურის ნაწარმოებში. მხატვრობაში.
- პორტალი - შენობის მხატვრულად გაფორმებული შესასვლელი.
- პორტიკი - კარბჭე. სვეტებზე ან კოლონებზე დაყრდნობილი გაღერვა შენობის შესასვლელის წინ.
- პროპორცია - თანაფარდობა, ნაწილების მიერთან მწყობრი ურთიერთმეფარდება.
- რესტი - კედლის წყობა ან მოპირკეთება ჩადრმავეებული 'ხოლით' შემოფარგლული ან ამობურცული 'ხედაპირიანი კვადრებით.
- საქმარხიკალი - წარმართულ ტაძრებში სამსხვერპლო. მსხვერპლის შეწირვის ადგილი. ქრისტიანული ტაძრებში აღმოსავლეთით მღვიდელმსახურებისათვის გამოყოფილი ადგილი.
- სუბსტრუქცია - ნაგებობის საყრდენად შექმნილი კონსტრუქცია.
- ტაბორაქანი - ჯვრულად განლაგებული ოთხაღსანიანი გუმბათოვანი ეკლესია.
- ტაბორიკა - აგებულიობის კანონსომიერებათა მხატვრული გამოსახვა.
- ტიმპანი - თაღითა და პორთონტალოურ ხაზით შემოფარგლული არე.
- ტირიკანი - გუმბათოვანი ეკლესია, რომლის მკლავებიდან სამი აფსიდალურა და მეოთხე სწორკუთხაა.
- ტირევი - შენობაში კვადრატული ფუძისა და წრესე გადასვლა ხდება ხაფეხურებად.
- ცალნაპინი ეკლესია - იხ. დარბაზული ეკლესია.
- ცალა - ყრუ კედლებით შემოფარგლული სწორკუთხა სადგომი ანტიკურ ტაძარში. ადგილი. სადაც იმყოფებოდა ღვთაების ქანდაკება.
- ცეკელი - შენობის გარე კედლის სამორკველსე დაყრდნობილი ნაწილი. ჩვეულებრივ, კედლის სიბრტყიდან გამოწველია.
- ფრესკა - კედლის მხატვრობის სახეობა, რომელიც შესრულებულია სველ (ალ ფრესკო) და მშრალ (ალ სეკო) ბათქაშზე წყლის საღებავით.
- ფრენტონი - ფასადის სამკუთხა დამთავრება, მოქცეული სახურავის ორ ქანობსა და ქვედა პორთონტალოურ კარნისს შორის.

ოქტაგონური






1. შუღაჯურის ვირა.
საქსოველელის ნაშთები






2. თხინას ვირა.
საქსოველელის ნაშთები

3. Գործոց շրջան. Բախտախորհրդի շրջանը




4. Ժողովուրդի Բախտախորհրդի շրջանը






5. ქვანახევლები.
შენიშნის ნაშთი

6. ქვანახევლები.
შენიშნის რეკონსტრუქცია




7. ქვანახევლები.
შენიშნის აგება




8. კუბაძი.
ციკლოპური ციხის გეგმა და სურათი ხაზ.

9. ნორდუქანი.
ციკლოპური ციხის გეგმა



10. ეზრა. დოღბენი






11. ახ. ცხელი წყლის კურორტი



12. ახ. ცხელი წყლის კურორტი




13. მცხეთა

(სიტუაცია ვ. ცინცაძის მიხედვით)


- I. შოა ქართლი
- II. არმაზციხე
- III. სვესამორა
- IV. სამთაუროს სამაროვანი
- V. არმაზისხევის სამაროვანი
- 1. სვეტიცხოველი
- 2. ჯვარი
- 3. ანტიოქია
- 4. გეოსიმანია
- 5. სამთაურო
- 6. ბებრის ციხე
- 7. კალოთუბანი
- 8. საგურამო
- 9. ზუღაზენი
- 10. არმაზის მონასტერი
- 11. ახალქალაქური



14. არმაზციხე-
ვაღაშის საფუძველი




15. Թոնեղանի լեռնանշարին մոտիկ գտնվող Աղաբեկյան շէնքը



16. Թոնեղանի Աղաբեկյան շէնքի հարկերը

17. ანძაზციხე,
კალაქის კედელი და ფსახელი




18. ანძაზციხე,
კალაქის კედლის ნარჩენები



19. ანძაზციხე,
აგარაკის კალაქის ხედი







20. უფლისციხე ნაქალაქის გეგმა




21. უფლისციხე
საერთო ხედი




22. ტიპური ქვაბულების
სქესმა




23. უკუხეობის მონასტრის ნანგრევები





24. უკუხეობის მონასტრის ნანგრევები




25. სანაოსნო-საქარბედიანი ნაგებობის გეგმა




26. ეანი ვაობნების გეგმაცვს







29. ანზავატის არქეოლოგიური ძეგლის გეგმა




30. ჯედნობის ციხის გეგმა




31. Գլխավոր բնակարանի շինարարական պլանը




32. Գլխավոր բնակարանի շինարարական պլանը




33. Գլխավորական խնամարանը, մուտքին շրջանի կից:



34. Գլխավորական խնամարան,
Գանձարանի խնամարանի շրջան




35. "მთხეთის" საფლავის ტაძრის გეგმა. 1 - მთხეთის საფლავის ტაძრის გეგმა და მისი ნაწილები.




2. მთხეთის საფლავის ტაძრის გეგმა.



38. უფლისციხე.
სეკტორი დაბაზის ინტერიერი




39. ვანი.
დიდი ტაძარი. გეგმა




40. არმაზციხე.
სეკტორი დაბაზის გეგმა

41. კანი.
დადი ტაძრის რეკონსტრუქცია




42. შრეგული ტაძრის კვანძი






43. უელსიციხე,
ორბეჭიანი დარბაზის ინტერიერი



44. არაბიციხე,
სამეჭიანი დარბაზის ხედი




45. არაბიციხე, სვეტიცხლის
დარბაზის ფუძის ხედი







46. არმაზციხე. აძარო. საერთო სკეჩი

47. ძაღისი. სასახლის გეგმა




48. ძაღისი. კურების გეგმა






49. անժողովրդական պալատ
 50. անժողովրդական պալատ
 ձեռնարկային կայան
 51. անժողովրդական պալատ






53. ძველი აბანო, კვალი




54. სვეტიცხოველი

სვეტიცხოველი, სვეტიცხოველი, სვეტიცხოველი




55. სამთავრო, საეკლესიო-სახლი
კვამი და ინტერიერი

56. არძაზციხე
ძალაუკვნილობა




57. ძალისი, საცურაო აუზი



58. არმაზციხე.
აკლდამა გეგმა და ფრაგმენტები

59. მცხეთა აკლდამა საერთო ხედი

60. მცხეთა აკლდამა გეგმა, ფასადი, კრილი






62 არძხვცხე, ადრისის წყობა




61 არძხვცხე,
სამხ. მონასტრის კაზარების კვალი




63 წიწმური
წყობაში აღმოჩენილი ქვის საკვეთი საბადო

64 ხორხე,
სახლის ოქროს მოღეღა



65 არძხვცხე,
სვეტურიანი დარბაზი, სვეტი



66. კაბა.
კორინთული სვეტის თავი. ანაზისა
67. კაბა. კორინთული სვეტის თავი. ხე


68. ანაზისის
სვეტის თავის ფრაგმენტი

69. ანაზისის
კორინთული სვეტის თავი






70. სანკოტის სვეტიშობის ბაზისის ნაწილი




71. სანკოტის
სვეტიშობა




72. სანკოტის სვეტიშობის
ბაზისის ნაწილი




3. Կարճիկ կոլոննայի քար




4. Կարճիկ կոլոննայի քար




5. კახი. ცოდის თავი




76. ძაგობა. გორისკეს სახლი. მონასტრის აივანი




77. ღვინისძის ხაონი.
 ბაზილიკის აღმოსავლეთის ფასადი
 და კაპიტელის რელიეფური ქანდაკებები.




78. ღვინისძის ხაონი. ბაზილიკის გეგმა




79. ბიზანტიის სიონი.
 ჰაბოლიკის ვახუცი ვახუცის
 აღმსახველობისკენ




80. ბიზანტიის სიონი.
 ჰაბოლიკის ჩრდილოეთის ფასადი




81. ნიქაბაძე აგებული ხანის კვლავი
 და სამხრეთი ჰაბოლიკა. სიდა აღმსახველობისკენ




Տ.Ն. եղբայրների խորհրդայն ճակատագրի վանք




Տ.Ն. շրջանի ճեղքարված խորհրդայն վանք




84. ურმათის მხილვის
სვეტი სწიწნო-ფენისაგან კიდეები




85. ურმათის მხილვის გეგმა




86. ურძიში, ბაზილიკის განივი
განაკვეთი ადმონსტრაციისკენ



87. ურძიში, ბაზილიკის ვრძივი
განაკვეთი სამხრეთისკენ



88. აჭარის საზღვაო სანაოსნო ნაგებობა







89. ძველი შუაბნა.
 აჭარის სხვა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან






90. კაწარეთის (ხაშმის) სამება,
ბაზილიკის გეგმა

91. ბიჭვინთა ბაზილიკის გეგმა

92. ანისხატო, ბაზილიკის გეგმა


93. ქვემო ბოღჩისი,
სამეკლესიო ბაზილიკის სკეტი
სამხრეთ-აღმოსავლეთიდან






94. ქვესი ბილნისი.
სამეკლესიანი ბაზილიკის გეგმა
95. ქვესი ბილნისი.
სამეკლესიანი ბაზილიკის კრძოვი
ვანაკეთი სამხრეთისკენ
96. ქვესი ბილნისი. სამეკლესიანი ბაზილიკის
აღმოსავლეთის ფასადი
97. ნეკრესი. სამეკლესიანი ბაზილიკის გეგმა
98. ძველი გავაზი. ტეტრაკონქის გეგმა


99. ძველი გავაზი
ტეტრაკონქის გვესა
ვეიანი ხანის მინაშენებით




100. ძველი გავაზი
ტეტრაკონქის გრძელი განაკვეთი
სამხრეთისაკენ




101. ნინოწმინდა, გუმბათიანი ტაძრის გვესა








102. ნინოწმინდა.
ტაძრის განთავსება განაკვეთი
აღმოსავლეთისაკენ (რეკონსტრუქცია)



103. მცხეთის ჯვარი. ტაძრის სკანონი ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან


104. შცხეთის ჯვარი
ტაძრის გეგმა







106. Արարիկի խորհրդարանը, Երևանի Մայր Եկեղեցուց հարավ

107. მცხეთის ჯვარი.
ტაძრის განივი განაკვეთი
აღმოსავლეთისაკენ




108. მცხეთის ჯვარი.
ქობული წმ. სტეფანესადმი ედრებიან
გამოსახული სამხრეთი ფასადი






109. ანიის ეკლესია, ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი




110. ძველი შუასია, „ჯერის ტიპის“ ეკლესიის ხედი აღმოსავლეთიდან




III. Մեծիկ. Լաստիս գրանիտի էրեզման վրա կառուցված զբոսայգի:



II. Մեծիկի հարևան սեպյան հանքանոսի հուշարձանի շրջանի ճակատը:



113. ატეხის ხაზი.
 ეძრის გეგმა




114. ატეხის ხაზი.
 ეძრის ვანივი ვანაკეული
 აღმოსავლეთისაკენ







116. აგაპის, ლიანის მთავრობის ხანის წინააღმდეგო ბრძოლის კანცაგა




117. მსხვერპლის უბნის აგება

118. მარტვილი.
 რელიეფური ქანაქცე ტაძრის
 დასავლეთ ფასადზე







120. წრომი. ტაძრის ინტერიერის
მრდილო-დასავლეთი მონაკვეთი




121. წრომი. ტაძრის გეგმა



122. წმინდა ტაძრის ცენტრალური აბსიდის სვეტოვანი ნაწილი



123. წმინდა ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი



124. წიხიძე, ტაძრის არქიტექტურული
მასშტაბის აკვანძვა





125. იშხანი. ტაძრის ინტერიერი, საკურთხეველს ავსიდი

126. იშხანი. თაღედი საკუროთხელო.
შეღორე სართულზე სამხრეთით




127. ბანა. ტაძრის გეგმა







128. Կաթնօրհո.
Աղջկան թղթ




129. Կաթնօրհո.՝ Կրճ. Կաթնօրհո. անօրհնաբանություն




130. ნახტომისა, კვლეხობს სამხრეთის ფასადი




131. ნაქვლეკვი, მასწანის კვლეხია, ხედა სამხრეთ-აღმოსავლეთის






132. ნუქლეუმი, მისარობის კვლევის გეგმა და ფასადები




133. Կարսի լեռնալեռնի քարե քաղաքը




134. Երվանդակյան ճակատան
ստեփանյանների պառակցիկը



183. Էրեմիայի թմբեկի և Գաղատիայի մզկիթի ճեղքվածքը




Էրեմիայի թմբեկը «Նավրոսիանի», Երեմիայի




137. ნოქალაქევი „სამეფო აბანო“, გეგმა

138. სამშვილდის სიონი, ტაძრის გეგმა







139 გურჯაანის ეკლესია, ტაძრის ზედა სამხრეთ-დასავლეთიდან




140. უანძიანის ეკლესია, ეკლესიის გრძელი განაკვეთი ჩრდილოეთით



141. Գրեհանիսի խորանից: Յգուլիտի շէնք




142. Վերջնաւ: Յգուլիտի ելստ Կանիւն-ճմեռիպալատացի




143. არმაზი, ეკლესიის განივი
გრაფიკული აღმოსაფლეთისაკენ




144. არმაზის ეკლესია,
ბაზილიკის სტილი აღმოსაფლეთიდან.



145. თბილისის წმინდა
 სამების კვანძი




146. თბილისის წმინდა
 სამების კვანძი და სამების
 ეკლესიის ფასადი




147. Հանձնառու ճանաչողական շքանշան




148. Հանձնառու ճանաչողական շքանշանի ներքին հարկույթի նկար



121. Երուսաղիմի սուրբ Սեբեդիոսի համալիրը



152. იესო ქრისტის მკვდარი



153. იესო ქრისტის
განაგებვის აღმოსავლეთი



155. Երկու խճաքանոց ուղղանկյուն
կամերայն ուղղանկյ





Fig. 1. (continued) 1. 0.67 2. 0.50 3. 0.70 4. 0.57 5. 0.71




Fig. 2. 1. 0.67 2. 0.50 3. 0.70 4. 0.57 5. 0.71




158. თუქი. გუმბათის ეკლესიის რელიეფები




159. თბილისის ბაგრატიანთა წმინდა სვიცხის ეკლესია







ქუთაისის ციხის ნანგრევები




162. ქუთაისი. ლავრატის ტაძარი. ყვანდის დეტალი




163. ალავერდი. ტაძარი ხაშურეოიდან




164. ალავერდი. ტაძრის გეგმა




165. ალავერდი
ინტერიერი. სედა აღმოსავლეთით




166. ქ. ლიხთაში მდებარე ეკლესია




167. სვეტიცხოველი.
აღმოსავლეთი ფასადის რელიეფები




Մ. Մարտիրոսյանի ընթացակարգով հայտնաբերված հուշարձանի հարկային շինարարական շեղանկը:



169. Արձագանակը և ճակատի անհատական ձևերը, ընթացակարգով:




170. სვეტიცხოველი
ანის, აგმოსაკლესოსი ფასადი




324

171. სვეტიცხოველი, აგმოსაკლესოსის სარკმლის დეტალი




172. იშხანი. ტაძრის გეგმა





173. იშხანი.
განაკვეთი ადმოსავლეთით

174. იშხანი.
ტაძრის სამხრეთის ფასადი



175. იშხანი.
ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი







176. იშხანი.
ტაძრის გუმბათი დასაუღლეთიდან




177. იშხანი. სამხრეთ-დასავლეთის
პილონის კაპიტელი




178. სახელი. სამონასტრო ანსამბლის გეგმა




179. სახელი. ტაძრის განაკვეთი სამხრეთით




180. ხაზული. ჯაძრის სამხრეთის ფასადი



181. ხაზული.
ჯაძრის სამხრეთის სარკმელი




182. ბაქანია. ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი




0 5 10 m


183. ბაქანია. ტაძრის გეგმა




184. დაბნივ ცადნის ხეობა წაბნეპოპოზიკონი კოთხე




185. კუბურული ცადნის გეგმა




186. Կաթոլիկոսի խորհրդարանը






187. Եկեղեցու խորհրդարանի շինարարական պլանը



188 ექვსეუხი, ან ეკლესიების კვანძები:
 ვოციუბა, კაღმის-აღთი, ოღთისი,
 ბოჭორმა, კაცხი (ვ. ცინცაძის მიხედვით)



189. ნიკორწმინდა.
 აღმოსავლეთის შიგნითი სარკმელი






190. კაცხი.
ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი

191. კაცხი.
ტაძარი სამხრეთიდან

192. ნოჯიხევი. ეკლესიის რეკონსტრუქცია.
განაკვეთი აღმოსავლეთით
(არქ. რ. გვერდწითელის მიხედვით)

193. ნოჯიხევი. ეკლესიის ვეგმა




194. ნოჯისევი.
 „კელესის რეკონსტრუქცია. ჩრდილოეთის ფასადი
 (არქ. რ. გვერდწითელის მიხედვით)

195. კელესის ნანგრევი
 აღმოსავლეთიდან


196. ეხევი. კელესის გეგმა

197. ხცისი. კელესის გეგმა


198. ხცისი. განაკვეთი ჩრდილოეთით



199. ხცისი. აღმოსავლეთის ფასადა




200. ტყობა-ერდი. ეკლესიის გეგმა





201. Կաթողիկոս. Գաթնիսի սեղօն ինքուր-պիսիսընկոյոցան
(ճարհ. Բ. Կաթողիկոսի ձեռնարկով)






0 5 10^մ

202. Կաթողիկոս. Գաթնիսի շէքն


203. სპიჯვისი, ვანაკეთი აღმოსავლეთი

204. სპიჯვისი, ტაძრის სამხრეთის ფასადი






205. გელათი. ტაძარი წმინდო-აღმთსაქუთოდან




206. გელათი. ტაძრის გეგმა




207. გელათი.
ტაძრის დასაყდურის ფასადი

208. გელათი.
ტაძარი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან






209. აკონია, ტაძარი წმინდოი-აღიბსკელთადას




210. იკორთა, ტაძრის გეგმა






212. ზეოსია. ცაძის სვეტიცხოველ-მარტვილის




213. ბუზანია. ტაძრის გეგმა



215. ბუზანია. ტაძრის აღმოსავლეთის სარკმლები




214. ბუზანია. ტაძრის განაკვეთი აღმოსავლეთით




216. ბუჯანია. ჭაძრის აღმოსავლეთის ფასადი




217. ყინწვისი. ზეით ჩრდილო-დასავლეთიდან



218. ყინწვისი. ტაძრის გეგმა





219. თბილისი. ჯამბაკთის სამხრეთის ფასადი




220. ფიჭარეთი.
ტაძარი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

221. ფატარეთი
ტაძრის გეგმა





223. ფეტარეთა ტაძრის სამსახურეთა ფასოსი დარბაზი





224. ფეტარეთა ტაძრის კუბოსის კუბა

225. ახტალა.
ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი



226. ახტალა. ტაძრის გეგმა







227. აბტალა. ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი (ვ. ცინცაძის მხედველი)


228. ვარძია. ხართულუბის გვერდები (ვ. ცინცაძის მხედველი)

229. აბტალა. ტაძრის სამხრეთის ფასადის დეტალი







230. շահույթ, հանրային ցանց



231. მცხეთაში ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან




232. მცხეთაში ეკლესია. აღმოსავლეთის ფასადი




233. მცხეთაში ეკლესია. ეკლესიის გეგმა


234. მაღალაანთ ეკლესია.
განაკვეთი სამხრეთით



235. გუდარეხი. ეკლესიის გეგმა




236. გუდარეხი.
ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადი







237. სოფალი. ტაძარი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

238. საფარა. ტაძრის გეგმა




239. საფარა.
ტაძრის განაკვეთი ჩრდილოეთით






240. Կաթնիկ

Կաթնիկի արևելա-արևմտյան սյուսնանոց




241. Կաթնիկ. Գմբեթի սեփարհայն
հընդ արմև շրջանում

242. სავანა. ტაძრის ვეშბათი




243. ხარხბი, ანსაზლი სამხრეთიდან




245. ზარზმა.


ტაძრის განაკვეთი აღმოსავლეთით




244. ზარზმა. ტაძრის გვეგმა



246. ზარზმა.
ტაძრის ვუშბათი




248. ცაიშა. წაძნის ეკლესია



247. ცაიშა.
წაძნის განაკვეთი სანძრეობით






250. გერგეტის სამება. ტაძრის გეგმა




251. გერგეტის სამება. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან




252. თბილისის მეტეხის ტაძარი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან




253. თბილისის მეტეხი.
ტაძრის ვევა




255. თბილისის მეტეხი.
ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი




254. თბილისის მეტეხი.
ტაძრის განაკვეთი ჩრდილოეთით




256. ვაკე-ეკლესიის კეობა
 257. ვაკე-ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადი
 258. ნადარბაზევი, სასახლის კეობა
 259. ნადარბაზევი
 სასახლის ინტერიერი





260. ბაგრატი ციხე-დარბაზის
ნანგრევები სამხრეთიდან




262. თეოდოსი აკადემიის გეგმა


261. ბაგრატი ციხე-დარბაზი.
ბაგრატი, განაკვეთები და რეკონსტრუქცია
(ვ. ციხეძის მხედველი)



263. თბილისი, აკაქემის სახეობა




265. თსკი. მთავარანგელოზები სამხრეთის ფასადზე



264. გრემი, აკაქემის გუმბათი




266. თსკი. სატრაპეზოს ინტერიერი




267. თბილისი, სატრაპეზოს გეგმა



268. ოთხო ეკლესია, სატრაპეზოს ინტერიერი





269. ოთხო ეკლესია, სატრაპეზოს გეგმა




270. ჩუკულის ეკლესიის კარი

271. ხოფა. სატრაპეზოს გეგმა და განაკვეთი აღმოსავლეთით






272. ჯანთა აბანო



273. ახალი შუქის ანბანის სახეობის სახეობის




274. ახალი შუამთა
ეკლესიის გეგმა


275. ახალი შუამთა
ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადი




276. ახალი შუამთა. ტაძრის ინტერიერი




277. გრემი. ციტადელი სამხეთ-აღმოსავლეთიდან




279. გრემი. ტაძრის განაკვეთი სამხრეთით



278. გრემი. ტაძრის გვესა 371




280 ანანური ანისიმოზის სახელობის საბაზილიკო ტაძარი




372

282. ანანური.


ტაძრის განაკვეთი აღმოსავლეთით




281. ანანური. ტაძრის გვეგმა



284 ანანური ადმისკლეუის ფასადი




283 ანანური
გაბრიელ ხაძინუას პორტალი





285 ანანური ხაძინუას ფასადი


286. ლარგვისი. ტაძრის გეგმა



287. თბილისის „ჯვარის მძა“
ეკლესიის გეგმა




374 289. ლარგვისი. აღმოსავლეთის ფასადი



288. ლარგვისი.
ტაძრის განაკეთი სამხრეთით



291. ტყვიანი ეკლესიის კეობა




290. ტყვიანი ეკლესია
სამხრეთ-აღმოსავლეთიდან





292. ზედა საქარა.
„გულბანდიანი“.
ეკლესია სამხრეთ-დასავლეთიდან

293. ზედა საქარა „გულბანდიანი“.
ეკლესიის კეობა, ხაეროთი ხედი,
აღმოსავლეთის ფასადი




294. სოფ. კოშკები.
შალიკაშვილების ეკლესია.
გუმბა და სამხრეთის ფასადი




376

296. ქსოვრისი.
ეკლესიის გუმბა





295. ქსოვრისი.
ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადი



297. გუდარეხი.
 ანსამბლი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
298. ნინოწმინდა. სამრეკლოს კეკეშები
299. ნინოწმინდა. სამრეკლოს განაკვეთი


300. ნინოწმინდა.
სამრეკლოს დასავლეთის ფასადი

301. ნინოწმინდა.
სამრეკლო დასავლეთიდან





302. თბილისი.
ანჩისათის სამრეკლო












304. თბილისი. წმინსაბჯის ხაბრეკლი.
დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფასადები



305. თბილისი.
წმინსაბჯის ხაბრეკლი.
მარჯვენა ხაზოვლის კვება



305. დიდიბო. ველის დარბაზი.
კვება, განაკეთი და ფასადი




306. შნა. ციხე-სახლის
შთავარი ფასადი


307. არახეთი. ციხე-სახლის ფასადი

308. ნაქალაქარი გრები.
მეფის ერთ-ერთი სასახლის გეგმა

309. ფხელშე. საცხოვრებელი სახლის გეგმები.
განაკვეთები, ფასადები

310. არახეთი.
ციხე-სახლის გეგმები









311. ნაქალაქარი გრემი.
სახაყხუელი პავლიონის გეგმა


312. აღუანი სისახლის ხედი

313. ძლიობა.
სისახლისა და კოშკის რეკონსტრუქცია




314. ძალიან.
სასახლის გეგმა და განაკვეთი







316. კლასიკური, ხახლის დარბაზის რეკონსტრუქცია



317. ნაქლოქარი ვრცის, აბნის ვეშა




318. ქვემო ჭალა. აბანოს გეგმა და განაკვეთი

319. ფარაენის ქარვასლა. გეგმა


320. ბესლეთის ხიდი

321. გრემი. ქარვასლისა და ბაზრის გეგმა






322. „წითლე ბოგი“. საქართველო




323. „წითლე ბოგი“. კვანძის და გეგმის ხაზები




324. თბილისი. ნარეკელის სვეტი




325. თბილისი. რეკონსტრუქცია. (ვ. კინცაძის მიხედვით)




326. აბოგონა, ქალაქი, სადა შედგებოდა ვახუშტი ბატონიშვილის ბუნა




327. თბილისის პანორამა, გუნსტერის წიგნიდან (XVIII საუკუნის მიჯნაში)



328. გორი, (ის) სამხრეთ-დასავლეთიდან




329. გორი ქალაქის
ცენტრალური ნაწილის გეგმა




330. გორი ციხე სამხრეთიდან (კახკელის მახლობლად)


331. ქუთაისი, ქალაქის გეგმა
(ვ. ცინცაძის მიხედვით)




332. თელავი „ბატონის ციხის“
ფასადის დეტალი



333. თელავი „ბატონის ციხის“
გალავანი ეზოდან








334. ფარეხისი.
ციხის საერთო ხედი

335. სწო. ციხის ხედი
აღმოსავლეთიდან


336. სწო. ციხის კეკემა

337. კეხვი. ციხის კეკემა







338. ახალგორი. ციხის გეგმა




339. ოცარცე. ციხისა და კოშკის გეგმები




340. ახალგორი. შთავარი ანსამბლი სამხრეთ-დასავლეთიდან



341. ახალგორი. შიდათა ანსამბლის კომპის გეგმები, განაკეთი და ფსაგი



342. ახალგორი. შიდათა ანსამბლის რეკონსტრუქცია




344. ნოსტე. გიორგი სააკაძის რეზიდენციის გეგმა




343. ნოსტე. გიორგი სააკაძის რეზიდენციის კომპი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან


345. ნოსტე. გიორგი სააკაძის
რეზიდენციის კოშკი




346. ხულუტი.
ციხე სამხრეთ-დასავლეთიდან




347. ხულუტი. ციხის გეგმა







348. მცხეთა.
ციხესიმაგრის სამხრეთი კალაქი





349. მცხეთა. ციხის დასავლეთი
კალაქი ქვიშაძე



350. მუხრანის ციხის გეგმა




351. მუხრანი. ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკი 395




352. მუსრანი. მთავარი კოშკის ინტერიერი


353. ყვარელი. ციხე ჩრდილოეთიდან

354. ყვარელი. ციხის გეგმა







355. ქილაჯური. ციხის გეგმა და კოშკი




356. ქილაჯური. ციხის სიყა




357. შატალი. ვოგუა ჭინჭარაულის
საცხოვრებელი სახლის მესამე სართულის გეგმა.
(გ. ლეუკავას მიხედვით)




358. შატალი. ვიქტორ ვინკლანდის
ხახის მოგვრა უახლესი (ვ. დევიკის მხედვით)




359. შატალი. ხოქოს კანკანა







361 ზემო ხოღაშენი ციხესასული მარნით, იქვე აღმოსავლეთიდან




362. ზემო ხოღაშენი ციხესასული მარნით, აქსონომეტრია




363. ასეკტა ციხესასული მარნით




365. შლეთი. კოშკის გეგმა, განაკვეთი და ფასადი




364. უკანუბანი. კოშკი დასავლეთიდან




366. უკანუბანი. ციხის რეკონსტრუქცია




368. წორბისი კოშკის ხედი




367. ფანტეჯი კოშკის ხედი




369. წორბისი კოშკის ვეგები, განაკეთი და ხედი




370. ბავინი კოშკის გეგმა, განაკვეთი და ფასადი



372. შიდა, ღვთისმშობლის
ეკლესიის ანსამბლის კოშკი




371. შიდა, ღვთისმშობლის ეკლესიის ანსამბლის კოშკი



373. ჩიხისი კოშკის ხედი




374. მარტკოფი, თუშბლაძეების კოშკის ძარბანი ფასადი




375. მარტკოფი, თუშბლაძეების კოშკი




376. მარტყოფი. თუმსალიშვილების კოშკის ინტერიერი.







378. პატარასული კოშკი ჩრდილოეთიდან



379. ხეითი კოშკის ვეშები 1



380. ხეითი კოშკის მეორე სართულის ვეშა და განაკვეთი



381. ქართული ცხეების საბრძოლო ამბაზურები

- ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961.
- აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.
- ბერიძე ვ., ძველი ქართული სუროთმოდღერება, თბ., 1955.
- ბერიძე ვ., სამცხის სუროთმოდღერება XIII-XVI სს. თბ., 1955.
- ბერიძე ვ., თბილისის სუროთმოდღერება 1801-1917 წწ., ტ. I, თბ., 1960. ტ. II, 1963.
- ბერიძე ვ., XVI-XVIII სს. ქართული სუროთმოდღერება, თბ., 1983.
- ბერიძე ვ., XVI-XVIII სს. ქართული საეკლესიო სუროთმოდღერება, თბ., 1994.
- ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.
- ზაქარაია პ., ქართული ცენტრალურ-გუმიბათოვანი არქიტექტურა, ტ. I, 1975; ტ. II, 1978; ტ. III, 1981.
- ზაქარაია პ., ქართული სუროთმოდღერება XI-XVIII სს., თბ., 1990.
- ზაქარაია პ., კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბ., 1962.
- ზაქარაია პ., ანანურის სუროთმოდღერული ანსამბლი, თბ., 1953.
- ზაქარაია პ., ნაკალაქარი ურბნისის სუროთმოდღერება. თბ., 1965.
- ზაქარაია პ., ნაკალაქარი გრემის არქიტექტურა, თბ., 1975.
- ზაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი, თბ., 1991.
- მეუფისაშვილი რ., თუმანიშვილი დ., ბანას ტაძარი, თბ., 1989.
- მუსხელიშვილი ლ., ბოლნისი, ენიქის მონუმ., ტ. III, 1938.
- სუმბაძე ლ., ქართული დარბაზი, თბ., 1960.
- ქართული ხელოვნება, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1942; ტ. II, 1948; ტ. III, 1950; ტ. IV, 1955; ტ. V, 1959; ტ. VI, 1969; ტ. VII, 1971; ტ. VIII, 1979; ტ. IX, 1987; ტ. X, 1991.
- ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936.
- ჩუბინაშვილი გ., სევეროვი ნ., ქართული არქიტექტურის გზები, თბ., 1936.
- ციციშვილი ი., ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955.
- ციციშვილი ი., ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1995.
- ჯავახიშვილი ა., ღლონტი ლ., ურბნისი, I, თბ., 1962.
- Аладашвили Н. Монументальная скульптура Грузии. М., 1977.
- Беридзе В. Грузинская архитектура с древнейших времен до начала XX в. Тб., 1967.
- Джандиери М., Лежава Г. Архитектура горных районов Грузии. М., 1940.
- Джаиберидзе Н., Цицишвили И. Архитектурные памятники Грузии. М., 1996.
- Джанаридзе О., Джавахишвили А. Культура древнего населения на территории Грузии. Тб., 1971.
- Закарая П. Древние крепости Грузии. Тб., 1969.

- Закарая П. Зодчество Тао-Кларджети. Тб., 1992.
- Мелитаури К. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии. Тб., т. I. 1969. т. II, 1972.
- Менцашвили Р. Архитектурный ансамбль Гелати. Тб., 1966.
- Менцашвили Р., Цицадзе В. Архитектура нагорной части исторической провинции Грузии Шида-Картли, Тб., 1975.
- Рчеулишвили Л. Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии. Тб., 1988.
- Северов П. Памятники грузинского зодчества. М., 1947.
- Чубинашвили Г. Архитектура Кахетии. Тб., 1959.
- Чубинашвили Г. Болнисский Сноп, Тб., 1960.
- Чубинашвили Г. Вопросы истории искусств. Тб., 1970.
- Чубинашвили Г. Памятники типа Джвари, Тб., 1948.
- Чубинашвили Г. Пещерные монастыри Давид-Гареджа, Тб., 1948.
- Чубинашвили Г. Цромн. М., 1969.
- Чубинашвили П. Грузинская средневековая художественная резьба по дереву. Тб., 1958.
- Шмерлинг Р. Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тб., 1962.
- Beridze W., Neubauer E., Die Baukunst des Mittelalter in Georgien. Berlin, 1980.
- Mepisachwili R., Zinzadze W., Die Kynst des alten Georgien, Leipzig, 1977.
- Mepisachwili R., Zinzadze W., Georgien Wehrbauten und Kirchen, Leipzig, 1986.

შინაარსი

შესავალი	5
ქართული ხუმროთმომცემების საწინააღმდეგო	7
პირველყოფილი საზოგადოების ხუმროთმომცემობა	7
ისტორიული მიმოხილვა	7
ქვის ხანა	7
ბრინჯაოს ხანა	8
მეგალითური ნაგებობანი	12
კამბოსიცურის ხერხები	14
აღრეკლასობრივი საზოგადოების აპრიოდის ხუმროთმომცემობა	15
ისტორიული მიმოხილვა	15
ქალაქსამშენებლობა	18
სატაძრო ხელოსანობიერება	32
საერო ნაგებობანი	37
საცხოვერებელი სახლები	41
აბანოები	42
აკლდამები	45
სამშენებლო ტექნიკა	47
მხატვრული ხერხები	49
შუა საუკუნეების ხუმროთმომცემობა	55
აღრეკლასობრივი შუა საუკუნეების ხუმროთმომცემობა	55
ისტორიული მიმოხილვა	55
არქიტექტორულ ნაგებობათა სახეები და ტიპები	58
სამშენებლო ტექნიკა	59
საკულტო ხელოსანობიერება	62
სამწაფიანი ბასილიკები	63
სამეკლესიოანი ბასილიკები	73
VI-VII საუკუნეების ბუზბატონიანი ხუმროთმომცემობა	76
ღარბაზული ეკლესიები	91
საერო ხუმროთმომცემობა	92
ქალაქსამშენებლობა	93
აბანოები	99
ბარდაყვავილი ხანის ხუმროთმომცემობა	100

X-XV საშუალო ხუროთმოძღვრება	107
<i>ისტორიული მიმოხილვა</i>	107
ნაგებობათა სახეები	109
საკულტო ხუროთმოძღვრება	110
X-XII საუკუნეების ტაძრები	110
მრავალაფსიდოანი ეკლესიები	123
დარბაზული ეკლესიები (X-XII საუკუნეები) ..	130
ქართული ძეგლები ჩრდილო კავკასიაში	132
(კენტრალურ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრება	134
რუსთაველის ეპოქის ტაძრები (XII საუკუნის 80-იანი წლებიდან	
XIII საუკუნის შუა ხანებამდე)	141
ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრები	144
კლდეში ნაკვეთი ნაგებობანი	150
ციხესიმაგრეები	152
დარბაზული ეკლესიები (XII საუკუნის ბოლოდან XIII საუკუნის შუა წლებამდე)	157
ხუროთმოძღვრება XIII საუკუნის შუა ხანებიდან XV საუკუნის ბოლომდე	159
(კენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრები)	162
სხვა ტაძრები	168
დარბაზული ეკლესიები (XIII-XIV საუკუნეები)	169
საერო ხუროთმოძღვრება	171
საცხოვრებელი სახლები	171
სასახლეები	172
სამეფო სასახლეები	173
ფეოდალთა სასახლეები	175
აჯაღმეხები	177
სატრაპეზოები	180
ქანკელი	182
სოქე კვია (არქიტექტურულ ნაგებობებთან დაკავშირებული)	182
მშენებლობის ტექნიკა და მასალა	183
XVI-XVIII საუკუნების ხუროთმოძღვრება	186
<i>ისტორიული მიმოხილვა</i>	187
საქულტო ხუროთმოძღვრება	188
ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრები	189
სხვა სახის გუმბათოვანი ეკლესიები	194
დარბაზული ეკლესიები	196
სამრეკლოები (XIII-XVIII საუკუნეები)	197
საერო ხუროთმოძღვრება	200
საცხოვრებელი სახლები	201
სასახლეები	204
სამეფო სასახლეები	204
ფეოდალთა სასახლეები	206
კომუნალური ნაგებობები	209
აბანოები	209
ქარევისლა, ბანარა	212
ხიდები	214
სიმაგრეები	216
ციხე-ქალაქები	216
ციხესიმაგრეები	220
ციხე-დარბაზები	223

ციხე-გაღაენები	230
ციხე-სახლები	235
ციხე-სახლი მარნისი	236
კოშკები	238
„სურგიანს“ კოშკები	239
პირამიდული კოშკები	241
ცოლიანდრული კოშკები	242
არქიტექტურული ტერიტორიების განმარტებანი	245
ლოტრატურა	407

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიშკარიანი
მხატვარი რ. მახარაძე
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ბ. ასათიანი -
კორექტორი მ. ვარამაშვილი

ხელმოწერილია დასაბუჯდად 6.12.00
საბუჯდი ქაღალდი 70X108 1/16
პირობითი ნაბუჯდი თაბახი 39,66
სააღრ.-საგამომც. თაბახი 31
ტირაჟი 250 შეკვეთის № 24

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, აკ. წერეთლის გამზ., 112.